

100
1983



საგანგებო

1983
საქართველოს
რესპუბლიკის
ეროვნული ბიბლიოთეკა

24
780

3

ISSN 0134-0848





იხარებალი თაჰაილი



პრიზორი პაპარინი.

პრიზორი პაპარინი.

ნადიროვის შამდას საგებრელოში



მთავარი რედაქტორი:
მუსრან მაჭავარიანი

პ. მკ. მღვიანა:

ნანა დარჩია

ხარედაქციო კოლეგია:

ელვა ასვლიძეანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი ბაგანიძე

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

მეგალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი კობახიშვილი

როზან შიშინოშვილი

გიორგი ნიუნიაძე

ოთარ ნოღია

დალი ფანჯიკია

რუსუდან შებულაძე

იორაშ შენიკტიანი

ნიკო ურასიშვილი

გივი ქნელია

დავით წარაძეანი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წიკვიცია

რაჭო ვეიშვილი

«САУНДЖЕ»

ДВУХМЕСЯЧНЫЙ

АЛЬМАНАХ

ВСЕМИРНОЙ

ЛИТЕРАТУРЫ

НА

ГРУЗИНСКОМ

ЯЗЫКЕ

№ 3

1983

СОЮЗ

ПИСАТЕЛЕЙ

ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ

РЕДАКЦИОННАЯ

КОЛЛЕГИЯ ПО

ХУДОЖЕСТВЕННОМУ

ПЕРЕВОДУ

И

ЛИТЕРАТУРНЫМ

ВЗАИМОСВЯЗЯМ

გარეკანზე: გრიგორი ბაგარიანი. ქართველი თავადის ასული

მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი ე. წულეისკირი

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22

განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 25. 04. 83 წ., ხელმოწ. დასაბუქდოდ 8. 07. 83 წ., ქალაქის ზომა 70 X 108^{1/2}

სააღრ. თ. 23,6. სასტ. თ. 28 საღებავის გატ. 28,7. ტარ. 10.000. შვევ. № 1147.

ფასი 1 მან. 50 კპპ.

საქ. კპ ცკ-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

სურნა



ქართული
წიგნიერება

3

(54)

მაისი

ივნისი

1983

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ა ლ მ ა ნ ა ხ ი

შხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

შინაარსი

კოეზია და პროზა

მიხაილ გულგაკოვი. თეატრალური რომანი. დახასრული. თარგმნა გივი კიკელაშვილმა	3
ვლადიმირ მაიაკოვსკი. ლექსები. თარგმნა თედო ბექიშვილმა	45
ნიკოლაი გოგოლი. საშინელი შურისგება. მოთხრობა. თარგმნა ზვიად გამსახურდიამ	48
ივან გუენინი. მოთხრობები. თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	78
ალექსანდრ გერცენი. გზად ბავლისას. მოთხრობა. თარგმნა ოზარ ეხიტაშვილმა	94
დიმიტრი წერეთელი. ლექსები. თარგმნა მურმან თავდიშვილმა	97
წინამძღვარ დანიელის მოგზაურობა კალესტინაში. ძველ- რუსულიდან თარგმნა თენგიზ ბუაჩიძემ	102
ილია ორბელიანი. რვა თვე შამილის ტყვეობაში. ოფიც- რის მოთხრობა. თარგმნა ელიზბარ უბილაძემ	181
მომხმე რუსაუბლიკების ანალებურდა კრიტიკი თარგმნა ვაჟა დოღბაიამ	175
ალექსეი ტოლსტოი. ნევეროკოვის თავგადასავალი ანუ იბრაჟნი. მოთხრობა. თარგმნა აკაკი ბრეგაძემ	188
ვადიმ კოროსტილევი. ჩემი სივდა ნათელია. პიესა. თარ- გმნა მიხეილ ქვლივიძემ	285
ე. როზანოვი. წიგნიდან „ჩამოცვენილი ფოთლები“. თარგმნა ედიშერ გიორგაძემ	811

წერილები

ალექსანდრ კუზაინი. დელვიგი. თარგმნა ედიშერ გიორგაძემ	813
ნიკოლაი სპატოვი. კოეზია და ცხოვრება განუყოფელია. თარგმნა ამირან კენჭაძემ	814
ავთანდილ ვართაგავა. არ დავიწყება მოუვრისა...	816

მისილ გულგაკოვი

თეატრალური რომანი



რომანი

თარგმნა გივი კიკილაშვილმა

თავი 13

ვცან ზეზმარობა

ამხანაგებო, სულმოკლეობისა და საკუთარი თავის რწმენის უქონლობაზე უარესი ქვეყნად არაფერია. ამან მიშიყვანა იქამდე, რომ შევეჭვდი, მართლა ხომ არ არის საჭირო, გასათხოვარი და დედად ვაქციო-მეთქი.

„ბოლოს და ბოლოს, — ვფიქრობდი ჩემთვის, — შეუძლებელია, ივან ვასილიევიჩი ამას ტყუილად ამბობდეს. ამგვარი რამეებისა ხომ ვაეგება“.

კალამს ხელი მოვკიდე და ცალკე ფურცელზე წერას შევუდექი. გულახდილად ვაღიარებ: რაღაც აბდაუბდა გამოდიოდა. რაც მთავარია, ისე შემძულდა ეს არამკითხე დედა ახტონინა, როგორც კი ქალაღზე გამოჩნდებოდა, სულ კბილებს ვაკრაჭუნებდი. თქმა რაღად უნდა, არც არაფერი გამოვიდა. საკუთარი გმირები უნდა გიყვარდეს. ამის გარეშე არავის ვურჩევ, კალამს ხელი მოჰკიდოს. იცოდეთ, უდიდეს უსიამოვნებას გადაეყრებით.

იცოდეთ-მეთქი! — ამოვიხრიალე, ფურცელი ნაკუწ-ნაკუწ ვაქციე და გადავწყვიტე, თეატრში ფეხი აღარ შემედგა. ამის შესრულება ძალზე გამიჭირდა, მაინც მინდოდა გამეგო, ყოველივე რით დამთავრდებოდა. „არა, დაე, თვითონ დამიძახონ“, — ვფიქრობდი გულში.

მაგრამ გავიდა ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე, ერთი კვირა... არავინ ნეძახდა. „ალბათ მართალს ამბობდა არამზადა ლიკოსპასტოვი, — არ მასვენებდა ფიქრი, — პიესას არ დადგამენ. ეგეც შენი აფიშა და „ფენიზას ბადე!“ იღბალი არა მაქვს!“

ამქვეყნად კეთილ ხალხს რა გამოლევს, ვიტყვი ლიკოსპასტოვის ყაიდაზე. ერთხელაც კარზე პომიკაკუნეს და ოთახში ბომბარდოვი შემოვიდა. მისმა დანახვამ ისე გამახარა, თვალებზე ცრემლი მომადგა.

— ეს ყველაფერი მოსალოდნელი იყო, — მითხრა ბომბარდოვმა, ფან-

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2.

3
კ. მარტოს ს. ს. სარ
სახელზე...
მე...

ჯრის რაფაზე ჩამოჯდა და ფეხი ცენტრალური გათბობის მილზე ააბაკუნა, — მართლაც ასე მოხდა, მე ხომ გაგაფრთხილეთ?

— კი მაგრამ, დაფიქრდით, პიოტრ პეტროვიჩ, აბა დაფიქრდით! — შევ-
დახე მე. — გასროლა როგორ არ წამეკითხა? როგორ არ წამეკითხა?

— ჰოდა, ხომ წაიკითხეთ, რაღა გინდათ! — მკაცრად მინახავს! ბომბარ-
დოვმა.

— მე ჩემს გმირს ვერ შეველევ, — ვუთხარი გაბრაზებულმა.

— არც შეეღწოდით...

— მომიტევეთ!

და ბომბარდოვს ყველაფერი სულმოუთქმელად ეუბამზე: და დედით რო-
გორ უნდა შემეცვალა, ვილაც პეტია ჩემი გმირის სანუკვარ მონოლოგებს
როგორ უნდა დაპატრონებოდა, ხანჯლას ამბავიც მოვუყევი, რაც ყველაზე უფ-
რო მაგიყებდა.

— რას მეტყვიან, როგორ მოგწონთ ეს პროექტები? — გულფიცხად ვკით-
ხე ბომბარდოვს.

— ბოღვია, — მიპასუხა ბომბარდოვმა და რატომღაც მიმოიხედა.

— მერე?

— მერე ის, რამ არ უნდა შედაგებოდით, — წყნარად მითხრა ბომბარ-
დოვმა. — უნდა გეთქვათ, დიდიად გმადლობთ, ივან ვასილიევიჩ, ასეთი მითი-
თებები რომ მომეცით, შევეცდები, დაუყოვნებლად შევასრულო. შედაგება არ
შეიძლება, გესმით თუ არა? სიეცვე ვრაყეკში არავინ დავობს.

— როგორ?! არავინ არასოდეს ედავება?

— არავინ და არასოდეს, — მიპასუხა ბომბარდოვმა, თან ყოველ სიტყვას
ფეხის ბაკუნს აყოლებდა. — არ შედაგებია, არ ედავება და არც არასოდეს შე-
ედავება.

— რაც არ უნდა თქვას?

— რაც არ უნდა თქვას.

— რომ მითხრას, შენი გმირი პენზაში უნდა წავიდესო? ანდა იმ დედა
ანტონინამ თავი უნდა ჩამოიხრჩოსო? ან კონტრალტოთი იმღეროსო? ან ეს
ღუმელი შავიაო? მაშინ რა ეუბასუხო?

— უნდა უთხრაო, შავიაო.

— სცენაზე რანაირი იქნება?

— თეთრი, შავლაქიანი.

— ამისთანა რამ სად გაგონილა? რა საშინელებაა!..

— არაფერია, ვუძღებთ, — მიპასუხა ბომბარდოვმა.

— მომიტევეთ! ნუთუ არისტარხ პლატონოვიჩს არ შეუძლია, რამე უთხ-
რას?

— არისტარხ პლატონოვიჩი ვერაფერს ეტყვის, იმიტომ, რომ არისტარხ
პლატონოვიჩი ივან ვასილიევიჩს ათას რუბლს ოთხმოცდა ხუთი წლის მერე ხმას
არა სცემს.

— ეს როგორ შეიძლება?

— ისინი ათას რუბლს ოთხმოცდა ხუთ წელს წაიჩხუბნენ და მას მერე ერ-
თმანეთს არ ხვდებიან, ტელეფონითაც კი არ ელაპარაკებიან.

— თავბრულ მესხმის! მაშ თეატრი როგორღა არსებობს?

— როგორც ხედავთ, არსებობს და მშვენივრადაც არსებობს. მათ საჭმე

გაიყვეს. მაგალითად, თუ ივან ვასილიევიჩი თქვენი პიესით დაინტერესდა, მაშინ ამ პიესას არისტარხ პლატონოვიჩი ახლოს აღარ გაეკარება, და პირიქით. მაშასადამე, საბაბიე არ ექნებათ, რომ ერთმანეთს შეეჯახონ. ეს ძალიან ბრძნული სისტემაა.

— ღმერთო ჩემო! თითქოს ჯიბრზე, არისტარხ პლატონოვიჩი უნდა იქნებოდეს. ახლა აქ რომ იყოს, იმას მივმართავდი...

— ჰმ, — თქვა ბომბარდოვმა და ფანჯარაში გაიხედა.

— განა შეიძლება, საქმე იქონიო ისეთ კაცთან, ვინც არავის არაფერს უჯერებს?

— არა, უჯერებს. სამ ადამიანს უჯერებს: გავრილ სტეპანოვიჩს, თავის დეიდა ნასტასია ივანოვნას და ავგუსტა ავდეევნას. ამქვეყნად სამ ადამიანსა აქვს გავლენა ივან ვასილიევიჩზე. თუ ზემოხსენებულთა გარდა სხვა ვინმე ივან ვასილიევიჩზე გავლენის მოხდენას განიზრახავს, მხოლოდ იმას მიაღწევს, რომ ივან ვასილიევიჩი პირიქით მოიქცევა.

— რატომ?!

— იგი არავის ენდობა.

— ეს ხომ საშინელებაა!

— ყველა დიდ ადამიანს თავისი ფანტაზიები აქვს, — შემრიგებლური კილოთი მითხრა ბომბარდოვმა.

— კარგი. ყველაფერს მივხვდი და ვხედავ, რომ მდგომარეობა უიმედოა. პიესის სცენაზე დასადგმელად თუკი აუცილებელია მისი იმდაგვარი დამახინჯება, რომ ყოველგვარი აზრი დაეკარგოს, მაშინ აღარც მისი დადგმაა საჭირო. არ მინდა, მაყურებელმა ნახოს, მეოცე საუკუნეში მცხოვრები კაცი, რომელსაც რევოლუციური ხელთა აქვს, ხანჯლით თავს როგორ იკლავს, არ მინდა, თითით საჩვენებელი გავხდე!

— თითით საჩვენებელი არ გახდებოდით, რადგან ხანჯლის ხსენებაც არსად იქნებოდა. თქვენი გმირიც თავს რევოლუციურით მოიკლავდა. როგორც ყველა ნორმალური ადამიანი.

მე ხმაგაკმენდილი ვიჯექი.

— თავი მოკრძალებით რომ გჭეროდით, — განაგრძობდა ბომბარდოვი, — ჩემი რჩევისთვის ყური გეთხოვებინათ, ხანჯალზეც და ანტონინაზეც დათანხმებულიყავით, მაშინ არც ერთი იქნებოდა და არც მეორე. ყველაფრისთვის თავისი გზა და ხერხები არსებობს.

— როგორია ეგ ხერხები?

— ეს მიწა პანინმა იცის, — ყრუ ხმით მიპასუხა ბომბარდოვმა.

— ახლა კი ყველაფერი დაღუპულია? — სევდიანად შევეკითხე მე.

— მძიმე ვითარებაა, მძიმე, — დაღონებით მიპასუხა ბომბარდოვმა.

ერთმა კვირამ კიდევ გაიარა. თეატრიდან არაფერი ისმოდა. იარა თანდათან მომიშუშდა. ერთი რამის ატანა მიჭირდა, „სახომალდოს მაცნეში“ რომ უნდა მევლო და ნარკვევები მეწერა.

მაგრამ უცებ... ოჰ, ეს წყნელი სიტყვა! წუთისოფლიდან საუკუნოდ მიმავალს თან მიმყვება ამ სიტყვის დაუძლეველი შიში, რა სულმოკლეობაა! მისი ისევე მეშინია, როგორც ამ სიტყვებისა: „სიურპრიზი“, „ტელეფონთან გთხოვენ“, „დეპეშა მოგივიდათ“ ანდა „კაბინეტში გიხმობენ“. ძალიან კარგად ვიცი, ამ სიტყვებს რაც მოჰყვება ხოლმე.

მაშ ასე, უცებ და სრულიად მოულოდნელად ჩემს კარს დემიან კუზმიჩი მოადგა, ქუსლზე ქუსლის შემოკვერით მომესალმა და ბარათი გამომიწოდა. თეატრში მიწვევდნენ, ხვალ დღის ოთხ საათზე უნდა მივსულიყავი.

მეორე დღეს არ წვიმდა, შემოდგომის სუსხი უჭერდა, თეატრისკენ აღელვებული მივაბიჭებდი ასფალტზე ქუსლების ბაკუნის

პირველად თვალში მეცა ეტლში შებმული ნაპატივეები, მარტორქასავით ჩამრგვალებული ცხენი და კოფოზე მჯდარი ხმელ-ხმელი ბერიკაცი. არ ვიცი რანაირად, მაგრამ მყისვე მივხვდი, ეს ბერიკაცი დრიკინი უნდა ყოფილიყო. ამან უფრო მეტად ამაღელვა. თეატრში როცა შევედი, გამაოცა ერთგვარმა აღზნებამ, რაც ყველაფერს დასტყობოდა. ფილიას კანტორაში არავინ ჩანდა, ხოლო მისი მთხოვნელები, ანუ, უფრო სწორად, მათგან ყველაზე ჯიუტნი, სიცივისგან აბუზულნი იდგნენ ეზოში და ხანდახან ფანჯარაში იცქირებოდნენ. ზოგიერთნი ფანჯრის მინაზეც აკაკუნებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. მივაკაკუნე თუ არა, კარი ოღნავ გაიღო და დრიკოში ბაკვალინის თვალმა გაიელვა, მერე ფილიას ხმაც შემომესმა:

— დაუყოვნებლივ შემოუშვით!

ჰოდა, შემიშვეს. ეზოში დგომით გატანჯულებმა ჩემს კვალდაკვალ შემოჭრა ცადეს, მაგრამ კარი დაიხურა. კიბეზე დავენარცხე, ბაკვალინმა წამომამყენა და კანტორაში შემიყვანა. ფილია თავის ადგილას კი არ იჯდა, პირველ ოთახში გამოსულიყო. ახალი პალსტუხი ეკეთა, ახლაც მახსოვს — დაწინწკლული პალსტუხი. წვერიც მეტიხნეტად სუფთად გაეპარსა.

იგი რაღაც განსაკუთრებულად, ძალზე ააზეიმოდ, მაგრამ, ცოტა არ იყოს, დაღონებით მომესალმა. თეატრში სავანგებო რაღაც ხდებოდა, რაშიაც მთავარი როლი მე, წარმოგიდგენიათ, მე მქონდა მიჩენილი. ამას ისე ვგრძნობდი, როგორც მსხვერპლად შესაწირავი ხარი გრძნობს ხოლმე ალბათ, როცა სამსხვერპლოსკენ მიჰყავთ.

ეს იმ მოკლე ფრაზაშიაც იგრძნობოდა, ფილიამ ბაკვალინს ხმადაბლა, მაგრამ მბრძანებლურად რომ უთხრა:

— პალტო გამოართვით!

შიკრიკებმა და კაპელდინერებმა ხომ მთლად განმაცვიფრეს. არც ერთი მათგანი თავის ადგილას არ იჯდა, ყველანი მოუსვენრად გარბი-გამორბოდნენ, რის მიზეზსაც საჭმეში ჩაუხედავი კაცი ვერაფრის დიდებით ვერ მიხვდებოდა. დემიან კუზმიჩმა გვერდზე ჩორთით ჩამირბინა, გამასწრო და ბელეტაჟზე უხმაუროდ აიჭრა. როგორც კი თვალთავან დამეკარგა, ბელეტაჟიდან კუსკოვი გამოვარდა, იმანაც ქვემოთ ჩორთით ჩამოირბინა და გაუჩინარდა. ქვედა ფოიეში კლიუკვინი გამოჩაქჩაქდა, ერთ ფანჯარას ფარდა რატომღაც ჩამოაფარა, დანარჩენი ფანჯრები კი ფარდაჩამოუფარებელი დატოვა და უკვალოდ გაქრა.

ბაკვალინმა სალდათურ მაუდზე უხმაუროდ ჩაირბინა და ჩაის ბუფეტის კარს მიეფარა, იქიდან კი პაკინი გამოსნლტა და მაყურებელთა დარბაზში გაუჩინარდა.

— ზემოთ გამომყევით, გეთაყვა, — მეუბნებოდა ფილია და თავაზიანად მიმაცილებდა.

ზემოთ როცა ავდიოდით, ვილაცამ კიდევ ჩაგვიქროლა უხმაუროდ და ია-

რუსზე აირბინა. მეჩვენებოდა, რომ ჩემ ირგვლივ მიცვალებულთა აჩრდილები დაბორიალებდნენ.

აბანოს წინკარს მღუმარედ რომ მივუახლოვდით, კართან მდგარი დემიან კუზმიჩი მაშინლა დავინახე. ვილაც პიჩაკიანი კაცი კარისკენ გაეშურა. მაგრამ დემიან კუზმიჩმა ხმადაბლა შეჰყვირა და კარს ჯვარცმულივით აეკრა. კაცი გა-
ნზე გახტა, კიბეზე დაეშვა და ბინდბუნდს შეერია.

— შეუშვით! — ჩაიჩურჩულა ფილიამ და გაუჩინარდა.

დემიან კუზმიჩი კარს მიაწვა და შიგ შეძიშვა. ერთი კარიც და აბანოს წინ-
კარში აღმოვიჩნდი, სადაც ბინდბუნდი აღარ იდგა. ტოროპეცკაიას საწერ მაგი-
დაზე ლამპა ენთო. თავად ტოროპეცკაია მანქანაზე არ ბეჭდავდა, იჭდა და გა-
ზეთს ჩასცქეროდა. როცა დამინახა, თავი დამიკრა.

ღირექციის კაბინეტის კართან მწვანეჯემბრიანი მენაჟრაკი იდგა, ყელზე
ბრილიანტის ჯვარი უბრწყინავდა, ხოლო ლაქის ქამარზე გასაღებების დიდი,
ბრჭყვიალა ასხმულა ეკიდა.

— აქეთ, — მითხრა მან და გაჩირალდნებულ ოთახში აღმოვიჩნდი.

პირველად კარგლიის არყის ძვირფასი, მოოქრული ჩუქურთმებით შემკუ-
ლი ავეჯი, უზარმაზარი საწერი მაგიდა და კუთხეში მდგარი შავი ოსტროვსკო
შევამჩნიე. ჭერზე ჭალი ბრიალებდა, კედელზე კენკეტები ლაპლაპებდა. მომეჩ-
ვენა, თითქოს სურათების გალერეის ჩარჩოებიდან პორტრეტები ჩამოვიდნენ და
ჩემკენ დაიძრნენ. ივან ვასილიევიჩი ვიცანი, იგი მრგვალ მაგიდასთან დივანზე
იჭდა, წინ ვაზით მურაბა ედგა. ვიცანი კნიაჟევიჩი; პორტრეტების მიხედვით
კიდევ რამდენიმე ადამიანი ვიცანი, მათ შორის ერთი თვალტანადი ქალი, აღის-
ფერი ბლუზა და ყავისფერი ჟაკეტი რომ ეცვა და ჟაკეტზე ღილები ვარსკვლა-
ვებივით ჰქონდა ასხმული, მხრებზე სიასამურის ბეწვი მოეხურა, შეჭალარა-
ვებულ თმას პატარა შლაპა უმშვევებდა, შავი წარბების ქვემოთ თვალები უე-
ლავდა, ხოლო თითებზე ბრილიანტის დიდრონი ბეჭდები უბრწყინავდა.

თუმცა იქ მყოფთაგან ზოგი გალერეის წვერთა რიგს არ განეკუთვნებოდა.
დივნის საზურგესთან სწორედ ის ეჭიმი მოჩანდა, მილოჩკა პრიახინას საშვე-
ლად აბანოს წინკარში რომ შემოირბინა. ხელში ახლაც სირჩა ეჭირა, ხოლო
კართან მებუფეტე იდგა. სახეზე კვლავ მწუხარება ეხატებოდა.

მოშორებით მდგარ დიდსა და მრგვალ მაგიდას ქათქათა სუფრა ეფარა.
ბრწყინავდა ბროლი და ფაიფური, ბუნდად მოჩანდა ნარზანის ბოთლები,
წითლად იელვა, მგონი, კეტის ხიზილალამ. სავარძლებზე მოკალათებული დი-
დი საზოგადოება ჩემი შესვლისთანავე შეირხა. სალამზე ყველამ თავის დაკ-
ვრით მიპასუხა.

— ოჰ! ლეო!.. — წამოიწყო ივან ვასილიევიჩმა.

— სერგეი ლეონტიევიჩ, — სწრაფად ჩაურთო კნიაჟევიჩმა.

— დიახ... სერგეი ლეონტიევიჩ, მობრძანდით! უმორჩილესად გთხოვთ,
დაბრძანდეთ! — და ივან ვასილიევიჩმა ხელი მაგრად ჩამომართვა. — ხომ არ
წაიხემსებდით? რას ინებებთ? იქნებ ისადილოთ ან ისაუზმოთ? ნუ მოგვერი-
დებით. ჩვენ მოვიცდით. ჩვენი ერმოლაი ივანოვიჩი ნამდვილი ჯადოქარია,
თქვენ ოღონდ რამე უთხარით და... ერმოლაი ივანოვიჩ, ხომ შეგიძლიათ ასა-
დილოთ?

ჯადოქარმა ერმოლაი ივანოვიჩმა პასუხად თვალები გადაატრიალა, მერე
თავის ადგილასვე დააბრუნა და მუდარით შემომხედა.

— ანდა იქნებ რაიმე სასმელი ინებოთ? — პატიყს განაგრძობდა ივან ვასილიევიჩი. — ნარზანი? სიტრო? შტოშის წოწოქურა? ერმოლაი ივანოვიჩი! — მკაცრად მიმართა მეზუფეტეს ივან ვასილიევიჩმა. — შტოშის ხაკმაო მარაგი ხომ გვაქვს? გთხოვთ, ამას თვალი მკაცრად ადევნოთ.

ერმოლაი ივანოვიჩმა პასუხად მოკრძალებით გაიღმე და ჩაქინდრა.

— ერმოლაი ივანოვიჩი, რომ იცოდეთ... ჰმ... ჰმ... შტოშის ხაკმაო მარაგი გაჭირვების უამს მთელი თეატრი თართით გამოკვება და შიმშილისგან იხსნა! თორემ ერთიანად ამოვწყდებოდით. მსახიობები აღმერთებენ!

ერმოლაი ივანოვიჩი გმირულ საქმეთა გამო არ გაამპარტავნებულა, პირიქით, სახეზე მწუხარების ჩრდილი დაეფინა.

მე მკაფიო, მტკიცე, მქლერი ხმით განვაცხადე, ნასაუზმევიც ვარ და ნასადილევიც-მეთქი, ცივი უარი ვთქვი ნარზანზეც და შტოშის წოწოქურაზეც.

— მაშინ იქნებ ნამცხვარი მიირთვათ? ერმოლაი ივანოვიჩის ნამცხვარი საქვეყნოდ არის განთქმული.

მაგრამ მე ნამცხვარზეც უარი განვაცხადე უფრო მქლერი და მკაფიო ხმით (შემდეგში ბომბარდოვი დამსწრეთა მონაყოლის მიხედვით მბაძავდა: „ამბობენ, ისეთი ხმა გქონიათ თურმე!“ — „როგორი?“ — „ჩახლეჩილი, ბრაზიანი, წვრილი...“).

— მართლა, ნამცხვარზე გამახსენდა, — უცებ ხვერდოვანი ბანით წამოიწყო ივან ვასილიევიჩის გვერდით მჯდარმა საოცრად დახვეწილად ჩაცმულმა და თმადავარცხნილმა ქერა კაცმა, — მახსოვს, ერთხელ პრუჩევიჩთან ვიყავით თავშეყრილნი. ჰოდა, მოულოდნელად დიდი მთავარი მაქსიმილიან პეტროვიჩი გვეწვია... რამდენი ვიცინეთ... ივან ვასილიევიჩ, პრუჩევიჩს ხომ იცნობთ? იმ სასაცილო ამბავს მერე მოგიყვებით.

— პრუჩევიჩს როგორ არ ვიცნობ, — უპასუხა ივან ვასილიევიჩმა. — დიდზე დიდი თაღლითია. საკუთარი და ცარიელ-ტარიელი დატოვა... დი-ახ.

ამ დროს კარი გაიღო და კიდევ ერთი კაცი შემოვიდა, გალერეის წვერთა რიგს რომ არ განეკუთვნებოდა, — სახელდობრ მიშა პანინი. მიშას სახეზე დავაცქერდი და გავიფიქრე: „ჰო, ნამდვილად შემოაკვდა...“

— ოჰ! დიდად ღირსეულო მიხაილ ალექსეევიჩი! — შესძახა ივან ვასილიევიჩმა და შემოსულისკენ ხელები გაიწოდა. — მობრძანდით, გეთაყვა, სავარძელზე დაბრძანდით. ნება მიბოძეთ გაგაცნოთ, — ახლა მე მომმართა ივან ვასილიევიჩმა, — ეს ჩვენი ძვირფასი მიხაილ ალექსეევიჩია. იგი ჩვენთან ფრიად მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს. ეს კი...

— სერგეი ლეონტიევიჩი გახლავთ! — მხიარულად ჩაურთო კნიაჟევიჩმა.

— დიახ, დიახ, ის გახლავთ!

სიტყვაც არ დაგვიძრავს, ერთმანეთს რომ ვიცნობდით, არც გაცნობაზე გვითქვამს უარი, და ერთმანეთს ხელი ჩამოყარეთ.

— აბა, დავიწყოთ! — გამოაცხადა ივან ვასილიევიჩმა და ძრწოლამ ამიტანა, როცა ყველამ თვალები მე მომაპყრო. — ვის სურს აზრის გამოთქმა? იპოლიტ პავლოვიჩ!

საოცრად წარმოსადგემა, დიდი გემოვნებით ჩაცმულმა კაცმა, ყორნისფერი ხუჭუჭი თმა რომ ჰქონდა, თვალზე მონოკლი მოირგო და მზერა მომაპყრო. მერე ნარზანი დაისხა, ერთი ჭიქა დალია, აბრეშუმის ცხვირსახოცით პირი

მოიწმინდა, შეყოყმანდა, კიდევ დავლიო თუ არაო, მეორე ჭიქაც დალია და ლაპარაკი მერეღა დაიწყო.

მას საუცხოო, რბილი, გაწაფული, დამაჯერებელი, გულში ჩამწვდომი ხმა ჰქონდა.

— თქვენი რომანი, ლე... სერგეი ლეონტიევიჩ? ხომ სწორედ ესაა? თქვენი რომანი ძალიან, ძალიან კარგია... თქვენ... ეე... როგორ ვთქვა, — ორატორმა დიდ მაგიდას ცერად გახედა, სადაც ნარზანის ბოთლები ეწყო. ერმოლაი ივანოვიჩი უმაღლეს მისკენ გაცუხცუხდა და ახალი ბოთლი მიართვა. — მიაღწიეთ ფსიქოლოგიურ სიღრმეს, არაჩვეულებრივი სიმართლითაა გამოკვეთილი პერსონაჟები... ეე... რაც შეეხება ბუნების აღწერას, თქვენ ამ მხრივ, მე ვიტყვოდი, თითქმის ტურგენევის გაუტოლდით! — ამ დროს ჭიქაში ნარზანი აშუმბუნდა, ორატორმა მესამე ჭიქა დალია და წარბის ერთი შეტოკებით მონოკლი თვალიდან გამოიგდო.

— ამგვარი აღწერა, — განაგრძო მან, — სამხრეთის ბუნებისა... ეე... ვარსკვლავიანი ცა, უკრაინული ღამეები... მოდუდუნე დნებრი... ეე... როგორც გოვოლი ამბობდა... ეე... საოცარი დნებრი, ალბათ გეხსომებათ... აკაციების სურნელი... ეს ყველაფერი ოსტატურად გაქვთ აღწერილი...

მე მიშა პანინს გადავხედე — იგი სავარძელში მოკრუნხულიყო, თვალები შემზარავად უელავდა.

— განსაკუთრებით... ეე... შთამბეჭდავია სურათი ჭალისა... ალვის ხეთა ვერცხლისფერი ფოთლები... ხომ გახსოვთ?

— აქამდე თვალწინ მიდგას დნებრზე გატარებული ღამის სურათები, როცა იმ მხარეში ვმგზავრობდით! — კონტრალტოთი თქვა სიასამურისბეწვიანმა ქალმა.

— მართლა, იმ მგზავრობისას გენერალ-გუბერნატორ დუკასოვს ძალზე პიკანტური ამბავი შეემთხვა, — ქალის კონტრალტოს ბანი ააყოლა ივან ვასილიევიჩის გვერდით მჯდარმა კაცმა და ჩაიციხა: — დუკასოვი არ გახსოვთ ივან ვასილიევიჩ?

— მახსოვს, საშინელი ღორმუცელა იყო! — უბასუხა ივან ვასილიევიჩმა. — მაგრამ ჯერ განაგრძეთ.

— თქვენს რომანზე... ეე... ეე... კომპლიმენტების გარდა ვერაფერს ვიტყვი... მაგრამ... მომიტევეთ... სცენას თავისი კანონები აქვს!

ივან ვასილიევიჩი მურაბას შეექცეოდა და იპოლიტ პავლოვიჩს უსმენდა. ეტყობოდა, მისი ნათქვამით ნასიამოვნები იყო.

— პიესაში ვერ შეძელით გადმოგვცათ თქვენი სამხრეთის, იმ მცხუნვარე ღამეების მთელი სურნელი. როლები ფსიქოლოგიურად დაუსრულებელია. ეს განსაკუთრებით ბახტინის როლს ემჩნევა... — თქვა ორატორმა და რატომღაც ძალზე განაწყენდა, ტუჩებიც კი ააფშუტუნა: — პფ... პფ... პფ... და მე... ეე... არ ვიცი, — ორატორმა მონოკლი რვეულს დაჰკრა და მე ჩემი პიესა ვიცანი, — ამის თამაში არ შეიძლება.. უკაცრავად, — დაასრულა უკვე საბოლოოდ განაწყენებულმა. — უკაცრავად!

ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ორატორი ჩემს თვალებში ალბათ ბრაზსა და განცვიფრებას ამოიკითხავდა.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩემს რომანში არც აკაციები იყო, არც ვერცხ-

ლისფერი ალვის ხეები, არც მოდუღუნე დნებრი, არც... მოკლედ, ამის მაგვარი არაფერი იყო.

..არ წაუკითხავა! ჩემი რომანი არ წაუკითხავს! — მიგუგუნებდა თავში, — მაგრამ თავს ნებას აძლევს, მასზე ილაპარაკოს. რაღაცის მიუხედავად უკრაინულ ლამეებზე... ერთი ვიცოდე, აქ რისთვის მომიყვანეს?!

— ვის სურს კიდევ, აზრი გამოთქვაა? — მხნედ იკითხა ივან ვასილიევიჩმა და ყველას თვალი მოაგლო.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა, აზრის გამოთქმა არავინ ისურვა. მხოლოდ კუთხიდან მოისმა ხმა:

— ოპო-პო...

იქით გავიხედე და კუთხეში მჯდარი ტანსრული, შავბლუზიანი ხნიერი კაცი დავინახე. მისმა სახემ ბუნდოვნად გამახსენა მისივე პორტრეტი... იგი ლმობიერად მიმზერდა. ხოლო სახე მოწყენილობას, დიდი ხნის მოწყენილობას გამოხატავდა. როცა შევხედე, თვალი ამარიდა.

— ფიოდორ ვლადიმეროვიჩ, რაზე გინდათ თქვათ? — მიმართა ივან ვასილიევიჩმა.

— არა, — უპასუხა მან.

სიჩუმემ უცნაური ხასიათი მიიღო.

— იქნებ თქვენ გსურთ, რაიმე ბრძანოთ? — მომიბრუნდა ივან ვასილიევიჩი.

თავადაც ვიცა, ჩემი ხმა არც მხნე იყო, არც მჟღერი და არც მკაფიო, როცა ვუპასუხე:

— როგორც მივხვდი, ჩემი პიესა არ გამოგადგათ და გთხოვთ, უკანვე დამიბრუნოთ.

ამ სიტყვებმა რატომღაც მღელვარება გამოიწვია. სავარძლები ამოძრავდა. ვილაც, ზურგს უკან რომ მეჭდა, გადმოიხარა და მითხრა:

— ამას რატომ ამბობთ? უკაცრავად!

ივან ვასილიევიჩმა ჯერ მურაბას დახედა და მერე ირგვლივ მყოფთ თვალი განცვიფრებით მოაგლო.

— ჰმ... ჰმ... — თქვა და თითები ააკაკუნა. — ჩვენ მეგობრულად გეუბნებით, თქვენი პიესა რომ ვითამაშოთ, უდიდეს ვნებას მოგაყენებთ! უსაზღვრო ვნებას! მეტადრე თუ თქვენს პიესას ფომა სტრიქო მოჰკიდებს ხელს. თავად სიცოცხლე მოგძულდებათ და ჩვენც დაგვწყევლით..

ერთხანს შევიცადე და მერე ვთქვი:

— მაშ გთხოვთ, პიესა დამიბრუნოთ.

ივან ვასილიევიჩის თვლებში ბრაზი ახლა კი აშკარად დავინახე.

— ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს დადებული, — გაისმა უცებ საიდანღაც და ექიმის ზურგიდან გავრილ სტეპანოვიჩმა გამოყო თავი.

— თქვენს თეატრს მისი დადგმა თუ არ უნდა, რისთვისღა გჭირდებათ?

ამ დროს ვილაცის სახე მომიახლოვდა, ძალზე ცოცხალი თვალები რომ ჰქონდა და პენსნე ეკეთა.

— ნუთუ ამ პიესას შლიბეს თეატრში მიიტანთ? — ჩამესმა მაღალი ტენორი. — იმათ რა უნდა ითამაშონ? სცენაზე ყოჩაღი ოფიცრები ივლიან და ეგ იქნება. ეს ვის რად უნდა?

— არსებულ კანონდებულებათა და განმარტებათა საფუძველზე ამ პი-

ესის შიტანა შლიპეს თეატრში არ შეიძლება, ჩვენთან ხელშეკრულება გაქვთ დადებული! — თქვა გავრილ სტეპანოვიჩმა და ექიმის ზურგს მოსცხლდა.

„რა ხდება აქ? ნეტა რა უნდათ?“ — გავიფიქრე და ჩემს სიკრულში პირველად ვიგრძენი საშინელი სულის ხუთვა.

— მომიტევეთ. — ვთქვი ყრუ ხმათ. — ვერაფერი გამიგნს. მინდა დადგმა არა გაურთ, თან იმასაც მეუბნებით, სხვა თეატრში არ შიიტანოთ. ვაშ რა ვქნა?

ჩემმა ნათქვამმა საოცარი ზემოქმედება მოახდინა. სიასამურისბეწვიანმა ქალმა და დივანზე მჯდარმა ბოხხმიანმა კაცმა ერთმანეთს შეურაცხყოფილებმა გადახედეს. მაგრამ ყველაზე უფრო შემზარავი სახე ივან ვასილიევიჩის ჰქონდა. ღიმილი ჩამოსცილდა და ბრაზით მოელვარე თვალები ჯიქურ დამაშტერა.

— ჩვენ გვსურს, საშინელი ვნებისგან გიხსნათ! — მითხრა ივან ვასილიევიჩმა. — გვინდა, თავიდან აგაკილოთ უეჭველი საფრთხე, რაც უთუოვ გემუქრებათ.

კვლავ ღუმილი ჩამოვარდა, ისეთი მტანჯველი ღუმილი, ატანა აღარ შეიძლებოდა.

ერთხანს სავარძლის გადასაკრავს თითით ვჩიჩქნიდი, მერე წამოვდექი და იქ მყოფთ თავი დავეუკარი. ივან ვასილიევიჩის გარდა ყველამ თავის დაკრით მიპასუხა. ის კი გაოცებული მიყურებდა კარისკენ გვერდულად წავედი, წაგბორძიკდი, ოთახიდან გავედი, ტოროპეცკაიას და ავგუსტა მენაჟრაკის თავი დავეუკარი და კიბისკენ გავემართე. ტოროპეცკაია ცალი თვალით „იზვესტიას“ ჩასცქეროდა. ცალით კი მე მიყურებდა, ხოლო მენაჟრაკიმ მკაცრად შემათვალაიერა.

თეატრი ბინდბუნდში ჩაძირულიყო. ჩაის ბუფეტში თეთრი ლაქები ჩანდა — მაგიდებს სპექტაკლის დაწყების წინ სუფრებს აფარებდნენ.

მაყურებელთა დარბაზის კარი ღია იყო. ორიოდე წამს შევეყოვნდი და შიგ შევიხედე. სცენა მთლიანად, მორეულ აგურას კედლამდე მოჩანდა. ზემოდან სუროთი მოწნულ მწვანე ფანჩატურს უშვებდნენ, მუშები თეთრ, მსხვილ სვეტებს ჭიანჭველებივით მისეოდნენ და უზარმაზარი გვერდითა კარიდან სცენაზე შემოჰქონდათ.

ერთი წუთის შემდეგ თეატრში აღარ ვიყავი.

ბომბარდოვს ტელეფონი არ ჰქონდა, ამიტომ იმავე საღამოს ასეთი შინაარსის დეპეშა გავუგზავნე:

„ქელებზე მოდით. უთქვენოდ შევიშლები. ვერაფერი გამიგია“.

ამ დეპეშის მიღებაზე ფოსტაში უარი მითხრეს. მხოლოდ იმის შემდეგ მიიღეს, როცა დავემუქრე, „სახომალდოს მაცნეში“ გიჩივლებთ-მეთქი.

მეორე დღეს, საღამო ხანს, მე და ბომბარდოვი გაშლილ სუფრას ვუსხედით. ჩემ მიერ ზემოთ ნახსენებმა ხელოსნის ცოლმა ბლინები შემოიტანა.

ბომბარდოვს მოეწონა ჩემი განზრახვა, ქელების გამართვას რომ ვაპირებდი, მოეწონა დალაგებულ-დასუფთავებული ოთახიც.

— ახლა დავმშვიდდი, — ვუთხარა სტუმარს, როცა შიმშილი ასე თუ ისე მოიკლა, — მხოლოდ ერთი რამ მინდა ვიცოდე, იქ რა მოხდა? უბრალოდ, ცნობისმოყვარეობა არ მასვენებს. ასეთი საკვირველი სანახაობა არასოდეს მიწახავს.

ბომბარდოვმა პასუხად ბლინები შეაქო, ოთახს თვალი მოავლო და მითხრა:

— სერგეი ლვონტიევიჩ, ცოლი უნდა შეირთოთ, ვინმე სიმპათიური, ხახი ქალი ანდა ქალიშვილი.

— ეს საუბარი გოგოლს უკვე აღწერილი აქვს. — ვუბასუხე, — ნულარ გავიმეორებთ. მითხარით, იქ რა მოხდა?

ბომბარდოვმა მხრები აიჩეჩა.

— განსაკუთრებული არაფერი, ივან ვასილიევიჩს თეატრის უხუცესებთან თათბირი ჰქონდა.

— ჰოო. ვინ იყო ის სიასამურისბეწვიანი ქალი?

— მარგარიტა პეტროვნა ტავრიჩესკაია, ჩვენი თეატრის მსახიობი, უხუცესთა ანუ დამფუძნებელთა ჯგუფის წევრი. ცნობილია იმით, რომ განსვენებულ ოსტროვსკის ათას რუბლს ოთხმოც წელს მისი თამაში უნახავს — ეს მარგარიტა პეტროვნას დებიუტი გახლდათ — და უთქვამს, ძალიან კარგიაო.

შემდეგ ჩემი მოსაუბრისგან შევიტყვე, რომ ოთახში თურმე მხოლოდ და მხოლოდ დამფუძნებელი იყვნენ. ჩემი პიესის გამო თათბირზე საგანგებოდ რომ მოეწვიათ. დრიკინი კი წინა დღესვე გაუფრთხილებიათ. მასაც ცხენი კარბოლმყავით დაუბანია და ეტლიც კარბოლმყავითვე საგულდაგულოდ გაურეცხავს.

ბომბარდოვს ვკითხე, ვინ არის ის ააცი, დიდი მთავრის — მაქსიმილიან პეტროვიჩის და ლორმუცელა გენერალ-გუბერნატორის ამბებზე რომ ჰყვებოდა-მეთქი. მითხრა, დამფუძნებელთაგან ყველაზე ახალგაზრდა არისო.

უნდა ითქვას, რომ ბომბარდოვის პასუხებს აშკარა თავშეკავებისა და სიფრთხილის კვალი აჩნდა. ეს რომ შევამჩნაე, შევეცადე, ჩემი სტუმრისთვის შეკითხვებით ისე შემეტია, არა მარტო ფორმალური და მშრალი პასუხები მიმეღო, მაგავსად ამისა: „დაიბადა ამა და ამ დროს, მისი სახელი და მამის სახელია ესა და ეს“, არამედ მათი ერთგვარი დახასიათებაც როგორმე დამეცდენინებინა. იმ დღეს დირექციის ოთახში თავმოყრილი ხალხი უაღრესად მაინტერესებდა. ვიმედოვნებდი, რომ ეს დახასიათებანი შემადლებინებდა მივმხვდარიყავ, ისე რატომ მომეჩვენენ იმ იდუმალებით მოცულ სხდომაზე.

— მაშ იმ გორნოსტაევი, გენერალ-გუბერნატორს თავს რა გადახდა იმის მოყოლას რომ აპირებდა, კარგი მსახიობია? — ვკითხე ბომბარდოვს და ღვიწო დავუსხი.

— უჰუ. — მიპასუხა ბომბარდოვმა.

— არა, „უჰუ“ არ კმარა. აი, მაგალითად, მარგარიტა პეტროვნაზე ცნობილია, რომ ოსტროვსკის უთქვამს, ძალიან კარგიაო. ამით ააცი რაღაცას კიდევ გაიგებს, მაგრამ მაგ „უჰუთი“ რა გავიგო! იქნებ გორნოსტაევმა თავი რამით გამოიჩინა?

ბომბარდოვმა ქვეშ-ქვეშ მტყორცნა დაძაბული მზერა და რაღაც ჩაიღუღლულა...

— რა ვიცი, აბა, რა გითხრათ? ჰმ, ჰმ... — ჭიქა გამოცალა და მერე თქვა: — აი, ამას წინათ გორნოსტაევმა ყველა უსაზღვროდ განაცვიფრა, ისეთი სასწაულებრივი რამ გადახდა... — ახლა ბლინს ერბოს მოსხურება დაუწყო და იმდენ ხანს ასხურებდა, რომ შევეძახე:

— თუ ღმერთი გწამთ, ნუ აჭიანურებთ!

— ნაფარეული მშვენიერი ღვიწოა, — მაინც ჩაურთო ბომბარდოვმა ჩემი მოთმინების გამოსაცდელად და მერე განაგრძო: — ეს ამბავი ოთხი წლის წინ

მოხდა, ადრე გაზაფხულზე. მახსოვს, გერასიმ ნიკოლაევიჩი რატომღაც ძალზე მხიარული და აღზნებული გახლდათ, თითქოს წერამ აიტანა რაღაც გეგმებს აწყობდა, სადღაც მიისწრაფოდა, გაჯეილდა კიდევ. უნდა გითხრათ, რომ თეატრი ძალიან უყვარს. მახსოვს, მაშინ სულ ამას ამბობდა: „უცხოეთის თეატრალურ ცხოვრებას უფრო ვაპირებ ვიდრე სახლვარგარეთ ყოველ წელს დავდიოდი, ყველაფერი ვიცოდი, რაც გერმანიისა თუ საფრანგეთის თეატრებში ხდებოდა! საფრანგეთი რა სათქმელია, წარმოიდგინეთ, ამერიკასაც კი მოვინახულებდი ხოლმე მათი თეატრების მიღწევების შესასწავლად... ეტყოდნენ, თქვენც ადექით, განცხადება შეიტანეთ და გაემგზავრეთო... გერასიმ ნიკოლაევიჩი კი უწყინრად ჩაიღიმებდა და უპასუხებდა: — არაფრის დიდებით, ახლა ისეთი დრო არ არის, რომ განცხადება შევიტანო! ვანა თავს იმის ნებას მივცემ, სახელმწიფომ ჩემი გულისთვის ძვირფასი ვალუტა დახარჯოს? უკეთესი იქნება, ვინმე ინჟინერი ან სამეურნეო მუშაკი გაემგზავროსო.“

აი, რა გულისხმიერი კაცია! ჰოდა... (ბომბარდოვმა ჭიქას ნათურის შუქზე გახედა და ღვინო ერთხელ კიდევ შეაქო.) ჰოდა, ერთმა თვემ გაიარა, უკვე ნამდვილი გაზაფხული დადგა და უბედურებაც მაშინ დატრიალდა. ერთხელ გერასიმ ნიკოლაევიჩი ავგუსტა ავდეევნას კაბინეტში შევიდა. ერთხანს მდუმარედ იჯდა. ავგუსტა ავდეევნამ შეათვალიერა. ხედავს, კაცა ადამიანის სახე აღარა აქვს, მიტკლისფერი ადევს, თვლებში ნაღველი ჩასწოლია. ჰკითხა: — გერასიმ ნიკოლაევიჩ, რა დავმართიათო? — არაფერი, — უპასუხა გორნოსტაევიჩმა, — ყურადღებას ნუ მომაქცევთო... მერე ფანჯარასთან მივიდა, მინაზე თითები ააკაკუნა და რაღაც ძალზე სევდიანი და საოცრად ნაცნობი ჰანგის სტვენა დაიწყო. ავგუსტა ავდეევნამ ყური მიუგდო. გერასიმ ნიკოლაევიჩი თურმე შოპენის სამგლოვიარო მარშს უსტვენდა. ავგუსტა ავდეევნა კაცობრიობაზე წუხილმა აიტანა, გულმა ველარ გაუძლო და ჩააცვივდა: — რა მოხდა? რა დავმართათო?

გერასიმ ნიკოლაევიჩი მისკენ შემობრუნდა, ნაძალადევად ჩაიციხა და უთხრა: — დაიფიცეთ, რომ არავის ეტყვითო! იმანაც, რაღა თქმა უნდა, უმაღლე დაიფიცა. გერასიმ ნიკოლაევიჩმა კი თქვა: — ახლახან ექიმთან ვიყავი და მითხრა, ფილტვის სარკომა გაქვსო, — შეტრიალდა და გავიდა.

— ჰო, ცუდი ამბავია... — ვთქვი ხმადაბლა და ხასიათი მთლად წამიხდა.

— რა თქმა უნდა! — დამიღესტურა ბომბარდოვმა. — ავგუსტა ავდეევნამ დაუყოვნებლივ გავრილ სტეპანოვიჩი დააფიცა და ეს ამბავი უთხრა, იმან იპოლიტ ივანოვიჩს გააგებინა, იპოლიტ ივანოვიჩმა თავის ცოლს უთხრა, იმისმა ცოლმა კი ევლამპია პეტროვნას; მოკლედ რომ მოგახსენოთ, ორი საათიც არ იყო გასული და თერძების საამქროშიც კი დაირხა ხმა, გერასიმ ნიკოლაევიჩის შემოქმედება დასრულდა, გვირგვინის შეკვეთა თუნდაც ახლავე შეიძლებათ. სამი საათის შემდეგ ჩაის ბუფეტში მსახიობები უკვე იმაზე მსჯელობდნენ, გერასიმ ნიკოლაევიჩის როლებს ვის გადასცემენო.

ავგუსტა ავდეევნა ამასობაში ტელეფონით ივან ვასილიევიჩს ელაპარაკა. ზუსტად სამი დღის შემდეგ ავგუსტა ავდეევნამ გერასიმ ნიკოლაევიჩს დაურეკა და უთხრა, ახლავე თქვენთან მოვალო. მართლაც მივიდა. გერასიმ ნიკოლაევიჩს ჩინური ხალათი ეცვა და ღივანზე იწვა, სახეზე მკვდრისფერი ედო, მაგრამ თავი ამაყად და მშვიდად ეჭირა.

ავგუსტა ავდევენა საქმიანი ქალია, არც აცია, არც აცხელა, წითელი წიგნაკი და ქვითარი მაგიდაზე დაუწყო.

გერასიმ ნიკოლაევიჩი შეკრთა.

— ცუდი ხალხი ხართ. მე ხომ ეს არ მინდოდა! უცხო მხარეში სიკვდილს რა აზრი აქვს? — უთხრა ავგუსტა ავდევენას.

ავგუსტა ავდევენა გულმაგარი ქალია, ჭეშმარიტი მდივანი გახლავთ! მომაკვდავის ნათქვამი ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა.

— ფადეი! — დაიძახა მან.

ფადეი გერასიმ ნიკოლაევიჩის ერთგული მსახურია.

იგი უმალვე იქ გაჩნდა.

— მატარებელი ორი საათის შემდეგ გადის. გერასიმ ნიკოლაევიჩს პლედო, თეთრეული, ჩემოდანი, ნესესერი გაუმზადეთ. მანქანა ორმოცი წუთის შემდეგ აქ იქნება.

სასიკვდილოდ განწირულმა მხოლოდ ამოიოხრა და ხელი ჩაიქნია.

სადღაც შვეიცარიის საზღვართან თუ შვეიცარიის საზღვრის იქით, მოკლედ ალპებში... — ბომბარდოვმა შუბლი მოისრისა, — ერთი სიტყვით, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ პროფესორ კლის მაღალმთიანი კლინიკა აქვს მოწყობილი ზღვის დონიდან სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე. იქ მხოლოდ სასიკვდილოდ განწირულები მიდიან. ან მოვრჩებით, ან მოვკვდებით, უარესი რა მოგვივა, ხან კი სასწაულიც ხდებაო. ღია აივანზე, რომელიც დათოვლილ მწვერვალებს გაჰყურებს, პროფესორი კლი ასეთ უიმედო ავადმყოფებს აწვენს თურმე, რაღაც სარკომატინს უშხაპუნებს, ჟანგბადს ასუნთქებინებს და ზოგჯერ ახერხებს, მომაკვდავს სიცოცხლე ერთი წლით გაუხანგრძლივოს.

ორმოცდაათი წუთის შემდეგ გერასიმ ნიკოლაევიჩი მისი სურვილით თეატრთან ჩაატარეს. დემიან კუზმიჩი მერე ჰყვებოდა, დავინახე, ხელი როგორ ადაპყრო და თეატრი დალოცაო. ამის შემდეგ მანქანა ბელორუსია-ბალტიის ვაგზლისკენ გაემართა.

მერე ზაფხულმა მოაწია და ხმა გავრცელდა, გერასიმ ნიკოლაევიჩი გარდაიცვალაო. ილაპარაკეს, ივიშიშეს... მაგრამ ზაფხული იყო... მსახობები უკვე გზას ადგნენ, გასტროლები იწყებოდა... ისე რომ, მაინცდამაინც ძალიან არ დამწუხრებულან... ელოდნენ, გერასიმ ნიკოლაევიჩის ცხედარს მალე ჩამოასვენებენო... ამასობაში მსახობები წავიდ-წამოვიდნენ, სეზონი დამთავრდა. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი პლისოვი...

— სიმპათიური, ულვაშიანი კაცი? — ვკითხე მე. — გალერეაში რომ არის?

— სწორედ ის გახლავთ. — დამიდასტურა ბომბარდოვმა და განაგრძო: — ჰოდა, პლისოვი პარიზში მივლინებით ვაგზავნეს თეატრის მანქანათა შესასწავლად. საბუთები, ბატონი ბრძანდებით, დაუყოვნებლივ მიიღო და გაემგზავრა. უნდა მოგახსენოთ, რომ პლისოვი საოცრად გამრჩე კაცია და თავის საბრუნ წრეზე ჭეშმარიტად შეყვარებული. ყველას ძალიან შეუურდა. პარიზში წასვლა ვიღას არ უნდა... ყველა შენატროდა, ბედნიერი კაციაო! ბედნიერი იყო თუ არ იყო, საბუთები კი აიღო და პარიზის გზას გაუდგა სწორედ მაშინ, როცა ამბავი მოიტანეს, გერასიმ ნიკოლაევიჩი გარდაიცვალაო. პლისოვი თავისებური კაცია. პარიზში მთელი მივლინება ისე გაატარა, ეიფელის კოშკიც

კი არ უნახავს. ენთუზიასტია. ერთთავად სცენას ქვეშ ტრიუმებში რჯდა. შე-
ისწავლა, რაც ევალეობდა, ფარნები იყიდა, ყველაფერი წესიერად შეასრულა.
ბოლოს გამომგზავრების დროც დაუდგა. მაშინ გადაწყვიტა, ქალაქში გავივლი,
სამშობლოში წამოსვლის წინ პარიზს თვალს ერთხელ მაინც შევხედო. მხევე-
რი იხეტიალა, ავტობუსებით იმგზავრა, ასავალ-დასავალს უმეტესად მშობლ-
ზმუილით იგებდა. ეშმაკმა უწყის, ბოლოს თავი სად ამოყო. თანაც საშინლად
მოშივდა. იფიქრა, მოდი, რესტორანში შევალ და წავიხემსებო. განათებული
ფანჯრები დაინახა. მიხვდა, სადღაც ცენტრიდან შორს იყო. გულში გაივლო,
როგორც ეტყობა, აქ სიძვირე არ იქნებაო. შევიდა. რესტორანი მართლაც
საშუალო ყაიდისა გამოდგა. იქაურობას თვალი მოავლო და ერთ ადგილას
გაშეშდა.

რას ხედავს: განსვენებული გერასიმ ნიკოლაევიჩი სუფრას უზის. სმო-
კინგშია გამოწყობილი, დილ-კილოში ყვავილი გაუბნევია, თანაც გვერდით
ორი ფრანგი ქალი მოუსვამს. ქალები აიცილით იჭაჭებიან, სული ველარ მოუტ-
ქვამთ. ხოლო სუფრაზე ყინულიან ვაზაში ჩაცივებული შამპანურის ბოთლი და
რაღაც ხილი მოჩანს.

პლისოვი კართან წაბარბაცდა კიდევ. გაიფიქრა, შეუძლებელია, ალბათ მო-
მეჩვენაო. შეუძლებელია, გერასიმ ნიკოლაევიჩი აქ იჯდეს და ხარხარებდეს.
ის მხოლოდ ერთ ადგილს უნდა იყოს, ნოვო-დევიჩის სასაფლაოზეო!

იღვა და თვალეზდაჭყეტილი შესცქეროდა იმ კაცს, განსვენებულ გორნოს-
ტაევს ასე საოცრად რომ ჰგავდა. ის კი წამოდგა, თანაც სახეზე თავდაპირვე-
ლად თითქოს შეშფოთება გამოეხატა. პლისოვს ისიც მოეჩვენა, ჩემმა გამოჩე-
ნამ თითქოს კიდევაც გაანაწყენაო, მაგრამ მერე გამოირკვა, რომ გერასიმ ნი-
კოლაევიჩი უბრალოდ განცვიფრებულა. გერასიმ ნიკოლაევიჩმა (ის კაცი ნამ-
დვილად გერასიმ ნიკოლაევიჩი გახლდათ) ფრანგ ქალებს რაღაც ჩასჩურჩულა
და ისინიც უცებ გაქრნენ.

პლისოვი გონს მაშინლა მოეგო, როცა გერასიმ ნიკოლაევიჩმა გადაკოცნა.
უმალვე ყველაფერი განოირკვა. პლისოვი გერასიმ ნიკოლაევიჩს უსმენდა და
მხოლოდ ამას გაიძახოდა, რას შეუბნებო. მართლაც სასწაული მომხდარიყო.

გერასიმ ნიკოლაევიჩი ალბებში მიუყვანიათ, მაგრამ ისეთ დღეში ყოფი-
ლა, კლის მხოლოდ თავი გადაუქნევია და — ეპო! — უთქვამს. ჰოდა, გერასიმ
ნიკოლაევიჩი აივანზე დაუწვევიათ, ის პრეპარატი შეუშხაპუნებიათ, ყანგბა-
დის ბალიშით უსუნთქებიათ. თავდაპირველად ავადმყოფი უარესად შექმნი-
ლა, თანაც ისე უარესად, რომ კლის თურმე, როგორც შემდეგ გერასიმ ნი-
კოლაევიჩს გაუმხილეს. უაღრესად უსიამოვნო ვარაუდი გამოუთქვამს. ზე-
ლამდე ვერ გაძლებსო, რადგანაც ავადმყოფს გულმა უმტყუნა.

მაგრამ ზვალინდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. შეშხაპუნება გაუმე-
ორეს. ზეგინდელი დღე უკეთესად გასრულდა. შემდეგ კი მართლა დაუჭერე-
ბელი ამბავი მოხდა. გერასიმ ნიკოლაევიჩი ტახტზე წამოჯდა, მერე თქვა, მოდი,
გავივლიო. ასისტენტები რაღა სათქმელია, თვით კლიმაც თურმე თვალეზი დაჭ-
ყიტა. მოკლედ რომ მოგახსენოთ, ერთმა დღემაც გაიარა და გერასიმ ნიკო-
ლაევიჩი უკვე აივანზე დასეირნობდა, სახე გაუვარდისფერდა, მალა მოუვიდა...
ტემპერატურა 36,8 ჰქონდა, პულსი ნორმალური გაუხდა, ტკივილები უკვა-
ლოდ გაუქრა.

გერასიმ ნიკოლაევიჩი ჰყვებოდა. აბლომახლო სოფლებიდან ხალხი ჩემს

სანახავად ამოდიოდაო. ქალაქებიდან ექიმები ჩამოდიოდნენო, კლიმ მოხსენებები წაიკითხა, გაჰყვიროდა, ასეთი შემთხვევა ათას წელიწადში ერთხელ ხდებაო. სამედიცინო ჟურნალებში გერასიმ ნიკოლაევიჩის სურათის დაბეჭდვას აპირებდნენ, მაგრამ მან ცივი უარი თქვა, აურზაურე არ უნდა ვიყო!

ამასობაში კლიმ გერასიმ ნიკოლაევიჩს უთხრა, ვუბნებო, ალარ გესაქიროება და პარიზში გაგგზავნი, რათა დაისვენო და გადატანილი შიში დაივიწყო. ასე და ამგვარად აღმოჩნდა გერასიმ ნიკოლაევიჩი პარიზში. ხოლო ფრანგი ქალები, — განმარტა გერასიმ ნიკოლაევიჩმა, — აქაური, პარიზელი ახალგაზრდა დამწყები ექიმები არიან, ჩემზე სტატიის დაწერას აპირებენო.

აი, რა ამბავი გადახდა გორნოსტაევს.

— ეს მართლა განსაცვიფრებელია! — ვთქვი მე. — მაინც ვერ გამივია, იმ უბედურებას როგორ გადაურჩა!

— სასწაული სწორედ ეს გახლავთ, — მიპასუხა ბომბარდოვმა, — თურმე პირველივე შეშხაპუნების შედეგად გერასიმ ნიკოლაევიჩის სარკომამ გაწოვა დაიწყო და მერე მთლიანად გაქრა!

მე ტაში შემოვკარ.

— რას ამბობთ! — შევეძახე ფიცხად. — ასეთი რამ ხომ არასოდეს ხდება!

— ათას წელიწადში ერთხელ ხდება, — მიპასუხა ბომბარდოვმა და განაგრძო: — მაგრამ მოიცათ, ჯერ არ დამიმთავრებია. გერასიმ ნიკოლაევიჩი შემოდგომაზე დაბრუნდა ახალ კოსტიუმში გამოწყობილი, მოკეთებული, მზემოკიდებული — პარიზელ ექიმებს პარიზში ყოფნის მერე ახლა ოკეანის სანაპიროზე გაეგზავნათ. ჩაის ბუფეტში ჩვენები გერასიმ ნიკოლაევიჩს კიანჭველებით გარს ეხვივნენ და მის ნაამბობს ისმენდნენ ოკეანეზე, პარიზზე, ალპური საავადმყოფოს ექიმებზე და ასე შემდეგ. სეზონა ჩვეულებრივად მიდიოდა, გერასიმ ნიკოლაევიჩი თამაშობდა და რიგიანადაც თამაშობდა, ასე გაგრძელდა მარტამდე... მარტში კი გერასიმ ნიკოლაევიჩი „ლენდი მაკბეტის“ რეპეტიციასზე ერთ დღეა ჯოხით მოვიდა. ჰკითხეს, რა დაგემართაო? გერასიმ ნიკოლაევიჩმა უპასუხა, არაფერი, წელში რატომღაც მჩხვლეტსო. იფიქრეს, მერე რა მოხდა, თუ ჩხვლეტს, თანდათან გაუვლისო. მაგრამ არ გაუარა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო უძლიერდებოდა... ლურჯმა სხივებმაც ვერაფერი უშველა... უძილობა დასჩემდა, ზურგზე ვერ წვებოდა. თვალდათვალ დნებოდა. პანტაპონის გაკეთება დაუწყეს, არაფერი უშველა! ექიმთან მივიდა, რალა თქმა უნდა, და წარმოიდგინეთ...

ბომბარდოვმა ერთხანს იყუჩა და მერე ისეთნაირად შემომხედა, რომ ვამბურძგლა.

— ჰოდა, წარმოიდგინეთ... ექიმმა გასინჯა, მუცელი დაუზილა და თვალები აახამხამა... გერასიმ ნიკოლაევიჩმა უთხრა: — ექიმო, ნუ აჭიანურებთ, ქალი ხომ არა ვარ... ჩემს თავს რალა არ ყოფილა... მათხარით, ისა მჭირსო? დიახ, ის სჭირდა!! — ამოიხრიალა ბომბარდოვმა და კიქა სულმოუთქმელად გამოცალა. — სარკომა განუახლდა! მარჯვენა თირკმელზე გადასვლოდა და ღრღნიდა! ცხადია, სენსაცია! რეპეტიციებისთვის ვილას სცხელოდა, გერასიმ ნიკოლაევიჩი შინ გაისტუმრეს. ამჯერად საქმე უფრო იოლად მოგვარდა. ახლა იმედი მაინც იყო. კვლავ სამ დღეში გაუმზადეს პასპორტი, ბილეთი და ალპებში, კლისთან გაამგზავრეს. კლი გერასიმ ნიკოლაევიჩს, როგორც ახლობელს, ისე შეეგება. მაშ რა იქნებოდა! გერასიმ ნიკოლაევიჩის სარკომამ პროფესორს

მთელ მსოფლიოში რეკლამის მაგივრობა გაუწია! იგი კვლავ აივანზე დააწვი-
ნეს, პრეპარატი კვლავ შეუშხაპუნეს და იგივე ამბავი განმეორდა! ერთი დღის
შემდეგ ავადმყოფს ტკივილი მიუყუჩდა, ორი დღის შემდეგ აივანზე დასეირ-
ნობდა. სამი დღის მერე კლის სთხოვა — ხომ შეიძლება, ჩოგბურთი ვითამა-
შოო! საავადმყოფოში რა ხდებოდა, ენა ვერ აღწერს. ავადმყოფები კლისკენ
ეშელონებად დაიძრნენ! როგორც გერასიმ ნიკოლაევიჩი ჰყვებოდა, საავადმ-
ყოფოს გვერდით მეორე კორპუსის მიშენება დაიწყეს. კლი თავდაპირველი
უცხოელია, მაგრამ გერასიმ ნიკოლაევიჩს მოეხვია, სამგზის გადაკოცნა და,
როგორც წესია, დასასვენებლად გაგზავნა, ოღონდ ამჯერად ჯერ ნიცაში, შემ-
დეგ პარიზში და ბოლოს სიცილიაში.

ჰოდა, გერასიმ ნიკოლაევიჩი კვლავ შემოდგომაზე ჩამოვიდა. ჩვენ სწო-
რედ იმ დროს დაებრუნდით დონბასიდან, სადაც გასტროლებს გეჰქონდა.
ჩამოვიდა გახალისებული, მხნე, ჯანმრთელი, ოღონდ სხვა კოსტიუმი ეცვა, გა-
სულ შემოდგომაზე — შოკოლადისფერი, ახლა კი — ნაცრისფერი, წვრილუჯ-
რედებიანი. სამ დღეს ჰყვებოდა სიცილიის ამბებს და იმას, მონტე-კარლოში
ბურჟუები რულეტს როგორ თამაშობენ. ამბობდა, საძაგელი სანახავიაო.

ახალი სეზონი დაიწყო და კვლავ იგივე ამბავი განმეორდა. მაგრამ ტკი-
ვილებმა ახლა სხვა ადგილას შეუტია. რეციდივმა თავი იჩინა, ოღონდ ახლა
მარცხენა მუხლის ქვემოთ.

ისევ კლი, მერე მადეირა, ბოლოს პარიზი.

თუმცა ახლა სარკომის შემოტევას მღელვარება თათქმის აღარ გამოუწვე-
ვია. ყველასთვის აშკარა შეიქნა, რომ კლიმ გადარჩენის ხერხს მიაგნო. გამო-
ირკვა, რომ შეშხაპუნებათა ზეგავლენით სარკომის ძალა ყოველწლიურად მცირ-
დებოდა. კლის ახლა თურმე იმედი აქვს, დარწმუნებულიც კი არის, სამი-
ოთხი სეზონიც და გერასიმ ნიკოლაევიჩის ორგანიზმი სარკომას თავად გაუშ-
კლავდება და ამა თუ იმ ადგილას შემოტევას დაძლევისო. მართლაც, შარშან-
წინ მხოლოდ მსუბუქმა ტკივილებმა იჩინა თავი ჰაიმორის ღრუში და კლის-
თან ჩასვლისთანავე გაქრა. მაგრამ ახლა გერასიმ ნიკოლაევიჩს მკაცრად, ვა-
მუდმებით მეთვალყურეობენ და, ტკივილები დაეწყება თუ არ დაეწყება, აპ-
რილში მაინც გზავნიან ალპებში.

— სასწაულია! — ვთქვი და რატომღაც ამოვიოხრე.

ამასობაში ჩვენი ნადიმი, როგორც იტყვიან, თანდათან გაჩაღდა. ნაფა-
რეულმა გონება დაგვიბინდა, საუბარი უფრო ცოცხლად და, რაც მთავარია,
უფრო გულახდილად განვაგრძეთ. ბომბარდოვს ვუყურებდი და გულში ვამ-
ბობდი: ძალიან საინტერესო, დაკვირვებელი, ენამწარე კაცი ხარ და ძალიანაც
მომწონხარ, მაგრამ თეატრში ყოფნამ, გატყობ, ეშმაკი და გულჩახვეული გაგ-
ხადა-მეთქი.

— ასეთი ნუ იქნებით! — უცებ ვთხოვე ჩემს სტუმარს. — მითხარით...
რა დაგიმალათ და... ძალიან მაშძიმს... ნუთუ ჩემი პიესა ასე ცუდია?

— თქვენი პიესა, — მითხრა ბომბარდოვმა, — კარგი პიესაა. მორჩა და
გათავდა.

— მაშ რატომ მოხდა ის უცნაურა, საშინელი ამბავი იმ კაბინეტში? პი-
ესა არ მოეწონათ?

— არა, — მითხრა ბომბარდოვმა მტკიცედ, — პირიქით. ყველაფერი სწო-
რედ იმიტომ მოხდა, რომ მოეწონათ, თანაც ძალიან მოეწონათ.

ვ. მარქსის ს.ს. სსრკ-ის
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
განკარგებულია

— კი მაგრამ, იპოლიტ პავლოვიჩმა...

— პიესა ყველაზე მეტად სწორედ იპოლიტ პავლოვიჩს მოეწონა, — წყნარად, მაგრამ მკაფიოდ და დამაჯერებლად წარმოთქვა ბომბარდოვმა და მომეჩვენა, თითქოს თვალებში თანაგრძობის ნაპერწკალები გეტყუებოდა.

— ლამის კკუიდან შევიშალო... — ჩავატრჩხვლე — შექმნილია

— არა, რატომ უნდა შევიშალოთ... უბრალოდ, არც იცით, თეატრი რა არის. ამქვეყნად ბევრი რთული მანქანაა, მაგრამ თეატრი ყველაზე რთულია...

— მითხარით! მითხარით! — შევძახე და თავზე ხელები ვიტაცე.

— პიესა ისე ძალიან მოეწონათ, რომ ერთი ალიაქოთი ატყდა, — დაიწყო ბომბარდოვმა, — ჰოდა, ყველაფერი ამის გამო მოხდა. როგორც კი პიესას გაეცნენ და უხუცესებმა მისი არსებობა შეიტყვეს, უმაღვე როლების სავარაუდო განაწილებაც კი დაიწყეს. ბახტინის როლზე იპოლიტ პავლოვიჩი დანიშნეს. პეტროვის როლის მიცემას ვალენტინ კონრადოვიჩისთვის აპირებდნენ.

— რომელი... ვალ... ეს ის არის, ვინც...

— დიახ... ის გახლავთ.

— უკაცრავად, მაგრამ! — კი არ დავიყვირე, დავიღრიალე მე. — ის ხომ...

— დიახ, დიახ... — ჩაილაპარაკა ბომბარდოვმა. უმაღვე ხვდებოდა, რის თქმა მინდოდა, — იპოლიტ პავლოვიჩი სამოცდაერთი წლისაა, ვალენტინ კონრადოვიჩი სამოცდაორისა... თქვენი გმირებიდან ყველაზე უფროსი, ბახტინი. რამდენი წლისაა?

— ოცდარგისა!

— ასე. ასე. ჰოდა, როგორც კი უხუცესებს პიესის ცალები დაუგზავნეს, ისეთი ამბავი ატყდა, ვერ აგიწერთ. ასეთი რამ ჩვენი თეატრის არსებობის მთელი ორმოცდაათი წლის მანძილზე არ მომხდარა. ყველანი განაწყენდნენ.

— ვისზე? როლების გამანაწილებელზე?

— არა. ავტორზე.

მეტი რა დამრჩენოდა, თვალები უნდა დამეჭყიტა და დავჭყიტე კიდევ ბომბარდოვი კი განაგრძობდა:

— დიახ, ავტორზე. — უხუცესთა ჯგუფი ამდაგვარად მსჯელობდა: ჩვენ დავუძებთ, როლები გვენატრება, ჩვენ, დამფუძნებლები, მთელ ჩვენს ოსტატობას თანამედროვე პიესაში სიხარულით გამოვავლენთ... მაგრამ... ნურას უკაცრავად! მოდის ვიღაც ნაცრისფერკოსტიუმიანი და მოაქვს პიესა, სადაც აქტუეები მოქმედებენ! მაშ ამ პიესის თამაშს ჩვენ ვერ შევძლებთ?! რაო, ჩვენს გასამასხარებლად ხომ არ მოიტანა?! დამფუძნებელთა შორის ყველაზე უმცროსი გერასიმ ნიკოლაევიჩი ხომ ორმოცდაჩვიდმეტი წლისაა.

— მე არც მაქვს პრეტენზია, რომ ჩემს პიესას დამფუძნებლები თამაშობდნენ! — შევბღავლე მე. — დაე, ახალგაზრდებმა ითამაშონ!

— რა კარგი ვინმე ხართ! — შესძახა ბომბარდოვმა და მრისხანედ შემომხედა. — მაშასადამე, დაე, არგუნინი, გალინი, ელაგინი, ბლაგოსვეტლოვი, სტრენკოვსკი გამოდიოდნენ სცენაზე, მაყურებელს თავს უკრავდნენ — შეხედეთ, ხალხო და ჯამაათო, რა საყუცხოოდ ვთამაშობთო! ბრავო! ბის! ვაშა! —

გაისმოდეს. დამფუძნებლებმა რაღა ქნან? მაშასადამე, დაბნეულები უნდა ისინი და ილიმებოდნენ — მაშასადამე, ისინი საჭირონი აღარ არიან? მაშასადამე, უკვე დროა, დავრდომილთა თავშესაფარს მიაშურონ? ხი, ხი, ხი! ბარაქალა! ბარაქალა!

— ყველაფერი გასაგებია! — შევეცადე, მეც მრისხანედ მიყუჩებოდა — ყველაფერი გასაგებია!

— აქ გაუგებარი რა უნდა იყოს! — მომიჭრა ბომბარდოვმა. — ივან ვასილიევიჩმა ხომ გითხრათ, საცოლუ დედად გადააკეთეთო. მაშინ ან მარგარიტა პავლოვნა ითამაშებდა ან ნასტასია ივანოვნა...

— ნასტასია ივანოვნა?!

— თქვენ თეატრისა არაფერი გაგეგებათ, — შეურაცხყოფელი ღიმილით მითხრა ბომბარდოვმა, ეს კი აღარ უთქვამს, შეურაცხყოფა რით დავიმსახურე.

— მხოლოდ ეს მითხარით, — ფიცხად წამოვიწყე, — ანას როლზე ვინ უნდა დაენიშნათ?

— რაღა თქმა უნდა, ლიუდმილა სილვესტროვნა პრიახინა.

ახლა კი მართლა გავცოფდი.

— რაო? რა თქვით? ლიუდმილა სილვესტროვნა?! — სკამიდან წამოვხტე. — ვის დასცინით?

— რა იყო, რა მოხდა? — მხიარულად, ცნობისმოყვარედ მკითხა ბომბარდოვმა.

— ის ქალი რამდენი წლისაა?

— აი, ეს კი, მომიტევეთ, არავინ უწყის.

— ანა ცხრამეტი წლისაა! ცხრამეტისა! ვესმით თუ არა? მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის. მთავარი ის არის, რომ მას თამაში არ შეუძლია!

— ანას თამაში?

— ანასი კი არა, საერთოდ, არაფრის თამაში არ შეუძლია!

— ნება მიბოძეთ...

— არა, ნება თქვენ მიბოძეთ! მსახიობი, ვინც ცდილობდა, დაჩაგრული და დამცირებული ადამიანის ტირილი გაეთამაშა, და ისე გაითამაშა, კატა გადარია და ფარდა ჩამოაფხრეწინა, ვერაფრის თამაშს ვერ შეძლებს.

— ის კატა ყეყეჩია, — მითხრა ბომბარდოვმა. თან ჩემი გაშმაგებით ტკბებოდა, — გულზე ქონი აქვს მოდებული, მიოკარდიტი და ნევრასთენია სჭირს. ის ხომ მთელი დღეები ლოგინზე გორაობს, ხალხს თვალით ვერ ხედავს, ჰოდა, ცხადია, შეეშინდა.

— კარგი, გეთანხმებით, კატა ნევრასთენიკია! — ავყვირდი მე. — მაგრამ უტყუარი ალლო აქვს და ის სცენა მშვენივრად გაიგო. სიყალბე იგრძნო! ხომ ვესმით, ამაზრზენი სიყალბე. ჰოდა, გადაირია! მაინც რას ნიშნავდა მთელი ეს ტაქიმასხარაობა?..

— იაღლიში მოხდა, — განმიმარტა ბომბარდოვმა.

— რას ნიშნავს ეს სიტყვა?

— ჩვენ იაღლიშს ვეძახით ყოველნაირ არეულობას, რაც სცენაზე მოხდება. მსახიობს უცებ ტექსტი შეეშლება, ან ფარდას უდროოდ დროს ჩამოუშვებენ, ანდა...

— გავიგე, გავიგე...

— ამ შემთხვევაში იაღლიში ორს მოუვიდა — ავგუსტა ავდევენას და

ნასტასია ივანოვნას. პირველმა, როცა ივან ვასილიევიჩთან გაგზავნათ, ნასტასია ივანოვნა არ გააფრთხილა, თქვენ რომ უნდა მისულიყავით, მეორემ კი, სანამ ლიუდმილა სილვესტროვნას ივან ვასილიევიჩთან შეუშვებდა, არ შეამოწმა. ვინმე იყო თუ არა მასთან. თუმცა, რა თქმა უნდა, ავგუსტა ველდენა ნაკლებად არის დამნაშავე — ნასტასია ივანოვნა მაღაზიაში ჩვენი წასვლას სოკოს საყიდლად...

— გასაგებია, გასაგებია, — ვამბობდი და თან ვცდილობდი, მეფისტოფელივით გადამეხარხარა, — ყველაფერი სრულიად გასაგებია! ეს კი ნაღია, რომ თქვენს ლიუდმილა სილვესტროვნას თამაში არ შეუძლია.

— მომიტევეთ! მოსკოველები ამტკიცებენ, თავის დროზე კარგად თამაშობდნენ...

— ტყუიან ევ თქვენი მოსკოველები! — შევეყვირე მე. — ლიუდმილა სილვესტროვნა ცდილობს, ტირილა და მწუხარება გამოსახოს, თვალეში კი სიანჩხლე უელავს! ცეკვა-ცეკვით შემოდის და ყვირის: — ნაგვიანევი ზაფხულიაო! თვალეში კი მოუსვენრად აცეცებს! ისე იცინის, მსმენელს ტანში ჟრუანტელი დაუვლის, თითქოს ზურგში ნარზანი ჩაასხესო! ლიუდმილა სილვესტროვნა მსახიობი არ არის!

— კი მაგრამ... ლიუდმილა სილვესტროვნა უკვე ოცდაათი წელია, რაც სწავლობს ივან ვასილიევიჩის სახელგანთქმულ თეორიას გარდასახვის შესახებ...

— არ ვიცნობ მაგ თეორიას! ლიუდმილა სილვესტროვნას მაგ თეორიამ, მე მგონი, ვერ უშველა.

— იქნებ ისიც მითხრათ, არც ივან ვასილიევიჩია მსახიობიო?

— ოჰ, არა! არა! როცა მაჩვენა, ბახტინმა ხანჯალი მკერდში როგორ ჩაიცა, ლამის შევეყვირე, მკვდარივით ისე გაეყინა მზერა! დივანზე რომ გაიშლართა, მეგონა, მართლა ხანჯლით განგმირული გვამი იდო ჩემ წინ. ამ მოკლე სცენის მიხედვით მსჯელობა თუ შეიძლება — მსჯელობა კი შეიძლება, ისევე, როგორც დიდი მომღერლის ცნობა შეიძლება, თუნდაც ერთხელ წაიმღეროს — იგი სცენის უდიდესი მოვლენაა! მაგრამ იმას კი ვერაფრის დიდებით ვერ მივმხვდარვარ, პიესის შინაარსზე რას ამბობს?!

— რასაც ამბობს, ბრძნულად ამბობს.

— ხანჯალი!!

— გაიგეთ, როგორც კი დაჯექით და რვეული გადაშალეთ, იმან თქვენს მოსმენას თავი ანება. დიახ, დიახ. იმაზე ფიქრობდა, როლები როგორ გაენაწილებინა, დამფუძნებელთათვის რა ადგილი მიეჩინა, საქმე როგორ მოეგვარებინა, რომ მათ თქვენი პიესის თამაშით არ ეზარალათ... თქვენ კი რაღაც სროლის ამბავს უკითხავდით. ათი წელია, ჩვენს თეატრში ვმსახურობ და, როგორც მითხრეს, სროლა ჩვენს სცენაზე მხოლოდ ერთხელ, ათას ცხრაას პირველ წელს ყოფილა და ისიც მარცხით დამთავრებულა. იმის პიესაში... ველარ გამიხსენებია... ცნობილი ავტორია... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს... მოკლედ, ორი ნერვებაშლილი გმირი მემკვიდრეობის გამო ერთმანეთს წაეკიდა, იქამდე ლანძღეს და თათხეს ერთიმეორე, სანამ ერთმა მეორეს რევოლვერი არ დაახალა, თუმცა ააცდინა... სანამ უბრალო რეპეტიციები მიდიოდა, თანაშემწე სროლის ნაცვლად ტაშს შემოჰკრავდა ხოლმე, გენერალურ რეპეტიციაზე კი კულისებს უკან მართლა ისროლეს. პოდა, ნასტასია ივანოვნას ვული შეულონ-

და — თავის სიცოცხლეში სროლის ხმა არ გაეგონა, ხოლო ლიუდმილა სილვესტროვნას ისტერიკა დაემართა. ამის შემდეგ სროლას თავი ჩვენს პიესაში ცვლილება შეიტანეს. გმირი კი აღარ ისროდა, მეტოქეს საწინააღმდეგო უღერებდა და უყვიროდა: — მოვკლავ. შე არამზადაო! თანაც ვეძებ — ვეძებ ნებდა. ივან ვასილიევიჩის აზრით პიესამ ამით მხოლოდ მოიჭრა! სილვესტროვნის საშინლად განაწყენდა და დირექტორებს სამი წლის მანძილზე ხმას აღარ სცემდა, მაგრამ ივან ვასილიევიჩმა მაინც თავისი გაიტანა...

თრობის დამე რაც უფრო ალეოდა, სიფიცხეც მინელდებოდა და ბომბარდოვს ისე ხმამაღლა აღარ ვედავებოდი, უფრო მეტად ვეკითხებოდი. დამარბლებული წითელი ხიზილალისა და ორბაგულასგან პირში ცეცხლი გვეკიდა და წყურვილს ჩაის სმით ვიკლავდით. კვამლბ რძისფერი ნისლივით ჩამოწოლილიყო, გამორბებული სარკმლიდან ცივი ჰაული ატრებოდა, მაგრამ ოთახს მხოლოდ ყინავდა, ჰაერს კი მაინცდამაინც არ ასუფთავებდა.

— გამაგებინეთ, ერთი ეს გამაგებინეთ, — ვთხოვდი ბომბარდოვს ყრუ, მისუსტებული ხმით, — თუ პიესა ვერ გამოუყენებიათ, მაშ რატომღა არ უნდათ, სხვა თეატრში მივიტანო? რაღად სჭირდებათ? რილასთვის?

— კარგი ამბავია! როგორ თუ რილასთვის? ჩვენ თეატრს ძალიან გაუხარდება, ხომ იცით, გვერდით ახალი პიესა დაიდგას, თანაც ისეთი, რომელსაც, შესაძლოა, წარმატება ექნეს! ვითომ რატომო? ხელშეკრულებაში ხომ ჩაწერეთ. პიესას სხვა თეატრში არ მივიტანო?

უმალვე თვალწინ ამითამაშდა უამრავი წარწერა: „ავტორს უფლება არა აქვს“, უცნაური სიტყვა „უკეთუ“... და პარაგრაფთა ეშმაკური გამოსახულებანი, გამახსენდა კაბინეტის ტყავგადაკრული კედელი და მომეჩვენა, რომ სუნამოს სურნელება ვიგრძენი.

— წყეულიმც იყოს! — ამოვიხრიალე მე.

— ვინ?

— წყეულიმც იყოს! გავრილ სტეპანოვიჩი!

— არწივია! — შესძახა ბომბარდოვმა და თვალები წამოენთო.

— თანაც რა წყნარი კაცია, ერთთავად სულზე ლაპარაკობს!..

— შეცდომია, ბოდვია, უაზრობა, დაკვირვების უნარის უჭონლობა! —

გაძყვიროდა ბომბარდოვი, თვალები უელავდა, პირში ანთებული პაპიროსი ეჭირა და კვამლი ნესტოებიდან გამოსდიოდა. — არწივია, კონდორი. კლდეზეა ჩამომჯდარი და ირგვლივ ორმოც კილომეტრზე ყველაფერს ხედავს. როგორც კი რაიმე წერტილი გამოჩნდება სადმე და შეირხევა, ცაში აიტრება და უეცრად ქვასავით დაეჭანება მიწისკენ! საბრალობელი ყვირილი, ხავილა გაისმის... ის კი მსხვერპლს აიტაცებს და კვლავ ზეცისკენ აიტრება.

— პოეტი ყოფილხართ, ეშმაკსაც წაუღიხართ! — ვხრიალებდი მე.

— თქვენ კი, — ოდნავ ჩაიღიმა და ჩურჩულით მითხრა ბომბარდოვმა: — ავი კაცი ხართ! ეპ. სერგეი ლეონტიევიჩ, უნდა გიწინასწარმეტყველოთ, რომ ვასაჭირი მოგელით...

მისმა ნათქვამმა გული მატყინა. ჩემი თავა ავი კაცი სრულიადაც არ მეგონა, მაგრამ უმალვე გამახსენდა, ლიკოსპასტოვმა რომ მითხრა, მგელივით მიუყურებო.

— მაშასადამე, — ვთქვი მოქნარებით, — მაშასადამე, ჩემი პიესა არ დაიდგება? მაშ ყველაფერი წყალში ჩაიყარა?

ბომბარდოვი დაკვირვებით დამაკვირდა და, მისგან რომ არ მოველოდი, ასე აბილაღ მითხრა:

— სასიკეთოს არაფერს უნდა ელოდეთ, ვერ მოგატყუებთ, პიესა არ დაგწავს... თუ რამე სასწაული არ მოხდა... ერჩენული

ფანჯრის მიღმა დამე ილეოდა, შემოდგომის უღიბლო, ხისკანი ალიონი ახლოვდებოდა. თუმცა მაგიდაზე ნასუფრალი ეყარა, ლამბაქებზე კი პაპიროსის ნამწვი ზვინებად იდგა, ალბათ უკანასკნელმა ტალღამ ერთხელაც ამიტაცა და ამ არეულ-დარეულობაში ოქროს ცხენზე მონოლოგის წარმოთქმა დავიწყე.

მინდოდა, ჩემი მსმენელისთვის ამეწერა, როგორ ბრწყინავს და ნაპერწკლებს ისვრის ცხენის ოქროსფერი. გავა, როგორ სუნთქავს სცენა, სიცივესა და სურნელებას როგორ აფრქვევს, დარბაზს საცილი როგორ ჩაურბენს... მაგრამ მთავარი ეს არ იყო. აზარტში შესულმა ლამბაქი დავამსხვრეე და ბომბარდოვს მგზნებარედ დავუწყე მტკიცება, ცხენს თვალი მოვკარ თუ არა, სცენა უმაღვე შევიცან და მის ყოველ უმცირეს საიდუმლოსაც კი ჩავწვდი-მეთქი. ვეუბნებოდი, დიდი ხნის წინათ, იქნებ ჯერ კიდევ ბავშვობაში, იქნებ ჯერ კიდევ მაშინ, როცა დაბადებულიც არ ვიყავი, უკვე ვოცნებობდი, რომ სცენას ვეზიარებოდი და მასზე ბუნდოვანი სევდა მეუფლებოდა. პოდა, ახლა მოვედი-მეთქი.

— მე ახალი კაცი ვარ! — ვყვიროდი აღტკინებით. — ახალი კაცი ვარ! უეჭველად უნდა მოვსულიყავ და მოვედი კიდევ!

ამ დროს აღგზნებულ ტვინში რაღაც გორგოლაქი გადამიტრიალდა, იქიდან დიუდმილა სილვესტროვნა გამოხტა, აწივლდა და მაქმანიანი ცხვირსახოცის ქნევას მოჰყვა.

— იმ ქალს თამაში არ შეუძლია! — გააფთრებით ავხრიალდი.

— მომიტევეთ!.. ასე როგორ იქნება...

— გთხოვთ, არ შემედავოთ, — შევუტიე ბომბარდოვს. — თქვენ მიჩვეულნი ბრძანდებით, მე კი ახალი კაცი ვარ და თვალი უფრო მიჭრის! იმ ქალს სულის ძირამდე ვჭვრეტ...

— კი მაგრამ...

— ვერავითარი თე...თეორია იმას ვერ უშველის! იქ ერთი ტანმორჩილი ცხვირპაჭუა კაცია, მოხლეს თამაშობს, თეთრი ხელები და ჩახლეწილი ხმა აქვს... აი, იმ კაცს თეორია არ სჭირდება. არც იმას, მკვლელს რომ თამაშობს, შევხელთათმანიანს... არც იმას სჭირდება თეორია!

— ის არგუნინია... — ყრუდ შემომესმა კვამლის ფარდის იქიდან.

— არ არსებობს არავითარი თეორია! — გავყვიროდი და კბილებსაც კი ვაკრაქუნებდი. საკუთარი თავის რწმენა საბოლოოდ დამეუფლა და ამ დროს სრულიად მოულოდნელად დავინახე, ნაცრისფერ პიჯაკზე ქონის ლაქა გამდობნოდა და ზედ ხახვის ნათალიც მიმკვროდა. დაბნეულმა მიმოვიხედე. ლამის კვალიც აღარ დარჩენილიყო. ბომბარდოვმა ლამბა ჩააქრო და დღის ბინდბუნდში ყოველი საგნის სიმახინჯე გამოიკვეთა.

დამე შთაინთქა, გაუჩინარდა.

იღუმალის სასაზღვროდგომი

უკონსუმი



ადამიანის მეხსიერება საოცრად არის მოწყობილი. თითქმის ყველაფერი ახლახან იყო, ამბავთა მწყობრი თანმიმდევრობის აღდგენას კი ვერა და ვერ ახერხებ. ჯაჭვს რგოლები ამოსცვივნიან! რაღაცას იხსენებ, თვალწინ ცოცხლად წარმოგიდგება, სხვა ყველაფერი კი დაფშვნილა, დაფანტულა, მხოლოდ ჩენჩო და კიდევ რაღაც წვიმა ჩაგრჩენია მეხსიერებაში. ჰო, ჩენჩო თუმცა არის, მაგრამ წვიმა? წვიმა? იმ ღამით თრობის შემდეგ, მაშასადამე, ნოემბერი დადგა. რა თქმა უნდა. უკვე თოვლნარევი წვიმა მოდიოდა. მოსკოვს ალბათ იცნობთ? მაშ მისი აღწერა საჭირო აღარ არის. მეტიმეტად უსიამოა ქუჩაში ყოფნი ნოემბერში. არც დაწესებულებებში ყოფნაა მაინცდამაინც დიდად საამო. მაგრამ ამას კიდევ რა უშავს. როცა შინ ყოფნაც აღარ გეხალისება. ამაზე უარესი არაფერია. იქნებ მიბრძანოთ, ტანსაცმლიდან ლაქა რით უნდა ამოიყვანო? ასეც ვცადე და ისეც, იმითაც და ამითაც. საკვირველი ამბავია: მაგალითად, ბენზინით დაასველებ და შედეგიც დიდებულია — ლაქა ილევია, ილევია და ქრება. კაცი ბედნიერი ხარ, რადგან იმაზე მტანჯველი არაფერია, დალაქავებული ტანსაცმელი რომ გაცვია. თვალში გეჩხირება, გუნებას გიფუჭებს, ნერვებს გიშლის. პიჯაკს ლურსმანზე ჩამოკიდებ, დილით ადგები, ლაქა კი ისევ იქ არის, თავის ადგილზე, და ოდნავ უდის ბენზინის სუნი. არ შველის არც მღუღარე წყალი, არც ჩაის ნაყენი, არც ოდეკოლონი. რა ჯანდაბაა! იბოღმები, ბრაზით კანკალებ, მაგრამ ვერაფერს გახდები. არა, როგორც ჩანს, თუ ტანსაცმელს დაილაქავებ, დალაქავებული იელი მანამდე, სანამ ამ კოსტიუმს არ გაცვეთ და არ გადააგდებ. ახლა ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია, მაგრამ სხვებს ვუსურვებ, ტანსაცმელი რაც შეიძლება ნაკლებად დაილაქაონ.

მაშ ასე, ლაქის ამოყვანას ვცდილობდი, ვერ კი ამოვიყვანე. მერე, მახსოვს, ფეხსაცმელებზე ზონრები წარამარა მიწყდებოდა. მახველებდა, „მაკუნეში“ ყოველდღე დავდიოდი, ნესტი და უძილობა მტანჯავდა და რაც ხელში მომხვდებოდა, იმას ვკითხულობდი. თანაც იმხანად ირგვლივ აღარავინ მყავდა. ლიკოსპასტოვი რატომღაც კავკასიაში გაემგზავრა, ჩემი მეგობარი, ვისაც რევოლვერი მოვპარე, სამუშაოდ ლენინგრადში გადაიყვანეს, ხოლო ბომბარდოვს თირკმლების ანთება დაეწყო და საავადმყოფოში დააწვინეს. ხანდახან მის სახახავად დავდიოდი, მაგრამ ავადმყოფს, რა თქმა უნდა, თეატრზე ლაპარაკისთვის არა სცხელოდა. ამასაც თავი რომ გავანებოთ, „შავი თოვლის“ გამო რიც გამამხდა, იმის შემდეგ ამ თემაზე ლაპარაკის ჩამოგდება, იცოდა, მაინც არ ივარგებდა. ხოლო თირკმლებზე საუბარი შეიძლებოდა, რადგან სწეული რაღაცით მაინც შეიძლება ანუგეშო. ამიტომ თირკმლებზე ვლაპარაკობდით, ხუმრობით კლიც კი ვახსენეთ, მაგრამ ნაღველი მაინც ვერ გავიქარვეთ.

ბომბარდოვს დავინახავდი თუ არა, თეატრი მაინც მახსენდებოდა, მაგრამ თავს ძალას ვატანდი და არაფერს ვეკითხებოდი. გულში დავიფიცე, თეატრზე საერთოდ არ მეფიქრა, თუმცა, ცხადია, ამ ფიცს აზრი არა ჰქონდა. ფიქრს ვერ აიკრძალავ. მაგრამ იმის აკრძალვა კი შეიძლებოდა, რომ თეატრზე არაფერი მეკითხა. ჰოდა, მეც ეს ავიკრძალე.

თეატრი კი, თითქოს მოკვდაო, თავს არაფრით მახსენებდა. იქიდან ამ-

მაგი სულ აღარ მომდიოდა. ხალხს, ვიმეორებ, ჩამოვცალიდი / ბუკინისტურ მა-
ლაჩიებში დავდიოდი, დროდადრო ჩავცუცქდებოდი და სიბნელეში დამტვერილ
ქურნალებს ვათვალისწინებდი. მახსოვს, საუცხოო სურათი, ვნახე... ტრიუმფა-
ლური თაღი...

ამასობაში წვიმები შეწყდა და მოულოდნელად წინვამ მოტყირა. ჩემს
მანსარდის ფიჩარა ქოხლმა მოხატა. ფანჯარასთან ვიჯექი, აბაზიანს ვაორთქ-
ლებდი და მინის მოკირსხლულ ზედაპირზე ვაბეჭდავდი. მივხვდი, რომ პიესის
დაწყება უაზრობაა. თუკ არ დაიდგმება.

მაგრამ ქვემოდას საღამომობით ერთი და იგივე ვალსი მოისმოდა (ეტყობს
ვიდაც ვარჯიშობდა) და ვალსის ხმაზე კოლოფში საკმაოდ უცნაური სურათებ
ჩნდებოდა. მაგალითად, შეჩვენებოდა, რომ ქვემოთ ოპიუმის მწვევლებს ბუ-
ნავი იყო და თანდათან ხორცს იხხამდა სურათი, გულში თამამად „მესამე მო-
მედებს“ რომ ვეძახდი, ივალწინ მედგა მოშავო-მოიისფრო კვამლი, ასიმეტ-
რიული სახის მქონე ქალი, ვიდაც კვამლით მოწამლული ფრაკიანი კაცი; ფრა-
კიანს პირყვითილი, ვიწროი ვალები კაცი ებარებოდა, ბასრი ფინური დანა მო-
ემარჯვებინა, დანას ჩასკვამდა და სისხლი ღვარად წამოვიდოდა. ბოდიშაა, რომ
ვორც ხედავთ! სისულელე! ან სად მიიტან ისეთ პიესას, სადაც ამგვარი მესამე
მოქმედებაა?

ეს მოხაგონი არც ჩამიწერია, საკითხავია და, რა თქმა უნდა, პირველ ყოფ-
ლისა, თვითონვე ვეკითხებოდი საკუთარ თავს: — ის კაცი, ვინც მანსარდაში
თავი ჩამიწყვდია, ვისაც ასეთი დიდი მარცხი შეემთხვა და თანაც მელანქოლი-
კია (ეს კი თავადაც კარგად ვიცი, ოუნდაც სხვამ არ მოხრას), თავის მოკვლას
რატომ აღარ შეეცადა?

პირდაპირ ვალიარებ: პირველი ცდის შემდეგ ამ ძალმომრეობის აქტის მო-
მართ ურთევარი ზიზღით განვიმსჯელებდი. მაგრამ კვშმარიტი მიზეზი, რასაკვირ-
ველია, ეს არ გახლავთ ყველაფერს თავისი დრო და გამო აქვს. თუმცა ამ თემას
ძალიან ხუ ჩაუღრმავდებით.

ვარე სამყაროს კი მოლიახად მაინც ვერ გავეთიშე, იგი თავს მახსენებდა
იმიტომ, რომ მაშინ, როცა გავრილ სტეპანოვიჩისგან ხან ორმოცდაათ, ხანათ
ას მანეთს ვღებულობდი, სამი თეატრალური ქურნალი და „საღამოს მოსკოვი“
გამოვიწერე.

ამ ქურნალთა ნომრები ასე თუ ასე წესიერად მომდიოდა. პოდა, როცა
თეატრალურ სიანლეთა განყოფილებას ვათვალისწინებდი, დროდადრო ჩემს
ხაცხობთა შესახებ ცნობებს წავაწყდებოდი ნოლმე.

მაგალითად, თხუთმეტ დეკემბერს წავიკითხე:
„ცნობილ“ მწერალი იზმაილ ალექსანდროვიჩ ბონდარევსკი ამთავრებლ
პიესა „მონმარტრულ დანებს“. პიესაში ემოკრანტთა ყოფაა ასახული. ამბო-
ბენ, ავტორმა პიესა „ძველ თეატრს“ უნდა წარუდგინოსო“.

ჩვიდმეტში გაზეთი გადავშალე და შემდეგ ცნობას წავაწყდი:
„ცნობილი მწერალი ე. ავაბიონოვი გამალებით მუშაობს კომედია „ქვის
ღზე“. რომელსაც „ერთსულლოვანთა კობორტის თეატრის“ დაკვეთით წერს.

ოცდაორში დაბეჭდილი გახლდათ:
„დრამატურგმა კლინკერმა ჩვენს იანამშრომელთა საუბარში განაცხადა
რომ წერს პიესას, რომლის წარდგენასაც „დამოუკიდებელ თეატრში“ აპი-
რებს. ალბერტ ალბერტოვიჩი ვაოწყებს, რომ მისი პიესა წარმოადგენს სამი

ამ ყოფაში შიილია იანვარი. მხოლოდ ერთი სიზმარი დამამახსოვრდა ცხადად, ოცი იანვრის ღამეს რომ ვნახე.

მესიზმრა სასახლის უზარმაზარი დარბაზი. ვითომ ამ დარბაზში მივაბიჯებდი. შანდლენში ოქროსფერი მსხვილ-მსხვილი სანთლები ჩრჩოლავდა. უცნაურად მეცვა, ფეხებზე ტრიკო მქონდა შემოტმასნული. თითქოს ჩვენი საუკუნე კი არა, წეტხუთმეტე საუკუნე იყო. დარბაზში მივბიჯებდი და სარტყელზე ხანჯალი მეკიდა. მაგრამ სიზმრის მთელი ეშნი ის კი არ გახლდათ, რომ მართლა მბრძანებელი ვიყავი, არამედ ეს ხანჯალი რომ მეკიდა, რისაც კარებთან მდგომ კარისკაცებს აშკარად ეშინოდათ. კაცს ღვინო ვერ დაათრობს ისე, როგორც ამ ხანჯლის ხილვა მათრობდა და მეც ღიმილით, არა, სიცილით, კარისკენ უხმაუროდ მივდიოდი.

სიზმარი ასეთი წარმტაცი იყო, გამოღვიძების მერეც ერთხანს კიდევ ვიცინოდი.

ამ დროს კარზე მომიკაკუნეს. საბანი მოვიხურე და კარისკენ დახეული ფეხსაცმელების ფლასტუნით წავედი. მეზობელმა ქალმა კარის კრილში ხელი შემოყო და კონვერტი მომაწოდა, კონვერტზე საამოდ ბრწყინავდა ოქროსფერი ასოები — „დმ“.

კონვერტი გავხიე. აი, ახლაც ასე არიბად გახეული მიდევს წინ (თან უნდა გავიყოლო!). კონვერტშიც ოქროსფერი გოთური ასოებით დამშვენებული ფურცელი იდო და ზედ ფომა სტრიჟის ხელით მსხვილად ეწერა:

„ძვირფასო სერგეი ლეონტიევიჩ!“

დაუყოვნებლივ მობრძანდით თეატრში. ხვალ დღის 12 საათზე „შავი თოლის“ რეპეტიციას ვიწყებ.

თქვენი ფ. სტრიჟი“.

ღვიძანზე ჩამოვჯექი. შეცბუნებული ვიღიებოდი, ფურცელს შეშლილივით დავყურებდი და ხანჯალზე ვფიქრობდი, მერე შიშველ მუხლებზე დავიხედე და რატომღაც ლიუდმილა სილვესტროვნა გამახსენდა.

ამ დროს კარზე მბრძანებლურად და მხიარულად მომიკაკუნეს.

— მობრძანდით, — გავქახე მე.

ოთახში ბომბარდოვი შემოვიდა. ფერმკრთალი, ლოყებჩაცვივნილი სტუმარი თითქოს გამაღლებული მეჩვენა. ნაავადმყოფარს ხმაც შეცვლოდა.

— ეკვე იცით? განზრახ შემოგიარეთ, — მითხრა მან.

წამოვდექი აავეე შიშველი და ჩამოძონძილი, ძველი საბანი ავიტრიე, ბომბარდოვთან მივედი და გადავკოცნე. ფურცელი ხელიდან გამივარდა.

— ეს რანაირად მოხდა? — ვკითხე სტუმარს და იატაკისკენ დავიხარე.

— თავადაც ვერ მივმხვდარვარ, — მიპასუხა ძვირფასმა სტუმარმა, — ვერაინ ვერც მიხვდება და ვერც შეიტყობს ვერასოდეს. მე მგონი, პანინმა და სტრიჟმა მოაგვარეს. მაგრამ რანაირად მოაგვარეს — ვერ გეტყვით, რადგან ეს ადამიანის შესაძლებლობას აღემატება. მოკლედ, სასწაულია.



ჩალითიანი ელექტროსადენი ნაცრისფერი, წვრილი გველვით გაწოლილიყო მთელი პარტერის გაყოლებაზე. ეს სადენი აბჟუტებდა ნათურას პარტერის შუა გასასვლელში მდგარ პატარა მაგიდაზე. ნათურა ხუსტად იმდენ სინათლეს ჰფენდა, მაგიდაზე დაწყობილი სამეღნისა და ერთი ფურცელი ქაღალდის განათებას რომ ჰყოფნიდა. ფურცელზე ცხვირპატუა კაცის თავი იყო დახატული, გვერდით ახლად გაფცქვნილი ფორთოხლის კანი ეგდო. იქვე იდო პაპიროსის ნამწვებით სავსე საფერფლე. წყლით სავსე გრაფინი მჭრქალად ირეკლავდა შუქს, რადგან განათების არეში არ იდგა.

პარტერში ისე ბნელოდა, სინათლიდან შეძოსულნი ხელის ცეცებით მოდიოდნენ და სანამ სიბნელეს თვალს შეაჩვევდნენ, სავარძელთა საზურგეებს ექიდებოდნენ.

სცენა ღია იყო და მოძრავი სოფიტი ზემოდან სუსტად ანათებდა. სცენაზე დარბაზისკენ ზურგშექცევით აეყუდებინათ რაღაც კედელი, რომელზეც ეწერა „მგლები და ცხვრები — 2“. იდგა სავარძელი, საწერი მაგიდა და ორი ტაბურეტი; სავარძელზე მჯდარ მუშას გვერდზე საკანძმარალი ხალათი და პიჯაკი ეცვა, ხოლო ერთ-ერთ ტაბურეტზე პიჯაკიანი და შარვლიანი ახალგაზრდა კაცი იჯდა, ოღონდ წელზე შემოჭერილ ქამარზე გიორგის ჯვრის ლენტიათი ხმალი ჩამოეკიდა.

დარბაზში ჰაერი შეხუთულიყო, გარეთ, რა ხანია, მაისის სიცხე იდგა.

რეპეტიციაზე ანტრაქტი დაიწყო და მსახიობები ბუფეტში სასაუზმოდ გავიდნენ. მე კი დავრჩი. ბოლო თვეების ამბებმა თავისი კვალი დამამჩნია, თითქოს უცემიათო, ისე ვიყავ მისავათებული, სულ მინდოდა, გაუნძრევლად ვმჯდარიყავ და ვმჯდარიყავ. თუმცა ამგვარ უხალისობას არცთუ იშვიათად ნერვული ენერგიის მოზღავება ენაცვლებოდა; როცა მოძრაობა, დავა, ლაპარაკი, კამათი მეწადა. ახლა პირველ მდგომარეობაში გახლდით. ნათურის ქვეშ შედედებულ კვამლს თალფაქი იწოვდა და მერე სადღაც ზემოთ მიაქანებდა.

ჩემი აზრები მხოლოდ და მხოლოდ პიესის ირგვლივ ტრიალებდა. იმ დღიდან, რაც ფომა სტრიქმა სანუკვარი წვრილი გამომიგზავნა, ჩემი ცხოვრება სრულიად შეიცვალა. თითქოს ხელახლა დავიბადე, თითქოს ჩემი ოთახიც კი შეიცვალა, თუმცა იგივე კი დარჩა; ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანებიც თითქოს შეიცვალნენ და ქალაქ მოსკოვში არსებობის უფლება უცებ მოვიპოვე, ჩემმა ცხოვრებამ არამარტო აზრი, მნიშვნელობაც კი შეიძინა.

მაგრამ ჩემი ფიქრები მხოლოდ ერთ რამეს მისჯატვოდა, მხოლოდ პიესა მახსოვდა. მთელ დროს იგი დაეუფლა, სიზმრებსაც კი. ხან მესიზმრებოდა, რომ პიესა უკვე დაედგათ. ისეთ დეკორაციებს ვხედავდი, ქვეყნად რომ არ ნახულა. ხანაც მესიზმრებოდა, თითქოს რეპერტუარიდან მოეხსნათ; ხან ჩაფლავდებოდა, ხანაც დიდი წარმატება ჰქონდა. როცა წარმატება ჰქონდა, დაბრილ ხარაჩოებზე თამაშობდნენ. მსახიობები ზედ მებათქაშეებივით შეფენილიყვნენ, ხელში ფარნები ეჭირათ და მალიმალ სიმღერას შემოსძახებდნენ ხოლმე. ავტორიც რატომღაც იქვე იყო და დაფუტუროებულ ხარიხებზე ისევე იოლად მიმოდინოდა, როგორც ბუზი კედელზე დადის. ხოლო ქვემოთ ცაცხვები და ვამ-

ლის ხეება ჩანდა, რადგან სპექტაკლი აქრიაშულელებული ხალხით სავსე ბაღში ტარდებოდა.

პიესის ჩაფლავებისას უფრო ხშირად ასეთი რამ მესიზმრებოდა — გენერალურ რეპეტიციაზე მიმავალ ავტორს შარვლის ჩაცმა ავიწყდებოდა. თავდაპირველად ქუჩაში დარცხვენილი მიაბიჯებდა იმ იმეტიზმის ხსენების გავსებლად, ვერაფერს შემაძინოსო. ისიც კი ჰქონდა მოფიქრებული, გამვლელებთან თავი როგორ ემართლებინა — იტყოდა, აბაზანა ახლახან მივიღე, ხოლო შარვალი კულისებში დამრჩაო. მაგრამ რაც უფრო შორს მიდიოდა, უარეს და უარეს დღეში იყო. საბოლოო ავტორი ტროტუარს ეკვროდა, გაზეთების დამტარებელს დაეძებდა და ვერ პოულობდა, პალტოს ყიდვა უნდოდა, ფული კი არ ჰქონდა, სადარბაზოში იმალებოდა და გრძნობდა, რომ გენერალურ რეპეტიციას ვეღარ მიუსწრებდა...

— ვანია! — მოისმოდა სცენიდან სუსტი ძახილი. — ყვითელი ჩართე.

თარუსის განაპირა ლოჯიაში, სცენის პორტალის კუთხესთან, რაღაც აინთებოდა, ლოჯიიდან შუქი ირიბად ჩამოეშვებოდა და ძაბრივით გაიშლებოდა, სცენის იატაკზე ყვითელი, მრგვალი ლაქა გაბრწყინდებოდა, აქეთ-იქით დაცოცავდა, ხან სავარძელს დასწვდებოდა, რომელსაც გაცვეთილი გადასაკრავი და ვარაყაყვიფნული სახელურები ჰქონდა, ხანაც თმააბურძგნულ ბუტაფორს შემოერკალავდა, ხელში ხის კანდელაბრი რომ ეჭირა.

ანტრაქტი დასასრულს უახლოვდებოდა და სცენაზეც მოძრაობა თანდათან მატულობდა. მალე, სცენის თაღქვეშ რიგ-რიგად ჩამოკიდებული, უამრავი ტილო უცებ ცოცხლდებოდა. ერთი ზემოთ ასრიალდებოდა და უმაღ ათას-სანთლიანი, თვალისმომჭრელი ლამპების რიგი გაშიშვლდებოდა. მეორე, პირიქით, რატომღაც ქვემოთ ჩამოეშვებოდა, მაგრამ იატაკამდე სანამ ჩამოაღწევდა, სცენიდან გაცურდებოდა. კულისებში შუქი ჩრდილები ჩნდებოდა, ყვითელი შუქი უკან იხევდა და ლოჯიაში შესხლტებოდა. სადღაც ჩაქუჩებს აკაკუნებდნენ. გამოჩნდებოდა კაცი, სამოქალაქო შარვალი რომ ეცვა, მაგრამ დეზები ეკეთა და ამ დეზების წკარუნით სცენაზე ჩაივლიდა. მერე ვიღაც სცენის იატაკისკენ დაიხრებოდა, ხელებს პირზე მოიფარებდა და იატაკს ჩასძახებდა:

— გნობინო! ჩართე!

მაშინვე ყველაფერი, რაც კი სცენაზე იყო, თითქმის უხმაუროდ დაიძვრებოდა სცენიდან და გვერდზე გასრიალდებოდა. ბუტაფორი ადგილს მოსწყდებოდა და კანდელაბრთან ერთად თვალს მიეფარებოდა, გაცურდებოდა სავარძელი და მაგიდა. აძრულ წრეზე ვიღაცა მოძრაობის საპირისპიროდ შემოირბენდა, წონასწორობის დასაცავად აცეკვდებოდა, თავს შეიმაგრებდა და წრეს გაპყვებოდა. გუგუნის გაძლიერდებოდა, კულისებიდან ხის უცნაური, რთული ნაგებობა გამოემართებოდა და სცენიდან გასული მოწყობილობის ადგილს დაიკავებდა. ეს ნაგებობა შეუღებავი აჩონჩხალი კიბეებისა, ხარიხებისა და ფიცარნაგისგან შედგებოდა. „ხიდი მოდის“, — გავიფიქრებდი და რატომღაც მღელვარება მეუფლებოდა, როცა ხიდი თავის ადგილას დადგებოდა.

— გნობინო! სდექ! — ყვიროდნენ სცენაზე, — გნობინო! უკან დასწიე!

ხიდი შეჩერდებოდა. მერე სცენის ზემო ცხაურიდან თვალისმომჭრელი შუქი იფეთქებდა, მუცელგამობერილი ლამპები გამოჩნდებოდა და კვლავ მიიმალებოდა, მალეიდან საღებავით მითხუპნულ-მოთხუპნული ტილო ჩამოეშვებოდა და ირიბად გაჩერდებოდა, „სადარაჯო ჯიხურია...“ — ვფიქრობდი სცე-

ნის გეომეტრიით თავგზააბნეული, გული მიღელავდა, ვცდილობდი წარმომედგინა, სცენა რანაირი სანახავი იქნებოდა, როცა სხვა პიესების დეკორაციებთან პირველად ხელში მოხვედრილი სიგნებთან შეკოწიწებული სახელდახელო ხიდის ნაცვლად ბოლოს და ბოლოს ნამდვილ ხიდს ააგებდნენ. კულისებში წინაფრიანი, თვალდაჭყეტილი პროექტორები აბღღვრიალდებოდნენ, სცენის ქვემოდან სინათლის თბილი, ცოცხალი ტალღა მოეფინებოდა. „~~ჩაბპპპპპპპპპპპპ~~“ — გავიფიქრებდი მე.

ჩაბნელებულ დარბაზში ვილაც შემოვიდოდა და რეჟისორის მაგიდისკენ მტკიცე ნაბიჯით გამოემართებოდა. მე თვალეზმოჭუტული ვაკვირდებოდი, სანამ მომიახლოვდებოდა.

„რომანუსი მოდის, ახლა უთუოდ რაღაც მოხდება.“ — გავიფიქრებდი და ლამპის შუქისგან თვალეზს ხელით ვიჩრდილავდი.

მართლაც, რამდენიმე წამის შემდეგ ჩემ ახლოს ორწვეტა წვერი გამოჩნდებოდა, ბინდბუნდში დირიჟორ რომანუსის ალგზნებული თვალეზი გაიღვებდა. საყულოს დანაკერზე საიუბილეო ნიშანი უბრწყინავდა, რომელზედაც ორი ასო „~~დმ~~“ მოჩანდა.

— სე ნონ ე ვერო, ე ბენ ტროვატო.¹ შეიძლება, უფრო ძლიერადაც ითქვას! — ჩვეულებისამებრ წამოიწყებდა რომანუსი; თანაც ანთებულ თვალეზს ტრამალის მგელივით აცეცებდა. რომანუსი მსხვერპლს დაეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა და გვერდით მომიჯდებოდა.

— ეს ამბავი როგორ მოგწონთ? ჰა? — შემეკითხებოდა და თვალეზს მოწყურავდა.

„ჩამითრევს, ახლა ლაპარაკში ჩამითრევს...“ — გავიფიქრებდი და ლამპასთან მოვიკრუნჩხებოდი.

— არა, თუ ხათრი გაქვთ, მითხარით, რას ფიქრობთ, — მეტყოდა რომანუსი და თან თვალეზით მბურღავდა, — თქვენი აზრი უფრო მეტად საინტერესოა, რადგან მწერალი ხართ და გულგრილი ვერ იქნებით იმ უმსგავსობათა მიმართ, რაც ჩვენთან ხდება.

„მაინც რა მარჯვედ ახერხებს კაცის აყოლიებას...“ — გავიფიქრებდი ისე რიგად შეწუხებული, ტანიც კი ამქავდებოდა.

— განა შეიძლება, კონცერტმაისტერს, თანაც ქალს, ზურგში ტრომბონი ჩასცხო? — მეკითხებოდა ეშხში შესული რომანუსი. — არა, ბატონო ჩემო! ოცდათხუთმეტი წელია, სცენაზე ვარ და ასეთი რამ ჯერ არ მინახავს. სტრიუს ჰგონია, მუსიკოსები ღორები არიან და შეუძლია, საღორეში შერეკოს! საინტერესოა, მწერალი ამაზე რას იტყვის?

გაჩუმება აღარ შეიძლებოდა.

— მაინც რა მოხდა?

რომანუსიც ამას უცდიდა. ისე ხმაბლლა დამიწყებდა ლაპარაკს, რომ რამბასთან თავმოყრილ ცნობისმოყვარე მუშებს გაეგონათ. ამბობდა, სტრიუსმა მუსიკოსები სცენის უბეში შეყარა, სადაც დაკვრა ყოვლად შეუძლებელია შემდგომი მიზეზების გამო: პირველი — სივიწროვება, მეორე — სიბნელება, მესამე — დარბაზში ერთი ბგერაც არ ისმის, მეოთხე — თავად მე დასადგომი ადგილი არა მაქვს და მუსიკოსები ვერ მხედავენო.

¹ თუნდაც მართალი არ იყოს, კარგადაა მიგნებული (იტალი).

— თუმცა ზოგიერთს... — მჭექარე ხმით განაცხადებდა რომანუსი, — მუსიკისა იმაზე მეტი არ გაუგება, ვიდრე ზოგ ცხოველს...

„ეშმაკსაც წაუღიხარ!“ — ვიტყვოდი გულში.

— ...ზოგი ხილისა!



რომანუსის ცდა წარმატებით მთავრდებოდა — ელექტროტექნიკოსის ჯიხურიდან ხითხითს გავიგონებდი და ელექტრიკოსი ჯიხურიდან თავს ამოყოფდა.

— აბა, ასეთ ხალხს რეჟისორობასთან რა ხელი აქვს, ისინი ნოვო-დევიჩის სასაფლაოსთან ბურახს უნდა ყიდდნენ!.. — უფრო აუწყევდა ხმას რომანუსი.

ხითხითი განმეორდებოდა.

შემდეგ გამოირკვეოდა, სტრიჟის უმსგავს საქციელს რა შედეგიც გამოელო. ტრომბონისტმა სიბნელის გამო კონცერტმაისტერ ანა ანუფრიევნა დენჯინას ზურგში ტრომბონი თურმე ისე აძგერა, რომ...

— რენტგენი გამოარკვევს, ეს ამბავი რით დამთავრდება!

რომანუსი დღუმატებდა, ადამიანს ნეკნები თეატრში კი არა, ლუდხანაში შეიძლება ჩაუმტვრიოთ. სხვათა შორის, სამსახიობო განათლება ზოგიერთს სწორედ ლუდხანაში აქვს შეძენილი.

ჯიხურის კრილს ელექტრიკოსის გაბადრული სახე ამშვენებდა, იგი ისე ხარხარებდა, ლამის პირი გახვოდა.

მაგრამ რომანუსი ამტკიცებდა, ეს ამბავი ასე არ ჩაივლისო. მან თურმე ანა ანუფრიევნა დაარიგა, ასე და ასე მოიქეციო. მადლობა ღმერთს, საბჭოთა სახელმწიფოში ვცხოვრობთ, — შეგვახსენებდა რომანუსი მსმენელებს, — ჰოდა, პროფკავშირის წევრებს განუსჯელად ნეკნებს ვერავინ ჩაუმტვრევს. ანა ანუფრიევნას ადგილკომის სახელზე განცხადების დაწერა ვურჩიეო.

— თუმცა თვალეზზე გატყობთ, — განაგრძობდა რომანუსი, თანაც მაშტერდებოდა, ცდილობდა, ჩემი მზერა სინათლის ზოლში მოეხელთებინა, — მთლად არ უნდა იყოთ დარწმუნებული, რომ ჩვენი ადგილკომის სახელგანთქმული თავმჯდომარე მუსიკაში ისევე კარგად ერკვევა როგორც რიშსკი-კორსაკოვი ანდა შუბერტი.

„რა კაცია!“ — ვფიქრობდი მე.

— ნება მიბოძეთ! — ვეტყვოდი რაც შეიძლება მკაცრად.

— არა, ჯობია, გულახდილნი ვიყოთ! — შესძახებდა რომანუსი და ხელზე ხელს მომიჭერდა. — თქვენ მწერალი ხართ! ჰოდა, მშვენივრად გესმით, რომ მიტია მალოკროშეჩნი, თუნდაც ოცგზის თავმჯდომარე იყოს, ძნელად თუ გაარჩევა ჰობოის ვიოლონჩელისგან, ანდა ბახის ფუგას ფოქსტროტ „ალილუიასგან“.

მერე რომანუსი სიხარულს გამოთქვამდა:

— კიდევ კარგი, რომ უახლოესი მეგობარი და... თანამესუფრეა!..

ელექტროტექნიკოსის ჯიხურში ტენორის ხითხითს ჩახლეჩილი ბანი შეუერთდებოდა. ჯიხურის ზემოთ უკვე ორი მზიარული სახე მოჩანდა.

...ხელოვნების, საკითხთა განხილვისას მალოკროშეჩნის ანტონ კალოშინი ეხმარება. თუმცა ეს არც არის გასაკვირი, რადგან ანტონი თეატრში მუშაობის დაწყებამდე სახანძრო რაზმში მსახურობდა, იქ საყვირს უკრავდა. რომანუსი თავდებად დადგება, თეატრში ანტონი რომ არ იყოს, რეჟისორთა შორის ერთ

ვინმეს „რუსლანის“ უვერტიურა და სრულიად ჩვეულებრივი „განუსვენე უფალო“ ერთმანეთში აერეოდა!

„საშიში კაცია, — ვფიქრობდი და რომანუსს ვუცქეროდი, — სადღაც საშიში. თავს ვერ დააღწევ, ბევრიც რომ ეცადო!“

კალოშინი რომ არ გვყავდეს, რა თქმა უნდა, ჩვენთან მუსკატის მოძრავე სოფიტზე თავდაყირა ჩამოკიდებდნენ და ისე დააკვრევინებდნენ, რომელი ალარავისი აქვთ, რაკილა ივან ვასილიევიჩი თეატრში არ მოდის. ასეა თუ ისე, თეატრს მაინც მოუწევს ანა ანუფრეევნასთვის დამსხვრეული ნექნების საფასურის გადახდა. რომანუსმა ანა ანუფრეევნას ისიც ურჩია, კავშირში შეიარე და შეიტყვე, რა აზრისანი არიან ამდაგვარ რამეებზე, რაზედაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას:

— სე ნონ ე ვერო, ე ბენ ტროვატო, შეიძლება უფრო ძლიერადაც! უკანიდან ფეხის ხმა შემომესმა. ვილაც მსუბუქად მოაბიჯებდა. ახლა ეს თუ მიხსნიდა.

მაგიდასთან ანდრეი ანდრეევიჩი იდგა. იგი თეატრში რეჟისორის პირველი თანაშემწე გახლდათ. პიესა „შავი თოვლი“ მას მიჰყავდა.

ანდრეი ანდრეევიჩმა, მსუქანმა, ჩასხმულმა, ორმოციოდე წლის ქერა კაცმა, მრავალნაცადი, ცოცხალი თვალები რომ ჰქონდა, თავისი საქმე კარგად იცოდა. საქმე კი ძნელი ევალა.

რადგან მაისი იყო, ანდრეი ანდრეევიჩს მუქი ფერის კოსტიუმი და მაღალყელიანი ყვითელი ფეხსაცმელი კი არ ეცვა, როგორც სჩვეოდა, არამედ ლურჯი სატინის ხალათი და ბრეზენტის მოყვითალო ტუფლები ემოსა. იგი მაგიდას მოუახლოვდა, ილლიაში განუყრელი საქალაღდე ამოეჩარა.

რომანუსს თვალები უფრო მეტად წამოენთო. ანდრეი ანდრეევიჩმა ლამპის ქვეშ საქალაღდის დადება ვერ მოასწრო, რომ ჩხუბი ატყდა.

ჩხუბი რომანუსის ნათქვამით დაიწყო:

— მუსიკოსების მიმართ ძალმომრეობის წინააღმდეგ გადაჭრით ვაცხადებ პროტესტს და მოვითხოვ, რაც აქ ხდება, ოქმში შეიტანოთ!

— რა ძალმომრეობა? — ჰკითხა ანდრეი ანდრეევიჩმა სამსახურებრივი ხმით და წარბი ოდნავ შეუტოკდა.

— თუ ჩვენთან ისეთი პიესები იდგმება, რომლებიც ოპერას უფრო წააგავს... — წამოიწყო რომანუსმა, მაგრამ გაახსენდა, ავტორი აქვე ზისო, პარი ჩემვენ ღიმილით მოიქცია და ისე განაგრძო, — რაც მართებულა, რადგან ჩვენს ავტორს ესმის, დრამისთვის მუსიკას რა დიდი მნიშვნელობა აქვს!.. ამის გამო მოვითხოვ, ორკესტრს ისეთი ადგილი მიუჩინოთ, რომ დაკვრა შეიძლებოდეს!

— ორკესტრს სცენის უბეში აქვს ადგილი მაჩენილი, — თქვა ანდრეი ანდრეევიჩმა და საქალაღდე გაშალა, ვითომ რაღაც სასწრაფოდ დასჭირდა.

— უბეში? იქნებ სუფლიორის ჭიხურში აჯობებდა? ანდა საბუტაფოროში?

— თქვენ თქვით, ტრიუმში თამაში არ შეიძლებაო.

— ტრიუმში? — შეჰკვივლა რომანუსმა. — ახლაც ვიმეორებ, რომ არ შეიძლება. უნდა მოგახსენოთ, რომ არც ჩაის ბუფეტში შეიძლება.

— მეც უნდა მოგახსენოთ, თავადაც ვიცი, რომ ჩაის ბუფეტში არ შეიძლება, — თქვა ანდრეი ანდრეევიჩმა და მეორე წარბიც შეუტოკდა.

— თქვენ კი იცით, — უთხრა რომანუსმა და, როცა დარწმუნდა, სტრიჟი პარტერში ჯერ არ შემოსულაო, განაგრძო: — რადგან ძველი მუშაკი ხართ და ხელოვნებაში ერკვევით, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ზოგიერთ რეჟისორზე...

— მიუხედავად ამისა, რეჟისორს მიმართეთ. ჟღერადობა იმან შეამოწმა...

— ჟღერადობის შესამოწმებლად რაიმე აპარატი უნდა გაგაჩნდეს, რის მეშვეობითაც შემოწმება შეიძლება, მაგალითად, ყურადღებას მიაქციეთ ვინმეს ბავშვობისას...

— ასეთი კილოთი ლაპარაკის გაგრძელებაზე უარს ვაცხადებ, — თქვა ანდრეი ანდრეევიჩმა და საქალაქო დასურა.

— რა კილოზე ბრძანებთ?! რა კილოზე? — გაიკვირვა რომანუსმა. — მე მწერალს მივმართავ. დაე, დაადასტუროს, როგორ არის აღშფოთებული, ჩვენთან მუსიკოსებს ასე რომ ასახიჩრებენ.

— ნება მიბოძეთ... — წამოვიწყე, როცა შევამჩნიე, ანდრეი ანდრეევიჩმა რა განცვიფრებით შემომხედა.

— არა, უკაცრავად! — დაუყვირა რომანუსმა ანდრეი ანდრეევიჩს. — რაკილა თანაშემწე, ვინც მოვალეა, სცენა ხუთი თითივით იცოდეს...

— გთხოვთ, ნუ მასწავლით, სცენა როგორ უნდა ვიცოდე, — თქვა ანდრეი ანდრეევიჩმა და საქალაქო ზონარი ააგლიჯა.

— მაშ რა ვქნა, როცა სწავლება გჭირდებათ! — გესლიანად ჩაიხიხინა რომანუსმა.

— თქვენს ნათქვამს ოქმში შევიტან! — უთხრა ანდრეი ანდრეევიჩმა.

— მოხარული ვიქნები, თუ შეიტანთ!

— გთხოვთ, თავი დამანებოთ! რეპეტიციაზე არევ-დარევა შემოგაქვთ!

— გთხოვთ, ოქმში თქვენი ნათქვამიც შეიტანოთ! — ფალცეტით შეჰყვირა რომანუსმა.

— გთხოვთ, ნუ ყვირით!

— მეც გთხოვთ, ნუ ყვირით!

— გთხოვთ, ნუ ყვირით! — გაუმეორა თვალეზანთებულმა ანდრეი ანდრეევიჩმა და უცებ გააფთრებით შეჰყვირა: — მალლა ვინა ხართ? რას აკეთებთ?! —

— მყისვე კიბისკენ გაექანა და სცენაზე აიჭრა.

დარბაზში სტრიჟი მოიჩქაროდა, მის უკან მსახიობთა მუქი ლანდებიც გამოჩნდა.

სტრიჟთან ჩხუბის დასაწყისი მახსოვს.

რომანუსი მის შესახვედრად გაეშურა, მკლავში ხელი გაუყარა და უთხრა:

— ფომა! ვიცი, რომ მუსიკას აფასებ და შენი ბრალი არ არის, მაგრამ გთხოვ და მოვითხოვ კიდევ, რომ თანაშემწემ მუსიკოსების აბუჩად აგდება აღარ გაბედოს!

— მალლა ვინა ხართ? — ყვიროდა სცენაზე ანდრეი ანდრეევიჩი. — ბობილევი სად არის?

— ბობილევი სადილობს, — თითქოს ციდან ჩამოისმა ყრუ ხმა.

მსახიობები რომანუსსა და სტრიჟს ირგვლივ შემოეხვივნენ.

ცხელოდა, მაისი იდგა. აბაჟურის ირგვლივ მდგარი მსახიობები ბინდბუნდში იდუმალებით მოცულნი ჩანდნენ. ისინი ყოველდღე სახეზე საღებავს ივლესდნენ, გარდაისახებოდნენ, ლელავდნენ, თავს არ იზოგავდნენ, სეზონის გან-

მავლობაში დაქანცულნი, ნერვებმოშლილნი, კირვეულობდნენ, ერთმანეთს ახელებდნენ. რომანუსის ატეხილმა აყალმაყალმა ახლა ყველა დიდად გაართო.

ტანადი, ცისფერთვალა სკავრონსკი სიხარულით ხელებს იფშვნივდა და ბუტბუტებდა:

— ასე, ასე, ასე... მიდი! ღმერთი! გიშველის! ყველაფერი უნდა მოხდეს, ოსკარ!

შედეგმაც არ დააყოვნა.

— გთხოვთ, ნუ მიყვირით! — უცებ დაიღრიალა სტრიჟმა და პიესა მავი-
დაზე დაახეთქა.

— შენ თვითონ ნუ მიყვირი! — იწივლა რომანუსმა.

— მართალია, ღმერთმანი! — იძახდა გამხიარულებული სკავრონსკი; ხან რომანუსს აგულიანებდა: — მართალი ხარ, ოსკარ! ჩვენ ამ სპექტაკლებს საკუთარი ნექნები გვირჩევნია! — ხანაც სტრიჟს აქეზებდა: — რაო, მსახიობები მუსიკოსებზე ნაკლებნი ვითომ რით არიან? ფომა, ამას ყურადღება მიაქციე!

— ნეტა, ახლა ბურახი დამალევირა, — მთქნარებით თქვა ელაგინმა, — რა დროს რეპეტიციაა... ეს კინკლაობა როდის დამთავრდება?

კინკლაობამ ერთხანს კიდევ გასტანა. ლამპის ირგვლივ მსახიობები კვლავ წრედ იდგნენ, წრის შიგნიდან ყვირილს მოისმოდა, კვამლი ზემოთ მიიწევდა.

მაგრამ კინკლაობა აღარ მაინტერესებდა, გაოფლილ შუბლს ვიმშრალებდი. რამბასთან ვიდექი და ვუცქეროდი, სამაკეტოში მომუშავე მხატვარი ქალი ავრორა გოსიე წრის კიდეს როგორ მიუყვებოდა და ლარტყით ზომავდა. გოსიეს მშვიდი, ოდნავ სევდიანი სახე აქონდა, ტუჩები მოეკუმა. როცა რამბის ნაპირთან დაიხრებოდა, ქერა თმა ისე გაუბრწყინდებოდა, თითქოს ცეცხლი წაუკიდესო, ხანაც ჩრდილი მიადგებოდა და ფერფლისფერი დაედებოდა. ჰოდა, იმას ვფიქრობდი, რაც ახლა ხდება, რაც ასე მტანჯველად მიიზღაზნება, როდისმე ხომ დასრულდება-მეთქი...

ამასობაში კინკლაობა დამთავრდა.

— დავიწყოთ, ბიჭებო, დავიწყოთ! — ყვიროდა სტრიჟი. — დროს ნუ ვკარგავთ!

პატრიკეევი, ვლადიჩინსკი და სკავრონსკი უკვე სცენაზე მიმოდოდნენ ბუტაფორებს შორის. რომანუსიც სცენაზე ასულიყო. მის გამოჩენას უკვალოდ არ ჩაუვლია. იგი ვლადიჩინსკის მიუახლოვდა და თანაგრძნობით პკითხა, რა გგონიათ, პატრიკეევი გადაჭარბებით ხომ არ ხმარობს ბუფონურ ხერხებს, რის შედეგადაც ხალხი სწორედ მაშინ გაიციინებს, როცა თქვენ უმნიშვნელოვანესი ფრაზა უნდა თქვათ: მე რაღა ვქნა? მარტოხელა და სნეული სად წავიდეო...

ვლადიჩინსკის სახეზე მკვდრისფერი დაედო. ერთი წუთის შემდეგ რამბასთან მოგროვილი მსახიობები, მუშები, ბუტაფორები ყურს უგდებდნენ, ძველი მტრები — ვლადიჩინსკი და პატრიკეევი — ერთმანეთს როგორ თათხავდნენ. ისედაც ფერმკრთალი, ახლა კი სიბრაზისგან მთლად გადაფითრებული, ბრგე, მხარბეჭიანი ვლადიჩინსკი მუშტებშეკუმშული იდგა, პატრიკეევს ზედაც არ უყურებდა და მძლავრ ხმას კიდევ უფრო შემზარავად აქუხებდა:

— მე ამ საკითხს საერთოდ მივხედავ! უკვე დროა, ტაკიმასხარები ავლაგ-
მთ, დაშტამპულად რომ თამაშობენ და თეატრს სახელს უტეხენ.

კომიკოსი მსახიობი პატრიკევი, ტანსრული ვატი, სცენაზე სასაცილო ახალგაზრდებს რომ თამაშობდა, ცხოვრებაში კი საოცრად მარჯვე და ცქვიტი იყო, ცდილობდა, სახეზე ზიზლი და მრისხანება ერთდროულად გამოეხატა, ამის ნაცვლად კი თვალებში სევდა, ხოლო სახეზე ფიზიკური ტრევილი ეხატებოდა.

— თავს ნუ გაგივიდათ! — ეუბნებოდა ვლადიჩინსკის ჩაჩინსკი ხმით. — მე დამოუკიდებელი თეატრის მსახიობი გახლავართ, თქვენსავით კინომოხალტურე კი ნუ გგონივართ!

რომანუსი კულისში იდგა და თვალები კმაყოფილებიდან უბრწყინავდა. მოჩხუბართა ხმებს სავარძელში მჯდარი სტროევის ხმა ფარავდა.

— ახლავე მორჩილ აყალმაყალს! — ყვიროდა იგი. — ანდრეი ანდრეევიჩი! სტროევი სად არის? საგანგაშო ზარი დარეკეთ! ხომ არ გინდათ, საწარმოო გეგმა ჩამიგდოთ?

ანდრეი ანდრეევიჩი თანაშემწის პოსტზე დაფასთან იდგა, ზან ერთ, ზან მეორე დილაკს თითს აჭერდა და სადღაც შორს, კულისებს მიღმაც, ბუფეტშიც ფოიეშიც ზარი საგანგაშოდ, ყურისწამლებად ეღრიალებდა.

ამ დროს სტროევი, აბანოს წინკარში ტოროპეცკაიასთან ლაყბობით რომ გართულიყო, საფეხურებზე მოხტოდა და მაყურებელთა დარბაზისკენ მოიჩქაროდა. სცენაზე დარბაზიდან კი არა, სცენის გვერდითა კარიდან ავიდა, ფეხსაცმელზე გაკეთებული დეზების ხმადაბალი წკარუნით თანაშემწის პოსტამდე მიადწია, იქიდან რამპისკენ გასხლტა და მსახიობებს შორის ისეთი იერით დადგა, თითქოს მანამდეც იქ ყოფილიყო.

— სტროევი სად არის? — გაჰყვიროდა სტროევი. — დარეკეთ, დარეკეთ! ჩხუბი ახლავე შეწყვიტეთ!

— ვრეკავ! — უპასუხა ანდრეი ანდრეევიჩმა, მერე გვერდზე შეტრიალდა და სტროევი დაინახა. — საგანგაშო ზარს თქვენ გაძლევთ! — მკაცრად უთხრა და ზარის რეკვაც თეატრში უმაღვე შეწყდა.

— მე? — გაიკვირვა სტროევი, — საგანგაშო ზარი რად მინდოდა? ათი წუთია, იქნებ თხუთმეტიც, რაც აქა ვარ... მამა... მია... — და ყელის ჩასაწმენდად ჩაახველა.

ანდრეი ანდრეევიჩმა მკერდში ჰაერი ჩაიგუბა, მაგრამ სტროევისთვის არაფერი უთქვამს, მხოლოდ სრავალმნიშვნელოვნად შეხედა, ჩავუბეჭეული ჰაერი კი იმისთვის გამოიყენა, რომ დაეყვირა:

— ვინც ზედმეტია, სცენიდან გავიდეს! ვიწყებთ!

მღელვარება დაცხრა, ბუტაფორები სცენიდან გავიდნენ, მსახიობებმა თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს. რომანუსმა კი კულისებში პატრიკევს ჩურჩულით მიულოცა, ყოჩად, ვლადიჩინსკის ვაჟკაცურად და სამართლიანად რომ შეედავე, მაგისტრის ლაგამი აქამდეც უნდა ამოგედოო.

ივნისში მაისზე უფრო მეტად ჩამოცხა.

ეს დამამახსოვრდა, სხვა ყველაფერი კი, საოცარია და, მეხსიერებიდან

წამეშალა. თუმცა თითო-ორი წელიწადი მაინც ჩამრჩა. მაგალითად, მახსოვს თეატრის შესასვლელთან მდგარი დრიკინის ეტლი, თვით დრიკინი, კოფოზე რომ იჯდა და დაბამბული, ლურჯი ხიფთანი ეცვა; მახსოვს აგრეთვე, შოფრები დრიკინის ეტლს მანქანებით რომ ჩაუვლიდნენ და ეტლსა და მეეტლეს გაოცებულნი უცქეროდნენ.

შემდეგ მახსოვს დიდი დარბაზი, სადაც სკამები უწინააღმდეგარა მახსოვს იმ სკამებზე მსხდარი მსახიობები; ხოლო მაუდგადაფარებულ მაგიდასთან ივან ვასილიევიჩი, სტრიჟი და საკუთარი თავი.

ივან ვასილიევიჩი იმხანად უფრო ახლოს გავიცანი და, უნდა მოგახსენოთ, მთელი ის დღეები ძალზე დაძაბული გახლდით, რადგან ძალიან მინდოდა, ივან ვასილიევიჩზე როგორმე კარგი შთაბეჭდილება მომეხდინა და ამის გამო უამრავი საზრუნავიც გამიჩნდა.

ჩემს ნაცრისფერ კოსტიუმს დღეგამოშვებით დუსიას ვაუთოვებინებდი და ყოველ ვაუთოებაზე ათ მანეთს ვაძლევდი.

ერთი სახლის თაღქვეშ მუყაოს ყუთივით პატარა ოთახი აღმოვაჩინე, სადაც ჩასუქებული კაციდან, თითებზე ორი ბრილიანტის ბეჭედი რომ ეკეთა, ოცი გახამებული საყელო ვიყიდე და ყოველდღე, თეატრში წასვლისას, ახალ-ახალ საყელოს ვიკეთებდი. ამას გარდა, თაღქვეშ კი არა, სახელმწიფო უნივერსალურ მალაზიაში ექვსი პერანგი ვიყიდე: ოთხი თეთრი, ერთი სოსანზოლებიანი და ერთიც ლურჯუჯრედებიანი; იქვე შევიძინე რვა სხვადასხვა ფერის პალსტუხი. შუა ქალაქის ერთ კუთხეში, დარსა თუ ავდარში, ნიადაგ უქუდოდ იჯდა ერთი კაცი, გვერდზე პატარა დახლი რომ ედგა და ზედ ფეხსაცმლის ზონრები ჰქონდა გამოკიდებული. მისგან ორი ქილა ფეხსაცმლის ყვითელი საცხი ვიყიდე, დუსიასგან ნათხოვი ჯაგრისით ყვითელ ფეხსაცმელებს ყოველ დილა ვბოხავდი და მერე საკუთარი ხალათის კალთით ვაპრიალებდი.

რადგან ამოდენა ხარჯი გავწიე, იძულებული შევიქნენ, ორ ღამეში დამეწერა პატარა მოთხრობა, რომელსაც სათაურად „რწყილი“ დავარქვი. ეს მოთხრობა ჯიბეში ჩავიდე და რეპეტიციებისგან თავისუფალ დროს გაზეთებისა და ყოველკვირეული ჟურნალების რედაქციებში დავდიოდი, რომ მოთხრობა როგორმე გამესაღებინა. თავდაპირველად „სახომალდოს მაცნეში“ შევიარე. იქ მოთხრობა მოეწონათ, მაგრამ მითხრეს, სამდინარო ხომალდებით მგზავრობასთან არავითარი კავშირი არა აქვს და ამიტომ ვერ დაგიბეჭდავთ. ეს მიზეზი სრულიად საფუძვლიანი გახლდათ. თავს არ შეგაწყენთ იმის თხრობით, რედაქციები როგორ ჩამოვიარე და დაბეჭდვაზე ყველგან უარი როგორ მითხრეს. მხოლოდ ის დამამახსოვრდა, რომ ყველგან რატომღაც მტრულად მხედებოდნენ. განსაკუთრებით მახსოვს ერთი ჩასუქებული, პენსნიანი კაცი, რომელმაც ჩემს ნაწარმოებზე არამარტო უარი მითხრა, ნოტაციის მაგვარი რაღაცაც კი წამიკითხა.

— თქვენს მოთხრობაში რაღაც მინიშნებები იგრძნობა, — მითხრა ჩასუქებულმა კაცმა და შევამჩნიე, რა ზიზლით შემომხედა.

თავი უნდა ვიმართლო. ჩასუქებული კაცი ცდებოდა. არაფრის მინიშნება არ მინდოდა, ის კი უნდა ვეღიარო (ახლა ეს უკვე შეიძლება), რომ მოთხრობა მოსაწყენი, სულელური იყო და აშკარას ხდიდა, რომ ავტორს მოთხრობების წერა არ შეეძლო, საამისო ნიჭი არ გააჩნდა.

მიუხედავად ამისა, სასწაული მაინც მოხდა. მოთხრობა ჯიბით სამ კვირას

ვატარე, მოვიარე ვარვარკა, ვოზდვიჟენკა, კამკამა ტბორები, ვნების ბულგარი და, როგორც მახსოვს, პლიუშჩიხაზეც კი ვიყავი. პოდა, მოულოდნელად ჩემი ნაწარმოები მიასნიცკაიაზე, ზლატოუსტის შესახვევში, თუ არ გცდები, მეხუთე სართულზე მივასადე ვიდაც კაცს, ლოყაზე დიდი ხალი რომ მქონდა.

რაკილა ფული ვიშოვე და საშინელი ბზარი ამოვაფსე, უკეთესი დაგბრუნდი, ურომლისოდაც უკვე ვეღარ ვძლებდი, როგორც მორფინისტაქვერ ძლებს უმორფოდ.

გულისტკივილით უნდა ვაღიარო, რომ მთელმა ცდამ ამაოდ ჩამიარა. ის კი არა, ჩემდა სავალალოდ, საქმე გამიუარესა. ივან ვასილიევიჩს დღითი დღე სულ უფრო ნაკლებ მოვწონდი.

არ გეგონოთ, თითქოს მთელ იმედებს ყვითელ ფეხსაცმელზე ვამყარებდი, გაზაფხულის მზისფრად რომ ბზინავდა. არა! ყველაფერი ეშმაკურად იყო შერწყმულ-შეზავებული: წყნარი, გულში ჩამწვდომი ხმით მეტყველებას თან სდევდა პირდაპირი, შეუფარველი, ნათელი მზერა და მსუბუქი ღიმილი (მლიქვნელური კი არა, გულუბრყვილო ღიმილი). თმა იდეალურად მქონდა დავარცხნილი, წვერს კი ისე ვიპარსავდი, ლოყაზე ხელის ზურგს რომ ავისვამდი, ხაოს ნასახსაც ვერ ვგრძნობდი. აზრს მოკლედ, ჭკვიანურად წარმოვთქვამდი, საკითხის განსაცვიფრებელ ცოდნას ვამჟღავნებდი, მაგრამ მაინც ვერაფერს გავხდი. ივან ვასილიევიჩი თავდაპირველად ღიმილით მხვდებოდა, მერე და მერე ღიმილს უკლო, ბოლოს კი საერთოდ აღარ მიღიმოდა.

მაშინ ღამლამობით რეპეტიციებს შევუდექი. მაგიდასთან დავჯდებოდი, წინ პატარა სარკეს დავიდგამდი, შიგ ვიციქირებოდი და ლაპარაკს ვიწყებდი:

— ივან ვასილიევიჩ! იცით რა, ჩემი აზრით ხანჯლის ხმარება არ შეიძლება...

ყველაფერი რიგზე იყო. უკეთესს ვერც ინატრებდი. ტუჩებზე თავაზიანი და მოკრძალებული ღიმილი დამთამაშებდა, სარკიდან ჩემი თვალები პირდაპირ და ჭკვიანურად იმზირებოდნენ, შუბლი გადატყეცილი მქონდა, შუაზე გაყოფილ შავ თმას ხაზი თეთრი ძაფივით გასდევდა. ყოველივე ამას შედეგი უთუოდ უნდა გამოეღო, მაგრამ საქმე სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. არაქათი გამომეღია, დავმჭლევიდი. პეწსა და ლაზათს ისერიგად აღარ დავიდევდით. თავს იმის ნებასაც კი ვაძლევდი, ერთი და იგივე საყულო ორჯერ გამეკეთებინა.

ერთხელ ღამით შემოწმება განვიზრახე და მონოლოგი ისე წარმოვთქვი, სარკეში არ ჩამიხედავს, მერე კი თვალი ქურდულად გავაპარე სარკისკენ და შევძრწუნდი.

სარკეში შეკმუხნული შუბლი, დაკრეჭილი კბილები და არა მარტო მოუსვენრად, არამედ ფარული აზრით მზირალი თვალები მოჩანდა. თავზე ხელები ვიტაცე, მივხვდი, თურმე სარკე მატყუებდა. მაცდური სარკე იატაკზე დავახეთქე, სამკუთხედი ნატეხი გვერდზე გაბტა. ამბობენ, სარკის გატეხა ცუდი ნიშანიაო. მაშ იმ უგუნურზე რაღა უნდა ითქვას, ვინც საკუთარ სარკეს თავად დაამსხვრევს?

— ბრიყვი ვარ, ბრიყვი, — შევყვირე და, რადგან ენაბრჯგუ გახლდით, ჩემი ხმა ისე გაისმა, თითქოს ღამის სიჩუმეში ყვავმა დაიყრანტალო. — მაშ კარგი შესახედავი მანამდე ვიყავ. სანამ სარკეში ვიციქირებოდი, მაგრამ რო-

გორც კი სარკეს თვალს მოვაცილებდი, კონტროლს ვკარგავდი, ჩემი სახე ჩემსავე ფიქრს ემორჩილებოდა და... ეშმაკმა დალახვროს!

თუ ჩემი ნაწერები ვინმეს ხელში ჩაუვარდება, ეჭვიც არ მეპარება, მაინც-
დამაინც კარგ შთაბეჭდილებას არ მოახდენს. ვინც წაიკითხავს, ჩემზე იფიქრებს, ცბიერი, პირმოთნე კაცი ყოფილა, ალბათ ანგარება ამოხატავდა, რაკი
კილა ცდილობდა, ივან ვასილიევიჩისთვის თავი მოეწონებინა.

ნუ აჩქარდებით და ასეთ ბრალს ნუ დამდებთ. ახლავე გეტყვით, რა ანგარებაც მამოძრავებდა.

ივან ვასილიევიჩი ჯიუტად და დაბეჭითებით ცდილობდა იმ სცენის ამოგდებას, სადაც ბახტინი (ბენტეევი) თავს იკლავს, სადაც მთვარე ანათებს და გარმონიკას უკრავენ. მაგრამ მე ვიცოდი, ვხედავდი, რომ მაშინ აღარც პიესა იარსებებდა. მას კი უნდა ეარსება, რადგან მწამდა, რომ მასში სიმართლე იყო. ივან ვასილიევიჩი ძალზე ნათლად დამიხასიათეს. თუმცა, უნდა მოგახსენოთ, ეს დახასიათება არც იყო საჭირო. იგი ჩვენი ნაცნობობის პირველსავე დღეებში შევისწავლე და შევიცან. ვიცოდი, ივან ვასილიევიჩთან ყოველგვარი ბრძოლა შეუძლებელი იქნებოდა. ერთი გზაღა მრჩებოდა: როგორმე იმისთვის მიმეღწია, ჩემთვის მოესმინა. ბუნებრივია, საამისოდ საჭირო იყო, ივან ვასილიევიჩს თავის წინაშე სასიამოვნო კაცი დაენახა. სარკეს ამიტომაც ვუჭექი. ვცდილობდი, გასროლა გადამერჩინა; მინდოდა გაეგონათ, რა შემზარავად გაისმის გარმონიკის ხმა ხილზე, როცა მთვარის შუქით განათებულ თოვლზე სისხლის ლაქა იდღაბნება. მინდოდა, შავი თოვლი დაენახათ. მეტი არაფერი მსურდა.

ყვავი ისევ აყრანტალდა.

— ბრიყვო! ის უნდა გცოდნოდა, რაც მთავარია! როგორ შეიძლება, კაცს მოეწონო, თუ იგი თავად არ მოგწონს? რას ფიქრობ? გგონია, ვინმეს მოატყუებ? გულში მის მიმართ სიძვე თუ გიდევს, რაღას ცდილობ, თავი მოაწონო? ამას ვერასოდეს შეძლებ, სარკის წინ რამდენიც არ უნდა იტრიალო.

ივან ვასილიევიჩი კი მართლა არ მომწონდა. არც დეიდამისი ნასტასია ივანოვნა მომეწონა. ლიუდმილა სილვესტროვნა რომ არ მომეწონა, თქმაც აღარ უნდა. ეს ხომ უთუოდ იგრძნობოდა.

დრიკინის ეტლი იმას მოასწავებდა, რომ ივან ვასილიევიჩი „შავი თოვლის“ რეპეტიციაზე თეატრში დადიოდა.

ყოველდღიურად, შუადღისას, პაკინი ჩაბნელებულ პარტერში თავ-პირის მტვრევით შემოირბენდა, ხელში კალოშები ეჭირა და საცოდავად იღიმებოდა. უკან ავგუსტა ავდეევნა მოსდევდა და კუბოკრული პლედი მოჰქონდა. ავგუსტა ავდეევნას ლიუდმილა სილვესტროვნა მოჰყვებოდა, ხელში საერთო რვეული და მაქმანიანი ცხვირსახოცი ეჭირა.

ივან ვასილიევიჩი პარტერში კალოშებს ჩაიცვამდა, რეჟისორის მაგიდას მიუჯდებოდა, ავგუსტა ავდეევნა ივან ვასილიევიჩს მხრებზე პლედს მოახურავდა და სცენაზე რეპეტიცია იწყებოდა.

ამ რეპეტიციის დროს ლიუდმილა სილვესტროვნა რეჟისორის მაგიდის შორიახლოს მოკალათდებოდა, რვეულში რაღაცას იწერდა და ხანდახან ხმადაბლა რაღაცას აღტაცებით შესძახებდა.

უკვე დროა, ყველაფერი აგიხსნათ. მიზეზი მტრული განწყობილებისა, რის ფაშალვასაც ასე სულელურად ვცდილობდი, სრულიადაც არ იყო არც

პლედო, არც კალოშები, არც თვით ლიუდმილა სილვესტროვნა. მიზეზი ის გახლდათ, რომ ივან ვასილიევიჩმა, რომელიც სარეჟისორი მუშაობას ორმოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ეწეოდა, საყოველთაოდ ცნობილი და, საერთო აზრით, გენიალური თეორია გამოიგონა იმის თაობაზე, მსახიობს როლი რანაირად უნდა მოემზადებინა.

ექვი ერთი წუთითაც არ შეპარება, რომ თეორია ნამდვილად გენიალური იყო, მაგრამ პრაქტიკაში ამ თეორიის გამოყენების შემყურეს სასოწარკვეთილება შეუფლებოდა.

თუნდაც თავს დავდებ, რეპეტიციაზე საიდანმე უცხო კაცი რომ მიმეყვანა, უზომოდ განცვიფრდებოდა.

პატრიკეევი ჩემს პიესაში ერთი უბრალო მოხელის როლს თამაშობდა, ამ მოხელეს ვიღაც ქალი უყვარდა, ქალი კი მის მიმართ გულგრილი იყო.

როლი სასაცილო გახლდათ, თვით პატრიკეევი საოცრად სასაცილოდ, თანაც დღითი დღე უკეთესად თამაშობდა. ისე კარგად თამაშობდა, ლამის შეფიქრა, ეს პატრიკეევი კი არა, ნამდვილად ჩემ მიერ გამოგონებული მოხელეა-მეთქი. თითქოს პატრიკეევი იმ მოხელეზე ადრე არსებობდა, მე კი რაღაც სასწაულით მივაკვლიე.

დრიკინის ეტლი როგორც კი გამოჩნდა თეატრთან, ხოლო ივან ვასილიევიჩს პლედო მოახურეს, იგი მუშაობას სწორედ პატრიკეევის წვრთნით შეუდგა.

— აბა, დავიწყეთ, — თქვა ივან ვასილიევიჩმა.

პარტერში კრძალული დუმილი ჩამოვარდა და ადევნებულმა პატრიკეევმა (მისი მღელვარება იმით გამოიხატა, რომ თვალები აუცრემლიანდა) მსახიობ ქალთან სიყვარულის ახსნის სცენა გაითამაშა.

— ჰოო, — თქვა ივან ვასილიევიჩმა და ლორნეტის მინებს მიღმა თვალები დააკვესა, — არაფრად არ ვარგა.

გუნებაში შევყვირე და მუცელში რაღაც ჩამწყდა. ვერ წარმომედგინა, ამ სცენის თამაში ოდნავ უკეთ თუ შეიძლებოდა, ვიდრე პატრიკეევმა ითამაშა. თუ იგი ამას შეძლებს, — გავიფიქრე და ივან ვასილიევიჩს მოწიწებით შევხედე, — მაშინ ვიტყვი, ნამდვილად გენიალური კაცია-მეთქი.

— არაფრად არ ვარგა, — გაიმეორა ივან ვასილიევიჩმა. — ეს რააა ჰგავს? რაღაც ოინბაზობა და სრული სიყალბეა. მაგ ქალის მიმართ რას განიცდის?

— უყვარს, ივან ვასილიევიჩ! ოჰ, როგორ უყვარს! — შეჰყვირა ფომა სტრიემა, რომელიც ამ სცენას თვალს ადევნებდა.

— ჰოო, — თქვა ივან ვასილიევიჩმა და კვლავ პატრიკეევს მიუბრუნდა: — იმაზე თუ გიფიქრიათ, როგორია მგზნებარე სიყვარული?

პატრიკეევმა სცენაზე პასუხად რაღაც ჩაიხიჩინა, მაგრამ რა თქვა, ვერ გაიგებდი.

— მგზნებარე სიყვარული ისეთია, — განაგრძობდა ივან ვასილიევიჩი, — კაცს სატრფოს გულისთვის ყველაფერს გააკეთებინებს, — მერე ბრძანა: — ველოსიპედი მოიტანეთ!

ივან ვასილიევიჩის ბრძანებამ სტრიეი ალაფრთოვანა.

— ჰეი, ბუტაფორებო! ველოსიპედი! — შესძახა ფიცხლად.

ბუტაფორმა სცენაზე ძველისძველი, ჩარჩოაქერცილი ველოსიპედი შემოაგორა. პატრიკეევმა ველოსიპედს ცრემლნარევი მზერა მიაპყრო.

— შეყვარებული ყველაფერს თავისი სატრფოს გულისთვის აკეთებს, — მელერი ხმით თქვა ივან ვასილიევიჩმა, — ჯამს, სვამს, დადის თუ ველოსიპედს დააქროლებს...

ლიუდმილა სილვესტროვნა რაღაცას იწერდა. ცნობისმოყვარეობამ წამძლია, რვეულში ჩავიხედე და დავინახე, რომ ბავშვური ხელით ჩაწერდა: შეყვარებული ყველაფერს თავისი სატრფოს გულისთვის აკეთებს...

— ...აბა, მაშ კეთილი ინებეთ და საყვარელი ქალის გულისთვის ველოსიპედით იარეთ, — დავალება მისცა პატრიკეევს ივან ვასილიევიჩმა და პიტნიანი კვერი შეჭამა.

სცენას თვალს არ ვაცილებდი. პატრიკეევი ველოსიპედზე აბობლდა, სატრფოს როლის შემსრულებელი მსახიობი ქალი კი სავარძელში ჩაჯდა და მუცელზე უზარმაზარი, ლაქის რედიკიული მიიკრა. პატრიკეევმა პედალები დაატრიალა და სავარძლის ირგვლივ წრეს ლაყლაყით გაუყვა, თან ცალი თვალით სუფლიორის ჯიხურს გვერდულად გასცქეროდა, შიგ არ ჩავვარდეთ, ცალი თვალით კი მსახიობ ქალს უყურებდა.

დარბაზში მყოფთ ღიმილმა გადაურბინა.

— არაფრად არ ვარგა, — უთხრა ივან ვასილიევიჩმა პატრიკეევს, როცა იგი შეჩერდა, — ბუტაფორს თვალედაჭყეტილი რას შესცქერით? ველოსიპედს მისი გულისთვის დააქროლებთ?

პატრიკეევმა ველისოპედი ისევ დაძრა; ამჯერად ორივე თვალი მსახიობი ქალისკენ ჰქონდა მიბრეცილი. ველოსიპედის შემოტრიალება ვერ შეძლო და კულისებში შევარდა.

როცა ველოსიპედიცა და პატრიკეევიც სცენაზე დააბრუნეს, ივან ვასილიევიჩმა ეს ცდაც არასწორად მიიჩნია! ჰოდა, მსახიობი ქალისკენ თავმიქცეული პატრიკეევი გზას მესამედ გაუდგა.

— საშინელებაა! — მწუხარედ უთხრა ივან ვასილიევიჩმა პატრიკეევს. — კუნთები დამაბული გაქვთ, საკუთარი თავისა. არა გჯერათ. კუნთები მოუშვით, მოადუნეთ! თავი არაბუნებრივად გიჭირავთ, დამაჯერებლობა სულ არა გაქვთ.

პატრიკეევი წრეს თავდალუნული გაუყვა, თან ქალს ქვეშ-ქვეშ გაპყურებდა.

— სულ ფუჭად ტრიალებთ, გულცარიელი ხართ, სატრფოსკენ მისწრაფებით არა ხართ განმსჭვალული.

პატრიკეევი კვლავ შეუდგა ველოსიპედით სიარულს. ერთი წრე დოინჯშემოყრილმა დაარტყა, სატრფოს თავმომწონედ უცქეროდა, საჭეს ცალი ხელით მართავდა, ველოსიპედი მკვეთრად შემოაბრუნა, მსახიობ ქალს შეაჯახა და ჭუჭყიანი საბურავით კაბა დაუსვარა. შეშინებულმა ქალმა შეჰკივლა. პარტერში ლიუდმილა სილვესტროვნამაც შეჰკივლა. ივან ვასილიევიჩმა იკითხა, ქალს ველოსიპედმა ხომ არაფერი ატკინა, სამედიცინო დახმარება ხომ არ სჭირდებაო, და როცა უთხრეს, საშიში არაფერიაო, პატრიკეევი კვლავ გზას გაუყვნა. მან სცენას მრავალჯერ შემოუარა, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ივან ვასილიევიჩმა არ ჰკითხა, ხომ არ დაიღალეთო? პატრიკეევმა უპასუხა, არ დავდლილვარო, მაგრამ ივან ვასილიევიჩმა უთხრა, გატყობთ, რომ დაიღალეთო, და ველოსიპედით სიარული შეაწყვეტინა.

პატრიკეევი სტუმართა ჯგუფმა შეცვალა. მე პაპიროსის მოსაწევად ბუფეტში გავედი. როცა უკანვე დავბრუნდი, ვნახე, რომ მსახიობი ქალის რედი-

კიული იატაკზე იდო, თავად მსახიობ ქალს კი ხელები ქვეშ ამოედო და ისე იჯდა. ასევე ხელებამოდებულნი ისხდნენ მისი სტუმრებიც სამი ქალი და მეოთხე სწორედ ის ვეშნიაკოვა, ვისზეც ინდოეთიდან აწერებოდნენ. ყველანი იმ ფრაზების წარმოთქმას ცდილობდნენ, რაც ამ აღგილას იყო პიესაში, წინ კი ვერა და ვერ იძვროდნენ, რადგან ივან ვასილიევიჩი ყოველ მათგანს აჩერებდა, როგორც კი რაიმეს წარმოთქვამდნენ, და უხსნიდა, თუ რაში ცდებოდნენ. სტუმრებს, პატრიკეევის სატრფოსა და პიესის გმირს კიდევ ის გასაჭირი აღგათ, რომ ყოველ წუთას ხელების გამოღება და ყესტის მოშველიება ეწადათ.

როცა სტრიჟმა შემამჩნია, რა გოცებული ვიყავი, ჩურჩულით განმიმარტა, ივან ვასილიევიჩმა მსახიობებს ხელები ქვეშ განზრახ ამოადებინა, რათა ხელების მოუშველიებლად სიტყვების აზრიანად თქმას მიეჩვივნენო.

რეპეტიციიდან შინ ამ ახალი საოცრებებისგან შთაბეჭდილებებით აღვსილი წამოვედი. გულში ასეთნაირად კმსჯელობდი:

— დიახ, ყოველივე საოცარია. მაგრამ საოცარია მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქმეში უვიცი ვარ. ყოველ ხელოვნებას თავისი კანონები, საიდუმლოებანი და ხერხები გააჩნია. ველურს, მაგალითად, სასაცილოდ და უცნაურად მოეჩვენება, როცა ნახავს, ადამიანი პირს ცარციტ რომ გამოიტენის და კბილებს ჯაგრისით იხეხავს. გაუთვითცნობიერებელ კაცს უცნაურად მოეჩვენება, როცა ეჭიმი, პირდაპირ ოპერაციას რომ შეუდგეს, ამის ნაცვლად ავადმყოფს უამრავ უცნაურ რაღაცას ჩაუტარებს, მაგალითად, გამოსაკვლევად სისხლს აუღებს და ასე შემდეგ...

მოუთმენლად ველოდი, შემდგომ რეპეტიციაზე ველოსიპედის ამბავი როგორ დასრულდებოდა, მინდოდა მენახა, პატრიკეევი შეძლებდა თუ არა „სატრფოს გულისთვის“ ველოსიპედით გავლას.

მაგრამ მეორე დღეს ველოსიპედი აღარც უხსენებია ვინმეს, თუმცა მესხვა არანაკლებ საკვირველი რამეები ვიხილე. იმავე პატრიკეევს სატრფოსთვის თაიგული უნდა მიერთმია. რეპეტიცია დღის თორმეტ საათზე ამით დაიწყო და ოთხ საათამდე ასევე გაგრძელდა.

თანაც თაიგული არა მარტო პატრიკეევს, არამედ რიგრიგობით ყველას მიჰქონდა მისამართმევად: გენერლის როლის შემსრულებელ ელაგინსაც და ადალბერტსაც კი, ყაჩაღთა ბანდის მეთაურს რომ განასახიერებდა. ამან ძალზე განმაცვიფრა. მაგრამ ფომამ უმაღლეს დამამშვიდა, ივან ვასილიევიჩი, როგორც ყოველთვის, ახლაც არაჩვეულებრივ სიბრძნეს იჩენს, რომელიმე სცენურ ხერხს ერთბაშად მსახიობთა მთელ ჯგუფს ასწავლისო. მართლაც, ივან ვასილიევიჩის გაკვეთილს თან ახლდა საინტერესო და დამმოდგვრავი თხრობა, ქალს თაიგული როგორ უნდა მიართვა და ვინ რაანაირად მიართმევდა ხოლმე. მაშინ შევიტყვე, ამას ყველაზე უკეთ ახერხებდნენ ისევ ის კომპაროვსკი-ბიონკური (ლიუდმილა სილვესტროვნამ რეპეტიციის წესრიგი დაარღვია და შეტყვირა: „ოჰ, დიახ, დიახ, ივან ვასილიევიჩ. რა დამავიწყებს!“) და ერთი იტალიელი ბარიტონი, ივან ვასილიევიჩს 1889 წელს მილანში რომ გაუცვნია.

იმ ბარიტონს, მართალია, არ ვიცნობდი, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ თაიგულის მიართმევა ყველაზე უკეთ თვით ივან ვასილიევიჩს შესძლებია. იგი ამ ამბავმა ისე გაიტაცა, სცენაზე ავიდა და მსახიობებს ცამეტჯერ მაინც აჩვენა, ეს სასიამოვნო საჩუქარი როგორ უნდა მიეძღვნათ. საერთოდ, ვრწმუნდე-

ბოდი, რომ ივან ვასილიევიჩი გასაოცარი და მართლაც გენიალური მსახიობი იყო.

მეორე დღეს რეპეტიციაზე დამაგვიანდა და როცა მივედი, ვნახე, რომ სცენაზე სკამები ჩაემწყრივებინათ და ამ სკამებზე ერთმანეთის გვერდით ისხდნენ ოლგა სერგეევნა (გმირის როლის შემსრულებელი), ვენიამინოვი (მეტყუძარი), ელაგინი, ვლადიჩინსკი, ადალბერტი და კიდევ რამდენიმე მსახიობი! ჩემსგან თაც არ ვიცნობდი.

— ერთი, ორი, სამი! — შესძახებდა ივან ვასილიევიჩი.

მსახიობები ჯიბიდან უხილავ საფულეებს იღებდნენ, უხილავ ფულს ითვლიდნენ და საფულეებს კვლავ ჯიბეში იღებდნენ.

როცა ეს ეტიუდი დასრულდა (ამის საბაბი კი, როგორც მივხვდი, ის იყო, რომ პატრიკეევი ამ სურათში ფულს ითვლიდა), მეორე ეტიუდი დაიწყო. ანდრეი ანდრეევიჩმა სცენაზე უამრავი ხალხი შეყარა. ყველანი სკამებზე ჩამოსხდნენ, უხილავ მაგიდაზე დაწყობილ უხილავ ქალაქლებზე უხილავი კალმებით წერილების წერა და დაწებება იწყეს (კვლავ და კვლავ პატრიკეევის გამო!), თანაც უნდა შესტყობოდათ, რომ სასიყვარულო წერილს წერდნენ.

ეს ეტიუდი გაუგებრობის მიზეზად იქცა: სახელდობრ — წერილების გამგზავნთა შორის შეცდომით ბუტაფორიც გაერია.

ივან ვასილიევიჩი იმ წელს დამხმარე შემადგენლობაში ჩარიცხულ ახალ მსახიობებს სახეზე კარგად ვერ ცნობდა და სცენაზე თავშეყრილთა შეგულიანებისას ჰაეროვანი წერილების წერაში თმაქოჩორა ყმაწვილი ბუტაფორიც ჩარია, სცენის კუთხეში რომ დაბორილობდა.

— თქვენ, რაო, — დაუყვირა ივან ვასილიევიჩმა, — ცალკე უნდა მოგიპატიეთ?

ბუტაფორი სკამზე ჩამოჯდა და სხვებთან ერთად ჰაერში წერასა და თითებზე ფურთხებას მოჰყვა. ჩემი აზრით ამას სხვებზე ცუდად არ აკეთებდა, მაგრამ სახე წამოუწითლდა და როგორღაც შემკრთალი იღიმებოდა.

ამან ივან ვასილიევიჩის ყვირილი გამოიწვია:

— ვინ არის ეგ მხიარული ყმაწვილი, განაპირას რომ ზის? რა გვარია? რამ გაამხიარულა? ცირკის მსახიობობას ხომ არ აპირებს? ეს რა არასერიოზულობაა?

— ბუტაფორი გახლავთ, ივან ვასილიევიჩ, ბუტაფორი! — ამოიკვნესა ფომამ.

ივან ვასილიევიჩი გაყუჩდა და ბუტაფორი სცენიდან მშვიდობიანად გაისტუმრეს.

დღეები დაუცხრომელ შრომაში მიედინებოდა. მე ბევრი რამ ვნახე. ვნახე, მსახიობთა მთელი გუნდი ლიუდმილა სილვესტროვნას წინამძღოლობით (სხვათა შორის, იგი პიესაში არ მონაწილეობდა) სცენაზე ყვირილით როგორ გარბი-გამორბოდა და უხილავ ფანჯრებს აწყდებოდა.

საქმე ის გახლავთ, რომ იმავე სურათში, სადაც თაიგულისა და წერილის სცენა თამაშდებოდა, იყო აგრეთვე სცენა, როცა გმირი ქალი უანჯარასთან მიიბრუნდა და შორეულ დაფიონს ვასცქეროდა.

ეს დიდი ეტიუდის საბაბად იქცა. ეტიუდი უსაშველოდ გაიზარდა და, გულახდილად ვითხრათ, გუნება ძალზე წამიხდინა.

ივან ვასილიევიჩის თეორია, სხვათა შორის, შეიცავდა აღმოჩენას, რეპე-

ტიციაზე ტექსტს არავითარი ძნიშვნელობა არა აქვს, პიესაში ხასიათების შე-
საქმნელად მსახიობებმა საკუთარი ტექსტით უნდა ითამაშონ. ახლა მისი და-
ვლებით ყველას უნდა განეცადა ეს დაფაონი.

ამის შემდეგ ფანჯარასთან მიჩბენისას ყველა იმას უყვირდა, რაც მოეპრი-
ნებოდა.

ზიხაილ აულგაოვი

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!! — ყვიროდა უმრავლესობა.

— რა იწვის? რა ხდება? — იძახდა ადალბერტი.

მესმოდა მამაკაცებისა და ქალების შეჩახილები:

— თავს უშველეთ! წყალი სად არის? ელისეევი იწვის! (ეშმაკმა უწყის,
ეს რა იყო) გვიშველეთ! ბავშვებს უშველეთ! ბომბი აფეთქდა! მეხანძრეები
გამოიძახეთ! დავიღუბეთ!

ამ ღრიანცელს ლიუდმილა სილვესტროვნას ხმა ფარავდა. ის ხომ მართლა
რადაც სისულელეს გასწიოდა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ოჰ, ღმერთო ძლიერო! ჩემს ზანდუკებს რა მოუვა?!
ბრილიანტებს რა ეშველება, ჩემს ბრილიანტებს?!

ლიუდმილა სილვესტროვნა ხელებს როგორ იმტვრევდა, ამის შემხვედვა-
რეს სახე მეჭუფრებოდა და იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩემი პიესის გმირი ქალი
მხოლოდ ამას ამბობდა:

— შეხედეთ... დაფიონი... — თანაც დიდებულად ამბობდა.

სრულებით არ მეხალისებოდა, რომ მეცადა, როდის გაიწაფებოდა ამ და-
ფიონის განცდაში ლიუდმილა სილვესტროვნა, რომელიც პიესაში არ მონა-
წილეობდა. გიჟური წივილი რადაც ზანდუკებზე, რასაც ჩემს პიესასთან არავი-
თარი კავშირი არ ჰქონდა, ისე მალიზიანებდა, ყბა მელრიცებოდა.

ივან ვასილიევიჩის მიერ ჩაატრებულ მეცადინეობათა მესამე კვირა როცა
მიიწურა, სასოწარკვეთილება დამეუფლა. ამას სამი მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერ-
თი, არითმეტიკული გამოთვლა ჩავატარე და თავზარი დამეცა. სამი კვირაა,
რეპეტიციებს ვატარებდით და სულ ერთსა და იმავე სურათს ვუტრიალებდით.
პიესაში კი შვიდი სურათი იყო. მაშასადამე, თითო სურათისთვის თუნდაც
მხოლოდ სამ-სამი კვირა რომ მოგვენდომებინა...

— ღმერთო ჩემო! — ვჩურჩულებდი და ძილგამკრთალი ვწრილებდი
ჩემს დივანზე. — სამჯერ შვიდი... ოცდაერთი კვირა ანდა ხუთი... დიახ, ხუთი...
იქნებ ექვსი თვეც მოუნდეს!! ჩემი პიესა სცენაზე როდის წავა?! ერთი კვირის
შემდეგ მკვდარი სეზონი დაიწყება და რეპეტიციები სექტემბრამდე არ განახ-
ლდება! ღმერთო ჩემო! სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი...

ლამე სწრაფად ილეოდა. ფანჯარა ღია მქონდა, მაგრამ სიგრილე არ შე-
მოდიოდა. რეპეტიციაზე შაკიკისგან გაწამებული მივდიოდი, ჩამოვდნი, სახე
ჩამიყვითლდა.

სასოწარკვეთის მეორე საბაბი უფრო სერიოზული გახლდათ. ამ რვე-
ულს ჩემი საიდუმლო შემიძლია ვანდო: ივან ვასილიევიჩის თეორიაში ეჭვი შე-
მეპარა. დიახ! თქმა მიმძიძის, მაგრამ ასეა.

ეს საშინელი ეჭვი გულში ჯერ კიდევ პირველი კვირის ბოლოს შემომეპა-
რა. მეორე კვირის დამლევს უკვე ვფიქრობდი, ეს თეორია ჩემს პიესას, რო-
გორც ჩანს, არ მოერგო-მეთქი. პატრიკეევმა ვერც თაიგულის მიტანა დაიწყო
უკეთ, ვერც წერილების წერა და ვერც სიყვარულის ახსნა. პირიქით, ერთგვა-

რი ნაძალადეობა და სიმშრალე დაეტყო, სასაცილო კი სრულიადაც აღარ იყო. თანაც, რაც მთავარია, უცრად სურდო შეეყარა.

როცა ეს გარემოება ბომბარდოვს დამწუხრებულმა ვაუწყე, მან ჩაიცინა და მითხრა:

— სურდო მალე გაუვლის, თავს უკვე უკეთ გრძნობს, გუშინაც და დღესაც კლუბში ბილიარდს თამაშობდა. ამ სურათის რეპეტიციებს ჩაიკრძა და ასრულებთ, სურდო კიდევაც გაუვლის. მოიცათ, სურდო კიდევ ბევრს შეეყრება. ყველაზე ადრე კი, მგონი, ელაგინი გახდება ავად.

ახლა კი ყველაფერს მივხვდი.

— ოპ, ეშმაკმა დალახვროს! — შევყვირე შეცბუნებულმა.

ბომბარდოვის წინასწარმეტყველება სულ მალე ახდა. ერთი დღის შემდეგ ელაგინი რეპეტიციებიდან გაქრა, ანდრეი ანდრეევიჩმა კი ოქმში ჩაწერა: „რეპეტიციებიდან გათავისუფლებულია, სურდო“. ასეთივე ბედი ეწვია ადალბერტსაც. ოქმშიც იგივე ჩანაწერი გაჩნდა. ადალბერტს ვეშნიაკოვა მიპყვა. მე ჩემს გამონათვალს სურდოს წილად კბილთა ღრჭილით ერთი თვეც წავუმატე, მაგრამ არც ადალბერტს ვადანაშაულებდი და არც პატრიკეევს. მართლაც, ყაჩაღთა წინამძღოლს მეოთხე სურათში დრო რატომ უნდა გაეცდინა არასებულ ხანძარზე ყვირილით, როცა საყაჩაღო თუ სხვა საქმენი მესამე და მეხუთე სურათში ელოდა.

ჰოდა, სანამ პატრიკეევი ლუდს შეექცეოდა და მარკიორს ბილიარდს ეთამაშებოდა, ადალბერტი შილერის „ყაჩაღების“ რეპეტიციებს ატარებდა კრასნაია პრესნიას კლუბში, სადაც მსახიობთა წრეს ხელმძღვანელობდა.

ღიან, აშკარა შეიქნა, რომ ეს სისტემა ჩემს პიესას ვერ მოერგო, ის კი არა, ავნო კიდევ. მეოთხე სურათში ორ მოქმედ პირს შორის ჩხუბს შემდგომი ფრაზა მოსდევდა:

— დუელში გიწვევ!

ჰოდა, ღამლამობით საკუთარ თავს ვწყევლიდი, ხელი რატომ არ მოგტყდა, ეს რომ დაწერე-მეთქი.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ივან ვასილიევიჩი ძალზე გამოცოცხლდა და ბუტაფორს რაპირები მოატანინა. მე გავფითრდი. მერე დიდხანს ვუცქეროდი, ვლადიჩინსკი და ბლავოსვეტლოვი რაპირას რაპირაზე როგორ უჩახუნებდნენ, შიშით ვკანკალებდი, ვლადიჩინსკიმ ბლავოსვეტლოვს თვალი არ გამოსთხაროს-მეთქი.

ივან ვასილიევიჩი კი ამ დროს ჰყვებოდა, კომაროვსკი-ბიონკური და მოსკოვის ქალაქის თავის შვილი ერთმანეთს დაშნებით როგორ შეებრძოლნენ.

მაგრამ მთავარი ის კი არ იყო, ივან ვასილიევიჩმა ქალაქის თავის წყეული შვილის ამბავი რომ გაიხსენა, არამედ ის, რომ შემომიჩნდა, პიესაში დაშნებით დუელის სცენა ჩაამატეო.

ეს ჭერ უსიამოვნო ხუმრობად მივიჩნიე, მაგრამ რა გუნებაზე დავდგებოდი, როცა მზაკვარმა, მუხანათმა სტრიჟმა მომთხოვა, ერთ კვირაში დუელის სცენა „მოხაზული“ უნდა გქონდესო. შევედავე, მაგრამ სტრიჟი შაინც თავისას გაიძახოდა. მერე კი სარეჟისორო წიგნაკში ჩაწერა, აქ დუელი იქნებაო. ამან ხომ სულ გამაცოფა.

ურთიერთობა სტრიჟთანაც გამიფუჭდა.

ღამღამობით ბოღმამორეული და აღშფოთებული ვწრიალვბდი ლოგინში. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი.

— ოსტროვსკის ხომ არ ჩაამატებინებდა დუელს, რა უნებუნებელი გაცეცხლებული, — არც ლიუდმილა სილვესტროვნას შესტყობდა მტკბას, რომ ეყვირა, ჩემს ზანდუკებს რა მოუვაო!

დრამატურგს შური ტანჯავდა, ოსტროვსკის მიმართ უნიათო შური. მაგრამ ეს ყოველივე, ასე ვთქვათ, კერძო შემთხვევას, ჩემს პიესას შეეხებოდა. უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ იყო. დამოუკიდებელი თეატრის სიყვარულით გათანგული, კორპზე მიკრული ხოჭოსავით მასზე მიჯაჭვული, საღამოობოთ სპექტაკლებზე დავდიოდი და ეჭვი ბოლოს მტკიცე რწმენად მექცა. ვფიქრობდი, თუ ივან ვასილიევიჩის თეორია შეუმცდარია და მისი სავარჯიშოების წყალობით მსახიობს გარდასახვის უნარის შექმნა შეუძლია, მაშ ბუნებრივი იქნება, ყოველ სპექტაკლში ყოველმა მსახიობმა მაყურებელს სრული ილუზია შეუქმნას და ისე ითამაშოს, რომ დაავიწყოს, მის წინ თუ სცენაა...

1936—1937.





თარგმნა თედო ბაქიშვილმა

მოსალოდნელი ჭორის პასუხად

შემომეხვევა
მოსკოვი
ირგვლივ,
ჩურჩულით მკითხავს:
„მართალი თუა,
რომ გიყიდიათ
მანქანა პარიზს?
თუ მართალია,
სადა გაქვთ ჭკუა?
ფრთხილად იყავით, ამხანაგო,
გაზეთის ყბაში
ვინც ჩავარდება —
კარგად იცით,
მას რაც მოეღის...
თუ ყიდვა იყო,
შეგეძინათ
ურემი მაშინ
ან, დიდი-დიდი,
მოტოროლერი!“
თქვით, ვისაც რა გსურთ,
ჭორები თქვენი
ვერ შემაშინებს,
არ ვარ ისე სუსტი და ნორჩი
— ვიყიდე?
დიახ!
ჩამომეხსენით,
ამ უთავბოლო
ლაყბობას მორჩით!

მეყო,
აქამდის რაც მიწვალაია,
რაც დღემდე ბეხრევ
ცხენზე ვიჯექი,
ახლა მე მრავალ ცხენისძალიან
ძრავით ვიქროლებ
კიდით-კიდემდის.
ლითონის თვალებს
აცეცებს
ირგვლივ,
ცეცხლს მოაკვესებს
ზღაპრული რაში;
როდესაც იგი დაიწყებს ჭიხვინს,
ქუჩა
შიშისგან
ფითრდება წამში.
მე მისთვის
რითმებს
ვთიბავდი
დიდხანს —
არ ჩავვარდნილვარ
არავის ვალში:
ან უთვალავი
უძილო სიტყვა
თვლემს
მის ძრავაში
და კაბინაში.
მივექრი, ვირწევი სავარძელში,

ნებივრად ვწევარ,
გამიიოლდა ლექსების წერაც...
მაგრამ თუ ატყდა
უცებ განგაში,
თუ დაგვემუქრა
საფრთხე ომისა —
მე შემიძლია
ამ ჩემი რაშის
აღვირი წამსვე
მივცე კომისარს,
რომ გააქროლონ
იმ მხარეს, სადაც

ბრძოლის მრისხანე
ზათქი მოისმა...
ვერ გავუცევო
ქირქილს და ჭორებს,
ვიცი, ერჩენენ
მომქლის
გოლგოთა, ჯვარცმა —
რომ შევიძინე
პარიზში „რენო“
სურნელოვანი
სუნამოს ნაცვლად!

წერილი ტატიანა იაკოვლევას

ბაგის თრთოლვაშიც,
ხელის ამბორშიც,
ძვირფას სხეულის
ვნებით კანკალშიც
ჩემი რუსეთის
წითელი
ფერი
უნდა
ღვიოდეს
სრული
კაშკაშით.
ვერ ვეგუები
პარიზულ ტრფობას,
ძვირფას ფარჩებში
მორთულ კეკლუცებს,
ვნებას —
გიჟურად
მოვარდნილ ქოფაკს —
ძალისძალათი
ვაჩერებ უცებ.
მხოლოდ
შენა ხარ
ტოლი და ფარდი,
დამიდექ გვერდით
და არ გაოცდე,
რომ ამ საღამოს
ფიქრი და დარდი
მინდა

უბრალო ენით გადმოგცე.
საათის ხუთი.
უკვე დამცხრაღა
ყაყანი ხალხის,
უკვე დაღლილი
დღე ეთხოვება
მდუმარე ქალაქს,
ისმის
ორთქლმავლის
გადაძახილი.
ტყვიისფერ ცაში
გაკრთება ელვა,
ქუხილი
ბზარავს
ზეცის დარაბებს,
განა ელჭექი —
ჩემი ეჭვები,
მთებს
ერთიანად
აზანზარებენ.
ბრიყვული
სიტყვის
ნუ უსმენ ლაქლაქს,
ნუ გეშინია
ამ შავი ჭირის,
მე შეგარიგებ
წარმავალ კლასთან,
აღვირს

ამოვდებ
 მის ბრიყვულ ყვირილს.
 გახმება
 ვნება,
 ვით მუხის ქერქი,
 თუ არ იდინა
 სინედლემ კანში...
 სიხარულისთვის
 მე ლექსებს ვწერდი,
 ძველი
 ხელობის
 ერთგული დავრჩი.
 ეჭვები,
 ქალი,
 ცრემლი,
 ვაება...
 ჯანდაბას,
 ცრემლით სოველი ღანვი!
 მე ვეჭვიანობ
 გაუთავებლად
 მხოლოდ
 საბჭოთა რუსეთისათვის
 აი, სამოსელ შემოფლეთილნი,
 გაყვითლებულნი
 შიმშილით, ჭლექით...
 რა უნდა გვექნა,
 ჩემო კეთილო,
 ასეთი იყო
 რუსეთის ბედი
 სწორედ
 იმათთვის
 დავეძებთ
 ნუგეშს,
 მხოლოდ ვარჯიშით

ვერაფერს შევცვლით...
 როგორ აკლია
 მოსკოვის ქუჩებს
 თქვენი თვალების
 გზნება და ცეცხლი
 ნუ შეგაშინებს
 ტიფი და თოვლი,
 ამნაირ სურათს
 თუმც ხარ უჩვევი —
 ვახშამზე
 ხელ-პირ დაუბანელი
 მაზუთიანი
 შავი მუშები!
 მოდი,
 ნუგეშად
 მიტომ მეგულვი,
 ერთურთს
 იოლად
 ვერ შეველევით,
 მოდი,
 მოგელის მონატრებული
 ჩემი ვეება,
 ტლანქი ხელები!
 არ მოხვალ?
 დარჩი,
 აქ დაიზამთრე,
 ამ წყენას
 ჩავკლავ,
 დავიცდი ერთხანს
 და სულ ერთია,
 გამოგიტაცებო —
 მარტოს თუ არა —
 პარიზთან ერთად!

ნიქოლაი გობოლი

საშინელი შურისგება



მთხრობა

თარგმნა ზვიად გამსახურდიამ

I

ზეიმობს კიევის გარეუბანი: იასაული გორობეცი ქორწილს უხდის თავის ვაჟს. უამრავი სტუმარი ეწვია იასაულს; ძველებს უყვარდათ ლაზათიანი სმა-ჰამა და მოლხენა. ზაპოროჟიელმა მიკიტკამ მოაჭენა თავისი ქურანი პერეშლიას ველებიდან, სადაც იგი შვიდ დღე-ღამეს უმასპინძლდებოდა მეფის შლიახტიჩებს წითელი ღვინით. იასაულის ძმადნაფიცმა დანილო ბურულბაშმაც მოაწია ღნებრის გადაღმიდან, სადაც ორ მთას შუა გაწოლილიყო მისი ხუტორი. ახალგაზრდა ცოლი კატერინა და ერთი წლის ვაჟი თან ახლდნენ მას. სტუმრები განაცვიფრა კატერინას თეთრყირმიზა სახემ, გერმანული ხავერდით შავმა წარბებმა, აბრეშუმის ცისფერმა პერანგმა და მაუდის კაბამ, ვერცხლისნალიანმა ჩექმებმა; მაგრამ ყველაზე მეტად საოცარი ის იყო, რომ მოხუცი მამა თან არ ახლდა მას. ერთადერთი წელი დაჰყო ბერიკაცმა ღნებრს გადაღმა, ოცდაერთი წელი კი გადაკარგული იყო უკვალოდ და მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა თავის ქალს, როდესაც იგი უკვე დაოჯახდა და ვაჟიც შეეძინა. მრავალი საოცრება ეცოდინებოდა მოხუცს, ესოდენ დიდხანს გადაკარგულს უცხო მხარეში! იქ ხომ ყოველივე სხვა ყაიდაზეა. იქაური ხალხიც სხგავაგვარია, იქ არც ეკლესიებია ქრისტესი... მაგრამ რატომღაც არ გამოჩნდა იგი ქორწილზე.

სტუმრებს ქადა მოართვეს ლანგარზე, ქიშმიშითა და შავქლიავით შემზადებული თაფლუჭი ჩამოურიგეს. მემუსიკენი ქადის ქვედა ქერქს შეექცეოდნენ ფლურებით შემცხვარს, გვერდზე დაეწყოთ თავიანთი ჭიანურები, ციმბალები და დაირები. ის-ის იყო ქალებმა და გოგონებმა მოქარგული თავსაფრები ააფრიალეს და წინ წამოდგნენ, ჰაბუკებმაც დოინჯი შემოიყარეს, დარდიმანოულად მიმოიხედეს და განეშხადნენ მათთან საცეკვაოდ, რომ მოხუცმა იასაულმა ორი ხატი გამოასვენა ნეფე-პატარძლის დასალოცად. ეს ხატები წმიდა ბერმა, მამა ბართლომემ უსახსოვრა მას ოდესღაც. მდიდრულად როდი არიან ისინი მოოქვილნი, არც ოქრო-ვერცხლი ამშვენებს მათ თვალისმომკრელი, მაგრამ ვერავითარი უწმინდური ძალა ვერ შეჰბედავს კაცს, ვის სახლშიც

ეს ხატები ასვენია. იასაულმა აღმართა ხატები და მცირე ლოცვის წართქმისათვის მოემზადა, მაგრამ ამ დროს უეცრად შეშინებულნი აყვირდნენ იქვე ეზოში მოთამაშე ბავშვები. ამას მოჰყვა ხალხის ჩოჩქოლი, ყველა შემორეული უთითებდა იქვე, მათ შორის მდგარ კაზაკზე. არავინ უწყობდა მისი ვინაობა. მას ერთი ხელი „კაზაკოკი“ უკვე ეცეკვა ლაზათიანად, მისი სწორი ბრბოს გამხიარულება, მაგრამ როდესაც იასაულმა ხატები აღმართა, უცნობს უეცრად შეეცვალა სახე. ცხვირი წინ წამოეზარდა და მოეგრიბა, შავი თვალები გაუმწვანდა და აუთამაშდა, ტუჩები გაულურჯდა, ნიკაბი შუბივით დაუგრძელდა და აუცახცახდა. პირიდან ეშვი გამოუჩნდა, კუზი თავს ზევით აეზიდა და თვალის დახამხამებაში მიხრწნილ ბერიკაცად იქცა.

„ეგ არის, ეგ!“ — იძახდა ხალხი და ეყვროდა ერთიმეორეს.

„ისევე გამოჩნდა ჯადეგის!“ — კიოდნენ დედები და ხელში იტატებდნენ თავიანთ ბავშვებს.

წინ წამოდგა იასაული გოროზად, ხატები მიუშვირა ჯადეგს და დასჭექა; „წარწყმდი, სახეო სატანისაო, შენ აქ არა გესაქმება რა!“ ახრიალდა, აკისინდა უცნაური ბერიკაცი, მგელივით გაახრკიალა კბილები და გაპქრა.

ნაავდრალ ზღვასავით აბორგდა ხალხი, ატყდა მითქმა-მოთქმა.

„ეს სადაური ჯადეგია?“ — კითხულობდნენ ახალგაზრდანი და გამოუცდელნი.

„ავბედობაა მოსალოდნელი!“ — თავს იქნევდნენ ბერიკაცები. იასაულის დიდ ეზოში აქა-იქ შეჯგუფდა ხალხი და ისმოდა საკვირველი ჯადეგის ამბება, თუმც ყველა სხვადასხვაგვარ ამბებს ჰყვებოდა და არავინ უწყობდა დანამდვილებით მისი სადაურობა.

ამასობაში თაფლუჭით სავსე კასრი გამოაგორეს ეზოში და ბერძნული ღვინოც უხვად ჩამოასხეს. კვლავ გამხიარულდა ყველა და ყოველი. სცეს საკრავებს მუსიკოსებმა, გოგოებმა, ქალებმა და ფერად-ფერად ჯუბოსანმა კაზაკებმა ჩამოუარეს და გაჩაღდა ცეკვა, ოთხმოცდაათწლიანი და ასწლიანი ბერიკაცებიც კი შეზარხოშდნენ და ჩაბუქნეს წარსულთა არაუქმთა დღეთა მოსაგონარად. გვიან ღამემდის ილხენდნენ და ღრეობდნენ (სადღა იციან დღეს ისეთი მოლხენა!). ბოლოს თანდათანობით დაიშალნენ სტუმრები, მაგრამ ზოგმა ველარც მოახერხა შინ წაბარბაცება. მრავალნი იქვე დარჩნენ ღამის გასათევად იასაულის ვეებერთელა ეზოში, იქვე წამოგორდნენ დაუბატიყებლად მაგიდებქვეშ, იატაკზე თუ საჯინიბოს მახლობლად. სადაც კი შეტორტმანდა კაზაკის ნასმურევი თავი, იქვე გაიშოტა და ამოუშვა ხვრინვა მთელი კიევის გასაგონად.

II

მკრთალი ნათელი მოჰტენია სამყაროს, მთვარე ამოიწვერა მთიდან. თითქოს დამასკური, თოვლივით თეთრი სირმებით მოავარაყაო დნეპრის კლდოვანი ნაპირი. ჩრდილი კი ნაძვნარს გადააფინა.

დნეპრის შუაგულში მუხის ნავი მიცურავს, ორი მოყმე უზის ნიჩბებს,

შავი კაზაკური ქუდები ახურავთ გვერდულად, ნიჩბები შეეფებს ისვრიან ირგვლივ, თითქოს ნაპერწკლები სცვივალ ტალკვესს.

რად არ მიიმღეროიან კაზაკები? რად არ ჰყვებიან, თუ ვით დაძრწიან ჰსენძები უკრაინაში და კათოლიკედ ნათლავენ კაზაკ ხალხს? რად არ ჰყვებიან, რარიგ იბძროდა ურდო მლაშე ტბასთან ორ დღესა და ღამეს? რად იმღერებათ, ან რა აზრახებთ სიჩაუქენზე, როდესაც ბატონი მათი დანილო ჩაფიქრებულა ნალვლიანად, მეწამული მაუდის ჯუბის სახელო კი მდინარეში გადავარდნია და წყალს ისრუტავს. ქალბატონი მათი კატერინა კი თვალს არ აშორებს თოთო ბაღს და უხმოდ ანანავებს, ხოლო ტილოთი გადაუხურავ ნაქარგ მაუდს წყლის მონაცრისფრო მტვერი აცვივა.

რა ლამაზად მოსჩანან დნეპრის შუაგულიდან მთანი მაღალნი, ვრცელი მინდვრები, ამწვანებული ხშირი ტყეები! მაგრამ ეს მთები განა მთებია: ძირი არა აქვთ, ზემოთაც და ქვემოთაც წამახული მწვერვალებია, ზემოთაც ცაა და ქვემოთაც. არც იმ ბორცვებზეა ტყეები, ეგ ხშირი თმაა ტყის პაპის თავზე. ქვემოთ, წყალში წვერს იბანს იგი, მის თავს ზევეითაც ცაა და წვერს ქვემოთაც ცაა მაღალი. ის მინდორიც მინდორი როდია: იგი სარტყელია მწვანე, თრად რომ ჰყოფს ცარგვალს, ზედა ნახევარზე, ისევე როგორც ქვემო ნახევარზე მთვარე დასეირნობს.

პან დანილო თავის ყმაწვილ ცოლს მისჩერებია: „რაო, ჩემო კარგო, ჩემო ოქრო კატერინა, რამ დაგაღონა?“

„დაღონებული როდი ვარ, პან დანილო! დაშინებული ვარ იმ საკვირველი ჯადეგის ამბებით. ამბობენ, ასეთი საზარელი იყო დაბადებითვე... ბაღლები გაურბოდნენო მასთან თამაშს. მისმინე, პან დანილო, ასეთ საშინელებასაც ჰყვებიან: თითქოს მას ეჩვენებოდა, გარშემო ყველა დამცინისო. შეხვდებიოდა ვინმე შეღამებულზე და წამსვე მოეჩვენებოდა: პირს აღებს და ებილებს მიღრქენსო. მეორე დღეს კი იმ კაცს მკვდაშს პოულობდნენ. მე განმაცვიფრა, ხარი დამცა ამ ამბებმა“, — ამბობდა კატერინა და თან სახეს უმშრალებდა მის მკლავებზე მიძინებულ ყრმას ცხვირსახოციოთ, რომელზედაც კენკრა და ფოთლები ამოექართა წითელი აბრეშუმის ქაფით.

პან დანილო ხმას არ იღებდა. ჩაბნელებული ნაპირისკენ იცქირებოდა. შორს, ტყესთან მიწაყრილი მოსჩანდა, ხოლო მის გაღალმა ძველებური კოშკი ამოზიდულიყო. შუბლზე სამი ღარი გასჩენოდა დანილოს, მარცხენა ხელს ვაჟ-კაცურ უღვაშებზე ისვამდა დროდადრო.

„მაგისი ჯადეგობა კიდევ იმდენად როდია საშიში“, — ამბობდა იგი. — „საშიში უფრო ისაა, რომ უსიამო სტუმარია ეგ დღეს ჩვენშიო. რა ეშმაკმა მოიყვანა აქ? როგორც გავიგე, ლიახებს რაღაც ციხე-სიმაგრის აგება სურთო, რათა გზა გადაგვიჭრანო ზაპოროჟიელებისაკენ. თუნდაც ეგრე რომ იყოს... გავაცამტვერებ მაგ ეშმაკის ბუდეს, ოღონდ ერთი დაირხეს ხმა, რომ რამე თავშესაფარი აქვს მანდ მოწყობილი. მაგ ბებერ ჯადეგს კოცონზე დაეწვავე, ყვაფ-ყოვნებსაც კი აღარ დარჩებათ არაფერი... რატომღაც მგონია, ოქრო და სიმდიდრეც არ უნდა აკლდეს... დახე, სად ცხოვრობს ეგ ეშმაკის კერძი! ნეტავ ოქრო თუ მოეძვეება... აი, ახლა ჯვრებიც ვამოჩნდება — სასაფლაოს ჯვრების აქ კი მისი უწმინდური წინაპრები ღებებიან. მაგათზე ამბობენ, ყველანი მზად იყვნენ სატანისათვის ფულად მიეყიდათო სული, თავიანთი დაბებკილი ჯუბები-

ანად. თუ ნამდვილად მოეძვება ოქრო, დაყოვნების დრო აღარაა. ომშიც ყოველთვის როდი იშოვი...”

„ვიცი, რაც განგიზრახავს. კარგს არაფერს მიქადის ახლა მასთან პირისპირ შეხლა. ო, რა მძიმედ სუნთქავ, როგორ მოგეჭუფრა სახე, რა შემზარავად გადმოგეკაკლა თვალები!“

„ხმა გაიწყვიტე, დედაკაცო!“ — გაგულისებით წამოიძახა პან დანილომ, — „თქვენი გადამკიდე დედაკაცად იქცევა ყველა. ცეცხლი მომეცი, ბიჭო, ჩიბუხისათვის!“ — ამ სიტყვებით იგი მიუბრუნდა ერთ-ერთ მენიჩბეს, ხოლო ამ მენიჩბემ გადმოფერთხა ნაკვერცხალი თავისი ჩიბუხიდან და პანის ჩიბუხში ჩაყარა. ჯადეგით მაშინებს, განაგრძობდა პან დანილო. — „მადლობა ღმერთს, კაზაკს არც ეშმაკებისა ეშინია, არც ქსენძებისა. კარგი დოვლათი დაგვიდგებოდა, ცოლების ჭკუაზე რომ გვევლო. განა მართალი არა ვარ, ბიჭებო, პაჩენი ცოლი ჩიბუხია და ფხიანი ხმალი!“

კატერინა დადუმდა და მთვლემარე წყალს დააჩერდა: ქარი ატოკებდა წყლის ზედაპირს, ღნეპრი ვერცლისფრად ელავდა, როგორც მგლის ბეწვი მთვარიან ღამეში. ნავმა გეზი იცვალა და ტყიან ნაპირს მიჰყვა. ნაპირზე სასაფლაო გამოჩნდა. დაძველებული ჯვრები მოჩანან გროვად. არც ძახველი ხარობს მათ შორის, არც მწვანე ბალახი, მთვარელა დაჰნათის მაღლიდან.

„გესმით, ბიჭებო, ყვირილი? ვიღაც გვიხმობს საშველად!“ — სთქვა პან დანილომ და ნიჩბოსნებს მიუბრუნდა: — „ჰო, ჰო, ყვირილი მოისმის, როგორც ჩანს, იმ მხრიდანაა“, — ერთხმად დაიძახეს ბიჭებმა და სასაფლაოსკენ გაიშვირეს ხელი.

უეცრად დადუმდა ირგვლივ ყოველი, ნავმა შემოუარა მდინარეში შეჭრილ ნაპირს. ნიჩბოსნებმა ანაზღად დაუშვეს ნიჩბები და გაშტერებული მხერა მიაპყრეს რიყეს. პან დანილოც გახევდა: შიშმა ცივად დაუარა ძვლებში კაზაკს.

ჯვარი შეირყა საფლავზე და ნელ-ნელა წამოიმართა გაძვალტყავებული მკვდარი. წვერი წელამდე სცემდა; თითებზე უგრძესი ფრჩხილები წაზრდოდა. ჯერ ნელ-ნელა აღაპყრო ხელები. სახე აუცახცახდა, დაეღრიჯა. ეტყობოდა, საზარლად იტანჯებოდა. „ვიხუთები! ვიხუთები!“ დაიგმინა ველური, არადა-მიანური ხმით. მისი ხმა დანასავით ეცა მსმენელთა გულებს. მერმე კვლავ მიწაში გაუჩინარდა. ახლა შეირყა მეორე ჯვარი და კვლავ წამოიმართა მიცვალებული, წინანდელზე უფრო საზარელი, უფრო მაღალი, მთლად დაბანჯგვლული წვერი მუხლამდე სცემდა, კიდევ უფრო გრძელი, ძვლოვანი ფრჩხილები ჰქონდა. მან კიდევ უფრო ველურად დაიხრიალა: „ვიხუთები! და იგიც გაუჩინარდა მიწაში. შეირყა მესამე ჯვარი, წამოდგა მესამე მკვდარი. თითქოს მხოლოდ ძველებილა წამოიმართნენო მიწიდან. წვერი კოჭამდე სცემდა. გრძელფრჩხილებიანი თითებით მიწას ჩაფრენოდა. მერმე აღმართა საზარელი ხელები, მთვარის ჩამოღება სურსო თითქოს და დაიღრიალა ამაზრზენად, თითქოს ვიღაც ხერხავსო მის გაყვითლებულ ძვლებს..

კატერინას მკლავებზე მიძინებულ პატარას გამოეღვიძა და წამოიტერა. პანიმ წამოიკივლა. ნიჩბოსნებს ქუდები ჩაუცვივდათ მდინარეში. თვით პან დანილოც შეძრწუნებული ჩანდა.

ანაზღად გაქრა ყოველივე, თითქოს არც ყოფილაო; ბიჭები დიდხანს ისხდნენ გახევებულნი. ხელს არ კიდებდნენ ნიჩბებს. ბურულბაშმა მზრუნვე-

ლი მზერა შეავლო ახალგაზრდა ცოლს, გაფითრებული რომ ანანავებდა ატირებულ ბაღს, მკერდზე მიიკრა და შუბლზე აკოცა. „ნუ გეშინია, ჩემო კატერინა! დახე, აღარაფერია!“ ეუბნებოდა იგი. და თან ნაპარზე უფროებდა. „ჯადეგი ცდილობს ხალხის დაშინებას, რათა ვერაფერს მიაღწიოს მის უწმინდურ ბუდედღე, ეგ ალის და ეგ. დედაკაცებს თუ დააფრთხობს, მისთვის ვერაფერს მომეცი ჩემი ვაჟკაცი!“

ამ სიტყვებით პან დანილომ ხელში აიტაცა თავისი ვაჟი და ჩასჩურჩულა: „რაო, ივან, ზომ არ გეშინია ჯადეგებისა? არა, მამილო, კაზაკა ვარ-თქო, მითხარი. კარგი, გეყოფა ტირილი! შინ მივდივართ, შინ! დედიკო ფაფას გაჭმევს, აკვანში ჩაგაკრავს და გიმღერებს:

ლული, ლული, ლული,
ლული, შვილიკო, ლული!
გაიზარდე, გაიზარდე დიდი,
გაახარე კაზაკების გული,
მოსპე შტერი ფლიდი!

მისმინე კატერინა! ვგონებ, მამაშენს არ უნდა სურდეს ჩვენთან მშვიდობიანი ცხოვრება. რაც დაბრუნდა, სულ ცხვირ-პირი ჩამოსტირის, უგუნებოდაა, თითქოს ემდურისო ვილაცას... თუ უკმაყოფილოა, რაღას ჩამოდიოდა, კაზაკთა აზატობის სადღეგრძელოც კი არ შესვა! ბაღლიც არ აიყვანა ხელში! ჭერ იყო და ვიფიქრე, გულს გადავუშლი-მეთქი, მაგრამ არ მიმივიდა გული რატომღაც. სიტყვაც ვერ დავძარი მასთან. არა, მაგას კაზაკის გული არ უნდა უცემდეს მკერდში! ორი კაზაკი რომ შეიყრება, განა მათი გულები არ უნდა ამოცვივდნენ ბუდეებიდან ურთიერთშესახვედრად? რაო, ჩემო ლომებო, მალეა ნაპირი, ზომ? არაფერია, ახალ ქუდებს დაგირიგებთ. შენ, ჩემო სტეცკო, ოქრონემსურ ხავერდის ქუდს გიფეშქაშებ, თათარს რომ წავაძრე თავზე. მთელი მისი მოკაზმულობა მე დამრჩა, სულილა გავუშვი თავის ნებაზე. აბა მივადგეთ ნაპირს! აჰა, ივან, მივედით კიდევ, შენ კი ისევ ტირიხარ! წამოიყვანე ბაღლი, კატერინა!“

ყველანი გადმოსხდნენ. მთის გადაღმა გამოჩნდა ისლის სახურავი დანილოს პაპისეული სახლისა. მას იქით მთაა, შემდეგ ველია გადაჭიმული, სადაც ას ვერსზე ვერ შეხვდებით ვერც ერთ მოსახლე კაზაკს.

III

პან დანილოს ხუტორი ორ მთას შუა ვაწოლილა ვიწრო მინდორზე. სახლი არც ისე მაღალია, უბრალო კაზაკის ხატას მოგაგონებთ. ერთადერთი დარბაზია ამ სახლში, მაგრამ ამ დარბაზში ეტევიან თვით პან დანილო, მეუღლე მისი, მოხუცი მხევალი და ათამდე დარჩეული ვაჟკაცი. კედლების გასწვრივ მუხის დიდი თაროებია, უხვად აწყვია ზედ ჯამები და ქოთნები სატრაპეზოდ, ვერცხლის თასები, საწყაონი ოქროცურვილნი, ნასახსოვრებნი და ომში ნაალაფევნი. მათ ქვემოთ კედელზე ძვირფასი მუშეკეტები, ხმლები, დამბაჩები და შუბები გაწყაპულან, ნებსით თუ უნებლიეთ გადმოსულან ისინი პან დანილოს ხელში თათრების, თურქებისა და ლიახებისაგან. ამაღაც არიან ბრძო-

ლებში ნაცვეთნი. თვალს შეაეღებს მათ პან დანილო და თითქოს ნიშნებით იხსენებსო თავის ქარცეცხლიან ბრძოლებს. ქვემოთ, კედლების ძირში გაშალაშინებული ტახტებია მუხისა, მათ გასწვრივ, სკამლოგინის თაყზე, კერზე მიმაგრებულ რგოლში გაყრილ თოკზე აკვანი ჰკადია. დარბაზში იატაკი თიხითაა მოგლესილი. ტახტებზე პან დანილოს სძინავს მეუღლე თუქუქუ — სკამლოგინზე მოხუც მხევალს, აკვანში ბაღლი წევს, ხოლო იატაკზე — ვაქცხეცხეცს სძინავთ გვერდიგვერდ, თუმც კაზაკს შიშველ მაწაზე ურჩევნია ძილი ღია ცის ქვეშ. მას არც ბუმბულის ბალიში სჭირდება და არც ლეიბი. თავქვეშ ახლად შოთიბულ თივას ამოიდებს და გაიშოთება ბალაზე. მას უხარია ღამე გაღვიძება, ვარსკვლავებით მოოჭვილი ცისთვის თვალის შევლება, ღამის სუსხით აცახცახება, კაზაკის ძვლებს რომ ახალისებს. რულმორეული ბორგავს იგი ბუტბუტით, ჩიბუხს მოსწევს და კვლავ გაეხვევა თბილ ტყაბუჭში.

გვიანობამდის ვერ გაიღვიძა ბურულბაშმა, წინაღამით ნასმურევმა. წამოდგა თუ არა, ტახტის კუთხეზე ჩამოჯდა და თავის ახალ თურქულ იატაგანს დაუწყო ლესვა. პანი კატერინამ კი აბრეშუმის ხელსახოცის ოქრომკედით ქარგვას მიჰყო ხელი. უეცრად კატერინას მამა შემოვიდა გაგულისებული, წარბშეკრული, ზღვის გადაღმიდან გამოყოლილ ჩიბუხი ჰქონდა კბილებში გაჩრილი. ქალიშვილს მიეჭრა და მკაცრი ხმით დაუწყო კილვა, რად დაგავვიანდაო წუხელ სახლში მოსვლა.

„ეგ ამბები, სიმამრო, მაგას კი არა, მე უნდა მკითხო! მაგაზე ცოლი კი არა, ქმარი აგებს პასუხს. ჩვენში აგრე იციან და ნუ განმირისხდები!“ ამბობდა დანილო და თან თავის საქმეს განაგრძობდა. „არ ვიცი, იქნებ უსჯულოთა მხარეში სხვაგვარად იციან, — ჩვენში კი აგრეა“.

სისხლი მოაწვა სიმამროს მოქუფრულ სახეზე, ველურად იელვეს თვალებმა: „ქალს მამამ თუ არ ადევნა თვალყური, აბა სხვამ ვინ უნდა ადევნოს“, — იღრინებოდა იგი, — „ჰა, შენ გეკითხები, სად დაეხეტებოდი გვიან ღამემდე?“

„აი, ეგ უკვე სხვა საქმეა, ჩემო სიმამრო! მაგაზე კი გიპასუხებ, რომ უკვე დიდი ხანია აღარა ვარ იმათ ასაკში; ვისაც დიაცნი ფუთნიან აკვნებში. ცხენზე ვიცი ჭდომა. ბასრი ხმლის მოქნევაც ვიცი. კიდევ რაღაც-რაღაცები ვიცი... ისიც ვიცი, რომ ჩემი საქმეების გამო არავის არ უნდა ჩავაბარო ანგარიში“.

„ვხედავ, ვხედავ, დანილო, ჩხუბი განვიზრახავს. ვინც დღის სინათლეს ემალება, ალბათ ავი აქვს განზრახული!“

„როგორც გენებოს, ისე იდიქრე“. — მიუგო დანილომ, — მეც ჩემსას ვფიქრობ. მადლობა ღმერთს, არც უკეთურ საქმეში დამიდევს წილი ოდესმე. მართლმადიდებლურ რჯულსა და მამულს ვიცავდი მუდამ. ზოგიერთ მაწაწა-ლასავით კი არ დავეხეტებოდი მთელს დუნიაზე, მაშინ როდესაც მართლმორწმუნენი სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ. და შემდეგ კი არ გამოვჩენილვარ, რათა სხვისი დათესილი ხეავი მომემკა. ასეთები უნიატებსაც არ ჰგვანან, ერთხელაც არ შეიხედავენ ღვთის ეკლესიაში. აი, ვის უნდა კარგად დაკითხვა, თუ სად დაეხეტებიან და სად არა!“

„ჰაი, ძმობილო! იცი, რა გითხრა... ძლიერ ცუდად ვისვრი: ასიოდე საუენზე თუ უწევს ჩემი ტყვია კაცის ვულს. ხმალსაც ვერ ვიქნევ რიგიანად: კაცისაგან მუხუდოს უმცირეს ნაკუწებსაც ვტოვებ, ფაფას რომ ხარშავენ დიაცნი...“

„ჰა, მზადა ვარ!“ — დასჭექა პან დანილომ, ხმლით ჯვარი გადასწერა პაერს ჩაუქად, თითქოს იცოდაო, რისთვისაც ლესავდა მახვილს.

„დანილო, — შეპკივლა კატერინამ და სახელოზე ჩამოეკიდა ქმარს. — ნუ შეიშალე, ნუ გავიწყდება ვისზე აღმართე ხელი! მამილო, თმა/თოვლივით გაგთეთრებია, შენ კი შლეგი ყმაწვილივით დაანჩხლებულს...“

„დედაკაცო! — შეუყვარა დანილომ მრისხანედ, მაშინვე იცო, არ მიყვარს ვგეთები! შენს დიაცურ საქმეს მიხედე!“

ვაისმა ხმლების საზარელი ჩახაჩუხი, რკინა რკინას კვეთდა, ნაპერწკლები მტვერივით ეყრებოდა კაზაკებს. ატირებულ კატერინა გვერდით ოთახში გავარდა, ლოგინზე წაიქცა და ყურები დაიკო, რათა არ გაეგონა ხმლების ჩხარუნნი. მაგრამ ისე ცხარედ იბრძოდნენ კაზაკები, მათი ხმლების ხმა მაინც ჩაესმოდა: ჩახ, ჩუხ, ჩახ, ჩუხ, — და მთელს სხეულში უვლიდა თითქოს, — „არა, მეტს ველარ გავუძლებ, ვერა, იქნებ მეწამული სისხლი მოსჩქეფს ახლა მისი თეთრი სხეულიდან, იქნებ დაეცა ჩემი სასურველი; მე კი აქ გავმოტილვარ!“ წამოდგა გაფითრებული, სუნთქვაშეკრული და შევიდა დარბაზში.

ცხარედ იბრძოდნენ კაზაკები. ვერც ერთი სჯობნის, ვერც — მეორე. შეუტევს კატერინას მამა, დაიხვეს პან დანილო, შეუტევს პან დანილო, დაიხვეს სასტიკი მამა. მერმე ისევ გათანაბრდებიან. ცხარობენ. შემოუქნიეს ურთიერთს... უჰ! იწივლეს ხმლებმა და წკრიალით გადატყდა ორივე ვადაში. — „დიდება შენდა ღმერთო!“ — სთქვა კატერინამ და ისევ შეპკივლა, რა დაინახა, ახლა მუშკეტებს სწვდნენ კაზაკები. გამართეს კაჟი და შეწკიბეს ჩახმახი.

ესროლა პან დანილომ, დააცდინა. დაუმიზნა კატერინას მამამ... მოხუცია, თვალი ვერ უჭრის ახალგაზრდულად, მაგრამ ხელმა როდი უმტყუნა. იგრაილა თოფმა... შეტორტმანდა პან დანილო. მეწამულად შეღება სისხლმა კაზაკის ჯუბის მარცხენა სახელო.

„არა“, — დასჭყივლა მან. — ასე იაფად არ მოგყიდი თავს. მარჯვენა ატამანი და არა მარცხენა. აგერ ჰკიდია ჩემი თურქული დამბაჩა; ჯერაც არ უმტყუნია ჩემთვის. ჩამო კედლიდან, ძველო მეგობარო! — და ამ სიტყვებით მისწვდა იგი დამბაჩას.

„დანილო! — იწივლა კატერინამ, მკლავებზე ჩამოეკიდა ქმარს და ფერხით დაუვარდა: — ჩემთვის არ გევედრები. მე ერთი გზა მაქვს, მხოლოდ უღირსი ცოლი არ გადაჰყვება ქმარს. დნებრში, ცივ დნებრში ვპოვებ სამარეს. შენი ბალლი შეიბრაღე, დანილო, შენი ვაჟი! ვინლა გაგიზრდის? ვინ დაუყვავებს? ვინლა ასწავლის შავი ცხენის ჰენებას, რჯულისა და აზატობისათვის ომს? კაზაკურ სმას და მოლზენას? დაილუპე, ჩემო შვილო, დაილუპე! მამა-შენს არად ენადვლები: დახე, რარიგ მიიბრუნა სახე! ო, ახლა კი გაგიცანი კარგად! მხეცი ყოფილხარ, არაადამიანი! მგლის გული გქონია, ბოროტი გველის ფიქრები! მეგონა სიბრაღული მაინც გაგაჩნდა იოტისოდენი, მეგონა, მაგ ქვა გულში ადამიანური გრძობის ნატამალი გაგაჩნდა, მაგრამ მოვტყუვდი მწარედ, მოვტყუვდი! შენი ძელები სიხარულით აცეკვდებიან კუბოში, რა შეიტყობენ, ვით ჩააგდეს ცეცხლში შენი ვაჟი ურჯულო ლიახებმა, როგორ ტირის ძე შენი, დანით დაღადრული, მღუღარე ფისში ჩავდებულის! ოჰ, ახლა კი გაგიცანი! მაშ გაიხარებ არა, კუბოდან წამომდგარი, ქუდის ქნევით უფრო გაუღვივებ კოცონს შენს შვილს!“

„კარგი გეყოფა, კატერინა, დამოშმიხდი! ივან, ჩემო თვალისჩინო, მო-

დი გაკოცო! არა, ჩემო ბიჭო, ვერაფერს გახლებს ხელს, ერთ ბეწვსაც ვერვინ შეეხება შენსას. მამულის სადიდებლად გაიზრდები; ქარივით წინ გატეხოლევა კაზაკებს, ბასრ მახვილამოწვდილი, ხავერდის ქუდიანი. დაჰკა ხელი, მამა! დავივიწყოთ, რაც მოხდა ჩვენს ზორის. შემინდე, თუ რამ დამიშავებია შენ წინაშე. რაო, რად აღარ მაძლევ ხელს? — ეუბნებოდა დანილო კატერინას მამას, ის კი ერთ ადგილზე გაიღებულყო, არც ბრაზი, არც შერიგების სურვილი არ იხატებოდა მის სახეზე.

„მამა! — დაიძახა კატერინამ, გადაეხვია და გადაჰკოცნა: — ნუ იქნები უწყალო, შეუხდე დანილოს, მეტად აღარ გაგანაწყენებს!“

„შენი ხათრით ვაპატიებ, ჩემო ქალო!“ — მიუგო მან, გადაჰკოცნა კატერინა და ამ დროს უცნაურად იელვეს მისმა თვალებმა.

ოდნავ შეცბუნდა კატერინა: ეუცნაურა მამის კოცნაცა და თვალთა ელვაც. იგი მაგიდას ჩამოეყრდნო, რომელზედაც პან დანილო იხვევდა დაჭრილ მკლავს და თან ფიქრობდა: რა დავაშავე, ან რით ვერ მოვიქეციო კაზაკურად, რად ვითხოვეო პატიება უღანაშაულომ.

IV

გათენდა დღე უმზეო: ცა მოღრუბლულა, მსუბუქად თქორავს კელ-მინდვრებზე, ტყეებზე და თვალუწვდენელ დნებრზე. გაიღვიძა პანი კატერინამ, მაგრამ უგუნებოდაა, ნამტირალევა თვალები აქვს, შფოთავს და წრიაღებს: „ჩემო საყვარელო ქმარო, ჩემო სულისდგმავ, რომ იცოდე, რა საოცარი სიზმარი ვნახე!“

„რაო, რა გესიზმრა, ჩემო კატერინა?“

„უცნაურია, მაგრამ ისე ცხადლივ ვნახე, თითქოს მეღვიძაო; მესიზმრა, თითქოს მამაჩემი თავად იყო ის მახინჯი, იასაულთან რომ ვნახეთ იმ დღეს. გვედრები, ნუ დაუჩერებ სიზმარს, რა სისულელე არ მოგელანდება ადამიანს! თითქოს ვიდექი მის წინაშე, ვცახცახებდი, ვძრწოდი და თვითეული მისი სიტყვა ძარღვებში მივლიდა ჟრუჟანტელივით. რომ მოგესმინა, რას მეუბნებოდა...“

„რაო, რას გეუბნებოდა, ჩემო ოქრო კატერინა?“

„რაოდა, მეუბნებოდა: შემომხედე, კატერინა, ნახე რა ტანადი ვარ. რა თვალადი! ხალხი ამოდ ამბობს ჩემზე, მახინჯიაო. საუკეთესო ქმრობას გაგიწევ. შეხე, რა მხერა მაქვს! და ამ სატყვებით მომაბყრო თავისი ანთებული თვალები. მე შევკივლე და გამომეღვიძა“.

„ჰო, სიზმრებში ბევრი სიშართლეა. მართლა, იცი, რას გეტყვი, მთის გადაღმა კვლავ დაირღვა მშვიდობა, მგონი, ისევ ლიახებმა წამოჰყვეს თავი. გორობეცმა კაცი გამომიგზავნა, თხიზლად იყავი, თვალი არ მოგელულოსო, ამოდ სწუხს ჩემთვის, ისედაც არ მიინავს., ჩემმა ბიჭებმა გუშლამ თორმეტი საფრისათვის მოჩუხეს ხეები. პოსპოლიტებს ტყვის ქლიავით გავუმასპინძლებით, შლიახტიჩებს კი კეტებითაც ვაცეკვებთ“...

„მამაჩემმა თუ იცის ეგ ყოველავე?“

„დამიდგა დარდი მამაშენზე! დღემდე ვერ ამომიცივნია ეგ კაცი. ბევრი ცოდვა მიუძღვის, როგორც ჩანს. უცხო მხარეში ხეტიალისას. მართლაც და, რა მი-

„ზეზია, ერთი თვეა აქ ცხოვრობს და აბა ერთხელ მაინც თუ მოილხინა ნამდვილ კაზაკივით! თაფლუჭიც არ ინება! გესმის, კატერინა, ბრესტელ ურიებს რომ წაეპრთვი, ის თაფლუჭი! ჰეი, ბიჭო!“ — დაიძახა პან დანილომ: „წადი, შენს გაზრდას, სარდაფში და ურიისეული თაფლუჭი ამომიტანე! გარეჯკასაც არ გეახლება. ეს რა ღვთის წყრომაა! მე ვგონებ, კატერინა, ქრისტე ღმერთიც არ უნდა სწამდეს მაგას. ჰა, შენ რას ფიქრობ?“

„ღმერთმა იცის, რაებს ამბობ, პან დანილო!“

„საკვირველია, ჩემო პანი! — განაგრძობდა დანილო, თან თიხის კათხა გამოართვა კაზაკს: — ურჯულო კათოლიკენიც კი არ გაურბიან არაყს; თურქები არ სუამენ მხოლოდ. რაო, სტეცკო, ბევრი გადახუხე სარდაფში?“

„ცოტა მოესინჯე, პან“.

„სტყუი, შე მამაძაღლო! ბუზები გეხვევიან უღვაშზე! თვალებზე გეტყობა, ნახევარ ღერგამდე მივირთმევი. ეჰ, კაზაკებო, კაზაკებო! რა ხალხნი ხართ! სხვა ყველაფერი ძმაკაცისთვის ემეტება, სასმელს კი თავად გეახლებათ. დიდი ხანია აღარ დავმთვრალვარ, ჩემო კატერინა, ჰა?“

„რაო, დიდი ხანიაო? წუხელ არ იყო...“

„ნუ გეშინია, ნუ გეშინია, ერთი კათხაც და მორჩა! აი, თურქის ილუმენიც გამოჩნდა კარებში!“ — კბილებში გამოსცრა დანილომ, რა დაინახა სიმამრი, კარებში შემოსასვლელად მოხრილი..

„აბა, ეს საქმეა, ჩემო ქალო? — წამოიწყო მამამ, ქუდი მოიხადა და ქამარი შეისწორა, რომელზედაც ხმალი ეკიდა საუცხოო თვლებით შემკული, — მზე შუბის ტარზე გადახრილა, შენ კი სადილი ჭერაც არ მოგიმზადებია“.

„სადილი უკვე მზად არის, მამავ ბატონო, ახლავე მოგართმევთ! გამოიტანე ანტრიებიანი ქოთანნი, — მიუბრუნდა პანი კატერინა მოხუც მხევალს, რომელიც იქვე ხის ქურჭელს ამშრალვდა, — მოიცა, მე თვითონ გადმოვიღებ, — განაგრძობდა კატერინა, — შენ კი წადი, ბიჭებს მოუხმე!“.

სახატეს გასწვრივ მამა ბატონი დაჯდა, ხელმარცხნივ — პან დანილო, ხელმარჯვნივ პანი კატერინა და ათი უერთგულესი მოყმე, ლურჯი და ყვითელი ჯუბებით მოსილნი.

„ეჰ, არ მიყვარს ეს ანტრიები!“ — წარმოსთქვა მამა ბატონმა, ოდნავ მოსინჯა და გვერდზე გადასდო კოვზი: არაფრის გემო არა აქვთ.

„ვიცი, ურიების ლაფშია რომ გირჩევნია, — გაიფიქრა დანილომ გუნებაში. რაო, სიმამრო, — განაგრძო ხმამაღლა, — შენ ამბობ, ანტრიები უგემურიაო? განა ცუდი ნახელავია? ჩემი კატერინა ისე ამზადებს ანტრიებს, თავად გეტმანსაც კი შეშურდება. განა რად არ უნდა მიგვდიოდეს გული? ეს ხომ ქრისტიანული კერძია! ყველა ღვთის კაცა და წმინდანი მიირთმევდა ანტრიებს“.

მამამ სიტყვა არ დასძრა: პან დანილოც დადუმდა. შემოიტანეს შემწვარი ტახი, კომბოსტოთი და ქლიავით შემზადებული.

„არ მიყვარს ღორის ხორცი“, — გამოსცრა კატერინას მამამ და კოვზით კომბოსტი გადმოიღო მხოლოდ.

„რაო, რად უწყრები ღორის ხორცს? — ეკითხება პან დანილო: — ღორის ხორცს არავინ იწუნებს თურქებისა და ურიების გარდა“.

კიდევ უფრო მოიქუფრა მამა.

წითელჯუბოსანი ნაპირისკენ დაეშვა და ღნებში შეჭრილი კონცხისკენ გაუხვია. „ხედავ, სტეცო, პირდაპირ ჯადევის პუნაგისკენ მივთრევა!“

„მართალია, სწორედ იქ მიდის, პან დანილო! თორემ მეორე მხარეზე გამოსულს დავინახავდით, ეგ კი კოშკთან გაუჩინარდა“.

„დაიცა, გამოვძვრეთ აქედან და მივდიოთ კვალდაკვალ წაღვეს კარგი სუნი არ უდის ამ ამბავს. არა, კატერინა, ხომ გეუბნებოდა, რომ მეთქი კაი კაკი მამაშენი, არც მაგისი საქციელი ჰგავდა მართლმადიდებლის საქციელს“.

პან დანილო და მისი ერთგული მოყმე უკვე ნაპირზე იყვნენ. აი, გაუჩინარდნენ ანაზღად... კოშკის ირგვლივ მთვლემარე ტყემ შთანთქა ისინი. ზედა სარკმელი მკრთალად განათდა. ღვანან კაზაკები და ფიჭრობენ: რარიგ აცოცდეთო ზემოთ. არც ჭიშკარი უჩანს კოშკს, არც ბჭე. ეზოდან იქნება შესასვლელი. მაგრამ ვით მოუხახონ? შორიდან მოისმის, ძაღლების ჯაჭვთა ჩხარუნი.

„რაღას ვფიქრობ ამდენს? — თქვა პან დანილომ და ფანჯრის მოპირდაპირედ მდგარ მუხას შეავლო თვალი: აქ დამელოდე, ბიჭო! მუხაზე ავძვრები, იქიდან პირდაპირ შეიძლება ფანჯარაში შექვრეტა“. — ამ სიტყვებით მან შეინსნა ქამარი, ხმალი მიწაზე დასდო, ჩქამი რომ არ გაელო, ტოტებს მოეჭიდა და ავიდა ხეზე. სარკმელი ისევ ანათებდა. დანილო ტოტზე ჩამოჯდა, ზედ ფანჯრის გასწვრივ, ხეს მოეჭიდა ცალი ხელით და ხედავს: ოთახში სანთელი არ ანთია, მაგრამ მაინც სინათლეა. კედლებზე უცნაური ნიშნებია გამოსახული. იქვე იარაღი ჰკიდია, მაგრამ საკვირველი იარაღი, ასეთს არ ატარებენ არც თურქები, არც ყირიმელები, არც ლიახები, არც ქრისტიანები და არც საქვეყნოდ განთქმული შვედები. ჭერქვეშ მღამიობები დაფრთხილებენ აღმა-დაღმა, მათი ჩრდილი კედლებზე, კარებზე და ტახტზე ცეკვავს. აი, უხმოდ გაიღო კარი, ვიღაც წითელჯუბოსანი შემოდის და ჯიჭურ მიაშურებს თეთრ სუფრაგადაფარებულ მაგიდას. ეს არის, ეს, სიმამრია! პან დანილო ოდნავ დაბლა დაეშვა და უფრო მაგრად მოეჭიდა ხეს.

სიმამრს არც კი სცალია, შეამოწმოს, ვინმე ხომ არ უთვალთვალებს სარკმლიდან. უგუნებოდაა, მოლუშულია. გადააქრო მაგიდას სუფრა და უეცრად ოთახში გამჭვირვალე, ცისფერი ნათელი დაიღვარა, ოღონდ მკრთალ-ოქროვანა სინათლის ტალღები არ შერევიან ცისფერ სინათლეს, თითქოს ზღვაში ყვინთავენო და ფენებად დაღვინდნენ მარმარილოსებრ. ამასობაში მან ქოთანს გამოიტანა და მაგიდაზე დადგა. მერმე რაღაც ბალახები ჩაყარა შიგ.

პან დანილო დააკვირდა სიმამრს და ხედავს: უკვე აღარ აცვია წითელი ჯუბა; მის ნაცვლად ფართო შარვალი გამოჩნდა, თურქებს რომ აცვიათ, ისეთი; წელზე — დამბაჩები, თავზე რაღაც უცნაური წარწერებიანი ქუდი, არც რუსულს ჰგვანდნენ ეს წარწერები და არც პოლონურს. სახე შეცვლოდა: ცხვირი წამოზრდოდა და ტუჩებზე დაჰკიდებოდა, პირაც ყურებამდე გაეხა წამში, პირიდან ეშვი გამოუჩნდა, გვერდზე გადაიხარა და დანილოს თვალწინ დაუდგა ის ჯადევი, რომელიც მან იასაულის ქორწილზე იხილა. — „არა, მართლდება კატერინა, შენი სიზმარი“, — გაიფიქრა ბურთულბაშმა.

ჯადეგმა იწყო მაგიდის შემოვლა, ნიშნებო უფრო და უფრო სწრაფად იცვლებოდნენ კედლებზე, ხოლო მღამიობებმა მოუჩქარეს ფრენას აღმა და დაღმა, წინ და უკან. ცისფერი ნათელი უფრო და უფრო იღვოდა და ბოლოს სულ

გაქრა. უეცრად ოთახი მკრთალ ვარდისფრად განათდა. ჩუმი წკრილით მოედო თითქოს უცხო ნათელი დარბაზის კუთხეებს, მერმე ანაზღად ჩაქრა და ისევ ბნელმა დაისადგურა. შრიალი ისმოდა მხოლოდ — ცელქი ნიავი დასტრიალეზო წყლის მოსარკულ ზედაპირს მყუდრო საღამოს და მოვერცხლილ ტირიფებს ტოტებს უდრეკსო მდინარისაკენ. ეჩვენება პან დანილოს კუთხეში მთვარე გაბადრულა, ვარსკვლავნი მიმოდიან, ბუნდოვნად ვერაფერს ვხედავთ. ზეცა, ღამეული ჰაერის სიცივეც კი სცემს სახეში. ახლა კი ეჩვენება პან დანილოს (აქ კი მან უღვაშზე შეივლო ხელი, ხომ არ მჩინავსო), თითქოს ცა კი აღარ არის ოთახში, არამედ მისი საკუთარი საწოლი ოთახია; კედლებზე მისი თათრული და თურქული ხმლებია;

კედლების გასწვრივ თაროებია, ზედ ჭურჭელია და საოჯახო ნივთები; მაგიდაზე პური და მარილია, იქვე აკვანი პკილია... ხატების მაგიურ კი საზარელი სახეები იმზირებიან. სკამლოგინზე... მაგრამ ამ დროს სქელმა ნისლმა დაფარა ყოველივე, ისევ დაბნელდა და მერმე უჩვეულო წკრილით ისევ ვარდისფრად გასხივოსნდა მთელი დარბაზი და ჯადეგი ისევ უძრავად დგას თავის უცნაურ ჩალმაში. ხმები გაძლიერდა, უფრო და უფრო მკრთალმა ვარდისფერმა ნათელმა იმატა და რაღაც თეთრი ღრუბლის დარი ქულა აფარფატდა ოთახში, ახლა ეჩვენება პან დანილოს, რომ ეს ღრუბელი კი არ არის, არამედ ქალი დგას; თუმც ვერ გაუგია, პაერისაგანაა იგი ნაქსოვი თუ ხორციელი არსებაა? ან რარიგ დგას, მიწას რომ არ ეხება, არაფერს ეყრდნობა, ვარდისფერი ნათელი მსჭვალავს მას და კედლებზე ნიშნებს აცახცახებს. აი, როგორღაც შეარხია მან თავისი გამჭვირვალე თავი: მკრთალად უციმციმებს ღია ცისფერი თვალები; ხვეული თმა მხრებზე სცემს მორუხო ნისლივით; მეწამული ბაგენი გაჭფითრებია, თითქოს გამჭვირვალე, მოთეთრო ცას ალიონისას ცისკრის მეწამული სხივი მოსავსო. მუქად მოსჩინან წარბები... აჰ, კატერინაა! აქ კი იგრძნო დანილომ, რომ ხელ-ფეხის იოგები შეეკრა, სურს დაილაპარაკოს, მაგრამ ტუჩები უხმოდლა მოძრაობენ.

უძრავად იდგა ჯადეგი ერთ ადგილას... „სად იყავი?“ — შეეკითხა იგი და ათრთოლდა მის წინაშე მდგარი აჩრდილი.

„ოჰ! რად გამომიძახე? — ჩუმად დაიკვნესა მან. — რარიგ ვიშვებდი. იმ ადგილას ვიყავ, სადაც დავიბადე და თხუთმეტი წელი გავატარე. ო, რა კარგია იქ! რა მწვანეა, რა სურნელოვანი ის მინდორი, სადაც ვთამაშობდი ჩემს ბავშვობაში! იგივე მინდორის ყვავილები, ჩვენი სახლი, ჩვენი ბოსტანი! ო, როგორ გადამეხვია ჩემი საყვარელი დედიკო! რა საყვარულით ჰქონდა თვალები სავსე! მიყვავებდა, ლოყებს მიკოცნიდა, წმინდა სავარცხლით მივარცხნიდა ქერა ნაწნავს... მამა!“ აქ მან თავისი მკრთალი თვალები მიაპყრო ჯადეგს: — რად გამოსტერი ყელი დედაჩემს?

ჯადეგმა მრისხანედ დაუქნია თითი. „განა მე გთხოვე, ეგ ამბავი ახსენე-მეთქი, — და ამ სიტყვებზე ათრთოლდა პაეროვანი ლამაზმანი. — სად არის ახლა შენი პანა?“

„ჩემს პანის, კატერინას, ჩაეძინა. მე გამეხარდა. შევიფრთხილე და გამოვფრინდი. დიდი ხანია დედის ნახვა მსურდა. უცებ თუთხმეტი წლისა გავხდი. ჩიტვით აემჩატდი. რად გამომიძახე?“

„შენ ხომ გახსოვს, რას გეუბნებოდი ვუშლამ?“ — ისე ჩუმად ჩაპკითხა ჯადეგმა, რომ ძლივსლა მოისმა მისი ხმა.

„მახსოვს, მახსოვს, მაგრამ ყოველივეს დავთმობდი, ოღონდ დამვიწყებოდა ეგ ყოველივე, საბრალო კატერინა! ბევრი რამ არ იცის ყოველივე იმისაგან, რაც მისმა სულმა იცის“.

„კატერინას სულია ეს!“ — გაიფიქრა პან დანილომ; მაგრამ ჯერაც ვერ ბედავდა განძრევას.

„შეინანე, მამა! ნუთუ არ გეშინია, რომ შენ მიერ ჩადენილმა ყოველი მკვლელობის შემდეგ მკვდრები დგებიან საფლავეებიდან?“

„შენ ისევ შენსას გაიძახი! — მრისხანედ გააწყვეტინა ჯადეგმა. — მე მაინც ჩემსას გავიტან, მე გაიძულე შესრულებას ჩემი ნებისას. კატერინა შემიყვარებს მე!“

„ოო, შენ ურჩხული ხარ და არა მამაჩემი!“ — დაიკვნესა აჩრდილმა. — ვერაფერს გააწყობ, ვერა! მართალია, შენი უწმინდური გრძნებით ძალგის სულის გამოძახება და მისი წამება, მაგრამ მხოლოდ ღმერთს ხელეწიფება აღასრულებინოს კატერინას თავისი ნება. არა, ვიდრე მე მის სხეულში ვარ, კატერინა არასოდეს ჩაიდენს ღვთის საძულველ საქმეს. მამა, საშინელი სამსჯავრო ახლოა! მამაც რომ არ ყოფილიყავი ჩემი, მაინც ვერ მაიძულებდი საყვარელი, ერთგული ქმრის ღალატს. ჩემი ქმარი ერთგულიც რომ არ ყოფილიყო ჩემი და სასურველი, მაინც არ ვულალატებდი მას, რამეთუ ღმერთს არ უყვარს მოღალატე და ფიცისგამტეხი სულნი“.

ამ სიტყვებით მან თავისი დაბინდული მზერა მიაპყრო სარკმელს, რომლის გარეთაც პან დანილო იჯდა ხის ტოტზე, და უეცრად გახევდა...

„საით იყურები, ვის ხედავ მანდ?“ — შესძახა ჯადეგმა; პაეროვანი კატერინა უცებ აცახცახდა. მაგრამ პან დანილო უკვე ძირს ჩამომხტარიყო და თავის ერთგულ სტეცკოსთან ერთად გზას მიიკვლევდა მთებისაკენ.

„საზარელია, საზარელი“, — ჩურჩულებდა იგი თავისთვის. უცნაური ძრწოლა დაუფლებოდა კაზაკის გულს. მალე მოაღწია თავის ეზომდის, სადაც ტკბილად ეძინათ კაზაკებს, ერთის გარდა, რომელიც ტალად დამდგარიყო და ჩიბუხს ეწეოდა. ცა ვარსკვლავებით იყო მოოჭვილი.

V

„რა კარგია, რომ გამომაღვიძე! — ამბობდა კატერინა, თვალებს იფშენებდა თავისი პერანგის მოქარგული სახელოთი და თხემით ტერფამდე ათვალერებდა მის წინაშე მდგარ მეუღლეს. — რა საზარელი სიზმარი ვნახე! რარიგ მიჭირდა სუნთქვა! უჰ! მომეჩვენა, თითქოს ვკვდებოდი...“

„რაო, რა გესიზმრა, ეს ზომ არა?“ — და ბურულბაშმა მოუთხრო ცოლს ყოველივე, რაც თვალით იხილა.

„როგორ შეიტყე, ჩემო ქმარო? — გაოცებული ჰკითხავდა კატერინა. — თუმც არა, არა, ბევრი რამ მეუცხოება შენი მონაყოლიდან. მე არ დამსიზმრებია, თითქოს მამაჩემს დედაჩემი მოეკლას; არც მკვდრებზე დამსიზმრებია რამე. არა, დანილო შენ სხვა რაღაცას ჰყვები. აჰ, რა საშინელია მამაჩემი!“

„ეგ არც არის გასაკვირი, რომ ბევრი რამ არ დავსიზმრებია. შენ იმის მეათედიც არ იცი, რაც შენმა სულმა იცის. იცი თუ არა, რომ მამაშენი ანტიქრისტეა? ჯერ კიდევ გასულ წელს, როდესაც მე ღიახებთან ერთად ყირიმელებზე

გალაშქრებისთვის ვემზადებოდი (მაშინ ჯერაც ხელს ვუწვდიდით მაგ ორგულ ხალხს), ბრატსკის მონასტრის იღუმენმა მითხრა, წმინდა ადამიანმა, რომ ანტიქრისტეს ძალი შესწევს თურმე ყოველი ადამიანის სულის გამოძახებისა, როდესაც კაცს ძინავს, სული თურმე თავის ნებაზე დაფარფატებს მთავარანგელოსთა თანა ღვთის საუფლოში. თავდაპირველად ვერ ამოვიცანო, ხედავდი მამაშენი, მე რომ მცოდნოდა, ასეთი მამა გყავდა, არც შეგიჩინებდი, ცხელად მიგატოვებდი და არ დავიმძიმებდი სულს ანტიქრისტეს მოდგმასთან დანათესავების ცოდვითა“.

„დანილო! — წამოიკვნესა კატერინამ, ხელები აიფარა სახეზე და ატირდა: — განა რა დამიშავებია შენს წინაშე? განა ოდესმე მილაღატნია შენთვის, ჩემო საყვარელო? რით დავიმსახურე შენი ასეთი რისხვა? განა ერთგულად არ გამსახურებდი? განა უჯერო სიტყვა რამ მიკადრებია შენთვის, შეზარბოშებული რომ ბრუნდებოდი ხოლმე, ვაქცაყურად ნაქეიფარი? შავთვალწარბა ვაფი განა მე არ გაჩუქე?“

„კარგი, ნუ სტირი, კატერინა, ახლა უკვე გაგიცანი და არასგზით არ მიგატოვებ. მამაშენის კისერზეა ყველა ცოდვა“.

„ნულარ უძახი მაგას მამაჩემს! ეგ აღარ არის მამაჩემი. ღმერთია მოწამე, უარს ვამბობ მაგ კაცზე, უარს ვამბობ მამაჩემზე! ეგ ანტიქრისტეა, ღვთის მოლაღატე! რომც იღუპებოდეს, იხრჩობოდეს, — ხელსაც აღარ გავუწვდი საშველად. შხამაბალახათიც რომ მოიწამლოს და კვდებოდეს, წყალს არ მივაწოდებ. შენა ხარ დღეიდან მამაჩემი“.

VI

პან დანილოს ღრმა სარდაფში ზის ჯადეგი, ბორკილშესხმული, კარი სამი ბოქლომითაა ჩარაზული; შორს დნებრის პირად, იწვის მისი ეშმაკეული კოშკი, სისხლივით წითელი ტალღები შხუილით აწყდებიან დაქველებულ კედლებს. ჯადეგობისთვის და ღვთის საძულველი საქმეებისათვის როდია იგი დამწყვდეული ღრმა სარდაფში; მათთვის უფალი განსჯის მას. იგი ფარული ღალატისთვისაა დამწყვდეული, მართლმადიდებლური რუსული მიწის მტრებთან კავშირისათვის. კათოლიკეთათვის უკრაინელი ხალხის მიყიდვა განიზრახა მან, ქრისტიანული ეკლესიების გადაწვა სურდა, დაღვრემილია ჯადეგი, დამესავით შავი ფიქრები უტრიალებენ თავში; ერთი დღელა დარჩენია მას ამ სოფლად; ხვალ გამოასალმებენ წუთისოფელს. მსუბუქი სასჯელი როდი მოეღას მას: ბედი მისი, თუ ცოცხლად მოხარშეს ქვაბში ან ცოდვილი ტყავი გააძრეს მხოლოდ. ზის ჯადეგი დაღვრემილი, თავჩაქინდრული. ვინ უწყის, ეგებ ნანობს კიდევ სიკვდილის წინ, მაგრამ იმგვარი ცოდვები როდი მიუძღვის, რომ ღმერთმა შეუნდოს. ზევით ვიწრო სარკმელია, რკინის ცხატრით აჭედელი. ბორკილების ჩხარუნით მიადგა იგი სარკმელს და იცქირება, ქალი ხომ არ ჩაივლის მისი სადმე მახლობლად. იგი ხომ უწყინარი მტრედივითაა, ბოროტების დამახსოვრება არ იცის, ნუთუ არ შეიბრალებს მამას... მაგრამ გზაზე არავინ მოსჩანს. გზის ქვევით კი დნებრი მიბობოქრობს; მას არავინ ენალვლება: შხუის და შხუის, ნაღველი ემატება ტუსადს მისი ერთფეროვანი დუღუნისაგან.

აი, ვილაც გამოჩნდა გზაზე — კახაკია! მძიმედ ამოიხრა ტუსალმა.

კვლავ დაცარიელდა მიდამო. აი, ვილაც ეშვება შორი მთიდან. მოფრიალებს მწვანე მოსასხამი... ოქროს ჩიხტი ახურავს თავზე.. ის არის, ის! კიდევ უფრო მიეკრა ჯადეგი სარკმელს. აა, ახლოვდება კიდევ...

„კატერინა! შვილო, მოიღე მოწყალეობა, შემიბრალებს მუხრანით მიაბიჯებს ქალი, გაგონებაც არ სურს არაფრისა, არც გამობრუნდება. აი, უკვე გაუჩინარდა... დაცარიელდა მთელი სამყარო. ნალვლიანად მიდუღუნებს დნებრი. დარდი მოაწვა გულს. იცის კი ჯადეგმა, რა არის დარდი?“

საღამოვდება. მზე ჩავიდა. დამდება: გრილა, სადღაც შორს ხარის ზმუილი ისმის; საიდანღაც ხმები მოდის, ჩანს, სამუშაოდან ქრიაშულით ბრუნდება ხალხი. დნებრზე ნავი გამოჩნდა.. მაგრამ ტუსალი ვის ენალვლება? ცაზე ვერცხლის ნამგალი გაილანდა. ვილაც მოდის მოპირდაპირე მხრიდან. ბნელში ძნელია გარჩევა. ეს კატერინა ბრუნდება უკან.

„შვილო, მომხედე, ქრისტეს გულისათვის, ავი მგლის ლეკვიც შეიბრალებს მშობელს, შვილო, შემომხედე მაინც, ძვირისმოკმედ მამას შენსას, თვალი შემაკვლე! — იგი არ უსმენს და განაგრძობს გზას. — შვილო, საცოდავი დედაშენის ხსოვნის გულისათვის... — ქალი შეჩერდა. — მოდი, შეისმინე ჩემი სიტყვა უკანასკნელი!“

„რაო, რად მიხმობ, ღვთის მოღალატე? ნუ მიწოდებ შვილს. ჩვენ აღარ ვართ ნათესავები. რა გსურს ჩემგან უბედური დედაჩემის ხსოვნის გულისათვის?“

„კატერინა! აღსასრული ჩემი კარზეა! ვიცი, შენს ქმარს განუზრახავს ჩემი გამობმა ცხენის ძუაზე და გაჭენება ველზე ცხენისა, ან იქნებ უარესი სატანჯველიც მომაგოს რამე...“

„განა არსებობს ქვეყნად სატანჯველი, შენი ცოდვების საკადრისი? ელოდე სატანჯველს, არავინ დაგიდგება ქომაგად!“

„კატერინა, სასჯელის როდი მეშინია, არამედ იმსოფლიური წამებისა... შენ უმანკო ხარ, კატერინა. შენი სული სამოთხეში იფრენს, ღვთის წიაღში, ღვთის მოღალატე მამაშენის სული კი მარადიულ ცეცხლში დაიდაგება და აროდეს ჩაქრება ცეცხლი იგი; უფრო და უფრო მძლავრად აღეგზნება უკუნისამდე. წვეთ ცვარს არაეინ მაღირსებს, სიოც არ დაჰბერს მცირეოდენი“...

„მაგ სასჯელის შემსუბუქება, მე არ ძალმიძს“, — თქვა კატერინამ და იბრუნა პირი.

„კატერინა! დადექ და შეისმინე ჩემი სიტყვა: შენ ძალმიძს ხსნა ჩემი სულისა. შენ ჯერაც არ უწყი, რა სახიერია ღმერთი, რა მოწყალეა. ხომ გაგიგია პავლე მოციქული რა ცოდვილი კაცი იყო, ხოლო შემდეგ შეინანა და წმინდანი გახდა“.

„აბა, რა შემძლია მე შენი სულის სახსნელად, — თქვა კატერინამ, — განა მე, სუსტ ქალს, ძალმიძს მაგაზე ფიქრი?“

„აქედან რომ დამახსნევიან თავი, ყოველივეს მივატოვებდი. შევიანებდი, გამოქვაბულში ჩავიკეტებოდი, უხეშ ჯვალს ჩავიცვამდი, ვილოცებდი ღმერთს და ღამე. სახსნილოს კი არა, თევზსაც აღარ გავიკარებდი! შიშველ მიწაზე დავიძინებდი! ვილოცებდი და ვილოცებდი! და თუ არ შემინდობს ღმერთი ცოდვათა ჩემთა მეთავეს მაინც, კისრამდე მიწაში ჩავეფლობი ან კედელში ჩავიშენებ თავს, სამელ-საჰმელს არ გავიკარებ და ისე მოგკვდები, მთელ ჩემს

ქონებას ბერებს დავურიგებ, რათა ორმოცი დღე და ღამე აღასრულონ პანაშვი-
დი ჩემი სულისათვის“.

დაფიქრდა კატერინა. „მე კი გაგიღებდი კარს, მაგრამ შენს ჯაჭვებს რა
ეშველება?“

„ჯაჭვებისა არ მეშინია, — სთქვა ჯადეგმა, — შენ ამბობ მაგათ ხელ-ფე-
ხი შემობორკეს? არა, მე ჩემი გრძნებით მზერა დავუბინდე მათ და ხელის ნაც-
ვლად ხის გამხმარი ტოტი გავუწოდე. აჰა, შემომხედე, სადღაა ჯაჭვები! — თქვა
მან და შუა საკანში გამოვიდა; — კედლებსაც არ შევებუებოდი და გავილოდი
კედელში, მაგრამ შენმა ქმარმა არც კი იცის, ეს რა კედლებია, ისინი წმინდა
განდგილმა აღაშენა და ვერავითარი არაწმინდა ძალა ვერ გაიყვანს აქედან
ბორკილებშესხმულს, თუ იმავე გასაღებით არ გააღო ეს კარი, რომლითაც
წმინდანი თავის სენაკს კეტავდა. ასეთივე სენაკს გავითხრი ჩემთვის, როდესაც
გავალ, რამეთუ არგაგონილი და არნახული ცოდვილი ვარ მე!“

„კარგი, გაგიშვებ, მაგრამ ვაითუ მატყუებ? — თქვა კატერინამ და კარ-
თან შეჩერდა: — ვაითუ, მონანიების ნაცვლად, ისევ ეშმას დაუძმობილდე?“

„არა, კატერინა, მე ისედაც მცირე ხანილა დამშთენია ამსოფლად, სას-
ჯელის გარეშეც ახლოა ჩემი აღსასრული. ნუთუ გგონია, ჩემსავე თავს საუკუ-
ნო სასჯელისათვის გავწირავ?“

დაიხრაალა კლიტემ.

„მშვიდობით! გფარვიდეს ღმერთი, ყოვლად მოწყალე, შვილო ჩემო!“ —
სთქვა ჯადეგმა და გადაკოცნა შვილი.

„არ მომეკარო არნახულო, არგაგონილო ცოდვილო, ჩქარა განმშორდი“.
— ამბობდა კატერინა, მაგრამ იგი უკვე გაუჩინარდა.

„აჰა, გავუშვი, — ძრწოლით თქვა ქალმა და შეშლილივით მიმოავლო
თვალები კედლებს. რაღას ვეტყვი ახლა ჩემს ქმარს? დავიღუპე, სხვა გზა არ
არის, ცოცხლად უნდა დავიმარხო თავი. — და ატირებული დაემხო იმ კუნძ-
ზე, რომელზედაც იჯდა ტუსადი. — „სამაგიეროდ სული ვიხსენი მისი“, — ჩაი-
ჩურჩულა მან, — ღვთის სათნო საქმე ჩავიღინე... მაგრამ ჩემი ქმარი... მე ხომ
პირველად ვატყუებ მას ჩემს სიცოცხლეში! ო, რა საშინელებაა, როგორ გა-
მიჭირდება მის წინაშე ტყუილის თქმა. აი, ვიღაც მოდის. ის არის, ის, ჩემი
ქმარია!“ — სასოწარკვეთით შეჰკვივლა მან და უგრძობლად დაეცა მიწაზე.

VII

„მე ვარ, შვილო, მე ვარ, შემოგველე“. — მოესმა კატერინას, თვალი გა-
ახილა და დაინახა მოხუცი მხევალი. დედაკაცი დახრილიყო მის თავთან და
რაღაცას ბუტბუტებდა, თან წყალს აკურებდა კატერინას თავისი გამხმარი
ხელით.

„სადა ვარ? — იკითხა კატერინამ, წამოიწია და მიმოიხედა. — აქეთ ღნებ-
რი ხმაურობს, იქით მთებია, სად მომიყვანე, დედაკაცო!“

„კი არ მოგიყვანე, გამოგიყვანე; ხელით ამოგიტანე ჩახუთული სარდა-
ფიდან. გასაღებითაც ჩავკეტე. რომ არ მოგხვედროდა პან დანილოსაგან“.

„სად არის გასაღები? — თქვა კატერინამ და სარტყელზე დაიხედა, —
ვერ ვხედავ გასაღებს“.

„იგი შენმა ქმარმა შეგხსნა წელან და წავიდა, ჯადეგს დავხედავო, შეი-
ლოა“.

„დავხედავო“ ქალო, დავიღუპე!“ — წამოიძახა კატერინამ.

„ღმერთმა გვაშოროს, შეილიკო, ყოველი სიავე! შენ გაჩუბდი, ჩემო ქალბა-
ტონო, და ვერავენ ვერაფერს გაიგებს“.

„გაიქცა, გაიქცა, წყეული ანტიქრისტე! გაიგონე, კატერინა! გაქცეულა!“ —
დაიძახა კარში შემოსულმა დანილომ და ცოლს მიაშურა. თვალთაგან ცეცხლს
ჰყრიდა; ხმალი ჩხრიალებდა მის ქამარზე. ცოლი გახევდა.

„რაო, ვინმემ ხომ არ გაუშვა, ჩემო კარვო?“ — ჩაილაპარაკა კატერინამ
ცახცახით.

„გაუშვა, გაუშვა, მართალი ხარ, ოღონდ ეშმამ გაუშვა. შეხე, მის ნაც-
ვლად ხის მორია ბორკილებში ჩაჭედილი. ხედავ, ღმერთმა ისე მოაწყო საქმე,
რომ ეშმა არ უფროთხის კაზაკის ტორებს! ასეთი რამ აზრადაც რომ მოსვლო-
და ჩემს რომელიმე კაზაკს... ო, რა სატანჯველს მოვუგონებდი!“

„კი მაგრამ, მე რომ...“ — უნებლიეთ წამოსცდა კატერინას და შიშისა-
გან ხმა გაუწყდა.

„შენ რომ მოგსვლოდა ეგ აზრი, აღარ გოგულვებდი ცოლად. ტომარაში
ჩაგკერავდი და შიგ შუაგულ დნეპრში ჩაგაჩრჩობდი!“

კატერინას სუნთქვა შეეკრა. თმა ყალყზე დაუდგა თათქოს.

VIII

სასაზღვრო ვზაზე, სამიკიტნოში, უკვე ორი დღეა ლიახებს მოუყრიათ
თავი და ღრეობენ. ბლომიდ შეგროვილან ეს გარეწრები. სამეკობროდ თუ ემ-
ხადებიან; ზოგი მუშკეტებითაც კი აღჭურვილა. ისმის დეზების ჩხრიალი,
ხმლების წკარუნი, პანები ღრეობენ და ტრაბანობენ, თავის სანაქებო საქმე-
ებს ჰყვებიან, დასცინიან მართლმადიდებლობას, უკრაანელ ხალხს თავის
ყმად რაცხავენ, მედიდურად იგრეხენ უღვაშებს, ტახტებზე გორაობენ თავგა-
დავდებულნი. ქსენძიც თან ახლავთ, ოღონდ ეს ქსენძი მათივე ავან-ჩავანია,
არაფერი უგავს ქრისტიან მღვდელს. სვამს და ღრეობს მათთან ერთად, ათას
უწმაწურობას ჰყვება უშვერის პირით! ყმებიც არ ჩამორჩებიან ბატონებს.
დაძენძილი ჯუბების სახელოები აუკრეფიათ და დააბოტებენ ცხვირაწეულნი:
აქაოდა, ჩვენც ნახირ-ნახირო. ბანქოს თამაშობენ, ცხვირში ურტყამენ ურთა-
ერთს ბანქოს ქალაღდებს. მოუგროვებიათ სხვისი ცოლები. ისმის ჩხუბი, და-
ვიდარაბა!... პანები ბობოქრობენ და ლაზღანღარობენ: ურიას წვერით ათრე-
ვენ, ჯვარს ახატავენ ურჯულოს შუბლზე: ესვრიან დედაკაცებს ფუჭი პილზე-
ბით, კრაკოვიაკს ცეკვავენ თავიანთ უკეთურ მღვდელთან ერთად. ასეთი
საცთური თათრებისგანაც კი არ ახსოვს რუსულ მიწას. უთუოდ ღმერთმა მო-
უვლინა ცოდვითათვის მსგავსი მოყივნება! ამ სოდომში პან დანილოს ხუტო-
რის ხსენებაც გაისმის, მისი კეკლუცი ცოლისაც... სჩანს, კეთილი საქმისათვის
არ შეკრებილა ეს ყაჩაღთა ბრბო!

IX

ზის პან დანილო თავის დარბაზში მაგადასთან იდაყვად უდრდობით და ფიქრს მისცემია. პანი კატერინა კი სკამლოგინზე ჩამომჯდარა და მღერის.

„დარდიანად ვარ. რატომღაც, ცოლო! — ამოთქვა პან დანილომ — მოავაც მტკივა და გულიცა, გულმჭიმვდა ვარ რაღაც! სადღაც მსკობის მსკობის დააბიჯებს ჩემი სიკვდილი“.

„რაო, ჩემო საყვარელო, მომყრდნე თავი, რად უღებ კარს ეგზომ შავ ფიქრებს“, — გაიფიქრა კატერინამ. მაგრამ თქმა კი ვეღარ გაბედა. ერცხვი-ნებოდა ქმრის მიაღერსება, რადგან დამნაშავედ რაცხდა თავს მის წინაშე.

მისმინე, ცოლო! — თქვა პან დანილომ: — ვაჟი არ მიმიტოვო, როდესაც მე აღარ ვიქნები. თუ მიატოვებ, ღმერთი არ გაღირსებს ბედნიერებას, არც ამსოფლად და არც იმსოფლად დაუმძიმდებათ ძვლებს ჩემსას ლაობა შავს მიწაში, უფრორე სულს დაუმძიმდება ჩემსას“.

„აბა, რას ამბობ, ჩემო ნუგეშო, განა თავად არ დაგვცინოდი სუსტ დიაცთა? ახლა კი თავად უბნობ სუსტი დიაცივით. შენ კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლო“.

„არა, კატერინა, სიკვდილის მოახლოებას მიგრძნობს გული. მოწყენილი ვარ რაღაც ამსოფლად. უკეთური დრო მოდის. ეჰ, მახსოვს, მახსოვს ძველი დროება. რაღა მოაბრუნებს მას! მაშინ ჯერაც ცოცხალი იყო ჩვენი ლაშქრის სინდისი და პატიოსნება, ბერი კონაშევიჩი! თითქოს ჩემ თვალწინ მიაბიჯებენო კაზაკთა ათასეულები. ოქროს ხანა იყო ის ხანა, კატერინა! მოხუცი გეტმანი შავ ტაიჭზე აღმჯდარიყო. კვერთხი უელავდა ხელში. გარშემო მცველები ეხვივნენ. მის ირგვლივ კი ზაპოროჟიელთა წითელი ზღვა ღალანებდა. დაიწყებდა გეტმანი სიტყვას და გაყუჩდებოდა ყოველივე. ცრემლი სდიოდა ბერიკაცს თვლთაგან, ძველთა საქმეთა და კვეთებათა გახსენებისას. ეჰ, რომ იცოდე, კატერინა, რარიგ ვჩეხავდით თურქთა! დღესაც მაჩნია თავზე ნახმლევი. ოთხივე მხრივ ოთხმა ტყვიამ გამიარა იი, ამ სხეულში. არც ერთი ნატყვიარი არ შემხორციებია სრულად. რამდენი ოქრო ვიალაფეთ იმეამად! პატიოსან თვლებს ქუდებით აგროვებდნენ კაზაკები. რა ცხენები წამოვასხით, რა ჰუნები, რომ იცოდე, კატერინა! ეჰ, სადღა იალმიქს იმგვარი ომი! არც მოხუცა ვარ, თითქოს ჯანმადარიც ვარ, კაზაკური ხმალი კი ხელიდან მივარდება! უქმად ვცხოვრობ, აღარც კი ვუწყვი, რად ვბოვინობ ამ ქვეყანაზე. წესი და რივი აღარ არის უკრაინაში; პოლკოვნიკები და იასაულები ძაღლებივით ერთურთს ძიძგნიან; თავკაცის თავი აღარ თავობს. ჩვენმა შლიახტამაც სულ პოლონური ჩვევები გადმოიღო, ვერაგობა შეითვისა... სული გაყიდა, უნია მიიღო... ურიები სჩაგრავენ საწყალ ხალხს. ვაჰ, დრონი, დრონი, წარსულნი დრონი! სად გაჰქრნენ ჩემი წლები?.. წადი, ბიჭო, სარდაფიდან ერთი კათხა თაფლუჭი ამომიტანე! შეესვა მაინც წარსული სვისა, წარსულთა დღეთა!“

„სტუმრებს რითლა დავუხვდეთ, პან? სანახის მხრიდან ლიახები მოდიან“, — დაიძახა დარბაზში შემოსულმა სტეცკომ.

„ვიცი, ვიცი, რისთვისაც მოდიან! — აღმოსათქვა პან დანილომ და წამოდგა. — შეიკაზმეთ ცხენები, ჩემო ერთგულო ბიჭებო! აღიჭურვეთ, იშიშვლეთ, ხმალი! ტყვია-წამალიც არ დაგავიწყდეთ. სტუმრებს პატივით უნდა დახვედრა!“

მაგრამ კაზაკებმა ვერც კი მოასწრეს ცხენებზე ამხედრება და მუშკეტების დატენვა, რომ ლიახები შემოდგომის ფოთლებივით მოეფინენ მათა.

„ოჰო, საკმაო ხალხი გვყოლია მოსაკითხი! — სთქვა პან დანილომ და თვალი შეავლო ჩასუქებულ პანებს, მედიდურად რომ მოუძღოდნენ რაზმს, და მოიწეოდნენ ოქროსმოსართავიან ცხენებზე. სჩანს, კიდევ უნდა მოგვიწევს გვარიანი ლხინი! გაინავარდე, კაზაკის სულო, უკანასკნელად დახეობ, ბიჭებო, მოვიდა ჩვენი დღესასწაული!“

გაჩაღდა მთებზე ლხინი და დავლური. კვესავენ ხმლები, ზუზუნებენ ტყვიები. გაისმის ცხენთა ჭიხვინი, ფლოქვების თქარუნი. ყიყინა აშმაგებს მებრძოლთა გულებს, კვამლი აბრმავებს თვალებს. ურთიერთში აირია ყოველი მაგრამ კაზაკს გული უგრძნობს, სადაა მტერი და სად მოყვარე; გაისინებს ტყვია და მარჯვე მხედარი ძირს დაენარცხება; დაჰკვესავს ხმალი, თავი გაგორდება მიწაზე და ბუტბუტებს გაუგებარ სიტყვებს.

ბრბოში პან დანილოს წითელი კაზაკურა ქუდის კოწოლიც მოჩანს; ოქროს ქამარი თვალისმომკრელად ელავს მის ლურჯ ჯუბაზე; ქარიშხალივით დაჰქრის შავი ტაიჭი ფაფარაშლილი. ჩიტივით ხან აქ გამოკრთება, ხან იქ. დამასკურ მახვილს იქნევს ყიყინით, მხარილლივ სხებავს მტერს. დაჰკა, კაზაკო, გაიხარე, კაზაკო! გაიხარე ჭაბუჯი გული, თვალს ნუ დაადგამ ოქროს მოსართავებს, ოქროცურვილ ჯუბებს! გასთელე ფეხით ოქრო და თვალი პატიოსანი! ადგერე შუბი მტერს, მოილხინე! მაგრამ უკანაც მოიხედდე: უკეთურმა ლიახებმა უკვე სახლებს შეუგზნეს ცეცხლი და დამფრთხალ საქონელს მიერეკებიან. შემობრუნდა პან დანილო, გრიგალივით გაჰქუშლა ცხენი და აჰა, მისი წითელთხემიანი ქუდი უკვე სახლების მახლობლად ელავს. შეთხელდა რაზმი მის ირგვლივ.

ერთი და ორი საათი როდია, რაც იბრძვიან კაზაკები და ლიახები. შეთხელდა ორივე მხარე. მაგრამ არ მოღლილა პან დანილო: თავისი გრძელბუნოსანი შუბით ყრის ლიახებს უნაგირებიდან, ცხენდაცხენ თელავს ქვეითთა. აჰა, გაიწმინდა ეზო, გარბიან ლიახები. კაზაკები უკვე აძრობენ მკვდრებს ოქრომკედოვან ჯუბებს და მდიდრულ აღკაზმულობას; უკვე დადევნებას აპირებს პან დანილო, მიმოიხედა, რათა მოუხმოს თავისიანებს... და მეყსეულად რისხვით აუდუღდა სისხლი: კატერინას მამას მოჰკრა თვალი. მთაზე დგას იგი და მუშკეტს უმიზნებს პან დანილოს. დანილომ მოსწყვიტა ცხენი და პირდაპირ მისკენ გააჭენა... დადექ, კაზაკო, დაიღუპები!.. დაიგრიალა მუშკეტმა და ჯადეგი მთის გადაღმა გაუჩინარდა. მხოლოდ ერთგულმა სტეცკომ ჰკიდა თვალი მის წითელ სამოსსა და საკვირველ ქუდს. დატორტმანდა კაზაკი და განერთხო მიწაზე. მიეჭრა პანს ერთგული სტეცკო, პანი მისი მიწაზე გართხმულა, მოუხუჭავს ნათელი თვალები. მეწამული სისხლი სჩქეფს მკერდიდან. მაგრამ თითქოს იგზნოო ერთგული ყმა თვისი. მძიმედ ასწია ქუთუთოები და ეუბნება თვალანთებული: „მშვიდობით, სტეცკო! კატერინას უთხარი, ვაჟი არ მიმიტოვოთქო! თქვენც ნუ მიმიტოვებთ მას, ჩემო ერთგულო ბიჭებო!“ — ესა თქვა და დადუმდნენ ბაგენი. გამოფრინდა კაზაკის სული კეთილშობილი სხეულიდან გალურჯდნენ ბაგენი. დაიძინა კაზაკმა საშუდამოდ.

მოსთქვამს ერთგული ყმა და ხელს უქნევს კატერინას — „აქ მოდი, პანა, აქ მოდი, დაგვითვრა პანი! შავ მიწაზე წევს ნასმურევი. დიდხანს აღარ გამოფხიზლდება!“

ხელები გაასავსავა კატერინამ და მოკრილ ძნასავით გადაემხო ცხედარს ავაიმე, ჩემო ქმარო, რაო, რად წევხარ, რად დაგიხუჭავს თვალები? ადგი, ჩემო შევარდენო, ჩემო თვალის ჩინო, გამომიწოდე ხელი! წამომართე! ერთ-ხელ მაინც შეავლე თვალი შენს კატერინას! გახსენი ბაგე, ერთი სიტყვა მაინც მაღირსე! რად სდუმხარ, რად, ჩემო სახებადრო ბატონო! გალურჯებულხარ შავ ზღვასავით! აღარ გიცემს გული! რაო, რად გაციებულხარ აგრე, პან! ცხელი ცრემლი ვერ დაგაფრქვიე, ვერ გავათბე ალბათ! ხმამაღალი არ ყოფილა ჩემი ტირილი რახან არ გესმის და არ იღვიძებ! ვინღა გაუძღვება შენს რაზმებს შავი ტაიჭით? ვინღა დასტყვივლებს, ხმალს ვინ მოიქნევს? კაზაკებო, კაზაკებო, სადღაა თქვენი სახელი და დიდება! მიწაზე გართხმულა თქვენი დიდება. დამასაფლავეთ, დამასაფლავეთ ქმართან! ერთად! მიწა მომაყარეთ თვალებზე! იფნის ფიცრები დამაწყვეთ თეთრ მკერდზე! ან რაღას ვაქნევ ჩემს სილამაზეს!”

ტირის და მოსთქვამს კატერინა, მორით კი მტვრის ბუჭი ავარდა: ბებერი ისაუღლი გორობეცი მოჰქრის მამველად.

X

საოცარია დნებრი წყნარ ამინდში, ნება-ნებაზე როს მიაცურებს თავის უბე ტალღებს ტყეებსა და მთებს შორის. ერთს არ დაიჩქრიალებს, ერთს არ დაიჩქუნებს. უმზერ და ისიც ვერ გაგიგია. მიედინება თუ არა ეს სიღიადე. გეზმანება, თითქოს მთლიანად მინისგან არისო იგი ჩამოსხმული, თითქოს ცისფერი გზა მოსარკული, უკიდვგანო და უსასრულო, მიემართება ამწვანებულ სამყაროში. მცხუნვარე მზეს ეხალისება გადმოხედვა ეს თავანიდან, სხივების ჩაძირვა მინისებრ გრილი წყლის მორევში, ნაპირის ტყეებსაც უხარიათ ნათლად არეკლვა მის ზედაპირზე. მწვანეკულულიან, ხშირ ტყეებს! მინდვრის ყვავილებთან ერთად შემოჯარულან ისინი წყლის პირას, თავჩაქინდრულნი იმზირებიან მის სიღრმეში, ცქერით ვერ ძლება მათი ნათელი თვალი, უცინიან, ესალმებიან ტოტების ქნევით. მის შუაგულში კი ვერ ბედავენ ჩახედვას, ვერავენ ბედავს გარდა მზისა და ლურჯი ცისა. ჩიტიც კი იშვიათად თუ მიფრინდება დნებრის შუაგულამდე. დიდებულაა დნებრი! მისი ბადალი მდინარე არ მოიპოვება მთელ დუნიაზე. საოცარია დნებრი ზაფხულის თბილი ღამითაც, როდესაც სძინავს ყოველივეს, მხეცსაც, ფრინველსაც, ადამიანსაც. უფალი ასხივოსნებს ცასა და მყარს, არხევს დიდებულ მოსასხამს თვისას ვარსკვლავებიანს. ვარსკვლავნი დაჰნათიან გაჩახჩახებულ სამყაროს და ერთიან ირეკლებიან დნებრში. ყოველივეს იტევს დნებრი თავის ჩაშავებულ უბეში, ვერ გაექცევა მას ვერც ერთი ვარსკვლავი, თუ არ ვაქრა ცაზე. შავი ტყე, მძინარე ყვავებით დახუნძლული, ძველთაძველი მთავრებნილები, ცდილობენ გადაფარვას მისას თავიანთი გრძელი ჩრდილებით. მაგრამ ამოდ! არაფერია ქვეყნად ისეთი, დნებრი რომ გადაჰფაროს. მიედინება ეს სილურჯე მწვანე შორეთში ღლითაც, ღამითაც, კაცის თვალი ვერ გასწვდება მას. ღამის სიგრილეში შემცინებული ნაზდება და ეკვრის ნაპირებს. დავერცხლილი ჭავლნი სერავენ მას, დამასკური მახვილივით მოელვარენი, თავად კი ლურჯდება და იძინებს კვლავ გაყუჩებულნი. საოცარია ამ დროს დნებრი და ვერ უდრება მას ამქვეყნად ვერც

ერთი მდინარე! როდესაც ცაზე და მთებზე გროვდებიან შავი ღრუბლები, შავი ტყე ირევა თხემით ტერფამდე; გრიანებენ მუხებში, ელვა იცლიანება და ანათებს სამყაროს, — საშინელია ამ დროს დნებრი. აქუხდებიან წყლის გორები, ეხეთქებიან აქოჩრილნი ნაპირის კლდეებს, ვმინვით უჩქვან უჩქვან, მოსთქვამენ და ხრიანებენ ბედითად. ასე მოსთქვამს კაზაკებს მთაწვეთს, როდესაც რომში მიაცილებს ვაჟს. შამაცურად, დანდობილად ამხედრებულა იგი შავ ულაცზე დოანჯშემოყრით, დარდიმანდულად ქუდჩატეხილი; დედა კი მოთქმით უკან მისდევს, უზანგს ეჭიდება, აღვირს ეპოტინება, ხელებს იმტვრევს ზედა და უხვად აფრქვევს მდულარე ცრემლებს.

ავბედითად ჩანავებულან დანახშირებული კუნძები და ლოდები მდინარეში შეჭრილ ნაპირზე. ნაპირს აწყდება და ქანაობს რიყეზე მომდგარი ნავი. რომელმა კაზაკმა გაბედა ასეთ დროს ნავით სვირნობა, ნუთუ არ უკრთის მძვინვარებას ბებერი დნებრისას? ალბათ არ უწყის, ბუზების მსგავსად რომ ნთქავს იგი ადამიანებს.

ნავმა გაინაპირა და ჯადვეგი გადმოვიდა ხმელეთზე. დაღვრემილია იგი, ემწვავა ის ქელები, კაზაკებმა რომ გაუშარათეს თავიანთ პანს, ბრძოლაში დაცემულს. ძვირად დაუჯდათ ღიახებს ლაშქრობა: ორმოცდაოთხი პანი აკუწეს კაზაკებმა თავიანთი აღკაზმულობითა და ჯუბებიითურთ, მათთან ერთად ოცდაცამეტი ყმა. დანარჩენები კი დაატყვევეს ცბენებიანად, სათათრეთში გასაყიდად.

ქვის საფეხურებით დაეშვა ჯადვეგი დანახშირებულ კუნძებს შორის, თავის ღრმა მიწურში. უხმოდ შევიდა, სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე დადგა ქოთანნი და თავისი გრძელი ხელებით იწყო შიგ ჩაყრა უცხო ბალახებისა. მერმე აიღო კათხა. უცნაური ხისგან გამოთლილი, ამოიღო წყალი და მოაპკურა, თან გაუგებარ შელოცვებს ბუტბუტებდნენ მისი ბაგენი. ოთახში ვარდისფრად განათდა; საშინელი სახე გაუხდა ჯადვეგს. მთლად სისხლიანი, ნათქები შავად უჩანდა, თვალები თითქოს ცეცხლს აფრქვევდნენ. უკეთური ცოდვილი! წვერი დიდი ხანია გაქალარავებოდა, სახე სრულიად დაღაროდა, მთლად გამხდარიყო, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა თავის ღვთისსაძულველ ჩანაფიქრს. ოთახის შუაგულში თეთრი ღრუბელი აფარფატდა და თითქოს სიხარულმა გაუელვარო სახეზე. მაგრამ უეცრად გახევდა იგი პირდაფჩენილი, ვედარ ბედავს განძრევასაც კი, თმა ყალყზე დაუდგა. ღრუბელში ვილაციის საოცარი სახე გამოჩნდა. მოუხმობლად, დაუბატყებლად მოაკითხა უცხო სტუმარმა: უფრო და უფრო გამოიკვეთა უცნობი სახე და უქრავი თვალები მიაპყრო ჯადვეგს. მისი ნაკვთები თვალ-წარბი, ტუჩები — ყველაფერი უცნობა იყო მისთვის. არასოდეს ენახა ისინი თავის სიცოცხლეში. თითქოს და არაფერი იყო საშიში ამ სახეში, მაგრამ დაუთრგუნველმა ძრწოლამ აიტანა იგი რატომღაც. უცნობის საკვირველი თავი კი ისევ უძრავად მისჩერებოდა მას ღრუბლიდან. ღრუბელი გაქჭრა; არნახული ნაკვთები კი უფრო და უფრო იკვეთებოდნენ, გამჭოლ თვალებს არ ამორებდა მას უცნობი: ჯადვეგი გათეთრდა სუდარასავით. ველური არაადამიანური ხმით შეპყვირა და გადააბრუნა ქოთანი... ყოველაფე გაქჭრა.

XI

„დამშვიდდი, ჩემო საყვარელო დაო! — ამბობდა მოხუცი იასაული გორობეცი. — სიზმრები იშვიათად ამბობენ მართალს.“

„დაწეკი, დაიხვეწე, ჩემო დაუო!“ — ამბობდა მისი ახალგაზრდა რძალი, — მე დედაბუის მოვუხმობ, მლოცავს, ვერავითარი ძალა ვერ დასძლევს მის შელოცვას, იგი გამოვილოცავს შიშნეულობას“.

„ნურათრისა გეშინია, — ამბობდა იასაულის ვაჟი და ხმლის ვადას ბლუ-
ქავდა, — ვერავინ გაგიბედავს განაწყენებას“.

მოლუშული, თვალამღვრეული უცქერდა ყველას კატერინა, სიტყვები ვერ
უბოვია: „თავად დავილუბე თავი, მე გავათავისუფლე იგი“. ბოლოს თქვა:

„მოსვენებას აღარ მაძლევს! უკვე ათი დღეა, რაც კიევში ვარ, თქვენთან: ვაება კი ერთი წუთითაც არ შემიმცირდა, ვიფიქრე, აქ სიწყნარეში გავზრდი- მეთქი ჩემს ვაჟს, შურის საძიებლად... თ, რა საშინელი იყო, რა საშინელი, ამას წინათ რომ გამომეცხადა! თქვენც ღმერთმა გამორთო მისი დანახვა! დღესაც გული მიცემს იმის გახსენებისას! შენა ბაღს დაგვლავ, კატერინა, თუ არ გამომყვები ცოლად! — ასე ღრიალებდა. და ამ სიტყვებით ატირებული მიიჭ- რა აკვანთან; შეშინებულმა ბაღლმაც ხელები გაუწოდა ტირილით“.

იასაულის ვაჟი განრისხებული ცეცხლს ჰყრიდა ამ სიტყვების გამგონე. იასაული გორბუკიც აღშფოთებული იყო: „ერთი მობედოს აქ წყეულმა ან- ტიქრისტემ! ნახოს, მოსდგამს თუ არა ბებერ კაზაკს მკლავში ძალა. ღმერთია მოწამე, — ამბობდა იგი, — რარიგ მოვტრინავდი ჩემი ძმის, დანილოს საშველად! აღსრულდა ნება მისი წმიდათაწმიდა! ცივ სარეცელზე გართხმუ- ლი დამიხვდა. ვინ მოსთვლის, რამდენი კაზაკი გართხმულა მაგ სარეცელზე! სამაგიეროდ ხომ გადავუნადეთ მდიდრული ქელები: ერთი ლიახი მაინც თუ გა- ვუშვით ცოცხალი? დამშვიდდით, შვილო ჩემო! ვერავინ გაბედავს შენს განაწ- ყენებას, სანამ მე და ჩემს ვაჟს პირში სული გვიდგას!“

ამ სიტყვებით მივიდა აკვანთან მოხუცი იასაული, ყრმამ დაინახა მის კისერზე ღვედით დაკიდებული წითელი, ვერცხლით მოოჭვილი ჩიბუხი და ელ- ვარე ტალკვესიანი ქისა, გაუწოდა თავისი პაწია ხელები და გაიცინა... „მამას გამოემგვანება“ — სთქვა ბებერმა იასაულმა, ჩიბუხი მოიხსნა და ბაღს გაუ- წოდა. „— ჯერ დედის რძე არ შეშრობია და უკვე ჩიბუხის მოწევას ლამობს“, — ჩუმად ამოიოხრა კატერინამ და იწყო აკვნის რწევა. დათქვეს ერთად გათევა ლა- მისა და მცირე ხნის შემდეგ ყველამ დაიძინა. კატერინასაც ჩაეძინა.

სახლშიც და ეზოშიც სიმშვიდე სუფევდა. არ ეძინათ მხოლოდ კაზაკებს, ტალად დამდგართა, უეცრად კატერინამ შეჰკივლა და გამოელევიდა, მასთან ერთად ყველა წამოცვივდა. — „ბავშვა მოკლულა, ყელგამოლადრული!“ — შეჰკივლა მან და აკვანს მიეჭრა. ყველანი გარს შემოეხვივნენ აკვანს და გაქ- ვავდნენ შიშისაგან: მოკლული ბაღლა იწვა მათ წინაშე, ხმა არავის გაუღია, არც კი იცოდნენ, რა ეფიქრათ ამ არნახულ ბოროტმოქმედებაზე.

XII

უკრაინიდან მოშორებით, პოლონეთის გავლით, ხალხმრავალ ქალაქს, ლემბერგს რომ გასცდებით, გრძელ წყებად მიემართებიან ცადალანძული ქე- დები. მთა მთას მისდევს ქვის ჯაჭვებივით, მარჯვნივ და მარცხნივ იტოტებიან და ქვის სალტეებად ერთეშიან მიწას, რათა არ შეიწოვოს იგი ბობოქარმა:

ზოგამ. გადაკიმულან ქვის ჩაკვები ვალახიასა და სედმივრადის მხარეში, ვე-
 ება ფოლადის ნალივით გაწოლილან ვალიციისა და უნგრეთის ქვეყნებს შო-
 რის. ასეთი თვალუწვდენელი ქედები არ მოიძებნება ჩვენს მხარეში. ზოგი-
 ერთ მწვერვალზე ადამიანს ჯერაც არ დაუდგამს ფეხი, ხილველად უცნაურნი
 არიან ეს მთები. დაუდგარი ზღვა ქარიშხლისას ხომ არ გადმონთხეულა ფა-
 რთო ნაპირებიდან, ყალყზე ხომ არ შემდგარან მისი უსახური ტალღები და
 გაქვავებულნი ხომ არ დარჩენილან პაერში? მიძიმე ღრუბლები ხომ არ ჩამოწყ-
 ვეტილან ციდან და დახერგილან მიწაზე? მთები ხომ ღრუბლებს ჰგვანან სი-
 რუხით, მათი თეთრი თხემი კი კაშკაშებს და ბრწყინავს მზის სინათლეზე.
 ვიდრე კარპატებამდე მიაღწევდე, კიდევ გაიგონებ რუსულ სიტყვას, მთების
 არგვლივ აქა-იქ შესაძლოა ყური მოჰკრა მშობლიურ ენას. მათ მიღმა კი უკვე
 სხვა სარწმუნოებაა, ენაც სხვაგვარია. იქ არც თუ მცირერიცხოვანი უნგრელი
 ხალხი მკვიდრობს: აჯირითებენ ცხენებს, კაზაკებზე უარესად როდი იციან
 ხმლის მოქნევა და სმა. ცხენის მოსართავეისა და ძვირფასი ხიფთანის შესასყიდა-
 დაც როდი დაიზარებენ ჯიბიდან ოქროს უხალთუნის ამოღებას. მთებს შორის
 ვეებერთელა ტბებია გადაშლილი. შუშასავით უძრავია მათი მოსარკული ზედა-
 პირი, მათათა ხრიოკი მწვერვალები და მთის ამწვანებული ძირები ირეკლება
 მათში.

მაგრამ ეს ვინღაა, ვეება შავ ტაიჭს რომ დააგელვებს ვარსკვლავიან თუ
 უვარსკვლავო ღამეში? ვინ არის ეს გოლიათი, ზეკაცური სიმაღლისა, ცხენს
 რომ მიაგელვებს მთებისა და ტბების გასწვრივ. უძრავ წყლებში რომ ირეკ-
 ლება მისი ვეება ცხენის ლანდი, ხოლო მისი უშველებელი ჩრდილი შიშის-
 მონგვრელად კრთის მთებზე. ბრწყინავს მისი ნაჭედი ჯავშანი, მხარზე შუბი
 გაუდევს, ხმალი ჩხარუნობს უნაგირთან; ლითამი ჩამოუშვია; უღვაში ჩაშა-
 ვებია, თვალები დაუხუჭავს, სძინავს წამწამებდახრილს, მძინარეს ჩაუბლუჯავს
 სადავენნი; უკან მოუსვამს პატარა პაეი, რომელიც მოსკიდებია გოლიათს, თა-
 ვადაც მძინარე. ვინ არის იგი, საით მიდის, რა მიზანი აქვს ვინ უწყის! ერთი და
 ორი დღე როდია, რაც იგი დაჰქრის მთებზე. გათენებისას, მზის ამოსვლისას,
 იგი ჰქრება. იშვიათად თუ შეუნიშნავთ მთიელთ მთებზე მქროლავი გრძელი
 ჩრდილი ვიდაცისა, მაშინ როდესაც ცა მოწმენდილია, ღრუბლის ფთილაც არ
 მოჩანს ცაზე. შეღამდება თუ არა ოდნავ, კვლავ გამოჩნდება იგი და ირეკლება
 ტბებში ისევ და ისევ, ჩრდილი კი ცახცახით მისდევს უკან. მრავალი მთა გა-
 დაიარა მან და ააჭენა ცხენი კრივანზე; კრივანი მათათა შორის უმაღლესია
 კარპატებში; მეფესავით აღზევებულა იგი სხვა მწვერვალებზე. აქ შეჩერდა
 ცხენი და მხედარიც კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლო ძილში და ძირს დაშვე-
 ბულმა ღრუბლებმა შთანთქმეს იგი.

XIII

„სსუ... დედაკაცო. ჩუ, დედაკაცო! ჩემმა პატარამ ჩაიძინა, ნუ ხმაურობ
 ასე. ბევრი იტირა ჩემმა ბიჭუნამ, ახლა კი სძინავს. ახლა ტყეში წავალ, დედა-
 კაცო! რათ, რას მომჩერებიხარ ასე? საშინელი ხარ, საშინელი: რკინის მარ-
 წუხები გამოგდის თითქოს მაგ თვალებიდან. უპ, რამსიგრძე მარწუხები! ცუც-
 ხლოვანნი, გავარვარებულნი. ჩანს, კუდიანი ხარ! ო, თუ კუდიანი ხარ, სჯობს

დაიკარგო აქედან! ჩემი შვილი არ მომტაცო. რა უნიათო კაცია ეგ იასაული. მაგას ჰგონია დიდად მეპრიანება კიევში ცხოვრება, ჩემი ქმარიცა და ვაჟიც აქ არა მყვანან, ვინლა მიმიხედავს სახლს. ეზო-კარს? მე ისე ჩუმად გამოვიბარე. არც იალღს, არც კატას არ გაუგიათ. შენ გაახალგაზრდავება გდობია, დედა-კაცო! ეს არც ისე ძნელია: უნდა იცეკვო და მორჩა! აბა შემომხედე! — ჩხარავ ცეკვაავ...“ და ამგვარი აბდაუბდა სიტყვებით ჩამოუარა კატერინამ, შემოღობილი სახით იყურებოდა აქეთ-იქით, დოინჯშემოყრილი. წივილით აბაკურებდა ფეხებს, ზომისა და ტაქტის გარეშე. ჩხარუნებდნენ ვერცხლის ნალები. შავი გაშლილი დალალები თეთრ კისერზე გადმოღვროდნენ. ჩიტვიით დაფრინავდა იგი შეუჩერებლივ, ხელებს იქნევდა, თავს ატრიალებდა, თითქოს ეს-ესაა ძალამიხდილი დაენარცხებოთ მიწაზე, ან დასტოვებოთ ამ ქვეყანას.

დაღვრემილი იდგა მოხუცი ძიბა, ცრემლები ჩამოსდიოდა ღრმა ნაოჭებზე; მძიმე ლოდად აწვიათ გულზე დარდი ერთგულ ყმებს, თავიანთი პანის შემბედვარეთ. აი, სავსებით მისუსტდა იგი და დაღლილი უბაკუნებს ფეხებს ერთ ადგილას, თან ჰგონია, გორლიცას ვცეკვაავო. — „აი, ბიჭებო, მე ყელსაბამი მაქვს, — თქვა მან ბოლოს და შეჩერდა, — თქვენ კი არა გაქვთ, სად არის ჩემი ქმარი? — შეჰკვივლა მან უეცრად და თურქული ხანჯალი იძრო ქამრიდან, ო, ეს ვერაა კარგი დანა, უკეთესაა საჭირო. — ამ სიტყვებზე ცრემლი დასდინდა სახე დაედრიჯა. — მამაჩემს ისე შორსა აქვს გული, ეს ვერც მისწვდება. მას ხომ რკინის გული აქვს. ერთმა კუდიანმა გამოაწრთო ეგ გული გავარვარებულ ქურაში. რაო, რად არ მოდის მამაჩემი? ვანა არ იცის, რომ მისი დაკვლის დრო მოახლოვდა? როგორც სჩანს, ჩემს მისვლას ელის“. და ამ სიტყვებით უცნაური სიცილი დაიწყო: — რა სასაცილო ამბავი გამახსენდა: გახსოვთ, როგორ დამარბეს ჩემი ქმარი? იგი ხომ ცოცხლად დამარბეს... რას ვიცინოდი... მისმინეთ, მისმინეთ!“ — და ამ სიტყვებით სიმღერაზე გადავიდა.

„მინდორში ეტლი მიგელავს,
 ეტლში კაზაკი წევსაო,
 ნატყვიარია, ნახმლევი,
 შუბს კი არ ეშვებს ხელსაო,
 შუბი ხომ სისხლიანია,
 სისხლას მდინარე სდევსაო,
 მდინარეს ნავი მიჰყვება,
 ყორანი ჩხაეის ველსაო,
 კაზაკს დედა ქვითინებს,
 თოკი მოუბამს ყელსაო,
 დედავ ნუ სტარი, დედილს,
 შვილი ცოლს არიავს შენიო,
 დაბე, რა ცოლი იშოვა
 საფლავი, ველზე მშვენიო.
 მის სახლს ერდო და კარები
 აღარ სჭირდება მეტადო...
 თევზი კიბოსთან ცეკვაავდა...
 ვინც მე არ შემოიყვარებდეს,
 დედამც შეურცხვეს მასაო...“

ასე არეულიყვნენ მის გონებაში სხვადასხვა სიმღერები. უკვე რამდენიმე დღეა თავის ხატაში ცხოვრობს კატერინა და გაგონებაც აღარ სურს კიევისა. აღარც ლოცულობს, ხალხსაც გაურბის; დილიდან საღამომდე ბნელ მუბნა-

რებში დაეხეტება. წამახული ტოტები თეთრ სახეს და მხრებს უკაწრავენ. ქარი უწეწავს გაშლილ დაღალებს, მჭკნარი ფოთლები შრიალებენ მის ფეხქვეშ, მაგრამ იგი ვერაფერს ხედავს. მზის ჩასვლისას, მთვარის ამოსვლამდე, ვარსკვლავების გამოჩენამდე. საშიში ხდება ტყეში სიარული. ტყვერწვერწვერ იკაწრებიან, ტოტებს ებლაუჭებიან უნათლავ ბაღთა სულები, კატერინა კისკისებენ, ბულრაობენ გზისპირა კინკრიაში; დნეპრის ტალღებიდან მწკრივ-მწკრივად ამოდის წყალში დავმხრჩვალ ასულთა სულები, მწვანე თმა ჩამოღვრიათ მხრებზე, წყალი ჩხრიალით იღვრება თმიდან მიწაზე, ისე ანათებენ წყლიდან, თითქოს შუშის პერანგი მოსავთო, უცნაურად უღიმიან ბაგენი; ლაწვებზე აღმური აადის, თვალებით იტყუებს სულს თავისკენ... სიყვარულით დაგდაგავს, კოცნით დაგახრჩობს... თავს უშველვ, მონათლულო კაცო! ლოგინი მისი — ცივი წყალია. ბაგე მისი — ყინული, თამაშ-თამაშით გაგიტყუებს და ჩაგახრჩობს მორევში. კატერინა არავის უცქერის, შეშლილს არ ეშანია ალებისა, მთელი ღამე დარბის ტყეში და ეძებს მამამისს.

დილაადრიან სტუმარი მოვიდა, წარმოსადეგი კაცი, წითელჯუბოსანი, იკითხა პან დანილოს ამბავი: მდუმარედ უსმენს ყოველივეს. სახელოთი იწმენდს ნამტირალევ თვალებს და მხრებს იჩეჩავს. ერთად გვიომიამო მე და განსვენებულ ბურულბამს. ერთად ვჩეხავდითო თურქებს და ყირიმელებს. განა მოველოდით ასეთ აღსასრულს პან დანილოსას, კიდევ ბევრი რამ გაიხსენა სტუმარმა და შემდეგ პანი კატერინას ნახვა ისურვა.

კატერინა თავდაპირველად არ უსმენდა სტუმრის საუბარს; ბოლოს გონიერივით მიაპყრო სმენა მის სიტყვებს. ძმურად ვცხოვრობდითო მე და დანილო, — ამბობს სტუმარი, ყველა, როგორ გადაურჩენ ყირიმელებს ხერგის ქვეშ დამალულნი... კატერინა ისმენდა ყოველივეს და თვალს არ ამორებდა სტუმარს.

„მორჩება დანამდვილებით! — ფიქრობდნენ ბიჭები, მისი შემყურენი. — ეს სტუმარი მოარჩენს უთუოდ, შეხე, გონიერივით არ უსმენს?“

ამასობაში სტუმარმა სიტყვა ჩამოაგდო, პან დანილომ მითხრაო გულწრფელი საუბრისას: — „ძმარო კოპრიან, როცა ღვთის ნებით მივიცვლები ამა სოფლიდან, წაიყვანე ჩემი ჭვრივი და შეირთე ცოლად..“

შემზარავი თვალებით მიაჩერდა მას კატერინა. — აჰ! — დაიკვილა მან... — ის არის, ის, მამაჩემია!“ — იშიშვლა დანა და ეკვეთა...

დიდხანს ებრძოდა სტუმარი ქალს და ცდილობდა დანის წართმევას. აჰა, წაართვა, მოუქნია და საშინელი საქმე ჩაიდინა: მამამ მოჰკლა თავისი შეშლილი ქალი.

ზარდაცემული კაზაკები მიეჭრნენ მას, მაგრამ ჯადეგმა მოასწრო ცხენზე შეხტომა და გაუჩინარდა.

XIV

კიევის გარეუბანში არნახული სასწაული გამოჩნდა. ყველა პანი და გეტმანი შეიკრიბა ამ საკვირველების სანახავად. უეცრად გამოჩნდა ქვეყნის ყოველი კიდე. შორით ლურჯად აკაშკაშდა ლემანი, ლემანს იქით შავი ზღვა ალივლივდა, დროულმა კაცებმა ყირიმი იცნეს, ზღვიდან ამოზიდული ჭაობიანი სივამი. მხარმარცხნივ გამოჩნდა გალიციის მიწა.

„ეს რაღაა?“ — ეკითხებოდა ხალხი მონუცებს და შორეული ცის კაბადონზე ღრუბლებისდარ თეთრ და შორეუხო მწვერვალებზე უთითებდა.

„კარპატებია“, — ამბობდნენ ბერიაკები. — „ზოგიერთ მწვერვალზე მუდმივი თოვლია, ღრუბლები გარს ადგანან და ღამეს ათევენ ქიბებზე.“

ახლა ახალი საკვირველება გამოჩნდა! ღრუბლები შემოუკვალნენ ყველაზე მაღალ მწვერვალს და გამოიხატა რაინდულად მოკაზმულად თველდაჭრული მამაკაცი, ცხენზე ამხედრებული, ისე მოჩანდა, თითქოს სულ ახლოს არისო.

კაცი ვინმე გამოეყო ამ დროს შიშისაგან ზარდაცემულ ხალხს, მოახტა ცხენს და გაჰქუსლა თავგამეტებით, თან ველური თვალებით უკან იცქირებოდა, ხომ არ მომდევსო ვინმე. ეს იყო ჯადეგი: რამ შეაკრთო იგი ესოდენ? როდესაც იგი დააკვირდა საკვირველ მხედარს, შიშით შეძრულმა შეიცნო ის სახე, რომელიც მოუხმობლად გამოეცხადა მას ჩხიბვისას თავის მიწურში. თავდაც ვერ მიმხვდარიყო, რად შეშფოთდა ეგზომ უცნობის დანახვაზე, შიშნულ თვალებს აცეკვებდა აქეთ-იქით და მიაჭენებდა ცხენს, ვიდრე არ მოსალამოვდა და ვარსკვლავებმა არ გამოიჭვრიტეს ციდან. აქ კი შინისკენ შემოაბრუნა მან ცხენი, ვინ უწყის, იქნებ სურდა არაწმინდა ძალა დაეკითხა, თუ რას ნიშნავდა ეს საოცრება: ის იყო შიადგა ვიწრო მდინარეს, გზაზე ტოტად გაწოლილს, იფიქრა, გადავახტუნებო ცხენს, რომ ამ დროს გაქვნიებული ცხენი უეცრად შეჩერდა, თავი მოაბრუნა მისკენ და პოი, საკვირველებავ! სიცილი დააყარა პატრონს. თეთრმა, კაწკაწა კბილებმა იელვეს ღამეში საზარლად. თმა ყალყზე დაუდგა ჯადეგს, ველური ხმით შეჰბლავლა და ატირდა გონს გადასულივით. მერმე გააჭენა ცხენი პირდაპირ კიევისაკენ. გზადაგზა ეჩვენებოდა, თითქოს კვალდაკვალ მოსდევსო დასაჭერად ყველა და ყოველი. შავი ტყის შავწვერა ხეები ცოცხლებივით იწვდიდნენ მისკენ გრძელ ტოტებს და დახრჩობას უქაღდნენ. ვარსკვლავებიც მის წინ მიჰქროდნენ, თითქოსდა ცოდვილისკენ უთითებდნენ ყველას. თავად გზაც თითქოს კვალდაკვალ მოსდევდა დაწყევლილს. სასოწარკვეთილი ჯადეგი კიევისკენ მიჰქროდა, წმინდა ადგილებისკენ.

XV

განმარტოებით ზის განდევილი თავის მღვიმეში და კანდელის შუქზე ჩასცქერის საღვთო წიგნს. უკვე მრავალი წელია გამოკეტილა იგი მღვიმეში, ხის კუბოც შეუკრავს უკვე თავისთვის, სადაც წვება ხოლმე დასაძინებლად საწოლის მაგიერ. დახურა წიგნი წმინდა მამამ და ლოცვად დადგა... და ამ დროს უეცრად შემოიჭრა მის სენაკში კაცი, ხილვად უცხო და საზარელი. განცვიფრდა წმინდა განდევილი, შედრკა და უკუდგა მის დანახვაზე. ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა ახალმოსული; საზარელი ცეცხლით უღვივოდა შესლილი თვალები. სული აუთრთოლდებოდა კაცს მისი უშვერი სახის ხილვისას.

„მამაო! ილოცე! ილოცე! — შეჰყვირა მან სასოწარკვეთით. — „ილოცე წარწყმედილი სულისათვის!“ — და ამ სიტყვებით განერთხო იგი მიწაზე.

წმინდა განდევილმა პირჯვარი გამოისახა, გაღმოდო წიგნი, გადაშალა, მერმე შეძრწუნებული უკუდგა და გაუვარდა წიგნი ხელიდან, — „არა, არა, შენ ცოდვილი ხარ არგაგონილი, არ შეიძლება შენი შენდობა! განვედ ჩემგან, მე ვერ ვილოცებ შენთვის!“

„ვერ ვილოცებო?“ — შეშლილივით შეპბლაველა ცოდვილმა.

„დახე: წიგნში წმინდა ასოები სისხლით აღივსნენ. ჯერ არ მოვლენილა შენგვარი ცოდვილი ამ ქვეყანაზე“.

„მამაო, შენ დამცინი მე!“

„განვედ ჩემგან, წყეულო ცოდვილო! როდი დაგცინი, მშვენიერო, რამეთუ სიკეთე არ მოელის კაცს შენს სიახლოვეს!“

„არა, არა, შენ დამცინი, ნუ ამბობ მაგას... ვხედავ, რარივ დაგილია პირი, თეთრად დაგაკრეჭია ეგ ბებრული კბილები!“

და ამ სიტყვებით ცოფიანივით ეცა იგი ვანდეგილს და იქვე მოაშთო.

რალაც აკვნესდა მძიმედ, კვნესა მოედო ტყესა და მინდვრებს. ტყის გაღალმა აღიმართნენ გამხდარი ხელები, გრძელფრჩხილიანნი, შექანდნენ და ისევ გაუჩინარდნენ.

ამის შემდეგ უკვე აღარც შიში უგრძვნია მას და აღარც სხვა რამ. თვალთ დაუბნელდა, ყურები უწიოდა, თავი უბრუოდა, როგორც ნასმურვეს, ყოველივე, რაც მის თვალწინ ხდებოდა, თითქოს აბლაბუდით დაბინდულიყო. მოახტა ცხენს და კანევისკენ გაჰქუსლა, იფიქრა კანევიდან ჩერკასსკის გავლით პირდაპირ ყირიმში გადავალო თათრებთან, თუმც თავადაც კი არ უწყოდა, რა სურდა მათთან. თრი დღეა, რაც მიაჰყენებს ცხენს, კანევი კი არ სჩანს და არა, გზა იგივეა, თითქოს დიდი ხანია უნდა გამოჩენილიყო კანევი, მაგრამ არ მოჩანს. შორით ეკლესიათა გუმბათებმა იელვეს, მაგრამ ეს კანევი კი არა, შუმსკაა. სახტად დარჩა ჯადეგი — სულ საპირისპირო მხარეს უვლია. უკანვე გამოაჰყენა ცხენი კიევისაკენ და ერთი დღის შემდეგ ქალაქიც გამოჩნდა, ოღონდ კიევი კი არა, გალიჩი, კიევიდან შუმსკზე უფრო შორი ქალაქი, საიდანაც უკვე უნგრეთიც ახლოს იყო. უკვე აღარ იცოდა რა ელონა და კვლავ შემოაბრუნა ცხენი და გრძნობს, რომ ისევ საწინააღმდეგო მხარეს მიდის, თან სულ — წინ და წინ. ვერცერთი კაცი ვერ ატყოდა, თუ რა ხდებოდა ამ დროს ჯადეგის სულში და კიდევაც რომ ჩაეხედა მის სულში, ღამით ველარ დაიძინებდა შიშით და სიცილსაც გადაეჩვეოდა. ეს როდი იყო გაავება, შიში ან მძიმე კაეშანი. არ არსებობს ამქვეყნად სიტყვა, რომელსაც შეეძლოს ამ გრძნობის გადმოცემა. ცეცხლი ედებოდა. იწვოდა, იდაგვოდა. მთელი სამყაროს გადათქერვა სწადდა თითქოს თავისი ცხენით, მზად იყო მთელი დუნია კიევიდან გალიჩამდე ხალხიანად ჩაეხრჩო შავ ზღვაში. მაგრამ სიბოროტია გამო როდი სურდა ეს ყოველივე. თავადაც არ უწყოდა, რად სურდა. შეძრწუნდა იგი, რა დაინახა სულ ახლოს კარპატები და ცადაწვდილი კრივანი, რუხი ღრუბელი რომ დაეხურა ქიმზე ქუდივით; ცხენი კი მიჰქროდა და მიჰქროდა, უკვე მთებზე მიჭირითობდა. ღრუბლები უეცრად გადაიკრიბენ და მის წინაშე მთელი თავისი შემზარავი სიდიადით აღიმართა მხედარი. ჯადეგს სურს შეჩერდეს, მძლავრად მოზიდა სადავე. მაგრამ ამაოდ: ფაფარაშლილი ცხენი ველური ჭიხვინით მიფრინავს რაინდისაკენ. აქ კი მოეჩვენა ჯადეგს, თითქოს ყოველივე ჩაკვდა მასში. შეირხა უძრავი მხედარი, ერთბაშად გაახილა თვალები და რა დაინახა მისკენ მომქროლავი ჯადეგი, ახარხარდა. მეხივით დაიქუხა მთებში ველურმა ხარხარმა. ახმიანდა ჯადეგის გულში და შესძრა იგი სულის სიღრმემდე, თითქოს ვიღაც მძლავრი დაეუფლაო მის არსებას, დააბოტებსო შიგნით, უროს ურტყამსო გულსა და ძარღვებში... ესდენ საშინლად ხმიანებდა მის არსებაში ხარხარი!

დაავლო მხედარმა ჯადეგს საზარელი ხელი და აიტაცა ჰაერში. წამსვე

განუტევა სული ჯადეგმა და გაახილა თვალები სიკვდილის შემდეგ. მაგრამ უკვე მკვდარი იყო და მკვდრის გამოხედვა ჰქონდა. ასე შემზარავად არ იცქირება არც ცოცხალი, არც მკვდრებით აღდგომილი. მკვდარი თვალს ატრიალებდა აქეთ-იქით და დაინახა ყოველის მხრივ საფლავიდან წამოდგარი მკვდრები კიევის მხრიდან, გალიციის მიწიდან და კარპატებიდან მომავალნი, რომელნიც ორი წვეთი წყალივით ჰგავდნენ მას.

გაფითრებულნი, გაყვითლებულნი, ერთურთზე მაღალნი, ერთურთზე ძვლოვანნი გარს შემოადგნენ ისინი მხედარს, რომელსაც ხელთ ეპყრა საზარელი ნადავლი. კიდევ ერთხელ გადაიხარხარა მხედარმა და გადაისროლა იგი უფსკრულში. მაშინ ჩაცვიფდნენ უფსკრულში მკვდრები, აიტაცეს მკვდარი ჯადეგი და ჩაატრინდნენ მას კბლებით. კიდევ ერთ მკვდარს, ყველაზე მაღალს, ყველაზე შემზარავს, სწადდა მიწიდან წამოდგომა, მაგრამ ვერ ძალედდა, ესდენ გაზრდილიყო იგი მიწაში; და რომც ამდგარიყო, გადააბრუნებდა კარპატების დმიგრადის მხარესაც და თურქეთის მიწასაც. ოდნავ წამოიწია მან და ატყდა მიწისძვრა მთელ დუნიაზე. მრავალი სახლი დაიქცა ყველგან და ხალხიც მრავალი დაიხოცა.

ხშირად ისმის კარპატებში სტვენა, თითქოს ათასი წისქვილი ხმაურობსო წყალზე ბორბლებით. ეს მკვდრები ხრავენ მკვდარს უძირო უფსკრულში, რომელშიც ვერც ერთ გამვლელს ვერ გადაუხედავს შიშით. ხშირად ყოფილა, რომ მიწა იძვროდა ხოლმე მთელს ქვეყანაზე კილით კიდემდე; ნასწავლი ხალხი იტყვის, ეს იმიტომ ხდება, რომ სადღაც შორს, ზღვის მახლობლად მთა არისო ცეცხლისმფრქვეველი, ცეცხლის მდინარენი მოედინებიათო მისგან. მაგრამ დროულმა კაცებმა, უნგრეთისა და გალიციის მიწაზე მცხოვრებთა, უკეთ უწყიან ამის მიზეზი და იტყვიან ხოლმე: ეგ იმის ბრალია, რომ წამოდგომას ლამობსო მიწაში ჩაზრდილი გოლიათური აღნაგობს მკვდარი და ამაღაც იძვრისო მიწა.

XVI

ქალაქ გლუხოვში ხალხი შეგროვილა ბრმა მოხუცის, ბანდურისტის გარშემო და უკვე ერთი საათია უსმენს მის დაკვრას. ასეთი საკვირველი სიმღერები ჯერ არავისგან სმენიათ. თავდაპირველად მან ძველი გეტმანშჩინა გაიხსენა, საგაიდაჩნისა და ხმელნიცკის ამბები. სხვა დრო იყო ის დრო: კაზაკობა დიდების შარავანდით იყო მოსილი. ცხენებით თქერავდა მტერს, ვერავინ ბედავდა ქირდვას მისას. სალადობო სიმღერებსაც მღეროდა ბერიკაცი და ხალხს ათვალთვრებდა თვალხილულივით. მიზრათმომარჯვებული თითები კი ბუზებივით დაჰქროდნენ სიმებზე, სიმებიც თითქოს თავისთავად უკრავდნენ. დროულნი კაცნი თავდახრილნი იდგნენ, ჭაბუკნი თვალს არ აშორებდნენ მოხუცს, ჩურჩულსაც კი ვერ ბედავდნენ ურთიერთშორის.

„დაიცათ“, — სთქვა მოხუცმა, — ახლა ერთ ძველ ამბავს გიმღერებთ“. ხალხი კიდევ უფრო შეჯგუფდა მის გარშემო და ბრმა ამღერდა:

„პან სტეფანეს, სედმიგრადელ თავადს, ლიახების მეფედ რომ იჯდა, ორი კაზაკი ჰყავდა: ივანე და პეტრო, ძმადნაფიცნი. — მომხედე, ძმაო ივან, — უთხრა პეტრომ ძმადნაფიცს, — რასაც ვიალაფებთ, ძმურად გავიყოთ. ერთის ლხინი — მეორის ლხინი იყოს, ერთის ჭირი — ორივეს ჭირი. ნადავლი მუდამ

შუაზე გავიყოთ და თუ ერთი ტყვედ ჩავარდება, მეორემ გაყიდოს ყოველივე და გამოისყიდოს ძმა, თუ არადა, თავად ჩაბარდეს ტყვედ". — და მართლაც, რასაც იალაფებდნენ კაზაკები, ურთიერთშორის იყოფდნენ, თუ სხვის ნახირს გამოსდენილდნენ ან ცხენებს, მათაც თანაბრად ინაწილებდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

სტეფანე მეფე თურქებს ეომებოდა იმჟამად. სამი კვირაა ებრძვის თურქებს და ვერ გარეკა ვერასგზით. თურქებს კი ფაშა ჰყავდათ ისეთი, ათი იანიჩრის ამარა შეეძლო მთელი პოლკის აჩეხვა. აი, გამოუცხადა სტეფანე მეფემ, თუ გამოჩნდება ვინმე მამაცი და მომგვრის ფაშას ცოცხალს ან მკვდარს, იმდენ ჯამაგირს ვუბოძებ, რამდენსაც მთელი ჯარი ღებულობსო. — „წავიდეთ, ძმაო, ფაშა შევიპყროთ!“ — უთხრა ივანემ ძმას თვისას, პეტროს, გაჰქუსლეს კაზაკებმა ერთმა ერთ მხარეს, მეორემ — მეორე მხარეს.

* * *

სანამ პეტრო იღონებდა რამეს ფაშას შესაპყრობად, ივანეს უკვე მოჰყავს მეფესთან ფაშა კისერზე საბელშებმული... „გმირი ხარ ნამდვილი!“ უთხრა მეფემ და უბრძანა მისთვის ბოძება იმდენი ჯამაგირისა, რამდენსაც მთელი ლაშქარი ღებულობდა: უბრძანა მიზომვა მიწისა, სადაც თავად ისურვებდა, უბრძანა ბოძება ნახირისა წადილისამებრ. მიიღო თუ არა ივანმა მეფისგან ჯამაგირი, იმ დღესვე გაუყო პეტროს შუაზე. აიღო პეტრომ ჯამაგირის ნახევარი, მაგრამ ვერ შეეგუა იმას, რომ ივანე ასეთი სამეფო პატივის ღირსი გახდა და გულში ჩაიღო შურისძიება.

* * *

ორივე რაინდი გზას გაუდგა კარბატებს გადაღმა მხარისაკენ, სადაც მეფემ უბოძა მათ მიწები. კაზაკმა ივანემ ცხენზე შემოისვა თავისი ვაჟი და ზურგზე მიიბა. უკვე შეღამდა, ისინი კი ჯერაც მიჰქრიან. ბავშვმა დაიძინა, თავად ივანესაც ჩასძინებია. „ნუ სთვლემ, კაზაკო, სახიფათო გზებია მთაში!“ მაგრამ ისეთი ცხენი ჰყავს კაზაკს, რომ თავად უწყის ყოველი ბილიკი, ფეხი არ აერევა, ერთს არ წაიფორთხილებს. მთებს შუა უფსკრულია უძირო, რაც ციდან დედამიწამდე მანძილია, იმდენივეა უფსკრულის ძირამდე. ზედ უფსკრულის პირას კი გზა მიდის ისეთი, ორი კაცი თუ ვაივლის, სამი კი ვერასგზით. ცხენმა ფრთხლად იწყო სვლა. კაზაკი სთვლემდა. მის გვერდით პეტრო მიდიოდა, მთლად ცახცახებდა, სუნთქვა შეკვროდა სიხარულისაგან. მიმოიხედა; ხელი ჰკრა ძმადნაფიცს და გადააგდო უფსკრულში ცხენიანად და ბალღიანად.

* * *

მოეჭიდა კაზაკი ხის ტოტსა და მხოლოდ ცხენი გადაიჩეხა უფსკრულში. აჰა, უნდა ამოფორთხდეს, მაგრამ თვალი ჰკიდა პეტროს, რომელსაც შუბი მოეღერა მისთვის. რათა კვლავ გადაეგდო იგი უფსკრულში. „ღმერთო სახიერო,

ნეტავ არ აღმემართა შხერა და არ დამენახა, რარიგ მომიღერა შუბი ძმადნაფიცმა, რათა უფსკრულში ვადამჩეხოს კვლავ! ძმად საყვარელო! დამკარ შუბი, რახან შუბლზე მაწერია ეგ ბედი, მაგრამ ვაჟი მაინც დაინდგ ჩემი რა დააშავა უმანკო ყრმამ, ასე საზარლად რომ დაიღუბოს?" — გაიცინა პეტრომ. ჰკრა შუბი და კახაკი ბალღიანად გადასჩეხა უფსკრულში. პეტრომ მიიტვისა ძმადნაფიცის მთელი სარჩო-საბადებელა და ფაშასავით იწყნო ცხვირზე არავის ჰყავდა მისდარი ნახირი, ფარები და ცხენთა რემები, და მიიცივალა პეტროც.

და რა მიიცივალა პეტრომ, მოუწოდა ღმერთმა სამსჯავროზე ძმადნაფიცების, პეტროსა და ივანეს სულებს. — „დიდზე დიდი ცოდვილია კაცი ესე“, — ბრძანა უფალმან, — „ივანე! ჯერ არ მივეუბლავ მე მას სასჯელს, შენ თავად აღირჩიე მისთვის სასჯელი!“ — დიდხანს იფიქრა ივანემ, ვიდრე სასჯელს მოიფიქრებდა, და ბოლოს აღმოსთქვა: — „დიდი სიივე შემამთხვია მე ამ კაცმა: უღალატა ძმას თვისას, იუდას მსგავსად, მომისპო პატიოსანი გვარი და შთამომავლობა დედამიწაზე. ხოლო კაცი პატიოსანი გვარისა და შთამომავლობის გარეშე იგივეა, რაც ქრთილის მარცვალი, ამაოდ დაცემული მიწაზე. უკეთუ არ გაიხარებს, ვერვინ შეიტყობს. იყო თუ არა მარცვალი იგი.“

* * *

„ჰყავ, უფალო, ესრეთ, რომ მთელს მოდგმას მისას არ ეღირსოს ქვეყნად ბედნიერება! რომ უკანასკნელი მის გვარში იყოს ისეთი ძვირისმოქმედი, რომლის მსგავსიც არ მოვლენია სამყაროს! დაე, ყოველი მისი ავკაცობის შემდეგ მამა-პაპათა მისთა ვერ ჰპოვონ საფლავში განსვენება, უზომოდ დაიტანჯონ და დგებოდნენ საფლავებიდან! იუდა პეტროს კი ვერ ძაღედვას წამოდგომა და ამით უფრო და უფრო მწარედ იტანჯოს, შმაგქმნილავით მიწას ჳამდეს და იგრიხებოდეს საფლავში!“

* * *

„და რა მოაწევს განკითხვა იმ ძვირისმოქმედი კაცისა, უფალო, აღმადგინე იმ უფსკრულიდან ცხენზე ამხედრებული და დამაყენე მათათა შორის უმაღლეს მწვერვალზე. დაე, მომეახლოს იგი, მე გადავისვრი მას იმ მწვერვალიდან ყველაზე ღრმა უფსკრულში და ყველა მკვდარნი, წინაპარნი მისნი, მსადაც არ უნდა ეცხოვრათ მათ სიცოცხლის უამს, იქ მოგროვდნენ ყოველის კმბრიდან და კბილებით დაძიძგნონ იგი და მე გაეიხარო მისი წამების ცქერითა! აიუდა პეტროს კი მიწიდან წამოდგომაც კი არ ძაღედვას, მოიწევდეს მისად საძიძგნად და მხოლოდ საკუთარ ძელებს იძიძგნიდეს. ძვალნი მისნი კი იზრდებოდნენ უფრო და უფრო და ამის გამო უფრო და უფრო ამაზრზენი ხდებოდეს წამება მისი. ეს სატანჯველი უსაშინლესი იქნება მისთვის, რამეთუ არ არსებობს კაცისათვის წამება უფრო მძიმე, ვიდრე წადილი შურისგებისა და ვერასრულება მისი.“

* * *

„შემზარავია სატანჯველი, შენს მიერ მოგონილი, ჰოი, კაცი!“ — რქვა უფალმან, — „დე იყოს აგრე ყოველივე, ვით შენ იზრახე, გარნა შენც სამუ-

დამოდ დაჰშთები მაგ შენს ტაიკზე და არ ველირსება სასუფეველი ცათაი, ვოდრე იჯდები მაგ შენს ცხენზე!" ჰოდა, აღსრულდა ყოველივე, როგორც ითქვა. მოაქეამანდე დვას კარპატებზე საკვირველი რაინდი, უქვრეტს, ვით ხრავენ მკვდარს სხვა მკვდრები უძირო უფსკრულში, და გრძობს, ვით იზრდება მიწის ქვეშ მკვდარი. საკუთარ ძვლებს იძიძგნის საშუალებებით და საზარლად არყევს მთელს დედამიწას..."

ბიზანიტი

* * *

ჰა, დაასრულა ბრმამ თავისი სიმღერა, მერმე ხელახლა გამოჰკრა სიმებს და ახშიანდა სალაღობო სიმღერები ხომა და ერემასი, სტკლიარ-სტოკომასი... მაგრამ დიდი და მცირე ჯერაც თავჩაჭინდრულნი იდგნენ, ჯერაც ვერ გამოტყვეულიყვნენ ძველი დროის შემზარავი ამბით გაოგნებულნი.

□



თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

თემურ-აქსაკ-ხანი

ო-ო-ო, თემურ-აქსაკ-ხანო! — საზარლად გაჰკივის სევდის მომგვრელი, სასოწარმკვეთი სიმღერა ყირიმის ერთ-ერთი სოფლის ყავახანაში.

გაზაფხულის ბნელი, ნესტიანი ღამეა. შავი კედელივით აღმართული ჩამონაქცევი კლდე სიბნელეში ძლივს ილანდება. კლდის ძირას ბუდესავით მიკრული პატარა ყავახანის მახლობლად, შარაზე, თეთრად ადგვეფილ ტალახში თავანდელი ავტომობილი დგას და მისი გაბდღვრიანებული ფარებიდან ბრჭყვიალა ბურუსის ორი გრძელი, ნათელი სვეტი სიბნელისაკენ მიიწევს. ქვემოდან ზღვის ხმაური ისმის, ირგვლივ გამეფებულ სიბნელეში ნოტიო, დაუდეგარი ნიაფი უბერავს.

ქერში თუნუქის ლამფაა ჩამოკიდებული. ლამფის მკრთალი შუქით ოდნავ განათებული ყავახანა პაპიროსის კვამლით არის სავსე. ყავახანის კუთხეში, კერიანზე წითლად გავარვარებული ნალვერდალი ღუდღუდებს. მიწურ იატაკზე პირწავარდნილი ბებერი მაიმუნი, ტყაბუქში გახვეული მათხოვარი ზის და მუხლებზე ლირის მაგვარი, უშნოდ გაჩორკნილი საკრავი უდევს. შემოვიდა თუ არა, იატაკზე ფეხი მოირთხა და სასოწარმკვეთილი ხმით თემურ-აქსაკ-ხანის სიმღერა შემოსძახა. ისეა წახრილი, ძველი, მზე-წვიმისაგან წითლად გამოხუნებული კრაველის ფაფახი თავზე ისე აქვს ჩამოფხატული, მსმენელები მისი ჟანგიანი ყურების მეტს ვერაფერს ხედავენ.

ქერის პირას, სამფეხაზე, ყავახანის პატრონი, დიაცივით ტანსრული, სასიამოვნო სახის თათარი იღიმება, ოლონდ, ძნელი გასარკვევია, ალერსიანად და ოდნავ სევდიანად თუ მოწყალედ და ოდნავ დამცინავად. მერე წარბები შუბლზე აუხტება, დიმილშეცაებულ, გაქვავებულ სახეზე მწუხარე გაოცება აესახება.

ფანჯრის წინ, მერხზე, მალაღი, ბეჭთხელი, ქაღარაწვერიანი ხოჯაა ჩამომ-

ჯდარი, აცვია შავი ხალათი, ისედაც შეგვრემანი სახე თეთრ ჩალმაში კიდევ უფრო მუქი და შეგვრემანი მოუჩანს. ზის უზურგო მერხზე, თავი კედლისათვის მიუყრდნია, ჩიბუხი ჩაჰქრობია, თვალები მიუღულაფს, ცხელი ფეხი მერხზე აქვს შემოდგმული, ზედ ღაზლის ზოლიანი წინდა აცვია, ფენსაცმლიანი ფეხი ძირსა აქვს ჩამოშვებული.

იქვე, ხოჯას გვერდით, მაგიდასთან ორი უცხო, გზადგამცურელები სტუმარი ზის. ეტყობა, გააჩერეს მანქანა და სოფლის ამ ყრუ, პატარა ყავახანაში თითო ფინჯანი უგემური ყავის დაღევა გადაწყვიტეს. კაცი, ეტყობა, ვინმე დიდებული უფალია, ყურადღებად ქცეული ახალგაზრდა ქალბატონი კი, ჩანს, სამხრეთელი უნდა იყოს, ეტყობა, შესანიშნავად ესმის თათრულიცა და სიმღერის შინაარსიც: ო-ო-ო, თემურ-აქსაკ-ხანო!..

მთელს ამ დედამიწაზე არ იყო ხანი შენზე უფრო სახელგანთქმული და დიდებული, მთელი ცისქვეშეთი თრთოდა შენს წინაშე, მთელი ქვეყნის ქალი და ქალწული სიცოცხლესაც არ დაიშურებდა, ოღონდ წუთით მაინც შენი მონისა და მხევლის ბედნიერება ღირსებოდა. სიკვდილის წინ კი იჯექი, შენ, თემურ-აქსაკ-ხანო, ბაზრის მტვერსა და ნაგავში, ძონძებში გახვეულ გამვლელ ხეიბრებსა და მათხოვრებს კალთებს უკოცნიდი და მუდარით შესთხოვდი:

— ამომხადეთ ეს სული, ხეიბარნო და მათხოვარნო, რამეთუ უკვე სურვების სურვილიც აღარ არის ამ სულში!

და აი, როცა შეიბრალა უფალმა, როდესაც იხსნა ამო დიდებისა და ამო მიწიერ სიამოვნებათაგან, მალე მთელი მისი სამეფო დაიშალა, გაუდაბურდა დიდებული ქალაქები და სასახლეები, სილამ დაფარა ძვირფასი სარკალასავით ლურჯი ცისა და ჯოჯოხეთის ცეცხლივით მხურვალე მზის ქვეშ ობლად დარჩენილ პალატთა ნანგრევები... ო, თემურ-აქსაკ-ხანო, სად არის უამი შენი და საქმე შენი? სად არის შენი ბრძოლები და გამარჯვებანი? სად, სად წავიდნენ ის ნაზი, იჭვნეული ქალწულები, შენ რომ უყვარდი? სად გაქრნენ მაგ შენს დიდებულ სარეცელზე მოელვარე, შავი მხეებივით მოგიზგიზე, მცხუნვარე თვალები?..

ყველა დუმს, ყველანი მოჯადოებულები უსმენენ სიმღერას, მაგრამ, საოცარი ის არის, ის სასოწარმკვეთი ჭმუნვა, ის მწარე საყვედური, რომელზედაც ასე გულჩაწყვეტილი მოსთქვამს სიმღერა, უფრო ტკბილია და უფრო ნეტარი, ვიდრე ყველაზე დიდი, ყველაზე ამო სალბუნი.

მგზავრი მაგიდას დაყინებით დასცქერის, სიგარას დაყინებით ეწევა. ქალი ფართოდ გახელილი თვალებით სივრცეში იმზირება და ღაწვებზე ცრემლი დაპალუპით ჩამოსდის.

ბოლოს მათხოვარი სიმღერას წყვეტს და ყავახანის პატრონის მიერ მიწოდებულ ხმელა პურს პირუჩუმრა ლოდნის. სიმღერა კი თითქოს გრძელდება, იგი თითქოს არასოდეს მიწყდება ამ კედლებში...

მგზავრები ერთხანს გაქვავებულები სხედან.

ყავახანიდან გამოსვლისას ქალი მათხოვარს ხელში ოქროს ფულს ჩაუდებს, მაგრამ, წუხს, ეცოტავება, უნდა მიბრუნდეს, კიდევ ერთი ოქროც უწყალობოს, არა, ორი... სამი... ან ყველას თვალწინ უხეში, დაკოჭრილი ხელები დაუკოცნოს... თვალები ჯერ ისევ ცრემლისაგან ეწვის, სიმღერის სიტყვები ჯერ ისევ ყურებში ჩაესმის: — „ყოველივე ფუჭია და ამო, ტანჯვითა და მწუხა-

რებით არის სავსე მზის ქვეშეთი“... — მაგრამ, ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს არასოდეს ყოფილა უფრო ბედნიერი, ვიდრე ამ ბნელ, გაზაფხულის წვიმის სურნელით გაყდენთილ, ზღვის ხმაურით გაჭერებულ ცივსა და ქარიან ღამეს.

ეკიბაჟში სანახევროდ მიწოლილი მძლოლა სასწრაფოდ მანქანიდან გადმობტება, წელში წახრილი ფარების შუქზე რალაცას ფათურობს, აცვია გადმობრუნებული ცხვრის ქურჭი და ამ გადმობრუნებულ ცხვრის ტყავებზე ახლა იგი ნამდვილი ტყუური გეგონება. ერთბაშად გამოცოცხლებული მანქანა კი სულწასულად თუნთუხებს, კაცი ქალს მანქანაზე ასვლაში ეხმარება, თვითონაც ბვერდით მიუჯდება, მუხლებზე პლედს აფარებს და ქალი დაბნეული უხდის მადლობას... და აი, მანქანა უკვე თავდაღმართზე მიქრიალებს, ლაღად, ფრთაშესხმულად მიფრინავს აღმართებზე. ბურუსის ბრჭყვიალა, ნათელი სვეტებით ხშირ, გაბმულ ბუჩქნარს ებჯინება, მალე ბრჭყვიალა ბურუსს ბუჩქნარიდან ისევ სასწრაფოდ აბერტყავს და სიბნელეში ახლა უკვე სხვა, ახალსა და ახალ დაღმართებს ეჭიდება. ღამეული ცის ფონზე, გოლიათი ლანდებივით წამომდგარ მთებს ზემოთ, მეჩხერ, სიფრიფანა ღრუბლებს შორის ვარსკვლავები ციმციმებენ. აქაფებული ტალღები დროდადრო ხმაურით დაიძვრებიან ნაპირისაკენ, დაუბერავს ნაზი, ცხოველმყოფელი ნიავი...

ო-ო-ო, თემურ-აქსაკ-ხანო, არ იყო მზისქვეშეთში შენზე უფრო გულადი, სახელგანთქმული და მორკმული, შენზე უფრო სანდომიანი და მიმზიდველი, გაბრიელივით ნათელო და სახიერო, მეფე სულეიმანივით დიდმშვენიერო და ბრძენთაბრძენო! სამოთხის ხის ფოთლებზე უფრო მწვანე იყო და ხასხასა აბრეშუმში შენი დოღბანდისა, შვიდფერი თანავარსკვლავედივით თრთოდა და ციმციმებდა მისი აღმასის კალამი. ო, რა ნეტარება იყო ყველასათვის, ოდნავ მაინც მოხვეოდა ინდური ბეჭდებით მოოჭვილ შენ გრძელსა და შავგვრემან თითებს. მთელი ქვეყნის ულამაზესი მეფის ასულნი თუ ხადუმნი მზად იყვნენ სიცოცხლეც კი გაეწირათ შენი გულისათვის... მაგრამ, მას შემდეგ, რაც ბოლომდე გამოსცალე ამქვეყნიურ სიამეთა ფიალა, იჯექი შუა ბაზრის მტვერსა და ნაგავში, შენ, თემურ-აქსაკ-ხანო, უქმად მოლაშლაშე საპყართა და ხეიბართ ქუჩვიან კალთებს უკოცნიდი და მუდარით შესთხოვდი:

— წაიღეთ ჩემი სული, ხეიბარნო!..

და აი, საუკუნეებმა ჩაიჭროლეს შენს მივიწყებულ საფლავზე, მიწამა და ღორღმა დაფარა მუდამ ლურჯად მოხასხასე ცისა და მცხუნვარე მზის ქვეშ უქმად მიტოვებული მეჩეთებისა და სასახლეების ნანგრევები. ველური ვარდი ამოიზარდა შენი ლაევარდისფერი ქაშანურის აკლდამის ნანგრევთ შორის, რათა მის შტოებზე ყოველ ახალ გაზაფხულს, ისევა და ისევ, ტკბილი და სევდიანი სიმღერებით გული იჯერონ უთქმელი ბედნიერების კაემნით გულდაბანგულმა ბულბულებმა... ო-ო-ო, თემურ-აქსაკ-ხანო, სად, სად არის შენი მკმუნვარე სიბრძნე? სად წავიდა ის მწარე ურვა და ვარამი, შენ სულს რომ სტანჯავდა? სად, სად გაქრა შენი თვალებიდან ცრემლად და ნაღველად გადმოდენელი მიწიერი ცდუნებების გოლეული?

მაგრამ, აი, რა ხანია მთები სადღაც, უკან დარჩნენ, ახლა შარავზის დაყოლებით ზღვა დელავს, ბობოქრობს, კიბორჩხალების სუნით გაღყენთილი ტალღები გრიალით ასკდებიან თეთრი კენჭებით მოფენილ თეთრ სანაპიროს, წინ, შავად ჩაბინდულ დაბლობზე თეთრი და წითელი სინათლეები ციმციმე-

ბუნ, ქალაქი სინათლის ვარდისფერ არილშია გახვეული, თავზე მუროვით შავი, მშვიდი და უმფოთველი ღამე დასდგომია.



ცივი შემოდგომა

ჩვენს ოჯახში იგი თავიდანვე შინაურ კაცად ითვლებოდა — (ხონებული მამამისი მამაჩემის ახლო მეგობარი და მეზობელი იყო. იმ წელიწადს მამულში რომ გვესტუმრა, ივნისის თვე იდგა. პრინცი ფერდინანდიც სწორედ იმ წელიწადს, თორმეტ ივნისს მოკლეს სარაევოში. თექვსმეტში დილას ფოსტიდან გაზეთები ამოიტანეს, დედა, ის და მე ჯერ ისევ მაგიდასთან ვისხედით და ჩაის ვსვამდით, როდესაც მამაჩემი გაზეთებით ხელში კაბინეტიდან სასადილოში გამოვიდა და გვითხრა:

— ეჰ, ჩემო კარგებო, ომი დაიწყო და ეგ არის, სარაევოში პრინცი ფერდინანდი მოკლეს.

პეტრე-პავლობას, მამაჩემის დაბადებას დღეს, ჩვენს სახლში აუარებელმა სტუმარმა მოიყარა თავი და ისიც სწორედ იმ დღესა და სწორედ იმ სადილზე გამოაცხადეს ჩემს საქმროდ და დანიშნულად. ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ დროს, რომ ცხრამეტ ივლისს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს...

სექტემბერში, ფრონტზე გამგზავრებას წინ იგი ერთი დღით გამოსამშვიდობებლად მამულში გვესტუმრა (ყველანი დარწმუნებულები იყვნენ, ომი მალე დამთავრდება და ქორწილი გაზაფხულისათვის გადაიტანეს). და აი, ჩვენი გამომშვიდობების საღამომაც მოაღწია, ვახშმის შემდეგ, ჩვეულებისამებრ სამოვარი რომ შემოიტანეს, მამამ სამოვრისაგან შეორთქლილ ფანჯრებს თვალი შეავლო და თქვა:

— ისე, წელს საოცრად ნაადრევი და ცივი შემოდგომა დაგვიდგა...

მერე კი მთელი საღამო თითქმის გაჩუმებულები ვისხედით, ხანდახან თითო-ორი სიტყვას თუ გადავულაპარაკებდით ერთმანეთს, თავი გადამეტებული სიმშვიდით გვეჭირა, ვცდილობდით, რაც შეიძლება კარგად დაგვემალა ჩვენი ფარული განცდები, ცივი და ნაადრევი შემოდგომაც მამამ ვითომ ისე, სხვათაშორის ახსენა. მე აივნის შემინულ კართან მივედი და მინას ხელი გადავუსვი. ბაღში, შავად ჩაბინდულ ცაზე ყინულივით კრიალა ვარსკვლავები ციმციმებდა. მამა სავარძელში იჯდა, პაპიროსს ეწეოდა და მაგიდის თავზე ჩამოკიდებულ ლამფას დაბნეული მისჩერებოდა, დედას სათვალე გაეკეთებინა, ლამფის შუქზე პატარა აბრეშუმის ქისას გულმოდგინედ კერავდა.

— ესე იგი, დილას ადრე წასვლა გადაწყვიტე?

— დიახ, თუ ნებას მომცემთ, ადრე მიჩვენია, სამწუხაროდ, შინ თადარიგის დაჭერა ვერ მოვასწარი.

მამამ ამოიოხრა:

— როგორც გენებოს, სულო ჩემო, თუ ასეა, მე და დედა წავალთ, დავიძინებთ, დილაზე უსათუოდ უნდა გაგაცილოთ...

დედა წამოდგა და თავის მომავალ შვილს პირჯვარი გადასწერა. ის დაიხა-

რა, ჭერ დედას აკოცა ხელზე, მერე — მამას. მარტონი რომ დავრჩით, პასი-
ანსის გაშლა დავიწყე, ის კი ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გაჩუ-
მებული ბოლოს სცემდა და ბოლოს მკითხა:

— გინდა, ცოტა გავისეირნოთ?

უკვე ისეთ გუნებაზე ვიყავი, ხმა ძლივს ამოვიღე:

— კი, გავისეირნოთ..

კარებთან თან იცვამდა და თან რაღაცაზე ფიქრობდა, მერე, მერე საყ-
ვარელი ღიმილით ფეტის ლექსი გაიხსენა:

„როგორი ცივი შემოდგომაა!

კაპოტი ჩაიცვი, შალი მოიხურე...“

— კაპოტი? კაპოტი რომ არა მაქვს? მერე, მერე როგორ არის-მეთქი?

— აღარ მახსოვს, მგონი ასე უნდა იყოსო, — მიპასუხა:

„შეხედე — შავად მჩინარ ფიქვებში.

თითქოს ხანძარმა ამოანათა...“

— ხანძარმა?

— ჰო, მთვარის ამოსვლაზეა... მართლაც რომ სოფლის შემოდგომის საო-
ცარი მშვენიერება იგრძნობა ამ ლექსში... „კაპოტი ჩაიცვი, შალი მოიხურე..“
ნამდვილი პაპებისა და ბებების დროა, ჩვენა პაპებისა და ბებების დრო... ო,
ღმერთო, ღმერთო!

რა იყო, რა მოგივიდა-მეთქი, — ვკითხე.

არაფერი, ძვირფასო, მართალია, ცოტა მედარღება, მაგრამ შენს გვერ-
დით თავს მაინც შესანიშნავად ვგრძნობ, იცი, ძალიან, ძალიან მიყვარხარო.

ბოლოს სასადილო ოთახი და აივანი გადავტერით და ბაღში ჩავედით. პირ-
ველად სიბნელეში ვერაფერს ვარჩევდი, სახელოში ხელჩავლებული მივყვე-
ბოდი, მერე მოქიკვიკე ვარსკვლავებით მოჭედულ ცაზე თანდათან ხის შავი
ტოტები გამოიკვეთა, ცა თანდათან განათდა. იგი უცბად შედგა და სახლისაკენ
მიტრიალდა:

— შეხედე, რა სხვანაირად, როგორ შემოდგომურად არის ფანჯრები გა-
ნათებული. ცოცხალი თუ გადავრჩი, ეს საღამო არასოდეს დამავიწყდება.

მე გაოცებულმა შევხედე, იმან კი იმ ჩემი შვეიცარიული შალიანად გულ-
ში ჩამიკრა, ჭერ მაკოცა, მერე სახეში დაფინებით ჩამხედა და წყნარად მითხრა:

— თვალები როგორ გიბრწყინავს, ხომ არ ვცივა? ისე, ნამდვილი ზამ-
თრის სუსხი კია... — და ცოტაოდენი ღუმილის შემდეგ დასძინა: — ვთქვათ,
მომკლეს, მალე ხომ არ დამივიწყებ?

ვაი თუ მართლა მოკლან, ნუთუ მართლა მალე დავივიწყებ, ადამიანი
ხომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ივიწყებს-მეთქი, — გავიფიქრე და საკუ-
თარი ფიქრებით შეშინებულმა სასწრაფოდ ვუბასუხე:

— არა, შენს სიკვდილს მე ვერ გადავიტან...

ცოტა ხანს იყუჩა და მერე წყნარად წარმოთქვა:

— რა ვუყოთ, თუ მომკლეს, იქ დაველოდები, შენ აქ იხარე, დატკბი ამ
ცხოვრებით, ბოლოს კი ჩემთან წამოდი, იცოდე, მე იქ გელოდები.

ამ სიტყვებზე მწარედ ავტირდი.

მეორე დღეს დილით, ძალიან ადრე წავიდა დედამ ის საბედისწერო ქისა,
რომელსაც წინა საღამოს ასე გულდაგულ კერავდა და რომელშიაც მისი მამა-
პაპისეული ავგაროზი — პატარა ოქროს ხატი იყო, გულზე ჩამოჰკიდა და ჩვენ

ყველამ აჩქარებით, როგორც სასოწარკვეთით გადავწერეთ პირველი. მერე ერთხანს კართანაზე ვიდექით და გაოგნებულები გავყურებდით — აი, შენ დიდი ხნით აცილებ საყვარელ ადამიანს, ვინ იცის, რამდენი ხნით შორდები, გარეთ კი თეთრი ჭირხლით გაბრწყინებული ჩახჩახა დილაა, მაგრამ შენს გულს იგი ახლოსაც არ ეკარება... მერე მივტრიალდით და დავაწყობდით სახლში შევედით. დავდიოდით ოთახიდან ოთახში ზურგზე ხელჩაქვნილი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი — მეტირა თუ ხმამაღლა მემღერა.

იგი ერთი თვის შემდეგ გალიციაში მოკლეს (ღმერთო, რა საოცარი სიტუაცია!), და აი, მას შემდეგ გაიარა მთელმა ოცდაათმა წელიწადმა, რა არ გადავიტანე, რა არ გამოვიარე ამ ოცდაათ წელიწადში! როცა კი დავფიქრდები, როცა ამ ჯადოსნურ, გულისა და გონებისათვის მიუწვდომელ დღეებს გავიხსენებ, რა გრძელი, რა საოცრად დაუსაბამო მეჩვენება ის დღეები, დღეები, რომელსაც ახლა უკვე წარსული ეწოდება. თვრამეტი წლის გაზაფხულზე, როდესაც აღარც დედა და აღარც მამა ცოცხლებს შორის აღარ იყვნენ, მე უკვე მოსკოვში ვცხოვრობდი, ვილაც სმოლენსკის ბაზარზე მოვაჭრე ქალის სარდაფში. ქალი სულ დამცინოდა — „აბა, რას იტყვით, თქვენო ბრწყინვალეებავ, როგორაა თქვენი საქმის ვითარება..“ რა უნდა მექნა, მეც ვვაჭრობდი, სხვა მრავალთა მსგავსად, მეც ვყიდდი კრაველის ქუდიან, ფარაჯაგაფრიალებულ ჯარისკაცებზე თუ რამ შემომჩინოდა — პატარა ბეჭედი, უბრალო ჯვარი თუ ჩრჩილისაგან შეჭმული ბეწვის საყულო. და აი, ერთხელ არბატისა და ბაზრის კუთხეში ვაჭრობისას, შევებვდი ერთ არაჩვეულებრივ, არაჩვეულებრივი სულისა და ბუნების ადამიანს, ხანში შესულ გადამდგარ სამხედროს, რომელსაც მალე ცოლადაც გავყევი. იმავე წლის აპრილში მე და ჩემი მეუღლე მოსკოვიდან ეკატერინოდარში გავემგზავრეთ. ჩვენთან ერთად მისი ძმისშვილი, ჩვიდმეტი წლის ყმაწვილიც წამოვიდა, იმასაც როგორმე მოხალისეებამდე უნდა მიეღწია. თითქმის მთელი ორა კვირა ვიარეთ. სოფლის დედაკაცივით მე ფეხზე ქალამნები მეცვა, მეუღლეს — ძველი, კაზაკური ჩოხა, სახეზე შავი, ქალარაშერთული წვერი ქონდა მოდებული. ორ წელიწადზე მეტი დონსა და ყუბანში გავატარეთ. ბოლოს სხვა აუარებელ ლტოლვილებთან ერთად, ზამთრის ქარსა და ყიამათში ნოვორასიიდან ზღვით თურქეთისაკენ გავემგზავრეთ. შუა ზღვაში რომ ვიყავით, ჩემს მეუღლეს ტიფი შეეყარა და გარდაიცვალა. მახლობელთაგან მთელ ქვეყანაზე მხოლოდ სამი ადამიანიღა შემომჩინა — ჩემი ქმრის ძმისშვილი, მისი მეუღლე და მათი შვიდიოდე თვის გოგონა. სულ მალე ახალგაზრდა ცოლქმარი ისევ ყირიმში, ვრანგელთან დაბრუნდნენ და თავიანთი ძუძუთა ბავშვი მე შემომატოვეს. მე და იმ პაწაწა გოგონამ კიდევ კარგა ხანს დავყავით კონსტანტინეპოლში. შიმშილით რომ არ დაეხოცილიყავით, იძულებული ვიყავი მძიმე, აუტანელი ჯაფა გამეწია. მას შემდეგ, სხვა მრავალთა მსგავსად, სად აღარ მატარა ბედისწერამ — ბულგარეთი, სერბია, ჩეხეთი, პარიზი, ბელგია, ნიცა... გოგონა რა ხანია გაიზარდა, იგი პარიზში დარჩა და ნამდვილი ფრანგი ქალიშვილი დადგა — მეტისმეტად მოხდენილი და სრულიად გულგრილ ჩემს მიმართ. ცხოვრობს შუა პარიზში, მუშაობს მადლენის მახლობლად, შოკოლადის მაღაზიაში და ნატიფი, სათუთად მოვლილი ხელებით კანფეტის კოლოფებს ატლასის ქალღმერთში ახვევს. მე კი ისევ ნიცაში ვცხოვრობ, ვარ ასე, ღვთისა და ბედის ანაბარად მიტოვებული... ათას ცხრაას თორმეტ წელს პირველად ნიცაში რომ ჩამოვედი, ჩემი ცხოვრების იმ ბედნიერ დღეებში, აბა, რას წარმოვიდგენდი, თურმე

რა სიმწარე, რა გაჭირვება მელოდა ამ ქალაქში.

ასე გადავიტანე მისი სიკვდილი, თუმცა მაშინ ძალიან შევიცხადე — შენ სიკვდილს ვერასოდეს გადავიტან-მეთქი... და აი, როცა ჩემი ცხოვრების გარდასულ დღეებს გაეიხსენებ, როცა საკუთარ თავს შევეკითხები, მაინც რა იყო ჩემს ცხოვრებაში კარგი და მოსაგონებელი, მხოლოდ შემოდგომის ქვეყნის სალამო მახსენდება, თუმცა ზოგჯერ ეჭვიც კი მეპარება — „იყო თუ არა ეს სალამო?“ მაგრამ, რა თქმა უნდა, იყო და მხოლოდ ის იყო ჩემი ცხოვრება, სხვა ყველაფერმა ამაო, ფუჭი სიზმარივით ჩაიარა. მე ახლაც დარწმუნებული ვარ, იგი იქ მელოდება, მელოდება ისევ ისეთი ახალგაზრდა და სიყვარულით სავსე, როგორც შემოდგომის იმ ცივ სალამოს... „...შენ აქ იხარე, დატკბი ამ ცხოვრებით, ბოლოს კი ჩემთან წამოდი, იცოდე, მე იქ გელოდები...“ აი, მე ვიცხოვრე, დავტკბი ამ ცხოვრებით და ახლა უკვე მალე წამოვალ შენთან.

1944 წელი, 3 მაისი

პატარა რომანი

1

ომ სალამოს მე და ის რკინიგზის სადგურში შევხვდით ერთმანეთს.

იგი ვიღაცას ელოდა და ეტყობოდა, დაბნეული იყო.

მალე მატარებელი ჩამოდგა, ბაქანზე ბლომად ხალხი აირია, იდგა ქვანახშირისა და ნაწვიმარი ტყის სურნელი. ირგვლივ იმდენი ნაცნობი იყო, კაცი თავის დაკვრას ძლივს ასწრებდი, ის კი, ვისაც იგი თავისი დიდი, ლურჯი თვალებით მღელვარედ ეძებდა — არ ჩანდა.

მატარებელი დაიძრა, იგი გაჩერდა და ბაქანის სიგრძეზე გაჭიმული ვაგონების ფანჯრებს თვალი გაადევნა. ფანჯრებიცა და ვაგონის წინა ბაქნებიც ხალხით იყო სავსე — სახეები, სახეები, სახეები... ის სახე კი, რომელსაც იგი ასე დაჟინებით ეძებდა — არ ჩანდა.

ბოლოს ვაგონების კედელი ჩასრიალდა, უკანა ბუფერმა წუთით გაიღვა და მატარებელმა მწვანედ ტანაყრილ ხეებს შუა ჩაიჭროლა. დაცარიელებულ, ნაწვიმარ ბაქანზე პაწაწა, ცისფერი ნაკადულები მიწანწკარებდა.

მზე სადგურის ფარდულს იქით იყო გადასული, მთელ ბაქანზე ჩრდილი იდგა, ჩვენს უკან, ტყეში ვაბნეული აგარაკები კი ჯერ ისევ ვარდისფრად იყო გაციხროვნებული, მინებს ხალისიანი ბეღვრიალი ვაჭკონდა, სადღაც დაჟინებით, უამურად დუდღუნებდა გრამაფონი, საიდანღაც კროკეტის ბურთების ტაცა-ტაუცი და ბიჭების ყივილი ისმოდა.

— გავიაროთ...

ჩემთვის არ შემოუხედავს, მოკლედ მითხრა და მეც გავყევი.

ფარდულს უკან რომ გავედით, თვალებში სალამოს ბრიალა მზემ შემოგვანათა. აქედან გრილი, მწვანედ დაბურული ტყე იწყებოდა, დიდხანს მივეყვებოდით ტყის ვიწრო განაკაფს. დიდხანს, დიდხანს ვიარეთ ატალახებული

ვწის დაყოლებით მწვანე ლიძანებს, ვერხვებსა და თხილნარს შორის გატეპნილ ბილიკზე, ხავერდით ხასხასა ფოთლები სახეში გვედებოდა, იგი წინ მიაბიჭებდა და თვალწინ ერთთავად მისი უჭრებიანი კოფთა, გრძელი ქვედა „აბა და კეფაზე მოხვეული მსხვილი ნაწნავი მიტრიალებდა, ისე მარჯვედ არჩევდა შედარებით მშრალ ადგილს, ისე მოხდენილად იხრებოდა, გაბმულ ბუწკნარსა და ხის ტოტებს ისე მოხერხებულად ერიდებოდა.

— რაზე ფიქრობთ? — მკითხა უცბად, ისე რომ ჩემკენ არც ახლა შემობრუნებულა.

— რაზე და თქვენს ფეხსაცმელზე, აი, იმაზე, ფრანგულ ქუსლებზე რომ არ დგახართ, ფრანგულქუსლებიანი ქალებისა არაფერი მწამს.

— მერედა, ჩემი გწამთ?

— მწამს.

მაგრამ, აი ნაკაფი ჩათავდა და ჩვენ ერთ მოშიშველებულ, მზით ვანათებულ ბექობზე აღმოვჩნდით. იგი უცებ შეჩერდა:

— რა საყვარელი ხართ! მოდიხართ ასე თქვენთვის და ხმას არ იღებთ... ვერ წარმოიდგენთ, გული როგორი სიზბოთი და სინაზით ამივსეთ...

ამაზე მე თავშეკავებულად ვუბასუხე:

— ხდება, მით უმეტეს, როცა კაცს რაიმე გაწუხებს.

მან გაოცებულმა შემომხედა:

— მაწუხებს? კი მაგრამ, რა უნდა მაწუხებდეს?

— ვიცო, ვილაცას ელოდით... ისიც ვიცო, საცაა შემომთავაზებთ, მე გაციქცევი, თქვენ დამეწიეთო.

— გამოიცანით. თანახმა ხართ?

ამ სიტყვებზე ახლოს მივედი, ხელში ხელი მოვკიდე და ოდნავ ჩემკენ რომ მოვიზიდე, უკან გადაიწია:

— არა, — თქვა ჩურჩულით, — არა... ღვთის გულისათვის...

მერე ერთხანს იყუჩა, ბოლოს ხელიდან მარჯვედ დამისხლტა, კაბის კალთა აიკრიფა და ბექობიდან მწვანე ტაფობისაკენ სირბილით დაეშვა.

ტაფობს აქეთ-იქით ტყით დაფარული ხეხევი ჩაუდიოდა, წინ მოზრდილი, მოთიბული ბალახის მწკრივებით დასერილი, უმზეო, ჩრდილით ჩახურული ღარტაფი იყო. ტაფობზე რომ ჩავიდა, ღელის პირას, ჩამავალი მზის შუქსა და ჩრდილს შუა გაჩერდა, მაგრამ ერთ ნაბიჯზე მივუახლოვდი თუ არა, რუზე ისკუბა და ახლა ხევ-ხევ გაიქცა. ის იყო, მეც იმ რუზე გადავხტი, რომ ციდან სმელი ფოთლების შრიალივით მსუბუქი ჩქამი წამოვიდა, მალე ხმაურს შხაბუნა წვიმა მოჰყვა და მარცხნივ, ბორცვის თავზე ოდნავი ნისლით შებურული მარმარა ცისარტყელა გადაიჭიმა.

— წვიმს! — წამოიძახა მან წკრიალა ხმით და წვიმისაგან გადალალანებულ მინდორზე კიდევ უფრო სწრაფად გაიქცა.

წვიმის ოქროსფრად მობიბინე ბადურის ქვეშ კრთოდა და ზიმზიმებდა ჯერ ისევ მზით განათებული მინდორის ნახევარი, ზევიდან ხმაურით, შხაპა-შხუპით ცვიოდა და ცვიოდა მსხვილი, მეჩხერი წვეთები. ჩანდა, მოკრიალებულ ცაზე გუმბათივით აზიდული ერთადერთი კვამლისფერი ღრუბლიდან ნემსებივით გრძელი, პრიალა წვეთები როგორ მოსრიალებდა და მოსრიალებდა... მერე წვიმა თანდათან შეთხელდა, ბორცვის თავზე გადმონდგარი ცისარტყელა თანდათან გაუფერულდა და ხმაური ერთბაშად მიწყდა.

მან ამ დროს თივის ზვინთან მიიბინა, ზედ ზურგიტ გადაწვა და ხმამალ-
ლა აკისკისდა. სუნთქვის დროს მკერდი აუღ-ჩაუდიოდა, თმაში წვემის წვე-
თები უბრწყინავდა.

— ნახეთ, გული როგორ მიცემს, — თქვა და ჩემი ხელი ხელზე აგლო.

მე მხრებზე ხელი მოვხვიე და მისი ნახევრად გახსნილი ბაგეებისაკენ
ფრთილად რომ დავიხარე, ახლა უკვე წინააღმდეგობა აღარ გაუწევია.

მერე წყნარად მომიშორა და წითლად ატკრეცილი სახე გვერდზე მიაბ-
რუნა. გამხმარი ბალახის ღეროს კვნეტდა და მოკრიალებული თვალებით სივ-
რცეს დაბნეული გასცქეროდა.

— ეს პირველი და უკანასკნელი იყოს, კარგით?

კარგი-მეთქი, — ვუბასუხე.

მერე თვალებში დაჟინებით შემომხედა:

— ნეტავი ოდნავ თუ გიყვარვართ? მე კი ისეთი ბედნიერი ვარ, თავს
ისე შესანიშნავად ვგრძნობ!.. იცით, ნურავიზე იეჭვიანებთ, იმას, ვისაც მე ვე-
ლოდი, ჩვენთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, თუმცა იგი ჩემი ოფი-
ციალური საქმროა და მალე მეც გრაფიანია ელ-მამუნა გავხდები... რატომ? არ
ვიცი... ალბათ იმიტომ, რომ მეშინია...

ასადგომად ხელები რომ გამომიწოდა, ჯერ ერთ ხელზე ვაკოცე, მერე
მეორეზე.

ახლა კი წავიდეთო, — მითხრა.

სად-მეთქი?

ცოტა გავიაროთო.

ფეხზე რომ წამოვყენე, მორცხვად გაიღიმა, მერე მომხიბვლელი ქალური
მოძრაობით თმა შეისწორა და ხევის სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. დრო-
დადრო ტყიდან გუგულის ყრუ, შორეული ძახილი ისმოდა. ნაწვიმარი ცის
სიღრმეში მდორედ მიცურავდა, ნელა იცრაცებოდა კიდევებეწითლებული,
თბილი, კვამლისფერი ღრუბლები.

უკან გამობრუნებისას გზა აგვებნა, მაგრამ მალე აქაურობას ალღო იო-
ლად აუღო და წინ გაბედულად გამიძღვა.

გზაში რომ მოვდიოდით, თხოვნაზე უარი ვეღარ მითხრა, თავისი ამბავი
მოკლედ, გადაკრულად მიაშბო, თან საშინლად ღელავდა. მოყოლა რომ და-
ამთავრა, კარგა ხანს გაჩუმებულებმა ვიარეთ.

ტყეს ჩრდილოური მწუხრი დასწოლოდა. ირგვლივ რამოდენიმე კილო-
მეტრზე გაჭიმული, ხშირი, მღუმარედ გარინდებული ტყე უშფოთველად ელო-
და იღუმალეებით მოცული ღამის მობრძანებას. საღამოს მკრთალი, მოცახცახე
შუქი თანდათან ილეოდა, ცას თვლელმა ეპარებოდა. პატარა, ჭანჭრობი ტბა,
რომლის ნაპირ-ნაპირაც ახლა მე და ის მივაბიჯებდით, ჯერ ისევე თეთრად
კრთოდა ხეებს შორის, მაგრამ ტბაც ისეთავე უხალისო და მოწყენილი იყო,
როგორც ტყე... მალე ცა შავმა ღრუბელმა გადაფარა, საღამოს ბინდში გაყუ-
ჩებული ტყის თავზე შავად ჩამოწვა, თბილი, ჭაობის ბალახითა და წიწვის
საამო სურნელით გაჟღენთილი მთვლემარე ჰაერი თანდათან ჩატკბა. ოქროდაკ-
რულ ზურმუხტისფრად ციმციმებდნენ კრიჭინობლების იღუმალი ჟრუნით
მითვლემილ ბუჩქებქვეშ მიყუჟული ციციანთელები... გზა რომ შეგვემოკლები-
ნა, ტყიდან გადავუხვიეთ და ასწლოვანი ფიჭვების გრძელსა და ფართო დერე-
ფანს გავუყვით. ბილიკს უკვე ძლივს ვარჩევდით, სილაში გზას ძლივს მივიკ-

ვლევდით. უცბათ ფიქვის ხმელ, დაბურულ ტოტებში რალაცამ გაიფაჩუნა, მალე იქიდან ტრიალ-ტრიალით უშველებელი დადთავა ბუ ამოყურყუმელავდა, პირდაპირ ზედ შემოგვეფეთა და თავისი მრგვალი, ფართო ფრთებით ჰაერში კვლავ ტრიალით აიჭრა... აგი შეკრთა, უკან დაიხია, ბუმ კი წრე უხმაუროდ მოხაზა, ისევ დაბლა-დაბლა დაეშვა და ტყის სიბნელეში მდინარეს ჩაიძირა.

— კარგის ნიშანი არ არის, — თქვა და თავი გადსაქნია.

ამ სიტყვებზე მე გავილიძე.

— მერწმუნეთ, კარგის ნიშანი არ არის, — გაიმეორა უბრალოდ და დაყინებით.

— მაინც, რა იქნება?

— რა ვიცი... ისე, ჩემთვის სულ ერთია, თქვენს გვერდით გატარებულა ეს დღეები და ეს საღამო არასოდეს დამავიწყდება. მოდით, გამომშვიდობების ნიშნად...

სიტყვა არ დაუმთავრებია, კისერზე მკლავები შემომხვია, სახეში ნაზად და სევდიანად ჩამხედა, ოდნავ დაფიქრდა და ჯერ ერთი თვალი დამიკოცნა, მერე — მეორე... მერე მინდორ-მინდორ გეზი ხეებს ვაღმა სემაფორის მწვანედ მოციმციმე სინათლისაკენ ავიღეთ. უკვე ბნელოდა. მალე ფოთლებზე წვეთების წკაპაწყუბი გაისმა და, ის იყო, კარავივით გადახურული აგარაკის აივანზე, თალფაქიანი სანთლებით განათებულ ჩაის მაგიდასთან მივირბინეთ, რომ გარეთ ისევ კოკისპირულმა წვიმამ დასცხო.

ტანსაცმლიდან წვიმის წვეთებს ვიბერტყავდით, თან თვალთმაქცურად ვყვებოდით, ტყეში როგორ დავიბენით და გზას ძებნაში როგორ შემოგვალამდა, რომ უცბათ ორივენი ხელნაკრავებივით გავჩუმდით — აივნის ბნელ კუთხეში, სარწეველა სავარძლიდან საოცრად მაღალი, გამხდარი, ფართო მხარბეჭიანი, შავწვერიანი და მელოტი, თვალეზმოელვარე ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი წამოდგა. მოხუცები შეეცბნენ, ჩემს თანამგზავრს სახეზე მკვდრისფერი დაეცდო, მე კი ხელი მაგრად ჩამოვართვი და ბუმრობის კილოთი ვუთხარი:

— ღმერთო, ეს რამსიმალლე ხართ? შუა საუკუნეებში რომ გეცხოვრათ, შეუდარებელი აბჯროსანი იქნებოდით.

— მართლა? — თქვა და მკვირცხლად დასძინა: — ადვილი შესაძლებელია... მე გრაფი მამუნა გახლავართ.

მალე საიდანღაც ძველი, უშველებელი ქოლგა გამომიძებნეს, დამარიგეს, წასვლა რა გზით უფრო ჯობდა და აივნის სველი საფეხურებიდან პირდაპირ უკუნეთ სიბნელეში გავაბიჯე.

იგი კარვისებური საჩეხის განათებულ სამკუთხედში, კარის ზღურბლთან იდგა. კუტიკართან რომ მივედი, ხმისათვის არ აუწყევია, წყნარად მომაძახა.

— მშვიდობით.

ეს იყო და ეს, ამის მეტი მასი პირიდან არასოდეს აღარაფერი გამიგონია — ჩემდამი ნათქვამი ეს მისი უკანასკნელი სიტყვა იყო.

„ჩემო ძვირფასო, — მწერდა იგი ამ ამბიდან ოთხი თვის შემდეგ, — ნუ დამადანაშაულებთ, ასე ჩუმად, გაუფრთხილებლად რომ გაგეპარეთ. ყოველ-

გვარი ძალა და მეუფება დაეკარგე. ჩემს თავზე, ხელიდან გავუშვი საუკეთესო მომენტი, როდესაც ჯერ ისევ შემეძლო, კავშირი გამეწყვიტა მასთან. ახლა უკვე აღარავითარი იმედი აღარა მაქვს, არა მგონია, ოდესმე ისევ შევხვდეთ ერთმანეთს (ან კი რა პირით უნდა შევხვდეთ?), არც ის მგონია, ვცდებოდეთ თქვენს დამოკიდებულებაში ან თუნდა ოდნავ მაინც თავს ვიტყუებდეთ. თქვენთვის ეს მხოლოდ შემთხვევითი, პატარა რომანი იყო, ეგ არის და ეგ... ღრუბედავად ამისა, თქვენს თავს ვფიცავარ, მთელს ჩემს ცხოვრებაში თქვენს გარდა არავინ მყვარებია....

მაინც რა არის ან რას წარმოადგენს ადამიანის მიერ, ვინ იცის, რამდენჯერ ნაქები და ხოტბაშესხმული სიყვარული? ან იქნებ სიყვარულში არც არის საჭმე? ამას წინათ ერთი აწ გარდაცვლილი მწერლის წერილებში ამოვიკითხე, სიყვარული არარსებულისავენ სწრაფვიაო. რა ვიცი, იქნებ ასეც არის, მიუხედავად ამისა, მიყვარხართ, მიყვარდით და შეყვარებით...

რატომღაც ყველაზე ხშირად საღამოობით მაგონდებით. გახსოვთ, უკვე გვიანი საღამო იყო, ერთმანეთს რომ გამოვემშვიდობეთ. ამ პირველსა და, ალბათ, უკანასკნელ წერილსაც, სწორედ საღამო უამს გწერთ. და იცით, ღმერთში უწყის, საიდანს ვზივარ ალბებში, ღრუბლებს ზემოთ ამალღებულ ცივსა და უკაცრიელ სასტუმროში, გარეთ ოქტომბრის უამური, სუსხიანი საღამოა. მას უკვე ჭლექის ნიშნები აქვს, მე კი ბოროტად დავცინი ადამიანის სიცოცხლეს. არა თუ ვაკავებ ამ ჯანლსა და უამინდობაში, სად აღარ დავატარებ, თოვლიან მთებსა თუ ნესტიან ტბებსა და ხევხუვებში. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბავშვივით დამჯერი და მორჩილი გახდა, დამყვება მთელი დღეები პირუჩუმრა, თვალები შეღავს, საყვედურით კი არაფერს ამბობს. დღესაც კარგა ხანს ვიარეთ ასე გაჩუმებულებმა, სასტუმროში რომ შევედით, მოსამსახურე ქალმა, რომელიც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს გლუხურ სამზარეულოში ატარებს, — სტუმრებიც ამას ჰქვიაო, — გაოცებულმა შემოგვხედა და მძიმედ ამოიოხრა. ვინ იცის, იქნებ ისიც გაუკვირდა, იგი სიკვდილივით ფერმკრთალი და ჩონჩხივით აწოწილი რომ იყო.

მე კი ამ უკაცრიელ, მთებს შორის ამ ღვთისა და კაცისაგან მიტოვებულ სასტუმროში მხოლოდ იმიტომ წამოვედი, რათა მღუმარებასა და უსასობაში სულ თქვენზე მეფიქრა.

ამ გვიან შემოდგომაზე, რომ იცოდეთ, როგორი სევდიანი იღუმალეებითაა მოცული მთისაკენ ერთმანეთის მიყოლებით ვაქცეული, ლურჯი მწუხრით ჩაბინდული ხეობები. მძიმედ ჩამოწოლილი ზეცა გულგრილად დასდგომია ნისლიან მთებში ჩაჭედულ, ტყვიისფრად გარინდებულ ტბებს. მუდამ, როცა კი ღრუბლიან ცას შევყურებ, მინდა ამ ნისლებში ჩავიძირო, ღამე მთის რომელიმე ყრუ, უკაცრიელ სასტუმროში გავათიო... ო, რა სიამოვნებით მივცემდი მთელი ჩემი სიცოცხლის ნახევარს, ახლა აქ, ჩემს გვერდით რომ მეგულეობდეთ...

იმ დღეს ჩვენი გემი ისე ადრე გამოვიდა, ნაშუადღევს უკვე მთაში მივაბიჯებდით. ო, რა სევდიანი იყო ის გზა! ფერდობებზე შეფენილ, ტანმორჩილ, მეჩხერ ტყეში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ხანდახან ხეებიდან თითო-ოროდ ჩამოვარდნილი პატარა, ყვითელი ფოთლის შრიალი თუ დაარღვევდა ირგვლივ გამეფებულ სამარისებურ მყუდროებას. ზოგჯერ ჩვენს შუა დიდი, წითელი ძროხები სველ ღრუნჩებს გამოჰყოფდნენ, თავიანთ უაზრო, მარდ თვალებს

შემოგვაფეთებდნენ. ხანდახან ფიჩხზე წამოსული პატარა მწყემსი ბიჭები ჩიტებს სტვენაში თუ გაეჭიბრებოდნენ და ისინი თუ აახმაურებდნენ შემოდგომის რულმორეულ ტყეს. მივაბიჯებდით ზევითა და ზევით, მთელ მთარე მდუმარებაში, იქიდან კი, მთის მწვერვალებითა და კბოდეებით, ლურჯად ჩაბინდული ფიჭვის ტყე-ტყე რუხი, ნაცრისფერი კვამლივით ეშვებოდა ჩვენსკენ. ზოგჯერ სულის მოსათქმელად რომ შევჩერდებოდით, დიდხანს და დიდხანს ჩხვყურებდით შორს, ქვევით, ტყით დაფარულ, იისფერი ნისლით ჩაბურულ ხეობას. ვიდეჭი და ვუსმენდი, როგორ ვარდებოდა ფოთოლი, ჩუმად, ჩუმად როგორ ტიროდნენ სველი ბუჩქები...

ნისლში შავად პირდაღებული გვირაბის გადასწვრივ რაღაც ახალშენი, ფერდობზე შეფენილი ხუთი თუ ექვსი რულმორეული ქოხი შემოგვხვდა. ციცაბო აღმართზე ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივუყვებოდით სველ, მოლინკყულ შპალებს, მაგრამ სულ მალე იმ სოფლის ადგილას მხოლოდ შავი ლაქალა დარჩა და მთიდან შემოდგომის ცივმა, თოვლიანმა სიომ დაჰბერა.

იგი უცბად გაჩერდა, მთხოვა, უკან დავბრუნებულიყავით, მე კი ჭინაზე უარი ვუთხარი.

ეგ პასუხი არც თუ ისე მახვილგონივრულიაო, — ჩუმად ჩაილაპარაკა, ერთ ხანს ჩაფიქრდა და ისევ გზა განაგრძო.

ჯანლი თანდათან ხშირდებოდა, სულ უფრო ქვევითა და ქვევით მოიწევდა. ჩვენ კი მივდიოდით, მივდიოდით... აი, შავად გამურულ, მოგუგუნე ხვრელს ავუარეთ, გადავიარეთ ნისლებით მხრჩოლავი, უძირო ხეობის თავზე გაკიდული, თითქმის ცაში გამოდებული ხიდი... საკმარისი იყო, ჩემი იძულებითი თანამგზავრი ოდნავ უკან ჩამომჩინოდა, მაშინვე ნისლში ჩაინთქმებოდა და თვალთავან დამეკარგებოდა. ერთმანეთს რომ დავუძახებდით, ჩვენი ხმა თითქოს სადღაც, ცხრა მთას იქიდან ისმოდა.

ერთხელაც არის დამიძახა — სიარული უჭირდა და მუდამ უკან მრჩებოდა — როდესაც გავჩერდი, ხელი გამომიწოდა და გაუბედავად მითხრა:

— იყავი ცოტა გულთბილი, სახელოში ხელი შემეყავი და პერანგი ჩამომიწიე.

უცბად გული საშინლად დამეწვა, შემეცოდა, მან ეს შემატყო, თვალები დახარა და თითქმის ჩურჩულით დასძინა:

— იცი რა, იქნებ სადმე ისეთ ადგილას წავიდეთ, სადაც ცოტა უფრო ეთბილება, თორემ ეს საქორაწილო მოგზაურობა კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთია.

უნდა გავცილდეთ-მეთქი, — ვუპასუხე.

ცოტა ხანს იყუჩა და მერე წარბშეკრულმა მითხრა:

— ძნელია.

მაგ სიძნელეს მე ვიდებ თავს, შენს ახირებულ სიყვარულს ხომ არ შევეწირები, რა უფლება მაქვს-მეთქი, — ვუპასუხე.

მე ყველაფრის უფლება მაქვს, დასაკარგავი არაფერი მაქვსო, — თქვა და ჭიუტად შემომხედა.

ამ სიტყვებზე გავტრიალდი და წავედი.

სველი, გამლღვალი თოვლით დაფარული რელსები მთისაკენ მისრიალებდა, მთის დამრეც ფერდობებსა და ციცაბო ფლატეებზე გადმოკიდებული ნაძვისა და ფიჭვის ტყეები მთიდან ხევეებისაკენ მოცურავდა, ბურუსით მოცულ მწუხარში კაცი უფრო შეიგრძნობდი, ვიდრე ხედავდი ფერდობებზე იისფერ

ლაქებად გაბნეულ ნაძვისა და ფიჭვის ხშირ ტყეებს. იმ პირქუშ მთებს ზემოთ კი, ღრუბლების იმიერ სამფლობელოში, ისეთი სამარისებური მდუმარება სუფევდა, სიცოცხლის ნიშანწყალიც არ იგრძნობოდა. უცბად გზის პირას, ბებერი ნაძვის ხეზე რაღაც შეფრთხილდა. გახსოვთ ის ბუ? იმ წუთას მეც სწორედ ის ბუ გამახსენდა და ამ წერილის მოწერაც სწორედ იმ წუთებში ვადავწყვიტე, თუმცა, ბუ კი არა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩემთვის მთელს დადამიწის ზურგზე ყველაზე პაწია ჩიტუნა — ნარჩიტა იყო, ნაძვის სველი, ჭანლში განთხეული ტოტიდან, ნამლევა, უღიმღამო ჩიტი წუთით გზაზე დასკუპდა, ჰაშინვე მარცხნივ, ხევისაკენ უხმაუროდ გადაფრინდა და ნისლში გაუჩინარდა...

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ის საღამო? ბურუსში გახვეული, კედელივით აღმართული წიწვოვანი ტყე, შემლღვალი თოვლით დაფარული გზისპირები, შავად ჩაჯანღული უძირო უფსკრულების თავზე ღრუბლებად გადმოკიდებული ხშირი, იასპისფერი ნასლი... ჩიტი კი არის თავისთვის არხინად და სულაც არ აწუხებს მთაში ჩამოწოლილი ზამთრის ეს პირქუში, ქურუხი ღამე — ვიღაცის უზესთაეშ მფარველობას მინდობილი, ამ ღამესაც იქ გაითენებს, სადაც ბინდი წამოეწევა, მე კი ა? მფარველობის არც რწმენა მაქვს, არც იმედი...

აი, დავწვები უკაცრიელ, ყინულივით ცივ, ფიჭვის სურნელით სავსე ნომერში და სინათლეს რომ ჩავაქრობ, ასე მეგონება, ღრუბლებს ზემოთ, სიკვდილის სამეფოში ვიმყოფები. ის კი წევს მეზობელ ოთახში და ყრუდ ახველებს, კაცო კი არა, ნამდვილი სამარეა, რომ იცოდეთ, როგორ მძულს!

თუ ოდესმე თავისუფალი ვიქნები, თუ ოდესმე შეხვედრა კიდევ გვიწერია, სიხარულით ხელებს დაგიკოცნით, თქვენ კი... თქვენ... როგორც გენებოთ...

3.

მაგრამ ეს წერილი, ღმერთმა უწყის, როდის მოვიდა ჩემამდის. მოსკოვიდან ჯერ სოფელში გაეგზავნათ, სამი თვე თურმე იმ სოფელში ეგდო, მერე თითქმის მთელი სამხრეთი მოუტარებიათ, მე რომ მივიღე, უკვე მარტის დამდეგი იყო, ის-ის არის ყირიმიდან წამოსასვლელად ვემზადებოდი.

წერილი რომ წაეკითხე, ვერ წარმოიდგენთ, როგორ ავღელდი.

რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი, რა მიმეწერა? დიდხანს, დიდხანს ვიფიქრე ამაზე, და, შემინდევ უფალო. ბოლოს ესღა გადავწყვიტე:

ავდგები და მეც ცხენით გადავივლი ასე მთა-მთა-მეთქი.

ყირიმის მთებშიაც ხშირი ჭანლი იწვა, მაგრამ გაზაფხული იყო და მეც მხოლოდ ოცდარვა წლის ყმაწვილი კაცი ვიყავი...

ლაი-ლას უღელტეხილზე, ვიდრე სამცხენაში ცხენებს შეაბამდნენ, ერთ ბინძურ დუქანში ვიჯექი და თავს დამეავეებული წითელი ღვინით ვიქცევდი. ირგვლივ ყოველივე ნისლში იყო ჩაძირული, გარეთ ქარი ქროდა, ნისლის ნაცრისფერ ნაფლეთებს აქეთ-იქით დააჟვრიანებდა... წერილი ამოვიღე და ვულის კანკალით ერთხელ კიდევ გადავიკითხე.

ძვირფასო, საყვარელო, რა ვქნა, რა ვიღონო, როგორ მოვიქცე!...

დუქანში ჯდომა უკვე აუტანელი იყო, ავდექი და ჰაერზე გამოვედი.

ნისლი თანდათან ვარდისფრად იცრიცებოდა, თანდათან ილეოდა... ჭან-

ლიან მთებს ზემოთ თანდათან აიშუქა, ჰაერში სიტბოს სუნი დატრიალდა. შავი ღრუბლებით შემოსილი ცა თანდათან მინაზდა, ჯერ მკრთალი ნათელი გადაეწლო, მერე შუბლი თანდათან გადაეწმინდა და მალე ოქროსფერად გასხივოსნებული ცა ლაქვარდისფერად გამობრწყინდა.

უნდა მივწერო, აუცილებლად უნდა მივწერო-მეფე... მაგრამ, სად ან რა უნდა მიმეწერა, წარმოდგენა არა მქონდა.

უდაბურ მთებს ახლა უკვე გამკვირვალე, ლურჯად მოკრიალებული ცა — რგვალი დაპყურებდა, მაგრამ, კიდევ დიდხანს, დიდხანს ბოლავდნენ პირდაღებული უფსკრულების თავზე წამომდგარი ფრიალო კლდეები, ვიდრე მზემ არ გამოანათა და ქედანისფერი ნისლები პირწმინდად არ წამოკრიფა. მალე მთებს ზემოთ გადმომდგარი თვალშეუდგამი ზეცა მთელი თავისა უსაზღვროებით გადაიხსნა, შორს, გამკვირვალე ჰაერში მწვანედ დატალღული ზეგანი აღადანდა. დაჰბერა ჩრდილოეთის, თუმცაღა ნაზმა, ალერსიანმა ნიავმა და ამ ნაზი, ალერსიანი ნიავით თავბრუდახვეული ნელა დავუყევი ციცაბო კლდისაკენ, რათა ერთხელ კიდევ დამეხედა ლურჯად მოკრიალებული ცის ქვეშ წყნარად მოლივლივე ზღვისათვის.

აი, ჩემი უზარმაზარი, კვამლისფერი ჩრდილი წყლის თავზე მოცახცახე ბორს დაეცა და შიგ უკვალოდ ჩაიკარგა. ჩემს წინ უკიდევანო, სქლად ჩაწოლილი ნისლის ღრუბლებით გადათხრილი ხეობა — თეთრი, ალქატი მთების მთელი სამყარო იყო გადაშლილი, ჩემს ფერხით, პორიზონტამდე, ზღვაზე უშველებელი თეთრი ზეწარივით განფენილი ნისლის თეთრი მთაგრეხილები იყო გაწოლილი. და აი, მთელი ჩემი სულიერა ძალა, მთელი ჩემი დარდი და სიხარული — დარდი იმ მშვენიერი ქალის გამო, რომელიც მაშინ მიყვარდა და ამ პირველი გაზაფხულისა და სიქაბუჯის გაუცნობიერებელი სიხარული, ყველაფერი, ყველაფერი იქ ჩაიმარხა, იქ, იმ ღრუბელთა ხეობის სამხრეთ კედესთან, სადაც ზღვა გრძელი, პრიალა ზონარივით გაჰკროდა ფარუზისფერ პორიზონტს...

ზანზალაკების ერთფეროვანი სიმღერა მოსაწყენად ჰყვებოდა და ჰყვებოდა გრძელი გზისა და იმ ამბავს, რომ წარსულმა უკვე თავისი დრო მოჰკამა, და რომ ამიერიდან ჩემთვის უკვე სხვა, ახალი ცხოვრება იწყებოდა. და აი, ძველი საგზაო ეტლი, ძველი საფოსტო სამცხენა, შეკრული ჩემოდნების გვერდით მაღალ კოფოზე შემომჯდარი დიდყურება თათარი მეეტლე, ფლოქვების თქარათქურს შეწყობილი ზანზალაკების სევდიანი მგზავრული და შორს გაჭიმული გრძელი, უსასრულო შარაგზა... ხშირად, ხშირად მივბრუნდებოდი უკან და დიდხანს, დიდხანს გავცქეროდი ლაინისფერ ცაზე გამოკვეთილ პიტალო კლდეთა მტრედისფერ ქონგურებს. ტროიკა კი მიქროდა და მიქროდა ზანზალაკების ერთფეროვან წკარუნსა და ფლოქვების თქარათქურში — ქვევითა და ქვევით, სულ უფრო უკან და უკან იტოვებდა ახლა უკვე სადღაც, ცაში გამოკიდებულ უღელტეხილს.

იდგა ადრეული გაზაფხულის თავანკარა სიჩუმე, მღუმარებას მოეცვა მაღალი, ნისლიანი მთები და შორს გაჭიმული ხეობები. იყო შავად გაშიშვლებული ხეების, ბუჩქებქვეშ მიგროვილი გამხმარი ფოთლების, მორცხვად თავწამოყოფილი პირველი იებისა და ველური ტიტების საოცარ მშვენიერებათა სუფევა.

ეს-ეს არის მწევანედ იმოსებოდა თოვლისა და ზამთრის ყინვისაგან ახლად
სულმოთქმული მთის ფერდობები, ბროლივით მკვირვალებდა პირველი გაზაფ-
ხულის ცინცხალი ჰაერი.

მაშინ ასე შეგონა. ცხოვრებაში კაცისათვის სხვა არა იყო რა მსგავსი ბედ-
ნიერებაზე ოცნებისა და ამ მშვენიერი გაზაფხულის გარდა. — იმისთვის

მაგრამ, აი. მარტის ბოლოს სრულიად მოულოდნელად ეხვევიდან დეპე-
შა მივიღე:

„ვასრულებ გარდაცვალებულის უკანასკნელ სურვილს და გაცნობებთ.
რომ იგი ამა წლის ჩვიდმეტ მარტს გარდაიცვალა. ელ-მამუნა“.

1909-1926 წ.





მოთხრობა

თარგმნა ოპარ ასიკაშვილმა

სოფლიდან მოსკოვს მივდიოდა. გზად ორი დღით შეეჩერდი ერთ საგუბერნიო ქალაქში. მეორე დღეს ჩემთან მოვიდა ქალი, ერთი გლეხის ცოლი. ეს გლეხი ჩვენს სამემკვიდრეო მამულში ცხოვრობდა და ამ ქალაქში ვაჭრობდა ხოლმე. ქალი შეშფოთებული იყო. ექვსი თვეა ჩემი ქმარი ციხეში ზის, ამბობენ, მალე დასჯიანო. მე გამოვითხოვე საქმე. გამოირკვა, რომ მის დასადასაშაულებლად არავითარი ხელმოსაქადი სამხილი არ არსებობდა.

ოდესღაც ვიცნობდი სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგს, უპატროსნეს და დიდად უცნაურ ადამიანს ამქვეყნად. ჩემი მოხუცი მარტოდ-მარტო იჯდა მაგიდასთან. ლურჯი სათვალე გაეკეთებინა, სახეზე გულგრილობა ეხატა, წინ უსაშველო სქელტანიანი საქმე დედო და კითხულობდა. სამი წელი არ გვენახა ერთმანეთი. ორივემ ძალიან გავიხარეთ, იმიტომ კი არა, რომ რაღაც განსაკუთრებულად გვიყვარდა ერთმანეთი, არა — უბრალოდ ადამიანს ყოველთვის უხარია, როცა დიდი ხნის შემდეგ კიდევ ნაცნობ სახეს ხედავს. ავუხსენი ჩემი მისვლის მიზეზი, მან საქმე მოითხოვა, რეზოლუცია უკვე მზად იყო. ვთხოვე როგორმე გამოეძებნა ერთი ორი შემამსუბუქებელი გარემოება. შემპირდა, ვეცდები, სასჯელი შევუმსუბუქო.

მადლობა ვუთხარი, მერე თავი ვერ შევიკავე, მეგობრულად მოვკიდე ხელი და ვუთხარი:

— ვლადიმერ იაკოვლევჩი, რომ არ მოვსულიყავი და არ მეთხოვა, საქმეს ხელახლა გადახედეთ-მეთქი, ალბათ იმ გლეხს უფრო მკაცრად დასჯიდით, ვიდრე საჭირო იყო, არა?

— რა ექნა, ძმობილო, — მიბასუხა მოხუცმა და ლურჯი სათვალე შუბლზე აიწია. — სინდისი სუფთა მაქვს. ხელს ისე არ მოვაწერ ოქმს, თუ თავიდან ბოლომდე არ წაგიკითხე მთელი საქმე. მაგრამ გამოგიტყდებით, როგორც ცეცხლის, ისე მეშინია შემამსუბუქებელ გარემოებათა ძებნა.

— თქვენ ვერავინ დაგწამებთ შემწყნარებლობას, ვერც ვერავინ დაგაბრალებთ, მაინცდამაინც ამ მსჯავრდადებულის ხვედრის შემსუბუქება უნდაო.

— ოცი წელია ამ პალატაში ვმსახურობ და ყოველთვის, როცა კი მკაცრ განაჩენზე ხელმოწერა მიწევს, ტანში ერუანტელი მივლის ხოლმე.

— მაინც რატომ არ გიყვართ შემამსუბუქებელი გარემოებები?

— იმიტომ, რომ შორს მივყავართ. თქვენ, ახლანდელები, მხოლოდ მაღალ თანამდებობებს ეპოტინებით, — პირადად თქვენ ალბათ რომელიმე სამინისტროში მსახურობდით, საქმე კი არასოდეს არ აგიღიათ ხელში, მაინც ვერაფერს გაუგებდით. იქნებ ჩვენს არქივში შემოგეხებათ, წაიკითხეთ, თუ უნდაც, ბოლო ორი წლის საქმეები, გაიცნობთ ხალხსაც და სამართალწარმოდებლებსაც, შემდეგომ მიხვდებით, რა არის გასამართლებელი მიზეზების ძიება და საით მივყავართ მას.

— მაღლობელი ვარ კეთილი რჩევისათვის, მაგრამ ვიდრე თქვენს არქივში მოვიდოდე და „საქმეებს“ ჩავეჯდებოდე, — თვეები არ მეყოფა ალბათ მარტო ორი თარო „საქმის“ წასაკითხად, — გთხოვთ ამიხსნათ ჩემთვის ახლა უფრო გაუგებარი რამ, რატომ გეზარებათ შემამსუბუქებელი გარემოებების ძიება, იქნებ ბევრი დრო და საქმეებში ქექვა ჰქონდებოდა?

— ღმერთო, შემინდევ ცოდვები! კი მაგრამ, ვინა გვინივართ? იქნებ ფიქრობთ, თურქივით ან იაკობინელივით (ყურადღება მიაქციეთ, იაკობინელებს ყველაფერში ადანაშაულებდნენ, მაგრამ პირველი, ვინც მათი სიზარმაცე აღიარა, პირადად ვლადიმერ იაკობის ძე გახლდათ) ისედაც უბედურ კაცს კიდევ გაუაუბედურებ; ხომ გითხარით, შორს მივყავართ-მეთქი...

— ნება თქვენია, მზად ვარ ვაღიარო, რომ ნამდვილი ყვეყნი ვარ. მაგრამ გამოგიტყდებით, მაინც არ მესმის თქვენი.

— ო, ეს პეტერბურგელი ჩინოვნიკება, ოქროსსაკეტოან ძვირფას პორტულელს ილღიაში ამოიდებენ და საქმისა კი არაფერი გაეგებათ! აიღეთ რომელიმე საქმე და დაიწყეთ შემამსუბუქებელი გარემოების ძიება, ერთიდან მიადგებით მეორეს, მეორედან მესამეს და ბოლოს გამოვა, რომ დამნაშავე არავინ არ არის. ეს არის წესრიგი?

— მით უკეთესი.

— ეს თქვენებურად არის უკეთესი, ყველას თავზე ხელი გადავუსვამთ; სადაც ფილადელფიაშია უკეთესი, სადაც ხალხი ერთმანეთს კამს. მაგრამ როგორ შეიძლება სრულყოფილ საზოგადოებაში დამნაშავე არ დაისაჯოს?

— კი, მაგრამ, სადაური დამნაშავეა ის, თუკი თქვენ თვითონ გაამართლებთ?

— ასე ხომ ყველას გაამართლებთ, თუკი მეტისმეტად ჩაეძიები?! განა ამიტომ დამსვენს აქ? მე ძველი ყაიდის კაცი ვარ, დამავალეს საქმე? უნდა ზუსტად შევასრულო. თანაც არც ეგრეა საქმე: ხედავ, ადამიანმა მოიპარა, ან დედა ჰყავს ავად, ან მამა მოუკვდა სამი წლისას, ქუჩა-ქუჩა ყიალსა და წაწაწაღს მიეჩვია და ასე გრძელდება უსასრულოდ. მაშ როგორ მოგიქცეთ, ქურდი დაუსჯელი დავტოვოთ? არა, ძმობილო, საკუთარი მოსაზრება მაქვს, სამხილიც მაქვს — გთხოვთ ნუ გამოჩავრდებით, მაგრამ კანონების და სტატიების კრებულის თხუთმეტი ტომი არსებობს. აი ამიტომაც მეშინია მკრელ დანასავით შემამსუბუქებელ გარემოებათა ძიებისა. სწორედ ეს მიშლის, საქმეს ბოლომდე ჩავეძიო.

ახლა მივეჩვიე, მაგრამ აღრე, ო, ღმერთო ჩემო, გავწვალდი კაცი, დამით რომელიმე საქმე წარმომიდგება თვალწინ, წავიკითხავ, განვსჯი — არ არის

კაცი დამნაშავე, თითქოს დამცინისო, ძილს არ მაცლის. მაინც ვისზე ვზრუნავ, არც ნათესავია ჩემი, არც მეგობარი, ერთი ვილაც მაწანწალაა, არამზადაა, ლტოლვილია... მიდი და გაამართლე ერთი, გაამართლე მეორე, აგერ კიდევ მესამე... რას ჰგავს ეს? სამსახურში თავი არაფერზე შემარტყენია, პატიოსნად უნდა მოვკვდე. რას იტყვის უფროსობა, — ყველას ამართლებს, ალბათ, ყეყეჩიაო; თანაც მეც მრტყენია, ვიფიქრე, ვიფიქრე, და ბოლოს და ბოლოს გადავეჩვიე შემამსუბუქებელი მიზეზების ძიებას. ჩვენი სამუშაო ბრძნულია, სამოქალაქო პალატას კი არა ჰგავს; მინდობილობა დაამოწმე, გარიგება აწარმოე, ანდერძი დაამტკიცე, შვებულება გააფორმე და მიდი, დაიძინე მშვიდად.

ჩვენთან კი, აბა, წარმოიდგინეთ ორი კვირის წინ სწორედ აქ იდგა და ლაპარაკობდა ვილაც ერემია. ახლა კი ვლადიმირის გზას მიუყვება, ან კიდევ ვილაც აკულინა, ისიც იქით მიდის და იცით, აი ისა... ფეხებზე... ჰოდა, მეცოდებიან, გასაგებია ახლა?

— გასაგებია, გასაგებია, უკეთილესო და უპატივცემულესო ვლადიმერ იაკოვლევჩი, მშვიდობით, ამ საუბარს არასოდეს დავივიწყებ.

— გთხოვთ, ძმობილო, პიტერში არავის მოუყვეთ ეს სისულელე. რას იტყვის მინისტრი, ან რომელიმე „დიდი კაცი“: თავმჯდომარის ამხანაგი კი არა, დედაკაცი ყოფილაო.

— ო, არა, იყავით დარწმუნებული, „დიდ კაცებთან“ საერთოდ არაფერზე არ ვლაპარაკობ.





თარგმნა მურმან თაყაიშვილმა

3 აბტანგ მევქვსეს რუსეთში ბევრი ქართველი გახუცა, მათ შორის — ავთანდილ ლევანის ძე წერეთელიც. ეს ემიგრანტი გვევლინება წერეთელთა გვარის რუსულ-მალოროსიული განშტოების წინაპრად. ამ განშტოებიდან რუსული კულტურის ასპარეზზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნიკოლოზმა, ალექსიმ და დიმიტრამ. ნიკოლოზ ანდრიას ძე ალექსისა და დიმიტრას მამაა. იგი ძან შემდეგ გახდა სახელმწიფო პიროვნება, როდესაც გამოსცა „ობიტი სობორნი“ სტარინნი მალორუსსკი პესენ“; შემდეგ გამოაქვეყნა „ო რუსსკომ ნაროდნომ სტიხოტვორსტვე“, რისთვისაც შეღწიერებათა აკადემიის ვერცხლის მედლით დააჯილდოვა. დედოფლობა ელისაბედ ალექსის ასულმა საჩუქრისათვის — „ობიტი ობში პრავილ სტიხოტვორსტვა“ ბრალიანტის ბეჭედი უხაზსოვრა. ნ. წერეთელი დიდად განათლებული ადამიანი ვახლდათ. 1828 წელს შეიმუშავა გიმნაზიის კარდაქმნის პროექტი, წლების მანძილზე ნაყოფიერად მოღვაწეობდა სახალხო განათლების ფრონტზე. მისმა შვილმა ალექსიმ სახელი გაითქვა, როგორც დიპლომატმა და ჟურნალისტმა, იყო რუსეთის გენერალური საკონსულოს მდივანი ბულგარეთში. ბულგარეთში დღესაც არსებობს მისი სახელობის დასახლება — წერეთელევო.

წერეთელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი დეაწლი რუსული კულტურის წინაშე მაინც დიმიტრი ნიკოლოზის ძეს მიუძღვის. დაიბადა იგი 1852 წლის 30 ივნისს. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. შემდეგ ლექციებს ისმენდა ლაიფციგში, სადაც გერმანულ ენაზე დაწერა ნაშრომი არტურ შოპენჰაუერის გნოსეოლოგიის შესახებ, „შოპენჰაუერს ერკენტიინისთე-

ორიე“, რისთვისაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. ამ მოაზროვნეს მან სხვა ნაშრომებიც მიუძღვნა. თარგმნა ფილოსოფოსის რამდენიმე შრომა.

დ. ნ. წერეთელი წლების განმავლობაში რედაქტორობდა ჟურნალებს: „დელოს“, „რუსსკი ვესტნიკი“, „რუსსკოე ობოზრენიეს“. რაც მთავარია, გამოსცა პოეტური კრებულები, რითაც რუსული ადრეული სიმბოლიზმის ერთ-ერთ დამწყებად მოგვევლინა. იგი მიეკუთვნება რუს მგოსანთა ფრად კლორიტულ და საკმაოდ ცნობილ თანავარსკვლავედს, რომელშიც შედიოდნენ ვლ. ს. ხოლოვიოვი, ა. ვოლენიშჩევიკოვი და სხვ. პოეტთა ეს ფრთატიუტჩევეტის სკოლის გამგრძელებლად გვევლინება. სწორედ მათ შემდეგ გამოდიან ასპარეზზე რუსული სიმბოლისტური პარნასის ბატონ-პატრონი — ბალმონტი, ხოლოგუბი, ანენსკი, ივანოვი... აი, რას ვკითხულობთ ერთ რუსულ ქრესტომათიაში: „ოსობენოსტი პოეზიი ცერტელევა ლიუტ ოსნოვანიე ვოვოროტ ო ნიომ, კაკ ო რანნემ პრედშესტვენნიკე რუსსკოვო სამვოლიზმა“ (XIX საუკუნის რუსი პოეტები, მოსკ., 1958, გვ. 809). პოეტურ კრებულებში, რომლებიც დ. წერეთელმა გამოსცა 1882 წ. სანკტ-პეტერბურგსა და 1892 წ. მოსკოვში, სიმბოლისტურთან ერთად გვხვდება არასიმბოლისტური (ტიუტჩევი-ფეტის სტილის) ნაწარმოებები, თუმცა სიმბოლიზაცია, სიმბოლოთა გამოყენება პოეტს ახასიათებს ამ სახის ლექსებშიც. საყურადღებოა პოემები. მათში ახახულია აღმოსავლური რელიგიური მოტივები (მაგ. ზორასტრიზმისა, ბუდიზმისა...). სიმბოლოები და სიმბოლისტური სახეები აქ მეტად ფართოდაა გამოყენებული ორმუზდისა და არიმანის ორთა-

ბრძოლის პერიპეტეების გამოსახვისას. პოე-
მებში ორმუზდი — სიკეთის სიმბოლო — ებ-
რძვის არამანს — ბოროტების სიმბოლოს.
კეთილი და ბოროტი საწყისების ურთიერთბრძო-
ლის გამოსახვა პოეტს საშუალებას აძლევს გა-
მოთქვას ბევრი ღრმააზროვანი დებულება.
ავტორიში, ფრთიანი ფრაზა. ბუდისტურ გად-
მოცემაში „ანანდა და პრაკრიტი“ ვხვდებით
ახეთი სტროფი: „შვილო ჩემო, დაიხსომე ეს
შცნება — ადამიანთა სევდასა და წუბილს ვერ
გაუძლებდა უდიდეს მდინარეთა ნაპირები:
წყალს მხოფლიოს ოთხი უდიდესი ზღვა იტევს,
მაგრამ ეს ზღვები ვერ დაიტევდნენ ადამიანთა
ცრემლებს“.

სიმბოლისტური მიდრეკილება იგრძნობა ლექ-
სებშიც. ძირითადად ეს ლექსები ეძღვნება ადა-
მიანურ გრძნობებსა და ბუნების მოვლენებს
შორის პარალელთა გავლებას. ეს ერთგვარი
პანთეიზმაცაა, რაც წერეთლის პოეზიას ეკლექ-
ტიკურ ხასიათს ანიჭებს, თუმცა მათში ისეთი
სიღრმეებია, იმდენი სიღამაზე და ესთეტიზმია,
რომ კულთბილად განგვაწყობს პოეტის მიმართ.
ავტორი ამჟღავნებს ფანტაზიის დიდ უნარს.
ლექსში, რომლის სახელია „ეფვიპტი“, ასეთ
საინტერესო წარმოსახვას ვაწყდებით: ირგვლივ
უდაბნოს თეთრი მდუმარება გაწოლილა, გარინ-
დებულა. წაშით გერვენება, რომ დრომაც შეა-
ჩერა სვლა. მაგრამ აი, შეუხეულად მოისმის
ცხენთა თქარათქური, ხმალთა ჩხარაჩხური,
და უდაბნოს თანდათანობით ეფინება წითელი
ფერი, — ეს დაღვრილი სისხლი აძლევს ქვიშას
მეწამულ ფერს. მერე ისევ უდაბური სიჩუმე,
უდაბნოს კვლავ უბრუნდება საკუთარი შრუჟე
ფერი, კვლავ აღიშართებიან თვალთა წინაშე

მდუმარე სფინქსები და პირამიდები... სოცია-
ლურად აქტუალური ნაწარმოებებია „შენ, მზეო,
დამხხვრიე ბორკილები“ და „მშვიდობით, ბაღე-
ბო“. პირველში უკითხულობთ: უნუღით
მოსილ დედამიწას მზემ სხივები დაუშინა და
გააღბო უნვა-თოვლებს, — მთიანსა შინა
უნუღის ტუვეობიდან მჭვრამჭვრადი მოუ-
ხერბა ადამიანთა გასაქირს. ეტუობა, დაასკვნის
პოეტა, ადამიანური ტანჯვა-წვალება თოვლსა და
უნუღზე ჩიუტი და გაუტეხავიო. მეორე ნა-
წარმოებში პოეტი ემშვიდობება სიწყნარეს,
მცონარე უოფას, მიილტვის ქარიშხლიანი,
მშფოთვარე, მოძრავი ცხოვრებისაკენ.

დ. წერეთელის ლექსები ფორმის მხრივაც სა-
ინტერესოა. აქვს ტერცინებათ გაწყობილი იამ-
ბი, ოთხ, ხუთ, ექვსსტრიქონიანი სტროფები.
საკმაოდ მდიდარია მისი რითმა, ბევრი ნაწარმო-
ების რიტმი ახლებურად უღერს, ქმნის შინაარ-
სის შესაფერის განწყობილებას. მიძღვნილი
ლექსებიდან აღსანიშნავია რაფაელ სანციოსადმი
მიძღვნილი ქმნილება, სადაც გენიალური მხატვ-
რის შემოქმედებითი პორტრეტია დახატული.
საინტერესოა აგრეთვე: ა. ფეტისა და რ. ვაგ-
ნერისადმი მიძღვნილი ლექსები.

დ. წერეთელმა თარგმნა „ფაუსტის“ პირველი
ნაწილი, შაინეს, ბაირონისა და ხხვა ევროპელ
მწერალთა ნაწარმოებნი.

დ. ნ. წერეთელი გარდაიცვალა 1811 წელს.
ამავე წელს დაბეჭდილ ნეკროლოგში, რომლის
ავტორია ე. რადლოვი, სათანადოდია შეფასებუ-
ლი ამ ქართველი ემიგრანტის ღვაწლი რუსული
კულტურისა და პოეზიის წინაშე.

გთავაზობთ დემიტრი წერეთელის პოეზიის
რამდენამე ნიმუშის ჩემიუღ თარგმანს.


მთარგმნელი სპან

უკანასკნელი ქუხილი

მომელამუნა შუბლზე თბილი სამხრეთის ქარი,
ცაზე ღრუბელი მინანაობს — დაღლილი ჩიტი.
მზემ ისე მტყორცნა მიღეული სხივების ჯარი,
ვით მომაკვდავმა მეგობარმა ღიმილი მშვიდი.

აქ უჩვეულოდ საზეიმო მეფობს დუმილი,
სწუხან მინდვრები, მდელოები, ყვითელი ტყენი,
შორითი ექო უკანასკნელ ჭეჭა-ქუხილის
ოდნავლა ისმის, ვით ოდესღაც ჩურჩული შენი.

ვით მოგონებამ გარდასულთა ზაფხულის დღეთა,
 ღრუბლებში წამით გაელვება კვლავ რომ ეღირსა,
 დაღლილი ფრთებით დაბურული ცა გადაკვეთა
 გუნდმა და გუნდმა დამწუხრებულ წეროებისა.



* *

ძველი თქმულება მსმენია ერთი:
 დგას ტყეთა შორის ტაძარი ღმერთის,
 ოქროს და მარმარს გრანიტი ერთვის,
 ჩამოუქნიათ ვერცხლი კარებად, —
 მაგრამ მეუფებს იქ მდუმარება.

ვის ძალუძს ახლა მის განძთა შველა, —
 ტაძრულთაგან წასულა ყველა;
 ძენძით და ხავსით, ობობას ქსელით,
 ობით და ნესტით — მარადის სველით, —
 გადაფარულა ტაძარი მთელი.

წმინდა ადგილას ხალხის რჩეულის —
 აღარ დგას რიგი ადრინდელი,
 აღარ მიიხმობს მლოცველთა დასებს
 და ძველებურად გოთიკურ თაღებს
 „აღილუია“ აღარ აღავსებს.

მხოლოდ მიმწუხრზე, მიმწუხრზე მხოლოდ,
 ურიცხვი სანთლის კიაფობს ალი,
 კაცთა და ქალთა არ უჩანთ ბოლო,
 პაჟთა გუნდებიც მოდის მრავალი
 და ისმის ციურ გალობათ ქორო.

ასე ჩემს სულშიც ცრემლთა ღვარია,
 ქვეყნად არც რაი არ მიხარია,
 დავცარიელდი, ვით ის ტაძარი,
 ცივ სამარეში დავასაფლავე
 ფიქრნი კეთილნი, ხსნაც არსად არი.

თუმცა კი ზოგჯერ, მდუმარე ღამით,
 მთელი წარსული ცოცხლდება წამით —
 იელვებს მთვარე, ნისლში გაჩრილი,
 და მე ვლოცულობ უზადო კდემით,
 წინარე შენი წმინდა აჩრდილის.

* *

მე დავიღალე და სუნთქვა მიჭირს,
საიქიოდან წარსული თითქოს
ჩურჩულებს: „უნდა ელოდე იჭვით
მომავლის ნათელს, მომავლის სითბოს“



გარდასულია ამო დღე ყველა
და სიჭაბუკის ჩაქრნენ ვნებები,
მრუმე მიმწუხრით გადაითელა
მწვანე ზაფხულის მოგონებები.

ეს შემოდგომის ყრუ დაღმართია,
ყვავილოვანი გადაჭკნა ველი,
ან ნულარ ელი ახალ განთიადს,
და სხვა წილ-ხვედრსაც ან ნულარ ელი“.

* *

მე დამესიზმრა მზიანი ბალი,
სავსე ვარდებით და შადრევნებით:
ძვირფას აჩრდილებს, ესოდენ დაღლილთ,
კვლავ სიყვარულით თვალს ვადევნებდი.

კვლავ წკრიალებდნენ ნაცნობი ხმები,
მაგრამ მივსდევდი ახალ ოცნებას,
ხარბად ველოდი დაბინდულ მთების
მიღმა იმედის გასხივოსნებას.

მეგონა, ამ წუთს შეეძლო ისევ
მოეცა, რასაც ასე ვნატრობი,
კვლავ მიუღწევდეს ველტვოდი ნისლებს,
სულს კვლავ უხმობდა ზეცის ტატნობი.

* *

როცა დღის შუქზე მალლა იწვეს ღრუბელი შავი, —
უცებ სიცივე და ჩრდილი ჩნდება.
ნუ გეშინია: იმ ქუხილის გაჰქრება კვალი
და გაზაფხულის დღე გაბრწყინდება.

დაე, თავისკენ მიგიზიდოს შენ უღმობელად,
 გულღრმა უფსკრულმა გაფრენილ წლების,
 დაე, თუნდ ღამეც მოგეხვიოს შიშისმომგვრელად
 ნუ გეშინია: — მზე აღმოსდების!



* *

ზღვა ვრცეული და შორეთი უსასრულო,
 ირგვლივ მხოლოდ ტალღები და ცა;
 მარადიულ სიღურჯეში გაღურსული
 შორი სხივის იდუმალი ნვა.

დგას სიმშვიდე მეტად მყუდრო;
 ტალღა ტალღის ეხეთქება ხვავს,
 ან უმიზნო დგრიალსა და ზათქში ბუდობს
 მარადიულ მყუდროების ხმა.

□

ძველრუსულიდან თარგმნა თანგონი გუაჩიძემ

მოგზაურობანი ანუ მიმოსვლანი „წმინდა ადგილების“ მოსახილველად ძველ რუსეთში დაიწყო მაშინვე, როგორც კი ქრისტიანობა ოფიციალურად იქნა აღიარებული სახელმწიფო რელიგიად.

XI საუკუნის დასაწყისში კიევის მღვიმეთა მონასტრის დამაარსებელმა ანტონმა იმოგზაურა ათონზე, მისმა შემკვიდრემ ვარლამმა 1062 წელს მოიარა პალესტინა. XII საუკუნის დასაწყისში პალესტინაში იმოგზაურა წინამძღვარმა დანიელმა, რომელმაც თავისი მიმოსვლა აღწერა.

ამ მოგზაურობათა ძირითადი მოტივი რელიგიურ-ზნეობრივი იყო. მორწმუნე-ქრისტიანი ბუნებრივად ესწრაფოდა, საკუთარი თვალთ ენახა ის ადგილები, ადაც მოღვაწეობდნენ ძველ და ახალი აღთქმის პერსონაჟები. ამასთანავე ისინი ვარაუდობდნენ, რომ ლოცვა, აღკლენილი ამ განთქმულ ადგილებში, მათი ხსენებით განსაკუთრებული ძალის იქნებოდა. ზოგს იზიდავდა მოგზაურობის სიძნელე და ხიფათიანობა, რომელთა დაძლევა თავისებურ გმირობად ითვლებოდა.

ამ მოგზაურებს ეწოდებოდათ „პალომნიკები“, „პოლიგრიმები“, „მოხეტიალე კალიკები“, „პალომნიკები“ მათ იმიტომ ეწოდებოდათ, რომ „წმინდა მიწაზე“ მოგზაურთ ჩვეულებად ჰქონდათ სამაზსოვროდ შინ წამოეღოთ პალმის ტოტები. „პოლიგრიმი“ წარმოადგება ლათინური სიტყვისაგან „პერეგრინუს“, რაც მოგზაურს ნიშნავს, და ბოლოს სიტყვა „კალიკა“, წარმოშობილია ბერძნული სიტყვისაგან „კალიკა“, სპეციალურ ფეხსაცმელს რომ ერქვა, რომელსაც ჩვეულებრივ, სწორედ ამგვარა მოგზაურობის დროს იცვამდნენ.

ეს მოგზაურობა-მომლოცვაობა ზელს უწყობდა კიევის რუსეთის საერთაშორისო კავშირთა გაფართოებასა და განმტკიცებას, ეროვნული თვითშეგნების შემუშავებას.

კიევის რუსეთის ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი დანიელი იერუსალიმში გაემართა 1106 წელს, ხოლო სამშობლოში 1108 წელს დაბრუნდა.

დანიელის „მიმოსვლაში“ დიდი ადგილი უჭირავს რელიგიურ-ფანტასტიკურ ლეგენდებს, რომლებიც მოგზაურობის დროს სმენია ან წერილობით ძეგლებში წაუკითხავს მის ავტორს. სწორედ ლეგენდურ-აპოკრიფულმა მასალამ და აგრეთვე ლირიკულმა ელემენტმა, რომელიც გამოსჭვივის თხზულებაში, განსაზღვრა „მიმოსვლის“ ლიტერატურული მნიშვნელობა.

ეს ნაწარმოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველ რუსეთში, მანვე განსაზღვრა ამ თანრის შემდგომი განვითარების თავისებურებანიც. მისი ფართო გავრცელება აიხსნება აგრეთვე ენის უბრალოებით, ემოციურობით. ამასთანავე ამ ძეგლს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს. მართო ისიც კმარა, რომ დანიელის აღწერა საშუალებას იძლევა საკმაოდ ზუსტად დადგინდეს XII საუკუნე-

ნის დასაწყისის იერუსალიმის და საერთოდ პალესტინის ტოპოგრაფია, ევროპულ უნებზე თარგმნილი დანიელის „მოგოსელა“ დღემდე ითვლება ამ დარგის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლად.

დანიელი დიდ ცნობისმოყვარეობას იჩენს, მას აინტერესებს ყველაფერი — ბუნება, ქალაქების დაგეგმარება, ნაკებობათა თავისებურებები, სარწყავი სისტემები, მდინარე იორდანის თვისებები. იორდანის მდინარე სწოვს (სოსნოვს) აგონებს. ეს მინიშნება ავტორის წარმომავლობაზე მიგვითითებს: მდინარე სწოვი ჩერნიგოვის ოლქშია და ზოგიერთ მკვლევართა ვარაუდით თბუღლების ავტორი ჩერნიგოვის ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ წინაშეა XII საუკუნის დასაწყისში შექმნილი პირველხარისხის დანიელი და ჩვენთვისაც მრავალმხრივ საინტერესო ძეგლი, რომელშიც, სხვათა შორის, პალესტინის ქართულ მონასტრებზეც არის საუბარი.

მთარგმნელი

1. შესავალი

მე, უღირსი წინამძღვარი რუსეთითა დანიელი, ყოფილია ბერისა უმდაბლესი, ფრიად ცოდვილი და კეთილ საქმეთა უმეცარი, შეპყრობილ ვიქენ ფიქრითა და მოუთმენელი სურვილით, რათა მებოძა წმიდა ქალაქი იერუსალიმი და უფლის მიერ აბრაამისათვის აღთქმული ქვეყანა.

ღვთის განგებით, უვნებლად მივაღწიე ქალაქ იერუსალიმს, მოვიხილე გალილეველთა მთელი ქვეყანა და წმიდა ადგილნი, შემოვიარე მთელი ის მხარე, სადაც უფალს ჩვენსას ფეხია უფლია და მრავალი სასწაული მოუვლენია თავის მოციქულთა და მოწაფეთათვის; ყოველივე ვიხილე ჩემი ცოდვილი თვალით, მაჩვენა ღმერთმა, რის ნახვასაც მრავალ დღეთა მანძალზე ვნატრობდი და რაზედაც ფიქრი მტანჯავდა.

მაგრამ, ძმანო და ძამანო, უფალნო ჩემო, შემინდეთ ცოდვილს, არ დამძრახოთ უგუნურობისა და სირვეგნის გამო, რამეთუ დამიწერია წმიდა იერუსალიმის, აღთქმული ქვეყნისა და იქაური გზების შესახებ. ვინც იმ გზებზე კრძალვითა და მორჩილებით დადის, არასოდეს შესცოდავს ღვთის წინაშე.

მე კი უგვანოდ მივლია იმ გზებზე, სისუსტითა და სიზარმაცით, ვსუამდი და ბევრ სხვა შეუფერებელსაც ჩავდიოდა, მაგრამ მაინც იმედი მაქვს ღვთის წყალობისა და თქვენი ლოცვა-კურთხევისა, რომ უფალი შემინდობს უთვალავ ცოდვას. თანაც, რომ აღვწერდი იმ გზებსა და წმიდა ადგილებს, არ განვდიდებულვარ: ასე რომ ყოფილიყო, იმ გზებს კეთილად ვერ მოვივლიდი.

წმიდა ადგილთა სიყვარულით აღმიწერია რაც ცოდვილი თვალთ მიხილავს, რათა დავიწყებას არ მისცემოდა, რათა უფალს იმ ზარმაც მონასავით არ ვჩვენებოდი, ბატონის ტალანტი რომ მიწაში ჩაფლა და სარგებლით არ გაამრავლა.

ეს ყველაფერი აღმიწერია მტკიცედ მორწმუნე და ერთგულ კაცთათვის, რამეთუ ვისაც ესა მას ამა წმიდა ადგილთა გამო, სულითა და ფიქრით ატეთ ესწრაფოს, და იმგვარსავე მოსაგებელს მიიღებს უფლისაგან, როგორსაც თვით აქ მოსულნი ეღირსებდნენ.

მრავალი შინ მყოფი, თავის მხარეში აზრთა სიკეთით და უპოვართა მიმართ წყალობით განთქმული, თვისთა კეთილ საქმეთა გამო სხვებზე აღრე მოაღწევს ამ წმიდა ადგილთ და უფრო დიდ მისაგებელს მოაგებს მის უფალი ღმერთი იესო ქრისტე.

ხოლო მრავალი, წმიდა ადგილთა და წმიდა ქალაქ იერუსალიმის მნახველი, განდიდებულნი გონებით თვისით, თითქოს კეთილი რამ საქმე უქმნია, დაღუპავს შრომისა და ღვაწლის მისაგებელს; და იმათ შორის, ვგონებ, მე ვარ ცოდვით პირველი.

ხოლო მრავალი, ვინც აქ ყოფილა, მალევე უკან გაბრუნებულა ისე, რომ არც კი უნახავს აქაური საოცრებანი, რადგან ჩქარობდა, ხოლო სიჩქარით ვერც თვით ქალაქ იერუსალიმში და ვერც ქალაქს გარეთ ვერაფრის ნახვას ვერ მოასწრებ.

2. იერუსალიმი. ლავრა

მე, ყოვლად უღირსი წინამძღვარი დანიელი, მოვედი იერუსალიმს და 16 თვე დავყავი აქ,

წმიდა საბას ლავრაში. ამიტომ ბევრი სიარულის, მრავლის გასინჯვის და წმიდა ადგილის ნახვის დრო მქონდა.

აქ შეუძლებელია კარგი მეგზურის და ენის მცოდნის გარეშე ყველა წმიდა ადგილის ნახვა და ღრმად შესწავლა. ამიტომ, რაც კი ვამაჩნდა ხელმოკლეს, სულ მათ დაეუბრე, ვისაც დაეყავდი წმიდა ადგილთა სანახავად თვით ქალაქშიც და ქალაქგარეთაც. და ბევრი რამ კარგად მაჩვენეს.

უფლის წყალობით წმიდა საბას ლავრაში შევხვდი ერთ წმიდა მოხუცს, მეტად წიგნიერს. და ამ წმიდა კაცს აღუძრა გულში უფალმა ჩვენმა სიყვარული და პატივისცემა ჩემდამი, უღირსისადმი. და მან მაჩვენა ყველა წმიდა ადგილი, რომელიც არის იერუსალიმში და კეთილად მომატარა მთელი ის მიწა-წყალი: ტიბერიადეს ზღვა, თაბორი, ნაზარეთი, ქებრონი, იორდანა, ბეთლემი. სხვა წმიდა ადგილები მრავლად ვნახე, რაზედაც ქვემოთ ვიტყვი.

8. იერუსალიმში მიმავალი გზა

იერუსალიმისაკენ ასეთი გზაა:

კარგადიდან ზღვის გაყოლებით უნდა იარო 300 ვერსი დიდ ზღვამდე.

პეტალის კუნძულამდე ასი ვერსია. ეს არის პირველი კუნძული ეიფრო ზღვაში, აქ არის ფართო ლიმანი და დგას დიდი ქალაქი ირაქლია. იმ ქალაქის პირდაპირ ზღვის სიღრმიდან ამოდის წმიდა ნელსაცხებელი. ამბობენ, აქ მრავალი წმიდანი დაუხრჩვიათო მტანჯველებს.

პეტალიდან კალიპოლამდე ასი ვერსია, კალიპოლიდან ქალაქ აბიდოსამდე — ორმოცდაათი ვერსი. იმ ქალაქის წინ წმიდა ექვთიმე ახლის სამარხია.

იქიდან კრეტამდე ოცი ვერსია. იქ რომ დიდ ზღვაზე გახვალ, მარცხნივ გზა მიდის იერუსალიმში. მარჯვნივ — მთაწმიდისაკენ, სოლუნისა და რომისაკენ.

კრეტადან ტენედოს კუნძულამდე ოცდაათი ვერსია. ესაა პირველი კუნძული დიდ ზღვაში, აქ განისვენებს ანებოდიმე, ქრისტესათვის წამებული. ამ კუნძულის პირდაპირ ყოფილა დიდი ქალაქი, სახელად ტროადა, სადაც მისულა წმიდა მოციქული პავლე, ექადაგნია იმ ქვეყნისათვის ქრისტეს სჯული და მოუნათლავს.

ტენედოს კუნძულიდან მიტილინის კუნძულამდე ასი ვერსია. აქ განისვენებს წმიდა გარგი მიტილინელი, მიტროპოლიტი.

იქიდან ხიოსის კუნძულამდე ასი ვერსია. აქ განისვენებს წმიდა მარტვილი ისიდორე. ამ კუნძულზე მოიპოვება მასტავი, დგება კარგი

ღვინო და უხვად მოდის ყოველგვარი ხალბოსტნეული.

4. ქალაქი ეფესო

ხიოსის კუნძულიდან ქალაქ ეფესომდე სამოცი ვერსია. აქ არის სამარხი წმიდა იოანე ღვთისმეტყველისა. მისი ხსენების დღეს სამარხიდან გამოდის რაღაც თხელი თიხა, რომელსაც მორწმუნენი სამკურნალოდ ხმარობენ. იოანეს წამოსასხამიც აქ არის.

აქვეა ახლოს მღვიმე, სადაც განისვენებს შვიდი ყრმა, რომელთაც 360 წელს ეძინათ — დაიძინეს მეფე დეკიუსის დროს და გაიღვიძეს მეფე თეოდოსის დროს. იმავე მღვიმეში სამასი წმიდა მამა განისვენებს, წმიდა ალექსანდრეც აქაა, აქვეა მარიამ მაგდალინელის სამარხიც.

აქვე ძველ სამარხში განისვენებს წმიდა მოციქული ტიმოთე — წმიდა მოციქული პაულეს მოწაფე. ძველ ეკლესიაში წმიდა ღვთისმშობლის ხატია, რომლითაც წმიდა მამებმა მწვალებელი ნესტორი შეაჩვენეს.

აქ არის დიოსკორიდის აბანო, სადაც შრომობდნენ იოანე ღვთისმეტყველი და მოწაფე მისი პროხორე.

ქალაქი ეფესო ზღვიდან ოთხ ვერსზეა მთებში გაშენებული, იგი უხვია ყველაფრით. აქ სამ დღეს ვიყავი.

ღვთის მადლითა და წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ლოცვა-კურთხევით გზა მხიარულად განვაგრძეთ.

ეფესოდან კუნძულ სამოსამდე ორმოცი ვერსია. კუნძულის წყლებში ბევრი თევზია, ნიადაგი მეტად ნაყოფიერია.

კუნძულ სამოსიდან კუნძულ კაროსამდე ოცი ვერსია.

5. კუნძული კატმოსი

კაროსიდან კუნძულ კატმოსამდე სამოცი ვერსია. კუნძული კატმოსი შორსაა ზღვაში. ამ კუნძულზე იოანე ღვთისმეტყველმა სახარება დაწერა, ოდეს შეპყრობილ იქნა თავის მოწაფე პროხორესთან ერთად.

იქითყენია კუნძულები ლეროსი, კალიმნოსი, ნისიროსი, კოსოსი, რომელიც მეტად დიდია და მდიდარია ხალხითა და საქონლით. იქითაა კუნძული ტელოსიც. ამ კუნძულზე ერთ ხნარცეში დედს და გადმოდის გოგირდი, რომელსაც ვაქრები ყიდულობენ, ჩვენ კი ცეცხლის დასანთებად ვხმარობთ. იქვეა კუნძული ხარკოსი.

ის კუნძულები ხალხმრავალია, ერთმანეთთან ახლოს არიან მწყრივად განლაგებულნი, ათი ან მეტი ვერსით არიან ერთმანეთს დაშორებულნი.

იქითაა კუნძული როდოსიც, დიდი და მდიდარი. ამ კუნძულზე იმყოფებოდა რუსი მთავარი თლევგი ორ ზაფხულსა და ორ ზამთარს.

სამოსიდან კუნძულ როდოსამდე ორასი ვერსია, ხოლო როდოსიდან მაკრიმდე სამოცი ვერსია.

ქალაქ მაკრიში, მთელს იმ მიწა-წყალზე თვით მირამდე, მოიპოვებენ შავ სურნელოვან საკმეველს.

აი როგორ მოიპოვებენ:

ერთგვარი ხიდან გამოჟონავს რბილი გული, ამ გამოჟონის ბასრი რკანით აკლიან ხოლმეხის სახელია ზიგია, თხმელას ჰგავს.

მეორე ხე პატარაა, წვრილი, ვერხვის მსგავსი, ეწოდება სტურიკა. ამ ხის გულში უამრავი ჭია ჩნდება, ზრავს ჭია ხის გულს და ჭიანჭაში ქატოს მსგავსად გამოდის გარეთ, აღუბლის წებოსავით ეცემა ხის ძირში. აგროვებს მას ხალხი, ხარშავს, გულაში ჰყრის და მიჰყიდის ხოლმე ვაჭრებს.

პატარიდან მირამდე, სადაც ნიკოლოზის საფლავია, ორმოცი ვერსია. მირიდან ხელილონიამდე სამოცი ვერსია, ხოლო ხელილონიიდან უდიდეს კუნძულ კვიპროსამდე — ორასი ვერსია.

6. კუნძული კვიპროსი

კვიპროსი ძალიან დიდი კუნძულია, იქ უამრავი ხალხი ცხოვრობს, მეტად უზვია ნაყოფით. აქ ოცი საეპისკოპოსოა, ხოლო მიტროპოლია — ერთი.

მრავალი წმიდანი განისვენებს კვიპროსზე. აქაა წმიდა ებიფანე, მოციქული ბარნაბა, წმიდა ზენონი, წმიდა ეპისკოპოსი ტრიფილე, რომელიც მოციქულმა პავლემ მონათლა.

7. წმიდა ელენეს ჯვარი

არის აქ ერთი მაღალი მთა, რომელზედაც ეშმაკთა დასაფრთხობად წმიდა ელენეს აღუშართავს კვიპროსის დიდი ჯვარი და შთაუდევს იმ ჯვარში სამსჭვალე ქრისტესი. იმ ადგილას, ჯვართან, მრავალი ზეციური ნიშანი ისახება და სასწაული ხდება დღემდე.

ახლაც დგას ის ჯვარი პაერში, საყრდენის გარეშე, სული წმიდით გამაგრებული.

და მეც, უღირსი, ვეთაყვანე იმ სასწაულმოქმედ ჯვარს, ჩემი ცოდვილი თვალთ ვიხილე დვითური მაღლი და კეთილად მოვიარე მთელი კუნძული.

8. საკმეველი

აქაც მოიპოვება სურნელოვანი საკმეველი: ზეცილიდან ეცემა, ვითარცა ციური ცვარი ივ-

ლისინა და აგვისტოს თვეში.

აქაური მთები დაფარულია წვრილი, ბალახის მსგავსი მცენარით, მათზე ეცემა საკმეველი იგი კეთილი, და აგროვებენ იმ ორი თვის მანძილზე, სხვა დროს ერქვება

ერქვება
სიგლირთუქა

9. იაფა

კვიპროსიდან ქალაქ იაფამდე ოთხასი ვერსია, სულ ზღვით უნდა იცურო.

მთლიანად მანძილი ცარგრაღიდან კუნძულ როდოსამდე რვაასი ვერსია, როდოსიდან ქალაქ იაფამდე — ამდენივეა, ხოლო სულ ცარგრაღიდან იაფამდე ზღვით ათას ექვსასი ვერსია.

ქალაქი იაფა ზღვის ნაპირზეა იერუსალიმის მახლობლად, იქიდან ხმელთ იერუსალიმამდე ოცდაათი ვერსია, ხოლო წმიდა გიორგიმდე — სულ ათი ვერსი.

აქ არსებულა დიდი ეკლესია წმიდა გიორგის სახელობისა. საეურაბხეველნი მისი სიფლავიეც ყოფილა, ვითარცა წმიდა წამებულისა.

იქვეა წყალი, ისვენებენ მოგზაურნი იმ წყალთან, მაგრამ დიდ შიშში არიან, რადგან ერთი უდაბური ადგილიდან, ქალაქ ასკალონთან რომ არის, გამოდის სარკინოზნი და თავს ესხმიან ქრისტიან მგზაურებს. ამიტომაა დიდი შიშიალობა, როცა იმ ადგილთან მთებში შედიან.

წმიდა გიორგიდან იერუსალიმამდე ოცი ვერსია, აქ კლდოვანი მთებზე სასიარულო. მეტად ძნელია ის გზა და ხიფათიანი.

10. არმათეში

როცა იაფიდან მიდიხარ, მხარმარჯვნივ, იერუსალიმის შორიახლოს, არის ერთი მაღალი მთა, რომელსაც არმათემს უწოდებენ.

იმ მთაზე საფლავია წმიდა წინასწარმეტყველ სამოელისა, მისი მამის ელკანისა და მარიამ ეგვიპტელისა, რამეთუ აქ იყო წმიდანთა სახლი და დაბა.

ქალაქიც არის, უწოდებენ ქალაქ არმათემს.

11. იერუსალიმი

იერუსალიმი გამენებულია ხევში, მის ახლოს მაღალი კლდოვანი მთებია.

ქალაქს რომ მიუახლოვდები, პირველად შეამჩნევ სვეტს — კოშკს დავითისას, შემდეგ, ცოტას კიდევ რომ გაივლი, დაინახავ ელეონის მთას, წმიდათა წმიდის ეკლესიას და წმიდა აღ-

გომის ეკლესიას, სადაც უფლის წმიდა საფლავია, და შემდეგ მივლს ქალაქს.

სანამ იერუსალიმში შეხვალ, ერთი ვერსის მანძილზე გორაკია, სადაც მგზავრები ცხენებიდან ჩამოხდებიან, პირველს გადაისახავენ და შორიდან ეთაყვანებიან წმიდა აღდგომის ეკლესიას, რომელიც აქედან კარგად ჩანს.

მაშინ ყველა ქრისტიანი, წმიდა ქალაქ იერუსალიმში რომ ხედავს, დადად ხარობს, ცრემლსაც ავრქვევს ერთგული მორწმუნე.

ვის არ მოადგება ცრემლი, როცა იხილავს ნანატრ ქალაქსა და წმიდა ადგილებს, სადაც უფალი ქრისტე-ღმერთი ჩვენთა ცოდვათა გამო ასე ეწამა?

გამოუთქმელი ნეტარებით შებყრობილი, ყველა ქვეითად მიდის იერუსალიმისაკენ.

აქვე მხარმარცხნივ ეკლესიაა პირველმოწამე სტეფანესი, სწორედ იმ ადგილზე ჩაქოლეს იგი იუდეველებმა, აქვეა საფლავი მისი.

აქვეა ერთი კლდე, რომელიც გაირღვა ქრისტეს ჯვარცმისას, და ეწოდება მას ჯოჯობეთი.

უდიდესი სიხარულითა და უთქმელი ნეტარებით აღტაცებული მგზავრი შედის წმიდა იერუსალიმში დიდი კარით, დავითის სასახლის ახლოს რომ არის, და ეწოდება მას ბეთლემის კარი ანუ კარი ბენიამინესი.

ქალაქში რომ შეხვალ, მარჯვნივაა წმიდათა წმიდის ეკლესია, ხოლო მარცხნივ — წმიდა აღდგომის ეკლესია, სადაც უფლის საფლავია.

12. უფლის წმიდა აღდგომის ეკლესია

უფლის წმიდა აღდგომის ეკლესია მომრგვალებულადაა ნაგები, 12 მთლიანი სვეტი აქვს და 6 წყობილი. იატაკი ლამაზადაა დავებული მარმარილოს ფილებით, ექვსი კარი აქვს, პატრონივე 16 სვეტს ეყრდნობა.

მის ქვემოთ მოზაიკით წარმოსახულნი არიან წინასწარმეტყველნი, ცოცხლებივით დგანან, ხოლო საკურთხეველს ზემოთ მოზაიკით ქრისტეა გამოყვანილი.

დიდ საკურთხეველში მოზაიკით დახატულია ადამის აღბყრობა, მის ზემოთ მოზაიკითვე — უფლის ამადლება საკურთხეველის ორივე მხარეს, სვეტებზე, მოზაიკით გამოსახულია ხარება.

ეკლესიის თავი ბოლომდე არაა ქვით გადახურული, აყვანილია ხის გარანდული ფიცრებით, ღია თაღში ეს მიწანს.

13. უფლის წმიდა საფლავი

გადაუხურავი თაღის სწორედ ქვემოთ არია წმიდა საფლავი უფლისა, ვითარცა მცირე მღვი

მე ქვაში გამოყვეთილი, პატარა კარი აქვს, ადამიანი დახოჭილი თუ შეეს, სიგრძითა და სიგანით 4 წყრთაა.

იმ პატარა კარით რომ მღვიმეში შეხვალ, მხარმარჯვნივ მერხიძნის ქაჩნალო გამოყვეთილი იმავე ქვაში აქ ჩაქვს ქვეყნის იესო ქრისტე, ახლა ის სარეცელი მარმარილოს ფილებითაა დაფარული, გვერდით სამი მრგვალი სარკმელია ამოჭრილი, ამ სარკმელებიდან უმზერს წმიდა სარეცელს ყველა ქრისტიანი.

უფლის საფლავში ხუთი დიდი ზეთით სავსე კანდელი ჰქვია, დღედაღამ ანთია ის წმიდა კანდელნი.

წმიდა სარეცელი კი, რომელზედაც უფალი ესვენა, სიგრძით ოთხი წყრთაა, სიგანით — ორი, სიმაღლით — ნახევარი.

მღვიმის კარის წინ, სამი ტერფის დამორებით, დევს ერთი ქვა; იმ ქვაზე ანგელოზი მჯდარა და იქ მისულ ქალებს ქრისტეს აღდგომას ახარებდა.

მღვიმე გარედან მარმარილოთაა მოპირკეთებული, იქვე თორმეტი სვეტია მარმარილოსი.

მღვიმის ზემოთ ლამაზი ჩარდახია სვეტებზე დაყრდნობილი, მომრგვალებული, მოოქრვილი ვერცხლით ნაქედი, ჩარდახის თავზე დგას ქრისტე, ვერცხლით ნაქედი. სიდიდით ადამიანზე მეტია, ფრანგებს გაუკეთებიათ და დაუდგამთ.

იქვეა ჩარდახის სამი კარი, ოსტატურად ნაკეთები — გისოსი ჯვრის მსგავსადაა გამოყვანილი, იქიდან ჩადის მნახველი უფლის საფლავში.

აი სწორედ ამგვარ მღვიმეშია უფლის წმიდა საფლავი, როგორც აღვწერე და შევამოწმე ძველთაგანვე იქ მყოფთა საწუალებით, ვისაც დაჰყავს ბაღში იმ წმიდა ადგილებში.

ხოლო თვით წმიდა აღდგომის ეკლესია მომრგვალებულია, თანაბარზომიერად ნაგები, სიგრძითა და სიგანით ოცდაათი სვეტია, პატრონივე ვრცელია, იქ, ზემოთ, ცხოვრობს პატრიარქი.

უფლის საფლავის კარიდან დიდი საკურთხეველის კედლამდე ერთი სვეტია.

საკურთხეველის უკან, კედლის გარეთ დედამიწის ქიპია, რომელზეც მცირე სამლოცველი დგას, მის თავზე მოზაიკით ქრისტეა გამოსახული, წარწერა გვამცნობს: „ადწყე მჭილითა ჩემითა ესა და ყოველი ქრეყანა“.

14. ქრისტეს ჯვარცმის ადგილი

დედამიწის ქიპიდან უფლის ჯვარცმის ადგილამდე თორმეტი სვეტია, იგი მდებარეობს წმიდა აღდგომის ეკლესიის აღმოსავლეთით, სავსეა კომპიკით შემადლებულ კლდეებზე კლდე

მრგვალია, ვითარცა მცირე რამ ბორცვი.

კლდის თავზე, შუა ადგილას, ამოჭრილია ნახვრეტი, სიღრმით ერთი წყრთა, სიგანით — მტკაველი მრგვალად. აქ იყო ჩარტობილი ჯვარი, რომელსაც მიამსჯვალეს უფალი.

კლდის ძირში ასვენია პირველქმნილი ადამის თავი. უფლის ჯვარცმისას, ოდეს იესო ქრისტემ სული განუტევა და განიპო ორად კრეტ-საბმელი ტაძრისა, კლდე იგი განსქდა, ადამის თავს ეპკურა სისხლი და წყალი უფლის გვერდიდან გადმონადენი და განიბანა ცოდვათაგან მოდგმა ადამისა.

ის ბზარი კლდეში დღემდეა შემორჩენილი, უფლის ჯვარცმისაგან მხარმარჯვნივ, ვითარცა ნიშანი პატიოსანი.

15. თხემის ადგილი

წმიდა კლდე შემოზღუდულია ქვის კედლით. უფლის ჯვარცმის ზემო მხარეს არის სალოცავი ერთი, მოზაიკით იშვიათად მოხატული. აღსაულის მხარეს წარმოსახულაა ქრისტეს ჯვარცმა საოცარი ხელოვნებით, ცოცხლად და ამალღებულად.

სამხრეთის კედელზე აგრეთვე იშვიათი ოსტატობით დახატულია ჯვრისგან გარდამოხსნა.

სალოცავს ორი კარი აქვს. იმ ბორცვზე კიბეა ასასვლელი, კარამდე შვიდი საფეხურია, კარიდან — კიდევ შვიდი. ყველაფერი მარმარილოს ფილებითაა მშვენივრად მოპირკეთებული. ჯვარცმის ქვემოთ, კლდეში, სადაც ადამის თავი ასვენია, ერთი მცირე ეკლესიაა, მარმარილოთი მოხდენილად მოკაზმული. იმ ადგილს ჰქვია კიდის ადგილი, იგივე თხემის ადგილი, ზემოთ კი, სადაც ჯვარცმაა — გოლგოთა ჰქვია.

უფლის ჯვარცმის ადგილიდან გარდამოხსნის ადგილამდე ხუთი საყენია. აქვე, ჯვარცმიდან დასავლით, ადგილია, სადაც განიყვეს სამოსელი უფლისა. იქვეა მეორე ადგილიც, — აქ დაადგეს იესოს ეკლის, გვირგვინი და შემოაქვს ძოწეულითა საგინებელითა.

16. აბრაამის სამსხვერპლო

აქვეა ახლოს აბრაამის სამსხვერპლო, სადაც შესწირა აბრაამმა მსხვერპლი უფალს და დაკლავებრი ისაკის მაგივრად.

იმ ადგილას აიყვანეს ისაკი, სადაც შემდეგ აიყვანეს ქრისტე, რათა ჩვენთა ცოდვათა გამო მიეტანათ უმანკო მსხვერპლად.

აქედან ორი საყენითაა დაშორებული ადგილი, სადაც ჰნერწყვიდეს და სცემდეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს.

აქედან ათ საყენზეა წმიდა საპყრობილე, სადაც მცირე ხნით შეიყვანეს ქრისტე, სანამ იუდეველნი მოვიდოდნენ და ჯვარს აღმართავდნენ. ყველა ის ადგილი წმიდაა.

ქრისტეს საპყრობილეს დასავლეთით, თორმეტი საყენის მანძილზე, ^{ქრისტეს საპყრობილეს} სადაც წმიდა დედოფალმა ელენემ ^{იხილეთ} უფლისა პატიოსანი ჯვარი, ამსჯვალნი, გვირგვინი, ლერწამი და ღრუბელი.

ეს ყველაფერი — უფლის საფლავი, ჯვარცმის ადგილი და სხვა წმიდა ადგილები — ვაკეზეა, ხოლო საფლავიდან დასავლეთით და ჯვარცმის ზემოთ მალლობი ადგილებია.

აქ არას ადგილი გორაკზე, სადაც სირბილით მოსულა ღვთისმშობელი, ქრისტეს რომ მისდევდა, და ქვეითინით უთქვამს გულდათუთქულს: „სად მიდიხარ, შვილო ჩემო, რად ესწრაფი ასე? კვლავ ქორწილი ხომ არ არის გალილეის კანაში, იქით ხომ არ მიდიხარ, ძეო და დმერთო ჩემო? უსიტყვოდ ნუ მეცლები, შვილო, ჩემგან შობილო, მითხარო სიტყვა მხვეალს შენსას!“

იმ გორაკზე რომ ასულა ღვთისმშობელი, შვილის წამება და ჯვარცმა უხილავს, შეძრწუნებულა სულით, სიმწრით წელში მოხრილა და იქვე ჩამჯდარა აქვეითინებული.

აქ აღსრულდა სვიმონის წინასწარმეტყველება, რომელსაც ადრე უთქვანს ღვთისმშობლისთვის:

„აჰა ესერა ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელსა შორის და სასწაულად სიტყვის საგებლად. და თვით შენსაცა სულსა განვიდეს მახვილი, ოდეს იხილავ შენა შვილს ჯვარცმულს“.

მაშინ იქვე იდგნენ გალილეიდან მოსულნი იოანესთან და ღვთისმშობელთან ერთად, „დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალინელი და მარიამ იაკობისი მცირისაი და იოსეს დედაი და სალომე. რომელნი, ოდეს იყო გალილეთს, შეუდგეს მას და ჰმსახურებდეს, და სხუანი მრავალნი, რომელნი მის თანა იყვნეს იერუსალიმად“.

ყველა ახლობელი შორიდან უცქერდა ჯვარცმას საშინელს.

ვითარცა წინასწარმეტყველ დავითს უთქვამს: „მოყუარენი ჩემნი და მეგობარნი ჩემნი ჩემ წინაშე მომეახლნეს და დადგეს, და მახლობელნი ჩემნი შორს დადგეს ჩემგან“.

არის ადგილი უფლის ჯვარცმიდან მოშორებით, ასე ას ორმოცდაათ საყენზე დასავლეთით, რომელსაც ჰქვია სპუდია. აქ იტანჯებოდა ღვთისმშობელი. ახლა ამ ადგილზე წმიდა ღვთისმშობლის მონასტერია, მალაღი და ნშვენიერი.

17. დავითის კოშკი

აქედან დავითის კოშკამდე და სასახლემდე ორასი საფენია.

ეს კოშკი წმიდა წინასწარმეტყველ დავითს აუგია. აქვე ყოფილა მისი სასახლეც. იმ კოშკში დავით წინასწარმეტყველს ფსალმუნნი დაუწერია.

საოცარია კოშკი, უზარმაზარი ლოდებით ნაგები, მეტად მაღალია, ოთხკუთხი. შუა ადგილას მოთავსებულია წყლით სავსე აუზი. ხუთი კარა აქვს რკინისა, კიბის საფეხური კი — ორასი. ამ კიბით აღიან ზემოთ.

ეს კოშკი მტკიცეა და აუღებელი, მთელი ქალაქის ვიკრგვინია, იცავენ ძლიერ, შიგ არავის ეშვებენ.

მხოლოდ მე უღირსს, ღვთის შემწევობით, მომეცა უფლება შიგ შეესულიყავ. ჩემს ხალხს არ მისცეს შესვლის უფლება, მხოლოდ ერთის, სდესლავ ივანოვიჩის, შეყვანა შევძელ.

18. ურიის სახლი

იმ კოშკთან ახლოს ყოფილა ურიის სახლი, იმ ურიისა, რომელიც დავითმა მოაკვლევინა. ხოლო მის ცოლი, ერდოდან მობინავე რომ იხილა, თავისთან წაიყვანა.

აქვეა წმიდა საბას მონასტრის ახალი სასტუმრო.

დავითის კოშკიდან იმ ადგილამდე, სადაც წმიდა ელენემ პატიოსანი ჯვარი იპოვა, უფლის ჯვარცმის აღმოსავლეთით ოც საფენზე მდგარა დიდი საყდარი პატიოსანი ჯვრის აღმართვის სახელობისა. ახლა კი აქ მცირე ეკლესიაა.

აქ ყოფილა ერთი დიდი კარი აღსავლისა, იმ კართან მისულა წმიდა მარიამ ეგვიპტელი, როცა სურდა საყდარში შესულიყო და მოხვეოდა პატიოსან ჯვარს, მაგრამ სული წმიდის ძალას არ შეუშვია. მაშინ მოუნანებია ცოდვანი თვისი წმიდა ღვთისმშობლის წინაშე, რომლის ხატი იქვე კართან ახლოს ყოფილა, შესულა შიგ და ამბორ უყვია ჯვარი იგი პატიოსანი, იმავე კარით გასულა იორდანის უდაბნოში.

ამ კართან ახლოს არის ადგილი, სადაც წმიდა ელენემ გამოსცადა უფლის ჯვარი, და მაშინვე წამომდგარა მკვდარი ასული.

იქვე ახლოს აღმოსავლეთით ერთი ადგილია, სტოვას უწოდებენ. აქ მტრებმა ხელთ იგდეს იესო ქრისტე და პალატესთან მიიყვანეს. პალატემ კი ხელი დაიბანა და თქვა: „წმიდა ვარ მე სასხლისაგან ამ მართალი კაცისა“, სცემა იესოს და იუდეველთ გადასცა. რათა ჯვარს ეცვათ.

აქვეა სავკრობილე იუდეველთა, საიდანაც გამოიყვანა ანგელოზმა ლამია წმიდა მოციქული პეტრე.

აქვე იყო ქრისტეს მოღალატე იუდას გარმადამო. ეს ადგილი უხელო და დაწყვეტილი, რადგან ურბანე ქრისტეს იქ დასახლება.

იქიდან რომ ცოტა იარო აღმოსავლეთით, შეგხვდება ადგილი, სადაც ქრისტემ დედაიცი განკურნა სისხლის დინებისაგან.

იქვეა ორმო, რომელშიც შთააგდეს წინასწარმეტყველი ერემია. აქვე ყოფილა მისი სახლი და მოციქულ პავლეს სახლიც, სანამ იუდეველი იყო.

იქიდან რომ მცირე მანძილი გაიარო აღმოსავლეთით და ცოტა გზას გადაუხვიო, მიადგები წმიდა იოაკიმესა და ანას ნასახლარს. აქვეა მცირე მღვიმე, საკურთხეველს ქვემოთ კლდეში ნაკვეთი, იმ მღვიმეში შობილა წმიდა ღვთისმშობელი. მღვიმეში ახლა იოაკიმესა და ანას სამარხებია.

19. ცხვართა საბანელი

იქვეა ახლოს სტოვა სოლომონისა, სადაც ცხვართა საბანელია.

აქ ქრისტემ განრღვეული განკურნა. ეს ადგილი იოაკიმესა და ანასაგან დასავლეთითაა.

იქიდან აღმოსავლეთით ქალაქის კარია, საიდანაც გეთსამანიასი გადიან.

20. ეკლესია წმიდათა წმიდისა

უფლის აღდგომის ეკლესიიდან წმიდათა წმიდის ეკლესია ისრის ორ სასროლზეა.

წმიდათა წმიდის ეკლესია უნახავი სილამაზისა და საოცარი ოსტატობითაა ნაგები, მისი მშვენიერების აღწერა თითქმის შეუძლებელია.

იგი მრგვალია და მოზაიკით ჩინებულად მოხატული, კედლები მოპირკეთებულია ძვირფასი მარმარილოთი, მთლიანი სვეტი ზემოთ თორმეტი, აივნის ქვემოთაც თორმეტი, წყობილი სვეტი რვაა, კარი ოთხი აქვს, მოოქრვილი სპილენძით მოჭედილი.

ზემოთ ამოკვეთილია ერთი მღვიმე, სადაც მოკლეს ზაქარია წინასწარმეტყველი, წინათ აქვე ყოფილა მისი სამარხიცა და სისხლის კვალიც, მაგრამ ახლა აღარაყურია.

ერთი ქვა არის ზემოთ, მღვიმის გარეთ, იმ ქვაზე ეძინა იაკობს, როცა სიზმარი ნახა: კიბე მიწას ეყრდნობოდა, კიბის თავი ცას სწვდებოდა, უფლის ანგელოზნი აღიოდნენ და ჩამოდიოდნენ იმ კიბეზე, და ებრძოდა იაკობი

ანგელოზს. ოდეს განიღვიძა, თქვა იაკობმა, ეს ადგილი ღვთის სახლი და ზეცის კარიაო.

იმავე ქვაზე წინასწარმეტყველება დაეითმა იხილა მახვილიანი ანგელოზი, ისრაელის ხალხს რომ ხოცავდა. შევიდა მაშინ დაეითი იმ მღვიმეში, მწარედ ატირდა, ილოცა და თქვა: „აჰა მე ვარ შემცოდე, მე ვარ მწყემსი ბოროტის მყოფელი და ცხოვართა ამათ რაი ყვეს“.

ეკლესია თანაბარზომიერად არის ნაგები, ათი საყენია სიგრძით და სიგანით, შესასვლელი ოთხი აქვს.

ხოლო ძველი საყდარი წმიდათა წმიდისა კაპარტახებულია უსჯულოთა მიერ. არაფერი დარჩენილა სოლომონის შენობიდანაც. მხოლოდ მღვიმე და ქვა შემორჩენილა. ეს ახალი ეკლესია კი აუგია სარკინოზთა უფროსს, სახელად იშარს.

21. სოლომონის სასახლე

აქვე ყოფილა სოლომონის სასახლე, მტკიცე, დიადი და ულამაზესი, მთლიანად მოპირკეთებული მარმარილოთი, თაღოვანი, მოზაიკით მოხატული.

მარმარილოს ლამაზი სვეტები ახლაც რიგად დგანან. სვეტებზე დაყრდნობილი თაღები დიდი ოსტატობითაა შესრულებული და მთლიანად ნაჭედი სპილენძითაა დაფარული.

აქვეა კარიბჭე სასახლასა, დიდი ხელოვნებით ნაკეთები, მოზაიკით მოხატული და მოოქრვილი სპილენძით შეკედილი. ამ კარიბჭეს ჰქვია „მშვენიერი კარი“. ეს ის ადგილია, სადაც პეტრემ და იოანემ მკვლობელი განკურნეს.

სხვა კარი კიდევ სამია, ხოლო მეხუთე — მოციქულთა კარიბჭეა. იგი თვით ღვთის ნახელავია დიდი ოსტატობით, მოოქრვილი სპილენძითაა დაფარული, შიგნით მშვენიერად ყოფილა მოხატული, გარედან კი რკინით განმტკიცებული.

ეს კარი და ღვთის კოშკილა დარჩენილა ძველი შენობიდან, სხვა ყველაფერი ახალია, რადგან ძველად ქალაქი იერუსალიმი არაერთგზის ყოფილა დანგრეულ-აოხრებული.

ამ კარიბჭით შესულა ქალაქში უფალი ლაზარეს თანხლებით, ოდეს მოსულა ბეთანიიდან, სადაც ლაზარე მკვდრეთით აღადგინა.

ის კარიბჭე პირით აღმოსავლეთისკენაა, ეკლესიის მთის პირდაპირ. აქედან წმიდათა წმიდა ეკლესიამდე ას რვა საყენია.

22. ბეთანია

ბეთანია იერუსალიმს იქითაა ორ ვერსზე, მთის გადაღმა, დაბლობ ადგილზე. ბეთანია პა-

ტარა სოფელია იერუსალიმის აღმოსავლეთით.

სოფლის ტიშკარში რომ შეხვალ, ხელმარვნიე მღვიმეა, იმ მღვიმეში წმიდა ლაზარეს სმარბია. მისი სენაკიც იქვეა, იმ სენაკში იწვა ვადამყოფი, იქ მოკვდა დედასა და მამასა ქრისტემ.

ბეთანიის შუაგულში კლდე ქუჩისკენაა მთისკენა, რომელიც მშვენიერად ყოფილა მოხატული. ამ ეკლესიიდან დასავლეთით ლაზარეს სამარხამდე თორმეტი საყენია.

სოფლიდან დასავლეთით არის ერთი კარგი წყარო, ღრმაღაა მიწაში, კიბით უნდა ჩხვიდე.

აქედან იერუსალიმის მხარეს დგას სეტი, იმ ადგილას იესო ქრისტე მართას შეხვედრა; აქვე შემჯდარა ქრისტე სახეღარზე ლაზარეს აღადგოძის შემდეგ.

23. ბეთსაზანია

ბეთსაზანია ის სოფელია, სადაც წმიდა ღვთისმშობლის საფლავია, იერუსალიმის აღმოსავლეთით, იქვე, კედრონის ნაკადზე, ლელსა მას ვლოვისსა.

ქალაქის კარიბჭიდან რვა საყენის დაშორებით არის ადგილი სადაც იუდეველ ოფონიას სურ და წმიდა ღვთისმშობლის სხეულის ხელყოფ და ანგელოზმა ცეცხლის მახვილით ორივე ხელი მოჰკვეთა.

ამ ადგილას ყოფილა დედათა მონასტერი ახლა კი უსჯულოთა მიერ ყველაფერი აოხრებულია.

24. წმიდა ღვთისმშობლის საფლავი

იქიდან წმიდა ღვთისმშობლის საფლავამდე ასიოდე საყენია. საფლავი ვაკე ადგილზეა, მღვიმეში, რომელსაც მცირე კარი აქვს, წელში მოხრილი თუ შევა ადამიანი.

მღვიმის ძირზე, კარის პირდაპირ, მერხვიით სარეცელია ქვაში ამოკვეთილი, იმ სარეცელზე დაუსვენებიათ წმიდა ღვთისმშობლის პატიოსანი სხეული, აქედანვე უბრწუნლად ასულა იგი სამოთხესა შინა.

ის მღვიმე საკმაოდ მაღალია, სიგანით კი ოთხი წყრთაა, თანაბარზომიერად ნაგები, ძვირფასი მარმარილოთი მოპირკეთებული.

წინათ საფლავის თავზე მდგარა ეკლესია წმიდა ღვთისმშობლის მიძინებისა, ახლა კი განადგურებულია ბილწთა მიერ, ღვთისმშობლის საფლავი სწორედ იმ ეკლესიის დიდი საკურთხეველის წინ ყოფილა.

25. მღვიმე, სადაც ქრისტე გასცა

ღვთისმშობლის საფლავიდან ამ საყენზე ადგილი, სადაც იუდამ ქრისტე ოცდაათ ვერცხლად გასცა. ის მღვიმე კედრონის ნაპირზეა, ელეთის მთასთან.

იმ მღვიმესთან ახლოსაა ადგილი, სადაც ქრისტე მამადმერთს ევედრა იმ დამით, როცა იუდა გასცა, და თქვა: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესალებელ არს, თანაწარმხედინ ჩემგან სასუმელად ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“.

იმადგილას მცირე რამ სამლოცველო დგას. იქიდან იუდეველთა მეფის იოსაფატის სამარხამდ; ერთი სროლის მანძილია. ამ ადგილს იოსაფატის მინდორი ჰქვია.

აქვე საფლავი წმიდა იაკობისა, უფლის ძმის.

26. მღვიმე, სადაც ქრისტემ სწავლება დაიწყო

აქ არის ერთი დიდი ეკლესია და მღვიმე საკურთხევლის ქვეშ. იმ მღვიმეში ქრისტემ ასწავლა თავის მოწაფეებს „მამაო ჩვენოს“ გალობა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“.

ამიტომ ამ ადგილს „მამაო ჩვენოს“ უწოდებენ.

იქიდან ელეთის მთის წვერამდე, სადაც ქრისტეს ამალგება მოხდა, ოთხმოცდაათი საცენია.

27. ელეთის მთა

უფლის ამალგების ადგილი ელეთის მთის წვერზეა, სადაც სწორედ აღმოსავლეთისაკენ ერთი მცირე ბორცვია. იმ ბორცვზე ყოფილა მაშინ მომრგვალებული კლდის წვერი, კაცს რომ მუხლს ზემოთ მოსწვდებოდა. აი იმ ქვიდან ამალგებულა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ცათა შინა.

ის ადგილი თალითაა შემოზღუდული, თალის თავზე მცირე ადგილია დატოვებული, მარმარილოთი მოპირკეთებული. ამ ადგილზე მცირევე გადაუხურავი კოშკია. იმ კოშკშია ის წმიდა ქვა, სადაც ფეხი ედგა უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს.

იმ ქვაზე მოწყობილია წმიდა საკურთხეველი, სადაც ახლაც აწყობენ ხოლმე ლიტურგიას.

საკურთხევლის ქვემოთ ის წმიდა ქვა შემოწყობილია მარმარილოს ფილებით ისე, რომ თავი მხოლოდ მცირედით მოუჩანს. აქ ამბობენ

პყოფენ ხოლმე ქრისტიანნი.

კოშკს ორი კარი აქვს, კიბით უნდა ახვიდე, სულ ოცდაორი საფეხურია.

ხოლო მთა ელეთისა მაღალია, იერუსალიმის ყველა მთაზე უმაღლესი. იქიდან ჩანს მთელი ქალაქი, ქალაქის შემოგარენი, წმიდათა წმიდა.

სოდომის ზღვამდეც და იორდანამდეც მისწვდება მზერა, მოჩანს მთელი აღთქმული ქვეყანა იორდანის ორივე მხარეს, — ყველაზე მაღალია ელეთის მთა იერუსალიმის გარშემო.

28. ქალაქი იერუსალიმი და მისი შემოგარენი

იერუსალიმი დიდი და მტკიცედ გამაგრებული ქალაქია, კედლებით შემოზღუდული, ოთხსავე მხარეს ჯვარისებრად ქმნილი.

მრავალი ხევი და კლდეა ქალაქის ახლოს. უწყლოა ის ადგილი მეტად, არც მდინარე, არც წყარო, არც ჭაა იერუსალიმის ახლომახლო, სილოამის საბანელია მხოლოდ. წვიმის წყლით არსებობს იქ ადამიანი და საქონელი.

დიდი ჭირნახული მოდის იერუსალიმის ქვიან მიდამოებში. ღვთის განგებითა და კურთხევით უხვია ზორბლისა და ქერის მოსავალი. ერთი ზომა რომ დათესონ, ოთხმოცდაათსა და ასს აიღებენ ხოლმე. განა არ არის ღვთით კურთხეული ის მიწა?

იერუსალიმის მიდამოებში ვენახიც ბევრია და ხილიც: ლეღვი და ზეთისხილი, კერატი და ვაშლი და სხვა უამრავი.

ხოლო ელეთის მთაზე, ღვთის ამალგების ადგილთან ახლოს, ერთი ღრმა მღვიმეა, სამარხი წმიდა პელაგია-მეძავისა.

იქვეა ერთი დაყუდებული, კაცი საოცარი, საშინელი სანახავი, ღრმად მოხუცებული.

29. იორდანის გზა

არის გზა იერუსალიმიდან მდინარე იორდანზე ელეთის მთის გავლით აღმოსავლეთისაკენ.

ის გზა ძნელია, მეტად ხიფათიანი და უწყლო. გვხვდება მაღალი და კლდოვანი მთები, სადაც სახლობენ ურწმუნონი, რომელნიც ვერაგულად ხოცავენ ქრისტიანთ მთებსა და ხეფხუვებში.

იერუსალიმიდან იორდანამდე 26 დიდი ვერსია; 15 ვერსია ხოზევაამდე, სადაც წმიდა იოაკიმე მარხულობდა უშვილობის გამო; ის ადგილი გზიდან ახლოა, მარცხენა მხარეს.

ხოზევიდან იერიქონამდე ხუთი ვერსია, იერიქონიდან იორდანამდე ექვსი დიდი ვერსი. გზა მიდის სწორ ადგილზე, ქვიშნარში, მეტად ძნელი გზაა: მრავალ მოგზაურს სული ეხუთება

ხეატისგან და იღუპება უწყლობით.

ამ გზის ახლოსაა სოლომის ზღვა. იმ ზღვიდან მყრალი მზურვალემა ამოდის, ვითარცა ღუმეა ლიდა და სწვავს იქაურებას.

აქვეა, იორდანთან ახლოს, გზის გვერდით, წინდა იოანე წინამორბედის მონასტერი.

80. ერმონის მთა

იოანეს მონასტერთან ახლოს, ოც საეენზე უზიდან მარცხნივ, არის ერმონის მთა, ხოლო გზასთან ქვიშის ბორცვია მცირე.

იოანეს ამ ძველი მონასტრიდან ორი სროლის მანძილზე ყოფილა იოანე წინამორბედის სახელობის დიდა ეკლესია.

81. ადგილი, სადაც მდ. იორდანი აღმა წავიდა

იმ ეკლესიის საკურთხევლის იქით, აღმოსავლეთისაკენ, შემოღლებულ ადგილზე დგას კიდევ ერთი მცირე საკურთხეველი და თალი. ამ ადგილას იოანე წინამორბედს ჩვენი უფალი იესო ქრისტე მოუნათლავს.

მდინარე იორდანმა რომ იხილა მოსანათლავად მოსული მაცხოვარი, აღმა წავიდა და იმ ადგილას მივიდა, სადაც ქრისტე იდგა. წინათ აქ ყოფილა სოლომის ზღვა, მაშინ კი, მათვლით შემქრთალი, ოთხ ვერსზე უკან გადაწეულა.

ვითარცა უთქვამს წინასწარმეტყველს: „რად არ შენდა, ზღუაო, რამეთუ ივლტოდე, და შენ, იორდანე, რამეთუ უკენიქვე მართლუკუნე?“

იმ ადგილიდან, სადაც ქრისტე მოინათლა, თვით მდინარე იორდანამდე იმოღენა მანძილია რომ კაცი მცირე ქვას მიაწვდენს.

82. საბანელი

აქვეა იორდანზე საბანელი, აქ იბანენ ქრისტიანნი და მოგზაურნი. აქვეა არაბეთში გასასვლელი ფონი.

აქ ძველად წყალი განიბო, ოდეს ისრაელნი მოვიდნენ და ეს ადგილი მშრალზე გადაიარეს.

აქვე ელისე წინასწარმეტყველმა ილია წინასწარმეტყველის მოსასხამის წყალობით იორდანი მშრალზე გადაიარა.

იმავე საბანელთან მარჯამ ეგვიპტელი წყლით მივიდა მამა ზოსიმესთან; მიიღო რა მადლი ქრისტესი, კვლავ წყლით გადავიდა უდაბნოში, სადაც მიიცვალა კიდევ.

83. მდინარე იორდანი

იორდანი სწრაფი მდინარეა, იმ მხარის ნაპირი ციცაბო აქვს, აქეთა — დამრეცი. წყალი მეტად მღვრიეა და გემრიელი. ვერ გაძლები იმ წმიდა წყლის სმით, არ გაწყენ, კლავს არ ავატკივებს.

ყველაფრით მაგონებს იორდანი მდინარე სნოვს, სიგანითა და სიღრმით, სწრაფი მიხვეულ-მოხვეული დინებით.

საბანელის შუაში მდინარის სიღრმე ოთხი საეენია, მე თვით გავზომე და დავრწმუნდი, რადგან იქითა მხარესაც გადავვდი და ბევრი ვიარე მის ნაპირებზე.

სიგანით იორდანი იმავე სნოვის შესართავის ტოლია.

იორდანის აქეთა მხარეს, ნაპირზე ხარობს ტყე, ხე დაბალია, წააგავს ბზას, თუმცა ბზა არ არის. საბანელის ზემოთ, იმ ნაპირზე, მრავლადაა წნელი, მაგრამ ჩვენსას როდი ჰგავს. არის მრავლად ლერწამიც.

აქ ნადირიც ბევრია: გარეული ღორი ურაცხვი, ჩიქიც ბლომადაა და ლომიც.

მდინარის მეორე მხარეს, მოშორებით, კლდოვანი მთებია, იმ მთებს ქვემოთ, მდინარის ახლოს, სხვა მთებია, ფერად თეთრი, ისაა ზაბილონისა და ნეფთალიმის მიწა-წყალი.

84. იოანე ნათლისმცემლის მღვიმე

აღმოსავლეთით, ორი სროლის მანძილზე მდინარიდან არის ერთი ადგილი, საიდანაც ილია წინასწარმეტყველი ცეცხლის ეტლით ზეცად ამაღლდა.

იქვეა წმიდა იოანე ნათლისმცემლის მღვიმე.

აქვე ჩამოდის ერთი ნაკადი, ქვებზე ლამაზად ჩამოხბრიალებს და იორდანში ჩადის. მეტად ცივია ის წყალი და გემრიელი. მას სვამდა იოანე წინამორბედი, ოდეს წმიდა მღვიმეში ცხოვრობდა.

85. ილია წინასწარმეტყველის მღვიმე

აქვეა მეორე საოცარი მღვიმე, სადაც წმიდა ილია წინასწარმეტყველი თავის მოწაფე ელისესთან ერთად ცხოვრობდა.

ყოველივე ეს, ღვთის წყალობით, საკუთარი ცოდვილი და უღირსი თვალით ცნაზე.

ღვთის შემწეობით სამჯერ ვიყავ წმიდა იორდანზე, თვით ნათლისღების დღესასწაულს დავესწარი.

86. ნათლისღება იორდანზე

ვიხილუ ღვთის მადლი იორდანზე და მდინარესთან მოსული უამრავი ხალხი. მთელ დამეს ისმის უცხო რამ გაღიზიანება და ანთია ურიცხვი სანთელი.

შუალამისას ხდება ნათლისღება, მაშინ სული წმიდა ეწვევა იორდანის ნაპირებს და ხედავენ მას ღირსნი და ერთგულნი, ხოლო სხვები ვერაფერს ვერ ხედავენ.

მაშინ ყველა იქ მყოფი ქრისტიანის გულში სიხარული სუფევს და, როცა მღვდლები წმიდა ჯვარს მდინარეში ჩაუშვებენ, გაისმის ერთობლივი ძახილი: „ქრისტე ინათლება იორდანში!“

მთელი ხალხი მდინარეში შედის, ყველა ინათლება იორდანის წყალში, ვითარცა ქრისტე ინათლებოდა შუალამისას იოანე ნათლისმცემლის მიერ.

87. მოხეს მთა და მონასტრები

არის იქ, იორდანის მეორე ნაპირზე, ერთი მაღალი მთა, რომელსაც ჰქვია ფაზგა. იგი სამხრეთითაა და ყოველი მხრიდან მოჩანს. იმ მთაზე გარდაიცვალა კანონმდებელი მოსე, როცა აღთქმული ქვეყანა იხილა.

ხოლო იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან გერასიმეს მონასტრამდე, სადაც წმიდა გერასიმეს სასტიკი მხეცი ემსახურებოდა, ერთი ვერსიაა. გერასიმეს მონასტრიდან წმიდა ღვთისმშობლის კალამონიამდეც ერთი ვერსიაა.

იმ ადგილზე წმიდა ღვთისმშობელმა ქრისტესა და იოსებთან ერთად ღამე გაათია, ოდეს ეგვიპტეში გაურბოდნენ მეფე ჰეროდეს. მაშინ იმ ადგილს წმიდა ღვთისმშობელმა კალამონია უწოდა, რაც „კეთილ სადგომს“ ნიშნავს.

ახლა აქ არის წმიდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი და ეწვევა ხოლმე სული წმიდა ღვთისმშობლის ხატს.

ის მონასტერი მდინარის შესართავთანაა, სადაც იორდანი სოდომის ზღვაში ჩადის. მონასტერი ქალაქთან ახლოა, ხოლო მასში ოცი ბერ-მონაზონია.

იქიდან წმიდა იოანე ოქროპირის მონასტრამდე ორი ვერსიაა. ხოლო იოანეს მონასტრიდან ქალაქ იერიქონამდე — ერთი ვერსია.

88. ქალაქი იერიქონი

წინათ იერიქონი დიდი და მტკიცე ქალაქი ყოფილა. ის იერიქონი ისუ ნავემ აიღო და მთლად დააქცია. ახლა აქ სარკინოზთა დაბაა.

აქვეა ზაქეს სახლი და იმ ხის კუნძო, რომელზედაც აძვრა ზაქე, რათა ქრისტე დაენახა.

აქვე ყოფილა სახლი იმ სომანიტელი ქალისა, რომელსაც ელისემ მკვდარი ყრმა აღუდგინა.

იერიქონის გარშემო მიწა კეთილი და ნაყოფიერია, მინდვრები სწორი და ღამაზია, დვანან ფინიქის მაღალი ხენი, მრავლადაა ნაყოფით დაფარული სხვა ხეებზე.

წყალი ბევრია, არხები და რუები კარგადაა გაყვანილი, მიწის ქვეშაც დის წყალი მთელ იმ მხარეში.

აქვეა ელისეს წყარო, წინასწარმეტყველმა ელასემ რომ გააგებრიელა.

89. მთავარანგელოზი რომ ისუ ნავეს გამოეცხადა

აქვე, ქალაქ იერიქონის ახლოს, ერთ ვერსზე სამხრეთისაკენ, არის ადგილი, სადაც ისუ ნავეს ისრაელის ლაშქრის წინაშე მთავარანგელოზი მიქელი გამოეცხადა. აღაპყრო მზერა ისუ ნავემ და იხილა შეიარაღებული მეონარი. ჰკითხა ისუ ნავემ: „ჩვენი ხარ თუ ჩვენი მტრებისაო?“

მთავარანგელოზმა უპასუხა: „მე ვარ მიქელი, ღვთის მხედარი, წარმოგზავნილი ვარ შენს შემწეად; მიდი და გაბედუ! ივლტვიან მტრები შენი! გაიძრე სამოსი ფერხთა შენთაგან, რამეთუ ადგილი, სადაც დგახარ, წმიდაა!“

დაემხო მიწას ისუ ნავე და ეთაყვანა მთავარანგელოზს.

არის იმ ადგილზე მონასტერი წმიდა მთავარანგელოზ მიქელისა, აქვეა დიდი ეკლესია. იმ ეკლესიაში დევს თორმეტი ქვა, იორდანის ფსკერიდან ამოდებული, როცა განიპო წყალი ისრაელთა წინაშე. აიღეს მათ მდინარის ქვები რიცხვით თორმეტი, თავიანთ ნათესავთა სამახსოვროდ.

იმ ადგილს ჰქვია გალგალა.

40. გაბანის მთა

იმ მონასტრიდან დასავლეთისაკენ არის ერთი მთა, გაბანს ეძახიან, მაღალია ფრიალ.

ამ გაბანის მთის წვერზე შეჩერდა მზე, სანამ ისუ ნავემ მტრები დაამარცხა.

ეს იყო მაშინ, ოდეს ისუ ებრძოდა ოგს — მეფეს ბასანისა, და სეონს — მეფეს ამორეველთა და მთელი ქანაანისა.

ოდეს ისუ მტრები დაამარცხა, მაშინ ჩავიდა მზე სწორედ ამ გაბანის მთის იქით.

41. მღვიმე, სადაც ქრისტემ ორმოც დღეს იმარხულა

იმევე გაბანი მთაზე არის ერთი მღვიმე. იმ მღვიმეში უფალმა ქრისტემ ორმოც დღეს იმარხა და ორმოც დღეს მარხვა შეინახა. შემდეგ მოვიდა გამომცდელი ეშმაკი და უთხრა: „უკეთუ შენ ხარ ძე ღვთისა, თქვი, რათა ეს ქვანი პურად იქცნენ“.

აქვე ახლოს ყოფილა წმიდა წინასწარმეტყველ ელისეს ბინა და მღვიმე. აქვეა ერთი წყარო, ნახევარ ვერსზე გაბანიდან აღმოსავლეთისკენ.

42. თეოდოსის მონასტერი

იერუსალიმიდან თეოდოსიის მონასტრამდე ექვსი ვერსია. ის მონასტერი მთაზე დგას, კარგად მოჩანს იერუსალიმიდან.

მონასტერში ერთი მღვიმეა, სადაც მოგვებმა გაითენეს, ოდეს ჰეროდემ შეფეს თავს არიდებდნენ.

აქვეა სამარხები წმიდა თეოდოსისა და სხვა წმიდა მამებისა, აგრეთვე სამარხები წმიდა საბასა და წმიდა თეოდოსის დედათა.

43. წმიდა საბას ლავრა

იმ მონასტრიდან წმიდა საბას ლავრამდე ექვსი ვერსია.

წმიდა საბას ლავრა იოსაფატის ხევშია, რომელიც იწყება იერუსალიმიდან და გეთსამანიიდან, ჰკვეთს ლავრას და მიდის სოდომის ზღვამდე.

წმიდა საბას ლავრა, ღვთის განგებით, საოცარია, სათქმელად ძნელი. არის ერთი საშინელი ხევი, ფრიად ღრმა და მშრალი. ამ ხევში კლდეთა ფრიადო კედლები მალა ატყორცნილა და იქ, იმ კედლებზე, ღვთის ძალით დამაგრებულია სენაკნი, საოცრად და საშინლად მიკრულნი იმ სიმაღლეზე. საშინელი ხევის ორსავე მხარეს. ისე არიან დამსხდარნი კლდეებზე, ვითარცა ვარსკვლავნი ცაზე.

აქვე, იმ სენაკებს შორის, სამი ეკლესიაა. დასავლეთით, კლდის პირში არის ერთი დიდი მღვიმე, იმ მღვიმეშია წმიდა ღვთისმშობლის ეკლესია.

იმ მღვიმეზე უფალმა ცეცხლის სვეტით მიუთითა წმიდა საბას, რომელიც ადრე იმ ხევში ცხოვრობდა.

ხოლო პირველი სენაკი წმიდა საბასი, სადაც მარტოდმარტო იმყოფებოდა, მოშორებითაა, ახლანდელი ლავრისაგან დაახლოებით ნახევარ ვერსზე. აი იქიდან აჩვენა უფალმა ცეცხლის

სვეტი: ის წმიდა ადგილი, სადაც ახლა საბას ლავრაა. ის ადგილი მეტად ღირსშესანიშნავია. იმ ეკლესიებს შორის არის საფლავი წმიდა საბასი, დიდი ეკლესიიდან ოთხი საფეხის დაშორებით. საფლავის ზემოთ კობია კოშკია აღმართული.

აქვე არიან დაკრძალულნი წმინდა მამები: წმიდა იოანე ეპისკოპოსი [სენაკის] და მესამე იოანე — დამასკელი; აქვეა წმიდა თეოდორე ეღესელი და მიხეილი — შვილი მისი, წმიდა აფროდიტიანე და სხვა მამები.

და სდით წმიდა საკმევლის სურნელება მთა საფლავებს.

იქვე მოჩანს წყარო წმიდა საბასი. ეს წყარო მისწავლა მას გარეულმა ვირმა. იქვე იყო, იმევე ხევში, მისი სენაკის პირდაპირ. და სვამდა საბა იმ გემრიელ და ცივ წყალს.

იმ ადგილას არ არის არავითარი მდინარე, ნაკადი, წყარო, ქა, მხოლოდ საბას წყაროა ერთი. სრულიად უწყლოა ის ადგილი, იმ კლდოვან მთებში მხოლოდ წვიმის წყლით არსებობენ.

ლავრის ახლოს არის ერთი ადგილი სამხრეთისაკენ, სოდომის ზღვასთან, უწოდებენ მას რუბას.

კლდოვანი მთები მეტად მაღალია და მღვიმეში მეტად ბევრია იმ უწყლო უდაბნოში. ცხოვრობენ იქ მეუდაბნოე მამები. ბევრია აქ ქიტთა ბუნაგები და მრავლად არიან გარეული ვირები.

44. სოდომის ზღვა

სოდომის ზღვა მკვდარია, არავითარი სიცოცხლე მასში არ არის — არც თევზი, არც კიბორჩხალი, არც ხაშანწყა. ის, რასაც ცოცხალს შეიქნან იმ ზღვაში იორდანის სწრაფი დინება, მცირე ხანსაც ვერ სძლებს, სწრაფადვე იღუპება.

იმ ზღვის ფსკერიდან ამოდის შავი ფისი და დასცურავს ზღვის ზედაპირზე, ნაპირებზეც ბევრია ის ფისი. სიმყრალე ამოდის იმ ზღვიდან სასტიკი, ვითარცა მხრჩოლავი ბოლი დამწვარი ვოგირდისა.

45. წმიდა ექვთიმეს მონასტერი

წმიდა საბას ლავრიდან აღმოსავლეთით, მთის გადაღმა სამი ვერსის დაშორებით, არის წმიდა ექვთიმეს მონასტერი. იქაა საფლავი წმიდა ექვთიმესი და კიდევ მრავალი წმიდა მამისა. თვით მონასტერი დაბლობშია, კლდოვანი მთები კი ახლო-მახლო აღმართულან.

იქით ყოფილა წმიდა თეოკტიტეს მონასტე-

რაც, მთის ძირში, ექვთიმეს მონასტრის სამხრეთით. ახლა იქ ყველაფერი აობრებულია ბილწთა მიერ.

46. სიონის მთა

სიონის მთა სამხრეთიდან ციცაბოა, ხოლო იერუსალიმის მხრიდან — დამრეცი და გლუვი.

ქალაქი იერუსალიმი ძველად სიონის მთაზე მდგარა. ის ძველი ქალაქი დაუქცევია ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, წინასწარმეტყველ ერემიას დროს.

ახლა კი სიონის მთა ქალაქის კედლებს ვარდთაა, იერუსალიმის სამხრეთით.

სიონის მთაზე ყოფილა სახლი იოანე ღვთისმეტყველისა, ახლა იმ ადგილზე აგებულია დიდი ეკლესია. ქალაქის კედლიდან მცირე ქვის სროლის მანძილზე დგას წმიდა სიონის ის ეკლესია.

სიონის ეკლესიის საკურთხეველს იქით არის ერთი ოთახი, სადაც ქრისტემ თავის მოწაფეებს ფეხი დაბანა.

47. იოანე ღვთისმეტყველის სენაკი, სადაც ქრისტემ საიდუმლო სერობა მოაწყო

იმ ოთახიდან რომ სამხრეთისაკენ წახვიდე, კიბით ახვალ ერთ წინკარში. აქ არის ერთი ლამაზად კმნილი ოთახი, თითქოს სვეტებზე დადგმული გუმბათით, მოზაიკით მშვენივრად შემკული, ვითარცა ეკლესია, საკურთხეველის მქონე აღმოსავლეთით.

ესაა სენაკი იოანე ღვთისმეტყველისა. ამ სენაკში იესო ქრისტემ თავისი მოწაფეებიერთ საიდუმლო სერობა მოაწყო.

აქ იყო, იოანე რომ მიეყრდნო მეგრდს ღვთისა და პეტროს: „უფალო, ვინ არს მოღალატე შენი?“

აქვე მომხდარა სული წმიდის გადმოსვლა წმიდა მოციქულზე ორმოცდამეათე დღეს.

იმავე საყდარში, სამხრეთისაკენ, არის მეორე ოთახი, უფრო ქერდაბალი. იმ კარდანშულ ოთახში გამოეცხადა ქრისტე თავის მოწაფეებს აღდგომის შემდეგ, დადგა მათ შორის და ოქრო: „მშვიდობა ოქვენდა!“ აქვე თომაც დააწმენა მკრევე დღეს.

აქვეა წმიდა ქვა, ანგელოზის მიერ მოტანილი სინანს მიიდან.

იმავე ეკლესიის მეორე მხარეს, დასავლეთისაკენ, არის აგრეთვე ერთი დაბალქვრიანი ოთახი, სადაც მიიძინა წმიდა ღვთისმშობელმა.

ყველაფერი ეს მოხდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში.



48. ქრისტეს უარყოფა სამჯერ პეტრეს მიერ

აქვე ახლოს ყოფილა კაიაფას სახლიც. აქ პეტრემ სამჯერ უარყო ქრისტე, სანამ მამალი იყივლებდა.

არაჲ აქ ერთი ადგილი სიონიდან აღმოსავლეთით, სადაც ღრმა მღვიმეა, ოცდათორმეტი საფეხური უნდა ჩაიარო, რომ ჩახვიდე. ამ მღვიმეში გამოიტირა პეტრემ ქრისტეს უარყოფა.

იმ მღვიმის თავზე კმნილია ეკლესია წმიდა პეტრე მოციქულის სახელობისა.

49. სილოამის საბანელი

იქიდან სამხრეთისაკენ, მთის ძირში, არის სილოამის საბანელი, სადაც ქრისტემ ბრძანა თვალი აუხილა.

50. სოფელი სკუდელნიჩი

იქვე სიონის მთის ძირში სოფელი სკუდელნიჩია.

ის ადგილი ქრისტეს სისხლის ფასად ყოფილა ნაყიდი მწირთა სასაფლაოდ. აქვეა ქვაში ნაკვეთი მრავალი მღვიმე, სასაფლაოდ გამოხადებული, მაგრამ ბევრი მათგანი კარივლია, რადგან ქრისტეს სისხლით ნაყიდ მიწაში ყველას როდი სურს დასაფლავება.

ის ადგილი წმიდაა.

51. ბეთლემი

წმიდა ბეთლემი იერუსალიმის სამხრეთითაა ექვს ვერსზე და ორ ვერსზე აბრაამის ყრმათა მოსაცდელი ადგილიდან, სადაც დატოვა აბრაამმა ის ყრმანი და სახედარი, ხოლო ძესა თვისსა ისაცხა აპეიდა შეშა, თვით ხელთ იპყრო ცეცხლი და მახვილი და წავიდნენ ერთად.

ისაჲმა პეტროსა მამას: „შეშაცა გვიქვს და ცეცხლიც, მაგრამ სად არის ცხვარი შენაწი-რადი?“

უპასუხა აბრაამმა: „უფალი გვაჩვენებს, შეი-ლო, შესაწირავ ცხვარს“, და ისაჲკი იმ ადგილას მიიყვანა, სადაც შემდეგ ქრისტე ჯვარს აცემს.

52. მღვიმე, სადაც ქრისტემ იშვა

იქიდან ერთი ვერსი იმ ადგილაშუ, სადაც ღვთისმშობელი სახედრიდან ჩამოხდა, როცა იგრძნო, რომ საშობში მყოფს გამოსვლა უნდოდა.

იქვეა ერთი დიდი ქვა, იმ ქვაზე დაუსვენია ღვთისმშობელს, როცა სახედრიდან ჩამოსულა. იმ ქვიდან ამდგარი, წასულა ფეხით წმიდა მღვიმემდე და იქ შვა ქრისტე, უფალი დემოთი.

53. ქრისტეშობის ეკლესია

იმ მღვიმის თავზეა აგებული დიდი და ბრწყინვალე ეკლესია ქრისტეშობისა, მთლიანად მოზაიკით მოხატული.

ეკლესიას რვა მარმარილოს მრგვალი სვეტი აქვს, იატაკი დაფარულია მარმარილოს ფილებით, სამი კარი აქვს. სიგრძით საკურთხევლამდე რვა საფენია, სიგანით — ოცი საფენი.

ის წმიდა მღვიმე, სადაც ქრისტე იშვა, დიდ საკურთხეველს ქვეშაა, ვითარცა მოხდენილად გამოყვანილი გამოტყავული. შვიდი საფეხურით უნდა ჩახვიდე, კარი აქვს ორი. მეორე ვარამდეც შვიდი საფეხურია.

აღმოსავლეთის კარიდან რომ შეხვალ იმ წმიდა მღვიმეში, ხელმარცხნივ ერთი ადგილია იატაკზე, სადაც იშვა უფალი ჩვენი ქრისტე. იმ ადგილის თავზე მოწყობილია წმიდა საკურთხეველი, იქ ხდება ლიტურგია.

54. ქრისტეს ბაბა

იმ ადგილის პირდაპირ, დასავლეთისაკენ, კლდის ქვეშ, არის ქრისტეს ბაბა. იმ ბაბაში ჩააწვინეს უფალი ჩვენი ქრისტე, ძონძებში გახვეული, ჩვენდა სახსნელად.

შობის ადგილსა და ბაბას შორის სამი საფენია. ერთ მღვიმეშია ორივე ეს ადგილი. ეს მღვიმეც მოზაიკითაა შემკული და უცხოვდ მოპირკეთებული. მრავალი წმიდანის ნაწილი ასვენია იმ ეკლესიის სარდაფში.

ეკლესიიდან რომ გამოხვალ, მხარმარცხნივ არის მეორე მღვიმე, უფრო დიდი და ღრმა. იმ მღვიმეშია დახოცილ წმიდა ყრმათა ნაწილი. ზოგი მათგანი ცარგრაღში აქედან გადაუტანიათ.

ეკლესიის ახლოს გორაკზე მცირე ქალაქია. იმ ადგილსა და ქალაქს ახლა ბეთლემი ჰქვია.

ძველი ბეთლემი ამ ადგილიდან უფრო წინ იყო, სადაც ახლა სვეტია და ქვა ღვთისმშობლისა.

მთელი ის მხარე ბეთლემის ირგვლივ იწოდება ეფრატად, იუდას მიწაწყლად. ბეთლემზე უთქვამს წინასწარმეტყველ მიქიას: „და შენ, ბეთლემ, ქუეყანაი ეგე იუდასი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაისთა; რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დამწყოსს ერი ჩემი ისრაელი“.

ბეთლემის მიდამოები სანახავად მშვენიერია,

გორაკები ხეხილითაა დაფარული, არის ზეთისხილი, ლეღვი, კერატი ურიცხვი, კარგი ვენახებია გაშენებული, ყანებიც ბევრია დაბლობში.

ქრისტეშობის ეკლესიის ახლოს, ქალაქის კედლებს გარეთ, გორაკზე, კიდევ ერთი დიდი მღვიმეა. აქ ცხოვრობდა ორწიქლან წმიდა ღვთისმშობელი ქრისტესთან და მისგანან ერთად, აქედან ივლტოდნენ ეგვიპტეს.

55. ღაპითის მამის იესუს სახლი

აქ არის ერთი ადგილი, ქალაქიდან აღმოსავლეთისაკენ, რომელსაც ჰქვია ბეთერი. აქ იყო სახლი იესუსი, მეფე დავითის მამისა. აქ მისულა სამოელ წინასწარმეტყველი, რათა ეკურთხა დავითი მეფედ ისრაელისა, საჯლის მაგივრად.

56. ღაპითის წყარო

აქ არის წყარო დავითისა, იმ წყალს სვამდა დავითი, როცა მოწყურდებოდა.

აქედან ერთი ვერსის მანძილზეა ადგილი, ქრისტეშობის ეკლესიიდან აღმოსავლეთით, სადაც ანგელოზებმა ახარეს მწყემსებს ქრისტეს შობა.

აქვეა მღვიმე და იმ მღვიმის თავზეა ეკლესია წმიდა იოსების სახელობისა.

აქვე ყოფილა მშვენიერი მონასტერი, ახლა დაანგრეულია ბილწთა მიერ.

ამ ადგილის ახლოს სწორი და ლამაზი მინდვრებია, ნაყოფიერი ყანები და ზეთისხილის ქალებიც ბევრია. ამ ადგილს უწოდებენ აგიაპიმენას, რაც ნიშნავს წმიდა სამწყსოს.

აქვე ახლოს, მთის ძირში, ბეთლემის პირდაპირ, დაბაა წმიდა საბასი.

57. ქებრონის გზა

ბეთლემიდან სამხრეთისკენაა ქებრონი, დიდი მღვიმე და მამბრეს მუხა. იერუსალიმიდან ქებრონამდე ოცდარვა ვერსია, გზა ბეთლემის ახლოს გადის.

იერუსალიმიდან ბეთლემამდე ექვსი ვერსია, ხოლო ბეთლემიდან მდინარე ითამისამდე — ოცი ვერსი. ამ მდინარეზე უთქვამს წინასწარმეტყველ დავითს: „შენ გამოადინენ წყარონი და მდინარენი, შენ განაბენ მდინარენი ითამისანი; შენი არს ღლე და შენი არს ლამე“.

ის მდინარე ახლა დამშრალია, მიწის ქვეშ მიედინება და თავს იჩენს მხოლოდ სოდომის ზღვასთან, ამ ზღვაში ჩადის.

ამ მდინარის მეორე ნაპირზე არის ერთი მთა, ფრიად მაღალი, ზშირი ტყით შემოსილი. იმ სა-

შინელ მთაზე ძნელად სავალი და ხიფათიანი გზა გადის. ვინც მცირე რაზმით მიდის, სარკინოზნი ხოცავენ. მე კი, ღვთის წყალობით, მრავალრიცხოვანი და ძლიერი რაზმი მახლდა, ამიტომ უბიფათოდ განველე ის საშინელი ადგილი.

აქვეა ქალაქი ასკალონი, იქიდან გამოდის უსჯულონი და ხოცავენ მოგზაურთ.

იმავე მთაზე და იმ ტყეში მოკლულ იქნა აბესალომი, ძე დავითისა. იქით გაექცა აბესალომი დავითს მებრძოლთ, შეაქვეა ჯორმა დაბურულ ტყეში და გაეხლართა აბესალომი თმით მუხის ტოტებში, ჩამოეკიდა თმით მუხაზე. ჯორი ფეხებზე გაუძვრა და განგმირულ იქნა იგი სამი ისრით.

იქიდან აბრაამის კეთილ წყარომდე ათი ვერსია, ხოლო იმ წყაროდან მამბრეს მუხამდე — ექვსი ვერსი.

58. მამბრეს მუხა

ის წმიდა მუხა გზის მარჯვენა მხარესაა, მთაზე აღმართულა მშვენიერად. მის გარშემო, თითქოს ვალესიის იატაკი იყოს, თეთრი მარმარილოს ფიცარნაგია. გეგონებათ, მის შუაში ამოსულათ ის მუხა.

იმ მთაზე, მუხის ზემოთ და აღმოსავლეთით, ერთი უზოსავით მომრგვალებული ადგილია. იქ იდგა აბრაამის კარავი.

ის წმიდა მუხა არც თუ ძალიან მაღალია, მაგრამ ფართოდ გაბარდნილი და ხშირად დატოტვილია. ნაყოფით დამკვიშებული ტოტები ძირს აქვს დახრეპილი, ფეხზე მდგომი კაცი მათ მისწვდება.

მუხა ფრიად მსხვილია, ორი საყენია, მე თვით გავზომე ჩემი ხელით, ტოტებამდე ტანის სიმაღლე საყენ-ნახევარია.

ასე საოცრად დგას ის მუხა იმ მაღალ მთაზე, ვან იცის, რამდენ წელიწადს გაუძლო! არც ხმება, არც ლპება, დგას ღვთით, ვითარცა ახლა დარგული.

იმ მუხასთან ეწვია წმიდა სამება პატრიარქ აბრაამს, იქ, იმ მუხის ქვეშ, დააბურა ისინი პატრიარქმა. იქ დალოცა წმიდა სამება აბრაამი და ცოლი მისი სარა, რათა შეიღო მისცემოდეთ სიბერეში. ის წყაროც აჩვენა წმიდა სამებას, დღესაც რომ გამოდის მთის ძირში გზასთან ახლას.

მთელი ის ადგილი მუხის ირგვლივ იწოდება მამბრედ, ამიტომ იმ მუხასაც ჰქვია მამბრესი.

იმ მუხიდან ქებრონამდე ორი ვერსია.

59. ქებრონის მთა

ქებრონი ფრიად მაღალი მთაა, დიდი ქალაქი ყოფილა ამ მთაზე წინათ, მრავალ ხალხს უცხოვრია აქ. ახლა ესეფერიუფ ტყეა.

ქებრონის მთაზე უფროსი ქუჩებია ნოეს შვილიშვილს, ქამის ძეს, სახელად ქანანს. წარღვნის შემდეგ მოსულა აქ, დაუსახლება ქებრონის მიწა-წყალი, იმითომ ჰქვია მოელ ამ მხარეს ქანანელთა ქვეყანა.

ეს მიწა-წყალი აღუთქვა უფალმა ღმერთმა აბრაამს, ოდეს იგი მესობოტამიაში ცხოვრობდა, აბრაამი ხარანში, მამის სახლში იმყოფებოდა, როცა პრქვა უფალმა აბრაამს: „გამოვედ სახლისგან მამისა შენისა და მიდი ქვეყანასა ქანანისასა და გუო შენ ნათესავად დიდად და მეც მარად შენთან ვიყო“.

ქეშმარიტად, კურთხეულ არს ის მიწა-წყალი ღვთის მიერ, მდიდარია ყოველივე სიკეთით, ხორბლითა და ღვინით, ზეთითა და ხილით. საქონელი მრავლადაა. ცხვარი და სხვა პირუტყვი წელიწადში ორჯერ მრავლობს; ფუტყარიც ბევრია იმ ქვეან მხარეში; იმ ბორცვებზე ვენახიც ბევრია და ხეხილიც — ზეთისხილი, ლეღვი, ამრავი, ვაშლი, ბალი.

აქ, ქებრონის მთაზე, იყო სახლი დავითისა, სადაც იგი რვა წელიწადს ცხოვრობდა.

60. აბრაამის მღვიმე

მღვიმე კლდეშია ამოკვეთილი, შიგ სამარხებია აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა. ეს მღვიმე აბრაამმა შეისყიდა ეფრემ ხეთელისაგან საკუთარ და თავისი გვარ-ტომის სასაფლაოდ, ოდეს მოვიდა მესობოტამიიდან ქანანში. სხვა არაფერი შეუძენია აბრაამს, გარდა იმ ორმაგი მღვიმისა.

ახლა ის მღვიმე შემოზღუდულია ქვის კედლით, მეტად მტკიცედ. დიდი ლოდები აუწვრელი ისტატობითაა წყობილი. კედელი საკმაოდ მაღალია.

მღვიმე ზღუდეს იქითაა. მისი კედლები თეთრი მარმარილოს ფილებითაა დაფარული, საბურავიც იმავე ფილებითაა მოპირკეთებული.

აქ მარხია აბრაამი, ისააკი, იაკობი, იაკობის ყველა ძენი; მათი ცოლებიც აქ ასაფლავია: სარა, რებეკა, ლია; რაქილი კი ცალკე მარხია ბეთლემისაკენ მიმავალ გზაზე.

სამარხთა თავზე მცირე მრგვალი სალოცავებია მოწყობილი, საფლავები წყვილადაა განლაგებული: აბრაამისა და მისი ცოლის სარასი — ერთად, ისააკისა და მისი ცოლის რებეკასი — ერთად, იაკობისა და მისი ცოლის ლიასი — ერთად.

61. იოსების საფლავი

იოსებ მშვენიერის საფლავი იმ ზღუდის გარეთაა, მღვიმიდან ქვის ერთი ტყორცის მანძილზე.

მთელს ამ ადგილს ეწოდება „წმიდა აბრაამისა“.

აქვეა ერთი მაღალი მთა სამხრეთისაკენ, ორმაგი მღვიმიდან ერთი ვერსის მანძილზე. იმ მთამდე გაუცილებია აბრაამს წმიდა სამება სამხრეს მუხიდან. იმ მთის წვერზე ერთი კობტა აღგლია, იქ ეთაყვანა აბრაამი წმიდა სამებას და შეევედრა.

62. აბრაამის ვედრება

„უფალა, ნუ დაძლუპავ მართალსა უღვთისა თანა. თუ აღმოჩნდა ორმოცდაათი მართალი სოდომში, არ შეიბრალებ, უფალა, მთელს ქალაქს იმ მართლის გამო?“ უპასუხა უფალმა აბრაამს: „თუ სოდომელთა შორის ორმოცდაათ მართალს ვიპოვი, მათ გამო არ დავლუპავ მთელს ქალაქს“. კვლავ ეთაყვანა აბრაამი უფალს და უთხრა: „თუ სოდომში ოცდაათ მართალს ვიპოვნი, არ შეიბრალებ მთელს ქალაქს მათ გამო?“ უპასუხა უფალმა აბრაამს: „თუ ოცდაათ მართალს ვიპოვი სოდომში, არ დავლუპავ ქალაქს“. კვლავ ეთაყვანა აბრაამი უფალს და უთხრა: „კეთილი და მომთმენი ხარ ჩვენდამი, უფალა, არ გაურისხდე მონას შენსას და ერთს გეტყვი კიდევ: თხუთმეტი მართალი რომ ნახო სოდომში, განა არ შეიბრალებ, უფალა, ქალაქს?“ უპასუხა უფალმა აბრაამს: „თუ ვპოვე სოდომში თხუთმეტი მართალი, არ დავლუპავ მთელს ქალაქს, ხუთი მართლის გამოც არ დავლუპავ“.

მაშინ კარგმდა აბრაამი და აღარ გააგრძელა სიტყვა.

იმ მთიდან წმიდა სამებას ორი ანგელოზი წარგზავნა სოდომს, რათა გამოეყვანათ ლოთი, აბრაამის ძმისწული. შემდეგ კარგინარდა წმიდა სამება.

მაშინ იყო, რომ აბრაამმა მსხვერპლი შესწირა ღმერთს, — ცეცხლში ხორბალი ჩაყარა.

იმ ადგილს ჰქვია „წმიდა აბრაამი“ და „მსხვერპლი აბრაამისა“.

ის ადგილი მაღლაა, იქიდან მთელი ქანაანი მოჩანს.

63. ლოთის საფლავი

იმ ადგილიდან სიგორამდე ორი ვერსია. იქაა ლოთისა და მისი ორი ასულის საფლავები. იქვეა ერთი დიდი გამოქვაბული, სადაც თავი

შეაფარეს ლოთმა და მისმა ასულებმა. აქა პირველ ადამიანთა საცხოვრებელი, მაღალ მთაზე, ჰქვია სიგორი.

სიგორიდან სამხრეთით, ერთი ვერსის მანძილზე, დგას მარბლის სვეტიდ ქვეული ლოთის ცოლი. ამ სვეტიდან სიგორამდე ორი ვერსია.

ყველაფერი ეს ჩემს უფლისწულს მავრამ ფეხით არ მომივლია, ვერ მივალწივ სოდომს. რადგან უღვთოთა შიში მქონდა. არ გაბიშვია იქით ერთმა მართლმორწმუნე კაცმა და ბითხრა: „ვერაფერ სიკეთეს იტ ვერ ნახავ, იქიდან ამოსული საჩყრალე დაგასწულეებსო მხოლოდ“.

64. ღაბრუნება იერუსალიმში

იქიდან დაებრუნდით ისევ „წმიდა აბრაამთან“. ღვთის წყალობით უგნებლად მივალწიეთ ორმაგ მღვიმეს. ეთაყვანეთ იმ წმიდა ადგილებს და ორი დღე დაგვავით იქ.

ღვთის განგებით შევხვდით ერთ დიდ რაზმს. იერუსალიმში რომ მიდიოდა. ჩვენ მათ შევეუერთდით, მათთან ერთად მხიარულად და უშიშრად ძავდიოდით და მივალწიეთ კიდევ წმიდა ქალაქ იერუსალიმს.

აქ მადლობა შეეწირეთ უფალს, რომ უღირსთ გვაღირსა გვენახა ის წმიდა, სიტყვით აუწერელი ადგილები.

65. წმიდა ხარიტონის მონასტერი

მცირე დღეთა გასვლის შემდეგ ხარიტონის მონასტერში წავედით. გზა მიდის სამხრეთით. ბეთლემიდან სამხრეთით წმიდა ხარიტონის მონასტრამდე ხუთი ასპარეზია.

მონასტერი დგას ეთამის ხავადზე, სოდომის ზღვის მაზლობლად. კლდოვან მთებში. მის გვერდით დიდი და საშინელი უდაბნოა უწყლოა ის ადგილი.

წმიდა ხარიტონის მონასტერი ლამაზად განლაგებულია კლდეთა შორის, იგი ქვის კედლითაა შემოზღუდული. მონასტრას ქვემოთ საშინელი ხრამია.

მონასტრის შეაგულში დგას ორი ეკლესია. დიდ ეკლესიაში წმიდა ხარიტონის საფლავი. ზღუდეს გარეთ მშვენიერი საძვალეა მოწყობილი, მასში უხრწნელად განისვენებენ წმიდა მამები, რიცხვით ხუთასზე მეტი. იქ დაკრძალული არაა წმიდა კირიაკ აღმსარებელი, ქსენოფონტეს ორი ვაჟი — იოანე და არკადი. კეთილსურნელება ასდის მათ უხრწნელ სხეულებს.

ეთაყვანეთ იმ წმიდა ადგილებს და ავედიდ მთაზე, რომელიც იმ მონასტრის სამხრეთით ერთ ვერსზეა აღმართული.

66. წმიდა ამბაკუმის სასწაული

არის აქ ერთი ადგილი ვაკეზე, სადაც წმიდა წინასწარმეტყველი ამბაკუმი ანგელოზმა ჰაერში თმით აიტაცა და დასვა ბაბილონში, რათა სამხარი მიეცა ლომებთან მღვიმეში მყოფ წმიდა დანიელისათვის.

იერუსალიმიდან ბაბილონამდე ორი ათას სამოცდახუთი ასპარეზია, და როცა აიტაცა ანგელოზმა ამბაკუმი და ბაბილონში დასვა, იმავე წუთს უკანვე დააბრუნა. მიუტანა ამბაკუმმა სამხარი მომკვლევს.

ამ ადგილას მცირე და კოხტა კოშკია აგებული ხსენებული სასწაულის სამახსოვროდ.

67. წმიდა წინასწარმეტყველთა ეკლესია

მაბლობლად აღმართულია დიდი ეკლესია წმიდა წინასწარმეტყველთა სახელზე, ხოლო ეკლესიის ქვემოთ მღვიმეა ერთი, სადაც სამ სამარხში თორმეტი წინასწარმეტყველი განისვენებს: ამბაკუმი, მიქია, იოილი, იეზეკია, აბდია, ისმაილი, სავლე, ბარუქი, ამოსი, იოსია, ნაუმი და სოფონი.

68. წმიდა წინასწარმეტყველთა დაბა

აქვე გორაკზე ერთი დიდი დაბაა, სადაც, ბევრი სარკინოზი და ქრისტიანი ერთად ცხოვრობს.

ის დაბა წმიდა წინასწარმეტყველთა კუთვნილებდა, რადგან იქ დაბადებულან ისინი და იგია მათი მამული.

იმ დაბაში გავათიეთ ღამე ღვთის მიერ დაცულებმა და კეთილად მიგვიღეს იქ მცხოვრებმა ქრისტიანებმა.

69. ზა ბეთლემისაკენ

დიდადრიან ბეთლემისაკენ გავეშურეთ. შეიარაღებულმა დაბის მამასახლისმა ბეთლემამდე გაგვაცილა და ყველა იქაური წმიდა ადგილი დაგვათვალიერებინა.

ეს ადგილები ხიფათიანია უსჯულოთა თავდასხმების გამო, იმ მთებში სარკინოზნი თავს ესხმიან და ელეტენ ქრისტიანებს.

მივედით ნშიდობიანად წმიდა ქალაქ ბეთლემს, თავვანი ვეცით ქრისტეშობის ეკლესიას, კარგად დავისვენეთ და მხიარულად გავწიეთ წმიდა ქალაქ იერუსალიმისაკენ.

70. ადგილი, სადაც დავითმა გოლიათი მოკლა

იერუსალიმის ახლოს, ისრის ერთი სროლის მანძილზე დავითის კოშკის აღმოსავლეთით, არის ადგილი, სადაც დავითმა გოლიათი მოკლა. ის ადგილი გუბუჩკანსანს ახლოს, ახლა აქ მშვენიერი ყანაა.

იქვე ახლოს მდებარეობს ერთი მღვიმე, სადაც დაკრძალულია ნეშტი მრავალი წმიდა მოწამისა, რომლებიც დახოცეს იერუსალიმში ირაკლის მეფობის ქამს. ამ ადგილს ეწოდება მამილა.

71. ჯვარი პატიოსანი

იმ ადგილიდან პატიოსან ჯვრის მონასტრამდე ერთი ვერსია, ეს ადგილი იერუსალიმიდან დასავლეთით ერთი გორაკის გადაღმაა.

აქ მოჭრეს ზე, რომლისაგან გამოთალეს ქრისტეს ფერხთა საყრდენი და ჯვარცმისას ზედ ქრისტეს ფერხნი მიამსკვალეს.

ეს ადგილი ზღუდითაა შემოკავებული, შუაში დგას დიდი საყდარი პატიოსანი ჯვრის სახელზე, მთლად მოხატული.

საყდრის დიდი საკურთხევლის ქვეშ, მეტად ღრმად, არის იმ პატიოსანი ზის კუნძი, მთლად მარმარილოს ფილებით მოპირკეთებული. მცირე მრგვალი სარკმელიცაა იმ კუნძის პირდაპირ დატოვებული.

ეს არის ივერთა მონასტერი.

72. ზაქარიას სახლი

ჯვრის მონასტრიდან ზაქარიას სახლამდე ოთხი ვერსია, სახლი იდგა გორაკის ძირში იერუსალიმიდან დასავლეთით.

ზაქარიას ამ სახლს ეწვია წმიდა ღვთისმშობელი მარიამი და მოიკითხა ელისაბედი. და ვითარცა ესმა ელისაბედს მოკითხვა მარიამისი, ჰკრთებოდა ყრმა იგი მუცელსა მისსა. და აღვსო სულითა წმიდითა ელისაბედი. და ჰკითხა ელისაბედმა: „რად მოვიდეს ჩემდა დედა უფლისა ჩემისა? კურთხეულ ხარ შენ დედათა შორას, და კურთხეულ არს ნაცოფი მუცლისა შენისა!“

იმავე სახლში იშვა იოანე ნათლისმცემელი.

ახლა იმ ადგილზე დიდი ეკლესიაა. ეკლესიაში რომ შეხვალ, მხარმარცხნივ, საკურთხევლის ქვემოთ ერთი მცირე მღვიმეა. იმ მღვიმეში დაიბადა იოანე ნათლისმცემელი.

ის ადგილი მთლიანად შემოფარგლულია ქვის ზღუდით.

73. მთა, რომელსაც მიაშურა ელისაბედმა

იქიდან ნახევარი ვერსია ხევზე იმ მთამდე, რომელსაც მიიბრინა ელისაბედმა იოანეთურთ და შესძახა: „ო, მთაო, შეიფარე დედა წულთურთ!“

და განიხსნა მთა იგი და შეიფარა ისინი. პეტროდეს მსახურნი, მათ რომ მისდევდნენ, ხელცარიელნი და შერცხვენილნი გაბრუნდნენ.

ის ადგილი აქამდე ცნობილი იყო ერთადღი ქვის მეშვეობით. ახლა კი ამ ადგილზე მცირე ეკლესიაა აღმართული. იმ ეკლესიის ქვემოთ მცირე მღვიმედან გამოდის მეთად გემრიელი წყალი, თეთრი, ვითარცა რძე. იმ წყალს სვამდნენ ელისაბედი და ძე მისი იოანე.

ის მთა დიდია და ხშირი ტყითაა დაფარული. იმ ადგილს ჰქვია ორინი.

იმ მთას შეაფარა თავი დავით წინასწარმეტყველმა, ოღეს მეფე საულს გაუბრუნდა.

74. რამა

იმ მთიდან დასავლეთით ორი ვერსია რამამდე.

რამაზე წინასწარმეტყველ ერემიას უთქვამს: „ხმა რამათ ისმა გოდებისა და ტირილისა და გლოვისა რაქილისა, მტირალისა ძეთა მისთა ზედა, და არა ინება ნუფეშის ცემის ძეთა თვისთა, რამეთუ არა არიან“.

ის რამა ერთი დიდი ხევია, რომელშიც ბევრა დაბაა და მთელი შემოგარენი იმ ხევისა ახლა იწოდება რამად, ხოლო მხარე მეთლემისაა.

აქ პეტროდემ მეფემ გამოაგზავნა თავისი მეომარნი, რათა წმიდა ყრმანი დაეხოცათ.

75. ემაოსი

რამადან დასავლეთით ოთხი ვერსია ემაოსამდე.

აქ აღდგომის მესამე დღეს ქრისტემ მოევლინა ლუკას და კლეობას, რომელნიც იერუსალიმიდან დაბაში მიდიოდნენ. მიიღო პურა, აყურთბა, განტეხა და მისცემდა მათ.

ადრე აქ დიდი დაბა ყოფილა, ეკლესიაც მდგარა, მაგრამ ახლა ყველაფერი განადგურებულია უსჯულოთა მიერ, ემაოსი ცარიელია.

76. ლუდია

ემაოსიდან ლუდიამდე ოთხი ვერსია მინდორმანდორ სასიარულო.

აქ ყოფილა მოზრდილი ქალაქი სახელად ლუდია, ახლა კი რამბილი ჰქვია.

იმ ლუდიაში მოციქულმა პეტრემ სარეცელს მიჯაჭველი ენა განკურნა.

77. იოვა

ლუდიიდან იოვამდე ეფრათის მთებში წმიდა მოციქულმა პეტრემ მკვდრეთით აღადგინა ტაბითა.

იმავე ქალაქში, როცა პეტრე ერდოზე ლოცულობდა, შეცხრე ეამს იხილა ტურტული ერთი, ვითარცა ტილო დიდი, ოთხი კილით ზეციდან ქვეყნად ჩამოკიდებული, სავსე ყოველი ოთხფეხით და ქვეწარმავლით. მიწის მხეცითა და ზეცია ფრინველით. და იყო ხმა მის მიმართ: „აღდექ, პეტრე, დაქალ და ქამე“. მიუგო პეტრემ: „ნუ ინებებ, უფალო, რამეთუ არასდროს შევიწებული და არაწმიდა არ შესულა პირსა ჩემსა“. და მერმე კვლავ მეორედ მოესმა ხმა: „რომელი ღმერთმან წმიდა ყო, შენ ნუ გიჩანს შევიწებელი“.

იმ ადგილას ახლა ეკლესია დგას წმიდა პეტრესი.

ქალაქი იოვე ზღვის ნაპირზეა, ზღვა მას ედლებს ეხლება. ახლა ეწოდება ქალაქი იაფა ფრანგთა ენაზე. იაფადან ტარსუფამდე ექვსი ვერსია.

78. კესარია

ტარსუფიდან ფილიპეს კესარიამდე ოცდაოთხი ვერსია, სულ ზღვის პირს უნდა იარო. იმ კესარიაში წმიდა პეტრე მოციქულმა კორნელოსი მონათლა.

აქვე ახლო, ორ ვერსზე, ერთი მთაა, სადაც წმიდა მარკიანე ცხოვრობდა, აქ მოსულა მისთან მებავი ქალი, რათა ეცდინა.

79. კაპერნაუმი

ფილიპეს კესარიიდან ქალაქ კაპერნაუმამდე რვა ვერსია. კაპერნაუმი დიდი ქალაქი ყოფილა, სავსე მრავალრიცხოვანი ხალხით, ახლა კი ცარიელია.

ამ კაპერნაუმზე უთქვამს წინასწარმეტყველს: „ხოლო შენ, კაპერნაუმ, ნუ ცამდე აჰმადლდები, არამედ ჯოჯოხეთამდე შთაჰბდე“.

ამ ქალაქიდან ანტიქრისტეს გამოსვლას ელოდნენ, ამიტომ ფრანგებმა მთლად დააცარიელეს კაპერნაუმი.

80. კარმელის მთა

კაპერნაუმიდან კარმელის მთამდე ექვსი ვერსია, იმ მთაზე წმიდა ილია წინასწარმეტყველი

ცხოვრობდა ერთ მღვიმეში და უორანი ჰკვებავდა.

იმავე მოახე ბაალის წინასწარმეტყველნი დაქლა ილიამ და თქვა: „შემშურდა შერთი ეფლისა ღვთისა უფლისა მკურობელისა“.

ის კარმელის მთა მეტად მაღალია, ზღვაც იქვეა მთა გვერდით, ერთი ვერსის დაშორებით.

კარმელის მთიდან ქალაქ კაიფამდე ერთი ვერსია.

81. ქალაქი აკრა

კაიფიდან ქალაქ აკრამდე თხუთმეტი ვერსია. ქალაქი აკრა დიდია, მტკიცეა და ნაშენი, კეთილი ზღვის ყურეც იქვეა ახლოს.

აკრა სარკინოზითა ქალაქია, ახლა ფრანგებს უჭირავთ.

აკრიდან ქალაქ ტირამდე ათი ვერსია, ხოლო ტირიდან სიდონამდე — კიდევ ათი ვერსი.

იქვეა ახლოს დაბა სარეფთა სიდონისა, სადაც ილია წინასწარმეტყველმა ქვრივს ვაჟი მკვდრეთით აღუდგინა.

82. ქალაქი ბერიტი

სიდონიდან ბერიტამდე თხუთმეტი ვერსია.

ამ ქალაქში ებრაელებმა ქრისტეს ხატს შუბი ამგვრეს ხატს სისხლი და წყალი გაუვიდა და მაშინ ბევრმა ირწმუნა უფალი და მოინათლა მამის, ძისა და სული წმიდის სახელზე.

ამავე ქალაქ ბერიტში ქსენოფონტემ თავისი ვაჟები იოახე და არკადი ფილოსოფიის სასწავლებლად წარმოგზავნა.

ბერიტიდან ზებულამდე ოცი ვერსია, ზებულიდან ტრიპოლიმდე — ორმოცი ვერსი, ხოლო ტრიპოლიდან მდინარე სოადიამდე — სამოცი.

83. დიდი ანტიოქია

ამ მდინარეზეა დიდი ანტიოქია.

ხოლო ქალაქი ანტიოქია რვა ვერსის მანძილზეა იქიდან ლოდიაკამდე ასი ვერსია. მერვა მცირე ანტიოქია, აგრეთვე კუნძული კანიონეროსი, ქალაქი სათალია და მცირე კუნძული ბელიდონია.

ყველა ეს ქალაქი ზღვის ნაპირზეა გაშენებული. ჩვენ მათ გვერდი ავუარეთ და მივადექით ზელადონიას. მერმე წავედით ქალაქ პატარაში, იქიდან კი — ცარგრადს.

84. გალილეა და ტიბერიადეს ზღვა

არის ვა იერუსალიმიდან აღმოსავლეთს, ტიბერიადეს ზღვის, თაბორის მთისა და ნაზარეთისაკენ.

მთელს იმ ადგილს ტიბერიადეს ზღვასთან გალილეა ეწოდება. იგი მდებარეობს იერუსალიმიდან აღმოსავლეთით.

ქალაქი ტიბერიადე იერუსალიმიდან ოთხი დღის საკალ მანძილზეა. მეტად მძიმე და საშიშია ვაა. სამ დღეში მაღალ კლდეებს გაივლი, მეოთხე დღეს მინდვრით უნდა იარო მდინარე იორდანთან, აღმოსავლეთისაკენ, იორდანის სათავემდე, საიდანაც ეს მდინარე მოედინება.

ღმერთმა იმ ვზის გავლა ამგვარად შემადლებინა: ერუსალიმის მთავარი ბალდუინი იმ ვზით უნდა წასულიყო სალაშქროდ დამასკოსკენ ტიბერიადეს ზღვის გასწვრივ. ამ ანბავს რომ ყური მოგვკარი, მივედი მთავართან, ვეთაყვანე და შევევედრე:

— ბატონო მთავრო, თან წამიყვანე ტიბერიადეს ზღვისკენ. ძლიერ მსურს, იქაური წმიდა ადგილები მოვიინახულო. ღვთის გულისათვის გვეედრები, წამიყვანე, მთავარო!

მთავარმა სიხარულით მიბრძანა, რომ წავყოლოდი და თავის ახალგაზრდა მეომრებს ჩამაბარა.

აღტაკებულმა მაშინვე დავიქირავე ცხენები და ის საშინელი ადგილები მეომრებთან ერთად უხიფათოდ გადავლახე.

ძლიერი ლაშქრის გარეშე იმ ადგილებს ვერავინ გაივლის, მხოლოდ წმიდა ელენემ შესძლო ეს, სხვამ ვერავინ გაიარა.

აი რა ვაა: ტიბერიადემდე: იერუსალიმიდან წმიდა ღვთისმშობლის წყარომდე ათი ვერსია, იმ წყაროდან დღებუეს მთებამდე — ოთხი ვერსი. ამ დღებუეს მთებზე მოკლულ იქნა საუული, მეფე იუდეველთა, და ძე მისი იონათანიც აქ მოკლეს.

ის მთები მაღალია, კლდოვანი, ხრიოკი და უწყლო. ცვარიც კი არ იცის იმ მთებზე.

იმ მთებიდან დავითის წყარომდე ორიოდ ვერსია, ხოლო დავითის მღვიმემდე — ოთხი ვერსი.

ამ მღვიმეში უფალმა საული დავითის ხელთ შთააგდო, მაგრამ აღდგა დავითი და მოკვეთა მხოლოდ კიდესა სამოსელისა საულისა ფარულად.

იმ მთებიდან სიქემის მთებამდე და იოსების მღვიმემდე ოთხი ვერსია. სიქემის მთებზე იაკობის ძენი მამისეულ ცხვრის ფარას ამოვებდნენ. იქ მივიდა მათთან მამის მიერ წარგზავნილი იოსებ მშვენიერი. მათ კი, ძმა რომ იხილეს, სტაცეს ხელი და შთააგდეს მღვიმესა მას.

დღემდე არსებობს ის მღვიმე, მისი კედლები დიდი და მტკიცე ლოდებითაა ამოშენებული. მე მომიხდა იქ ღამის გათევვა, რადგან მღვიმე ახლოსაა გზასთან, იქით მიმავალის მხარმარჯნივ.

85. იაკობის წყარო

იქიდან იოსების დაბამდე, რომელსაც ეწოდება სუქარი, ათი ვერსია. იქაა იაკობის წყარო, ღრმად მოედინება, ფრიად ცივია და გემრიელი.

აქ, ამ წყაროსთან, ესაუბრა ქრისტე სამარიელ ქალს. ჩვენ კი იქ ღამე გავათიეთ.

86. ქალაქი სამარია

აქვე ახლოსაა, ნახევარ ვერსზე იაკობის წყაროდან, ქალაქი სამარია.

სამარია დიდი და სიკეთით სავსე ქალაქია. იგი დგას ორ მაღალ მთას შორის, ცივი წყაროები შიგ შუა ქალაქში ღამაზად მოედინება. გარშემო უამრავი ხილის ხეა: ლეღვი, თხილი, კერატი, ზეთისხილი, ქალაქის შემოგარენი დაფარულია ტყეებითა და მდელოებით, ნაყოფიერი ყანებით.

სამარიის მთელი მიწა-წყალი ტურფად ჰყვავის, მდიდარია ზეთითა და ღვინით, ზორბლითა და ბოსტნეულით. მთელი აქაური სიკეთის წყალობით ცხოვრობს იერუსალიმიც.

ახლა ქალაქ სამარიას ნებაოლს უწოდებენ. აქედან ორი ვერსის დაშორებით ერთი ადგილია, რომელსაც სევასტოპოლი ჰქვია.

აქ ერთი მცირე შემოკავებული ადგილია — ესაა იოანე ნათლისმცემლის დილეგი. იმ დილეგში მოჰყვებოდა თავი ქრისტეს წინამორბედ იოანეს.

იქვეა ერთი დიდი და მშვენიერი ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელობისა, და ფრანგთა მდიდარი მონასტერი.

87. ქალაქი არიმათემი

იქიდან ოთხ ვერსზეა ქალაქი არიმათემი. იქ არის წმიდა იოსების საფლავი, რომელზედაც აღმართულია დიდი საყდარი. აი ამ ადგილს ეწოდება არიმათემი.

სამარიიდან ტიბერიადეს ზღვამდე გზა მიდის აღმოსავლეთით.

88. ქალაქი ბასანი

სამარიიდან ქალაქ ბასანამდე ოცდაათი ვერსია. ამ ქალაქში მედობდა ოგი, რომელიც ისე

ნავემ იერიქონთან მოკლა. ის ადგილი მეტად მრისხანედ გამოიყურება. ბასანის ახლომახლო შვილი მდინარე იღებს სათავეს. მდინარეთა ნაპირები ხშირად ღერწმითაა დაფარული, ბევრია, ვითარცა მშობი ტყე, ვინიკის ხეც.

ქრისტე ქალაქში

ის ადგილი საშინებელი საფლავითაა დაფარული: ცხოვრობენ აქ სარკინოზნა, ძლიერი ურჯულონი, თავს ესხმიან ხალხს იმ მდინარეთა ფონებში. ლომიც ბევრია ღერწმოვანში.

ქალაქი ბასანი ახლოა მდინარე იორდანთან, დიდი ქაობია მათ შორის, სწორედ აქ ზუნავობენ ლომები.

აქვე ახლოს, ქალაქიდან აღმოსავლეთით, ერთი საოცარი გამოქვაბულია, საიდანაც ნაკიდული გამოდის. იქვეა კარგად მოწყობილი საბანელი, თვით შექმნილია თუ ღვთის ნახელავია, არავინ უწყის. იმ საბანელში თვით ქრისტეს მოწაფეებითურთ უბანავნია. დღემდეა ცნობილი ის ადგილი, სადაც ქრისტე ქვაზე მჯდარა. ჩვენც ვიბანავეთ, ცოდვილებმა და უღირსებმა.

იმ ქალაქ ბასანში ებრაელები ქრისტეს აცდენდნენ: აჩვენეს დრაჰკანი და ჰკითხეს: „უნდა ვიხადოთ თუ არა ხარკი?“ მან უპასუხა: „მიუცით კეისარისა კეისარსა და ღმერთისა ღმერთს“.

იმავე ქალაქ ბასანთან ქრისტემ ორ ბრძანს მხედველობა დაუბრუნა.

89. მდინარე იორდანის სათავე

ბასანიდან იორდანის სათავემდე და მათეს სამეზვერემდე ოცი ვერსია, გზა მინდვრად მიდის ან იორდანის გაყოლებით სულ აღმოსავლეთისაკენ, ვიდრე სათავემდე მიადწევდე.

იორდანი გამოდის ტიბერიადეს ზღვიდან ორი ნაკადის სახით: ერთს ჰქვია იორი, მეორეს — დანი, ასე გამოდის იორდანი ტიბერიადეს ზღვიდან. ის ნაკადები მცირე მანძილზე მოედინებიან ცალ-ცალკე, ასე ნახევარ ვერსზე, შემდეგ ერთდებიან და საერთო ნაკადს ჰქვია იორდანი — ამ ორი ნაკადის სახელების მიხედვით.

მოედინება იორდანი სწრაფად, წყალი სუფთაა. ყველაფრით ჩამოჰგავს იგი მდინარე სნოეს: სიგანით, სიღრმით, ქაობებით, თევზიც ბევრია მასში.

იორდანის სათავესთან, ორივე ნაკადზე ორი ხილია ქვისა. მტკიცე ბურჯებზე დგას ორივე. ამ ხალებს ქვეშ, ბურჯებს შორის, მოედინება სწორედ იორდანი.

90. მათეს სამეზვერა

იმ ხილებთან ახლოს იყო ქრისტეს მოციქულის მათეს სამეზვერე. აქ ზომ თავს იყრიდა

ყველა გზა, იორდანზე დამასკოსა და მესოპოტამიისაკენ რომ მიდიოდა.

ამ ადგილზე ისაღილა მთავარმა ბალდუინმა თავის ღაშქართან ერთად. ჩვენც მათთან დავიბანაყეთ ზედ იორდანის სათავესთან, მერე ვიბანაყეთ იორდანის სათავეში.

უსიფათოდ და უშიშრად შემოვიარეთ ტიბერიადეს ზღვის შემოგარენი, ვინახულეთ ყველა ის წმიდა ადგილი, სადაც ქრისტე-უფალი საკუთარი ფეხით მიმოდიოდა.

შეც, უღირსმა და ცოდვილმა, ღვთის წყალობით მოვიარე და ვნახე მთელი ის მხარე გალილეისა, რომლის ბილვის იმედი არასოდეს მქონია, ღმერთმა მაჩვენა დამომატარა ჩემი უღირსი ფეხით ის წმიდა და სანატრელი ქვეყანა.

ქვეშარიტად და არა ნატყუარად აღვწერე ყველა წმიდა ადგილი, რამეთუ საკუთარი თვალთ ვნახე.

ზოგიერთი, რომელთაც ამ ადგილებამდე მოუღწევიათ, ვერ უნახავთ ეს ყველაფერი და შეტად წუხდნენ ამის გამო. სხვა კი, ვინც აქამდე არ მოსულა, ბევრ ტყუილს ამბობს ამ ადგილთა შესახებ.

მე კი უღირსს, ღმერთმა შემახვედრა ერთი წმიდა მოხუცი, დიდი მწიგნობარი, რომელსაც გალილეაში ოცდაათი წელი უცხოვრია, ხოლო წმიდა საბას ლავრაში — ოცი წელი. იმ წმიდა კაცმა ქვეშარიტად მაჩვენა ყველაფერი, წმიდა წიგნებში დამოწმებული.

რით გაუფიქრებლად ამგვარი სიკეთე უფლისა? მთელი დღე ზიდზე ვიდექი და ვფიქრობდი.

სალამო ხანს მთავარი ბალდუინი იორდანა გადავიდა ჯარითურთ და გაემართა სალაშქროდ დამასკოსაკენ.

ჩვენ კი წიგვდით ქალაქ ტიბერიადეში და ათი დღე დავყავით იქ, სანამ მთავარი ბალდუინი თავისი მეომრებითურთ ღაშქრობიდან დაბრუნდა.

ამასობაში ჩვენ შემოვიარეთ ყველა წმიდა ადგილი, რაც ტიბერიადეს ზღვის ახლო-მახლო გვეგულეობდა.

91. ტიბერიადეს ზღვა

ტიბერიადეს ზღვას ტბის მოხაზულობა აქვს, მისი წყალი მეტად გემრიელია. ზღვის სიგრძეა ორმოცდაათი ვერსი, სიგანე ოცი ვერსი. თევზი ზღვაში ჰლომდაა.

ერთი საოცრად გემრიელი თევზია იმ ზღვაში. ის თევზი ქრისტეს უყვარდა ყველა თევზზე მეტად. ჰგავს ჭანარს. ჩვენც, ცოდვილებმაც, მრავალჯერ ვიგემეთ ის თევზი იქ ყოფნისას.

92. ტიბერიადე. ქრისტეს სასწაული

იორდანის სათავედან და იმ ხიდიდან ქრისტეს, ღვთისმშობლისა და მოციქულთა აბანომდე ექვსი ვერსია, ხოლო წმიდა უფალიდან ტიბერიადამდე — ერთი ცხენსა და ოცდაათი კაცი.

ტიბერიადე დიდი ქალაქი ყოფილა, ორი ვერსის სიგრძისა და ერთ ვერსზე მეტი სიგანისა. იქვეა ტიბერიადეს ზღვაც.

ქრისტემ, ჩვენმა უფალმა, ამ ქალაქში ბევრი სასწაული მოახდინა.

აქაა ერთი ადგილი შუა ქალაქში, სადაც ქრისტემ კეთროვანი განკურნა. აქ ყოფილა პეტრე-მოციქულის სიდედრის სახლი, სადაც ქრისტე მისულა და პეტრეს სიდედრი განუფრინა. იმ ადგილას პეტრეს სახელზე მრგვალი ეკლესია აუგიათ.

აქვე ყოფილა სიმონ კეთროვანის სახლი, სადაც მეძაკმა ქალმა ცრემლით დაუსველა წმიდა ფერხნი უფალს, თავისი თმით შეწმინდა და მრავალ ცოდვათა პატიებას ეღირსა.

ამავე ქალაქში ქრისტემ ყრუ ქალს სმენა დაუბრუნა.

აქ მოხდა ის ამბავი, როცა უფალს სახლის სახურავიდან ავადმყოფი ყრმა ჩაუყვანეს.

აქ ქრისტემ ქანანელი ქალი გაამართლა.

აქ არის ერთი მღვიმე, სადაც ცივი და გემრიელი წყალი დის. იმ მღვიმეს შეეფარა ქრისტე, როცა გალილეაში მეფედ დაყენებას უპირებდნენ.

ბევრი სხვა სასწაულიც მოახდინა ქრისტემ ამ ქალაქში.

იქვეა წინასწარმეტყველ ელისეს, ასიფატის ძის, საფლავი.

აქვე გზის პირას ისუ ნაეეს სამარვა.

93. ქრისტეს ქალაქების ადგილი

ზღვასთან ახლოს, ქალაქიდან სროლის მანძილზე, ერთი დიდი ქვაა. იმ ქვაზე მდგარა ქრისტე, ოდეს ტირიდან, სიდონიდან, დეკაპოლიდან და მთელი გალილეიდან მოსულ ხალხს უჭადავებდა და ასწავლიდა.

აქედან გაისტუმრა ხალხი და თავისი მოწაფენი გემებით ზღვის მეორე ნაპირისაკენ, თვით კი ზღვაზე, ვითარცა ხმელზე, გადაიარა და ხალხს იქითა მხარეს დაუბვდა. ხალხი რომ მიეღდა და ქრისტე იქ იხილა, ჰკითხა: „მოძღვარო, შენ როდისღა მოხვედი?“ მან კი უპასუხა: „ის, რაც კაცი არ ძალუძს, ღმერთს შეუძლიაო“.

იმ ადგილამდე ტიბერიადედან ზღვის ათი ვერსია, ხოლო ზღვიდან ის ამადლებული ადგილი ერთ ვერსზეა.

94. ქრისტემ რომ ხუთი ათასი დააპურა

ის ადგილი სწორია და მდებარეობს. ამ ადგილზე ქრისტემ ხუთი ათასი ადამიანი დააპურა ხუთი ცალი პური და კიდევ დარჩა თორმეტი გოდორი.

95. ქრისტე რომ მესამედ მოეგლინა მოწაფეებს აღდგომის შემდეგ

არის აქ კიდევ ერთი ადგილი ზღვის პირას მთის ძირში. იმ ადგილზე აღდგომის შემდეგ ქრისტე მესამედ მოეგლინა თავის მოწაფეებს, დადგა ტბის ახლოს და ჰკითხა: „ყრმანო, საჭმელი გაქვთ რამე?“

მათ უპასუხეს, რომ არა გვაქვსო.

მაშინ თქვა უფალმა: „ჩაუშვით ეგ ბადე წავის მარჯვენა მხარეს და კპოვებთო“.

ჩაუშვეს ბადე და ველარ ამოზიდეს თევზის სიმრავლის გამო. შემდეგ გამოიტანეს ბადე მშრალზე და იყო შიგ დიდი თევზი ასორმოცდაცამეტი ცალი.

აგრეთვე კპოვეს ნაპირზე ნაკვერცხალი და ზედ პური და თევზი შემწვარი. ჭამა ქრისტემ და სხვა მათ მისცა.

აქ აუგიათ ეკლესია წმიდა მოციქულთა სახელზე.

იქვე ახლოსაა სახლი მარიამ მაგდალინელისა, აქ მხნა ქრისტემ მარიამი შვიდი ეშმაკისაგან. ამ ადგილს უწოდებენ მაგდალას.

96. ქალაქი ბეთსაიდი

იქვე ახლოა გორაზე ქალაქი ბეთსაიდი, სამშობლო ანდრიასა და პეტრესი. იქ არის ადგილი, სადაც ფილიპემ ქრისტეს ნათანაელი მიუყვანა.

97. ქრისტემ რომ მეთევზე მოწაფენი ნახა

აქ ზღვაზე არის ერთი ადგილი, სადაც ქრისტემ ნახა ზებედეს ძენი, ანდრია და პეტრე, რომელნიც ბადეს ეზიდებოდნენ. გაიცნო უფალმა ანდრია და პეტრე, მათ კი მიატოვეს ნავი და ბადე და გაჰყვნენ ქრისტეს.

აქვე ზღვასთან ახლოს ყოფილა ზებედეს მამის დაბა და წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახლი.

აქ მოხდა ის სასწაული, როცა ქრისტემ ადამიანისაგან ლეგიონი ეშმაკი განდევნა, უბრძანა ღორებში შესულიყვნენ და ღორები ზღვაში გადაცივიდნენ.

98. გენესარეთის ტბა

აქვეა ახლოს დაბა კაპერნაუმი შის გვერდით მოედინება დიდი მდინარე გენესარეთის ტბიდან და ჩადის ტიბერიადეს ზღვაში.

გენესარეთის ტბა საჭმლოდ ღირსია და მომრგვალებული, ორმოცი ვერსია სიგანით, შიგ უამრავი თევზია.

იქვეა ერთი ქალაქი, სახელად გენესარა. ამიტომაც ეწოდება იმ ტბას გენესარეთისა.

99. ქალაქი დეკაპოლი

აქვეა მეორე დიდი ქალაქი სახელად დეკაპოლი.

აქაა იმ ტბასთან ის ადგილი, სადაც ქრისტე იდგა და დეკაპოლიდან, ტირიდან და სიდონიდან მოსულ ხალხს ასწავლიდა. იმ ადგილის შესახებ სახარებაშია ნათქვამი.

სხვაც ბევრი სასწაული მოახდინა ქრისტემ ამ ტბასთან.

100. ლიბანის მთა

ტბის მეორე მხარეს, აღმოსავლეთისაკენ, არის ერთი მეტად მაღალი მთა, ზაფხულშიც თოვლით დაფარული. იმ მთის სახელია ლიბანი. ლიბანის მთაზე მოიპოვება კეთილსურნელოვანი საკმეველი.

ლიბანის მთიდან გამოდის თორმეტი დიდი მდინარე ექვსი მათგანი აღმოსავლეთისაკენ მიედინება, ექვსი კი — სამხრეთისაკენ და ჩადის გენესარეთის ტბაში.

ის ექვსი დიდ ანტიოქიაში მიდის. მთელს იმ მხარეს ეწოდება მესობოტამია, რაც შუამდინარეთს ნიშნავს. იქაა, იმ მდინარეთა შორის, ხარანი, საიდანაც აბრაამი გამოვიდა.

ეს მდინარეები ავსებენ გენესარეთის ტბას, ზოლო იმ ტბიდან გამოდის დიდი მდინარე, რომელიც ტიბერიადეს ზღვაში ჩადის და წყალუხვს ხდის მას. ესაა იორდანე, როგორც ზემოთ ვთქვით. ასეა ჭეშმარიტად.

ლიბანის მთამდე ჩემი ფეხით ვერ მივედი ურჯულოთა შიშით, მაგრამ კარგად მიაჩვენს იმ მთის შესახებ იქ მცხოვრებმა ქრისტიანებმა და არ გაგვიშვეს იმ მთისკენ. ბევრი ურჯულო ცხოვრობს თურმე იმ მთაზე. მხოლოდ შორიდან შევცქეროდით ლიბანის მთას და გენესარეთის ტბის სანახებს.

101. თაბორი

თაბორის მთა და ნაზარეთი ტიბერიადეს ზღვიდან დასავლეთითაა, რვა დიდი ვერსი უნ-

და განვლო თაბორის მთამდე, ერთი გორა უნდა გადაიარო და კიდევ მეორე მცირე გორაკი. სხვაგან გზა სულ მიწდვრად მიდის.

თაბორის მთა უცხო რამ სანახავია, აუწერელი სილამაზისაა.

ვითარცა თივის ზვინი მშვენიერ ველზე, აღმართულა იგი მრგვალად და ტურფად ღვთის ნება-სურვილით. ერთი მდინარე ჩაუდის იმ მთას. მთელი თაბორი დაფარულია ხილის ტყით, არის აქ ლეღვის, კერატისა და ზეთისხილის ტრაცხვი ზე.

ყველა მახლობელ მთაზე მაღალია თაბორი, განმარტოებით, ამაყად და მშვენივრად დგას ველთა შორის. მისი ფერდები კლდოვანია, ასასვლელად მეტად ძნელი, ზოგან იმგვარი ადგილებია კლდეთა შორის, რომ ფორთხვით უნდა ახვიდე. ჩვენ სამი საათიდან ცხრი საათამდე ძლივს ავედით იმ წმიდა მთის წვერზე.

მთის წვერზე, აღმოსავლეთისაკენ, ერთი კლდოვანი, წაწვეტილი ქიშია. იმ ადგილას მოხდა ქრისტეს ფერისცვალება. აქ დიდი ეკლესია აუგიათ ქრისტეს წმიდა ფერისცვალების სახელზე.

იმავე მთაზე, იმავე ადგილას, პირველის გვერდით, მეორე ეკლესიაა წმიდა წინასწარმეტყველ მოსეს სახელობისა, და იქვე მესამეც — წმიდა წინასწარმეტყველ ილიას სახელობისა.

102. ქრისტეს ფერისცვალების ადგილი

ქრისტეს ფერისცვალების ადგილი შემოზღუდულია ქვის მტკიცე გალავნით, ზოლო ქიშკარი რკინისა აქვს. ეს იყო პირველი საეპისკოპოსო, ახლა კი ლათინთა მონასტერია.

იმ მთის წვერზე ბევრი წყაროა. საოცარია ღვთიან ქმნილი — ამ სიმაღლეზე ამდენი წყარო!

ამის გამო ნაყოფიერი ყანებიც ბევრია, ვენახიც, ხილის ბაღებიცა და ბოსტნებიც.

108. მელქისედეკის მღვიმე

თაბორის მთაზე არის ერთი საოცარი მღვიმე, კლდეში სკივრებით ამოკვეთილი. მის ზემოთ მცირე სარკმელია დატოვებული. მღვიმეში, აღმოსავლეთის მხარეს, ტრაპეზია მოწყობილი. კარი მცირე აქვს. ძირს ჩასასვლელად საფეხურებია დასავლეთიდან.

მღვიმის კარის წინ დგანან პატარა ლეღვის ხეები და სხვადასხვა ბუჩქები. წინათ ხშირი ტყე ყოფილა, ახლა კი ცოტათუნია ზე შერჩენილა.

ამ მღვიმეში უცხოვრია წმიდა მელქისედეკი. აქ მოსულა მასთან აბრაამი და სამჯერ დაუძახნია: „ღვთისკაცო.“ გამოსულა მელქისედეკი, გამოუტანია პური და ღვინო. შემდეგ სამსხვერპლე მოუწყვია მღვიმეში და მსხვერპლს სწირავდა პურიცა და ღვინოც.

აკურთხა მელქისედეკი აბრაამი და თმები შეაკრიჭა მელქისედეკს და ფრჩხილებიც დაუქნა: ბანჯგვლიანი ყოფილა მელქისედეკი.

ასე დაიწყო პირველად მელქისედეკმა ლიტურგია პურიცა და ღვინოც, უცომოთა მაგივრად. ამაზე უთქვამს წინასწარმეტყველს: „შენ ხარ მღვდელ უაუნისამდე წესსა მას მელქისედეკისა.“

ის მღვიმე ფერისცვალების ადგილიდან დასავლეთით ერთი სროლის მანძილზეა.

კეთილად შეგვხვდნენ ფერისცვალების მონასტერში. იქ ვისაღიღეთ, კარგად დავისვენეთ და შევედით წმიდა ფერისცვალების ეკლესიაში. ვეთაყვანეთ და ვეამბოროეთ ქრისტეს ფერისცვალების წმიდა ადგილს, მივიღეთ ლოცვა-კურთხევა მონასტრის იღუმენისა და იქაურ ძმათა.

იმ მონასტრიდან გამოსულებმა, მოვიარეთ ყველა წმიდა ადგილი იმ წმიდა მთაზე. და წავედით კვლავ მელქისედეკის მღვიმისაკენ.

იქ არის გზა მელქისედეკის მღვიმის გვერდით ნაზარეთისაკენ, რომელიც თაბორის დასავლეთით მდებარეობს.

შევედით მეორედ მელქისედეკის მღვიმეში, სიყვარულით ვეთაყვანეთ წმიდა ტრაპეზს.

ტრაპეზი კარგად შენახულა. გვითხრეს, ახლაც მოდისო წმიდა მელქისედეკი და ლიტურგიობსო იმ წმიდა მღვიმეში. პატავს სცემენ ყველა ერთგულნი, ვინც იმ მთაზე ცხოვრობს. მათ გვიამბეს სწორედ ამის შესახებ.

ვადიდეთ ღმერთი, რომლის წყალობით უღირსებმა და ცოდვილებმა ვიხილეთ ის წმიდა ადგილები, ჩამოვედით თაბორის მთიდან და წავედით ნაზარეთისაკენ.

თაბორის მთიდან ნაზარეთამდე ხუთი ვერსია, ორი ველზე გადის, სამი კი — მთებში, მეტად მძიმე, თითქმის გაუვალი გზაა. სარკინოზნიც ბლომად არიან იმ მთებში და იმ ველზეც ბევრი სახლობს დაბებში. გამოდიან ზოლმე და ხოცავენ ქრისტიანებს.

თუ ლაშქარი გახლავს, უშიშრად გაივლი იმ გზას. ჩვენ კი არავინ გვახლდა. მხოლოდ ჩვენ მივედიოდით, რვანი, შეიარაღებულნი, და ღვთის წყალობით, წმიდა ღვთისმშობელს მინდობილნი, მშვიდად მივედით წმიდა ქალაქ ნაზარეთს, სადაც ღვთისმშობელს ახარა ანგელოზმა გაბრიელმა და სადაც აღიზარდა უფალი ჩვენი იესო ქრისტი.

104. ქალაქი ნაზარეთი

ნაზარეთი მცირე ქალაქია მთებში, განმარტოებულ ადგილას, სახამ ზედ არ მიადგები, არ ჩანს.

ქალაქის შუაგულში დგას დიდი ეკლესია. ეკლესიაში რომ შეხვალ, მხარმარცხნივ არის ერთი მეტად ღრმა მღვიმე. ორი კარი აქვს, ჩასასვლელი ქვის საფეხურებიანია.

მღვიმეში რომ ჩახვილ, მხარმარცხნივ არის წმიდა ღვთისმშობლის სენაკი, სადაც ცხოვრობდა წმიდა ღვთისმშობელი ქრისტეთურთ. ამ სენაკში აღიზარდა ჩვენი უფალი.

აქვეა ერთი ადგილი, სადაც იწვნენ ჩველი ქრისტე და დედამისი. ის ადგილი დაბლაა მიწაზე, ვითარცა სარეცელი.

105. წმიდა იოსების საფლავი

იმავე მღვიმეში, მხარმარცხნივ, წმიდა იოსების, მარიამის ქმრის, საფლავია. თვით ქრისტეს, თავისი წმიდა ხელით, დაუსაფლავებია იგი.

იმ სამარის ყველიდან გადმოდის წყალი, უკრად თეთრი, ვითარცა საკმეველი. მას სწულთა განსაკურნავად იყენებენ.

106. წმიდა ღვთისმშობლის ადგილი

იმ მღვიმეში, დასავლის კართან, ერთი ადგილია, სადაც მჭდარა ღვთისმშობელი და ოქრომკედის ძაფს რთავდა.

სწორედ აქ მოსულა მთავარანგელოზი გაბრიელი, ღვთისაგან ქალწულ მარიამთან წარგზავნილა.

107. წმიდა ღვთისმშობლის ხარება

დამდგარა ცხადად ღვთისმშობლის წინაშე ანგელოზი ასე სამი საყენის მანძილზე და უთქვამს ქალწულ მარიამისათვის: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა; კურთხეულ ხარ დედათა შორის!“

ასე ამცნო ქრისტეშობა.

იმ ადგილზე დგას ტრაპეზი მცირე, მრგვალი, მარმარილოსი, და იმ ტრაპეზზე ლიტურგიას აწყობენ ხოლმე.

108. იოსების სახლი

აქ, ამ მღვიმესთან, ყოფილა იოსების, მარიამის დანიშნულის, სახლი. სადაც ყველაფერი ეს ხდებოდა იმ მღვიმის თავზე წმიდა ხარების ეკლესია აუგიათ.

მრავალი ხნის მანძილზე ქრისტეშობის მივიწყებული და ცარიელი ქალაქი იქნა. თრანგებს გაუახლებიათ, მშვენივრად მოუწყვიათ ყველაფერი.

არის აქ ლათინთა ეპისკოპოსი, მეტად მდიდარი, ის ფლობს ამ წმიდა ადგილს.

კარგად გაგვიმასპინძლდნენ საქმელითა და სასმელით გაყდინა იქ ერთ ღამეს კარგად რომ გამოვიძენთ, დილაადრიან აედექით და წიკედით ეკლესიაში და ვეთაყვანეთ წმიდა ადვილს შევედით წმიდა მღვიმეში და აგრეთვე ვეთაყვანეთ წმიდა ადგილებს.

გავედით იმ ქალაქიდან, მცირე მანძილი ვახველეთ სამხრეთისაკენ და მივადექით ერთ მშვენიერ წყაროს, მეტად ღრმად მომდინარესა და ცივს. გრძელი კიბეა ჩასასვლელი. იმ წყაროზე მრგვალი ეკლესია დგას მთავარანგელოზ გაბრიელის სახელობისა.

109. წყარო, სადაც ანგელოზმა პირველად ახარა ღვთისმშობელს

ნაზარეთიდან ამ წმიდა წყარომდე ერთი მარჯვე სროლის მანძილია. ამ წყაროსთან მომხდარა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პირველი ხარება.

ქალწული მარიამი წყაროსთან მისულა და როგორც კი ჭურჭელი წყლით აუვსია, ვიღაც უხილაეის ხმა გაუგონია: „გიხარებდე, მომადლებულო! ღმერთი შენთანაა!“ მიმოუხედავს მარიამს გარშემო და ვერაინ დაუნახავს.

აუღია ღვთისმშობელს წყლას ჭურჭელი და წასულა სახლისაკენ. თანაც გავვირკებთ უფიქრია: „რას უნდა ნიშნავდესო ეს ხმა, რომელიც მესმოდა და ვერაინს კი ვერ ვხედავდიო?“

შესულა ნაზარეთში, მისულა შინ და დამხდარა ზემონათქვამ ადგილზე, დაუწყია ოქრომკედის ძაფის რთვა და სწორედ ამ დროს გამოცხადებია გაბრიელი და უხარებია ქრისტეშობა.

110. გალილეას კანა

ნაზარეთიდან ისააკის დაბამდე ხუთი ვერსია, ხოლო იმ დაბიდან გალილეას კანამდე — ერთნახევარი ვერსი.

კანა დგას ხალხმრავალ გზაზე. აქ მოახდინა ქრისტემ სასწაული, როცა წყალი ღვინოდ აქცია.

აქ შევხვდით ერთ რაზმს, ქალაქ აკრაში რომ მიდიოდა. გახარებულნი შევეუბრით მას და აკრაში წავედით.

111. გზა იერუსალიმისაკენ

აკრა, როგორც ვთქვი, სარკინოზთა ქალაქი ყოფილა, ახლა კი ფრანგებს უჭირავთ. დგას ქალაქი აკრა დიდ ზღვაზე და აქვეა ზღვის კეთილი ყურე. აკრა ყველაფრით მდიდარი ქალაქია. ნაზარეთიდან აკრამდე ოცი ვერსია, ნაზარეთიდან სამხრეთისკენაა.

აკრაში ვიდევით ოთხი დღე, კარგად დავისვენეთ, შემდეგ ვიპოვეთ სხვა რაზმი, რომელიც წმიდა ქალაქ იერუსალიმში მიდიოდა. შევეუბრით იმ რაზმს, და, სიხარულით აღვსილნი, გავემართენით.

მივედით კაიფაში, იქიდან წავედით კარმელის მთისკენ. იმ მთაზეა წმიდა წინასწარმეტყველი ილიას მღვიმე, ვეთაყვანეთ მას და გავემართეთ ქალაქ კაპერნაუმისაკენ.

კაპერნაუმიდან მივედით ფილიპეს კესარიიაში. იქით ორი გზაა: ერთი სულ ზღვის პირზე მიდის, მეორე — ქვიშის უდაბნოზე.

სამი დღე დავყავით კესარიიაში. აქ იყო ის კორნილიე, მოციქულმა პეტრემ რომ მონათლა. კესარიიდან წავედით სამარიიაში.

გზა გადის მთებზე, კესარიიდან მხარმარეხნივ.

კესარიიდან სამარიამდე ოცი ვერსია. სამარიიაში უნდა მივსულიყავით მეორე დღეს, მაგრამ დიდი სიცხის გამო ნელა მივდიოდით, ხალხმა ვერ შეძლო იმ ხვატში სწრაფი სიარული.

ღამე გავათიეთ სამარიის მისასვლელთან, იაკობის წყაროსთან, სადაც ქრისტე სამარიტელ ქალს ესაუბრა.

112. იერუსალიმი

იქიდან გავემართეთ იერუსალიმისაკენ იმ გზით, რომლითაც იერუსალიმიდან მოვედით. და მივადექით წმიდა ქალაქ იერუსალიმს უდიდესი სიხარულით, უვნებელნი და ჭანჭრთელნი.

მთელი გზები ისე მოვიარეთ, რომ ბოროტება არავინ შეგვაძინებია. ღვთის წყალობით ენახეთ საკუთარი თვალთ ყველა წმიდა ადგილი, სადაც კი უფალს ჩვენსას უვლია.

ჩვენ, ცოდვილთ, გვეღირსა გვენახა წმიდა ად-

გილები, საოცარი ქვეყანა გალილეისა, მთელი მიწა-წყალი პალესტინისა!

ღვთის მადლით დაცულნი, წმიდა ღვთისმშობლის ლოცვა-ვედრებით ფარულნი, უბიფათოდ დავდიოდით პალესტინის ქუჩებზე.

იმ წმიდა მხარეში კრსადეკვეტოროტება, არც ურჯულოთაგან, არც სასტიკ მხეცთაგან, არც ავიდ გავმხდარვართ. ვითარცა არწივი, შემსუბუქებულ ვიყავით ღვთის მადლით, დავდიოდით კარგად, მხნედ, დაუზარებლად.

ამის გამო ქებაც მეკეთეთაის, ჰაგრამ ვაქებ და ვადიდებ ჩვენი უფლის—ქრისტეს ძალას. ვითარცა მოციქულ ბავლეს უთქვამს: „ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების“.

რით უზღავე უფალს ჩემსას ყველა იმ სიკეთეთა გამო, რაც მარგუნა მონას თვისას, რომ მომანიჭა იმოდენა მადლი — მენახა საკუთარი თვალთ ყველა წმიდა ადგილი და გულის სურვილი ჩემი აღსრულდა!

შემინდეთ მე, მამანო და ძმანო და უფალნო ჩემო, არ დამძრახოთ: უგუნურებისა და სირეკუნის გამო, რომ ასე მარტივად აღვწერე ყოველივე: წმიდა ადგილნი, წმიდა ქალაქი იერუსალიმი და ღვთის მიერ აბრაამისათვის აღთქმული მთელი ეს წმიდა ქვეყანა.

თუ სიბრძნით არა, ტყუილის გარეშე მაინც, ვითარცა ვიხილე ჩემი ცოდვილი თვალთ, ისე აღვწერე.

113. ზეციური ნათელი, ღვთის საფლავს რომ მოეფინება

მე, გლახაკსა და უღირსს, მაჩვენა ეს უფალმა.

ქვემარტად ვნახე ჩემი უღირსი თვალთ, როგორ ჩამოდის ზეციური წმიდა ნათელი უფლის ჩვენის იესო ქრისტეს განმაცოცხლებელ საფლავზე.

ბევრი სხვა მოგზაური უსწოროდ აგვიწერს და მოგვითხრობს ზეციური წმიდა ნათლის გაღმთენახე. ზოგი ამბობს, ზეციური წმიდა ნათელი პტრედის სახით ჩამოდისო; სხვანი ამბობენ, რომ წმიდა ნათელი ეღვის სახით ჩამოდის ციდან და ანთებს კანდელებს უფლის საფლავის თავზეო.

ყველაფერი ეს ტყუილია!

არაფერი არ ჩანს მაშინ, არც მტრედი, არც ეღვა, არც სხვა რამ. უჩინრად გაღმთეფინება ზეციური წმიდა ნათელი ღვთის წყალობით და ანთებს კანდელებს უფლის საფლავზე.

იმას მოგითხრობთ, რაც ჩემი თვალთ ენახე: დიდ პარასკევს, მწუხრის შემდეგ, წმინდენ უფლის საფლავს, რეცხენ ყველა კანდელს, ავსებენ წმიდა, წყალშეურეველ პატიოსანი ზე-

ითი, ტოვენენ აღნთებელს, ღამის ორ საათზე ბეჭდავენ უფლის აკლამას.

ამ დროს აქრობენ ყველა კანდელსა და სანთელს იერუსალიმის ყველა ეკლესიაში.

იმ დიდ პარასკევს მე, უღირსი, პირველ საათზე წავედი მთავარ ბალდუინთან და მდაბლად ვეთაყვანე.

მან რომ ნახა ჩემი მდაბალი სალამი და თავიანისცემა, სიყვარულით მიმიხზო და მკითხა: „რა გსურს, რუსო იღუმენო?“

კარგად გამიცნო, შემეყვარა კიდევ, რამეთუ იყო კაცი ნეტარი, წყნარი და თავმდაბალი.

მე ვუბასუხე: „ბატონო ჩემო, გევედრები ღვთის გულისათვის და ჩემს რუს მთავართა გულისათვის, მიბრძანე, რომ მეც დაეღვა ჩემი კანდელი უფლის წმიდა საფლავზე მთელი რუსეთის, ჩემი გვეყნის ყველა ქრისტიანის სახელით“.

მაშინ მან სიყვარულით მიბრძანა, დამეღვა ჩემი კანდელი უფლის წმიდა საფლავზე და გამაყოლა თავისი ყველაზე საუკეთესო კაცი წმიდა აღდგომის ეკლესიის იკონომოსთან, რომელიც განაგებდა უფლის წმიდა საფლავსაც.

ორივემ, იკონომოსმა და წმიდა აკლამის გასაღების მფლობელმა მეკუჷნავემ, მიბრძანეს, მომეტანა ზეთით სავსე ჩემი კანდელი.

დიდი სიხარულით ადგსილმა, მე თავიანი ვეცო მით და სასწრაფოდ გავიქეცი სავაჭრო ადგილზე. იქ ვიყიდე დიდი შუშის კანდელი, პირთამდე აყავსე წმიდა ზის ზეთით და მივიტანე უფლის საფლავთან.

უკვე გვიან იყო. შევევედრე მეკუჷნავეს, შევეშვი უფლის აკლამაში.

მან გამოაღო წმიდა კარი, მიბრძანა, ფეხთ გამეზადა და ასე ფეხშიშველი შემეყვანა მხოლოდ მე.

კანდელი თან მქონდა. მან მიბრძანა, დამეღვა კანდელი უფლის სარეცელზე.

დავდგი ჩემი ცოდვილი ხელით კანდელი იგი სარეცელის ფერხით, იქ სადაც ესვენა უფლის ჩვენის იესო ქრისტეს წმიდა ფეხები.

სარეცელის თავითი იდგა ბერძენთა კანდელი, ბოლო გასწვრივ — წმიდა საბას მონასტრისა და სხვა ეკლესია-მონასტრებისა.

ასეთი წესი ჰქონიათ: ყოველ წელს აუცილებლად დგამენ კანდელს ბერძენებისას და წმიდა საბასი.

ამრიგად დავდგი მეც ჩემი კანდელი უფლის წმიდა საფლავზე, ვეთაყვანე საფლავს, სიყვარულით ადგსილმა და ცრემლმორეულმა ვეამბორე იმ წმიდა ადგილს, სადაც ესვენა წმიდა სხეული ჩვენი ნეტარი უფლის იესო ქრისტესი.

გაბარებული გამოვედი აკლამიდან და ყველანი წავედი ჩვენ-ჩვენს სენაკებში.

დილით, დიდ შაბათს ექვსი საათისათვის უფლის აღდგომის ეკლესიის წინ იკრიბება ურიცხვი ხალხი, მოსული ყველა ქვენიდან — დედამიწის ყველა კუთხიდან.

ივსება მთელი ატემაჩი, ჩალხი, ურიცხვი ხალხი დგას ეკლესიის გარშემო, კრისტეს ჯვარცმასთან. დიდი სივიწროვება, სასტიკი სულთახუთვება. ბევრი ვერ უძლებს ამ გაჭირვებას, ხალხის მოწოლას, სული ეხუთებათ, იგუღებოიან...

მთელი ის ზღვა ხალხი დგას აღნთებული სანთლებით ხელში და ელოდება ეკლესიის კარის გაღებას.

ეკლესიაში მაშინ მხოლოდ სამღვდლოებაა: ელოდებიან, როდის მოვა მთავარი ბალდუინი თავისი ლაშქრითურთ.

ხოლო როცა განიხსნება ეკლესიის კარი, მთელი ეს ზღვა ხალხი ტალღასავით მიახკდება ეკლესიას, შედის შიგ. სასტიკი სივიწროვება, სულთახუთვება და დიდი გასაჭირი.

ხალხი ავსებს ყველა ადგილს ეკლესიის შიგნით და გარეთ. დგას ურიცხვი ხალხი გოლგოთასთან, თხემის ადგილთან, ადიან ჯვრებზე, ხუბებზე, ფეხის დასადგმელი ადგილი არსად რჩება.

მთელი ხალხი, ეკლესიის შიგნითაც და გარეთაც, მხოლოდ ერთს იძახის შეუჩერებლივ: „უფალო, შეგვიწყალებ! უფალო, შეგვიწყალებ!“ იმეორებენ უწყვეტად, ყვირიან, ბლავიან, ღრიალებენ: „უფალო, შეგვიწყალებ! უფალო, შეგვიწყალებ!“ — სასტიკი გრიალი დგას გარშემო...

უხვად იღვრება ცრემლი. ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, აქ რომ ცრემლი არ მოერიოს.

ყველა ტირის, ქვითინებს, მოთქვამს, ბლავის. იხსენებენ საკუთარ ცოდვებს, და ყველა ამბობს: „ნუთუ ჩემთა ცოდვათა გამო არ გადმოეფინება ზეციური წმიდა ნათელი?“

ასე დგას ყველა ერთგული; ყველა ტირის გულჩამკვდარი.

თვით მთავარი ბალდუინი დგას შიშით ატანილი და დიდი მორჩილებით შეპყრობილი. ცრემლის ღვარი სდის მის თვალებს. ასევე დგას ლაშქარიც მის გარშემო, უფლის საფლავის პირდაპირ, დიდი საკურთხეველის ძილოს. ყველა მეომარი წყნარია და მორჩილი...

დიდი შაბათის შვიდი საათი რომ დადგება, გამოდის თავისი სასახლიდან მთავარი ბალდუინი ლაშქრითურთ. ყველა ფეხშიშველია.

შემოუთვალა მთავარმა ბალდუინმა მოსვლა წმიდა საბას მონასტრის წინამძღვარს, და და-

იძრა ყველა წმიდა საბადან — წინამძღვარი, ბერები, მწირები. გაემართნენ წინამძღვარი და ძმები უფლის საფლავისაკენ, და მეც, უღირსი, წავედი წინამძღვართან და ძმებთან ერთად.

მთავართან რომ მივედით, ყველანი ვეთაყვანეთ მას, მაშინ მანაც თაყვანი სცა წინამძღვარს და ყველა ძმას. იღუმენსა და მე, უღირსს, გვიბრძანა, მის გვერდით გვევლო. სხვა იღუმენებსა და ბერებს მიუთითა, წინ წასულიყვნენ, ხოლო ლაშქარს ანიშნა, უკან მომყევითო.

ასე მივედით წმიდა აღდგომის ეკლესიასთან, დასავლის კართან. ტევა არ იყო. შესასვლელთან ურიცხვი ხალხი იდგა, და ვერ შევძელით ეკლესიაში შესვლა.

მაშინ მთავარმა ბაღდუინმა თავის ლაშქარს ნიშანი მისცა. მეომრებმა ძალით გასწი-გამოსწიეს ხალხი, და განიხსნა, ვითარცა ვიწრო ქუჩა, გზა წმიდა საფლავამდე. ამ უამრავ ხალხში ასე გაჭირვებით შევედით და მივედით უფლის საფლავამდე.

დავდექით დასავლის კართან. მთავარმა ჩავვიარა და თავის ადგილზე დადგა, დიდი საკურთხეველის მარჯვნივ, საფლავის აღმოსავლეთის კარის პირდაპირ. აქ მისთვის ამოღებული ადგილია მოწყობილი.

ანიშნა მთავარმა წმიდა საბას მონასტრის წინამძღვარს, რათა თავისი ბერებითა და მართლმორწმუნე მღვდლებითურთ უფლის საფლავთან დამდგარიყო.

მე კი, უღირსს, მიბრძანა დავმდგარიყავ ერთ მაღალ ადგილზე, ზედ საფლავის კარის ზემოთ, დიდი საკურთხეველის პირდაპირ, რათა საშუალება მქონოდა, მეცქირნა შიგ საფლავის კარში.

საფლავის სამივე კარი დაბეჭდილ იყო მეფის ბეჭდით.

ლათინთა სამღვდლოება დიდი საკურთხეველის გარშემო იდგა.

რვა საათი რომ შესრულდა, იწყო გალობა მართლმორწმუნე სამღვდლოებამ. ბერები, მეუღაბნოენი და ყველა სასულიერო პირი მათ აჰყვა.

ლათინებმა დიდ საკურთხეველში თავის ენაზე შორათეს ჭყვიდით.

და ასე მღეროდა ყველა.

მე იქვე ვიდექი და ბეჭითად შევცქეროდი საფლავის კარებს.

როცა დაიწყეს დიდი შაბათის ეამნი, დიდი საკურთხეველიდან გამოვიდა ეპისკოპოსი დიაკვნითურთ, მივიდა უფლის საფლავის კართან, შეიჭვრიტა საფლავში და რომ ვერ იხილა სინათლე, უკან დაბრუნდა.

შეექცეს ეამნის ლოცვანი რომ დაიწყეს, იგივე ეპისკოპოსი კვლავ მივიდა საფლავის კართან, მაგრამ ახლაც ვერაფერი დაინახა.

მაშინ მთელმა ხალხმა მოთქმით იღრიალა: „კირიე, ელვისონ! კირიე, ელვისონ!“, რაც ჩვენებურად ნიშნავს „უფალო, შეგვიწყალო!“

როცა გათავდა ცხრა საათი, იწყეს გალობა „უფალო, გიგალობო“. ამ დროს გამოჩნდა მცირე რამ ღრუბელი აღმოსავლეთიდან და დადგარა ეკლესიის გადაუხურავი თალის თავზე, მცირედ წამოწვიმა წმიდა საფლავზე და დაგვასველა საფლავთან მდგომნი.

მაშინ შეესეულად აღმობრწყინდა წმიდა ნათელი წმიდა საფლავიდან და აკაშკაშდა ბრწყინვალემა შესაშინებლად.

მივიდა ეპისკოპოსი ოთხი დიაკვნითურთ, გააღეს საფლავის კარი, გამოართვეს სანთელი მთავარ ბაღდუინს, შევიდნენ საფლავში, უპირველესად მთავრის სანთელი აანთეს იმ წმინდა სინათლით, გამოიტანეს საფლავიდან ის ანთებული სანთელი და მიართვეს მთავარს პირდაპირ ხელში.

და იდგა მთავარი თავის ადგილზე ანთებული სანთლით, სახეზე უდიდესი სიხარული და ნეტარება გადაჰტენოდა.

მისი სანთლიდან ჩვენც ავანთეთ ჩვენი სანთლები, ჩვენგან კი სხვამ აანთო, და ასე ანთებდნენ სანთლებს მთელს ეკლესიაში.

ზეციური წმიდა სინათლე იმგვარი არაა, როგორც ჩვენი, მიწიერი სინათლეა. იგი უფრო ძლიერად ანათებს და ალი მოწითალო აქვს, ვითარცა სინგური.

ასე იდგა მთელი ხალხი ანთებული სანთლებით ხელში და მთელი ხმით გაჰყვიროდა: „უფალო, შეგვიწყალო“ ყველა გამოუთქმელი სიხარულითა და ბედნიერებით იყო მოცული...

სხვა ამგვარი სიხარული ადამიანისათვის ქვეყანაზე არ არსებობს. უდიდესი სიხარულია ყველა ქრისტიანისათვის, ოდეს ზეციურ წმიდა ნათელს ახილავს! ვისაც ეს სიხარული არ ვანუცდია, ადვილად ვერ ირწმუნებს ამ ამბებს. მხოლოდ ბრძენთ და ერთგულთ სჯერათ ამ ქუმმარიტებისა, წმიდა ადგილებისა და სასწაულისა. ნათქვამია: „მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ“.

მე კი, უღირსს, მოწმედ მყავს უფლის წმიდა საფლავი და ჩემი მთელი დრუჟინა, რუსეთის შვილნი, რომლებიც ჩემთან იყვნენ იმ დღეს — ნოვგოროდელნი და კიეველნი: სდესლოვ ივანეს ძე, გორდისლაე მიხეილის ძე, კაშკის ძენი ორნი და ბევრი სხვა.

მაგრამ დაეუბრუნდეთ ზემოთქმულ ამბავს.

ოდეს ნათელი აღმოებრწყინდა წმიდა საფლავიდან, გალობა შეწყდა და ყველას ერთად აღმოხდა: „კირიე, ელესონ!“

თანდათან იწყეს გასვლა ეკლესიიდან ანთებული სანთლებით ხელში, და დიდი სიხარულით იყო მოხილი ყველა. მიდიოდნენ და ხელს აფარებდნენ სანთლებს, რათა ქარს არ ჩაექრო ყველა შინისაკენ მიიჩქაროდა.

იმ წმიდა ზეციური სინათლით ანთებენ კანდელებს ყველა ეკლესიაში, ყველგან ამთავრებენ გალობას და მიდიან.

ხოლო დიდ ეკლესიაში, უფლის საფლავთან, რჩება მარტო სამღვდლოება, ხალხის გარეშე ისინი მიმწეებრის ღოცვას ამთავრებენ.

მაშინ ჩვენც, ილუმენი და ძმები, ჩვენს მონასტერში გავემართენით, მიგვეტონდა ანთებული სანთლები. იქ დავასრულეთ საღამოს გალობა და ღვთის დიდებით, რომ უღირსთ თავისი მადლი გვაჩვენა, სენაკებში წავედით.

მეორე დღეს, ქრისტეს აღდგომას, ცისკრის წირვა იყო, როგორც ჯერ არს, ამბორეყვანი ილუმენი და ძმანი, ავიღეთ ჯვარი და ყველანი წავედით წმიდა აღდგომის ეკლესიისაკენ.

შევედით უფლის წმიდა აკლდამაში, სიყვარულითა და ობილი ცრემლებით აღსავსენი ვეთაყვანეთ და ვეამბორეთ იმ წმიდა ადგილს, დაეტებით სული წმიდის გადმოფენით და კანდელების საოცარი ნათებით.

როგორც გვიამბეს ეკონომოსმა და შეკუჭნავემ, სამი კანდელი ზეციური სინათლის გადმოფენისას თავისით ანთებულა. წმიდა საფლავის თავზე კიდევ ხუთი კანდელი ენთო, მაგრამ მათი სინათლე სხვანაირი მეჩვენა, ვიდრე იმ სამისა, რომელნიც მართლაც რომ საოცრად ანთებდნენ.

შემდეგ გამოვედით უფლის აკლდამიდან აღსავლის კარით, შევედით საკურთხეველში, ვეამბორეთ მართლმორწმუნე მღვდლებს, ილუმენი და ძმები წამოვედით წმიდა აღდგომის ეკლესიიდან ჩვენს მონასტერში და დავისვენეთ ლიტურგიამდე.

ქრისტეს აღდგომის მესამე დღეს, ლიტურგიის შემდეგ, წავედი უფლის საფლავის მეკუჭნავესთან და ვუთხარი: „ჩემი კანდელის წაღება მსურს, თუ შეიძლება“.

მან სიყვარულით მიმიღო და მარტოდმარტო შემიყვანა უფლის საფლავში. ოდეს შევედი, ვახილე ჩემი კვლავ ანთებული კანდელი უფლის საფლავზე, თაყვანი ვეცი იმ წმიდა სა-

ფლავს, სიყვარულით აღვივსე და ცრემლმორეულმა ვეამბორე იმ ადგილს, სადაც ესვენა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წმიდა სხეული.

მაშინვე გავზომე საფლავი იგი, მისი სიგრძე, სიგანე და სიმაღლე, როგორც არს. ხალხის თანდასწრებით ამის გაკეთება მრავალს ძალუძს.

პატივი ვეცი, როგორც შეშემოდა, უფლის საფლავს და მეკუჭნავესაც მივეუძღვენ ცოტა რაბ, დარიბი კურთხევა ჩემი.

მან კი, ოდეს იხილა ჩემი ამგვარი სიყვარული უფლის საფლავისადმი, გადასწია ერთი ფილა საფლავის თავით და მომიტეხა მცირე ნაფუქვენი იმ წმიდა ქვისა. თანაც ფიცით დამაფიცა, რომ ამის შესახებ იერუსალიმში არავის ვეტყვოდი.

მე კი, თაყვანი ვეცი რა უფლის საფლავსა და მეკუჭნავეს, ავიღე ჩემი კანდელი, გამოვედ წმიდა საფლავიდან და სიხარულით აღფრთოვანებული, ღვთის მადლით გამდიდრებული, წამოვედი.

ხელთ მქონდა წმიდა ნატეხი იმ უწმიდესი ადგილისა, მოვდიოდა, ვხარობდი, თითქოს რაღაც უდიდესი სიმდიდრე მომქონდა. მივდიოდი სენაკსა ჩემსა გამოლოქმელი სიხარულით შეპყრობილი...

114. უპანასკნელი თავი

მოვიარე ის წმიდა ადგილები დიდი რუსი მთავრის სვიატობოლკ იზიასლავის ძის — იაროსლავ ვლადიმერის ძე კიეველის შვილიშვილის — მთავრობის დროს.

ღმერთთა იმის მოწამე და უფლის წმიდა საფლავი, რომ წმიდა ადგილთა ნახვისას არ დამევიწყნია რუს მთავართა, მთავართა მეუღლეთა, მათ შვილთა, რუს ეპისკოპოსთა, ილუმენთა, ჩემთა სულიერ შვილთა და ყველა ქრისტიანთა სახელები.

ყველა წმიდა ადგილზე ვახსენებდი მათ.

ჯერ მათ გამო, ჩემთა მთავართა და ყველათა გამო, ვლოცულობდი და მხოლოდ შემდეგ ვახსენებდი ჩემს ცოდვებს.

იმიტომ ვადიდებ ნეტარ ღმერთს, რომ ღირსმყო მე, უღირსი, ჩამეწერა რუს მთავართა სახელები წმიდა საბას ლავრაში, და ახლა ახსენებენ მათ ოქტენიის დროს მათ მეუღლეებთან და შვილებთან ერთად.

აი ეს სახელები: მიხეილ-სვიატობოლკი, ვასილ-ვლადიმერი, დავით სვიატოსლავის ძე, მიხეილ-ოლგე-პანკრატი სვიატოსლავის ძე.

ანდრია-მსტისლავ ვსევოლოდის ძე, თევდორე-მსტისლავ ვლადიმერის ძე, ბორის ვსესლავის ძე, გლებ მინსკელი, დავით ვსესლავის ძე.

მხოლოდ კი არ ვახსენებდი მათ სახელებს, არამედ ჩავწერე კიდევ.

სხვებზე, სხვა რუს მთავრებზე, ბოიარებზე და რუსეთის ქრისტიანებზე, ლიტურგია გადავიხადე არაერთგზის, ოთხმოცდაათჯერ: ცოცხლებზე — ორმოცდაათჯერ, ხოლო გარდაცვლილებზე — ორმოცჯერ.

ყველა, ვინც ამ ნაწერს რწმენითა და სიყვარულით წაიკითხავს, კურთხეულ იყოს ღვთიით და უფლის წმიდა საფლავით; ღირს იქმნენ ღვთათ იმათ სწორად, ვინც ის წმიდა ადგილები საკუთრივ მოიარა.

ნეტარ არიან, ვინც ნაბა და ირწმუნა, სამგზის ნეტარ არიან, ვისაც არ უნებავს და მაინც ირწმუნა.

რწმენით მივიდა ეპიტროქიმ სტამბულ ქვეყანაში. ჰეშმარიტად რწმუნა ქრისტიანი საქმე ერთი და იგივეა.

ღვთას გულისათვის, ძმანო და უფალნო ჩემო, არ დამძრახოთ უგუნურობისა და სირევნისათვის.

ნუ იქნება ძაგებული დაწერილი ესე უფლის წმიდა საფლავისა და იმ წმიდა ადგილების გულისათვის.

ხოლო ვინც სიყვარულით წაიკითხავს, ღირსეულს მიიღებს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს, ჩვენი მაცხოვრისა და მშვიდობის ღმრთისგან თქვენთან ერთად საუკუნოდ. ამინ.



ილია ორბელიანი

რვა თვე შამილის ტყვეობაში

(ოთხობის მოთხრობა)

თარგმანი
ზინზინიძე

თარგმანი ელიზბარ უპილაძე

პრაპორშჩიკი ილია ორბელიანი (შემდეგში გენერალ-მაიორი), გრიგოლ ორბელიანის ძმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის მკვიდრი ბიჭა ღედის ბზრიდან, 1842 წლის 22 მარტიდან 1842 წლის 26 ნოემბრამდე შამილის ტყვეობაში იმყოფებოდა. მოახრობა დაწერილია 1843 წელს, ამ მოთხრობის ნაწილი 1849 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „კავკაზში“ (№ 1-5). „კავკაზში“ გამოქვეყნებული ტექსტი მცირეოდენი შემოკლებით დაურთო ე. ვერდერევიჩიმ 1857 წელს ს-პეტერბურგში გამოქვეყნებულ თავის წიგნს „Плен у Шамиля“ (გვ. 22-42), ხოლო რუსულიდან ქართულად თარგმნა პოეტმა გ. ლეონიძემ („ლიტ. მატრიანე“, 1940 წ. წიგნი 1-2, თბილისი, გვ. 442-465).

ი. ორბელიანის მოთხრობის სრული ხელნაწერი ახლახან აღმოაჩინა მკვლევარმა ი. ტროიცკიმ ლენინგრადის ს. ვორონცოვის არქივში, რის შესახებაც პირველი ცნობები გამოაქვეყნა პერიოდულ პრესაში; ამავე ხელნაწერის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პროფ. მ. ჩიქოვანი („ლიტ. ძიებანი“, III, თბ., 1947, გვ. 140). ხელნაწერი საგანგებოდ შეისწავლა პროფ. გ. შარაძემ. მან დაადგინა, რომ გამოქვეყნებული ტექსტი ერთი თავია ი. ორბელიანის სრული მოთხრობისა (გ. შარაძე, „არქეოგრაფიული ძიებანი“ განაალები, თბილისი, 1973 წ. გვ. 149-154). პროფ. გ. შარაძემ ლენინგრადიდან თბილისში ჩამოიტანა ხელნაწერის მიკროფილში და ამ მიკროფილშიდან დაბეჭდილი ფოტოპირები. მოახდინა ახალაღმოჩენილი ხელნაწერის გამოქვეყნებელი ნაწილის პუბლიკაცია პერიოდულ პრესაში.

ი. ორბელიანის მოთხრობის სრული ტექსტის ქართული თარგმანი ქვეყნდება პირველად.

ილია ორბელიანისადმი (1816-1853), როგორც ქართველი მხედართმთავრისადმი ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ შამილის ტყვეობაში მისმა ყოფნამ მისცა ერთგვარი საბაზი ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი უკვდავი ლექსის „მერანის“ შექმნისათვის.

ი. ორბელიანის ამ მძაფრ პუბლიცისტურ ნაწარმოებს უდიდესი, თითქმის პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს კავკასიური ომებისა და ამ ომების გმირის — შამილის პიროვნების შესასწავლად.

მთარგმნელიზბან

მითარგმნა, რამაც განაპირობა ჩემი დაბრუნება

გასული, 1842 წლის თებერვალში მეცხრამეტე ქვეითი დივიზიის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ფეხემ, რომელთანაც ადიუტანტად ვმსახურობდი ყოისუბუს საზოგადოებაში ყოფნისას, მიიღო სა-

მურის ოლქის უფროსის, პოდპოლკოვნიკ სინაქსაროვის ცნობა იმის შესახებ, რომ შამილმა დაიკავა ანდალალის საზოგადოების სოფლები — კოხი და სულრათლი და დაპყრობით ემუქრებოდა ყაზიყუმუხის სახანოს, გენერალ-ლეიტენანტმა ფეხემ მიბრძანა, წავსულიყავი აკუშოში, შემეგროვებინა მილიცია და დაუყოვნებლივ დავირულიყავი სახანოს საზღვრებისაკენ. გენერალს განზრახული ჰქონდა თვითონაც წამოსულიყო ჩემკენ, როგორც კი მდგომარეობა სახიფათო შეიქმნებოდა.

მილიციის თანხლებით სახანოს ვუახლოვდებოდი, როცა სამურის ოლქის უფროსის, პოდპოლკოვნიკ სინაქსაროვის გამოგზავნილი კაცი შემომხვდა. მან შემატყობინა, შამილმა უკან დაიხია და ახლა ამ არემარეს საშიშროება არ ემუქრებაო.

ამის შედეგად, გენერალმა ფეხემ მომწერა — ჩემს განკარგულებაში მყოფი მილიციელებით წავსულიყავი ანდალალის საზღვარზე და განმეცხადებინა მოსახლეობისათვის, რომ ჩემი ჩამოსვლას მიზანია კოხისა და სულრათლის მცხოვრებთა დასჯა, რადგან მათ თოფის გაუსროლელად შეუშვეს თავიანთ სოფლებში შამილი. ამ ამბით შეშფოთებული კოხელები და სულრათელები მაშინვე გამოცხადდნენ ჩემთან და მთხოვეს, მეშუამდგომლა გენერალ ფეხეს წინაშე, რათა ეპატიებინა მათთვის ეს დანაშაული. შემდგომ დღეებში ასეთივე თხოვნით მომმართეს კოპორას, ობუხას და სხვა შორეული აულების მცხოვრებლებმა — სულ სამი ათასამდე კომლმა. ყველა მათგანმა ყურანით შემოძვიცა მისი იმპერატორული უდიდებულესობისადმი ერთგულება და საწინდრად გადმომცეს ასი თოფი. თავმოყრილი ხალხიდან ავიყვანე რამდენიმე დეპუტატი და მათთან ერთად დავბრუნდი რაზმში, რომელიც ზირანაში იდგა.

მეორე დღეს, ოც მარტს, გენერალი ფეხე რაზმითურთ გაემგზავრა თემირხანშურაში. ბურუნდუკ-ყალასთან წუთშესვენების დროს პოდპოლკოვნიკ სინაქსაროვისაგან ხელმეორედ მივიღეთ შემდეგი ცნობა: „მიურიდების რომელიღაც ჯგუფმა დაიკავა ყაზიყუმუხის აული ბუხთი“. იმისათვის, რომ დანამდვილებით გამეგო ყაზიყუმუხში საქმის ვითარება, გენერალმა ფეხემ მიბრძანა — დაუყოვნებლივ წავსულიყავი იქითკენ. თვითონ მას კი უნდა შეევლო თემირხანშურაში ყუმბარებისა და სანოვაგისათვის, ხოლო ვინიცობაა ჩემგან საგანგაშო ცნობებს მიიღებდა, მაშინვე რაზმითურთ გამოსწევდა ყაზიყუმუხისაკენ.

გენერალ-მაიორ ახმედ-ხანის ნუქერებისაგან შევარჩიე ჩვიდმეტი კაცი და ბურუნდუკ-ყალადან გერგებილისაკენ ვაფრინეთ ცხენები. ღამის ათ საათზე ჩავედი გერგებილში, იქიდან კი ყაზიყუმუხისაკენ ვავემართე. წუდახარის ქვის ხიდის მახლობლად შემომხვდა ადგილობრივი ყადი ასლანი, რომელიც აკუშოს ყადთან მიემგზავრებოდა სათათბიროდ შამილის ხელახალი თავდასხმის გამო. პირველი გასაუბრებისთანავე შევნიშნე, რომ არავითარი სურვილი არა ჰქონდა ჩვენთან ერთად ემოქმედა შამილის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ ასლან-ყადი ჩვენს მხარეზე გადმომებირებინა, ხერხს მივძართე; ჩამოვბტი ცხენიდან და ვთხოვე მას, რამდენიმე ხნით ჩამოემსხდარიყავით ნაბაღზე. ბევრი საუბრის დრო არ იყო. ასლანს მოკლედ გავაცანი, თუ რა საშიშროება ემუქრებოდა ყაზიყუმუხს, მასთან ერთად კურინის სახანოს, აკუშოსა და წუდახარს, ვურჩიე — გამოეძახებინა თავისი მილიცია და ჩემს რაზმთან ერთად ვავემავრებინა სახა-

ნოს საზღვარი ჩვენი ქარების მოსვლამდე. ასლან-ყადი კარგა ხანს თავს არიდებდა პირდაპირ პასუხს, შერე კი მითხრა:

— ძვირფასო თავადო, რაღა დაგიძალო და, ჩვენ შამილისა გვეშინია. ამიტომ ამჯერად არაფრით არ შეგვიძლია მივეშველოთ ყაზიყუმუხს. თუკი ისინი ჩვენზე ხელს აღმართავენ, ჩვენც არ დავიკრეთო გულს. *მანამ-დე კი უთუოდ თავშეკავება გვიჯობს.*

— ეს იმას ნიშნავს, რომ უარს ამბობთ ჩვენთან ურთიერთობაზე, არ გსურთ ჩვენთან ერთად იბრძოლოთ. ვნახოთ, რას მოგიტანთ ასეთი ორჭოფობა!

ჩვენ ერთმანეთს დავცილდით. მე გზა განვაჯრძე. წუდახართან ორი მიუჩიდი შევნიშნე. დაგვინახეს თუ არა, ჩალმებზე ნაბდები აიფარეს და აულში გაუჩინარდნენ. როგორც გავიგე, ისინი მსტოვრები იყვნენ. შამილს გამოეგზავნა წუდახარლების აზრის გასაგებად — ჰყოფნიდათ თუ არა გამბედაობა, იარაღასხმულნი გაჰყოლოდნენ მას ყაზიყუმუხელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

21 მარტს, ნაშუადღევს 3 საათზე, მე უკვე ყაზიყუმუხში ვიყავი. ამ აულის ერთ ყველაზე მაღალ მწვერვალზე აღმართათ ყაზიყუმუხის მილიციის წითელი ნიშანი. ყაზიყუმუხის ხუთასი და კურინის ორასკაციანი შეიარაღებული რაზმები მზად იყვნენ გამოჩენისთანავე შებმოდნენ შამილის ურდოებს.

არც მთიელთა ბანაკს ეძინა. მათ კავშირი დაამყარეს კარახისა და მუკრალის საზოგადოებებთან. ჭობელები და სულარათლელები კი არ დაემორჩილნენ შამილის ბრძანებას და თავიანთი ფიცის ერთგულნი რჩებოდნენ. მათ ნება არ მისცეს შამილს თავიანთი სახანოს სოფლებში გაევილო. იმაში იძულებული გახდა ყაზიყუმუხში აულ ბუხთის გზით ჩასულიყო. ქალაქი პანიკას მოეცვა. ხანის სახლთან შემომხვდა კურინის სახანოს მმართველი, ჩემი ძველი ნაცნობი ჰარუნ-ბეგი. ჩვენ შეგობრულად მივესალმეთ ერთმანეთს.

— ყაზიყუმუხი საფრთხეშია! — ვუთხარი მე, — ჯარები შორს არიან, შეგვიძლია თუ არა მათ მოსვლამდე შევინარჩუნოთ ქალაქი მილიციის ძალებით?

— ძალიან საეჭვოა, — მომიგო ჰარუნ-ბეგმა, — ტყუილუბრალოდ ამყარებ იმედებს ყაზიყუმუხელებზე. მათ თავად სხმეს შამილი და, ცხადია, მის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს ჩვენ არ დაგვიჭერენ. მე კი მხოლოდ ორასი კურჩინელი მყავს. რას გააწყობ შამილის ურდოებთან! ამ საზიზღარი და მოლაღატე ხალხის გულისათვის უნდა ამოვწყვიტოთ უსახელოდ ჩვენი ჯარი? სად არის ღმერთი და სამართალი?!

მოგვიანებით პოდპოლკოვნიკ სინაქსაროვს შევხვდი. ავუხსენი ჩემი ჩამოსვლის მიზეზი და ვთხოვე, ყაზიყუმუხში შექმნილი მდგომარეობის კურსში ჩავეყენებინე, რათა გენერალი ფიჭესათვის სწორი ინფორმაცია მიმეწოდებინა. მან შემომთავაზა, ერთად ავსულიყავით იმ სიმაღლეზე, სადაც განლაგებული იყო ჩვენი მილიცია და პირადად გავრკვეულიყავი ვითარებაში. პოდპოლკოვნიკი სინაქსაროვი და მე ნუქერების თანხლებით წავედით მილიციის ადგილსამყოფელისაკენ. მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან მესმოდა ყვირილი, ხმაური, კმათი, ხანდახან სროლაც. სიმაღლეზე განლაგებული იყო ხუთათასიანი ჯარი კიბიტ-მაჰომას მეთაურობით. ოლქის უფროსს ნუქერი გავუგზავნე და შევეუთვალე, მოახლოებულ საშიშროებისთანავე ჩვენთან გამოცხადებულიყო. ნუქერი მალე დაბრუნდა და მაცნობა — ოლქის უფროსს ვერ შევხვდი, გზები შეკრულია. შიგ არავის უშვებენო.

მოულოდნელად მარჯვენა ფლანგზე იძალა მოწინააღმდეგეს ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, რომელთაც წინ თავად შამილი მიუძღოდა. მალე მთიელები ქალაქში შეიჭრნენ. მე ვცდილობდი შევხვედროდი ოლქის უფროსს, რათა მიმეღო რჩევა, როგორ აგვეცილებინა მთიელთა რისხევა. — უკვე გვიან იყო. ყველაფერი დომხალივით აირია. ამ ორომტრიალში საიდანღაც მომესმა ხმა, ყაზიყუმუხელები გარბიანო, და ხანის სახლის ჭიშკარი ფართოდ გაიღო. სახლის ბანზე ჰარუნ-ბეგს წავაწყდი, თავისი ნუჭერები მოეყვანა. შორიანლო მთიელთა ურდოები გამაყრუებელი ზმით აგუგუნებდნენ სალაშქრო სიმღერას „ლა-ილაჰ, ილ-ალა“. სამხრეთიდან შემოჭრილ ჯარებს კიბიტ-მაჰომა მოუძღოდა, ხოლო დასავლეთისას — ანდიის ყადი და კარახელი აბდურაჰმან-დიბირი. ყაზიყუმუხელი მილიციელები ღობე-ყორეს აწყდებოდნენ, როგორმე თავი რომ ეხსნათ განსაცდელისაგან. ამაოდ მოვუწოდებდით მათ დაეცვათ ქუჩები. მალე მთელი ქალაქი ალყაში მოექცა. მოწინააღმდეგის ცხენოსნები დაედევნენ ლტოლვილებს. შეიპყრეს ისინი და სოფლის ბოლოს, მდინარე ყოისუს მარჯვენა ნაპირას მოაყუჩეს. ქვეითი ჯარი ქალაქს მოედო. ჩვენ სახლის ბანიდან ავუტეხეთ სროლა; ჰარუნ-ბეგს ჰყავდა ოცი ნუჭერი, მე — ჩვიდმეტი, ხოლო აბტინსკის — ოცდახუთი. ერთი ნუჭერი ხელად მოგვიკლეს. რაკი დავრწმუნდით, უთავშესაფროდ ვერაფერს გავხდებოდით, კოშკში შევცვივდით. გაჩაღდა ფიცხელი სროლა. მალე 48 მიუჩრიდი გავუყენეთ ჯოჯობეთის გზას, კოშკის შემოგარენი მათი გვამებით მოიფინა. ამის შემდეგ მთიელები ვერ ბედავდნენ ქუჩებში გამოჩენას. სალამოს დაახლოებით ას ოცი კურინელი ჯარისკაცი, რომლებიც აქამდე ხანის სახლის ახლომანლო ქუჩებს იცავდნენ, ციხის ჭიშკარს მოადგა და შიგ შემოსვლა გვთხოვა. მაგრამ პოდპოლკოვნიკმა სინაქსაროვმა ისინი მოლაღატეებად მიიჩნია და ახლოს არ გაიკარა. კურინელები ერთხანს წინააღმდეგობას უწევდნენ მთიელებს, მაგრამ მალე იძულებული გახდნენ ფარ-ხმალი დაეყარათ და მთიელთა ჭარბ ძალებს დანებებოდნენ. ამ შემთხვევამ გარედან დახმარების ყოველგვარი იმედი დაგვიკარგა.

ღამის ორ საათზე ჩვენს ნუჭერებს ტყვია-წამალი გაუთავდათ. მდგომარეობა უნუგეშო იყო. ტყვია-წამლის უკმარისობას ზედ ერთვოდა პურის ნაკლებობა. შეიქნა საშიშროება, რომ წყლის მოწოდებას შეწყვეტდნენ. დაგვრჩა გადარჩენის ერთადერთი გზა — გვესარგებლა სიბნელით და, როცა მთიელები მშიერი მგლებივით დაძრწოდნენ ირგვლივ სახლების გასაძარცვავად, მათ მარაქაში ჩვენი სამოცი ნუჭერიც გარეულიყო. ნუჭერებს შეეძლოთ შიშველი ხმლებით გაეკვლიათ გზა და ეშოვათ ხორავი. თუ ამ ოპერაციას ათამდე ნუჭერი შეეწირებოდა, სამაგიეროდ დანარჩენები ცოცხლები დარჩებოდნენ. ეს აზრი ჰარუნ-ბეგს გავუხიარე. მას მოეწონა ჩემი გადაწყვეტილება და თანხმობის მისაღებად ორთავე წავედით პოდპოლკოვნიკ სინაქსაროვთან; პოდპოლკოვნიკმა დიდხანს იჯანჯლა, ეძება, მისი აზრით, სხვა უკეთესი გამოსავალი და რაკი ვერაფერს გახდა, დაგვთანხმდა, მაგრამ გვიანლა იყო. თვალსა და ხელს შუა გავვეპარა, რომ იტყვიან, ოქროს წუთები. დროის ამ მონაკვეთში ჩვენს ნუჭერებს თავისუფლად შეეძლოთ რაიმე ხორაგეულის მოპოვება. პოდპოლკოვნიკის თანხმობის მიღებისთანავე გავქანდით ჩვენს ნუჭერებთან, მაგრამ იქ საშინელი ამბავი დაგვახვედრეს: მოლაღატეთა წყალობით ჩვენი წუთები დაოვლილი იყო. არსაიდან ხსნის იმედი არ იყო — მტრის კლანჭებში ვიყავით მოქცეული.

თურმე ხანის მეუღლეს ფარულად გადმოეშვა კედლიდან ბაგირი, რითაც ერთ-ერთი ნუქერი, სახელად იდრისი, თავისთან გადაეყვანა და შამილთან გაეგზავნა მოციქულად, თავისი ოჯახისა და ქონების გადარჩენა რომ ეზნოვა. არამკითხე მოციქულს, თავისი მოსაზრებით თუ ხანის მეუღლის შთაგონებით, შამილისათვის დაწვრილებით მოუხსენებია ციხეში მყოფთა მდგომარეობა. მათი გასაჭირი და ისიც, ვითომ ჩვენ განზრახული გექონდა ქველმოქმედება. გაუგია თუ არა ეს შამილს, მაშინვე გაუგზავნია კიბიტ-მაჰომა, თან დიდძალი ყარაული უახლებია. ციხის კარებთან ჩასაფრებულებმა ისეთი სროლა აგვიტეხეს, ქვის კედლებს ზანზარი გაჰქონდა. გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადაგვეწურა, მაგრამ მთიელთა ხელში ჩავარდნას სიკვდილი გვიჯობდა და ჩვენც კარგა ხანს ვიტანდით აუტანელ გასაჭირს — შიშსა თუ შიმშილს; უკანასკნელ ღონეს ვძაბავდით, როგორმე ციხე-კოშკში არ შემოგვეშვა ვერაგი მტერი. ამასობაში იქნებ გენერალ ფეხეს დამხმარე ძალებს მოესწროთ ქალაქში შემოსვლა. ციხის კარებთან ხუთი კაზაკი დავაყენე და ვუბრძანე: არავითარ შემთხვევაში არ გაეღოთ კარი — არც არავინ გაეშვათ გარეთ და არც არავინ შემოეშვათ!

ირიყრაყა. იდრისი შამილის შტაბ-სადგომიდან უკან დაბრუნდა და ხანის მეუღლეს მოახსენა იმამის ბრძანება — ყველა ხანს, ბეგს და ყაზიყუმუხის საპატიო მოქალაქეს ხანის სასახლის წინ მოეყარა თავი. იდრისს მათთვის უნდა გამოეცხადებინა: შამილი ყაზიყუმუხში ჩამოვიდა არა ქონების შესაძენად, არამედ ადგილობრივ მკვიდრთა პატივსაცემად, მათ საკეთილდღეოდ. დაღესტნისა და ჩეჩნეთის იმამს ახსოვს და არც არასოდეს დაავიწყდება დამსახურება ყაზიყუმუხელებისა, რომლებმაც მთელ დაღესტანში პირველებმა მიიღეს მაჰმადიანური სარწმუნოება. იმისათვის, რომ თავი დაეხსნათ გიაურთა მონობისაგან, თქვენ უნდა მიიღოთ და გაავრცელოთ შარიათი, როგორც პირდაპირი გზა ჭეშმარიტებისა და სამოთხისაკენ!

როცა მოლაღატე იდრისი შამილის ბრძანებას ყაზიყუმუხელებს გადასცემდა, თან მოუთხოვდა მათ შამილის თავმდაბლობაზე, სიმშვიდესა და სისპეტაკეზე. თუმცა არც იმას მალავდა, რომ ეს სანუკვარი თვისებები მის მიმართ მაინცდამაინც გულუხვად არ გამოუჩენია. როცა იდრისი შამილთან გამოცხადდა, მრისხანე მბრძანებელმა ჰკითხა:

— სად არის შენი ღმერთი? ის ღმერთი, რომელმაც გზა-კვალი აგებნია და ქოფაკი ძაღლების თანაზიარი გაგხადა?

იდრისი მიხვდა, რომ შამილს მედალი ჰქონდა მხედველობაში; მაშინვე ამოიღო ჯიბიდან ჰინკში გამოკვანძული მედალი და მბრძანებელს გაუწოდა. იცოდა იდრისმა, ასე რომ არ ექნა, შამილი მაინც წაართმევდა, და წინააწარ თავი დაიზღვია.

— მე არ მინდა, — განაგრძო შამილმა ირგვლივ თავმოყრილ მიუჩრდილებსა და ყაზიყუმუხელებთან იდრისის მისვლამდე დაწყებული საუბარი, — მუსულმანებს ჰყავდეთ მეორე ღმერთი. ღმერთი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე. მხოლოდ გიაურებს — ამ ურწმუნო ძაღლებს — ჰყავთ მრავალი ღმერთი. მაგათ სურთ თავს მოგახვიონ თავიანთი სარწმუნოება. დაგიმორჩილონ, დაგაწერონ უშველებელი გადასახადები, წაასხან თქვენი ბავშვები სალდათებად, აიძულონ ისინი უმოწყალოდ გაუსწორდნენ ერთმორწმუნეებსაც კი. მე არ მოგცემთ თქვენ ამის ნებას! მე არ მინდა თქვენი სიმდიდრე, ოქრო და ვერცხლი. მე ვარ

მონა ღვთისა, კმაყოფილი მცირედითაც. მე არა ვარ ამ ძაღლებივით უღმერთო და გაუმაძღარი! აქ იმისათვის ჩამოვედი, რომ თვალები აგისილოთ, ვიხსნა თქვენი სული წყეულ გიაურთა ხელისუფლების მონობისაგან. ჩვენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე უნდა ვიბრძოლოთ მათ წინააღმდეგ. ურწმუნო მოგკლავს შენ თუ შენ მას, სულ ერთია: იმ ქვეყანაში გელოდები საშობნე და ნეტარება!..

შამილის დაპირებებმა და იდრისის ნალაყბევმა გზაკვალი აუბნია ქარაფ-შუტა თათრებს. კოშკში მყოფი ყველა ნუქერი ყურებდაცქვეტილი ისმენდა ამ საუბარს და მზად იყო შამილის მხარეზე გადასულიყო. ეპოლეტები, ჩინები, მედლები და მედალიონები ხელად გაჰქრა მათი მხრებიდან და გულ-მკერდიდან. გათენდა თუ არა, ქალაქის ყველა მცხოვრები, გარდა ახმედ-ხანის ნუქერებისა, ციხესთან მოგროვდნენ, ამხმედ-ხანის არც ერთი ნუქერი არ გადასულა შამილის მხარეზე. მათ იცოდნენ, რომ ხანი და შამილი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, სახელად ყურბანი, მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამომართვა და ნითხრა:

— ხედავ, რა გვიყვეს ამ საძაგელმა ყაზიყუმუხელებმა? მე ახმედ-ხანის ნუქერი გახლავარ და კარგადაც ვუწყვი, რომ თქვენთან ერთად სიკვდილი არ ამცდება. დე, აგრე იყოს, აღსრულდეს ნება ღვთისა! ნაძრახ სიცოცხლეს ასწილად. მიჯობს მამაცური სიკვდილი! ცნობა ჩვენი სახელოვანი სიკვდილისა კიდითკიდემდე მოეფინება მთელ ქვეყნიერებას. ესეც დიდი ნუგეშია ცოცხლად დარჩენილი ჩვენი გულშემატკივრებისათვის.

მე ამ უბრალო ნუქერის ნათქვამი სიტყვასიტყვით გადმოგეცით, სახელი და დიდება ასეთ ღირსეულ ადამიანს!

გათენდა. ციხის კარები ფართოდ გაიღო. ციხის ყველა საპატიო მცხოვრები, მათ შორის მაჰმუდ-ბეგი და ჰარუნ-ბეგი, რომელთაც შამილი განსაკუთრებით თხოულობდა, შიშით და კრძალვით გაემართნენ მრისხანე მბრძანებელთან! ჰარუნ-ბეგს უეჭველი სიკვდილი ელოდა, ოღონდ იმაზე ლოცულობდა, შვილი გადაერჩინა, რომელიც ორას კურინელთან ერთად ტყვედ ჩავარდნოდა მთიელებს.

ამ დებუტაციას შამილი რისხვით და მუქარით შეხვდა.

— მე თქვენი მოწვევით ჩამოვედი აქ, — თქვა მან და ორმოცამდე წერილი ამოიღო, რომლებიც ჩაზიყუმუხელებს გაუგზავნიათ მისთვის, — ვეცადე, რაც შეიძლება, ჩქარა ჩამოვსულიყავი და დამეფარეთ ურწმუნოთაგან. მაგრამ თქვენ ღვთისა არ გშინებიათ და ხელი აღგიმართავთ ჩემზე, რის გამოც მისი რისხვა არ აგცდებათ. თქვენ თქვენი იმამულ აზამა და ორმოცდარვა ჩემი ერთგული მიურიდი შეგეწირათ გუშინ. წყეულიმც იყავით, როგორც ალაპისა და წინასწარმეტყველის მტრები! მე თქვენ მუსრს გაგავლებთ ყველას ერთად! ბეგებო და ხანებო, ურწმუნოთაგან ბოძებულ თქვენს წოდებებს და ჩინებს, რითაც თავი მოგაქვთ, სამუდამოდ შეეწირებით. დაჰკრა შურისძიების უამმა!

ბრალდებულმა ყაზიყუმუხელებმა, განსაკუთრებით კი ყადებმა, დაიწყეს ხვეწნა-მუდარა, ფიცი და მტკიცი, რომ მათ არც კი უფიქრიათ იმამის წინააღმდეგ გალაშქრება, რომ კვლავაც მუსულმანებად რჩებიან, უწინდებურად იმამის ერთგული მსახურნი.

— შენ კი, ჰარუნ-ბეგ, — განაგრძობდა შამილი, — ძაღლზე უარესი ხარ და ძაღლური სიკვდილი გელოდება! შენ აიძულე ყაზიყუმუხელები ებრძოლათ

ჩემ წინააღმდეგ. შენი გარდაუვალი ხვედრია. ჩემგან სიკვდილი, ხოლო ღვთისაგან — ჯოჯოხეთი და სამუდამო წამება!

— ეგრეა, შამილ, — დამშვიდებით მიუგო პარუნ-ბეგმა, — მე ბოლომდე ერთგული ვარ იმ ფიცისა, რომელიც მივეცი ხელმწიფე იმპერატორს. შენს მიუჩრებებთან ერთად ვიბრძოდი და ვაიძულე მათ ვამხდარიყვნენ ჩემი ნუქერები. მე არ ვფარავ ამას. მე შენს ხელთა ვარ. შენ ხელმწიფე იმპერატორს, ჩემი სიკვდილი თუ სიცოცხლე შენზეა დამოკიდებული. პირადად ჩემთვის არაფერს გთხოვ, ოღონდ ნურაფერს ერჩი ჩემს შვილს და უდანაშაულო ნუქერებს!

შამილმა ხელი ჩაიქნია. ყველანი დაიშალნენ. პარუნ-ბეგი სასოწარკვეთილი დაბრუნდა ჩემთან. მან დანამდვილებით არაფერი იცოდა, ოუ როგორ გადაწყდებოდა მისი შვილისა და ნუქერების საქმე.

ამ დროს სასიკვდილოდ განწირულებს მხსნელი მესია მოევლინა. ეს იყო ჯემალ-ედინ ყაზიყუმუხელი, მასწავლებელი შამილისა, კაცი ცნობილი და მთელ დაღესტანში საყოველთაო პატივისცემით გარემოსილი. მე ვეცდები ორიოდ კეთილი სიტყვა ვთქვა მასზე ქვემოთ.

ჯემალ-ედინმა — სწორედ ამ კეთილმა კაცმა შთააგონა შამილს, რომ არ ღირს ტყუილუბრალოდ დაღვაროს მუსულმანების სისხლი. პარუნ-ბეგის დახვერტა ან ნუქერების ჩამოხრჩობა არ გააცოცხლებს დახოცილ მიუჩრებებს.

ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ შამილი დათანამდა, რადგან გაითვალისწინა, რომ ამით ის კურჩინის რაზმის მეთაურებს ნაწილობრივ მაინც მასზე დამოკიდებულს გახდიდა და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებასაც მიიღებდა მათგან. ამას გარდა, ბოლო ხანებში შამილმა გადაწყვიტა რაც შეიძლება ნაკლებად დახვრიტოს ტყვეები, გამოიყენოს ისინი მთელ ტყვეებზე გადასაცვლელად ან გადაგზავნოს დაღესტნის შორეულ აულებში. ამ მოსაზრებით და ჯემალ-ედინ ყაზიყუმუხელის პატივისცემით შამილმა პარუნ-ბეგს სიცოცხლე შეუნარჩუნა, ხოლო მისი შვილი მძევლად დაიტოვა.

ბოლოს ჩვენი ჯერიც დადგა. ჩვენთან შემოვიდა ჩირქეისა და გიმრის აბრეკთაგან¹ რამდენიმე ნუქერი.

ჩვენს ბარგი-ბარხანას ყარაულები მიუყენეს, მათ წარგვადგინეს შამილთან მე და აფშერონის ქვეითი პოლკის პრაპორშჩიკი ანანოვი, რომელიც სამსახურის გამო ყაზიყუმუხში იმყოფებოდა. შამილის შტაბ-სადგომის წინ აუარებელი ხალხი ფუსფუსებდა. ჩვენს მიახლოებაზე ბრბომ გაცოფებული ღრინავი ატეხა:

— ქრისტიანი ღორები მოჰყავთ, ქრისტიანი ღორები!

ამ კიჟინას მოჰყვა წყევლა-კრულვა და გინება. რა თქმა უნდა, ასეთი დახვედრის შემდეგ აღარაფრის იმედი არ უნდა გვქონოდა. შამილს ჩვენ შესახებ მოახსენეს. შიგნით შეგვიყვანეს. არ მეგონა, თუ ოდესმე იქიდან ცოცხალი თავით გამოვალწევდი. მინდოდა ერთხელ კიდევ თვალი მომეველო მზისა და შორეული მთისათვის. რომლებიც დარაჯებად გადაპყურებდნენ ჩემს მშობლიურ აკვანს.

ბურუნდუკ-ყალასთან შესვენების შემდეგ ამბანაგები გამოკეთხოვენ:

— აბა, ვინძლო გიორგის ჯვრით დაგვიბრუნდე, აი!

¹ აბრეკი — მძაჯირი, ადამიანები, რომლებმაც მიატოვეს ყველაფერი: ოჯახი, ქონება, ავგილ-მამული, რათა ემსახურონ მხოლოდ რელიგიას (ავტორის შენიშვნა).

მაშინ სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა და ნაღვლიანად ჩავიბუტბუტე:
 — დიახ, ჯვარი ზოგს გულს დაუმშვენებს, ზოგს კიდევ სათლავს. მე კი არც ერთსა და არც მეორეს.

ჩვენ შეგვიყვანეს მოზრდილ ოთახში. იგი შამილის მკვდრე მკვამლე გავესოთ. შემდეგ გაგვიყვანეს მეორე ოთახში. აქ ვნახეთ სწორედ — შამილი.

მას გარს ერტყნენ თანამზრახველები და ყაზიყუმუხელი საპატიო დეპუტატები. მარჯვნივ და მარცხნივ უსხდნენ ნაიბები: კიბიტ-მაჰმადი — ანდიელი კაცი, აბდურახმან-დიბირი² — ყარახელი და მოლაღატე ჰაჯი-ალა, ყაზიყუმუხის მმართველის ძმა.

შამილს შიგნით კართან 150 მცველი ჰყავდა. ყველანი საზიზღრად, მხეცე-ბივით იყურებოდნენ. ხმლებით და ხანჯლებგამშვლებულები, თოფებით და დამბაჩებით; ყველას ჩახმახები ფეხზე შეეყენებინა.

ლეკები სილამაზით ვერ მოიწონებდნენ თავს, ვერც გარეგნული მოყვანილობით, ველური, მკაცრი გამომეტყველება ოდნავადაც არ შენელებიათ. რის გამოც სიამის იერს ვერ შენიშნავთ. რამდენადაც მხეცური შესახედაობისანი იყვნენ, იმდენად უფრო გამომეტყველი და წარმოსადეგი იყო მათი წინამძღოლი შამილი. მეტად მშვენიერი, თეთრი და მასთან ნორჩი, ოდნავად ნაყვავილარი სახე, ცისფრად მოელვარე ქროდა თვალები, საიდანაც გამოკრთოდა შორსმგვრეტელობა, ჰკუთა-გონება და სულის სიძლიერე. ტუჩებზე მუდამ ღიმილი დასთანაშებდა, ოდნავ გაპოხილი ბაგეებიდან თეთრი კბილები გამოჟუკრთოდა, რაიე მოწმობდა მის ცბიერებასაც და გულკეთილობასაც, ინით შეღებილი წითური წვერიც ძალიან ამშვენებდა მის სახეს: ტანად საშუალო იყო, ჩამკვრივებული, ლამაზად ჩასხმული, იყურებოდა მეტად ბრგედ, ვაჟაკურად; ამ წარმოსადეგ ადამიანს იაე ეჭირა თავი, თითქოს 30 წლის ვაჟაკი იყო, მაშინ როცა ბევრად ხნიერი უნდა ყოფილიყო.

როდესაც პირველად შევაველე თვალი, მეტად მომეწონა თვითონაც, მისი მდიდრული ჩაცმულობაც და იარაღიც, რაც უფრო აძლიერებდა მის ვაჟაკურ სილამაზეს და სიციქასეს. თავი წითელი ჩერქეზული ქუდით შემოეფარგლა და თეთრი დოლბანდით შეპოეჭობა. ტანთ ეცვა ახალუხი, რომელზეც გადაეცვა წითელი მაულის ჩოხა, სულ მოსირმული და ვერცხლას პატარა მასრებით ჩამწკრივებული. მხარზე ხმალი ეკიდა. წელზე ერტყა ჯამარი, რომელშიც გარტობილი ჰქონდა დამბაჩა. წინ კიდევ ხანჯალი ეკიდა, ასეთი იყო შამილი.

— აგერ იმამინალ-აზამი, — წაგვჩურჩულეს მიუხრიდებმა, როდესაც შამილთან მიგვიყვანეს.

მან შემოგვხედა თავისი ჩვეულებრივი ღიმილით, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

ხანგრძლივმა ღუმელმა და აუარებელი ბრბოს ცნობისმოყვარეობამ გული გამიწყალა.

— შამილ, ჩვენ მოვალეობის ასრულების დროს ტყვეებად ჩავვარდით და აგერ გაახლეს ჩვენი თავი. ახლა თქვენს ხელთა ვართ. რა გსურს? რას იზრამ?

² აბდურახმან-დიბირი შამილს გამყოლად ჰყავდა ყაზიყუმუხში. ასეთი მოლაღატეობისათვის შამილმა სახანოს მმართველად დაიყენა იგი, მაგრამ ამ ადგილზე დიდხანს არ გაუჩერებია. რიჩის საქმის შემდეგ ისევ გადააყენა ამ თანამდებობიდან. როგორც უნიკო კაცი (ავტორის შენიშვნა).

ხავ? მალე გადასწყვეტე ჩვენი ხვედრი. გამოგვიცხადე რა მოგველის: სიკვდილი, თავისუფლება თუ ტყვეობა?

იგივე გაიმეორა პრაპორშჩიკმა ანანოვმა.

— ჩემს გადაწყვეტილებას თავის ღრობზე გაიგებთ, — ~~გვიპასუხა~~ შამილმა, — ახლა არა მცალია.

ამ სიტყვებზე ხელი ჩაიქნია და უბრძანა, წავეყვანეთ ~~ეს ჩვენი წყვეტილი~~ ვისიმე სახლში.

მართლაც შამილს ჩვენთვის არ ეცალა. მას ელოდა საიდუმლო დეპუტაცია აკუშოდან და წუდახარიდან. გარდა ამისა, — საჭირო იყო მძევლების მოკრება, საჭირო განკარგულებათა გაცემა შარიათისა და მიურიდაზმის გასაგრძელებლად ახლად დაპყრობილ სახანოებში.

ჩვენ წაგვიყვანეს იდრისის სახლში. სახლის პატრონი გულმტირალი შემოგვეყარა. ის უჩიოდა მართლმორწმუნე მიურიდეებს, რომლებიც ირწმუნებოდნენ, დავლისა და სიმდიდრის შესაძენად არ მოვსულვართო. ნამდვილად კი ისე გაეძარცვათ იქაურობა, რომ აღარაფერი დაეტოვებინათ. თუ ჭერ კიდევ გუშინ იდრისს შამილი ცამდე აპყავდა და სულ იმისი და მისი თანამზრახველების ქება-დიდებაში იყო, ახლა სიტყვებსაც ვერ პოულობდა, რომ თავისი გულისწყრომა გამოეხატა.

დაგვითმეს ერთი ოთახი. ჭერ სამნი შეგვეყარეს, შემდეგ შემოგვემატა ცქვისი კაზაკი და ერთიც ჩემი მზღებელი ქართველი. ბოლოს შემოიყვანეს რივითი ქარისკაცი ზაგორსკი, რომელიც პოდპოლკოვნიკ სანაქსაროვთან მსახურობდა, და ორი მისი თანამსახური.

შამილი და მიურიდეები იდრისზე ნაკლებად როდი მომეჭკნენ: ჩემი ბარგი-ბარხანა, ტანისამოსი, ოჭროს საათი, ორლულიანი თოფი, ორი დამბაჩა, მოვერცხლილი ხმალი, ხალიჩეზა, სპარსული შალი, სამის ორმოცი მანეთი და ოთხი ცხენი დავლად დაიტოვეს. ასეთივე ბედი ეწიათ სხვებსაც.

ყარაულად ჩირქეელები³ დაგვიყენეს. მთიელებს შამილი მაინცდამაინც როდი ენდობა. მათ გამოგვითხე ჩემი ჩეადმეტი ნუქერის ბედი.

— იმამ. — მიპასუხეს მათ, — რა უნდა ელოდეთ ამ ავაზაკებს, თუ არა ლუკმა-ლუკმად აჩეხვა.

ამის გაგონებაზე შამილის ერთ მახლობელს მოეუხმე (სახელად ჰაჯი-ალას. ესეც ჩირქეელი იყო) და ვთხოვე ეშუამდგომლა შამილის წინაშე, ჩემი ნუქერებისათვის ეპატიებინა, რადგანაც ისინი ყაზაყუმებში ძალით წავიყვანე გამკობლებად. ამისთვის ჰაჯის ჩემს სერთუქს დავპირდი, მეტი არაფერი აღარ გადამრჩა. ის შამილთან წავიდა და დიდხანს არ დაბრუნებულა. ამასობაში შემომგესმა ხშირი სროლის ხმა. მალე ამბავი მომივიდა, რომ უბედური ნუქერებიდან ცოცხალი არავინ გაუშვეს, ზოგი დახვრიტეს და ზოგიც ხმალდახმალ აჩეხესო.

მიურიდეების ბრბოს ბრბო აწყდებოდა, გვწყველიდნენ, გვაგინებდნენ, გვაფურთხებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. სალამოს იმ სახლში გადაგვიყვანეს, რომელშიც შამილი ბინადრობდა. იმ ფეხსადგილში შეგვეყარეს და ყარაულები დაგვიყენეს. ასე გაიარა იმ სამწუხარო და მარადყამს დაუვიწყარმა დღემ, 22 მარტმა.

³ სოფ. ჩირქეის ადების შემდეგ ორასზე მეტი ოჯახი შამილას ერთგული და მახლობელი შეიქნა. ისინი მეტწილად დასახლებულები არიან დარლოში. (ავტორის შენიშვნა).

მეორე დღეს, გათენებისას, სუფთა ჰაერზე გაგვიყვანეს. ჩემთან ორი მიუბრუნებელი მოვიდა, რომელთაც მთიელები განსაკუთრებული პატივისცემით შეხვდნენ. ჩანდა, პატივსაცემი ხალხი უნდა ყოფილიყო და მართლაც შამილის დიდი მეგობრები გამოდგნენ — ჭობელი მიუბრუნებელი მუსა-აჯი და მაჰმუდი. ერთმა მათგანმა პირი ბრბოსკენ იბრუნა, ჩემზე მიუბრუნებელი უთხრა:

— აი, ეს ყველაზე ურწმუნო ძაღლია. მაგან სამი ათასზე მეტი კრძალი წაგვართვა ანდალალის საზოგადოებაში და ერთგულებაზე დააფიცა. შამილს ვთხოვ, მაჩუქოს ამის თავი, რომ საკუთარი ხელით მოვკლა და სამოთხე დავიმსახურო. მე დიდი ხანი ვცხოვრობდი მექაში და ჯერ შემთხვევა არ მქონია გიაურების სისხლი დაძვარა.

შუადღის ნამაზის შემდეგ, რომელიც შამილმა გულმოდგინებით შეასრულა დიდად პატივცემულ პირთა თანდასწრებით, ჩვენ მოგვაკითხეს და მასთან წაგვიყვანეს.

შამილი მდიდრულად ჩაცმული აღარ იყო, როგორც წინა დღეს. ახლა გაქონილი პერანგი ეცვა, უეჭველია, ისიც, როგორც ყველა მთიელი, საცვალს არ იცვლის, ვიდრე პერანგის ერთი ძაფი მაინც მთელია, ანდა სანამ ზედ არ შემოაღებება და მხრებიდან არ დასცვივია. ირგვლივ მცველები ეხვია, გამზადებული იარაღი ხელთ ეჭირა, მრისხანედ მოგვმართა:

— თუ რუსები ჩემს შვილს დამიბრუნებენ, თბილისში გაგიშვებთ, არადა აქვე აგჩეხავთ ყველას და ჯოჯოხეთში ვიკრავთ თავს.

— შამილ, — მივუგე მე, — აქ ორჯერ და სამჯერ მეტი ტყვეებიც რომ გყოლოდით, ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები მაინც არ დასთანხმებოდნენ შენს წინადადებას. ხელმწიფე ჩვენი დიდად აფასებს ჩვენს სიცოცხლეს, თუმცა მას ერთ საათში შეუძლია თითოეული ჩვენგანი სხვა ასეულებით შეავსოს, მაგრამ სახელმწიფოს კეთილდღეობა ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი სიცოცხლე. ამიტომ აზრდაც ნუ მოგივია, რომ ჩვენზე შენი შვილი გადასცვალო. უმჯობესია, შამილ, ის მოგვთხოვო, რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვეძლება, ან უფროსებს. გენერალმა ფეხემ ონსოქოლოში შენი ორასამდე კაცი ტყვედ წაასხა და აი იქიდან შეიძლება რამდენიმე მათგანი გადასცვალო ჩვენზე. ახლა, რაც გენებოს, ის გვიყავი — გინდა აგვჩეხე, გინდა ცოცხლები გაგვიშვი, მაგრამ იმისი იმედი ნუ გექნება, რომ შენ შვილი დაგიბრუნონ.

მან გააღიმა და თქვა:

— კეთილი, არ დაგზოცავთ, წადით დარლოში, იქ მოვილაპარაკოთ.

მე მოვახსენე, მთებში ფეხით სიარულს ნაჩვევი არა ვარ-მეთქი. ვთხოვე, მიუბრუნებმა რომ ცხენები წაგვართვეს, დაგვიბრუნეთ, ვიდრე დარლოში ავალთ-მეთქი. მაგრამ ბარბაროსებმა ცხენები არ მოგვცეს. ის კი არა, შამილთან საჩივლელადაც არ მიგვიშვეს. იძულებული შევიქენით დარლომდე სულ ფეხით გვივლო.

23 მარტს ცამეტი კაცი გზას გაგვიყენეს ყაზიყუმუხიდან სოფელ დარლოსკენ. საკმაოდ მოხერხებული გზით მივალწიეთ მოსაზღვრე სოფელ ბუბოს, სადაც შევხვდი ბევრ ჩემს მეგობარს. ყველას გულწრფელად სწყინდა ჩემი უბედურება და წყევლა-კრულვით ავსებდნენ მიუბრუნებებს:

სანამ მთიელები შემოესუოდნენ, ყაზიყუმუხელები კმაყოფილები იყვნენ თავიანთი ცხოვრებით: სახნავ-სათესი სამყოფი ჰქონდათ, ბლომად ჰყავდათ საქონელიც. ახლა კი ყველგან დარბევისა და განადგურების კვალი ჩანდა. მიუ-

რიდებს გაეძარცვათ მოსახლეობა, მთელი მათი სარჩო-საბადებელი გაეტაცნათ.

ბუნთიდან გავემართეთ სოფელ სულრათლისკენ, სადაც კარგი საურმე გზა მიდის. გზა ჯერ მთას ასდევს, შემდეგ მწვერვალთან უხვევს, სწორედ იქ, სადაც წყაროა, აქედან კი დაბლა სოფლისაკენ ეშვება. მე ცნობისმოყვარეობით თვალყურს ვადევნებდი ამ ადგილს, რომელიც მიუვალად იყო დაწინაურებული გარდა ამისა, ეს ადგილი ისტორიულადაც ცნობილია. აქ წარსული მამულების მემკვიდრეობის მთიელებმა გაანადგურეს სპარსეთის ლომის ნადირ-შაჰის ურდოები. ნადირ-შაჰმა ალყა შემოარტყა სულრათლს და ქვემოდან, ხეობიდან შემოუტია, რაკ მართლაც დიდ ძალ-ღონეს თხოულობდა და უსათუოდ მთელი ლაშქრის განადგურებით უნდა დამთავრებულიყო. სოფელ ბუნთიდან გახვალთ თუ არა, ზედ თავზე მოექცევით მას. საეპარისია პატარა სიმაღლე დაიკავოთ, განალაგოთ არტილერია, რომ სოფელი ჩაგბარდეთ.

სულრათლის ქობმახებს გავცდით. გზა სულ ციკაბოებზე იკლავება და უდაბურია. აქედან დავეშვით სოფელ უნტიბში, რომელიც თვითონ ბუნებას ციხე-სიმაგრედ შემოურტყამს მისთვის. იგი თვალუწვდენელ უფსკრულში მდებარეობს და ირგვლივ სულ პიტალო კლდეებით არის შემოზღუდული. მოსახლეობა ირწმუნება, აქ ჯერ მზის სხივებს არ შემოუხედნიაო. თუმცა ამ ადგილს სამხედრო თვალსაზრისით არაერთარი სტრატეგიული მნიშვნელობა არა აქვს.

უნტიბში ღამე გავათიეთ. განთიადისას რულჯავასაკენ გაგვრევს. აქ სულ ციკაბოებზე მოგვიხდა სიარული. ყოვლად შეუძლებელია აქ ცხენით გავლა: ცხენები წამდაუწუმ ფორხილობენ, ეცემიან, ფეხებს იტეხენ, კლდეებზე იჩეხებიან. ასეთი გზაა თვითონ რულჯავამდე. შემდეგ გაშლილი გზაა, რომელიც ასდევს ფერდობს და შეჰყავხარ სოფელში.

რულჯავიდან გავუდექით ტილიტლის გზას. აქ ღამე გავათევეინეს და განთიადისას გავწიეთ გოლოთლოში, რომელიც ტილიტიდან რვა ვერსითაა დაშორებული. გზა აქ რუსებს გაუყვანიათ 1837 წელს. ეს გზა ფერდობებით მიდის თვით გოლოთლომდე.

ხუნძახის დაღმართის პირდაპირ მთიელი ყარაულების საკმაოდ ძლიერი რაზმი შემოგვეყარა. ჩვენ პირდაპირ მწვერვალის ციკაბოზე გადმომდგარიყვნენ ახმედ-ხანის გუშაგები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ გოლოთლოსაც და მთიელებსაც. უფკველია, მათ შეეძლოთ დავენახეთ, თუმცა გარჩევით ვერ გაარჩევდნენ, რომ რუსის ტყვეებს მოერეკებოდნენ. გულმა აგერა დაგვიწყო, როცა ამ საგუშაგოებს მოვკარით თვალი. მათგან შველას მოველოდით. ასე გვეგონა, აგერ-აგერ ჩვენს გამოსახსხელად ხმას ამოიღებენო, მაგრამ იმედი ამას ოცნებად დარჩა. გოლოთლოში ჩვენი ბადრაგი გააძლიერეს. სასტიკად გვიკრძალავდნენ ხუნძახის მთისკენ გახედვას, იქ ჩვენი ყარაულები გუშაგობდნენ. თითქმის სირბილით გადაგვატარეს ავარიის ყოისუს მარცხენა ნაპირი, ვიწრო და ხევხუვებიანი ბილიკები, წამდაუწუმ აგვახეთქებდნენ და ჩამოგვახეთქებდნენ. ცხენები და ჯორებიც კი ძნელად მიიკვლივდნენ გზას.

ხიდათლის საზოგადოების ნაწილს რომ გავცდით, ჩვენ გადავლახეთ მჭკეტარე მდინარე, გავუხვიეთ მარჯვნივ და მივატოვეთ ავარიის ყოისუს. შემდეგ ვიწრო ხეობაში შეგვლალეს და ბოლოს საღამოთი ძლივს მივალწიეთ ბაოლუხს, რომელიც ტილიტიდან ორმოციოდე ვერსითაა დაშორებული, ხოლო ხუნძახიდან — ოცდაათი ვერსით. ეს სოფელი ძევს ერთი კლდის ძირას, რომელიც

ორგვლივ შემორკალვია თითქმის მთელ ავარიას, ჯერ ავარიის ყოისუს მხრით, შემდეგ გაპყვება აუხვახის მახლობლად და კარატის საზოგადოებით იხურება.

ლამის სათევად მიგვიჩინეს ერთი ფარდული. შორი გზით ნაწოწილებნი და გაწამებულნი, შიმშილისა და დაღლილობისაგან ქანცაწყვეტილნი იქვე დავეყარენით. ახლა ლამემ შემოგვიტია და აგვაქანალა, მეორე დღეს ინათა და ჩვენმა ველურმა მთიელებმა კვლავ წინ გაგვიჩვენეს არაფისაც არ აღარდებდა, გვშიოდა თუ გვწყუროდა.

სალამო ხანს თოვლით დაფარული აუხვახის მთის ქედი გადავლახეთ და მივალწიეთ თავად სოფელ აუხვახს, რომლის სახელი მთელ საზოგადოებაზეა გავრცელებული. ძნელად ასაწერია და შეუძლებელი რამეს შეადარო აქაურების სილატაკე. მამაკაცებისა და დედაკაცების ერთადერთ სამოსს გრძელი ხამის ტილოს პერანგი შეადგენს, რომელზედაც წამოუცვამთ ცხვრის ტყაპუჭი. აუხვახელთა ენა სრულებით არ წააგავს სხვა ტომთა ენებს, არც თვით ავარიელებისას, რომელიც გავრცელებულია მთელ დაღესტანში. მთიელებს საზოგადოდ თავიანთი ენა აქვთ, თუმცა უმეტესობა არაბულ ენაზე ლაპარაკობს. გარეგნობითაც აუხვახელები სხვა მთიელებს არ ჰგვანან, უფრო ქერათმიანები არიან.

როდესაც ჩვენი მისვლის ამბავი გაიგეს, მთელი მოსახლეობა ყოველი მხრიდან ჩვენკენ გამოეშურა, რომ ვენახეთ. ერთმა ქალმა ჩემთან მოიბრინა და მკითხა:

— შენ ქართველი ხარ?

როდესაც ვუპასუხე, ქართველი ვარ-მეთქი, მან მიამბო, მეც ქართველი ვარ, ტყვედ წამომიყვანეს კახეთიდან, სოფელ ართანთან და მიმათხოვეს ერთ გამოქცეულ რუსს, რომელთანაც აგერ თხუთმეტი წელია ვცხოვრობო. სალამოთი მოვიდა ერთი მოხუცი, ისიც ლტოლვილი ჯარისკაცი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ზუბოვის დროს, ორმოცდაექვსი წლის წინ, გამოქცეულიყო დარუბანდიდან. მან მომგვარა თავისი ვაჟიშვილი, ბევრი აქო, კარგი ვაჟკაციაო, და მითხრა, თუ კარგ სასყიდელს გაიღებ, ამას შეუძლია გადაგმალოს და შემდეგ ხუნძახში გადაგიყვანოს, თუ ამ ყარაულებს თავს დააღწევ, გაქცევას მოახერხებ, ამა და ამ წისქვილთან დაგელოდები და სამშვიდობოზე გაგიყვანო. ის წისქვილი ფარულად დამანახა. ბედი როგორ არ მეცადა. იმედის სხივი მაცდურად ამიციმციმდა. გასაქცევად გავემზადე, მაგრამ ლეკებმა შემატყვეს, რასაც ვიზრახავდი, და ხელ-ფეხი დამიბორკეს.

აუხვახიდანაც გავედით. აქედან მეტად კარგი გზით მივდიოდით. რამდენიმე სოფელს გავცილდით და მალე მივალწიეთ მიუვალ სოფელ კარატის, სადაც ხუთას-ექვსასი კომლი მოსახლე იქნება. სოფელი გაშენებულია მთაზე და სრულიად გამოყოფილია წინა მხრის ავარიელების მთებიდან. მისი ფერდობები მეტად დამრეცად ეშვება. თვითონ სოფელში შემაგალი გზა საცალფენოა, კლდეებს შუა მიიკლაკნება, რომლებიც ერთმანეთიდან სამი საყენით არიან დაშორებულნი, ხოლო ბოლოს გაერთიანებულია მაგარი კედლით, რომელშიც ჭიშკარი შეუბამთ ზედგამოდგმული საგუშაგო კოშკით, სადაც ყოველთვის რამდენიმე გუშაგა დგას და შეუძლიათ შეაკავონ საკმაოდ ძლიერი რაზმი.

ავარიის მთებზე, კარატის პირდაპირ, მდებარეობს რამდენიმე სოფელი კარატის საზოგადოებისა, რომლებიც აიღო და გადაჰბუგა გენერალმა ფეხემ.

კარატელებმა კარგად მიგვიღეს, დაგვაბინავეს, გვასვეს, გვაჭამეს, ვისაც რით შეეძლო.

კარატში ვნახე მრავალი საცოდავი ქართველი ბავშვი, რომლებიც ღვეკებს კახეთიდან გამოეტაცნათ. როდესაც თანამემამულე დამინახეს, შემოძვებოდნენ, სამშობლო გაიხსენეს და მწარედ ატირდნენ.

კარატის საზოგადოების მოსახლეობა ბოგოლალურ ტენაზე ღვეკებს, რომელიც სრულებით განსხვავდება აუხგახურისა და ავარულისაგან. საკმაოდ კარგი გზით ვიარეთ კარატიდან ანდიამდე, მთები გადავლახეთ და შესასვენებლად შევჩერდით ინხვალში, რომელიც მდებარეობს ანდიის ყოისუს შესართავ პატარა მდინარის გვერდით, ღამის გასათევად შევედით მდინარის მეორე ნაპირზე მდებარე სოფელ კვონხიდათლში. ეს სოფელი კარატიდან ათი ვერსითაა დაშორებული, მდინარია სუფრის მარალით, რომელსაც მოსახლეობა იღებს მთიდან დაქანებულ მლაშე წყაროებიდან. ინხვალსა და კონხიდათლში სამასი კომლი მოსახლე იქნება. ორივე სოფელი მიწერილია ტენხუცალის საზოგადოებაზე, რომელსაც თავისი საკუთარი ენა ჰქონია.

მეორე დღეს, გათენებისას, წამოგვლალეს და ახლა ანდიისაკენ დაგვაჭერინეს გზა. ხუთიოდე ვერსი სულ ანდიის ყოისუს ნაპირით ვიარეთ, შემდეგ ვაგუხვით მარცხნივ სოფელ მონოში. სადაც აუარებელი ხილის ბაღებია და ასორმოდნათი კომლი მოსახლეობა. აქედან ანდიის პირველ სოფლამდე გზა მოსდევს კარნარევ ვაკეს, შემდეგ ეშვება ხეობაში, სადაც მოსჩქეფენ თვითონ ანდიისა და გოგათლინის ღელეები.

სალამოთი მივალწიეთ ანდის, სადაც დაგვხვდნენ შამილის მიერ გამოგზავნილი ყაზიყუმუხელი მძევლები. მათ შორის იყვნენ ყაზიყუმუხის მმართველი მაჰმუდ-ბეგი, მისი ძმა ჭიბრაილ-ბეგი, შვილი ჰარუნ-ბეგისა, მირზა ზოკო და სხვები.

მეორე დღეს გაგვლალეს სოფელ დარლოსკენ. გზა უღელტეხილს მიუყვებოდა. ასე რომ, მძიმე ტვირთის გადასაზიდადაც გამოდგებოდა. ჯერ ოთხიოდე ვერსი სულ მალლა-მალლა მიიმართებოდა მიწისგორების მწვერვალისკენ. აქ ანდილებს აქვთ თავიანთი პატარა სოფლები, სათიბები და საძოვარი ველები. ანდიდან ათიოდე ვერსის დაშორებით შეგვხვდა ორი წყარო, ორივე თხემზე ამოსჩქეფდა. სამ ვერსს იქით გზა დაბლა-დაბლა ეშვება და ასე მოსდევს ორი ვერსის მანძილზე. აქედან მიჰყვება უზარმაზარი კლდოვანი და ტყეებით დაფარული ხეობა, სადაც მდინარე აქსაის სათავეა (თათრულად აღსუ, რაც ნიშნავს თეთრ მდინარეს, ანუ თეთრ წყალს). ხეობაში სამი ვერსიც არ გაგვევლო, რომ წინ გადაგვეშალა მშვენიერი ველი, რომელიც ყოველი მბრძიდან ხუთი თუ ექვსი ვერსის მანძილზე ძირს ერტყმის დარლოს — სოფელ ბოთანამდე, წუვენტერამდე, შემდეგ ბოლმითამდე და მის ირგვლივ, ვიდრე ხეობის საწყისამდე.

31 მარტს ნაშუადღევს ოთხ საათზე მივალწიეთ ჩვენი ბედის გადამწყვეტი დიღეგს.

მთელი სოფელი — მამაკაცებიც, დედაკაცებიც და ბავშვებიც ჰვიღ-

* მდინარე, რომელსაც ჩვენში ანდიის ყოისუს უწოდებენ, ანდიის არც ერთ სოფელს არა რწყავს. ამ საზოგადოებიდან იგი თითქმის 50 ვერსითაა დაშორებული. ამიტომ ეს სახელწოდება მცდარად მიგვაჩნია. თუქები ამბობენ, ამ მდინარის სათავე თუშეთშიაო. იქ თურმე მას თუშეთის ალაზანს უწოდებენ (ავტორის შენიშვნა).

ხივლითა და ჩვეულებრივი ღალანით შემოგვეგებნენ.

— ლა-ილაპ-ილ-ალაპ!

ეს იყო სამადლობელი ჰიმნი ზეციური შემოქმედისადმი, რომელმაც ძლევამოსილპყო შამილი, ბედნიერად გაამარჯვებინა ყაზიყუმუნზე და მრავალი ტყვეც წამოაყვანინა. ჩვენ შამილის სახლში მიგვიყვანეს, როგორც თვითონ შამილი დაგვპირდა, კარგად მიგვიღებდნენ. და მართლაც შესმა ცოლმა, სახელად ფატიმათმა, უბრძანა, დაუყოვნებლივ დაეკლათ ჩვენთვის ერთი ერკემილი და პური გამოეცხათ. ასეთი მოპყრობიდან ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ ჩვენს წამებას ბოლო მოეღებოდა და შემდეგში ასევე ადამიანურად მოგვეპყრობოდნენ, მაგრამ ძლიერ მოვტყუვდით. მეორე დღეს მიუბრუნებმა სოფლის გარეთ გაგვიყვანეს, რომელიც ფარდულში. აქ ჩვენ გვაჩვენეს ბნელი ხარო, შიგ ჩავვახედეს და გვითხრეს:

— აი, აქ ეყრებით მანამ, ვიდრე შამილის შვილს არ დაგვიბრუნებენ, არადა, ჩაძაღღებით, როგორც ქრისტიანი ღორები.

პირველად ანანოვი ჩაუშვეს ხაროში, შემდეგ მე მიმავოლეს მის კვალს; ხაროს ძირზე ჯაჭვების ჩხარაჩხური მოგვესმა. აქ დაგვხვდა ერთი ყიზლარელი სომენი, რომელიც ყიზლარსა და მოზდოქს შუა შეეპყრათ ჩეჩნებს და შებორკილი ხაროში ჩაეგდოთ.

ხარო სიღრმით ერთი საყენი იქნებოდა და სიგანით ნახევარი საყენი. ასე რომ, დასაძინებლად რომ ვწვებოდით, იძულებული ვიყავით ერთმანეთზე დაგვეწყო ფეხები. პაერი მხოლოდ მაღლიდან ჩამოდიოდა, საიდანაც ჩვენ ჩამოგვიშვეს. საღამოობით ჩვენს დილეგს სახურავით ჰკეტავდნენ. თვითონ ხაროს თავი გადახურული იყო საყარაულო ფარდულით, რის გამოც პაერი უფრო გვეხუთებოდა. მალე შემოგვიმატეს ერთი ჰაბუკი ჩეჩენი. მას მკვლელობას აბრალებდნენ; სულ თხუთმეტი კაცი ვიყავით, არსად არ გვიშვებდნენ, თვით ფეხსადგილშიც კი.

ადვილად წარმოსადგენია, როგორ გავწაბდებოდით და მოგვეხუთებოდა სული ასეთ აყროლებულ პაერში. ამ ყოფაში გავატარეთ სამი კვირა. დღე და ღამეში გვაძლევდნენ სამ-სამ ხინკალს. ეს იყო მოხარული სიმინდის ცომი, წონით ნახევარ გირვანქამდე, უგემური, უნაწიერო და იმდენად სამყოფი, რომ კაცი არ მომკვდარიყო.

სამიოდე დღის შემდეგ სოფელ დარლოს ყადი გვეწვია, სახელად ნურმახმა. იგი ჩირქველებიდან იყო გამოსული. მან ბრძანა, რომ ხაროდან ამოვეყვანეთ. უკანასკნელი ტანისამოსიც წაგვართვა და პერანგის ამარა დაგვტოვა. როდესაც გულზე წმ. გაორგის ძვირფასი თვლებით და წმინდა ნაწილებით შემკული ვერცხლის ხატი დამინახა, გაცოფებით ჩამომგლიჯა. დამიწყო გინება, ლანძღვა, პირში მაფურთხებდა. დააფურთხა ხატსაც, შემდეგ შემოაცალა ძვირფასი სამკაული, ბოლო თვითონ ხატი ცეცხლში ჩააგდო. ასე გამოვეთხოვე ჩემს იმედს, ხატს, რომელიც განსაკუთრებით ძვირფასი იყო ჩემთვის, რადგან დედამ იმით დამლოცა და სამახსოვროდ გამომატანა.

მე და ანანოვს ფეხებში ბორკილები გავვიყარეს და ისევ ხაროში ჩავყარეს. ამ დღიდან ჩვენი კვება გაუარესდა. თითქმის სულ მშვივრები ვიყავით. ბოლოს, როგორც იყო, დარლოში დაბრუნდა თვითონ შამილი. გული მოგვეცა, გვეგონა შეგვიმსუბუქებდა ზვედრს, მაგრამ ამაოდ. ერთხელ მან შემოგვიგზავნა ქალაღი და საწერ-კალამი და გვიბრძანა, ჩვენი ხელისუფლებისათვის

მიგვეწერა პირობები, რომლითაც შეეძლებოდა მას ჩვენი ვანთავისუფლება. ამ პირობის მთავარ მუხლს შეადგენდა, რომ პოდპოლკოვნიკ სინაქსაროვში მისი ვაჟიშვილი გაეცვალიათ, ხოლო ჩემში — ძმისწული; პრაპორშჩიკ ანანოვში სთხოვდნენ ახულგოელი ალი-ბეგის ვაჟს, ხოლო დანარჩენებში — ორ-ორ ტყვეს, რომლებიც იმავე სოფლიდან წაეყვანათ. ჩვენ დიდხანს ვუარობდით და ვარწმუნებდით, ამაზე ჩვენი მთავრობა არასოდეს დასთანხმდებოდათ. ბოლოს იძულებული შევიქენით დავმორჩილებოდით მის ბრძანებას. წერილი გავუგზავნეთ თემარ-ხან-შურაში გენერალ-მაიორ ფონ-კლუგენაუს.

ასე ვცხოვრობდით იმ ხაროში, მზის შუქს დანატრებულები. ჩვენთვის არც დილა იყო და არც საღამო, მხოლოდ მოლას ხმაზე ვიგებდით, რომ გათენდა, ახალი დღე იწყებოდა. დიდის ყურადღებით ვითვლიდით დღეებს, რომ არ გამოგვპარვოდა აღდგომის დღე. დადგა ეს ბრწყინვალე დღეც, ეს იყო 19 აპრილს. მუსეიმი მართლმორწმუნეებს მოუწოდებდა დილის ნამაზისათვის. ჩვენ ერთმანეთი გავალვიძეთ. გულმხურვალედ ვილოცეთ, ვიგალობეთ „ქრისტე აღსდგა“ და ნაღვლიანად გადავებვიდეთ ერთმანეთს. ეს ბრწყინვალე დღე ჩვენ ვატარეთ მოგონებაში, წარსული ამბების პოყოლაში, ხაროს სიბნელე და მძაფრი პაერი სულს გვიხუთავდა, გულს გვიკლავდა.

მაგრამ ეს დღესასწაული ჩვენს მახსოვრობაში ერთი ამბით აღინიშნა, რამაც კინაღამ სამუდამოდ ჩაგვმარხა ყველანი იმ მიწის ქვეშ. მეორე თუ მესამე დღეს (აღარ მახსოვს) თოვლი წამოუშინა და მძლავრი ქარბუქი ამოვარდა. ჩვენს თავზე გადმოხურული ფარდული წამოიქცა. ის პატარა ქუჩრუტანაც ჩაგვიხშო, საიდანაც პაერი მოგვდიოდა, ორი ყარაულიც ქვეშ მოიტანა და გაქულიტა. მესამემ მოახერხა გამოძრომა, გაიქცა დარღოში და შეატყობინა, რაც მოხდა. ჩვენ კი საშინელ მღვთმარეობაში ჩაეცვივდით. პაერი სრულებით დაიხუთა, წუთი წუთზე სუნთქვა გვიხნელდებოდა, ბოლოს მთლად შეუძლებელი შეიქნა, გულზე რაღაც მძიმე მომაწვა, თითქოს მაჯლაჯუნა მახრჩობსო. ზოგიერთს გული წაუვიდა. კიდევ რამდენიმე წუთა და არც ერთი ჩვენგანი ცოცხალი აღარ დარჩებოდა. საბედნაეროდ მშველელი ხალხი მოვიდა. ყველანი მიეკივნენ ხაროს თავზე წამოქცეულ ფარდულს, ხაროს თავი ახადეს, ამოგვიყვანეს და თვითონვე გაგვისუფთავეს ხაროს ძირი.

ამოდ ვევედრებოდით შამილს. რომელიმე ფარდულში ან სახლში გადავეყვანეთ, არაფერმა გვიშველა: ისევ ხაროში ჩაგვყარეს, რომელსაც თავზე ახალი ფარდული წამოადგეს. უფრო გამძლე და მაგარი საგუშაგო, ირგვლივ თხრილები შემოავლეს. ღამ-ღამობით ყარაულები გაგვიძლიერეს. ქარბუქსა და ავდარში გუშაგები შიგნით საგუშაგოში შედიოდნენ, სწორედ ამ გარემოებაში შემდეგ ხელი შეგვიწყო გაქცევაში.

მაისის პირველ რიცხვებში შამილს ცნობა მოუვიდა, რომ რუსების მცირე რაზმმა რაჯასთან დაამარცხა მთიელები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ პაჯი-ალა და კარახელი ნაიბი აბდურაჰმან-დიბირი. შამილმა უბრძანა ჩეჩნეთისა და აუხის ნაიბებს, ესე იგი, იჩქარულ შუემბუს, შუბუთელ ჯავათ-ხანს, აუხთველ ულუ-ბეის და დიდი ჩეჩნეთის ახვერდ-მაჰმადს, შეეკრიბათ ხუთასი რჩეული ცხენოსანი. რამდენიმე დღეში ბრძანება შესრულებულ იქნა. ახალი რაზმი ახვერდ-მაჰმადის მეთაურობით უნდა გამგზავრებულიყო ყაზიყუმუხის სახანოში. იმ დღეს ზემოხსენებული ჩეჩნეთის ნაიბები მოვიდნენ დარღოდან და შამილის ნებართვით გვინახულეს. როდესაც ხაროდან ამოგვიყვანეს და მათ

წინაშე წარგვადგინეს, მათი მცველები წინ წამოდგნენ. მე შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი შამილის ზოგიერთ თანამოსაზრესს, — აი, იხილიც:

ახვერდ-მაჰმადი, შუატანის ვაჟი, დაახლოებით ორმოცე წლისა იქნებოდა. სახეზე სიკეთის იერი დაჰკრავდა, თუმცა გულცივი უნდა ყოფილიყო. ჩამკვრივებული სხეული მოწმობდა მის ჯანსაღობას და მისი სიძლიერეს. ჩეჩენთაგან მას ყველაზე საუკეთესოდ ეცვა. მთებში და ჩეჩენთა სიძლიერის ხმა გრგვინავდა. იგი ჩეჩენთის უფროსთა შორის ყველაზე სახელოვანი მოღვაწე იყო, ძალ-ღონით დაუშრეტელი, თავისი თარეშით ქვეყანას შიშის ზარსა სცემდა.

შუემბუ, პატარა ტანის ააცი იყო, შავგვრემანი, ოდნავ ნაყვავილარი სახე ჰქონდა, მეტად მარდი, ჩაუჭი და განსაკუთრებით ქებული იყო როგორც ცხენოსანი. იგი აგრეთვე ცნობილი იყო როგორც ცბიერი, მკვირცხლი და გონებაშეზღუდული ადამიანი, მარჯვე მოთარეშე, ხმლის უბადლო მომხმარებელი და დახელოვნებული წინამძღოლი.

ულუ-ბეი, ახალგაზრდა ჯაბუკი, ასე ოცდახუთი წლის ვაჟი, კარგი შესახედაობისა და ტანადი, სახელოვანი მოთარეშე და მამაცი, რომელიც თავის მეგობრებს არ ჩამოუვარდებოდა. თავის თავს შუემბუზე მალა აყენებდა, რომელსაც ხშირად უჩიოდა და არც პატივსა სცემდა, რაც კარგად გამოჩნდა ჩვენთან საუბრის დროს. როგორც ულუ-ბეის, ისე შუემბუს, ვერცხლის ხუთქიმიანი ვარსკვლავი ჰქონდათ.

ჯავათ-ხანი მათთან ერთად არ ყოფილა. ის დაქრილი იწვა და ამ კრილობამ გადაიტანა კიდევ.

შუემბუ და ულუ-ბეი სულ რუსების გინებაში იყვნენ. ამბობდნენ — შამილმა ხომ ტყვედ წამოგიყვანათ, ახლა კლუგენაუსაც მისწვდება, გრაბესაც და ბოლოს, ღვთის შეწევნით, თბილისსაც აიღებს, სარდალს დაატყვევებს, გაუღიტავს გიაურების ჯარს და სალაყბოდ აქ ჩამოგიყვრით სომხებს, ქართველებს და რუსებსო. ისინი ასე ტრაბახობდნენ, სხვები კი ხარხარით ბანს აძლევდნენ.

ახვერდ-მაჰმადი არ მონაწილეობდა ამ ლაპარაკში. ის მოვიდა ჩემთან, შემდეგ ანანოვს დაუძახა, დაჯდა და ვვთხოვა ჩვენც დავმსხდარიყავით. შემდეგ ტბილად დაიწყო:

— თქვენს ნაცვლად, მეგობრებო, შამილი თავის შვილს თხოულობს. ძალიან უყვარს ის, იმედოვნებს, რომ თქვენს თავში მას დაუთმობენ. ამიტომ კვახხართ ისეთ ადგილას ჩამწყვდეული, საიდანაც გაქცევას ვერ მოახერხებთ და რომ უფრო ბეჯითად სთხოვოთ თქვენს უფროსებს, ეგებ მოლბნენ და ადვილად დასთანხმდნენ შამილის მოთხოვნას. ის ხომ ასე ცუდად გკვებავთ, ცუდად გეპყრობათ: მაგრამ თქვენ სამხედროები ხართ და სულით არ უნდა გატყდეთ, მოთმინება და ვაჟკაცობა გმართებთ. ღმერთს უნდოდა თქვენი დასჯა და აქი დაგსაჯათ კიდევ. თუ თქვენს ხსნას მოისურვებს, გიხსნით კიდევ. ამიტომ ნუ დაეცემით სულიერად, ვაჟკაცურად გეჭიროთ თავი. აბა, შემოგვხედეთ მე და შამილს, რამდენი კრილობით დაიკემსა ჩვენი სხეული. რამდენჯერ პირისპირ წარვუდებით ზიფათს გიმრში, ტილითლში, ახულგოში; როცა ახულგოში დავინახეთ, რომ ხსნა არ იყო რუსებისაგან, ასორმოცდაათი ყველაზე საიმედო მიუზრიდი გავგზავნეთ შამილის ოჯახის ვადასარჩენად, აქ იყო მისი ორი ცოლი და ორი ვაჟიშვილი, — ერთი დაქრილი იყო, მესამე, უფროსი მძევლად გადაეცა გენერალ გრაბეს. ერთმანეთი თოკებით ჩაუშვით სალი კლდის უფსკ-

რულებში ყოიასთან და ხმალდახმალ გადავერიეთ თქვენს მწკრივებს გზის გასაკაფავად. შამილის ერთ-ერთი ცოლი მოკლეს და იქვე მივატოვეთ. მეორე შვილი ტყვიით დაუჭრეს. ორივენი მხრებზე შევისვით და, როგორც იყო, სამ-შვიდობოზე გავედით. ასორმოცდაორი კაციდან იქ დავტოვეთ ოთხმეცდახუთი ვაჟკაცის გვამი. განა ცოტა მწუხარება გადავიტანეთ? მერე მარტო რუსებისაგან ხომ არა, თვით ჩვენებისაგანაც, მუსულმანებისაგან, რომლებსაც უნდოდათ მიედოთ და შეესრულებინათ შარიათი. მაგრამ მტკიცედ დავიხსიანეთ რად გადავიტანეთ ყველა უბედურება და, აი, როგორც ხედავთ, დღეს უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფებით. ღმერთი დიდია! არაფერ იცის, ვის რა ელის! იყავ ნება მისი, უროპლისოდაც არაფერი კეთდება. თქვენც ასევე უნდა მოითმინოთ თქვენი უბედურება, ღმერთი მოწყალეა, ალბათ, ესეც გაივლის და თქვენ დასტკბებით ახალი ბედნიერებით.

მთიელის ამ უბრალო, სანუგეშო სიტყვებმა, რომელიც ჩვენთვის გამოიმეტა, ყველანი აგვალელვა. მადლობა გადავუხადეთ ასეთი თანაგრძნობისათვის და ვთხოვეთ ეშუამდგომლა შამილის წინაშე ჩვენი ბედის შესამსუბუქებლად.

— თუ შამილი წინათ ცუდად გვეპყრობოდა, — ვეუბნები, — ალბათ, იმიტომ, რომ ვეიძულებინეთ, რათა უფრო სრულყოფილად აგვეწერა ჩვენი ტანჯვა-წამება და დაგვერწმუნებინა უფროსობა ჩვენს უნუგეშო მდგომარეობაში, რომ მალე დაებრუნებინათ შამილის შვილი და სხვება, მაგრამ ახლა რალად უნდა გვაწამებდეს, როდესაც ჩვენ უკვე წერილობით გავგზავნეთ ჩვენი თხოვნა, რატომ არ უნდა გვიმსუბუქებდეს მდგომარეობას? თუ მას ჩვენი გაქცევისა ეშინიან და იმიტომ არ ამოვყავართ ამ ხაროდან, შიმშილით მაინც ნულარ გვხოცავს. ჩვენ ხომ არა ვთხოვთ, საჭმელი მოგვიმატოს, განა რუსები ასე ეპყრობიან თქვენს ტყვეებს? ყველა ტყვეს ისინი თავისი წოდებისა და ჯარისხის მიხედვით ინახავენ, საკმაოდ ჯამაგირსაც აძლევენ, ასე რომ, მათ არ იციან, რა არის გაჭირვება.

— ვიცი, საყვარელო, ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, — მითხრა ახვერდ-მაჰმადმა და აღმითქვა, — შამილს ვთხოვ, ხინკალი მოგიმატონო.

მართალია, შამილმა არც ახვერდ-მაჰმადის შუამდგომლობა შეიწყნარა, არც ჩვენი თხოვნა შეასრულა და მდგომარეობა იგივე დარჩა, მაგრამ ჩვენ მაინც მადლიერი დავრჩით ახვერდ-მაჰმადისა. მან მარტო სიტყვებით კი არ დაამტკიცა თავისი გულკეთილობა, გამოთხოვებისას შამილის ნებართვით მეც და ანანოვსაც ვერცხლის თითო მანეთიანი გვაჩუქა. შიმშილისგან განაწამები ვიყავით და ეს საჩუქარი დიდის მადლობით მივიღეთ. იმ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით, ეს ორი მანეთი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ორი ათასი მანეთი სხვა დროს და სხვა ვითარებაში. რარიგად გვიხაროდა, როგორ ვიმედოვნებდით, რომ კარგი საჭმლით შევიმაგრებდით ძალ-ღონეს და ჩვენი ამხანაგების ჯანმრთელობას, მაგრამ ეს სიხარულიც ამოვადგა; საზიზღარმა ყარაულებმა, ეს ფული ხელთ რომ იგდეს, დაგვცინეს, ჩაიჭიბეს და ჩვენ გადმოგვიყარეს ათიოდე ჯადის პაწია კვერი და ქონის სანთლის ნამცეცა ნაჭერი. ამოდ ვემუდარებოდით, ცოტაოდენი ხორცი ეყიდათ. — კედელს ცერცვი შეაყარეთ, — ვაგონებაც არ უნდოდათ. გაცრუებული იმედები, შიმშილი და გულისწყრომა სულსა და გულს გვიქეჯნადა, მაგრამ რა უნდა გვექნა! მეორე დღეს, ახვერდ-მაჰმადი ცხენოსნებით წავიდა სალაშქროდ და მას

შემდეგ აღარც გვინახავს, ვიდრე ილალინის საქმეებს არ მოჩია, სადაც მან დიდად ისახელა თავი.

ჩვენთან სხვა ნაიბებიც დაიარებოდნენ, მაგალითად ანდიის შალი, გუმბეთელი აბაქარ-დიბირი, ტულოხელი ჰაჯი-მურატი, ყილაღელი სურხაი, ანალიელი და ტილითლელი კიბითი-მაჰმადი და სხვები.

მაისის შუა რიცხვებში მთიელებმა ყაზიყუმუხისა და სხვათა გენი. მათ მალე დაედევნა თვითონ შამილი, რომელმაც ჩეჩნეთი შეეშუსა და ულუბეის განკარგულებაში დატოვა. ორივეს ისე ენდობოდა, როგორც საკუთარ მარჯვენას. იმავე თვის დამლევს დარღოელებში ხმა დაიჩხა, რუსები ჩეჩნებზე აპირებენ ლაშქრობას.

პირველ ივნისს გენერალი გრაბე შევიდა იჩქერიის ტყეებში. დღითიღე ზარბაზნების ხმა ძლიერდებოდა, ბოლოს მათი ვრიალი ჩვენამდეც აღწევდა. ისე ჩანდა, თითქოს თავისუფლების სხივი აგერ-აგერ ჩვენს დილეგშიც ჩამონათებდა, მაგრამ იმედი, რომ ჩვენები როდისმე სოფელ დარღომდე მოაღწევდნენ, მალე გაგვიქრა.

ჭაბუკ ჩეჩენს, რომელიც მკვლევლობის გამო იჯდა, ერთი ქალი პატრონობდა. თითქმის ყოველ დღე სამჯერ მაინც ნახულობდა და საკმელი მოჭკონდა. მისგან მალე შევიტყვეთ დაწვრილებით საქმის ნამდვილი ვითარება და სხვადასხვა ამბები. ერთი სატყვეთ, თუ რამეს ვგებულობდით, სულ იმ ქალის წყალობით. ჭაბუკი დიდად ნაღვლობდა, რომ რუსებმა სალაშქროდ უხვირო მხარე აირჩიეს — უწყლო და უდაბური. ამბობდა, რუსის ჯარებს სოფელი ბაიანი რომ აერჩიათ სალაშქროდ, მაშინ უსათუოდ გაიმარჯვებდნენო, მაშინ ჩვენც ადვილად მოვახერხებდით გაქცევას, აგერ ამ მხრითაო, — და თან მიგვივითითა, თუ რა გზით და რომელი მხრით შეიძლებოდა ჩვენი ხსნა, გადარჩენა. შემდეგ სასოწარკვეთილმა ხელი ჩაიქნია და თქვა:

— ახლა ამისი იმედი აღარ უნდა გვქონდეს. გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსები დარღოს ვეღარ მიაღწევენ. შამილი დაბრუნდება ყაზიყუმუხიდან, ხელახლა ჩეჩნეთის მფლობელი შეიქნება და გაქცევაც რომ მოვახერხოთ, მაშინ ჩემი მშობლები, იმები და დები სიკვდილით დაისჯებიან ჩემს გამო.

შუემბუ და ულუბეი გენერალ გრაბეს შეხვდნენ იჩქერიელებისა და აუხაველების რაზმებით. სხვა მთიელები ვერ მიეშველნენ, ანდა იქნებ არც უნდოდათ მონაწილეობა მიეღოთ საფათურაკო ბრძოლაში. ჩვენ თვითონ დავინახეთ, როგორ გულდამშვიდებით იჯდა დარღოში ასამდე ანდიელი. ორივე ნაიბი განუწყვეტლივ უგზავნიდა თხოვნას შამილის ოჯახს, ანდიაში ანდა დადესტნის შორეულ მთებში გადასახლდითო. ისინი უთვლიდნენ შამილის ოჯახს.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ, რუსებს არავითარი შესაძლებლობა არ მოეპოვებათ, დარღოს მიაღწიონ, მაგრამ ამასთან ერთად ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მტერი ძლიერია, ვინ ითავდებებს, თუ გენერალი გრაბე მოისურვებს. თავისი არ გაიტანოს, რანაირი მსხვერპლიც არ უნდა გაიღოს ამისათვის.

ეს საზოგადო აზრი იყო ყველა მთიელისა გენერალი გრაბეს მიმართ. ასეთი ურყევი რწმენა გენერალისადმი ისე აფრთხობდა ჩეჩნებს, რომ, თუმცა იმედოვნებდნენ რუსები დარღოს გზამდე ვერც მიაღწევენო, მაგრამ მაინც ფრთხილობდნენ და ოჯახებიანად იბიზნებოდნენ უფრო მიუწვდომალსა და უში-

შარ ადგილებში. შაშვილის ოჯახიც მთელი თავისი ავლა-დიდებით ანდიაში გაიხიზნა.

შაშვილის ოჯახის გახიზვნის შემდეგ მიუჩილები შეიკრიბნენ ჩვენი ხაროს თავზე წამოდგმულ ფარდულში და მოჰყვნენ ბჭობას. რა კუთხით ამ ტყვეებს, როდესაც რუსები დღითი-დღე ვგიახლოვდებოდნენ და თითქმის ჩვენთან თავის გადარჩენაზე უნდა იფიქროსო.



ბიზანტიისა

— რა გქნათ, რა მოვაგვაროთ? — შესძახა შაშვილის ბიძაშვილმა, სახელოვანმა გენერალმა აბრაგმა იბრაჰიმმა. — რუსები რომ ურტყამენ ჩვენს მუსულმანებს, მოდი და ჩვენც ამოვევლიტოთ ეს ერთმორწმუნე ტყვე ლოკები. ამით ჩვენი ძმებს შურს ვიძიებთ, ღვთის სასურველ საქმეს ჩავიდინებთ და ჩვენს სულსაც ვაცხოვრებთო.

ჩვენდა საბედნიეროდ ამ დროს მიუჩილებთან მივიდა ერთი ყაზიყუმუ-მაგრამ ამჯერადაც სიკვდილმა შეგვიბრალა და გვერდი აგვიარა.

ჩვენდა საბედნიეროდ ამ დროს მიუჩილებთან მივიდა ერთი ყაზი-ყუმუ-ხელი ლტოლვილი. რომელმაც გადაწყვიტა ჩვენი ბედი. როდესაც მან გაავლო მიუჩილთა განზრახვა ჩვენი ამოწყვეტის შესახებ, წამოდგა და ასეთი წინადადებით მიმართა:

— აბა, რაზე უნდა დახოცოთ ტყუილუბრალოდ ეს ტყვეები? განა უკეთესი არ იქნება ჩვენს ტატლაკანა ქლოცველებს ვუთხრათ და ბამბის ტილოს ერთ ძაფში მაგათ ანდიის იქითაც კი გადაიყვანენ. თუ შაშვილი მოისურვებს მათ გაყიდვას, გაჰყიდის კიდევ; ათჯერ მეტს აიღებს, ეიდრე ჩვენ წარმოგვარდგენია.

მიუჩილებმა დაიჯერეს ეს რჩევა. უბრძანეს ტყვეები ხაროდან ამოიყვანეთო და მლოცველებს გაგვაცოლეს სოფელ ანდიისაკენ.

ჰაერზე რომ ამოგვიყვანეს, ჩვენივე თვლით დაყინაბეთ იჩქერის ტყეში ავარდნილი კვამლის ღრუბლები. ხარბაზნების ხმა უფრო მკაფიოდ ასმოდა; თოფების ერთბაში სროლის გამოიახილო გრილით ეღებოდა მთებსა და ბეობებს.

მივედით ანდიაში, ამ სოფლის მოსახლეობა, გარდა ორმოციოდე გამხრეცებული მიუჩილისა, სიხარულით მოელოდა რუსების მოსვლას. მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა გულგატეხილი იყო — გენერალმა გრაბემ საღამოქროდ ძალიან ცუდი მხარე აირჩია და საეჭვოა დარლომდე მოაღწიოსო.

ანდიელებს ორი მიზეზის გამო ენატრებოდათ რუსების გამაჩვენება: ერთი ის იყო, რომ ძალიან ღარიბები კრიან და უძნელდებოდათ ცხოვრების წყაროს პოვნა, რადგანაც მას შემდეგ, რაც აფერხდეს, იმ ადგილებში მისვლა, სადაც

ეს ტილო ჭრელია და მთებში სულ სხვა-სხვა მხრიდან შემოიკეთა ანტიკვლევის მის ეზიდებიან ქარბელაქანის მახვიდან, ყაზიყუმუხელები და ქოხელები — თბილისიდან, დავუშოვლები და წუდახარლები — ვარუბანდიდან, ახტინელები, რეტიულაყბა და სხვები — ევბოღან და ურბების სამთალებით, აყარიულები, გუბნუთულები და ყოიასულები — თემირხან შეროდან, ჩეჩნეთში ამ ტილოს ფარულიად ეზიდებიან, აქვე მიაქვთ საღვურ ვენაპახთიდან, აქსოიდან, გროზნოდან და კავკასიიდან. ცალი ადგილი ტილოსი დირ, ერთი ევრეხლის მანეთიან, ეს ტილო დიდ ხმარებაშია რადგან მაიხათით აქრძალულია აბრეშუმის ტარება. ცნობები რა-კორც ვაყიბთ, ოთხ სექტად განიყოობიან: შაჟი, ანალი, მალაჯი, ალალი დალესტნელები მათს განეკუთვნებიან. ღარიბი მთიელებისათვის ბელი რომ ადლებიხებინა ფედუქნებაზე, შაშვილმა შარაბათის ენთონის მოწიელოებით აუტყის და მათ აბრეშუმის ეანისაქოსისა და იქროს სამკაულის რა-ობა სეტორის მქონება.

რუსის ჯარმა ფეხი შესდგა, ნაბდების გასაღების საშუალება მოესპოთ. ანდიელებს არასოდეს ხვნი-თესვა არ აინტერესებდათ. მათი საქმიანობა მენაბდობა იყო. ანდიელების გაკეთებული ნაბადი მთელს კავკასიაში იყო განთქმული. თითო ნაბადში იღებდნენ ხუთ-ათ, ხშირად ოც მანეთს — როგორც დაღესტანსა და თბილისში, ისე მთელს საქართველოში. ფქქქქქქქ — შედარებით იაფად იძენდნენ ბამბეულ ქსოვილებს თუ სხვა მთიელთაგანს სხვათაგან ფართო მოხმარების საგნებს და ორ-სამმაგად ჰყიდდნენ დაღესტანში.

ამ ფულით მთიელები იმარაგებდნენ წლიურ სარჩოს. ამასთან ერთად ისინი აუღმჯობესებდნენ და ავრცელებდნენ მეცხვარეობას, როგორც შემოსავლის ძირითად წყაროს. ახლა კი ნაბდების გასაღება შეუძლებელი ხდება, მიწის დამუშავებაც აკრძალული აქვთ და დიდ გაჭირვებას განიცდიან.

მეორე მიზეზი ის არის, რომ ანდიელებს სძულთ შამილი სიმკაცრისა და მათდამი უნდობლობის გამო. მათ დღემდე ვერ მოუხელებიათ, რომ შამილმა არაერთი ანდიელი უსამართლოდ დასაჯა სიკვდილით. სიძულვილის მიუხედავად ანდიელებს შიშიც აქვთ იმამისა და ამიტომაც ვერაფერი მოუხერხებიათ მის წინააღმდეგ. ერთადერთი იმედია რუსების მოსვლა, რომ დაამხონ შამილის ბატონობა და ეს ხალხი იხსნან საცოდავი მდგომარეობიდან.

გენერალ გრაბეს უკანდახვევის ამბავი გაიგეს თუ არა ანდიელებმა, მაშინვე მოვიდნენ ჩვენთან და ნაღვლიანად შემოგვჩივლეს:

— ჩვენ თქვენების მოაკლის მოლოდინში ვიყავით, იაინი რომ გამოჩენილიყვნენ, პურ-მარლით შევხვდებოდით მათ, ვარემოებაც საამისოდ ხელს გვიწყობდა: შამილი აქ არ არის და წინააღმდეგობას ვერავინ ვერ გაგვიწევდა. ალბათ, გენერალს მთლად არ ჰქონდა ჩვენი იმედი: რუსები თუნდაც ოდნავ რომ მოახლოებოდნენ დარღოს, ჩვენ გავიდოდით მათ შესაგებებლად, როგორც მოძმე და მეგობრები. მაგრამ ვინ უთავდებებდა მათ ჩვენ გამოხომ შეიძლებოდა, რომ ჩვენც შევხვედროდით მათ საშინელს ხეობაში, რომელიც დარღოს ქედიდან მიეპართება, უცებ იარაღზე გაგვეკრა ხელი და დავეწყო ხოცვა-ყლეტა. მაშინ ხომ ისინი საკუთარ სისხლში ჩაიხრჩობოდნენ. ვთქვათ, ხუთი-ექვსი ათასი კაცი დაეკარგათ და როგორმე დაეკავებინათ ხეობა. ამასობაში შამილი მოასწრებდა მოსვლას, მწვერვალებიდან ნიშანში ამოგიღებდათ, ზურგიდან ჩეჩნებს მოგისევდათ და ერთსაც არ გაგიშვებდათ ცოცხალს. ამიტომ რუსებს ჩირქეიდან უნდა დაეწყოთ შეტევა დანუხისა, არლუნისა და მეხელთის მიმართულებით. იქ მათ არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობებოდათ წინ. დარღო და ჩეჩნეთი სრულიად უბრძოლველად დაემორჩილებოდათ.

ეს სიტყვები ღრმად აღიბეჭდა ჩემს მახსოვრობაში და შემდეგში, გაქცევის დროს ან გუმბეთში ყოფნისას და, ბოლოს, გათავისუფლების შემდეგ, მე დიდის ყურადღებით დავათვალიერე ყველა გზა და ადგილმდებარეობა, მაშინ დავრწმუნდი, რომ გუმბეთისა და ანდიის აღება სრულებით ადვილი საქმე ყოფილა, რომ ჩეჩნეთს არ შეუძლია დიდხანს გასძლოს, როდესაც ანდიიდან მას თავზე დავყვილებთ მწვერვალებით; რომ თლოხი, თეხნუწის საზოგადოების ნაწილი, აუხვახი და ბოთლიხი — მთელი სივრცე ავარიის ყოისუს მარცხენა ნაპირამდე — ხელის გაქნევაზე დაგვემორჩილება სრულიად პატარა მსხვერპლის გაღებით. მნიშვნელოვან ადგილებს დავიკავებდით და მაშინ მართლაც მტკიცედ მოვიკიდებდით ფეხს მთელს დაღესტანში.

გენერალ გრაბეს უკანდახვევის შემდეგ ჩვენ კვლავ დარღოში გადავტრეკეს და ძველ ხაროში ჩავვყარეს. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა თვითონ შამილიც, რომელიც მოეშურებოდა ჩეჩნეთისა და თავისი ოჯახის დასახმარებლად. მას ასე ეგონა, თითქოს ერთაც და მეორეც ისევ სახითათო მდგომარეობაში იყვნენ ჩაცვნილი. როდესაც რუსები აღარ დახვდნენ დარღოში, შამილი ნაწყენი დარჩა, ყაზიყუმუხის საქმეებს რატომ ჩამომამორეთო.

— იქ, — ამბობდა ის, — რუსებს ზურგში მოვექცეოდი, მოვუსპობდი ყველანაირ საშუალებას, რომ მათთვის სურსათი მიეშველებინათ და სულ შიმშილით ამოვხოცავდი.

მაგრამ შამილს ამ წყენამ მალე გაუარა. დაცხრა და ძალიან ტკბილად მიუაღერსა ორივე ნაიბს — შუემბუს და ულუ-ბეის, რომელთაც მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის, იჩქერიის ტყეში რუსების ამოჟლეტისათვის აჩუქა ჩვენი ორი დროშა, რომლებიც ხელთ იგდო ყაზიყუმუხში, ასლან-ხანის მეუღლისაგან. ასლან-ხანს თავის დროზე ეს დროშები მიეღო ძღვნად ერევნის გრაფ პასკევიჩისაგან, რადგან სპარსეთთან ომიანობის დროს ამ ხანმა მთელს დაღესტანში მშვიდობიანობა არ დაარღვია.

დარღოში მისვლისთანავე დაუღალავად შევუდექით ახალ საშუალებათა გამონახვას, რომ ტყვეობიდან როგორმე თავი დაგვეღწია. საბედნიეროდ ის ახალგაზრდა ჩეჩენი, რომელიც ჩვენთან ერთად იჯდა, ანდიიდან დაბრუნებისას, აქ აღარ დაგვხვედრია. შეუძლებელი იყო რამე იმედი გვექონოდა, რომ იგი მონაწილეობას მიიღებდა ჩვენს გაქცევაში. ან, ყოველ შემთხვევაში იმისა, რომ ჩუმად იქნებოდა. ჩვენ გადავწყვიტეთ გაქცევა, მაგრამ საჭირო იყო, ჭერ ამ ხაროდან ამოვსულიყავით. ამისათვის კი მხოლოდ ერთი საშუალება არსებობდა — როგორმე გვერდითა კედელი გავვერღვია. ვახსენეთ ღმერთი და შევუდექით საქმიანობას.

ანდიიდან დაბრუნებისას გზად ერთი ხმელი, მაგარი და წვეტიანი ჯოხი ვიპოვეთ. ეს ჯოხი ფარულად შევიმალე კალთების ქვეშ და ხაროში ისე ჩავიტანე, რომ ყარაულებს არ შეუნიშნავთ. ხაროს ჭერში შევარქვე ეს ჯოხი სანდო ადგილას, აი ამ ჯოხის წყალობით გავთხარეთ კედელი. მუშაობა მარჯვედ მიდიოდა. გამოღებულ მიწას იქვე ხაროს ძირზე ვფენდით. რამდენიმე დღის შემდეგ ორი-სამი საყენის სიგრძის ხვრელი უკვე მზად იყო, სიმაღლით კი იმოდენა იყო, ხოხვით შეგვძლებოდა გაცოცება. ჩვენსა და თავისუფლებას შუა პატარა მანძილიღა რჩებოდა.

ჩვენს განზრახვას ყარაულები რომ არ მიხვედრილიყვნენ, როდესაც ხაროს დასათვალიერებლად ჩამოეხეტებოდნენ ხოლმე, ხვრელის თავსა ფიჩხებისაგან დაწნული ლასტი მივაფარეთ. საამისოდ გამოვიყენეთ ფიჩხები, რომელზეც ჩეჩენს ეძინა. შემდეგ ეს ლასტი გავლესეთ თიხით, რომელსაც ვზილავდით ჩვენთვის სასმელად ჩამოშვებული წყლით. იმაზელა ვფიქრობდით, როგორ და საით გავქცეულიყავით, რომ ჩვენს გარნიზონამდე მიგვეღწია. აქ ჩვენს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი, ზოგნი ამბობდნენ, უმჯობესია გერზელ აულისკენ გავიქცეთო, ზოგი კიდევ ვნეზაპნოის მიმართულების ამჯობინებდა, მე უფრო შორეული გზა ავირჩიე. ეს აზრი იმიტომ დამებადა, რომ ყარაულები, როდესაც ჩვენი გაქცევის ამბავს გაიგებდნენ, პირველ ყოვლისა, ამ ორ პატარა გზას გაჰყვებოდნენ, რადგან ამ გზებს ისინი ჩვენების სიმაგრეებამდე მიჰყავდათ. ამნაირად, ჩვენ სამ ჯგუფად დავიყავით. მე მხარა და-

მიჭირა ზაგორსკიმ და ერთმა კაზაკმა. გერზელ აულის მიმართულება აირჩია ანანოვმაც, მას შეუერთდა პოდპოლკოვნიკი სინაქსაროვი და მისი ორი მსახური, ორი კაზაკი, სომეხი და ერთი ქართველი. კაზაკმა შჩედრინმა და მისმა ორმა ამხანაგმა ვნეზაპნოის მიმართულება აირჩიეს. შეთანხმების შემდეგ ჩვენ წილი ვყარეთ — რომელი გასულიყო ხაროდან პირველად. წილი მხვდა მე და ჩემს თანამოაზრეებს. ყველაფერი მზად იყო, ველოდით მხოლოდ შესაფერ შემთხვევას.

დადგა 22 ივნისის ღამე. ჩამობნელდა. გრიგალი მძვინვარებდა. წვიმის ღვართქაფი ლეკავდა ყველაფერს. გვესმოდა როგორ შხაპაშხუბით ეცემოდა წვიმა ჩვენივე ხაროს თავსახურზე. გუშაგები გინებით მოგვშორდნენ და საყარაულოს შეაფარეს თავი. ეს დრო საუკეთესოდ მივიჩნიეთ. საერთო ძალით შევუდექით უკანასკნელი კედლის გათხრას. შუალამისას ჩვენი ხვრელის მეორე ბოლო უკვე გარეთ გავიდა. სუფთა პაერმა სიმხნევე შეგვმატა. ერთმანეთს დავემშვიდობეთ, დავილოცეთ. გადავიწერეთ პირჯვარი და დავიწყეთ გარეთ გამოსვლა.

ერთი ფეხიდან როგორც იყო ბორკილი მოვიხსენი და მისი რგოლი მეორეზე მივაკარი, რადგან ვერასდიდებით ვერ მოვახერხე მისი შემოხსნა, გასაღები კი მე არ გამაჩნდა, არც სხვა რამ იარაღი. ტანთ დაფხრეწილი პერანგი მიეცვა და უხეირო წაღები.

ხვრელიდან გამოძრომისთანავე გავიარეთ დარღო, ანდიის ხეობაზე დავეშვით, შემდეგ მარცხნივ გავუხვიეთ და უღრან ტყეში შევყავით თავი. თითოეულ ჩვენგანს ორ-ორი ხინკალია გვქონდა. მაგრამ გზადაგზა სირბილის დროს, რაკილა წამდაუწუმ ვეცემოდით, ხან ვფორხილობდით, კვლავ ვეცემოდით — მთელი ეს საცოდავი მარაგიც ხელიდან გამოგვეცალა. ამასობაში წვიმა უფრო და უფრო მატულობდა. ტყეში ისეთი წყვდიადი ჩამოწვა, ერთ ნაბიჯზეც ვერაფერს გაარკვევდით. ჩვენ შეეჩერდით; განთიადისას ხელახლა წამოვდექით და გზა აღმოსავლეთისაკენ დავიჭირეთ. სულ უგზო-უკვლოდ მივდიოდით, ხან უშველებელ აღმართს შევუდგებოდით, ხან დაღმართზე ვცურდებოდით. ზოგჯერ იძულებული ვხდებოდით ხის ტოტებს მოვჭიდებოდით, გავქანებულიყავით და ასე გადავმტარიყავით ნაპრალის ან უფსკრულის თავზე, ან ძირს ჩავშვებუ-ლიყავით. იქიდან ხეებისა და ტოტების საშუალებით ისევ მაღლა ამოვსულიყავით. სასტიკად დავიქანცეთ. ყოველი ათი წუთის შემდეგ გვიხდებოდა შესვენება. ნაშუადღევზე მთებში ძლიერი სეტყვა მოვიდა, მძვინვარე გრიგალმა გადაიქროლა. შიმშილმა, ყინვამ და დაღლილობამ ყველაფრის უნარი წაგვართვა. იქვე მიწაზე მივეყარენით. მზე ჩავიდა და კვლავ ზარდამცემი წყვდიადი გადაეხურა დედამიწას. იძულებული გავხდით, ფეხი არ მოგვეცვალა და მთელი ღამე იქ გაგვეთენებინა.

მეორე დღეს წამოვდექით და კვლავ გავუდექით ჩვენს მძიმე გზას. გეზი სულ აღმოსავლეთისაკენ გვეჭირა, ანდიის ქედისკენ. შიმშილმა დიდად შეგვაწუხა. არაფერი არ იყო, რომ კუჭი დაგვეკმაყოფილებინა. გამწარებით ბალახს მივესიეთ და იმას ვძოვდით. როდესაც ნახევრად დამძალ მძალე ლანძილს წავაწყდით, ხარბად დავუწყეთ ჭამა, მაგრამ ყელი ამოგვეხება და დავვისივდა. მალე ანთებამ იჩინა თავი, რამაც ისე გაგვამწარა, რომ ბოლოს წყლის ულაპვასაც კი გვიშლიდა.

როგორც იყო მივალწიეთ მეხელთის გზას, რომელიც ანდიიდან მიდის:

აქედან ძირს დავეშვიტ, აუხის ტყისაკენ და მდინარე ლამან-სუს გავყევით.

როდესაც მდინარის ნაპირს ვუახლოვდებოდით, უეცრივ თვალი მოგვკარიტ, რომ იქვე მახლობლად ოთხი ბიჭი ცხვარს აძოვებდა. მათაც შეგვნიშნეს, ასე რომ, შეუძლებელი შეიქნა თვალი აგვერიდებინა მათთვის, ამიტომ მივედიო და ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ კუთხარით, ვითომ გამოქცეულნი ჯარისკაცები ვიყავით და ტაშოვ-ჰაჯის ვემსახურებოდით, ვითომ ანდიის მთებში მის ცხენებს ვაძოვებდით, რომლებიც გამოგვექცნენ, ვითომც გაგვეგო, რომ ის ცხენები ახლა სოფელ ალმაყში ჰყავთ და მათ წამოსაყვანად მივდიოდით.

პატარა მწყემსები ხინკლიტ გაგვიმასპინძლდნენ. დიდის გაჭირვებით და ტკივილიტ ვღეჭავდით და ვყლაპავდით ხინკალს. როგორც იყო ჩვენა მტანჯველ შიმშილს მოვუკალიტ ეჩიანობა. გამოვეთხოვეტ პატარა მწყემსებს და გზა განვაგრძეთ ვითომ იმ სოფელში შესასვლელად, რომელიც ჩვენ დავასახელებით.

ამ შემთხვევამ სიფხიზლე გაგვიმასხვილა; ამხანაგებს წინადადება მივეცი, ყოველი შემთხვევისათვის კეტებით მაინც შევიარალებულიყავით, რომ შეგვძლებოდა საჭიროების შემთხვევაში დამხვდურებს საკადრისად გავსწორებოდით. ასეთი სიფრთხილე მართლაც დროული გამოდგა. ის-ის იყო, თვალს მივეფარეთ, რომ თავს დამესხა ორი ჩეჩენი. მე ყველაზე წინ მივდიოდი. მათ ხანჯლები იშიშვლეს და შემოპიტიეს. ერთ წუთში თვალწინ გამირბინა ჩემი მდგომარეობის საშინელებამ და ყველა იმან, რაც უნდა მოყოლოდა ჩემს შეპყრობას; წარმოვიდგინე, როგორ წარმადგენდნენ შამილთან ხელახლა. შამილი ენით გამოუთქმელ ახალ წამებას მომაყენებდა და ისეთ დილეგში ჩამამწყვდევდა, რომ სამუდამოდ გამოვეთხოვებოდი ნათესაობასაც და ტკბილ სამშობლოსაც.

გამძაფრებით აღვმართე კეტი და ელვის სისწრაფით დავუშინე თავში ერთ-ერთ ჩეჩენს, წინ რომ მოიწევდა. მან თავზე ხელი დაიფარა და შემდეგ ორივენი უკანმოუხედავად გაიქცნენ.

ჩემგან გაქცეულები მიესივნენ ჩემს ამხანაგებს, რომლებიც შორიახლოს იდვნენ და, მიუხედავად იმისა, რომ პირობა გვქონდა მიცემული ურთიერთის დახმარებისა, გულგრილ მაყურებლად თვალს მადევნებდნენ. ჩეჩნებმა სრულიად ადვილად შეიპყრეს ისინი და წინ გაირეკეს.

ჩემი ამხანაგების სიმხდალემ დამარწმუნა, რომ მათი შველის იმედი არ უნდა მქონოდა, ამიტომ ვანებე მეც თავი და მდინარე იამან-სუს ნაპირებს გავყევი სირბილიტ. მალე გადავლაზე იგი, თვალს გადავეფარე იმ ჩეჩნებს, ერთ გამოქვაბულს წავაწყდი, შევედი შიგნით და წამოვწექი ძალღონის მოსაკრებად.

პატარა შესვენებას შემდეგ კვლავ გზას გავუდექი. ველური ხეცხუვებით და ნაპრალოთა შორის ხეტიალიტ. როგორც იყო, მივადექი ანდიის უკანასკნელ ფერდობს და გუმბეთის მთას, რომლებიც უვნებლად გადავიარე.

როდესაც სალათავიის მთის აღმართს შევეუდექი, ბურთუნაის მახლობლად, კვლავ საშინელმა სეტყვამ წამოუშინა, რომელმაც თუმცა დიდხანს არ გასტანა, მაგრამ დიდად დამასუსტა და გამაცივა. მზემ გამოანათა თუ არა, იქვე ფერდზე წამოვწექი, რომ გავმთბარიყავი.

მაგრამ მეტად ძვირად დამიჯდა ეს პატარა შესვენება. ამ ფერდობის იქით ცხვრის ფარა გამოშალეს, რომელსაც დარაჯობდა თხუთმეტოდე კაცი და რამდენიმე ძაღლი. მე ჯერ კიდევ ვიწექი და მზეზე გვერდებს ვიხურებდი, რომ

ორი პატარა ბიჭი მოვიდა ჩემთან. ერთი მათგანი ლეკურად გამომელაპარაკა:
— შენ ვინა ხარ?

ნამძინავერი ვიყავი და გონზე აღვილად ვერ მოვედი, მერე კი პასუხიც არ მივეცი, წამოვხტი და სირბილით შევიტყუე მახლობელ ტყეში. ბიჭებმა ყვირილი მორთეს. დანარჩენი მწყემსები წანოიწალნენ, დამეღწევნენ და ძაღლები მომისიეს.

მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბე, რომ როგორმე დამეღწია თავი მათგან, მაგრამ ვატყობდი, მუხლმა მიღალატა, ნაპირ-ნაპირ გავეყევი ნაპრალებს, რომელთა ძირი ორი საყენის სიღრმეზე იკარგებოდა. რაკილა ხსნის სხვა იმედი აღარ მქონდა, ავიღე და ნაპრალში გადავეშვი იმ აზრით, რომ თუ ეს უკანასკნელი ნახტომი მარჯვე გამოვიდოდა, მაშინ გადავრჩებოდი, რადგანაც უეჭველია, მწყემსები თავს აღარ გამოიღებდნენ და თან არ გადამყვებოდნენ.

მაგრამ თურმე ჩემი წამება ამით არ თავდებოდა; როდესაც ნაპრალის ძირზე წამოვხტი, ვიგრძენი, რომ ფეხი საშინლად მღრძობოდა, მარჯვენა ხელიც ამომვარდნოდა ბუდიდან, იქვე ჩავცუცქდი, მაგრამ უმაღვე გული წამივიდა.

მთიელებმა შორიდან შემოურბინეს ნაპრალს, მომაბრუნეს და იმ ადგილას მიმიყვანეს, სადაც ცხვრის ფარა ჰყავდათ გაშლილი. ამაოდ ვარწმუნებდი, რომ მე ვითომ გამოტყეული ჯარისკაცი ვიყავი და ეცდილობდი, გზა-კვალი ამერია, არ სჯეროდათ ჩემი სიტყვა, რადგან მათ ყურამდისაც მიეღწია ჩვენი გატყევის ამბავს. შამილს თურმე მღევრები ყველგან დაედევნებინა ჩვენთვის, მთელი იჩქვრია გადაებრუნებინათ, თვით დიდი ჩეჩნეთიც კი, ალბათ, ეგონათ, რომ ჩვენ გროზნოსკენ დავიჭვრდით გეზს.

როდესაც მივხვდი, რომ განმარტება ვერას მიშველიდა, ავდექი და მათ ჭრთამად ასი მანეთი შევაძლიე, იმ პირობით, რომ როგორმე სოფელ ჩირქეამდე მივეყვანეთ. ისინი თითქოს დამთანხმდნენ. ფეხები მთლად დამისივდა, რადგანაც დიდი ხანია, რაც წაღებს გამოვეთხოვე, მაგრამ იმ იმედით, რომ მალე ჩემს ტანჯვას ბოლო მოეღებოდა, გავმხნევედი და ტკივილებს არ ვიმჩნევედი.

თუმცა უკუნეთი ღამე იყო და წვიმაც თავისას არ იშლიდა, მაგრამ როცა მეხელთის მთაზე ავედით, ადგილმდებარეობამ მიმახვედრა, რომ ჩვენ ბურთუნაის მიმართულებით არ მივდიოდით. ეს ადგილები ჩემს მახსოვრობაში მშვენივრად იყო აღბეჭდილი ჯერ კიდევ 1841 წლიდან, როდესაც გენერალ ფეხეს წინამძღოლობით სალათავიის მთები გავიარეთ.

— სად მიგყავართ? — შევეკითხე ჩემს გამყოლებს. მთიელებმა არაფერი მიპასუხეს, ეს ცუდად შენიშნა.

გათენდა. ჩირქეის ნაცვლად ჩემ წინ მეხელთა დავინახე. შორს ზარბაზნის ხმა ისმოდა. შემდეგ გავიგე, რომ გენერალ ვრაბეს იჩქერიის ტყისათვის თავი გაენებებინა და ახლა სოფელ ილალისკენ წამოსულიყო, რომელიც მეხელთიდან ექვსი თუ შვიდი ვერსითაა დაშორებული. ეს მეორედ ვიყავი ასე ახლოს ხსნასთან და ჩემიანებთან. მაგრამ მეორედვე უნდა დავშორებოდი ამ სანუკვარ წუთს. ბედს თითქოს განგებ ყველაფერი ისე მოეწყო, რომ დასასრული არ მქონოდა ჩემს ამდენ ახეთქება-ჩამოხეთქებას, დაუსრულებელ აღმართებსა და ხევხუვებში ხეტიალს და იმედებიდან ახალ წამებაზე გადასვლას. მეხელთაში კვლავ შემბორკეს და ისევ დარღოს გზას გამიყენეს.

ჩვენი გატყევა მიზეზი შეიქნა იმისა, რომ შამილს მონაწილეობა აღარ მიუღია ილალის დაშქრობაში, მან მეტიხმეტად ბევრი დრო მოანდომა და არა-

ფერი არ დაუზოგავს, რომ ჩვენ შევეპყართ. როდესაც ხმა დაირხა, პოდპოლკოვნიკმა სინაქსაროვმა ვნეზაპნოის მშვიდობით მიაღწიაო, ხოლო მე დარლოში დამაბრუნეს, შამილმა ილაღელებისათვის მოიცალა, მაგრამ გოგათლოში უკვე ამბავი მოუვიდა გენერალ გრაბეს უკან დახვევის შესახებ და შინ დაბრუნდა.

დარლოში ჩემი ტყვეობის თანამონაწილეებიდან მხოლოდ ცხრამეტი დამხვდა. გადარჩენილი იყო მხოლოდ პოდპოლკოვნიკი სინაქსაროვი და მისი ორი მსახური. შამილის რისხვა უსაზღვრო იყო. პირველი მისი სიტყვა ის იყო, რომ ჩვენთვის თავები დაეყრევინებინათ, მაგრამ ჩირქველი მიუჩინებდა წამოდგნენ და მოახსენეს.

— თავებს კი დავაყრევინებთ, მაგრამ აქედან რა გამოვა? ვანა მთიელი ტყვეები არ გამოვრბიან რუსეთის ციხეებიდან? შეიძლება ამ ტყვეების თავში შენი შვილი გამოიმეტონ, ან შენი ძმისწული, ან რამდენიმე კეთილი მუსულმანი?

შამილმა შეცვალა ბრძანება. მაგრამ ასეთი მძიმე პირობები შეგვიქმნა, რომ სიკვდილი გაცილებით გვიჭობდა. რამდენჯერ მინატრია ჯალათის ნაჯახი. მე სხვებთან ერთად დამბორკეს უზარმაზარი წისქვილის ჯაჭვებით. ეს ჯაჭვები ისე მძიმე იყო, რომ უძრავად უნდა ვწოლილიყავი მიშველ მიწაზე. როდესაც საჭმელს გვაძლევდნენ, ჯაჭვებს ქვემოდან ხის ბოძებს შეუდგამდნენ ხოლმე, რადგანაც ყოვლიად შეუძლებელი იყო წამოდგომა. არაერთხელ ვუხმობდი სიკვდილს, როგორც ხსნის უკანასკნელ საყუდელს. კეთილისმყოფელს. ის განცდა, მაშინ რომ გადავიტანე, ხორციელ და სულიერ ყველა ტანჯვას აღემატება, რაც კი მანამდე თავს ვადაძვდომოდა.

მაგრამ ღმერთი მოწყალეა. მან იცის საზღვარი ჩვენი ტავჯვისა, რომელსაც მალლით მოგვივლენს ხოლმე, იცის ჩვენი უღლის სიმძიმეც, რომლის იქით ჩვენ მეტს ვერ ვზიდავთ. და აი ახლაც გადმოგვხვდა.

ივლისის დამლევს მოლაპარაკება გაიმართა ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ. განთავისუფლების იმედმა კვლავ ფრთა შემასხა და ნახევრად ცოცხალ-მკვდარი ადამიანი წელში გავესწორდი. სინაქსაროვის გაქცევამ შამილს იმედი დაუკარგა, რომ შეილის დაბრუნებას ოდესმე ელირზებოდა. რაკილა იცოდა, რომ ჩვენს თავში მის შვილს არ გამოიმეტებდნენ, შამილს ჩვენს განთავისუფლებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა, მაგრამ აქ ბედი დაგვეხმარა. საბედნიეროდ, თურმე თბილისში ტყვედ ჰყოლიათ წაყვანილი ორი პაჯი: სალათაველი შამხანდარი და სულრათლელი აბრუდარახმანი, რომლებიც გულმოდგინედ სთხოვდნენ შამილს, იღონე რამე და ჩვენი თავი ტყვეებზე გადააგვლევინეო. უთვლიდნენ აგრეთვე ჩემზეც. ჩემი ნათესაობაც ფეხზე იდგა და შუამდგომლობას სძრავდა ჩემი უფროსებისა და შამილის წინაშე, სასყიდელს არ დავერიდებით, ოღონდ ჩვენი ტყვე გამოიხსენითო. ამ გარემოებამ გასტეხა შამილის ჭიუტობა. ჩემს თავში მან მოითხოვა იმ ორი მიუჩინების განთავისუფლება, აგრეთვე ზედმეტად კიდევ თერთმეტი სხვა კაცისა. დანარჩენ ჩვენთან მყოფ ტყვეებში სჯერდებოდა თორმეტი ტყვის განთავისუფლებას.

ასეთი წინადადება არ შეიწყნარეს თბილასში. შამილს ჩვენს თავში აღუთქვეს მხოლოდ ცამეტი მიუჩინების განთავისუფლება, რომელთა შორის ის ორი პაჯიც იყო მოხსენებული. შამილი თავისას არ იშლიდა, იქნება ამ მოლაპარაკებიდან მართლა არაფერი გამოსულიყო, კეთილ ჭეშალ-ედინ ყაზიყუმუხელის შუამდგომლობას რომ არ ვაეჭრა. როდესაც ვაეგო, თუ როგორ ჭიუტობდა

შამილი. მან წერილი მისწერა და სასტიკად გაჰკიცხა თავისი მოწაფე, შენ შარიათს ჰქადაგებ და ასრულებით კი არ ასრულებო!

— შარიათში სწერია, — ატყობინებდა იგი, — რომ ~~თითოეულ ტყვე~~ მოლაზე შეიძლება ასო ურწმუნოს განთავისუფლება, და რომ, მაშასადამე, ორ მოლაზე, რომლებიც თბილისში იმყოფებიან ტყვეობაში, შენც კი უნდა მისცე ეს ტყვეები, მოვალე ხარ ასე მოიქცე.

ამ მოლაპარაკებაში გადიოდა დღეები და ჩვენ ნატანჯ-ნაწამებნი, უიმედოდ შევეყურებდით ცას. დღითიდღე ვსუსტდებოდით, დღითიდღე ვგრძნობით, რომ საცაა წამებაში ამოგვხდებოდა სული.

ხსენებული ჰაჯების ნათესავეები წამოდგნენ შამილის წინაშე და მოახსენეს:

— ჩვენი ტყვეების სიცოცხლე განსაცდელშია, შეიძლება დაიხოცონ და მაშინ სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენი ნათესავეების ტყვეობიდან განთავისუფლების იმედს...

როგორც მათი თხოვნა, ისე ჭემალ-ედიანს შუამდგომლობა, რომელიც თვითონვე მოვიდა ხაროში, მამხნევებდა და იმედს მინერგავდა, რომ ხსნა იქნებოდა. ბოლოს გადაწყდა: შამილმა ჩემი თავი გაიმეტა იმ ორ ჰაჯიში. ამ ჰაჯების ნათესავეები პირობას სდებდნენ, რომ სიკვდილიდან გვიხსნიდნენ, მშვიდობიანად მიგვიყვანდნენ გუმბეთში, სადაც მოხდებოდა ტყვეების გაცვლა-გამოცვლა და უკანასკნელი პირობების შესრულება.

ამნაირად, სექტემბერში მე გავემგზავრე გუმბეთის საზოგადოებაში, სოფელ ყაღარში, სადაც საქმიანი მოლაპარაკება გაიმართა. მე დიდად დავალებული ვარ გენერალ-მაიორ ფონ კლუგენაუსაგან, რომელმაც პამობრივი მზრუნველობა გამიწია, რომ ჩემი ზვედრი შეემსუბუქებინა და მალე გამოვეხსენი ტყვეობიდან. მის გულკეთილობას ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ.

რა წამს კლუგენაუმ გაიგო, რომ მე ყაღარს მიმიყვანეს, უმალვე გამომიგზავნა ფული, ჩაი, შაქარი და სხვა. შემეძლო ტანისამოსი შემეძინა, საჭმელ-სასმელი გავიუმჯობესე. თავისუფლების იმედმა გამამხნევა, ძალ-ღონე შემმატა.

მაგრამ მოლაპარაკებამ მოულოდნელად მკაცრი და არასასურველი მიმართულება მიიღო; გენერალ-მაიორმა თავადმა არღუთინსკ-დოლგორუკოვმა, რომლის მეოხებითაც სწარმოებდა მოლაპარაკება შამილთან, ბრძანება გასცა, რომ ჩემს თავში მხოლოდ ერთ ჰაჯის გაიმეტებდნენ და რომ ამით უნდა მოთავებულყო მოლაპარაკება. სხვების ხსენებაც არ უოფილა. შამილს სასტიკად ეწყინა ასეთი წინადადება, მოვიდა ჩემთან და მეუბნება:

— მე ერთი კაცი არ მენანება, დაე, ის ერთი დაიღუპოს თბილისში, მეორეს კი აქ ტანჯვაში ამოხდეს სული!

ეს რომ თქვა, ბრძანება გასცა, რომ ისევ დარღოში წავეყვანეთ. სასოწარკვეთილმა ეს ამბავი შევატყობინე გენერალ ფონ კლუგენაუს. ვიცოდი, რომ პირველი წინადადების თანახმად თემირ-ხან-შურაში მოიყვანეს ცამეტი მიურიდი ჩვენზე გადასაცვლელად. კლუგენაუს ვთხოვე, აქნებ მოახერხოთ და როგორმე ამ მთიელების რიცხვს დაუმატოთ აგრეთვე ცხრა ქალი, რომლებიც ტყვედ წაიყვანეთ ახულგოში და ამქამად თემირ-ხან-შურაში გყავთ დამწყვდეული-მეთქი.

— ამასთან ერთად, — ვასკვნიდი ჩემს შუამდგომლობაში, — შეატყობი-

ნეთ შამილს, რომ ეს იქნება თქვენი უკანასკნელი წინადადება. თუ შამილი ამბ-
ზე არ დათანხმდება, მაშინ ხელს ჩავიქნევ და ვთელს იმედს მარტო ლმობის
მივანდობ.

მაგრამ შამილის ბრძანება უბრალო სიტყვა არ იყო და ჩვენ ისევ დარ-
ლოს ხაროში გვიკრეს თავი. ამის შემდეგ აღარც შამილი და ჩემალ-
ედინ ყაზიყუმუხელი აღარ გვინახავს. ისინი წავიდნენ ჩეჩნეთში, მაშინვე იმ
დროს ყიზლარისკენ აწყობდნენ ლაშქრობას. შემდეგ წავიდნენ სოფელ შელში,
სადაც შამილმა მესამედ იქორწინა ყაზიყუმუხელ აბდულას ქალიშვილზე. ეს
აბდულა ჯერ კიდევ ერმოლოვის დროს სახანოდან გამოსულიყო და ჩეჩნეთში
გადასულიყო. შამილთან დანათესავების შემდეგ იგი ერთი უძლიერესი და უპა-
ტივცემულესი კაცი შეიქნა მთელს ჩეჩნეთში.

დარლოში კვლავ ძველ ხაროში მომათავსეს. იმავე უზარმაზარი ჯაჭვით კი-
ნალამ სული ამომხადეს. სხეულის ტკივილებს დაერთო სულას საშინელი
შფოთვა, ნალველი. ასე გაიარა თხუთმეტმა დღემ. ბოლოს შამილიც დაბრუნდა
ჩეჩნეთიდან დარლოში ჯემალ-ედინ ყაზიყუმუხელთან ერთად. აქ მან ძალიან
წერილი გენერალ ფონ კლუგენაუსაგან, რომელშიც იგი სწორედ იმ წინადა-
დებას სთავაზობდა შამილს, მე თვითონ რომ ჩავწერე ჩემ მიერ გაგზავნილ
ბარათში.

— მე მოვალე ვარ, — სწერდა კლუგენაუს შამილს, — დავიცვა ის ქა-
ლები, რომელთა ქმრები შენ შემოგეწირნენ.

ამ წერილმა და ჯემალ-ედინის რჩევამ გასჭრა და შამილმა გადასწყვიტა
მიეღო ფონ კლუგენაუს წინადადება. ბოლოს, როგორც იყო, დადგა კურთხე-
ული განთავისუფლების საათი. ერთ საღამოს ჯემალ-ედინი გაბრწყინებული
სახით მოვიდა ჩვენთან და აღტაცებით მეუბნება:

— ხვალ შენს სამშობლოში იქნები!

მეორე დღეს მინახულა, თავისთან წამიყვანა და ჩაით გამიმასპინძლდა.
შემდეგ ერთად წავედით შამილთან, რომელმაც გზა დამილოცა და მითხრა:

— ახლა ჩვენ მეგობრები ვართ, ნათესავეები... როდესაც გინდოდეს, მო-
დი სტუმრად. შენ აქ, ჩემთან არავითარი საფრთხე არ გელის და ისე მიგიღებ,
როგორც საკუთარ შვილს...

ასე მეგონა, დედამიწა ფეხქვეშ გამიქრა, თითქოს ცაში დავფრინავდი.
სიხარულმა გამომაცოცხლა. ბევრი რამ გადავიტანე გზაში — სიცივე, უტანსაც-
მელობა, უფეხსაცმლობა, ქარბუქი, რომლებიც გზადაგზა თავს გვატყდებოდა
გუმბეთამდე. მაგრამ რა მოსატანი იყო ყოველივე ეს იმასთან, რაც ჩვენ გა-
დავიტანეთ უკვე განვლილი ცხრა თვის მანძალზე. ეს მეოთხედ მივდიოდი
გზით, რომელსაც ანდიიდან ვუმბეთში მივყავდი; მეოთხედ მივდიოდი ამ
გზით, მაგრამ სულ სხვადასხვა გრძნობებით და განცდებით: წინათ ხან იმედის
სხივი მალეღვებდა, იქნებ, მართლა თავი დავაღწიო ტყვეობის მარწუხებს-
მეთქი, ხან მიმუხტლებდა ბედი და ისევ სატანჯველში მაგდებდა ახალ-ახალი
წამების გოლგოთაზე ასასვლელად. ახლა კი თავისუფალი ადამიანი ვიყავი: უკან
დავტოვე ყოველივე უბედურება და მოვიჩქაროდი ჩემს უტკბეს ნათესავთა
შორის.

და აი, ამ გრძნობით აღელვებული 28 ნოემბერს საღამოს მთებზე რუსის
კომანდას შევხვდი. მათ ჩემზე გაღასაცვლელად მოეყვანათ ცამეტი მიუჩრილი და

ზემოხსენებული ქალები, რომ თავის შიშით, ჩვენი თავი ჩაებარებინათ რუსე-
ბისათვის სამშვიდობოზე გასაყვანად, მშობლიური კერის სახილველად.



ეროვნული
მოკლე ნარკვევი შამილის გარშემო

უბრალო გიმრელი მოქალაქე, მაგრამ დაჯილდოებული შორსმჭვრეტელი
კუთით, მტკიცე ნებისყოფით, სიმამაცით და სხვა პირადი ღირსებებით. ამას-
თან ერთად, ის ჯერ კიდევ, ყაზი-მოლასა და ჰამზათ-ბეგის დროს გახდა მთელს
დაღესტანში ცნობილი, როგორც ყურანისა და არაბული ენის ღრმად მცოდნე.
შამილმა, ორივე იმამის თანამოაზრემ, დაიმკვიდრა მათი ცოდნა და ამ ფრთ-
ხალმა და ფანატიკურად ავზნებულმა კაცმა, მრავალი ბედნიერი გარემოების
შედეგად ხელისუფლება არნახულ სიმაღლეზე აიყვანა.

გიმრის ცნობილ ბრძოლებში, 1832 წელს, დაიღუპა ყაზი-მოლა და თით-
ქმის ყველა მისი მოწაფე. შამილმა მტერს არ დაანება მოკლულის გვამი, მკერ-
დში ზიშტით დაჭრილს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს იმედი — ეხსნა ცხე-
დარი თავისი იმამისა; სისხლით მოსვრილმა იძრო ხმალა ქარქაშიდან, რამდე-
ნიმე ამხანაგის თანხლებით გაარღვია რკალი ირგვლივ თავმოყრილი სალდათე-
ბისა და ცოცხალ-მკვდარმა ონსოქოლოში მიიტანა თავი. პირველი ფანატიკური
ნაკადის დაბერვისთანავე შარიათის ქადაგებით ვაბრუებულებმა, ამ მოძღვრე-
ბის მიმდევრებმა ყაზი-მოლას და მის თანამოაზრეებს ისე შეხედეს, როგორც
ჰეშმარიტ წმინდანებს — წარმოგზავნილებს ღვთისაგან, რათა იხსნან ისინი
ურწმუნოთაგან და მეოხეყვინ ყველას, ვინც ესწრაფვის მაჰმადიანური სარ-
წმუნოების გავრცელებას. ყაზი-მოლა კიდევ უფრო აამაღლა და დიდების შა-
რავანდებით შემოსა გიმრთან მოწამებრივმა სიკვდილმა. ამიტომაც იყო, რომ
დაღესტნელები ეგზომ დიდის პატივისცემით შექყურებდნენ ჰამილს,
რომელმაც ასეთი მხურვალე სიყვარულით და გმირული თავდადებით დაიცვა
სიცოცხლე თავისი იმამისა და თავად რაღაც სასწაულით გადაურჩა მოახლოე-
ებულ აღსასრულს. ახალი იმამის ჰამზათ-ბეგის დროს მწუხარებით და რუსე-
ბის სიძულვილით აღსავსე ეკვეთა შამილი თავის მცირე რაზმიანად გიმრს —
თავის მშობლიურ სოფელს და დაიპყრო ადგილსამყოფელი თავისი მეგობ-
რისა, თანამოაზრისა და მრჩევლისა. ავარიაში ჰამზათის წარმატებებს, ხანის
იქაური სასახლის განადგურებას სამართლიანად მიაწერდნენ შამილის დამსა-
ხურებას და მას მთელი დაღესტანი ერთსულოვნად მიესალმა როგორც თავის
იმამს, როცა 1834 წელს ჰამზათ-ბეგი მოკლეს ოსმანმა და მისმა ძმამ ჰაჯი-
მურატმა — შემდეგში ავარიის მმართველმა; ამჟამად ერთადერთი მხოლოდ
ტაშოვ-ჰაჯი ეჭიშპებოდა შამილს, მაგრამ 1837 წლიდან ისიც ახალ იმამს და-
ემორჩილა და სარბიელზე გამოსვლის პირველი ნაბიჯებიდანვე შამილს წილად
ხვდა წარმატებანი, რამაც ის აამაღლა დაღესტნელების თვალში.

გენერალი ლანსკის იერიშების მოგერიება იყო ერთი პირველი ბრძოლა,
სადაც შამილი მოგვევლინა მიუერიდთა ღირსეულ წინამძღოლად. შამილის სა-
ხელი არ შებღალულა მაშინაც, როცა 1835-1836 წლებში ზედიზედ იწვნია
მარცხი ავარიაში, რომელიც არაერთი ბრწყინვალე შეტევის შემდეგ ხელთ იგ-
დონ ფონ კლუგენაუმ, ხოლო შემდეგ ვაჟკაცურად დაიცვეს რეუტმა 1835 წელს
და ჰაჯი-მურატმა 1836 წელს. მიუერიდთათვის ავარია ყოველთვის იყო მნიშ-

ენელოვანი საყრდენი პუნქტი, რუსების თავდასხმის მოგერიების საიმედო ზღუდე. სამაგიეროდ, 1837 წლის ოპერაციებმა შამილის სახელი დიდების შარავანდედით შემოსა და მას სრულიად დაღესტნის იმამის ტიტულა დაუმკვიდრა; შამილი ფართო სარბიელზე გამოვიდა როგორც ხელმძღვანელი პოლიტიკური, დამოუკიდებელი სამყაროსი, რომელთანაც რუსებმა ცეცხლი დასაჭიროდ ცნეს მოლაპარაკების გამართვა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულა იყო გრაფ ივლიჩის დამარცხებით აშოლთაშის მისადგომებთან, სადაც იგი სიცოცხლეს გამოესალმა. მთიელები დარწმუნდნენ, რომ შამილს შეუძლია რუსებს გაუმკლავდეს. ეს აზრი მათ უფრო განუმტკიცა ტილიტლის ამბებმა, სადაც ყოველმხრივ გარემოცული, თითქმის რუსების ხელში იყო, მაგრამ სასოწარკვეთილი მდგომარეობიდან იხსნა გენერალ ფეზეს აჩქარებამ; მან, შეშფოთებულმა ყუბელთა და სამხრეთ დაღესტნის მოსახლეობის მღელვარებით, საჭიროდ მიიჩნია შამილთან მოლაპარაკების გამართვა. შამილი სიამოვნებით დათანხმდა მოლაპარაკებაზე, ოღონდ თავი დაეღწია გარდაუვალი დაღუპვისაგან.

დაღესტნელები ამ სასწაულებრივ გადარჩენას კვლავ ღვთის წყალობას მიაწერდნენ და საზოგადოებრივი აზრის მოძალების შემდეგ შამილის მეტოქემ ტაშოვ-ჰაჯიმ იგი დაღესტნის იმამად აღიარა, თავად კი ჩეჩნეთში გადაიხვეწა. ყველა საპატიო მოლა, რომელიც გამოირჩეოდა განსწავლულობით ან წარმოშობით, სხვადასხვაგვარი რჩევისა და დახმარებისათვის მიმართავდა იმამს, როგორც ღვთისმოსაში წმინდანს. ასე რომ, ამ წლებმა შამილს გზა გაუხსნეს სასულიერო, სამხედრო და პოლიტიკური სრულხელისუფლებიანობისაკენ დაღესტანში.

მოგონებამ დამღუპველი მდგომარეობისა, რომელშიც ჩავარდა შამილი აულ ტილიტლში, იძულა იგი გამოენახა რუსების წინააღმდეგ საიმედო თავშესაფარი. ამ მიზნით 1838 წელს გამოიყენა ახულგო. ამასთან ერთად, საფუძვლიანად გაავრცელა მიურიდიზმი და რუსების წინააღმდეგ საღვთო ომი გააჩაღა. უკვე ტილიტლი, კუიადა, ყარადა, ყოისუბუ, გუმბეთი, სალათაუ და ანდიაც კი აღიარებდა მას თავის ხელისუფლად. თითქმის ყველა საზოგადოება უწევდა შესაძლო დახმარებას. განსაკუთრებით კი სენსაციური თავგადასავლების მოყვარული ჩირქეის მცხოვრებნი იყვნენ მზად შამილის პირველი დაძახებისთანავე წასულიყვნენ ყველგან, სადაც სროლა დაიწყებოდა.

დადგა 1839 წელი და მასთან ერთად დაიწყო ცნობილი ახულგოს ბრძოლები; შამილი ამბობდა, რომ ან თავს გასწირავდა, ან შეინარჩუნებდა დაღესტნის მთლიანობას. ახულგოს იერიშებმა გააქარწყლა შამილის უძლეველობა, მაგრამ თითქოს იმისათვის, რომ ასეთი მარცხის შემდეგ გვეხილა იგი დიდი ბრწყინვალეობით და ხელისუფლების უმაღლეს საფეხურზე ამაღლებული. ახულგოს ბრძოლების შემდეგ შამილი იჩქერიის სოფელ ბოიანიდან 15 მიუროდით მოევიდნა ჩეჩნეთს. დიდი ხანია მას გულისყური მიპყრობილი ჰქონდა ჩეჩნეთისაკენ, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, რადგან ჯერ კიდევ არ მიაჩნდა თავისე ძლიერად, აშკარად ემოკმედა მის წინააღმდეგ. ლეკებისათვის ჩეჩნები ძალიან საშიშნი იყვნენ. ვინ მოსთვლის, რამდენი ასეული ჩეჩენი მოუტაცნიათ ლეკებს და გაუყიდიათ ქისტებში, ოსებში თუ სხვაგან. ბოიანში შამილი გულთბილად მიიღო ტაშოვ-ჰაჯიმ, რომელსაც უნდოდა შამილი დაღესტნის იმამობის შემდეგ ჩეჩნეთის იმამიც გაეხადა, რასაც მიიღწია კიდევ. იქიდან შამი-

ლი თავისი 15 მიუჩილით გაემართა შუბუთის საზოგადოებაში და დაიწყო იქ შარიათის ქადაგება. ზოგიერთმა სიხარულით მიიღო შამილის სწავლება, მაგრამ მშფოთვარე შუბუთის ახალგაზრდობამ გაილაშქრა მის წინააღმდეგ. შამილი არ შეშინებულა; დაერია მოწინააღმდეგეებს, ბევრი აჩეხა, ზოგს თავი მოჰკვეთა, ზოგსაც თვალები დასთხარა, ზოგს მარჯვენა მოსჭრა. ერთი სიტყვით, შესძლო მთელი შუბუთის დამორჩილება, მაგრამ ამ საქმეს კინალამ შეეწირა. შუბუთელებს შორის იყო ორი ძმა, რომლებიც წინ აღუდგნენ შამილს და უნდოდანთ მისი მოკვლა. გაიგო თუ არა ეს შამილმა, ბრძანა შეეპყროთ ისინი. ერთი მოჰკლა, ხოლო მეორეს თვალები დასთხარა. თვალებდათხრილმა მოახერხა შეპარულიყო იმ სახლსა და ოთახში, სადაც შამილი იწვა და თორმეტი ჭრილობა მიაყენა⁶, მაგრამ არც ერთი მათგანი სასიკვდილო არ აღმოჩნდა. ასე რომ ამჯერადაც რაღაც სასწაულით შამილმა თავი დააღწია სიკვდილს. ამასობაში მიუჩიდებმა მოუსწრეს და თავდამსბმელს წამებით ამოჰხადეს სული.

იმამის მიერ დაუდგრომელი შუბუთის დაპყრობის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს ჩეჩნეთში. ამ დროს დიდ ჩეჩნეთში რუსების საწინააღმდეგო მღელვარება მძვინვარებდა. გაიგეს თუ არა შუბუთის ამბებისა და შამილის მამაცური ბრძოლების შესახებ დაღესტნის თავისუფლებისა და სარწმუნოებისათვის, დიდი ჩეჩნეთის მცხოვრებლები აურაცხელი ლაშქრით წარსდგნენ შამილის წინაშე და მის მფარველობას დაემორჩილნენ. შამილი მცირე ჩეჩნეთში შეიჭრა, დაიპყრო იგი და მიიმხრო აუხოველები. რამდენიმე სოფელი შორეულ ტყეებში გადაასახლა და დარღოში დაამკვიდრა. თავისი ხელქვეითებით გარშემორტყმულს კიდევ მეტ სიძლიერეს ანიჭებდა ბუნებრივი ადგილმდებარეობა. ეგზომ საშიში ჩეჩნეთის დაპყრობის შემდეგ დაღესტნის დანარჩენი ურჩი საზოგადოებაც იძულებული გახდა შამილს დამორჩილებოდა. 1840 წელს მას შეეძლო დიდძალი ჯარით შეჭრილიყო დაღესტანში, აქაულები ნაალათავის საზოგადოება — განდგომოდნენ რუსებს, ასევე რუსების გავლენისაგან ეხსნა საშამხალოს ადგილმამული, მაგრამ გენერალ კლუგენაუს ექვსას ხიშტიანმა გმირულმა წინააღმდეგობამ შეაჩერა შამილის ათიათასიანი ლაშქრის შეუპოვარი შემოტევა. მეორე მხრივ ჩეჩნებზე რუსების განუწყვეტელმა თავდასხმამ იძულებული გახადა შამილი მიეღო ქმედითი ზომები მთელი მხარის დაცვისა და იქ თავისი ბატონობის განსამტკიცებლად. ამ მიზნით მან ჩეჩნეთი და დაღესტანი ერთმანეთს დააკავშირა ხელშეუხებლობისა და ურთიერთდახმარების ვალდებულებით. აქამდე ყოველი საზოგადოება მხოლოდ თავის თავს იცავდა და სხვაზე არ ზრუნავდა. მაგრამ შამილის მხარეზე ჰაჯიმურატისა და კიბიტ-მაჰომას გადასვლამ ერთი მიზნით გააერთიანა იმამის მფლობელობაში მყოფი ყველა საზოგადოება.

სხვათა შორის შამილმა ანდიის, ვუშბეთისა და ჩეჩნეთის მრავალი საპატიო პიროვნება ჩამოახრჩო მხოლოდ იმისათვის, რომ მათ დროულად ვერ გამოიჩინეს მზაყოფნა იმამის განზრახვათა განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად. ასეთ ვითარებაში დაუდგა მას 1841 წელი. ჩირქეის ექსპედიცია

⁶ როცა შამილი მიუვებოდა გამრისა და შუბუთის ბრძოლებს ამბავს, თან მიჩვენებდა ჭრილობებს სხეულზე; აი, — თქვა მან შემდეგ, — რამდენი ტანჯვა მარჯუნეს გარეშე და შინაურმა მტრებმა (ავტ. შენიშვნა).

და ხუბარის საქმე კვლავ ემუქრებოდა იმამის ძლიერებას. ბედის სწაბარად მიტოვებულ ერთგულ ჩირქელებს მისადმი ნდობა შეერყათ. ამ ახალი მარცხის გამო შამილს განუდგნენ ახვერდ-მაჰმადი და ანდიის ყალი, რისთვისაც პირველი დროულად ჩამოიცილა გზიდან. ხოლო მეორე დახვრიტა ოცდაორი ტყვიით. უკანასკნელად ლელავდნენ ანდიელები, რომლებმაც ჩაქვრებული ქვევრი ათმინეს მათდამი შამილის უნდობლობის გამო. და იმ დროს, ჩვენ წინსწავ-წეულიყავით გუმბეთისა და ანდიის მიმართულებით, მოსახლეობა ჩვენს მხარეზე დიდი სიხარულით გადმოვიდოდა. აუხის მიმართულებით ჩვენმა ლაშქრობამ შამილს საშუალება მისცა ღონე მოეკრიბა; რაც შეეხება უამრავი ანდიელისა და გუმბეთელის ჩამოხრჩობა იმის გამო, თითქოს მათ არ უნდოდათ მონაწილეობის მიღება ჩირქეის ექსპედიციაში, მოსახლეობას მიუჩილებსადმი მორჩილებით განაწყობდა.

და ბოლოს 1842 წლის ბრძოლები, როცა შამილმა დაიპყრო ყაზიყუმუხი, სადაც მისი მასწავლებელი ჩემალ-ედინი შარიათს ავრცელებდა. ჩქერიისა და ილალინის ექსპედიციებმა გააძლიერეს შამილი, მისი ქვეშევრდომი ჩეჩნეთი და დაღესტანი და განამტკიცეს მისი ხელისუფლება. ერთის მხრივ ერთგულება, მეორეს მხრივ ღვთისმოშიშობა, ფანატიზმი და ჯალათის ძალმომრეობის წინაშე ძრწოლა აერთიანებს ამჟამად მთელ დაუპყრობელ მასას, მრავალტომიან საზოგადოებას ერთი მიზნის გარშემო — შამილის ნებას დაუმორჩილოს მთელი დაღესტანი და ჩეჩნეთი.

მიუხედავად ამისა, შამილის თითქმის განუსაზღვრელი ხელისუფლება მაინც მერყეობდა. ეს ხელისუფლება ძირითადად შენარჩუნებული იყო შიშით, რომელსაც მოეცვა მთელი მოსახლეობა. ფანატიზმისა და შამილის წმინდანობის შესახებ რწმენა არც ისეთია, როგორც ეს იყო ყაზი-მოლასა, ჰამზათ-ბეგისა და შამილის ბატონობის პირველ პერიოდში. ჩეჩნები, რომლებიც შარიათის დიდი მიმდევრები არ იყვნენ, ხშირად მერყეობდნენ, ანდია მზად იყო ყოველ წუთს სიამოვნებით შეხვედროდა რუსებს. მთელი მოსახლეობა ფაქტიურად შამილის წინააღმდეგ იყო განწყობილი. ასე რომ, ერთი ჩარევა, ერთი დარტყმა და შამილის ძალადობით შეკოწიწებული ხელისუფლება შემადგენელ ნაწილებად დაიშლება.

შამილის მმართველობა, სასულიერო, ადმინისტრაციული და სამხედრო თვალსაზრისით

მთელი დაუმორჩილებელი დაღესტანი და მთელი ჩეჩნეთი ქედს იხრის შამილის, როგორც თავისი იმამის, როგორც უმაღლესი მმართველის და როგორც ურწმუნხოთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავდადებულის წინაშე. ასე რომ, შამილმა თავის ხელში გააერთიანა მთელი სასულიერო, ადმინისტრაციული და სამხედრო ხელისუფლება.

7 შედგენილია თვით შამილისა და მისი მახლობელი პირების ნააზრობის მიხედვით (ავტორის შენიშვნა).

შამილის, როგორც სასულიერო პირის მნიშვნელობა არასდროს ზამბარა, რომელიც მას სწრაფად ამალღებს ერთმორწმუნე ხალხის თვალში და შარიათის გავრცელებით რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად აუღიანებდა შვიძლება ფართო მასებს. შამილი ყოველ ღონეს ხმარობდა, მტკიცე და დასაყრდენი ფანატიზმისა და მიურიდიზმის გასავრცელებლად. ამ მიზნით მან რამდენიმე სოფელში დაარსა სკოლები, სადაც უამრავი მოსწავლეა. ამ სასწავლებელში ძირითადად სასულიერო პირები და შამილის მიმდევრები ასწავლიან. ისინი ბავშვებსა და ახალგაზრდებს შთააგონებენ იმამის პატივისცემასა და მისი იდეების ერთგულებას. მოღვაწეები და ნასწავლი პირები ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობენ. სწორედ მათი მეშვეობით ცდლობდა შამილი ხალხთან დაკავშირებას. ხალხს შამილი წარმოდგენილი ჰყავდა წინასწარმეტყველის მოადგილედ და, რაკი შამილის საქმისათვის იბრძოდა, მაშასადამე, იგი ამით ჰეშმარით ღმერთსა და რელიგიას ემსახურებოდა. შამილი ავრცელებდა ხმას, ვითომ მას ჰქონდა ფარული კავშირი წინასწარმეტყველთან. ასეთი ხერხებით მან დიდი ნდობა მოიხვეჭა ხალხში.

თუნდაც ერთი მაგალითი: სექტემბრის პირველ რიცხვებში შამილმა ყველა სოფელში გაგზავნა ცნობა, თითქოს იბლის წიგნში ნათქვამი იყოს: რამაზანის დღეებში, ესე იგი 15 სექტემბერს, უნდა გაისმას ციური ხმა. ის, ვინც ჯიუტობს და შარიათს მტკიცედ არ ასრულებს, ამ ხმის გაგონებისთანავე სულს განუტევეს და თავს ამოჰყოფს ჯოჯოხეთში. იმისათვის, რომ თავი დააღწიონ ამ გარდაუვალ სიკვდილს და არ გაიგონონ საშინელი ხმა, იმამმა უბრძანა ყველას — ზუთი ნამაზის შემდეგ დაახლოებით საღამოს რვა საათზე და მთელი ღამე ევედრონ ღმერთს და ერთხმად თქვან ღვთის სადიდებელი გალობა: „ლა-ილაჰ, ილ-ალაჰ“. მთელი ღამე ამ ველური ძახილით ხალხს არაქათი გამოეცალა. მე მაშინ ვიყავი გუმბეთის სოფელ კუდაარში. ხოლო ჩემი მეგობრები დარღოში იმყოფებოდნენ. და ყველა ჩვენგანი ხედავდა და ესმოდა, მთელი ღამე როგორ ლოცულობდა ხალხი იმის შიშით, რომ არ გაეგონა ციდან მომაკვდინებელი ხმა. მორწმუნენი მთელი ტანით თრთოდნენ, კანკალებდნენ და ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ. შიშისა და დაღლილობისაგან ზოგიერთი გაგუდული ეცემოდა, ხოლო ლოცვას მაინც არ წყვეტდა, რომ ციური ხმა არ გაეგონა. ეს იყო საშინელი სანახაობა. ასე ღრიალებდა ხალხი მთელს დაღესტანში განთიადამდე. გამთენიის ხანს ყველაფერი მიწყნარდა, ხალხის ასეთ აღზევებას და ცოდვებისაგან „განწმენდას“ ჯემს ან ტარიკატს უწოდებენ.

აღმინისტრატია

სარწმუნო პირთა გადმოცემით შამილის ხელქვეითთა რიცხვი საკმაოდ ბევრია. ამ არაორგანიზებული და სხვადასხვა ტომისაგან შემდგარი მასის უკეთ ხელმძღვანელობის მიზნით მთელი დაღესტანი და ჩეჩნეთი დაყოფილ იქნა სანაიბოებად, რომელსაც მართავენ ნდობით აღჭურვილი და გამოცდილი ნაიბები. მათი ზედამხედველობისა და საქმიანი განკარგულებების დროულად შესრულებისათვის, რუსთა მმართველობის მეზობლად

მყოფი სანაიბოები შეერთდნენ და შეიქნა უბნები და ოლქები, რომლებსაც განსაკუთრებული მმართველები მიუჩინეს. ისინი ზედამხედველობას უწევდნენ სანაიბოებს და როგორც კი შარიათის კანონების საწინააღმდეგო მოქმედებას შენიშნავენ, თავიანთი შეხედულებისამებრ სჯიან ან ასმენენ შამილთან.⁸

ოლქი სულ სამია: ა. ჩეჩნეთის ოლქი, რომლის უფროსი ^{შამილის-ერთ-}ერთი სიჰამრი აბდულა წახკარი, წარმოშობით ყაზიყუმუნელი, ცხოვრობს ჩეჩნურ სოფელ შელინში — ამჟამად დიდი გავლენითა და პატივით სარგებლობს. მის მფლობელობაში შედის შემდეგი სანაიბოები: შუბუთა და ჯაბერლა. მისი პირველი ნაიბი იყო ჯევათ-ხანი, რომლის სიკვდილის შემდეგ ნაიბი გახდა სვაიბ-მოლა. დიდი ჩეჩნეთი, (ნაიბი ახვერდ-მაჰმადი), იჩქერია (ნაიბი შუაიბი), აუხი, (ნაიბი ულუ-ბეი).

ბ. ავარიის ოლქი, უფროსი ჰაჯი-მურატი. ამესთან შემოდის თლოხის, თეხნუცალის, აუხვახის, კარატის და ყოისუბუს აულები.

გ. ანდალალის ოლქი, უფროსი ტილიტლელი კიბიტ-მაჰმადი.

I. ხიდათლი.

II. ანდალალი — მაჰმად-ყადი.

III. კარახი და თლესერუხი — კარახის ნაიბი — აბდურახმან-დიბირი. ბოიუმალს, კიალალს, ჯამალალს, უიკრიტლს მართავს ორი ნაიბი, მაგრამ ისინი ოლქს არ შეადგენენ.

ანდიის საზოგადოებას მართავს განსაკუთრებული ნაიბი — ანდიის ყადი. სალათავიას და გუმბეთს მართავს გუმბეთელი ნაიბი აბაქარ-დიბირი. დიდო, ანწუხი, ხვანალი და სხვა, რომლებიც მდებარეობენ ლეზგების მთის აღმოსავლეთით, ნეიტრალური სანაიბოებია.

ყოველ სოფელში დაყენებულია ყადი ან მოლა.

საქმეები სიტყვიერად წარმოებს და დაფუძნებულია შარიათის წესებზე. განსაკუთრებულ საქმეებს მოახსენებენ ნაიბებს, ისინი კიდევ თავიანთ ზემდგომებს და ბოლოს, მნიშვნელოვანი საქმე განსახილველად შამილამდე აღწევს: საბოლოოდ შამილი წყვეტს ყველა დიდ საქმეს. თავის გადაწყვეტილებებს იგი ყოველთვის უმორჩილებს ალყურანსა და შარიათს. ამიტომაც ყველა მისი ბრძანება უსიტყვოდ სრულდება. შამილის ბრძანებათა შესრულების მიმდინარეობის, აგრეთვე მოსახლეობისა და ყადების დამოკიდებულების მეთვალყურეობად ყოველ სოფელში იმამის მიერ დაყენებულია ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც უწოდებენ მურთაზალს და აღმასრულებელს. ასე რომ, იგი ასრულებს პროკურორის ან საიდუმლო პოლიციელის როლს. ისეთი საქმის გადასაწყვეტად, რომელიც ეხება მთლიანად მმართველობას ან სასულიერო პირებს, შარშან დარლოში ჯემალ-ედინის წინადადებით დაარსდა საგანგებო დივანხანის მმართველობა, რომელშიც მონაწილეობს მიურიდიზმისა და შარიათის კანონებით განსწავლული პირები.

⁸ სწორედ ასე დასმინეს შამილთან ახვერდ-მაჰმატი, რომელმაც მეოთხედ იქორწინა და ცოლის შესართავად გადაიხადა ოთხმოცდაათი მანეთი ვერცხლის ფული მაშინ, როცა შარიათის მიხედვით ოც მანეთზე მეტი არ უნდა გადაეხადა. მის მიერ გადახდილი მთელი თანხა გადაეგზავნა შარიათის ხაზინას. (ავტ. შენიშვნა).

შარიათი

მტკიცედ დაკანონებულმა შარიათმა ანუ წიგნმა, როგორც მას მთიელები ეძახიან, აღვირი ამოსდო ბევრ მხეცურ ადათ-წესს. ქურდობას და სისხლის აღებას ახლა აღარა აქვს ისეთი გაქანება, როგორც უწინ ^{მთიელების} მუშტი-კრივი და მკვლელობა. იმისათვის, რომ თავიდან იქნას ^{აქვს} აცლებული ყოველგვარი ჩხუბი, შეთქმულება და ხელისუფლების საწინააღმდეგო ქმედებანი, შამილი კრძალავს ღია ცისქვეშ სამზე მეტი კაცის ერთად თავმოყრას და საუბარს. ჩემი ტყვეობის რვა თვის განმავლობაში მოხდა მხოლოდ ერთი ჩხუბი. ერთმა ჩეჩენმა ხანჯლით დაუსახიჩრა მეორეს ცხვირი. ორივე დარღოში ჩამოიყვანეს. დივან-ხანმა გადაწყვიტა დამნაშავე ისევე დასახიჩრებულიყო, როგორც დაზარალებული. ეს გადაწყვეტილება მაშინვე სისრულეში მოიყვანა ჯალათმა ამ ოპერაციაში ჯალათმა ვერცხლის მანეთიანი მიიღო. შარიათის კანონით ნაბრძანებია: თვალის დათხრისათვის დამნაშავეს დაეთხაროს თვალი, კბილის დაძრობისათვის დაეძროს კბილი — სისხლი სისხლის წილ. თუ მოწინააღმდეგენი ნებაყოფლობით არ შერიგდებიან, მათ საქმეს განსჯის სასამართლო. სასამართლო ხშირად ხელმძღვანელობდა პრინციპით, მკვლელობისათვის გამოეტანა დახვრეტის განაჩენი, თუ დაზარალებულის ახლო ნათესავეები არ მიუტევებენ დამნაშავეს ან არ შეთანხმდებიან ფულადი საზღაურის გადახდაზე;

თუკი მოკლულს დარჩება მცირეწლოვანი ბავშვი, მკვლელს ჩააგდებენ ორმოში, სადაც ის იმყოფება დაზარალებულის შვილის სრულწლოვანებამდე — 18 წლამდე. ამის შემდეგ დაზარალებულის შვილს უფლება აქვს მოჰკლას იგი ან მისგან მიიღოს გამოსასყიდი. დარღოში ჩემი ყოფნისას ერთი ახალგაზრდა ჩეჩენი დასაჯეს იმის გამო, რომ თურმე მან შეაცდინა გოგონა. ჩეჩენი გაიქცა, მაგრამ შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს — ხალხმა ფეხით გათელა იგი, ხოლო დედამისი ტბაში ჩაახრჩო.

ასევე მკაცრად ისჯება ქურდობა. დარღოში ყოფნის დროს დივანს წარუდგინეს ორი ქურდი — ერთმა მოიპარა ცხვირსახოცი, ხოლო მეორემ — სპილენძის თუნგი, სასამართლომ გადაწყვიტა — გაეხვრიტათ ორივესთვის ცხვირი, გაეყარათ ზონარი, ერთისათვის მიემაგრებინათ ცხვირსახოცი, ხოლო მეორესათვის — თუნგი. მერე ისინი ჩაატარეს სოფელში, სცემდნენ და თან აიძულებდნენ ეყვირათ, რომ არიან ქურდები და სამართლიანად ისჯებიან. ხანდახან ქურდობისათვის სჭრიან მარჯვენას, თხრიან თვალებს, სიკვდილითაც კი სჯიან, ღვინის, არყის და სხვა მაგარი სასმელების ხმარებისთვისაც განაჩენი ხანდახან სიკვდილით დასჯამდეც აღწევს.

ასე ისჯება ის მიუბრუნებელი, რომელმაც არ შეასრულა დღე-ღამეში ხუთი ნამაზი. ეს მაშინ, როცა მორწმუნეთა უმრავლესობა დღე-ღამეში 22-ჯერ ლოცულობს. აკრძალულია აგრეთვე თამბაქოს მოწევა, აბრეშუმის ტანისამოსის ჩაცმა და სხვა ფუფუნებანი. სამაგიეროდ შარიათის კანონების კარგად შესრულებისათვის დამსახურებულ მიუბრუნებებს შამილი ასაჩუქრებს ცხენით, საქონლით, იარაღით, ფულით.

შეშინებულნი

სასულიერო პირების, მეჩეთების, ღარიბთა, ობოლთა და ჯარის შესანახად, რომელიც შამილის განკარგულებათ სულ მუდამ ბრძოლაში იყო უწყვეტ-ნოთა წინააღმდეგ, დიდი ხარჯები იყო საჭირო, რომელიც შარფთქცეულებიდან უნდა გაცემულიყო. ყოველგვარ შემოსავალს, რომელიც ხაზინაში შემოსული-ოდა, ანაწილებდა. თვით შამილი, როგორც ჯარის ნაწილებისა და სასულიერო პირთა უფროსი. შამილის სიკვდილის ან იმამის წოდების გაუქმების შემდეგ, ხაზინა გადადიოდა მის მემკვიდრეზე.

შემოსავლის წყაროები შემდეგია:

ზაკხატი, ანუ მთელი მიწის მესამედი. ორმოცდაათი ცხვრიდან ერთი ცხვარი. ათი მანეთი ვერცხლის ფულიდან ორმოცდაათი კაპიკი.

ხომიუსი. მთელი შემოსავლის მეხუთედი. მეხუთედი ტყვეებისა ან მათი გამოსასყიდელი თანხისა.

ბოითულ მომი — ესე იგი ჯარის ფული, რომელიც შემოდის და მანაშავეთაგან აგრეთვე ქონება სიკვდილით დასჯილი პირებისა.

სამხედრო ძალა და დაწესებულებანი

პირველი მოთხოვნისთანავე ნაიბი ვალდებული იყო გამოეყვანა საბრძოლველად იმდენი ქვეითი ან ცხენოსანი ჯარი, რამდენსაც შამილი მოითხოვდა.

მურტუზაკატის ჩვეულებრივი ნაკრები შესდგება ათი კომლისაგან. კომლიდან თითო სული, ხოლო შორეული სოფლებიდან — რამდენსაც შესძლებენ. გასული წლის შემოდგომაზე ლეკებს, ვისაც იარაღის ხმარება შეეძლო, ებრძანათ გამოეყვანათ თითო ცხენი, ხოლო ვისაც ცხენი არ ჰყავდა, გაეღო ფულით, თუ ფული არ ჰქონდა, უნდა გაეყიდა მიწა ან სხვა რამე და ეშოვა ფული. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ორმოში ამწყვდევდნენ, ბავშვებსაც კი ებრძანათ ეტარებინათ იარაღი, რათა გაწაფულიყვნენ და მალე მეომართა რიგებში ჩამდგარიყვნენ. მიუხრდიების თქმით, შამილს ერთდროულად შეეძლო გამოეყვანა ოცი-ოცდაათი ათასი ცხენოსანი და ქვეითი ჯარი.

შამილის დაღესტნური ჯარი არ იყო დანაწილებული ათეულებად, ასეულებად, ან ათასეულებად. ისინი თავიანთ ნაიბებთან ერთად მოქმედებდნენ ჯგროდ, ხროვად, ხოლო ჩეჩნები, განსაკუთრებით კი შუაიბისა და ულუბეის-ჯარები დაყოფილი იყვნენ ასეულებად და ხუთასეულებად. ასეულებისა და ხუთასეულების მეთაურებს ჰქონდათ განმასხვავებელი სამკერდე ნიშანი — სამჭიმინი და ხუთჭიმინი ვარსკვლავი.

სალაშქროდ გამოსვლის დროს ყოველ მთიელს თან უნდა ჰქონოდა რამდენიმე დღის სურსათი. მერე კი ჯარს სოფლები ამარაგებდნენ სურსათ-სანოვაგით. ხანდახან ამისათვის თვით შამილი უშვებს თანხებს. ასე მაგალითად, ოსუნგურთან მან გასცა ყოველ ათ სულზე ერთი მანეთი ვერცხლის ფული.

დიდძალ ხარჯებს მოითხოვს შამილის პირადი მცველების შენახვაც, რომელიც სამას კაცს აღემატება. მცველთა უმრავლესობა არის ჩირქეიდან და გიმრიდან, რომლებიც ჩამოსახლეს გიმრსა და მის ახლომხლო მიდამოებში,

ყველა მათგანი შამილის ერთგულია და შეფიცულები არიან შამილთან — არასოდეს უღალატონ მას, არ შეურიგდნენ რუსებს, მთელი თავიანთი სიცოცხლე შამილის სამსახურს მოაბმარონ; არ მიმართონ ძარცვას, ქურდობას და იყონ შარიათის წესების სამაგალითო შემსრულებელი; პირად მცველთაგან ერთდროულად ყოველთვის არის მასთან ორასი კაცი. შამილმა ამიტომ მათ სრულ სამხედრო საჭურველს — იარაღს, ცხენს, ხშირად ასაჩუქრებს ფულით. მათთვის საგანგებო ყაზარმა აშენდა დარღოში, ოჯახები კი სახლებში ცოვრობდნენ.

თოფის წამალს მთიელები თვითონ ამზადებენ. განიცდიან ტყვიის დიდ ნაკლებობას, ამიტომაც ხშირად იყენებენ სპილენძის ტყვიას ან სხვა საშუალებებს.

ყოველ საზოგადოებას აქვს თავისი ნიშანი. ნაიბებს ორ-ორი, შამილს — სამი, მათ შორის ერთი ყვითელი, დანარჩენი თერ-წითლად შემოქობილი. ლაშქრობისა და ბრძოლის დროს შამილი გარემოცულია მცველებით, რომლებიც თვალს არ აშორებენ მას. იქვე ახლომახლოა ჯალათიც. როცა შამილი ჯარს ესტუმრება ან ჩაუვლის მას, ატყდება თოფების სროლა. მამაცობისათვის შამილი აჯილდოებს მათ. მამაცობისათვის დაწესებულ მედალს აქვს წარწერა ალყურანიდან, რომელიც იუწყება: „ლაი ხეველა ვოალა კუვოტა ილაპ ბილაპ“ („არა-რაობაა ძალა, ციხე-სიმაგრე — გარდა ღვთისა“).

შამილის პოლიტიკური საზუალებანი, ხალხის თვალში ამაღლების ხერხები

იმისათვის, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს მთიელების თვალში, შამილი იყენებს სხვადასხვა პოლიტიკურ ხერხს. ასე მაგალითად, იგი ცდილობს დაარწმუნოს თანამემამულენი, რომ თურქეთის სულთანი ან ეგვიპტის ფაშა დიდ მონაწილეობას ღებულობენ მის საქმიანობაში, ეხმარებიან რჩევით, ფულადი სახსრებით, ჰპირდებიან ჯარის გამოგზავნას; იმისათვის, რომ ეს მითქმამოთქმა უფრო სარწმუნო იყოს, შამილი ხანდახან რამდენიმე დღით გაუჩინარდება, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი ცნობები მიეღოს, ან ყაბარდოელთა ვადებს თუ სხვა უცხო პირებს საიდუმლოდ იღებდეს ან ამზადებდეს მათთვის პასუხს თავიანთი ელჩების თანხლებით. ასეთი ხმები ხშირად აღწევდა ჩვენს ორმომდეც.

ავვისტოს თვეში მართლაც მოვიდა დარღოში შამილთან ერთი ყაბარდოელი, რომელიც თავის ქვეყანაში ეპატივებოდა დაღესტნის იმამს. ელჩი დიდი საჩუქრებით გააცილეს დარღოდან. იმავე თვეში შამილმა გაგზავნა სამი ჩირქეელი მიურიდი სულთანთან და ეგვიპტის ფაშასთან. თითოეულ მათგანს მისცა ოთხმოცი მანეთი ვერცხლის ფული სამგზავროდ. მათ ევალეობდათ სულთნისა და ფაშასათვის ჩაეტანათ წერილები, სადაც შამილი იტყობინებოდა თავისუფლებისათვის, სარწმუნოებისათვის, ალაჰისა და წინასწარმეტყველის სადიდებლად მთიელთა მიერ გაწეულ მრავალწლიან ბრძოლებზე.

თხოვდა მათ, თუ ისინი ჭეშმარიტი მუსულმანები იყვნენ, მიეშველებინათ მთიელებისათვის შეიარაღებული ჯარი, არტილერია და ფულადი დახმარება, რათა აღეგავათ რუსთა სახსენებელი წმინდა მუსულმანური მიწა-წყლიდან.

ეს ჭორები ირწმუნეს მთიელებმა და დიდხანს ელოდებოდნენ სულთნისა და მუჰამედ-ალისაგან შეპირებულ დახმარებას. ხანდახან შამილი მიუჩივდებოდა უჩვენებდა ფართო ქალაქზე დაწერილ, ბეჭედდასმულ წერილებს, რომელიც თითქოს თურქეთისა და ეგვიპტის ხელისუფალთაგან ჰქონდა მიღებული. სინამდვილეში ეს ქალაქი ადგალზე იყო დაწერილი, ხოლო ბეჭედდასმული-ლაც ქედური ხელოსანი ლეკის (ხელოსანი ბუტაშ-უხტა) მიერ დაწერილი-საგან გამოჭრილი აქვე, დარღობივ.

ჯემალ-ეღინე ყაზიყუმუხანი

თავისი ბრძოლებით, გონებამახვილობით და ხშირად ასეთი იოლი ხერხებითაც კი შამილი დაღესტნელების თვალში დიდ პოპულარობას აღწევს. მაგრამ შედარებით პირველ პერიოდთან, როცა ჩაისახა შარიათის მოძღვრება, ფანატიზმი უკვე ის აღარ იყო და შამილის წმინდანობაც უწინდებური ბრმა რწმენით აღარავის სჯეროდა.

მაგრამ არის კაცი დაღესტანში, რომელიც პირველი იმამის დროიდან დღემდე დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს თავისი წყნარი და მშვიდობიანი ცხოვრებით, სამართლიანობით, პრინციპულობით, განსწავლულობით, წარმოშობით და შარიათის აღსრულების სიმკაცრით. ის იყო პირველი მქადაგებელი ამ მოძღვრებისა და მასწავლებელი ყაზი-მოლასი, ჰამზათ-ბეგისა და შამილისა, რომელმაც ხალხის თვალში მოიპოვა წმინდანის სახელი — ეს კაცი არის ჯემალ-ეღინე.

მასზე მრავალი ლეგენდა დადის დაღესტანში. ამბობენ, თითქოს ანგელოსმა იხსნა იგი ასლან-ხანის დევნიდან. ბევრს უნახავს სახეგავარჯარებული როგორ გაფრენილა იგი ღრუბლებზე მაღლა, რომ ანგელოსებთან ეფრინა.

ჯემალ-ეღინე დაიბადა ყაზიყუმუხში, სადაც გასულ წლამდე ცხოვრობდა. მერე კი გადასახლდა სულრათლში. თავის წინაპართა წარმოშობას თვლის სეიდის დროიდან (მუჰამედის შთამომავლობა). ასლან-ხანმა დაავალა მას თხუთმეტი კურინული სოფლის მმართველობა, მაგრამ მალე ჯემალმა უარი თქვა ამ უჩვეულო და თანაც მოსაწყენ მოვალეობაზე და ისურვა დარჩენილიყო უბრალო მირზად, ელოცა და შედგომოდა ყურანის შესწავლას. ეს იყო 1829-1830 წლები. მალე მისი განსწავლულობისა და წმინდანური ცხოვრების ამბავი ქება-დიდებათ მოედო მთელ დაღესტანს. მაშინ ყაზი-მოლა მხოლოდ უბრალო მოლა იყო — მაგრამ ამავე დროს — კაცი ცნობილი თავისი მეცნიერებით. ჯემალ-ეღინის სიბრძნეზე ხალხში დარხეულმა ხმებმა აიძულა იგი ყაზიყუმუხში გადასულიყო. იქ აუხსნა მან ყაზი-მოლას ყურანის საიდუმლოება, მუსულმანური სარწმუნოების საიდუმლოება, მიუჩივდების არსი და გადასცა თხუთმეტი წინაპართა შარიათზე, რომელიც ჯერ კიდევ კანტიკუნტად თუ იყო მისთვის ცნობილი ჯემალ-ეღინამდე. იცოდა ყაზი-მოლას მახვილი კვა-გონებისა და ხასიათის სიმტკიცე და შთააგონა მას, თავად ეტვირთა შარიათის გავრცელება; ჯემალ-ეღინმა მკაცრად აუკრძალა ყაზი-მოლას რუსების წინააღმდეგ ბრძოლა. პირიქით, მოუწოდა დაეშოშმინებინა ვეზის ხმას აყოლილი დაღესტნელები, ეზიარებინა ისინი ქრისტიანებისათვის. შემდეგ კი გზა დაულოცა ყაზი-მოლას თავისი წმინდა და კეთილშობილი მოვალეობის შესასრულებლად.

ყაზი-მოლა ღრმა ფიქრებით დამძიმებული დაბრუნდა გიმრში და ორივემ არ გამოსულა არც ჯამაათზე (საერთო კრება), არც ნამაზის შესასრულებლად წასულა პარასკეობით ჯულის დღეს მეჩეთში საერთო ლოცვაზე. ბოლოს, ერთ პარასკევს ყაზი-მოლა მეჩეთში ხალხის წინაშე გამოვიდა და კაზმული სიტყვით დაიწყო ქადაგი შარიათისა და მიურიდიზმის — ხალხი გულამოსკვნილი ტიროდა და ქვითინებდა. მოხუცებმა დაიწყეს თავის შეხვევა ჩაღმებით, სახლებიდან გამოყარეს ჭურჭელი, რომლებშიც ესხა მაგარი სასმელები — არაყი ან ბუზა, სპობდნენ თამბაქოს და ჩიბუხს. ასე წარმოიშვა შარიათი და მიურიდიზმი. შემდეგ მისი გავრცელება და განვითარება საკმაოდ ცნობილია. ჯემალ-ედინმა საფუძველი ჩაუყარა ამ დამღუპველ მოძღვრებას, თვითონ კი უწინდებურად დარჩა თავისი სამშვიდობო მეცადინეობის ერთგული და არც კი ერეოდა იმ გადატრიალებებში, რომელიც ხდებოდა ხალხში მიურიდიზმის გავრცელების შედეგად. ის არც სიტყვით და არც მოქმედებით არ თანაუგრძნობდა დაღესტნელთა ბრძოლას რუსების წინააღმდეგ. ჯემალ-ედინი წინააღმდეგი იყო ამ სისხლისღვრისა. მართალია, არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდა, მაგრამ მისადმი დაღესტნელების სიყვარულსა და პატივისცემას არ ჰქონდა საზღვარი. მე თავად ვიყავი მოწმე, თუ რა აღფრთოვანებით შეხვდნენ მას დარღოში.

არ დარჩენილა სოფლის არც ერთი მცხოვრები — ქალები და ბავშვები, ჯემალ-ედინს არ შეხვედროდა. ჰკოცნიდნენ ჩოხის კალთაზე და ესალმებოდნენ საღვთო სიმღერებით: „ლა-ილაჰ, ილ-ალაჰ, დინუ იმამ ჯემალ-ედინ“ (ღმერთი ერთია ქვეყანაზე, ჯემალ-ედინი კი მისი წმინდანი). მას მოწიწებით შეხვდა თავად შამილი და პატივისცემით ემთხვია ხელზე.

მეორე დღეს, სექტემბრის ჯამაათის შემდეგ, რაზეც ზევით მოგახსენებდით, ჯემალ-ედინმა მეჩეთში შეყარა დარღოელები და დაიწყო ლაღადისი. ქადაგმა მკაცრად უსაყვედურა დარღოელებს შარიათის შეუსრულებლობა და განსაკუთრებით ყაზიყუმუბელებისადმი უსამართლო დამოკიდებულება, როცა ისინი მოქმედებდნენ არა როგორც ჭეშმარიტი მიურიდეები, არამედ მუტრატები — პირუტყვზე დაბლა მდგომები — ყაჩაღობითა და ძარცვით რომ გაუმასპინძლდნენ მოსახლეობას, ხალხს, რომელმაც დარღოელები პატივისცემით მიიწვია და ასეთივე კრძალვით მიიღო. შემდეგ ჯემალ-ედინმა მიმართა შამილს: მე მკაცრად აგვირძაღე რუსების წინააღმდეგ იარაღის აღმართვა, მაგრამ არ შეისმინე ჩემი დარიგება, რასაც შესაძლოა მოჰყვეს შენი აღსასრული. გირჩევ ახლა მაინც შეწყვიტო ომი. თუ ეს არ გასურს, ის მაინც არ დაივიწყო, რასაც ახლა გეტყვი: წყეულიმც იყავ ღვთისა და მისი დიდი წინასაწრმეტყველისაგან, თუ ოდესმე შენ ან შენი მიურიდი გაძარცვავს მუსულმანს — თუნდაც რუსთა მიერ დამორჩილებულს. წყეულიმც იყავ შენ, თუ იმამობას ხელში აიღებ მიურიდიზმის წესების უგულებელყოფით და ხელისუფლების მოპოვებას ანაცვალებ ჩვენს წმინდა მონაპოვარს. წყეულიმც იყოს ყველა, შენ რომ გარს გახვევია და გემსახურება, არა როგორც ჭეშმარიტი მიურიდი, არამედ შოვნისა, გამოძალვისა და სისხლისღვრის წყურვილით შეპყრობილი.

ხალხი ღელავდა საშინელი ღამის მოლოდინში. ისინი მთელი დღე ქვითინებდნენ და ლოცულობდნენ, შემდეგ ჯემალ-ედინმა ყურანზე დააფიკა შამილის 200 მცველი, რომ იქნებოდნენ შამილის ერთგულნი და შეასრულებდ-

ნენ შარიათის წესებს, ილოცებდნენ ხუთიდან ოცდამდე დღე-ღამეს, არ გამოიჩენდნენ ანგარებას, არ დაიწყებდნენ ძარცვას, ყაჩაღობას.

დანამდვილებით არ შემოიძლია გითხრათ, მაგრამ დარღობაში მოხვდა თითქოს ჩეჩნებმა ნოემბრის თვეში ყიზლარის თავდასხმის დროს გაძარცვეს სოფლები. გამოძიების დროს ჭეშაღის მქადაგებლებმა ნახეს თითქმის ყველანაღვლი, გარდა რამდენიმე დაკარგული პირუტყვისა და ცხენისა.

წასვლისას ჭეშაღ-ეღინმა მითხრა: ღმერთია ყველა თქვენგანის შემწე. მე დერვიში ვარ, თანაც მოლა, და ვიცი, რომ თუმცა ჩვენ ერთმორწმუნენი არა ვართ, მაგრამ ჩვენ, ყველანი, ერთმა შემოქმედმა შეგვქმნა, ამიტომ ცოდვა იქნება დავწყევლოთ ერთმანეთი. შშვილობით და გაიხსენე ხანდახან კაცი. რომელიც პატივისცემით გეპყრობოდა და ღვთის შეწევნით განსაცდელისაგან გადაგარჩინა.

შამილის ცხოვრება დარღობაში

თუ შამილი ძალიან მოუცლელი არ არის, ყურანის კითხვაში ატარებს დროს ან სამეურნეო საქმეების თადარიგშია, რაც უმთავრესად სახლისა და წისკვილის კეთილმოწყობაში გამოიხატება. სახლი მისი ორსართულიანია, რომელიც სულ ოთხი ოთახისაგან შედგება. ოთახები სადად და უბრალოდაა მოართული. აქ ყოველგვარ მშენებლობას ლტოლვილი რუსი სალდათები აწარმოებენ. მათვე აუშენეს შამილს მეჩეთი და წისკვილი. წისკვილის თვლები ბრუნავდნენ ცხენების ან ხარების მეშვეობით. ჩეჩნებისათვის ეს სიახლეა და ისინიც ყოველი მხრიდან მოდიან აქ, რათა ნახონ ეს გამოგონება. ჩვენგან ლტოლვილი სალდათები მთებში უკიდურეს სიღარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრობენ; ისინი გრძნობენ თავიანთ დანაშაულს და მზად არიან მოინანიონ, მაგრამ სასჯელის ეშინიათ.

შამილს ჰყავს სამი ცოლი — გიმრელი უზდენის ასული ფატიმათი, რომლისგანაც ჰყავს სამი შვილი: უფროსი ჭეშაღ-ეღინი — სანკტ-პეტერბურგშია, მეორე ყაზი-მაჰმადი და უმცროსი მაჰმედ-შაფი ცხოვრობენ დარღობაში და სწავლობენ ყურანს. მეორე და ყველაზე უსაყვარლესი ცოლი არის მისი ყოფილი ტყვე, მოზდოკელი მდიდარი სომხის შვილი ანა ულუხანოვა. ანას ძმებმა არაერთხელ შესთავაზეს შამილს დის გამოსასყიდი ფული, მაგრამ შამილი არამც და არამც არ შეეღობა ცოლთან განშორებას. ანა მართლაც რომ მშვენიერია შესახედავი იყო. მას შემდეგ, რაც გენერალმა გრაბემ იჩქერიიდან უკან დაიბრუნა, ჩვენ ანდიდან დარღობაში წაგვიყვანეს; ანა მეთვალყურეობას გვიწევდა. შამილმა ის მუსულმანურ სარწმუნოებაზე მოაქცია. ლაპარაკობს რუსულად და სომხურად, ამიტომაც გვიადვილდებოდა მასთან საუბარი. მე ჩავუკარი, რომ სრულიად გადაავიწყდა თავისი სარწმუნოება და სამშობლო და მთელი არსებით მიენდო ქრისტიანული სარწმუნოების მტერს შამილს. მან მიპასუხა, რომ ძალიან განიცდის იმას, რაც მოხდა წარსულში, მაგრამ უძლურია, თავი დააღწიოს მდგომარეობას, ამიტომ იძულებულია ილოცოს მუსულმანურ წესზე და უყვარდეს შამილი, რომელიც მას მოფერებით თავბრუს ახვევს. შამილს ისე შეუყვარდა ანა, რომ ყველაფრის ნებას აძლევდა. არც ისე იშვიათად ანა აიძულებს ბუნებით დარბაისელ შამილს იხტუნოს და იკუნტრუშოს ოთახში. ნოემბრის თვეში, როგორც მე ვამბობდი, შამილმა უკვე მესამედ იქორწინა.

ყაზიყუმუხელ აბდულა წახკარის ასულზე. სხვათა შორის შამილი იშვიათად ცხოვრობს ხანგრძლივი დროით დარღობში. იგი ხშირად დადის ამა თუ იმ საზოგადოების დათვალაფრებაზე, თვალყური რომ ადევნოს ნაიბების მმართველობას და ამავე დროს გაიგოს, როგორ სრულდება შარიათის წესები. როცა იგი ჩეჩნეთში მოგზაურობს, უსათუოდ თან ახლავს დალესტნელები ტყველო დალესტანში — ჩეჩნები. ამას ის აკეთებს საკუთარი უშიშროებისა და ყოველგვარ პირმოანეთა და მლიქვნელთა დასაფრთხობად. ასეთი მგზავრობის დროს მას თან ახლავს რამდენიმე ათასი მცველი.

ჩემს გაქცევამდე ხშირად მოდიოდა ჩვენთან. ბრძანებდა ამოვეყვანეთ ორმოდან და გვესაუბრებოდა. აინტერესებდა ჩვენი ცხოვრების წესები, ჯარების შემადგენლობა, სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობის პოლიტიკური მდგომარეობა, თურქეთის ამბები და სხვა. ჩვენი საუბრის მთავარი თემა იყო თურქეთი, ეგვიპტე, მექა. მისი აზრით, ეგვიპტის მუჰამედ-ალი უფრო მაღლა იდგა, ვინემ თურქეთის სულთანი, რადგან თურქეთს წაართვა თითქმის მთელი სახელმწიფო, მიაღწია მთელი მუსულმანური სამყაროს უფროსობას და დაიმორჩილა გიაურების ქვეყნები: ინგლისი, საფრანგეთი და ევროპის სხვა სახელმწიფოები. მუჰამედ-ალი, — გვიამბობდა შამილი, — მაღე დაიპყრობს მთელ რუსეთს და ტყვედ შეიპყრობს თქვენს მეორე ღმერთს. თქვენ არა გაქვთ ფული, არა გყავთ ჯარი, თქვენი ნაფლეთებად ქცეული მიწა ძლივს აღწევს ყირიმამდე და ყაზანამდე. მოსკოვი დიდი ხანია არ არსებობს. იგი გადაწვეს ფრანგებმა. ტყვეობისაგან თავდაღწეული მთიელების თქმით, კავიანი გლეხების გარდა ერთი სალდათისთვისაც კი არ მოუკრავთ თვალი. საერთოდ, ეგვიპტის ფაშა დალესტნელების თვალში, რაღაც არამიწიერი არსება იყო.

ერთ-ერთმა ჩვენმა ყარაულთაგანმა მოირბინა ჩვენთან და გადმოგვცა კონსტანტინეპოლიდან ონსოქოლოში ჩამოსული ვინმე ჯაბრაიმ-პაჯის ნაამბობი. თითქოს მუჰამედ-ალის ჰყავს ასიათასიანი არმია, ყოველ ჯარისკაცს ერთი თვალი აქვს შუბლზე და თავით ფეხებამდე შეჭავშნული არიანო. მთიელები იმდენად მსუბუქი ჭკუისანი არიან, რომ სჯერათ ასეთი სასწაულები. შამილი უხვად სარგებლობს მათი ჭკუანაკლებობით.

— შამილ, — მივმართე ერთხელ იმამს, — რა სარგებლობა გაქვთ თქვენ, მთიელებს, ჩვენს წინააღმდეგ ომისაგან. ადრე თუ გვიან რუსის ჯარი დაგიმორჩილებთ. ეს ბრძოლები კი დაგადარიბებთ და სიღუბჭირეში გამოყოფებთ.

— რა გაეწყობა, — მიპასუხა მან, — სამაგიეროდ ღმერთი შეგვიწყალებს და მოგვცემს მომავალში კარგი ცხოვრების საშუალებას. თქვენ გვირთულებთ ცხოვრებას, რისთვისაც გელოდებათ მუდმივი წამება.

— თუკი სულთანი, — ვთქვი მე, — რომელსაც თვლით თქვენივე იმამულაზამად (მოადგილეა წინასწარმეტყველისა), რომელიც თქვენი სასულიერო წოდების მესვეურია, ჩვენთან კეთილგანწყობილებაშია, ისევე როგორც სპარსეთის შაჰი, თქვენ რატომ არ ბაძავთ მათ? რომ დამორჩილებოდით ჩვენს დიდ რუს ხელმწიფეს, თქვენ ბედნიერები იქნებოდით, გააჩაღებდით ჩვენთან ვაჭრობას, იქნებოდით კმაყოფილნი და თან შეასრულებდით შარიათსაც.

— რა თქმა უნდა, — თქვა შამილმა. — მაგრამ თქვენ გგონიათ, სულთანი მუჰამედის კანონების ერთგულია, ხოლო თურქები ჭეშმარიტი მაჰმადიანები? ისინი გიაურებზე უარესები არიან. ოჰ, ერთი ისინი ჩამივარდებოდნენ ხელთ, ოცდაოთხ ნაჭრად ავქნიდი თითოეულ მათგანს სულთნიდან დაწყებულს. ის

ხედავს, რომ ჩვენ ერთმორწმუნენი ვართ, ამდენი წელია რუსებს ვებრძვიტ ღვთისა და სარწმუნოებისათვის; რატომ არ გვეხმარება? შენ მე გეუბნები თქვენს დიდ ფადიშაჰზე, განა შეიძლება ასე იწოდებოდეს ვიაურთა ხელმწიფე? ღმერთი ერთია ცაზე და თურქეთის სულთანი მიწაზე. სხვა ხელმწიფეებს ჩვენ არა ვცნობთ.

როცა სიტყვა ჩვენს გენერლებზე ჩამოვარდა, შამილმა თქვა: *შამილმა*

— გრძებ გაბედული კაცია, რასაც მოისურვებს, იმას აკეთებს. ფეხე მამაცი გენერალია და ჩვენი დაღესტნის დიდა ნაწილი კიდევ წაგვართვა.

შამილმა განსაკუთრებული ქებით მოიხსენია გენერალი კლუგენაუ, რომელსაც დიდი ნდობა აქვს მოპოვებული.

— კლუგენაუ, — განაგრძობდა შამილი, — მამაცი, პატიოსანი და კეთილი კაცია, მას სხვებივით არ ეჯავრება ჩვენი მუსულმანები. გიმრელი აბრეკები ხშირად იგონებენ, რომ შიმშილობის დროს კლუგენაუ მათ პურიტ ეხმარებოდა.

— აი, როგორ გექცევიან რუსები, ხოლო თქვენ შიმშილიტ გვხოცავტ აქ.

— მე მინდა დაგაუძღუროტ, — მიპასუხა შამილმა, — რომ არ გავვექცეოტ და ამიტ არ წამერთვას შვილის ნახვის შესაძლებლობა. მინდა გაწვალო თუნდაც იმის გამო, რომ ერეკლე მეორის შვილიშვილი ხარ. თუკი შენზე არ გადამიცვლიან შვილს ან დისწულს, დიდძალ ოქროსა და ვერცხლს მაინც ხომ მომცემენ?

მე ვარწმუნებდი, რომ არავითარი სიმდიდრე არ გამაჩნდა.

— სულ ერთია, მაინც უნდა გაწამო, რადგან თქვენი რუსები ჩემს შვილს სულს უხუთავენ.

— როგორ, შამილ, — მივმართე მე, — შენ განა არ იცი, რა ბედნიერია შენი შვილი?

მერე ვუამბე, თუ სად და რა მეფურად იზრდებოდა მისი შვილი, რა დიდა მომავალი ჰქონდა. მაგრამ შამილს ამისი გაგონებაც არ უნდოდა.

— შვილი ჩემი მოიქცევა გიაურად და დაიღუპება. დამიბრუნეთ ჩემი შვილი! მას მეტი არა უნდა რა, გარდა არაბული ენისა და ყურანის ცოდნისა. ღმერთი ყველა ჩვენგანზე ჰკვიანია. მან გვიწყალობა ეს წმიდათაწმიდა წიგნი. რაც ჩვენ გვინდა, ყველაფერი არის შიგნათქვამი, ხოლო რაც არ არის, ის არც გვინდა. — ასე მიპასუხა შამილმა ჩემს შეგონებაზე.

ანდია და მისი მნიშვნელობა შეტევითი ოპერაციების დროს

შამილის დაპყრობილ საზოგადოებათა შორის, თუ დაკვირვება და ალღო არ მლალატობს, მისი ხელისუფლების ცენტრალურ დასაყრდენ პუნქტად ანდია უნდა ჩაითვალოს, თუმცა ყველა ანდიელი როდია იმამის ერთგული.

ამიტომ ცხადია, რუსეთის არმიის თვალი და ყური დიდი ხანია მიპყრობილია ანდიისაკენ. რუსეთის არმიის სარდლობამ კარგად იცის, რომ თუკი ანდიას დაიპყრობს, ვერც მის ჩრდილოეთით მდებარე ჩეჩნეთი, და ვერც სამხრეთით განლაგებული საზოგადოებები ველარ შეძლებენ დიდხანს შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა. ყველაზე მოხერხებული გზები სწორედ ანდიიდან შედის ჩეჩნეთში და, თუ ანდია რუსეთის ხელში აღმოჩნდება, მერე ჩეჩნეთის დაპ-

ყრობაც გარდუვალთა. ამას გარდა, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ანდიისა და მისი ქედის დაპყრობის შემთხვევაში ჩეჩნეთი, რომელსაც ანდია შუაზე ყოფს, დაკარგავს დიდძალ საძოვრებს. ამით კი შამილს ხელიდან გამოეცლება საუკეთესო თავშესაფარი ადგილები და ბოლოს და ბოლოს ისიც ჩძულებული გახდება გაეცალოს აქაურობას.

ეროვნული

ანდიიდან ფეხის აღკვეთის შემთხვევაში შამილს მარჯვენა ხელის მხარეთი განლაგებულ აულებში დაედგომება, რადგან იქ უშიშროების გარანტია ნაკლები იქნება. ეს საზოგადოებანი კი უმეთაუროდ და სხვა ტომთა დაუხმარებლად რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში ვერაფერს გახდებიან და ძალაუნებურად ფარხმალს დაყრიან.

დაღესტანში ყოფნის დროს შესაძლებლობა მქონდა კარგად გავცნობოდი ანდიის რელიეფს და შემესწავლა იქ მისასვლელი გზები. დაღესტნობით ჩემთვის ცნობილია ორი გზა — ერთი, აულ ჭოხიდან ანდალალისა და აუხვახის გავლით, ხოლო მეორე — ჩირქეიდან სალათავის გავლით. მართალია, პირველი გზა მეტად რთულია, უძნელესი რელიეფით მიემართება და თავადაც მიხვეულ-მოხვეულია, მაგრამ ანდალალის დასაპყრობად მაინც რამდენადმე ხელსაყრელია, თუ ჩვენ ჭოხიდან ავიღებთ აულებს: რულჯას, ტილიტლსა და გოლოთლს. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენს ხელთ აღმოჩნდება შესანიშნავი ხაზი ავარიის ყოისუთი, საიმედო ზღუდე — მთიელთა თარეშს რომ აგვარიდებს და ავარიასთან საიმედოდ დაგვაკავშირებს. ამით კი უზრუნველყოფილი იქნება ავარიის უკანა მხარეში მოქცეული საზოგადოებების — აკუმოს, წუდახარის, ტაბახარის და ყაითაღის დაპყრობა. ასე რომ, ანდიის ხელში ჩასაგდებად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორივე გზას.

არანაკლებ საყურადღებოა მეორე გზა, რომელიც ჩირქეიდან სოფელ დანუხის, არლუნის, მეხელთისა და ეგრეთწოდებული „ანდიის ჭიშკრის“ გავლით შედის ცენტრალურ ანდიაში. ოთხჯერ მომიხდა მგზავრობა ამ გზით ზაფხულსა და შემოდგომაზე და ამიტომ კარგად ვიცი მისი ავიცა და კარგიც. მხოლოდ ამ გზას მიხედვა და ალაგ-ალაგ შეკეთება უნდა.

ხალხში გამიგონია და მთიელებსაც არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის ანდიის ჩრდილოეთით მიმავალ კიდეც ერთ გზაზე. ამ გზით მე არ მიმგზავრია და ამიტომ ვერაფერს ვიტყვი მის ღირსებასა და ნაკლზე. ასე რომ, ანდიაში შესასვლელად რამდენიმე გზაა და მათ შორის ყველაზე მოხერხებულია ის ორი გზა, რომლებზეც ზემოთ მქონდა საუბარი. ეს გზები ჩვენ საუკეთესო სამსახურს გაგვიწევს მაშინაც, როცა რუსთა შეტევითი ბრძოლების შედეგად შამილის ურდოები შეეცდებიან მიმართონ ყველაზე ვერაგულ ხერხებსა და საშუალებებს ჩვენი წინსვლის შესაჩერებლად. ამას გარდა, ეს მიმართულება აუცილებელია ჩვენთვის თუნდაც გუმბეთის ხელში ჩასაგდებად.

ვიწყებ ამ მიმართულების აღწერას იმ ვარაუდით, რომ იქნებ ამ აღწერამ ერთგვარი მეგზურობა გაუწიოს ჩვენს ჭარებს, როცა ისინი საჭიროდ მიიჩნევენ ანდიაში შესვლას.

ჩირქეიდან გზა მიემართება სალათავის მთების გავლით სოფელ დანუხში. ეს გზა ყოველმხრივ მოსახერხებელია და საკმაოდ ცნობილია წინა ექსპედიციებიდან. სოფელი დანუხი, როგორც პუნქტი, საიდანაც ჩეჩნეთისა და სხვა მიმართულებით გზები გადიან, უნდა გამაგრდეს. მით უმეტეს, რომ აქ შესაძლოა მოეწყოს საწყობები, სადაც შეინახება სურსათისა და ტყვია-წამლის მარაგი.

თხემებიდან დაშვებისთანავე დავიკავით ის კლდეები, რომლებიც ქმნიან დარლოს ხეობას. ეს სამხედრო ოპერაცია იოლი არ იქნება, მაგრამ არც მიუღწეველი ჩანს.

ანდიის სამხრეთით მდებარე საზოგადოებების საბოლოო დაწყნარებისა და დაპყრობისათვის შეტევის მოხერხებული მიმართულება გადის იმ გზაზე, რომლითაც მივემგზავრებოდი მე დარლოში მონოს, კონხიდათლის კარატის და ბოთლიხის გავლით. ამ მხრიდან მგზავრობა ისე ძნელი არაა, როგორც საწინააღმდეგო მიმართულებით — ანდალალიდან, სადაც ბუნებაც და მოსახლეობაც ზოგან მგზავრს სახიფათო სიძნელეებს უქმნიან; ამ მიმართულებით მიმოსვლისას — ანდიიდან სამხრეთისაკენ — საჭიროა გამაგრებულ იქნას ანდიის ყოისუს გადასასვლელი კონხიდათლისთან (სადაც ლეკებს ხიდი გაუდვიათ); სწორედ ეს უნდა იყოს დასაყრდენი პუნქტი შემდგომი წინსვლისათვის. აქედან კარატამდე ცამეტობდე ვერსილია. გზა საკმაოდ მოხერხებულია და არ თხოულობს შეკეთებას. ამ მხრიდან კარატამდე მისასვლელი ღიაა. აქ კი საჭიროა და აუცილებელი გვქონდეს საიმედოდ გამაგრებული საგუშაგო, რათა ავარიის ურჩ ნაწილს ვაგრძობინოთ რუსთა მხედრობის ძალა და ძლიერება. რაც შეეხება აუხვახს, იქ არ არის არავითარი ბუნებრივი თავსაფარი და ამდენად მისი აღება დიდ სიძნელეებთან არაა დაკავშირებული. ეს არ ითქმის ბოთლიხზე. ამ სოფელს აქედან ვერსაიდან მიუდგები. ერთადერთი გამოსავალია, პატარა რაზმი გაიგზავნოს ხუნძახის მიმართულებით, რათა იქიდან შემოუტეოს ბოთლიხს და ამ სოფელში გამაგრებულ მთიელთა რაზმებს ფარხმალი დააყრევინოს. ამით კი რუსთა მხედრობას საშუალება მიეცემა დაუკავშირდეს ავარიის მთავარ ხაზს და გამარჯვება იზეიმოს.

ასე რომ, თუ აულები და საზოგადოებანი რუსეთის მხედრობას დაემორჩილება, თუ ჩეჩნეთიც იარაღს დაყრის, შამილის განკარგულებაში დარჩება მხოლოდ ნეიტრალურად განწყობილი სოფლები დაღესტნისა. მათი იმედით შამილი დიდხანს ვერ იბოგინებს და შარიათის სულიერი მამა იძულებული გახდება თავისი დამნაშავე თავი ჩალმიანად დახაროს რუსთა მხედრობის წინაშე ან სამუდამოდ გაიქცეს მაჰმადიანთა სანუკვარ მექაში.





ჩვენი იუბილარი

გ ინდინარე წელს, დაარსებიდან 50 წელი უსრულდება მოსკოვის ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტს, ხოლო 30 წელი — მასთან არსებულ უმაღლეს ლიტერატურულ კურსებს. მოსკოვის ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტი ერთადერთია მსოფლიოში თავისი მისიონარობით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებულ ასეთივე ინსტიტუტს. მაგრამ ნაკლებ ავტორიტეტულს. მიმდინარე წელს შანოიში (ვიეტნამი) ხსნიან ამდგვარ ლიტერატურულ ინსტიტუტს, რომელიც ხელშისაწვდომი იქნება მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე, ლიტერატურით გატაცებულ ახალგაზრდებსათვის.

ინსტიტუტი და მასთან არსებული უმაღლესი ლიტერატურული კურსები ბრწყინვალედ ამართლებს თავის მოვალეობას, რაც ცხოვრებაში დაუხაზა: აამაღლოს საერთო კულტურული იდეური დონე ახალგაზრდა ლიტერატორებისა და პროფესიული მწერლების, სრულყოფილი მათი შემოქმედებითი, ინდივიდუალური, მწერლური ოსტატობა, ლიტერატურული პროცესი ასაბონ რეალურად.

გასაკვარი არ არის, რომ უმაღლესი ლიტერატურული კურსები დაამთავრეს ისეთმა საქვეყნოდ აღიარებულმა მწერლებმა, როგორცაა

სოციალისტური შრომის გმირები: მიხაილ ალექსევი და ჩინგიზ აითმათოვი, სახალხო პოეტები: ი. ზიედანი, დ. კუგულტინოვი, ყ. ყულიევი, ი. უხსაი, ა. შოგენცუკოვი და სხვები. ამავე დროს ბევრია ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები.

აქ ლექციებს და სპეცკურსებს კითხულობენ პუშკინის, ტოლსტოის, ჩეხოვის, გორკის, დოსტოევსკის, ბელინსკის ოსტატობაზე, სახელგანთქმული პროფესორ-მასწავლებლები.

ინსტიტუტში სუფევს ძმური ლიტერატურული მეგობრობა — საზღვარგარეთისა და მოძვე რესპუბლიკის მწერლებს შორის, ისინი თარგმნიან მოწინავე ლიტერატურას თავიანთ ენებზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხთა დასაახლოებლად და დასაკავშირებლად.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და, ჩუვამ პოეტ ვახილ ენდობთან ერთად მადლობით მოვიხსენიო ჩვენი ინსტიტუტის მსმენელი, ქართველი პოეტი ვაჟა დოღბაია, რომელმაც თავის მშობლიურ ენაზე აამეტყველა ჩვენს ინსტიტუტში მყოფი საზღვარგარეთისა და მოძვე რესპუბლიკის პოეტები. ცალკე წიგნად შეკონა მათი ნაფიქრ-ნაღვაწი და როგორც სურნელოვანი ქართული თაიგული უძღვნა მოსკოვის, გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურული ინსტიტუტის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ნიკოლაი გორბაჩევი

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მოსკოვის ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის პრორექტორი.

თარგმნა ვაჟა ღოღობაძემ



ნატალია სოკოლოვსკაია

(ლენინგრადი)

მოსკოვი

ყვავებს გადაკრავთ ფერი ტალახის,
ნახავთ, როდესაც ქუჩებს ჩაივლით.
აღბათ მრავალი მთა გადმოლახეს,
ახლა აქ ისმის მათი ჩხავილი.

შავები მოსავთ, თითქოს დაობლდნენ,
თითქოს მათ ყრანტალს მუდამ ვუსმენდით,
რადგან ყვავები შავად ყვაოდნენ
ანკარა ცაში დიდი რუსეთის.

ნესტორი, დიდი მემატიანე,
თხზავდა, ყვავების გუნდს დასცინოდა,
და, მოფრინავენ ტრიალ-ტრიალით,
ვით იუონის ცისფერ ტილოდან.

ეკლესიისკენ ჩუმად იძვრიან
და გუმბათებზე შავად ქრებიან...
მოსკოვი მაშინ უფრო ღვიძლია,
როცა ყვავები ემუქრებიან.

ონა მიცკიავიჩუტა

(ლიტვის სსრ)

* *

ჩვენ მომცინარეს ვუსხედვართ კოცონს,
კარტოფილს ვწვავთ და ტკარცალებს ცეცხლი,
კვამლი ცას ეძებს...

ცა მოჰგაუს ქოცოს —
პირთამდე სავსეს ოქრო და ვერცხლით.

ხეს ჩაფრენია ნისკარტით წალდი
 და ტყის სიმწვანეს ფარულად ერთვის.
 შუხის ლადარზე ქვითინებს მწვადი,
 ნაცარში კუთავს შაძლარი წვეთი.
 ძროხების ჯოგი მიელტვის ბუჩქნარს,
 ჩვენ კი რძით სავსე წინ გვიდგას ვარცლი.
 და სულ უბრალოდ, ურცხვად და ურჩად,
 კარტოფილს კანს და სიცოცხლეს ვაცლით.
 ღამის სიჩუმე ეძახის მამლებს
 და აყურადებს მნათობთა ქორალს.
 ო, რა ტკბილია სამშობლოს კვამლი,
 როდესაც იგი შენს სულში ქროლავს.



ვლადიმერ ხრისტოფოროვი

(ქ. მაგადანი)

• •

ძნელი ყოფილა, რომ გუშაგად ედგეს გონება
 გრძნობებს, რომელიც ქარს მიჰყვება, ვითარც
 ფრინველი.

ზოგჯერ პირიქით,
 გრძნობა ცდილობს მის დამონებას
 და მტვერნაყრილი, სახეცივი განსჯა პირველობს.
 წმინდაო სიბრძნე!

ფიცხი ვნების განსჯას რუ ცდილობ,
 გრძნობა — გონების ცივ კერაზე უნდა აენტო.
 და აჯობებდა ალბათ, უცილოდ,
 გონსა და გრძნობას ფრთა ჰქონოდა ერთი, —
 საერთო.

გრძნობა მიწაზე გაჩენიდან არის მლოცველი,
 გონება ცაში ისევ ადის ოქროს ფეხებით.
 ...კვლავ იზეიმებს ზეცის სული —
 ყოვლისმომცველი,
 (ვად ამალღებულ ადამის-ძის სულის შეხებას.

ივა ნიკოლოვა

(ბულგარეთი)

ქველი ეზო

თავისთავს არ ჰგავს ეს ძველი ეზო,
 დაუნაოჭდა სახე უდროოდ,

და სულ უბრალოდ, და უმიზეზოდ
დაკარგა ჩრდილი და სიმყუდროვე.
ალარც ხეები, არც ძველი მუხა, —
სულ რომ აფრქვევდა მწვანე სიმშვიდეს.
ჭრიჭინობლები აღარსად სწუხან, —
ლამით სიმღერის თმებს რომ იშლიდნენ
ძმებს მიუღიათ კარგი ბინები,
ნასულან... მე კი მომიხაროდა.
დავალ, ვუყურებ და ვიგინები,
თითქოს მოვედი სხვა სამყაროდან.
მაგრამ აქ, მაინც რაღაც ფაჩუნობს, —
ძველი, საამო და სასურველი.
ეზომ სახე რომ შეინარჩუნოს, —
არყოფნის სოფლის მწვანე სურნელი.



ვასილ ენდიკი
(ჩუვაშეთის ასსრ)

* *

ჩემში შორეულ ვარსკვლავების შუქი ციმციმებს,
სხივთა მარცვალ ზეცას ღვარად დის.
შუქ-მუსიკაში მოწოდება კივის, ისმინეთ:
სამყაროები სამყაროებს უხმობს მარადის.
ძახილს ვინც ისმენს, უსაშველო იპყრობს ნალველი,
შუქით წყურვილის მოკვლას ბევრი ვინმე ეცადა
და გააყოლა სული ლოცვას, ცაში აღვლენილს,
და წილნაყარი გახდა ზეცასთან.
სინათლის ტოტებს ვარსკვლავები ისევ არხევენ,
მთვარე სინათლის ცისფერ ჩქერალს ისევ მიაპობს.
მესმის შორეულ ვარსკვლავების შუქის ძახილი
და ჩემს თვალებში საპასუხო სხივი კიაფობს.

სერგეი მნაცაკანიანი
(მოსკოვი)

სამზარეულოში

ბროლში წითელი მზეა ჩაღვრილი,
სამარილეში ქათქათებს თოვლი.
თევზი, უღვაშის მოკლე აღვირით,
სულს ისევ ყალყზე აყენებს თროლვით.

ტანზე მზეები ცვივა ქერცლებად,
 დანა ცივ სისხლში ჟრუანტლად უვლის.
 თვალებს სიცოცხლის ფერი ეცვლება,
 ეტყობა, სხეულს შორდება სული.
 ფართხალებს გული და სადღაც მირბის,
 პირს ალებს...



სურს თქვას...

არაუინ უსმენს.

და მისი ბოლო მზერა — ირიბი,
 ჭერზე მიჭედილს მიაგავს ლურსმანს.
 ფარფლი ფრთებივით ფრენად მზად არი,
 მხოლოდ არ შესწევს ღონე და ძალი.
 და ისრებს მიშენს ზღვის ბინადარი,
 ძვლების თეთრ ისრებს...

იმტვრევა ძვალი.

ანატოლ ლონტიანი

(უდმურტის ასსრ)

• •

მთიბველების არ ისმის ჩქამი,
 ისვენებენ ალბათ ისინი,
 შენი სიმღერის გაკრთა წამი
 და ბოლომდე ვერ მოვისმინე,
 მწამს ამღერდები,
 აიწევა ჩემი ცის ჭერი,
 მაგრამ არ ვიცი, ჩემთვის მღერი,
 თუ ჩემზე მღერი.

ბორის ვიქტოროვი

(მოლდავეთის ასსრ)

გაყინული ვაშლი

ბაღში ვაშლის ხეს დასდებია ფერი ასკილის
 და ცის სარკეში, ანარეკლი უკანასკნელი
 ზამთრის დღეების, უხმაუროდ დააბოტებენ
 და გაყინული ვაშლი მოსჩანს ჩრდილში ტოტების, —
 უკანასკნელი საიდუმლო ჩვენი შეხვედრის,
 უკანასკნელი მონზე ჩვენი ცივი შეხედვის.

რომ ჩამოვარდეს, ვითარცა ხატს კრძალვით
 ვემთხვევი, —
 ვაშლს, შემორჩენილს ზამთრის მაღალ ტოტზე
 ვემთხვევით.

გადაუარა ბაღს ქათქათა ცივმა ღრუბლებმა,
 კანკალებს ვაშლი, მარტოობის ქარს უბუჩავს.
 მორჩა, გათავდა, ცამ სიმაღლე ძირს დაიფინა,
 ვერ გადავარჩენ ვაშლს, რომელიც მაღლა მიფრინავს.

ნიკოლოზ სიანოვი

(კალინინგრადი)

გათავდა

შენ შტორმს ბალებით არ ზომავ
 და არც ქარიშხალს სიჩქარით,
 ტალღა გემბანზე ამოდის
 ვითარცა იანიჩარი.

ღრუბლები —
 ზღვის ფრინველები,
 მიდიან...

სადღაც მიქრიან...
 თვითონ ხარ ქედმოუხრელი —
 პირველყოფილი სტიქია.
 უნდა დახატონ ტალღები,
 შენს ფერხთით უხმოდ დახრილი,
 სურათს დაარქვან ბილინის —
 ლეგენდარული სახელი.

იური უვაროვი

(ქ. გორკი)

* *

მელიამ კომეტასავით
 გადაჭრა თებერვალი
 და მწითური ფერი შეურია
 ტყის სიმწვანეს,
 ჩაქრა,
 ჩანავლდა,
 ჩაიწვა...

ვარსკვლავნი ნანნავენს იწნავენ.
 შენ ხარ თუ,
 შუქია მთვარის,
 თოვლიან ვალდაიზე დაღვრილი,
 მოგონებებს გაულე კარი,
 წუთებს რომ მოჰყავს აღვირით.
 ო, ჩემი ვალდაი!
 საამოდ ქათქათებს
 სივრცე
 და წუთი აქ ძვირად ფასობს.
 მშვიდობით, დავინყებას მივცეთ
 წყენა,
 რომელიც გვახსოვს.



ლევ ბარინსკი
 (რსფსრ)

საპარძელში მჯდარი

გარეთ სიჩუმე და ფერები თვალებს კვლავ ახელს,
 მას ტკბილად სძინავს,
 მიუპყრია სარკმლისკენ სახე.
 აღსავლით მთაა,
 დასავლით კი სადგომი ნავის,
 სძინავს,
 სიზმარი მაღალ შუბლზე
 ჩამოდის ჭავლად,
 დაღახვროს ღმერთმა, აღარსად სჩანს
 ფოფინა ჭალა
 და არც მღელვარე ზღვა კეთილი და ზოგჯერ ავი.
 ცა ესიზმრება მერე მას ლურჯი,
 ვიცი მე, რადგან ქედები ურჩი,
 მოულოდნელად ტყიანად გაქრა.
 მოვდივარ მე და სიცხადე მომაქვს,
 მზე ეფარება სიზმრის შავ სტომაქს
 და ზღვის წყვდიადში ტკაცუნობს აფრა.
 შეიფრთხილა კვლავ თოლიამ მძინარე
 ტვინთან,
 რომელსაც ხსოვნის ნათელი ტვირთავს,
 მე ახლა იგი, უეჭველად
 სიზმარში მნახავს.

ველლო ლატიკი

(ესტონეთის სსრ)

ემაიგი



ესტონური

წიგნების კავშირი

მარტოდ მარტოა, არ ყავს დობილი
 გულისთქმას მისას ვერვინ გაიგებს.
 მიდის, მიღელავს გულჩათხრობილი
 და გარდასულზე წუხს ემაიგი¹.
 მზის და სიცოცხლის მძლე მონატრულთა —
 ისმის სიმღერა ვითარც ეოსის.
 მიდის ქალ-ვაჟი ჩემი ტარტუდან —
 ხიდით ეშმაკის და ანგელოსის.
 მომხდურს თავისი ბევრჯერ მიაგო,
 საძრახი რა აქვთ მამა-პაპათა.
 ისე დგას ჩემი ტომემიაგი²,
 ვითარცა დედა ჩვილის აკვანთან.
 ძმაც არა ჰყავს და არცა დობილი,
 გულისთქმას მისას ვინღა გაიგებს.
 მიდის, მიღელავს გულჩათხრობილი
 და გარდასულზე წუხს ემაიგი.

ივან არბაიკო

(ბელარუსიის სსრ)

დრემლევი

წამლადაც არსად აღარ სჩანს ქოხი
 და არც ბიჭები, არც გოგონები.
 აქ დადის მხოლოდ დარდი და ოხვრა,
 მხოლოდ ტკივილი და მოგონება.
 გადამწვარ სოფელს მონყენილი გაჰყურებს
 ძეგლი;
 თვალეებში მიდგას სევდა მწუხრივით.
 ჰაერი თითქოს ღვინოა ძელგი
 ვსვამ და... ქარს მიაქვს ჩემი წუხილი.
 ცეცხლს უძოვია ყანები ჭვავის —
 მორწყული გლეხის ობოლ ცრემლებით,
 და... გადაუფრენს ზოგჯერ შავი
 ყრანტალით ყვავი,
 მინის პირიდან აღგვილ დრემლევეს.

¹ ემაიგი — დედა-მდინარე ესტონეთში.

² ტომემიაგი — მთა ესტონეთში.

კლასიკური ბიბლიოთეკა

ნეკროლოგის თავგადასავალი ანუ იზიკუსი



მ. თ. ხ. რ. მ. მ.

თარგმნა აკაკი ბრეზუაძემ

პირველი წიგნი

პარგა ხნის წინათ, ჯერ კიდევ დიდი ომის დაწყებამდე, სემიონ ივანოვიჩ ნეკროლოგმა ერთხელ ტრაქტირ „სევერნი პოლუსში“ მეგობარს ასეთი რამ უამბო:

— დეიდასთან მივდივარ პეტრეს კუნძულზე, სავსებით ფხიზელი, დაიხსომეთ! ზიდამდე არ ვარ მისული და მესმის — მჭედლებს ერთი რაკარუკი აქვთ. ვხედავ — ბოშათა ბანაკია. სხედან ბოშები, წვეროსნები, საშინელნი, ჭედავენ ჭვაბებს. დარბიან ბავშვები, ზღმურტლიანები — გული აგერევით პირდაპირ. ასეთი ბიჭი რომ საპნით დაბანოთ, იმ წუთში სულს გააცხებს, სისუფთავეს ვერ ეგუება.

მიახლოვდება ფაშფაშა ბებრუხანა. მოდი, ერთი გიმარჩიელოო, მდიდარი გახდებიო, — და ხელზე ხელს მტაცებს: — დაიდე ოქრო ხელისგულზეო.

სავსებით ფხიზელი საფულედან ოქროს ხუთმანეთიანს ვიღებ და ხელისგულზე ვიღებ. ხუთმანეთიანს თვალი ვერ მოვატანე, ისე გაქრა. ფული, თორემ ახლავე გოროდოვოის დავუძახებ-მეთქი, ვეუბნები ბოშას, ის წყეული საყელოში ხელს მავლებს და მიმათრევს, მეც მივყვები მონუსხული, ნებისყოფა სრულიად წამერთვა, თუმცა ფხიზელი კი ვარ. „ბატონო, ჩემო ბატონო, ნუ ბრაზობ, თორემ აი, რა მოგიწევს, — შეუბნება და სალოკი თითებით საზიზლარ ბრანწებს მიჩვენებს. — მარა თუ კეთილი იქენი, უოქროკაცი იქენი, ყოველთვის ასე იქნება“, — ჭვედაკაბას იწევს და ჩემს ხელს საძაგელ ბარძაყზე ისვამს. ძუძუებს იშიშვლებს და ეშვებს აღრაჭუნებს.

დავფრთხი, ფულიც მენანება, მისი ვაკვებისაც მეშინია, ფეხს ვითრევ და მიმარჩიელა, ათასგვარი თავგადასავალით აღსავსე ბედი გელისო, ცნობილი და მდიდარი კაცი გახდებიო. მეც მჯერა მისი წინასწარმეტყველებისა, — ჩემი დრო დადგება, პო, ნუ იცინით.

სემიონ ივანოვიჩის მეგობრები ხვიზვინებდნენ, აქნევდნენ თავს. მართ-

ლაც: ყველა, ყველა და სემიონ ივანოვიჩს კი არ ელოდა სახელი და სიმდი-
დრე. „პო-პო ათასგვარი თავგადასახადი! აბა, დავლიოთ. კაცო, ჯიღვე ერთი
სურა და ნახევარი ულუფა შნელკლოპსი მოიტა, პირშუშა მეტი მოაყო-
ლე“.

სემიონ ივანოვიჩი, — მკითხველს წინასწარ უნდა შეეჩინებინა, — სატ-
რანსპორტო კანტორაში მსახურობდა. საშუალო ტანისა იყო, სანდომიანი
სახე ჰქონდა, მკერდი — ვიწრო, შუბლი — დანაოჭებული, თმა — ცრელი;
თმას ხშირ-ხშირად თავის აქნევით ისწორებდა. არც ქერა იყო, არც წაბლის-
ფერთმიანი, მეორე ეზოში ცხოვრობდა, მეშჩანსკაიაზე.

— მე კი მჯერა, რომ უჩვეულო ბედი მელის, — იმეორებდა სემიონ
ივანოვიჩი და სხვების ხარხარს ბანს აძლევდა. მას ცეცხლზე ნავთს უსხამდ-
ნენ. „პო-პო, უჩვეულო ბედი! აბა, სულელი არა ხარ, სემიონ ნევზოროვ, —
მოვკვდი რაღა...“

დღე დღეს მისდევდა. მეშჩანსკაიაზე ეინფლავდა, მიდამოს ნისლი ეფი-
ნებოდა. კიბეებზე სამარხვო ღვეზელების სუნი ტრიალებდა. მეორე ეზოს
ყვითელი კედლები ისევე იდგნენ, როგორც დგანან ახლაც.

სემიონ ივანოვიჩი სამსახურს არ აცდენდა, კეთილსინდისიერად მუშა-
ობდა, როგორც ნამდვილი პეტერბურგელი. შაბათობით ტრაქტირში დადი-
ოდა. ეხურა კრაველის ქუდი და ეცვა კრაველის საყელოიანი პალტო. ქუ-
ჩაში ხშირად ეშლებოდათ მავანსა და მავანში და ისიც თავაზიანად აცხადე-
ბდა:

— უკაცრავად, შეგეშალათ, მე ნევზოროვი გახლავართ.

საღამოობით სემიონ ივანოვიჩს ხანდახან საყვარელი ეწვეოდა ხოლმე,
მეტსახელად „კნობკა“. ნებივრობის შემდეგ ჭალი ჩვეულებისამებრ კინკლა-
ობდა, იფხორებოდა, შმაშუნობდა, შემირთეო. აბა სიკვდილს რა ხელი ჰქონ-
და სემიონ ივანოვიჩთან: მისთვის ექვსი დღე უფერული იყო, მეშვიდე —
ზეიმი. გავიდოდა განჩინებული წლები და მის დაცარიელებულ ოთახს, სა-
დაც მრგვალი ღუმელი, რკინის საწოლი და უბადრუკი კამოდი იდგა, ხო-
ლო კამოდზე მალვიძარა ტიქტიკებდა, — სხვა მდგმური დაიკავებდა და
კვლავ გადაუვლიდა წლები მეორე ეზოს.

და მაინც — ბედი სწორედ ასეთ კაცს უმზადებდა მშფოთვარე და უც-
ნაურ ხვედრს. სემიონ ივანოვიჩმა მარჩიელობისთვის ტყუილა როდი გადაი-
ხადა ცოტაოდენი ოქროს ფული. მას სჯეროდა ბოშას სიტყვები, თუმცა სი-
მართლე უნდა ითქვას, თავს არ შეიწუხებდა, რომ ცხოვრების მდინარე
შეეცვალა.

ერთხელ სემიონ ივანოვიჩმა ანიჩკოვის ხიდზე ბიჭს შაურად გამოართვა
„სამკითხაო კარტის სრული დასტა ქალწულ ლენორმანისა, რომელმაც ნა-
პოლეონის ბედი იწინასწარმეტყველა“. შინ, საღამოს ჩაის შემდეგ, კარტი
გაშალა და გამოუვიდა სისულელე: „სიკვდილის სიმბოლო, ანუ მოლაპარაკე
თავის ქალა იბიკუსი“. სემიონ ივანოვიჩს დაკარგული შაურიანი დაენანა, კა-
რტი კამოდში ჩაკეტა, მაგრამ ხანდახან მეგობრებთან ერთად რომ დაღევე-
და, ტრაქტირის ბუღში რაღაც მომავლისმავგვარს კვრეტდა.

ამ წინათგრძნობის, შესაძლოა, რაღაც თანდაყოლილი თვისებების, ანდა
შეიძლება თვით ჰავის — წარმოსახვის გამაღიზიანებელი, ბურუსიანი პეტერ-

ბურჟუაზიის პარტიის — წყალობით სემიონ ივანოვიჩს ერთი სისუსტე დასჩემდა: გაზეთებში არისტოკრატების ამბებს კითხულობდა.

იყიდდა ხოლმე „პეტერბურგსკაია გაზეთას“ და თავიდან ბოლომდე წაიკითხავდა ბალების, წვეულებებისა და საქველმოქმედო ბაზრების აღწერას. „მავან და მავან გრაფთან ჭიჭა ჩაიზე ბრძანდებოდნენ: თავადის ქალი-სელსკაია-ბელოზერსკაია, გრაფინია ბობრინსკაია, თავადი და თავადის ქალი ლობანოვ-როსტოვსკები, უგანათლებულესი თავადი სალტიკოვი, თავადი იუსუპოვი, გრაფი სუმაროკოვ-ელსტონი...“

სემიონ ივანოვიჩის წარმოდგენით გრაფინიები შავწარბანი იყვნენ, საშუალო ტანისანი, მაქმანის კაბით მოსილნი, თავადის ქალები — აწოწილნი. ქერანი, მოლურჯო-ცისფერ კაბაში გამოწყობილნი, ბარონესები — მოწითალონი და ჩასუქებულნი, გრაფს უსათუოდ არწივისებური თვალები ჰქონდა, თავადს — უფრო რბილი შესახედაობა და პატარა წვერი. უგანათლებულესი თავადები თითქოსდა თვალით ვერ აღიქმებოდნენ.

ასე იჯდა ხოლმე სემიონ ივანოვიჩი ფანჯარასთან; მეორე ეზოში კრიდა; ნისლი ეფინებოდა სახურავებს... ხოლო სარკესავით კრიალა პარკეტებზე წკარუნებდა დეზები, შარიშურობდა შლეიფები. საუბრობდნენ ხმადაბლა... სუნამო, სურნელება... სვამდნენ ჩაის. ლაქიება შემოაქვთ ნაირ-ნაირი ტორტი, შაქრის ნამცხვრები, მურაბიანი ვაზები. გრაფინიები და თავადის ქალები საჭმელს არც ეკარებოდა. მაქმანებიდან რომელიმე თუ გამოყოფს პაწია თითებს და ერთ ბეწოს მოციცქნის. ოღონდ სკამებზე მსხდომნი ფეხებს ნაინარად ამოძრავებენ.

შებინდებულზე მოდიოდა „ენოპკა“. კხვირი აბზეკილი ჰქონდა, თანაც ტირილისაგან მთლად გაწითლებული. სთხოვდა, შემირთეო, სემიონ ივანოვიჩი თმას იჩეჩავდა და ცაურკვევლად პასუხობდა.

მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა, დიდი ამბები დატრიალდა: გადაეშვნენ უფსკრულში, ამოყირავდნენ, — ატყდა ომი. მაგრამ სემიონ ივანოვიჩს ეს ამბები ნაკლებ შეეხო. ფილტვების სისუსტის გამო ფრონტზე არ წაიყვანეს. ერთი წელი იარა ზაკისფერი ფორმით, შემდეგ კი ისევ ჩაიცვა პიჯაკი. „სევერნი პოლუსი“ დაიკეტა.

ცხოვრება მოსაწყენი გახდა. სპირტიანი სასმელები დაიკრძალა. აგერ, გაიცნობ სასიამოვნო კაცს, გაიხედავ და უკვე ფრონტზეა, უკვე მკვდარია. აღარავის აღარავითარი სიმტკიცე არ მოეძევება. „ენოპკა“ ფრონტზე წაიყოლა პეტროგრადში გავლილმა დრაგუნთა პოლკმა. ახლა შვიდივე დღე გაუფერულდა.

ერთხელ სემიონ ივანოვიჩს კამოდის დალაგებისას ქალწულ ლენორმანის სამკითხაო კარტი მოხვდა ხელთ, ჩაიციხა, გაშალა. და კვლავ თავის ქალა იბიკუსი ამოუვიდა. რის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ეს?

სემიონ ივანოვიჩს ერთი ხანობა დამლამობით ესიზმრებოდა იბიკუსი: ვეება და გამხმარი კუთხეში იდგა, იკრიჭებოდა. სემიონ ივანოვიჩს ძილში ნაღველი ეუფლებოდა, დილით კი ეზიზღებოდა იმაზე ფიქრი, რომ იბიკუსი კვლავ დაესიზმრებოდა. ერთ დღეს მან ნიშადურით გაწმენდილი ბოთლი ზანუა იშოვა. მწუხარზე სველ ფანჯარასთან მარტოკა მჭდომმა დალია და თით-

ქოა კვლავ მოელანდა რაღაც ბედნიერება... მაგრამ გული დაეჭექა. არა, ბოშამ იგი ნამდვილად მოატყუა.

ბედი ეი უცბად კარზე მოადგა.



სემიონ ივანოვიჩი დილით უშაქრო რკოს ყავას სწამდა და — ბუნებრივი პურის ნაჭერს ატანდა. გარეთ თებერვლის ნისლი ენიჭებოდა. სიღამამდ მოასუნთქებდა.

უცებ — წყაპ! — მკვეთრად გაიწყარუნა ფანჯრის მინამ და მაშინვე — წყაპ! — გაისმა წკრიალი. საწოლის გვერდით დაკიდებული პატარა სარკე ჩამოიფშვნა.

სემიონ ივანოვიჩს ლუკმა გულზე დაადგა, მაგიდას მოეჭიდა, თვალები გადამოკარკლა. ფანჯრის შიგა მინა დასკდა, გარეთა — ტყვიით იყო გახვრეტილი. ამძალებული ნისლიდან ბათქაბუთქი აღწევდა.

სემიონ ივანოვიჩმა ბოლოს ეზოში გასვლა გაბედა. ჭიშკართან ხალხი შეყრილიყო და ჩითისკაბიანი ქალი მოთქვამდა. ქალს გარშემო შემოხვეოდნენ და უსმენდნენ.

— შეეშინდა. ორჯერ ესროლეს, — განმარტა მეეზოვემ.

— ნევის პროსპექტზე საშინელი ბრძოლაა, მკვდრები ქერებივით ყრია, — მკვირცხლად წაილაპარაკა ვიღაცამ.

ქალმა ბლაგილს უმატა.

— ასეც უნდა. მეფე ეი ხნის წინ უნდა გაგვეპანჩურებინა. ეგ ვამბობი ეგა, — კვლავ თქვა მკვირცხლად მოლაპარაკემ.

ეს იყო და ჭიშკართან მდგომებმა ლაპარაკი გააბეს ომზე. დალატზე, შაქარზე, ნეხვიან პურზე. სემიონ ივანოვიჩს ხელები უკანკალებდა, მუხლები ეკეცებოდა, მეეზოვის ბინაში შევიდა და გახურებულ ღუმელს მიუჯდა.

მოპირდაპირე მხარეს მერხზე მეეზოვის ქალიშვილი იჯდა, თავშალი ეზურა და თექის ჩექმები ეცვა. რა წამს სემიონ ივანოვიჩი გაინძრეოდა, მაშინვე აჩურჩულდებოდა: „მეშინია, მეშინია“. სემიონ ივანოვიჩი გაბრაზდა და ისევ ეზოში იგვიდა. ამ დროს მოისმა ყვირილი. ვიღაც გაპარსული, ჩასხმული, ქილვაშებშედებილი კაცი შუა ეზოში დაგუდული ხმით გაჰყვიროდა:

— ეპატერიინჰოფის არხზე მელუქნეები უბნის უფროსს ცოცხლად წვავენ.

ამბავი ისეთი საშინელი იყო, სადარბაზოებში ქალების წივილ-კივილი ატყდა. ჭიშკართან ხელების ქნევას მოჰყვნენ. ქილვაშებიანი კაცი გაქრა. ნისლიდან ეი გრუხუნეი, ბათქა-ბუთქი, კაკანი ისმოდა.

სემიონ ივანოვიჩი შინ დაბრუნდა და სკამზე დაჯდა. დგებოდა ქვეყნიერების აღსასრული. ორყეოდა იმპერიის ბურჯი. საშინელი სიტყვა — რევოლუცია — აბურჭნილი ფრინველივით დაქროდა ქუჩებსა და ეზოებში. აი, ამ სიტყვამ კვლავ ატეხა ყვირილი ჭიშკართან. დაუცხრომლად, ზრინვით რახუნებდა ნისლიდან.

გული დაუღამდა სემიონ ივანოვიჩს. ხანდახან დგებოდა, თითებს ატყაცუნებდა და ისევ ჯდებოდა. ფანჯრის გარეთა მინის ნახვრეტში ქარი ზუზუნებდა. უსტვენდა: „მე შენ სიცარიელეს მოგაქმუებ, მოგაქმუებ და ბინიდან გამოგაქმუებ“.

დაღამებულზე ვიღაცამ შემოსასვლელი კარის სახელურს დაუწყო წვა-
ლება. წყვეტილ-წყვეტილ დარეკეს. შეძრწუნებულმა სემიონ ივანოვიჩმა სა-
დარბაზო კარი გააღო. მის წინ იდგა წინოთახის შუქით განათებული საოც-
რად ლამაზი ქალი — შავთვალა, ფერმკრთალი; აბრეშუმის ქურჭი ეცვე და
თეთრი ორენბურგული თავშალი ეხურა. მაშინვე შემოძვრა კარში და აჩქა-
რებით წაიჩურჩულა:

— ჩაკეტეთ... გადარაზეთ...

კიბეზე მალე ნაბიჯების ხმა და ჭლაცუნის გაისმა. კარს გარედან მოაწვ-
ნენ, მუშტი დაჰკრეს. „მოეშვი, წავიდეთ...“ — „აქაა ის ქალი“. — „მოეშვი,
ჩანდაბას მისი თავი...“ — „აბა, მეორე კიბეზეა...“ — ჭლაცუნის მიწყდა.

უცნობი კუთხეში იდგა კედლისკენ პირშექცეული. როცა ყველაფერი
მიწყნარდა, სემიონ ივანოვიჩს ხელზე ხელი სტაცა, თვალეები მიუახლოვა:
თვალეებში რაღაცნაირი გიჟური იუმორი უკრთოდა:

— დავრჩები... ხომ არ გამაგდებთ?

— რას ბრძანებთ, ცთხოვთ.

ქალი სწრაფად შევიდა ოთახში, საწოლზე ჩამოჯდა.

— რა საშინელებაა! — თქვა და თავშალი მოიძრო. — არაფერი მკით-
ხთ. აღმითქვით. აბა?

სემიონ ივანოვიჩმა დაბნეულად აღუთქვა, არაფერს გკითხავო. ქალი
კვლავ მიაჩერდა — შავ თვალეებში აზიური გზნება ედგა, ქუთუთოები ოდ-
ნავ შესიებოდა:

— დაღუბვის პირას ვართ, ვესმის? ორჯერ დავუსხლტი მათ. რა არამ-
ზადები არიან! ახლა სად გავიქცე? შინ არ დავბრუნდები. ღმერთო, რა წყვდი-
აღია!

ქალმა ფეხები დააბაკუნა და ბალიშში ჩაემხო. სემიონ ივანოვიჩმა რამ-
დენიმე გამამხნევებელი სიტყვა ამოღერდა. ქალი გასწორდა, ხელები მუხ-
ლებშუა ჩაიწყო:

— ვინა ხართ? (სემიონ ივანოვიჩმა მოკლედ აუხსნა) აქ მთელი ღამე
დავრჩები. იქნებ ფიქრობთ, რომ ჩემი ქუჩაში გავდება შეიძლება? კატა კი
არა ვარ.

— მაპატიეთ, ქალბატონო, ქცევაზე, ტანსაცმელზე გატყობთ, არისტოკ-
რატი ბრძანდებით.

— ასე გგონიათ? შესაძლებელია. თქვენ კი თავხედნი არა ხართ. ეს კარ-
გია. უცნაურია — რატომ შემოვირბინე თქვენთან. ეზოში გაგიყებულს მოვ-
რბივარ, ვხედავ, ფანჯარაში სინათლეა. ვკვდები, დავიღალე.

სემიონ ივანოვიჩმა სტუმარს დივანზე დაუგო ლოგინი. ჩაი შესთავაზა;
ქალმა ისე გააქნია თავი, წაბლისფერი თმა გაეშალა. სემიონ ივანოვიჩმა თა-
ვისი ლეიბი სამზარეულოში წაიღო.

— არაფრის გულისთვის! — იყვირა უცნობმა. — აქვე დაწექით. გავგიჟ-
დები. ლეიბი უკანვე შემოიტანეთ.

სემიონ ივანოვიჩმა შუქი ჩააქრო. დაწვა და მოეყურა, დივანზე წკაპ-
წყუბ — როგორ გადაიხსნა კაბის ქნობები, როგორ დაცვივდა ძირს ფეხსაც-
მელები. ოთახში სუნამოს სუნი დადგა. სემიონ ივანოვიჩს ხერხემალზე ჟრუ-
ანტელმა ჩაუარა, სისხლმა ოკვანესავით დაუწყო ფრთონა. სტუმარი აბრე-
შუმის ქურჭის ქვეშ წრივად დადგა.

— დავიტანჯე, აანთეთ სინათლე. ცივა (სემიონ ივანოვიჩმა ჭერზე ჩამოკიდებული ერთადერთი ნათურა აანთო). ალბათ წვეხართ და გშმაკმა არ იცის, რას ფიქრობთ. — ქალი მარდად შემობრუნდა და სახე ბალიშში ჩარგო. — მე მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციამ შემომავლო აქ. მაინც დამაინც ნუ იამაყებთ, ჩააქრეთ შუქი.

სემიონ ივანოვიჩი დაიბნა. ფეხსაცმლის გახდაც კი ვერ გაებედა. მაგრამ დაწვა და კვლავ ერთანტელმა დაუარა, სისხლიც ხან ცეცხლს უნთებდა, ხან ყინულივით უვლიდა.

— განა არ გესმით, რომ ვტირი? უგრძობელი, — თქვა ბალიშში სახე-ჩარგულმა სტუმარმა. — სხვას თქვენს ადგილზე გული გაუსკდებოდა ასეთი ტრაგედიის ნახვაზე. აანთეთ შუქი.

სემიონ ივანოვიჩმა კვლავ ჩართო სინათლე და დივანზე, ბალიშზე გაშლილი თმა დაინახა, ხოლო შავ-წაბლისფერი ბეწვის ქვეშ შიშველი მხარი. კბილი კბილს დააჭირა. დაწვა, უცნობი ისევ ასლუკუნდა, ისევ და ისევ ბალიშში ჩამხობილი.

— ქალბატონო, ნება მომეცით ჩაი ავადულო.

— ფეხები, ფეხები გამეყინა, — წიწინა ხმით გააბა ტირილი ქალმა. — ახლა ვედარასოდეს დავწყენარდები. ოცდაორი წლისა ქუჩაში გამაგდეს. უცხო ხალხში. სინათლე ჩააქრეთ.

სემიონ ივანოვიჩი თავის საბანს დასწვდა და ქალს ფეხებზე დააფარა, დააფარა და თვითონაც დივანზედ დარჩა. ქალმა ტირილი შეწყვიტა. სემიონ ივანოვიჩის გაგანიერებული ნესტოები ქურჭის ქვემოდან მომდინარე სითბოს გრძობდნენ. მაგრამ მას უღვთოდ ეშინოდა, არ იცოდა, როგორ მოქცეოდა არისტოკრატებს. ზურგს უკან, კუთხეში, სიბნელეში, — სემიონ ივანოვიჩი ვერ ხედავდა, მაგრამ იგრძნო — ამოიმართა და იდგა შიშველი თავის ქალა იბიკუსი.

— ბვალ უთუოდ თოვლზე ხელებგაშლილი ვეგდები, — ძალზე შესაბრალისად თქვა სტუმარმა. — აქ კიდევ სამეფო იღუბება.

— სულთ და გულით მზად ვარ ნუგეში გცეთ. თუ არ გცივათ, ნება მომეცით, ხელზე გეამბოროთო.

— მეტიმეტი სითამამეა.

ქალი გულადმა გადმობრუნდა. სიბნელეში მოცინარი ლაქასავით თეთრად ჩანდა მისი სახე. სემიონ ივანოვიჩი ახლოს მიუჭდა და უცებ გაბედა — სახეზე კოცნა დაუწყო.

დილით უცნობი გაიქცა, მადლობაც კი არ უთქვამს. სემიონ ივანოვიჩი ამოდ ელოდა მის დაბრუნებას — ერთი კვირა, ორი, მთელი თვე. კამოდში ქალწულ ლენორმანის კარტის გვერდით იდო ტუალეტის ნარჩენი, რომელიც მშვენიერ სტუმარს დაგიწყებოდა. სემიონ ივანოვიჩი ახლა ღამლამობით ხშირად ბორგავდა ლოგინში, წამოიწევდა და გიჟვით უცქეროდა ცარიელ დივანს. ეჩვენებოდა, რომ იმ ღამეს, ოდეს ფანჯრის ნახვრეტში სარი ზუზუნებდა, გაბედა და გიჟურ სიცარიელეში ისკუბა. გაწყდა მისი კავშირი მეორე ეზოსთან, სევდიან ფანჯარასთან, თამბაქოიან კოლოფთან და რაფაზე დაწყობილ ჰილზებთან.

სამსახურისგან თავისუფალ დროს სემიონ ივანოვიჩი ქუჩებში დაეხე-

ტემოდა. ასევე გიჟურ და შეშფოთებულ ქუჩებში. ქალაქში არანაყოფიერი ცხოვრება ზრიალებდა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იყრიდა თავს, ლაპარაკობდნენ დილიდან ნაშუადღევამდე. დროშები, აღმები, ლოზუნგები, გადაოქმელები, აოცოკლეტები. გზაჯვარედინზე, სადაც უღვაწიამოგრძელებული, ძორიობი ბოჭაული იდგა ხოლმე, პენსენმოღრეცილი სტუდენტი დაყვირებდა: „წინდით და ყალთაბანდები უბოდიშოდ მოდიოდნენ მასთან ვაკეობისა და სიბრძნისა კიდებლად. ბულვარებზე ფუთობით ანატუნებდნენ მზესუმზირას. ფარაჯიანი გლეხები ძეგლებზე მიძვრებოდნენ, მკერდში მუშტს იბრაგუნებდნენ: „რისთვის ვღვრით სისხლს?“ საახლის აივანზე შავხელთათმანიანი დროებითი მმართველი წელში იგრიხებოდა.

სემიონ ივანოვიჩი დადიოდა და ყოველივეს აყურადებდა. თვალემა აცეცებდა. სახეზე მკრთალი ღიმილი უკრთოდა. დიდი მთავრები, სალდათები, ყალთაბანდები, ეშხიანი ქალიშვილები, გენერლები, ქალაქის ფულები, გვირგვინები, — ყველაფერი ეს შეუჩერებლად მიცურავდა, ტრიალებდა, როგორც ქამსა წყალდიდობისას.

„აი, აქ უნდა ჩაავლო ხელი ბედნიერებას, — ფიქრობდა სემიონ ივანოვიჩი და ფრჩხილს იკვნეტდა. — შიშველი ხელები, მუქთად აიღე, რაც გინდა, მარჯვედ, ფხიზლად“.

ცაზაფხულის ქარის მიერ გამოცილებული, მშვიერი, ძარღვნავარი, ორპირი — დაყილებდა იგი ქალაქში, გულაფოფინებულნი განიცდიდა ენითუთგმელი შესაძლებლობებით მოგვრილ ალტაცებას.

ხავერდის კარტუზიანი, წელში მოხრილი ბატონი სალდათის ფარაჯიანს სამ კაცს კედელთან მიემწევიდა და უყვიროდა:

— პერანგქვეშ ქვეყნის ტილი მახვევია. ვიცი, მე როგორ ვიბრძოლო!

— ჩემს სისხლს სვამთ, მოქალაქე, უნდა იგრძნოთ ეს თუ უნამუსო არა ხართ!

— მიწა, მიწა ვისია, პა? — ცაიძახებდა მესამე.

ბატონი თვალემა აჭყეტდა. მას გრძელი, მოღრეცილი პირი გაუღუპრჯდა. სემიონ ივანოვიჩი ყვირილზე ფარაჯიანებთან მივიდა და მტკიცედ უთხრა:

— ხედავთ, მოქალაქენო, რუსულის არა გაეგება რა, თქვენ კიდევ ჩასციებიხართ.

სალდათებმა გადააფურთხეს და სხვა ადგილას გააწიეს საკამათოდ. ხავერდის კარტუზიანმა ბატონმა (მართლაც უხეირო რუსულით) მადლობა გადაუხადა სემიონ ივანოვიჩს. ისინი ნევის პროსპექტს გაუყვნენ, გააბეს სოუბარი. ბატონი ანტიკვარი აღმოჩნდა, ჩამოსული, ქალაქს ცუდად იცნობდა. აქ კი ხმა ამოიღო სემიონ ივანოვიჩმა, ენად გაიკრიფა:

— წადით სერგიევსკაიაზე, გაგარინსკაიაზე, მოხოვაიაზე, აი სად იბოვით ავექს, ბრინჯაოს, მაჭმანებს... სუფრის ვერცხლეული ფუთობით გამოაქვთ ჩაიზე. ახლა ერთი საცვლები განახათ, ზღაპარია! ხანდახან აი, ყავიანი ფინჯანი გიჭირავს და დგახარ ხოლმე ბარონესას, თავადის ქალის ვვერდით, — სული შეგიგუბდება. ღმერთს გეფიცებით, — ხედავ, კანქვეშ როგორ უკრთის ვული, შეიშლები! მარტო თვალემა უჩანს, ირგვლივ კი სირაქლემას

ფრთები ჰბურავს. მე კავალერგარდი არ გახლავართ, კამერ-იუნკერი ვარ, მაგრამ დასაჩივლებელი არაფერი მჭირს, მოვწონდი არისტოკრატ ქალებს. ხანდახან პირდაპირ სამსახურიდან უკმელი გარბიხარ ფინჯან ჩაიზე. აი, ამას წინათ ერთმა მოიბინა ღამით, სამახსოვროდ დამიტოვა და წაიკრძალა და სატირალიც — უძველესი მაჭმანი. ფასი არ დაედება. მაშინ კარმიდამო დაუწვეს, საქმელი არაფერი აქვთ. თუ საქმეს მარჯვედ მოჰკიდებთ ხელს, ვაგონობით შეიძლება ავეჩულის გატანა.

ზავერდის კარტუზიანი ბატონი მეტისმეტად დააინტერესა სემიონ ივანოვიჩის ცნობებმა და სთხოვა, ანტიკვარულ სავაჭროში შემომიარეო.

სულთ და გულთ, რა არ იყო ანტიკვარულ სავაჭროში: პავლესეული შავი დივნები, რომელთაც გედის ოქროსფერი ყელი ჰქონდათ, ეკატერინეს სასახლის დიდებული პორტრეტები, ალექსანდრესეული წითელი ხე, თვალწარმტაცი თავისი პროპორციებით (ამ პროპორციებში ნაპოლეონის დროინდელი ელასიკა გამოვსებული ოთახების რუსეთის სიმყუდროვითაა დაძლეული). რუსული საღურგლო ხელოვნების მშვენიერება — კარელიის არყი, ხოკერივით მობრილი სავარძლები, ვარცლისებრი დივნები, საიდუმლო უჯრებიანი დაბალი ბიუროები.

ზავერდის კარტუზიანი ბატონი სემიონ ივანოვიჩს სავაჭროს ათვალერებინებდა და სიყვარულით ეხებოდა მოგლუვებულ მტვრიან სიბრტყეებს, უცნაურად ჭიშავდა დაღრეკილ ტუჩებს. უცებ მტვრიანი თითი გაილოკა და თქვა:

— ეს ხელოვნება ჩაკვდა, ამგვარ რამეებს უკვე აღარსად აკეთებენ. ეს ხე-ტყე ასობით წელი შრებოდა. აი, სავარძელი. შეგიძლიათ მის პრილა ზედაპირს მღულარე დაასხათ. სარკესავით, ფაქიზადაა გაკრიალებული. გრძნობთ კი საზურგეს მოხრილობას? ფარჩას აღარ იკითხავთ? ოსტატი დღე-ღამეში მხოლოდ ერთ მეთოდს დუიშს ქსოვდა. თქვენ, რუსებმა, არასდროს იცოდით თქვენი ავეჯის ფასი, თუმცა რუსეთში ნაღდი მხატვარი-ღურგლები იყვნენ. რუსი ღურგალი გრძნობდა ადამიანის სხეულს, როცა სავარძლის საზურგეს ხრიდა. მას ხესთან ლაპარაკი შეეძლო. კარგი სავარძელი რომ გააკეთო, უნდა გაგეგებოდეს, გიყვარდეს, პატივს სცემდე ადამიანის უკანალს.

ლაპარაკ-ლაპარაკში ანტიკვარმა სემიონ ივანოვიჩს შესთავაზა, საკომისიო გასამრჯელოს მოგართმევთ, თუ რიგიან ნივთებს მაშოვნინებთო. სემიონ ივანოვიჩმა სავაჭროში სიარულს მოუხშირა, ანტიკვარს რალაც-რალაც დავალებებს უსრულებდა, მაგრამ საქმეს სერიოზულად ვერ ეკიდებოდა, რადგან აზრთა საშინელი ფორიაქი უშლიდა ხელს. ქალაქის თავზე გაზაფხულის დღეები მიჩქროლავდა. ყველაფერი დუღდა, გვერდით, ახლოს, ზედ ცხვირწინ ისეთი საცდურნი ლიცლიცებდნენ, სემიონ ივანოვიჩს თავბრუ ესხმოდა, სული უგუბდებოდა: ვაითუ ხელიდან გავუშვა, ვაითუ გამომეპაროს, ვაითუ ვერ შევამჩნიო ბედნიერებაო.

ერთხელ სავაჭროში მისულმა დაინახა, რომ ანტიკვარი რომელიღაც ნივთზე დაბრილიყო, გვერდით ჭაღარა, მაღალ-მაღალი, სახედაძმარებული მანდილოსანი ედგა. ანტიკვარი უცნაურად მანჭავდა ტუჩებს.

— აჰ, თქვენ ფულს ელოდებით, — დაბნეულად თქვა და კარელიური ბიუროს გვერდზე ხელი მოუფათურა.

სემიონ ივანოვიჩი გარკვევით ხედავდა ანტიკვარის მტვრიან, სუსტ თი-

თებს; ანტიკვარმა შუათითი უჩინარ საგდულს დააჭირა, სახურავი ახტა, ანტიკვარის ხელი პატარა უჯრაში შეცოცდა და იქიდან ქალაღმის ფულის დასტა გამოიღო. სემიონ ივანოვიჩმა ახლალა მოითქვა სული.

ამ დღეს სემიონ ივანოვიჩის აზრები ოდნავ სხვა გზით წარმართა: გაჩნდა სიკვანძე, უახლოესი მიზანი — ეშოვა რამდენიმე ათასი მანკობი, მიეტოვებინა სამსახური და პეტროგრადიდან წასულიყო. კმარა ომი, რევოლუციას უნდა იცხოვრო, უნდა! სემიონ ივანოვიჩი ნათლად ხედავდა თავის თავს: აი, ახალთახალი ნაცრისფერი კოსტიუმი აცვია, ვერცხლისკავიანი ხელჯობი უჭირავს, ფეხსაცმლის მწმენდავთან მიდის და ფეხს დებს სამხრეთის მზით აბზინებულ პატარა ყუთზე. აგერ სეირნობენ დიდებული ქალები. ნეტა ერთი ამ დუნდგოს შეანივთა. ყველგან ღორის ბარკალი, ძეხვი, თეთრი კალაჩები, სპირტიანი ბოთლები ჩანს.

სემიონ ივანოვიჩი შუალამემდე დაეხეტებოდა ქუჩებში, გაზაფხულის ცაში ორთქლმავლების კვილი ისმოდა — მოდიოდნენ დაღეწილი მატარებლები და მოჭკონდათ ერთი ბეწო პური, მოჰყავდათ ტყვიით დაცხრილულ ამომწვარ მანარებში გახვეული გაგიჟებული ადამიანები. „ვიხოცებივით“, — შეჰკიოდნენ ორთქლმავლები ვარსკვლავიან ცას. „პირველი — უნდა ვიშოვო ფული, პირველი — ფული“, — იმეორებდა თავისთვის ამ ღამეული სიგრილით ერთიანად გამსჭვალული, შშიერი და ტანამჩატებული სემიონ ივანოვიჩი.

სემიონ ივანოვიჩმა ვერც შეამჩნია, ისე გაჩნდა ნაცნობ ანტიკვარულ სავაჭროსთან. გაჩერდა, ჩაიკინა, თავი გააქნია: ნაუცხათევად არ შეიძლება, საქმე უნდა ავწონ-დავწონო. ქუჩაში კაცაშვილი არ ჭაჭანებდა, მას მხოლოდ ღამეული ვერცხლისებური შუქი ანათებდა. სემიონ ივანოვიჩმა მზერა დაძაბა, მივიდა სავაჭროსთან; უცნაური იყო — კარი მოღებული აღმოჩნდა, შიგნით სინათლე ენთო. ნევზოროვი კარის ღრეჩოში შეძვრა, ოთხი საფეხური აიარა და ხმადაბლა წამოიყვირა:

— ბიუროები, დივნები, სავარძლები, ვაზები — სულ გადაყირავებული, პირქვედამხობილი იყო, ნამსხვრევებში ეყარა. იატაკზე მიმოფანტულ იყო ქალაღები, ფაიფურის ნამტვრევები. ჩანდა ბრძოლისა და ძარცვის კვალი. სემიონ ივანოვიჩი ქუჩაში გამოვარდა. სული მოითქვა. იგი სიგრილემ დაამშვიდა. მიმოიხედა, ისევ შევიდა სავაჭროში, შესასვლელი რკინის კარი მიიხურა და გადაარაზა.

სემიონ ივანოვიჩი წაქცეულ ავეჯს ფრთხილად აჩოჩებდა განზე და იმ ადლისკენ მიიწევდა, სადაც კარელიური ბიურო იდგა. უცებ მთელ მაღაზიაში შემაზრზენი კვნესა გაისმა, სემიონ ივანოვიჩსაც მაშინვე ფეხი რაღაც რბილზე დაედგა. იგი უკან გადახტა, ფრჩხილები მოიკვნიტა. გადაყირავებული დივნის ქვემოდან ნაცნობი ცუბოკრული შარვლის ტოტები და კალოშებიანი ფეხები გამოჩნერილიყო. ანტიკვარმა დივანქვეშ ისევ გააბა — „ოოოო“. სემიონ ივანოვიჩმა ნოხს სტაცა ხელი, დივანს გადააფხუწა, იქითგენვე გადააყირავა წიგნის კარადა და კარელიურ ბიუროს ეცა, ხელი დააჭირა საგდულს. სახურავი ახტა და საიდუმლო უჯრის სიღრმეში ნევზოროვი ფულის სქელი დასტები მოსინჯა.

ექვსი კვირა მალავდა ფულს სემიონ ივანოვიჩი, ხან ლუმელის მიღში ჩურთავდა, ხან ვენტლატორის ხერელში ჩაპკიდებდა თოკით.

სული კოჭებში ეპარებოდა ღამლამობით — ვაითუ უცებ გამჩხრიკონო. დღისითაც, სამსახურში შიშ-კანკალი უვლიდა — ანაზღად რომ ბინას თავს დაესხანო? (იგი წინდახედულობას იჩენდა და ჯერ ისევ დადგინდა სატრანსპორტო კანტორაში). მაგრამ ყველაფერმა კეთილად და, უკეთესი რომ არ იქნება, ისე ჩაიარა. პრიმუსის ანთებისას უცებ გაეცინა: აბა, რა სისულელეა, ალექსანდრეს სვეტი რომ მოიპარონ, იმასაც ვერავენი შენიშნავსო. ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა. ვენტლატორიდან ფული ამოიღო და თვლა დაიწყო.

რაც უფრო მეტხანს თვლიდა, მით უფრო უკანკალებდა თითები. დროებითი მთავრობის დიდი კუბიურები სამას ოთხმოცი ათასი მანეთისა აღმოჩნდა, ხოლო წვრილი — ათი ათასისა. სემიონ ივანოვიჩი სკამიდან ადგა და ტიკის ნიფხვისა და წინდების ამარა ოთახში კუნტრუშს მოჰყვა. ცბილი კბილზე ჰქონდა დატყერილი, ფრჩხილებით საკუთარ ხორცს ჩაფრენოდა ხელებზე.

სემიონ ივანოვიჩმა ეს დღე ნევის პროსპექტზე დააღამა — შეიძინა პიჯაკ-შარვალი, პალტო, ქვაბქუდა და ყვითელი ფეხსაცმელი, თამბაქოს მაღაზიაში — ქარვის მუნდშტუკი და ერთი კოლოფი პავაიური სიგარა — „ბოლივარო“, შემდეგ ორი ხელი აბრეშუმის საცვალი, სამართებელი „ვილეთი“ და პატარა ხელჯოხი იყიდა. ყველაფერი ეს შებინდებულზე ეტლით მოიტანა შინ, საწოლზე, სკამებზე დააწყო. უყურებდა მათ და ცქერით ვერ ძღებოდა, ხელს ახებდა. შემდეგ ფულს ითვლიდა, შემდეგ თავი ხელს ჩამოაყრდნო, თვლები ნივთებს მიაშტერა და დიდხანს იჯდა ასე მაგიდასთან. გაისინჯა ახალი შლაპა, სცადა პატარა სარკეში თავისი თავისთვის გაელიმა, მაგრამ ტუჩები ფერმკრთალ ზოლებად გაეფლაშა. დიდხანს იდგა კამოდთან და უსმენდა, როგორ უთრთოდა აგზნებული გული. მოიხადა ახალი შლაპა და დაიხურა ძველი, ჩაიცვა ძველი პალტო. წავიდა ნევის პროსპექტზე. აქ მტკიცე მოკლე ნაბიჯებით დაიწყო სიარული. სიძვის დიაცებს ფრთხილად და უნდობლად აცქერდებოდა შლიაპებქვეშ. ჩერდებოდა ქუჩების შესაყარზე, სად ცხოვრობ, ავადმყოფი ან ხელმრუდი ბოზანდარა ხომ არა ხარო. — ეკითხებოდა ქალიშვილებს.

ცისკარი კი უკვე მოვარდისფრო-რძისფერს უკიდებდა ტაძრის ცუმბათს, ტროტუარებზე უფრო ნათლად იკვეთებოდა ქალაღები — მილიონობით სარჩვენო ბიულეტენი, პროკლამაცია, აფიშების ნახევი — ზმაურიანი დღის ნარჩენები. ნევზოროვი ძლივს იდგა ფეხზე. ნევის პროსპექტი დაცარიელდა. მხოლოდ ჯანჯლარა ღია ეტლს მიაყანყალებდა მიხრწნილი ჯაგლაგი. ეტლში იჯდა მთვრალი, თავჩაქინდრული მსახიობი, რომელსაც ხელში გაშმაგებით ჩაებლუჯა მიხაკები.

„ესაა ცხოვრება, — ფიქრობდა სემიონ ივანოვიჩი, — ქალაღის ნაგლეჯები, მიტინგები, ჯგლეთა, კუჭკუიან მაზარებში გახვეული თავხედი მდაბიონი... საგიჟეთია. არა, უნდა წავიდე. არაფერი აქ არ გამოდნება უგვანობის ფარდა“.

მეორე დღეს სემიონ ივანოვიჩმა მევზოვეს უთხრა — სამსახურებრივ საქმეებზე მივემგზავრები დიდი ხნითო, და მართლაც საკუთრივო მატარებლით წავიდა მოსკოვს. საერთაშორისო ვაგონში მოიკალათა, მარტო იყო

მოხავერდებულ კუბეში. სადაც ცალკე პირსაბანი და საწებლს ჯამისმაგვარი ღამის ტურქელიც კი იყო. დროდადრო კრაჭუნებდა ღვედები, ენთო ელნათურები, ბზინავდა სპილენძის ნაწიბურები. და სემიონ ივანოვიჩი ნამეტნავად ნეტარებდა.

ეროვნული
ბიზნიუსი

ახლა სემიონ ივანოვიჩი ტვერზე სეირნობდა. აქ პეტერბურგთან შედარებით აიწყნარე იდგა, მაგრამ ნევზოროვისთვის გაუგებარი იგივე აბსტრაქცია და მოწყენილობა მეფობდა. გართობის ნაცვლად — გაზეთები, აფიშები, ბიულეტენები, კამათი. ტვერზე ხშირად შედიოდა კაფე „ბომში“, სადაც მწერლები, მხატვრები და მეძავეები ისხდნენ ხოლმე. მთელი კაფე გერმანელებთან ომის გაგრძელებას უჭერდა მხარს. საკვირველი ამბავი იყო, — ეტყობოდა, ამ ადამიანებს არაფერი ებადა: დალიდანვე დივნებზე იკალათებდნენ და კამათობდნენ, აბოლებდნენ, რატრატებდნენ! „ნეტავ ერთი ვეება აბინეტი დამეჭირავებინა რესტორანში, — ფიქრობდა ღვეზელებით სავსე ვაზის წინ მჯდომი სემიონ ივანოვიჩი, — მიმეწვია ეს კომპანია, დამელევინებინა. ხმაური, ხარხარი, ქალიშვილები გაიხდიან. დაკადაკაც იქნება, ცეკვებიც და ათასგვარი გართობაც. ეჰ, მოსაწყენად ცხოვრობთ, ბატონებო!“

დასანანია — სემიონ ივანოვიჩი ვერავის გაცნობას ვერ ახერხებდა. რამდენჯერმე სცადა მავანთან და მავანთან გამოლაპარაკება, მაგრამ ახელდახელავდნენ. პასუხს კბილებში გამოუყრიდნენ და ზურგს აქცევდნენ. სუფთად კი ეცვა, ოღონდ ენას ვერ ატრიალებდა, ობივატელური, მდაბიური მანერები ჰქონდა. გრანობდა, რომ აუცილებელი იყო, კიდევ ერთი საფეხურით წაეწია წინ.

სემიონ ივანოვიჩს კაფეში ჯანსაყუთრებით ჩაუვარდა მუღში სახელოებმოლიავებული აბრეშუმის შავ ეაბაში გამოწყობილი ქალიშვილი. ქალიშვილს ყოველთვის ახლდა დიაცური სახის, საზიზღარი შესახედაობის, დაუვარცხნელი, ბინძური კაცი, რომელიც ჩიბუხს აბოლებდა. ქალიშვილი დივნის კუთხეში ჯდებოდა ხოლმე. მოშიშველებული უღონო ხელები მაგიდაზე ესვრებოდა. ამიტომ ცხვირსახოცს ინერწყვავდა და იდაყვს იწმენდდა. იჭდა მოხრილი, აბოლებდა ზანტად. ქუთუთოები მოჭუტული ჰქონდა, ფერმკრთალი იყო, უბეებჩამუჭებული. რაიმეს ჰკითხავდნენ და არ შემობრუნდებოდა. კიდევ უფრო ზანტი ღიმილი აესახებოდა შესიებულ, ლამაზ პირზე. მუჭი თმა შეეკრიჭა. მერედა, როგორ გაეცნო?

სემიონ ივანოვიჩმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა დიდი ხნის ჩანაფიქრი განეხორციელებინა. კაფე „ბომის“ ღვერდით სწრაფსაბეჭდში პატარა ზომის სადარბაზო ბარათები შეუკვეთა. ბარათებზე უნდა დაებეჭდათ: „გრაფი ნევზოროვი, სემიონ ივანოვიჩი“, სწრაფსაბეჭდში გაუოცებლად მიიღეს შეკვეთა.

როცა სამი დღის შემდეგ ბარათების წასაღებად მივიდა და ნოქარმა უთხრა: „გრაფო, თქვენი ბარათები მზადაა“, როცა ნაბეჭდი წაიკითხა, უზომო სიხარული დაეუფლა, უფრო დიდი სიხარული, ვიდრე საერთაშორისო ვაგონის კუბეში განიცდიდა.

სწრაფსაბეჭდიდან გრაფი ფრენა-ფრენით გამოვიდა. კუთხეში გავასკული შლეგი მეეტლე აოფოდან გადმოიხარა და ჩახლეჩილი ხმით უთხრა:

ზადებული კრწონი მოითხოვა (პატარა საპაპროსე ლორნეტით/ პაპროსი ეჭირა), ქალიშვილისკენ გადაიხარა და პეტერბურგის მაღალი წრის ცხოვრების ამბების მოყოლა დაუწყო. ქალიშვილი წყნარად, უგულოდ იცინოდა. იგი ნამეტნავად მოსწონდა ნევზოროვს.

ესტრადაზე ვიღაც კაცი უხამს, ავს მომასწავებელ ლექსებს/ ლექსებ-და. მის ზურგს უკან მდგომი სამი კიდეც მისამღერს აყოლებდა: „პო-პო, პო-პო, ძიმ-ძიმ, პო-პო!“. ეს ულაცის ტიხვინი გრაფს თავგზას ურევდა. თმას იჩეჩავდა და კონიაკს ასხამდა.

ქალიშვილს, ალა გრიგორიევნას, კონიაკისგან გუგები თვალის სიფართე გაუხდა, ლამაზი ხელი, რომლითაც პაპროსი ეჭირა, გაუთეთრდა. ნევზოროვი ათასგვარ ქათინაურს ებურტყუნებოდა, მაგრამ ქალიშვილი უკვე აღარ იცინოდა — ტუჩების კუთხეები ოდნავ უთრთოდა, პატარა ცხვირი წაუწვეტდა.

— წავიდეთ ჩემთან, — მოულოდნელად უთხრა გრაფს. გრაფი დაფრთხა, მაგრამ უკან დახევა გვიანი იყო. ჩიბუხიანი გაბურძენილი კავალრის მაგიდასთან გავლისას ალა გრიგორიევნამ ცალყბად და საცოდავად ჩაიცინა. გაბურძენილმა ჩიბუხში ჩაიჭმინა, შებრუნდა და მაგიდას ჩამოეყრდნო. ქალიშვილი სწრაფად მივიდა მასთან.

— ეს კიდე რაღაა? — უთხრა და მუშტი დაჰკრა მაგიდას. — რაც მინდა, იმას ვაგაკეთებ. თუ კაცი ხარ, ცხვირ-პირის ჩამოშვებას თავი დაანებე!...

გაბურძენილს ნიკაპი აუქანკალდა, თამბაქოსგან გაყავისფერებული ხელით მთლად დაიფარა სახე.

— მძულხარ, — წაიხურჩულა ალა გრიგორიევნამ და ნევზოროვს ფრჩხილები ჩაავლო სახელოზე.

გამოვიდნენ გარეთ, ჩასხდნენ ეტლში. ალა გრიგორიევნა გაუგებრად იფხორებოდა, ეყრდნობოდა იდაყვებს. უცებ იყვირა: — „შეჩერდი, შეჩერდი!“ — ეტლიდან გადმოხტა და ჯერ კიდევ ღია აფთიაქში შევარდა. ნევზოროვი უკან მიჰყვა, მაგრამ მან უკვე რაღაც ჩაიღო ჩანთაში.

ყოველივე ამით განცვიფრებულმა გრაფმა მეაფთიაქეს ასოცი მანეთი გადაუხადა. ალა გრიგორიევნა და ნევზოროვი კისლოვკისკენ გაემართნენ.

როგორც კი ნახევრად ბნელ, ერთობ ჩახუთულ ოთახში შევიდნენ, გრაფმა ალა გრიგორიევნას წელზე მოხვია ხელი, მაგრამ ქალიშვილმა უცნაურად შეხედა, მოაშორა.

— არა, ეს სრულებით არაა! ააჭირო.

ქალიშვილმა ნევზოროვს ოდნავ უბიძგა პლუშგადაკრული დივნისკენ. ოთახში წარმოუდგენელი უწესრიგობა სუფევდა — წიგნები, კაბები, საცვლები, სუნამოს შუშები. პატარა კოლოფები დაუდევრად იყო მიყრილ-მოყრილი, ლოგინი — აწეწილი, დიდი თოჯინა, რომელსაც ტუჩყიანი კაბა ეცვა, პირსაბანში იწვა.

ალა გრიგორიევნამ დივნის წინ დაბალ პატარა მაგიდაზე დვინონაკლული ბოთლი, მოკბეჩილი ვაშლი, ორი კბილსაჩიჩქნი დააწყო, ჩაიციანა და ჩანთიდან კოკაინიანი ორი ხის კოლოფი ამოიღო. მხრებზე თეთრი შარფი მოისხა, სავარძელში ფეხები მოირთხა, ხელის სარკვეში ჩაიხედა და ისიც მაგიდაზე დადო. შემდეგ ნევზოროვს ანიშნა, კოკაინი დაეცნოს.

ისევ დაფრთხა სემიონ ივანოვიჩი. მაგრამ ქალიშვილმა კბილებსაჩიჩქანით ფხვნილი ამოიღო და ცალი ნესტოთი შეისრუტა, კიდევ ამოიღო და მეორე ნესტოთი შეისრუტა. შვეებით, ღრმად ამოისუნთქა, უხარისხი გადაწვა, თვალები მოჭყუტა:

— დაყნოსეთ, გრაფო.

ნევზოროვმაც ორი მწიკვი ფხვნილი შეიყარა ნესტოებში და ვაშლი. კიდევ დაყნოსა კოკაინი. მას ცხვირი უხვევდებოდა, გონება უნათლებოდა. წინასწარ ტკბებოდა რაღაც წარმოუდგენლით და გული უფართქალეზდა.

— ჩვენ, ნევზოროვები, გრაფები, — დაიწყო მქექქარე (მას ასე მოეჩვენა), საოცრად ლამაზი ხმით. — ჩვენ, ნევზოროვები, გრაფები, მოგესხენებათ, სამეფო დინასტიის ახლო ნათესავნი ვართ. ყოველთვის ჩრდილში ვიდექით, მაგრამ ახლა ჩემი სახელით განზრახული ვვაქვს პრეტენზია გამოვაცხადოთ ტახტზე. შეუძლებელი არაფერია. კუბოს კარამდე ერთგული მცირე სამხედრო ნაწილი და გადატრიალებაც მზადაა. ცხადად ვხედავ: სეფე დარბაზში იკრიბებიან ჩინოსნები და სამღვდლოება, მე, რა თქმა უნდა, ხელკავით ავყავართ ტახტზე... ტახტიდან ვაცხადებ: „აი, რა, გენერლებო, თავადაზნაურობავ, ვაჭრებო, უბადრუკო მედაბურებო და დანარჩენო ყარტაყურტებო, ჩემთან არავითარი რეეოლუცია არ იქნება!... აჯანყება ნებადართული არაა, გაიგეთ, ძაღლის შვილებო?“ ჰოდა, მივცხე და მივცხე. ყველა გულამომჯდარი მეუბნება: „დამნაშავენი ვართ, მეტს აღარ ვიზამთ“. დარბაზიდან იგივე წესრიგით, ხელკავით მივემართები ჩემს მდიდრულ სასტუმროში. გრაფინიები, თავადის ქალები აი, აქამდე შიშვლები არიან. რომელსაც გინდა, თვალით ანიშნე, და მაშინვე გატიტვლდება. ქალებით გარშემორტყმული ვჯდები რომიანი ჩაის დასალევად. მოაქვთ ტორტი, დებენ მაგიდაზე...

სემიონ ივანოვიჩი დიდი ხანია უცქეროდა დივანის წინ მდგარ მაგიდას. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. მაგიდაზე ადამიანის თავი იდო. თავს თვალეზი დაექციტა, გაყოფილ თმაზე გვერდულად ედგა გვირგვინი. ჰქონდა წვერი, უღვაში... „ვისია ეს თავი, აგრერივად ნაცნობი?... ეს ხომ ჩემი თავია!“

ნევზოროვს მხრებზე ყრუოლამ დაუარა. ნუთუ წყვეული იბიკუსი გამოეცხადა მისი თავით?!... გრაფმა კიდევ აიღო ერთი მწიკვი კოკაინი. მას აზრები აუფრთხილდნენ, ეცლებოდნენ. იქვე სავარძელში ალა გრიგორიევნა ქირჭილებდა.

გრაფმა ნევზოროვმა რამდენიმე კვირა (ზუსტად ვერ დაიმახსოვრა რამდენი) იფართიფურთა ალა გრიგორიევნასთან. ისინი ერთად სადილობდნენ, სვამდნენ, დადიოდნენ თეატრში, ლამლამობით გამორეტებამდე ყნოსავდნენ კოკაინს. ფული სწრაფად ელეოდა სემიონ ივანოვიჩს წვრილმანებზე ხელმოჭერილობის მიუხედავად. საყვარელს ხან ბლუზით ასაჩუქრებდა, ხან ბეწვეულით, ხან ბეჭდით, ხანაც უბრალოდ მცირეოდენი თანხით.

გრაფ ნევზოროვს თავი ერთიანად დაბანგული ჰქონდა. ღამით ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, უდიდესი პერსპექტივები ეშლებოდა წინ. დილით ცხვირს იხოცავდა, ჩვარი-

კით იყო. „უნდა მოვეშვა ამას, დავიღუბები“, — ბურტყუნებდა და იმის ძალა არ შესწევდა. ლოგინიდან გამომძვრალიყო, საღამო ხანს კი ერთთავად უკეთური ქალისკენ მიუწევდა გული.

სემიონ ივანოვიჩი რამდენიმე დღე ერთსა და იმავე კუთხეში მდუმარე, გაშეშებულ მოქალაქეს ხედებოდა. ეს კაცი ებრაელს ჰგავდა. მისი ქალი, ხეშეში წვერი ბერძნულ ყაიდაზე დაეყენებინა: იდგა ჩვეულებისამებრ, დიდი ჭორფლით დაფარული სახე უკან გადაეწია, თვალები ნამტირალევი, მოჭუტული ჰქონდა, პირი — მოღრეკილი, — შუაში შეერთებული და კუთხეებში გახსნილი. მთელი მისი სახე ტრაგიკულ ნიღაბს მოგავგონებდათ.

— ისევ დგას, ფუი, — ბურტყუნებდა ნევეზოროვი და ცრუმორწმუნეობის გამო მეორე ფილაქანზე გადადიოდა. ადამიანი-ნიღაბი კი თითქოსდა სულ ჰკვებს უცქეროდა, მოსკოვის თავზე რომ აბურძგნილ გუნდებად ტრიალებდნენ.

აკვივდა. ყინულმოდებულ ქვაფენილზე ქალადის ნაგლეჯების, მტვრის, ახალნათოვარის კორიანტელი იდგა. კედლებზე, ჭიშკრებზე გაყინულ აფიშებს ფხაჭაფხუჭი გაჰქონდა. არა, გრაფი უნდა გაცლოდა მოსკოვს, სამხრეთში წასულიყო. მაგრამ ძალა არ შესწევდა ალა გრიგორიევნას გრილი, ტკბილი ხელებისგან თავი დაეღწია. ერთხელ მას ადამიან-ნიღაბის ამბავი მოუყვა.

— მეჩე რა, სულ ერთია, დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია, — მოულოდნელად მიუგო ქალიშვილმა.

ამ საღამოს ალა გრიგორიევნამ არსად არ ისურვა წასვლა. დაბინდულ ქუჩებში გული მოეწურებოდა ადამიანს — კაციშვილი არ ჰაჭანებდა, ისმოდა სროლის ხმა. ალა გრიგორიევნა ნაღვლიანი და აღერსიანი იყო. თამაშობდნენ სამოცდაექვსს. შინ არც საკმელი აღმოჩნდა, არც ღვინო, არც არაფერი ჰქონდათ ჩაის მისაყოლებელი. იყნოსეს კოცაინი.

შუალამეს კარზე დააკაკუნეს. შვეიცარმა სახლის კომიტეტის საგანგებო სხდომაზე მიიწვია ნევეზოროვი და ალა გრიგორიევნა. ნაფიცი ვეჭილის თანაშემწის ჩელოვეკოვის ბინაში მთელი სახლი შეიკრიბა. შეკრებილნი მშფოთ-ფარედ ხმაურობდნენ, ამბობდნენ, ქალაქში საზოგადოების ხსნის კომიტეტი და კიდევ — რევოლუციური კომიტეტი შეიქმნაო, მთელ ქალაქში სროლაა, მაგრამ ვინ ვის ესერის, გაურცვეველიაო. ვაბოლილი წინათაბიდან ვიღაცამ შემზარავი ხმით თქვა: „ბატონებო, პეტერბურგში მეორე დღეა ხოცვა-ჟლეტა!“ „გთხოვთ, ნუ აღელვებთ ქალებს!“ — ყვიროდა თავმჯდომარე ჩელოვეკოვი და ფანქარს უკაკუნებდა მინის შექფარს. განაწყენებული სახეწითელი ორატორი, რომელმაც სატყვა ითხოვა, გამწარებით ამბობდა: „მე მინდოდა საკითხი დამესვა იმის თაობაზე, რომ უფრო შეგვეზღუდა უკანა კართით სიარული“. აღელვებული ქალაქი ქალი მაგიდისკენ მიძვრებოდა და ხალხს აცნობდა: „ბატონებო, ეს-ესაა დამირეკეს: ვიკჟელი მთლიანად ჩვენს მხარეზეაო“. „ვიკჟელი კი არა, ვიკჟედორი¹, თანაც ჩვენს მხარეს კი არა, ჩვენს წინააღმდეგაა, არ გესმით და პანიკა კი შემოგაქვთ“, — ბოხი ხმით ამბობდნენ ღუმელის მიღმა. „ბატონებო, — იჭაჭებოდა ჩელოვეკოვი, — გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ საკითხს პანიკის შემომტანი ქალების გათევების შესახებ“.

¹ ვიკჟედორი — რკინიგზების სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი.

ბოლოს დაადგინეს: თითო-თითო მანეთი ჩამოეკრაბათ და შვეიცარიისთვის მიეცათ, რომ ბანდიტების თავდასხმისას უკანასკნელ შესაძლებლობამდე დაეცვა შენობა. სახლი ნაშუალამევს დაწყნარდა.

მეორე დღეს სემიონ ივანოვიჩმა შინ, ტვერზე წასვლა დააპირა. მაგრამ სადარბაზოში ორმა უძილარმა მანდილოსანმა და ორლულანის თხოვნით შეიარაღებულმა მოხუცმა კაცმა უთხრეს:

— თუ სიცოცხლე არ გემეტებათ, გირჩევთ გარეთ არ გახვიდეთ.

გრაფი იძულებული გახდა ყურებჩამოყრილს ეყურებოდა ალა გრიგორიევნას ოთახში. იგი ფანჯარასთან დაჯდა. ქუჩაში, გაყინულ ნისლში საბარგო მანქანამ ჩაიარა, რომელზეც შეიარაღებული ადამიანები იყვნენ. ბუხ-ბახ, — ისროდნენ ქვემებს დროდადრო. ყოველ გასროლაზე ჭკების გუნდი ჰაერში მიფრინავდა. ნევზოროვი გაბრაზებული იყო, ხმას არ იღებდა. ალა გრიგორიევნა აწეწილ ლოგინში იწვა, საბანი ცხვირამდე ეფარა.

პაპიროსი სულ გათავებოდათ. ოთახში ღუმელი არ ენთო.

— თქვენ ჩემი ნახევარი ფული შთანთქმეთ. თქვენი გამოისობით მთელი იდეალები დავკარგე. თქვენისთანა მღლეტელს, მაპატიეთ, პირველად ვხვდები, — უთხრა გრაფმა ალა გრიგორიევნას. ქალიშვილმა ზანტად, მაგრამ წყენით უპასუხა. ასე ლანძღეს ერთმანეთი მთელი დღე.

საღამოს მეშვიდე საათზე საგანგაშო ზარის ხმა გაისმა. იაჭახუნდა კარები, მთელი კიბე დგანდგარმა აავსო.

— ჩააქრეთ სინათლე, ვორობიოვის გორაკებიდან არტილერია გვიშენს! — ყვიროდნენ კიბის ქვედა ბაქნიდან.

ჩაქრა ელექტროშუქი. აქა-იქ ნამალევა სანთლები აკიაფდა. ლაპარაკობდნენ ჩურჩულით. ჩელოვეკოვი კიბეებზე ადი-ჩამოდოდა, თავზე ხელი ეჭირა. ნაშუალამევს შეიძლებოდა გენახათ მოაჯირებს უღონოდ მიყრდნობილი, ქურქებსა და თავშლებში გახვეული ქალები. ალა გრიგორიევნას კიბეზე სანთლის გვერდით მოეკალათებინა და მთქნარებით უთხულობდა დაფლეთილ წიგნს.

გრაფ ნევზოროვს წინადადება მისცეს ღამით ეზოში ემორიგევა. მას ოფიცრის ჯუბაჩიანი კბილის ექიმი გააყოლეს. როგორც კი ორივე ვეება ხანძრის ანაშუქით განათებულ მოყინულ ეზოში იგავიდა, ექიმმა თოფი გააგდო და სახე ხელებით დაიფარა. ეს იმით ახსნა, რომ უზომოდ ეშინოდა შეშებში მოძრომივალე უთვალავი კატისა.

ღამე სავსე იყო ბგერებით. შორს, სახურავების შავ სილუეტებს შორის, ეული ფანჯარა კაშკაშებდა. ჰაერში ჭურვები დაშლაპუნებდნენ. ქარის ქროლვასავით დროდადრო ტყდებოდა სროლა.

— მისმინეთ, გრაფო, ასეთ ქვეყანაში განა ნორმალური ცხოვრება შეიძლება? — ისმოდა სადარბაზოდან კბილის ექიმის ჩურჩული.

სემიონ ივანოვიჩმა ორი საათი იმორიგევა, გაითოშა და სიამოვნებით შეუგორდა ალა გრიგორიევნას თბილი საბნის ქვეშ. ისინი შერიგდნენ. მომდევნო დღე ქვემეხების ისეთი ბათქაბუთქით გათენდა, მინები ძავძავებდნენ. გეგონებოდათ, მოსკოვი სახურავებამდე გვამებითაა დაზვავებულიო. ცხადია, იქ, ქუჩებში გადაწყვიტეს, ხუმრობას პატრონი მოუკვდაო.

ბალათმოცმული, გაჩეჩილი, დამტყნარი ალა გრიგორიევნა სპირტქურაზე ბრინჯს ხარშავდა. ნევზოროვი წიგნებითა და ბალიშებით ქოლავდა ფანჯრებს.

ტელეფონები არ მუშაობდა. გაზი ცუდად ენთო. ზედა ბინების ფანჯრებს ტყვიები მოხვდა. დღისით საგანგაშო ზარმა დაჰკრა, დაიწყო ძლიაქოთი. თურმე ქუჩაში, ზედ სადარბაზოსთან მაზარიანი კაცი დაეცა და მიწაში ცხვირწარგული იწვა. კიბის ბაქნებზე ქალები სლუკუნებდნენ. მოიწვიეს კრება, როგორ მოეშორებინათ გვამი იქაურობისთვის, მაგრამ უკმაყოფილოდ დასწყვიტა ვერ მიიღეს. ჩურჩულებდნენ, მსახურებმა უკვე მოიხსნა წილესო, შვეიცარი საიმედო არ არისო. ქვემეხები კი გრუხუნებდნენ და გრუხუნებდნენ, ურტყამდნენ მიზანს, ისმოდა თოფების ბათქი. ჩაიქროლა ჯავშნოსანმა და მიწა შეაზანზარა. შრაპნელმა რაკარუკი აუტეხა სახურავს. ასე გავიდა კიდევ ერთი დღე.

ალა გრიგორიევნამ მთელი ღამე იტირა, თავზე თივთიკის თავშალი ჰქონდა მოხვეული. ნამძინარევი სემიონ ივანოვიჩი წამოიწევდა: „აბა, ერთი რა გაკლიათ, დაიძინეთ“, — ეტყოდა მას და თვითონ იშწამსვე იძინებდა. ამ დღეების განმავლობაში გრაფს გამჭირდავი ბოლმა უგროვდებოდა. ეტყოდა, იგი კიდევ ერთი საფეხურით იწევდა მაღლა.

ალა გრიგორიევნამ დილით ადრე ჩაიცვა, — არც პუდრი წაუსვამს, არც საცხები, — ჩანთაში ფული ჩაიდო და ოთახიდან გავიდა. გრაფმა კაბის კალთაში სტაცა ხელი:

— სად მიდიხართ? შეიშალებთ, გრიგორიევნა!

— ხელი უშვით ქვედაკაბას. მე თქვენ მეზიზღებით, სემიონ ივანოვიჩ. უმჯობესია ხმა გაკმინდოთ. მშვიდობით!

ალა გრიგორიევნა წავიდა. ამბობდნენ, რომ თვითონ ჩელოვეკოვი არ უწევდა (ჩელოვეკოვი ამ დროს თავზე იჭერდა ხელსო), მაგრამ ქალს უთქვამს, მოსკვა-რეკას გადაღმა დასთან მივდივარო, და უკანა კარით წასულა.

კარს უკან ვიღაცამ ჩაბრინწული, მზიარული ხმით იკითხა:

— ალოჩკა შინაა?

შემოვიდა კუჭყიანი ჯუბაჩით მოსილი ახოვანი კაცი. მოიხადა ბოხობი — სულ მელოტი იყო, სახე გაპარსული ჰქონდა, გარუჯული, ცხვირი — დიდი, მოელვარე, ოთახს ღრმად ჩამჯდარი თვალები მოავლო. ნევზოროვი დინიდან წამოდგა და აუხსნა, ალა გრიგორიევნა ორი საათის წინ მოსკვა-რეკის გაღმა დეიდასთან წავიდაო.

— დასწყევლოს ღმერთმა! დასანანია! გოგოს გზაზე სულს გააცხები-ნებენ, — თქვა მზიარულმა კაცმა, თან ცხვირის ტყავის ჯუბაჩას იხსნიდა, — აბა, მოდი გავიცნოთ ერთმანეთი: რტიშჩევი გახლავართ, — მან ვეება ხელი გაუწოდა ნევზოროვს. თითზე წამოცმულ ბეჭედში წითელი ლალი უბრწყინავდა. — მოსკოვში კი რა ხდება, მაგის ღდინი არ იყოს! ეს-ესაა კავკასიიდან დავბრუნდი. ორი კვირა მოვძვრებოდი. პირწმინდად გავკოტრდი, თანაც მე, მინერალურ წყლებზე, დიახ, დიახ. მოთამაშე გახლავართ, იცოტებთ. დასანანი კია, რომ ალოჩკა გაფრინდა. მე მისი ძველი მეგობარი ვარ. დღეს დილიდან, პირდაპირ ვოგზლიდან, კარდაკარ დავრბივარ, მაგის ღდინი არ იყოს! ხედავთ, ჯუბაჩა ტყვიითა მაქვს გახვრეტილი. გადავწყვიტე ალოჩკას შევფარებოდი. მაგრამ რას იზამ, დავლიოთ უდიასახლისოდ. ალბათ ჩახეთქვა გინდათ, არა?

რტიშჩევიმა ჯუბაჩის ვეება ჯიბეებიდან ხორცის ნაკერი, შემწვარი ქათამი, ათი შემწვარი კვერცხი და სპირტიანი ბოთლი ამოალაგა. სემიონ ივანოვიჩს

ვეება ხელით ანიშნა, სკამზე დაჯექიო. დალიეს სპირტი, შეუდგნენ ჭამას. ჭიქები მესამეჯერ მიუჭახუნეს ერთმანეთს და რტიშჩევმა თქვა:

— გრაფი ნევზოროვი, არა? ხომ არ ვცდები? (სემიონ ივანოვიჩმა დაუდასტურა.) თქვენ ტყუით, თქვენ გრაფი არა ხართ.

— მოითმინეთ, ეს რა ლაპარაკია!

— ასეთი გრაფები არასდროს არსებულან. თქვენ კვანტორისტი ბრძანდებით. ნუ ხტუნავთ. მეც ხომ რტიშჩევი არა ვარ. ძალიან უბრალოდ, მაგის ღდინი არ იყოს. საქმეები კი ცუდადა გვაქვს, გრაფო.

— უკაცრავად, როგორ მომმარტავთ!

რტიშჩევმა პასუხად მხიარულად ჩაუკრა თვალი:

— მოსკოვში რომ ქვემეხების იგრიალ-გრიალი ატეხეს, ეს იმას ნიშნავს, თქვენებს წირვა გამოუვიდათ, ფაფუ. გრაფო, ოდესაში უნდა წავიდეთ. ფული გაქვთ? (სემიონ ივანოვიჩმა მხრები აიჩეჩა.) ჰო, კარგი, საღამოს მოვილაპარაკებთ.

რტიშჩევმა ბოლო ჭიქა დალია, ჯუბაჩა გაიხადა, საწოლზე მიეგდო და მამინვე დაიძინა ქვემეხების ქუხილსა და მინების ზრიალში. სემიონ ივანოვიჩი გაკვირვებით, პატივისცემით ათვალთვრებდა ამ ჩინებულ ადამანს. „აი, ნაღდი მონადირე, გულადი კაცი, ეს თავისას გაიტანს“.

საღამო ხანს რტიშჩევმა მოჭრაქუნე ზამბარებზე ტრიალი დაიწყო, ჩაახველა და მოჰყვა, როგორ მოეცარა ხელი კისლოვოდსკში, სადაც კარტის სათამაშო სახლი ჰქონდა. საქმეები ბრწყინვალედ მიდიოდა, კურორტის საზოგადოება ისე თამაშობდა, იგგონებოდათ, იანკითხვის დღე დგებაო, მაგრამ წყეულმა ცხენოსანმა ჩეჩნებმა თექვსმეტჯერ აიღეს სათამაშო სახლი; ფული საღრტილებით მობმული მიჰქონდათ, იძულებული გავხდი მოღვაწეობა შემეწყვიტაო.

— ქვეყანას მტკიცე ზელისუფლება სჭირდება, თორემ უარს ვამბობ მუშაობაზე. ეს ბურჟუები კი ინდაურებივით არიან, ყვიტყვიტის მეტი არაფერი იციან, არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიათ. თქვენ კი რომელი ხაზით მუშაობთ? — ჰკითხა ნევზოროვს რტიშჩევმა. ნევზოროვმა მიუგო, უბრალოდ ჩემი სიამოვნებისთვის ვცხოვრობო. — ე, მაგას მოეშვით, პაწაწავ, მე ნუ მეხუმრებით. პოლიტიკის ხაზით არა?

— შეიძლება.

— ესეც საქმეა. ყველაფრისგან შეიძლება საქმე გაიჩინო, მთავარია ჰკუთავიკრიდეს. თორემ ჩვენთან მინერალურ წყლებზე ერთი გამოტყვრა, ისიც პოლიტიკის ხაზით მუშაობდა, ნართაულად ურაკუნებდა, არაპირდაპირი შტოთი ტახტის მემკვიდრე ვარო, მაგრამ ბრიყვმა, მოგეხსენებათ, ცხრინანის თამაში განიზრაახა ზედნადებით, ზედნადებრთ კი პუშკინის დროს თამაშობდნენ, — მაშინ მიმნდობი ხალხი იყო, სულამაღლებული. მოეშვით პოლიტიკას, გრაფო!

ნევზოროვმა მწყრალად დააბაკუნა ფეხი. რტიშჩევმა გადაიხარხარა, ჯუბაჩა მოისხა და მაგიდას მიუჭდა.

— მოდი ერთი კარტი გავშალოთ. პატიოსნად ვითამაშოთ, როგორც წესიერ ხალხს შეეფერება, მაგის ღდინი არ იყოს!

რტიშჩევი და გრაფი ნევზოროვი კარტის სათამაშოდ დასხდნენ და მთელი ღამე, მეორე დღე და ღამეც თამაშში გაატარეს. რტიშჩევმა ასი ათასზე მეტი მოიგო. მაგრამ სემიონ ივანოვიჩი არ ნანობდა წაგებას: თამაშის დროს

ბევრი ილაპარაკეს, გაფართოვდა პერსპექტივები. რტიშჩევი მან გამოცდილ და საიმედო ამხანაგად მიიჩნია.

მეშვიდე დღეს ქალაქში სროლა მიწყდა. მოსახლეობა შაშხნულად გამოდიოდა ბრძოლის შედეგად გატიალებულ ქუჩებში. ნევზოროვი და რტიშჩევი ტვერსკიაზე გადასახლდნენ სასტუმრო „ლუქსში“.

მათი სხვადასხვა ხასიათი ხელს უწყობდა საერთო სიყვარულს. რტიშჩევი როხრობა, დაუდევარი და თავქარიანი იყო, ნევზოროვი — ეჭვიანი, ანგარიშიანი, ყოველთვის პირქუში. ერთი ავსებდა მეორეს. სოლიანკაზე დიდი ბინა გამოძებნეს და ლიტერატურულ-მხატვრული კლუბი „თეთრი ქრიზანთემა“ გახსნეს. იქ მცირე გასამრჯელოს ფასად ლექსებს კითხულობდა კაფე „ბომის“ ყმაწვილკაცობა, ეწყობოდა დისპუტები ხელოვნებაზე, შეიძლებოდა შაქრიანი ჩაი და ტკბილღვეზელები მიგვრთვით. საიდუმლო უკანა ოთახებში ცხრიანის თამაში იყო გახურებული.

მშფოთვარე დრომ, გაურკვეველმა მდგომარეობამ, ახალი მთავრობის მკაცრმა დეკრეტებმა, გათოშილი, მშვიერი ქალაქის ნაღველმა მოთამაშენი „თეთრ ქრიზანთემაში“ შერეკა. იქ იყვნენ რევოლუციის მიერ თავგზაბნეული საქმოსნები, ფულით მოვაჭრე, წმინდად პირგაპარსული, ანთებულ სახეზე ღრმულედაჩნეული ბნელი პიროვნებანი, ნაძარცვის სათამაშოდ მოსული ქურდები და ბანდიტები — თვალსწრაფი, ფრთხილი კაბუკები, დოდის მუდმივი მაყურებლები, რომელთა ჯერ კიდევ პეწიან პიჯაკებს ინგლისურ სუნამოთა სუნნი შემორჩენოდათ. ორი-სამი გაბოროტებული მწერალი დამშეული კაცის მღელვარებით ადევნებდა თვალს მწვანე მაუღზე მილიონების ტრიალს. აქ შეიძლებოდა თავისუფლად მოეთხოვათ ღვინო, სპირტი, შამპანური.

საქმეები ჩინებულად მიდიოდა. რტიშჩევი ჩვეულებრივად განთიადზე თვრებოდა და თვითონ იწყებდა დიდ თანხაზე თამაშს. სემიონ ივანოვიჩის მიზანი იყო რტიშჩევისთვის დროულად გამოერთმია ფული: იგი ვალუტას ყიდულობდა და მკერდზე ჩამოკიდებულ ზამშის პარკში ინახავდა. ერთხელ სათამაშო ოთახში გაბურძგნილი კაცი — ალა გრიგორიევენას ყოფილი თანამგზავრი გამოჩნდა. ნევზოროვმა პკითხა, ქალიშვილი რას შვრებაო. გაბურძგნილს პირიდან ჩიბუხი არ გამოუღია, ისე ცალყბად ჩაიკინა:

— ქუჩაში მოკლეს ოქტომბერში.

დადგა გაზაფხული. სამხრეთიდან, უკრაინიდან შემაშფოთებელი ხმები წამოვიდა. საავდრო ღრუბელივით ახლოვდებოდა ტერორი.

— უნდა მოვეშვათ საქმეს. დროა. დუქანს თხლიშავენ, ბოლოს და ბოლოს ეს სჯიმო საქმე არაა. მებუფეტე კი არა ვარ, — დაყინებით აფრთხილებდა ამხანაგს გრაფი ნევზოროვი.

კმთვრალი რტიშჩევი პასუხად უყვიროდა:

— გრაფო, შენ იაკანება არა გაქვს, მეშჩანი ხარ, შენ ნევის პროსპექტზე სიგებს ყიდდი!

გრაფის შიში გამართლდა. ერთ ღამეს „თეთრ ქრიზანთემას“ ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს და ყველა სტუმარი და რტიშჩევი რაიონში წაასხეს. ნევზოროვმა პატიმრობისგან თავის დახსნა მოახერხა — საპირფარეშოს ფანჯრიდან გადახტა და თან წაიღო სათამაშო სახლის ნახევარი წლის შემოსავალი. ახლა მოსკოვიდან უნდა გაქცეულიყო.

უკვე ღამის ქოთნიანი, მოხავერდებული კუბით როდი მგზავრობდა. სამი დღე ხალხით ერთიანად გამოტენილი ვაგონის გასასვლელში იდგა. მთელი მატარებელი ილანძლებოდა და იმუჭრებოდა. მატარებელს ღამის სიბნელეში კატასავით ცვივოდა ნაპერწკლები.

მიკროდნენ ფანჯრებჩაღეწილი, ვალეტის რკინიგზის მატარებლები, პირქუში სოფლები, კაპარტახებული მინდვრები, ჩამსხრქვენილი გლეხები, კურსკის უდაბური ტრამალები. ლევა ცაშიც კი ისევ ისე ერთოდა უკუღმართი ომის გაუქმებელი, სისხლით ნასაზრდოები გულგატეხილობა.

„ქვეციანი, მათხოვარი ქვეყანა, — ფიქრობდა სემიონ ივანოვიჩი და ვაგონის ჩამსხვრეული ფანჯრიდან ზიზლით ადევნებდა თვალს გვერდით მიმქროლავ უფერულ პეიზაჟებს. — რა ივამბობებოდათ, ტილების ავლა არ შეგიძლიათ. რა არის რუსი კაცი? — ღორია და მეტი არაფერი. მიმიფურთხებიან ერთხელ და სამუდამოდ. უარს ვიტყვი, მივაფურთხებ, თვით წარმოშობას დავივიწყებ. მაგალითად, სიმონ დე ნეზორი სავსებით შესაფერისია“. სემიონ ივანოვიჩი მალულად ისინჯავდა მკერდზე ვალუტიან პარკს. იგი ბეჯათად შეუდგა ფრანგული ენის თვითმასწავლებლის შესწავლას.

ნეზოროვს ეცვა გიმნასტურა, ეხვია ტოლალები, უბადრუკი კარტუზის წინაფრა დაფხრეწილი ჰქონდა; ასეთი შესახედობა სავსებით შეუწყობდა ხელს უკრაინის საზღვარზე გადასვლაში. ამას გარდა, პასპორტთან ერთად ედო, სუბარევეკაზე შეძენილი მოწმობა, რომ ის, ს. ი. ნეზოროვი, სახელმწიფო თეატრების მსახიობი იყო. და მაინც საზღვარზე გადასვლა დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა.

კურსკში სემიონ ივანოვიჩი იძულებული გახდა დაახლოებით ერთი დღე-ღამე მჯდარიყო ვოგზალში. სადაც მგზავრები საზარელ კორებს გადაცემდნენ ერთმანეთს. აქ ვალუტიანი პარკი მუცლია ქვედა მხარეს, სავსებით მყუდროდ დამალა. საზღვრისკენ ღამით თბილანა ვაგონებით გაემართნენ. ყოველ სადგურში დიდხანს ჯაჯგურობდნენ. ზოგჯერ უკან, კურსკისკენ ბრუნდებოდნენ და თბილანებში ჩუმი პანიკა იწყებოდა. ბოლოს განთიადისაა საზღვარზე გაჩერდნენ.

სემიონ ივანოვიჩი ფრთხილად გადმოვიდა ვაგონიდან. ადგილი შიშველი და უდაბური იყო. ნალვარევეებით დახრულ კარკოვან ბორცვებს განთიადის მკრთალი შუქი ეფინებოდა. რკინიგზის ხაზებზე იდგა ვაგონი, რომელშიც ახლა მესაზღვრეთა კომისარს ეძინა. მოშორებით რამდენიმე ფორანი და გლეხი ჩანდა. გლეხები მგზავრებს ელოდნენ, რომ ნეიტრალური ზოლი გადაეჭრათ და ისინი გერმანელების მხარეს გადაეყვანათ.

თბილანებიდან გადმოჰყავდათ ბავშვები, გადმოჰქონდათ ჩემოდნები, ბონჩები, გადმოხტა ჩამრგვალებული, მოღიმარი ბატონი და გადმოსვლაში დაეხმარა დაუძლურებულ ქალბატონს. რომელსაც აბრეშუმის წინდები ჩამოჩაჩვოდა. ქალბატონმა, ბატონმა და ბავშვებთან მყოფმა ძიძვებმა უპატარა დასაკეცი სკამები გაშალეს და ღია უცის ქვეშ უთვალავ ტყავის ჩემოდნებს შორის დასხდნენ.

ბოლოს კომისარის ვაგონში ფანჯარა ჩამოუშვეს: კომისარმა გაიღვიძა. ვაგონის ბაქანზე ახალგაზრდა კაცი გამოვიდა და პატარა ცოცხით დაიწყო იატაკის დაგვა, ჩითის პერანგზე ქამარი შეხსნილი ჰქონდა. იატაკი დაგავა, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და ნიკაპი მუშტზე ჩამოაყრდნო. სწორედ ეს

იყო კომისარი, — რომლის შესახებაც ჩურჩულით ლაპარაკობდნენ ჯერ კიდევ კურსკში, — უჩვეულოდ მტკიცე კაცი. თვალები მთლად თეთრი ჰქონდა.

— ერთი აქეთ მოდით, ამხანაგო, — თითით მოუხმო ჩამრგვალებულ ბატონს. ბატონი სკამს მოწყდა, ლოყებზე კეთილმოსურნე, ხედავს, რომელი ღიმილი გადაეფინა. — რა გაქვთ მანდ? ბიზნიუსი

— ეს ჩემი ოჯახია, ამხანაგო კომისარო. იცით, ხარკოვში ვბრუნდებით.

— როგორ?

— იცით, ჩვენ ხარკოველები ვართ. მოსკოვში სტუმრად ვიყავით დეიდასთან და უკან ვბრუნდებით.

— მე გეკითხებით, ეს ყველაფერი, ეს თქვენი ბარგია-მეთქი?

— იცით, ვიდრე დეიდასთან სტუმრად ვიყავით, რამდენიმე შვილი გაგვიჩნდა.

ბატონი წრფელად და პატიოსნად ლაპარაკობდა, გულკეთილად და ალალად იღიმებოდა. კომისარმა ნელა ჩაიყო ჯიბეში ხელი ქისის ამოსაღებად, პაპიროსი გაახვია, მოუკიდა და გულიანად გადააფურთხა.

— არ გაგიშვებ, — თქვა და ნესტოებთან კვამლი გამოუშვა.

ბატონი უკვე მთლად ბავშვურად იღიმებოდა.

— მე მხოლოდ ერთი რამ მინდა ვითხრათ: ღია ცის ქვეშ ბავშვებს გავაცივებთ. ამხანაგო კომისარო, უკან დაბრუნება კი შეუძლებელია, დეიდა მოსკოვში ვიწროდაა.

— მე არ ვიცი, ვინა ხართ, ვალდებული ვარ ბარგი გაეჩხრიკო.

— ვინა ვარ? შემომხედეთ, — ბატონს სახე მთლად გაუცისკროვნდა. — გინდათ ნახოთ რა მიმაქვს? — მან ცოლს გასძახა: — სონია, ფისო, მომიტანე ჩემი ჩემოდანი. მე ვერ ველევი სიჭაბუკისდროინდელ რელიქვიებს: გერცენის, ბაკუნინისა და კროპოტკინის პორტრეტებს. პატარაობიდანვე მამზადებდნენ რევოლუციური მუშაობისათვის, მაგრამ გაჩნდნენ ბავშვები, — მოვეშვი, ვალიარებ. საპასუხისმგებლო მუშაობისათვის არ ვვარგოვარ, მაგრამ, ვინ იცის, რესპუბლიკას ყოველი კაცი გამოადგება, ხომ სწორად ვამბობ? სიტყვამ მოიტანა და გაქცევას არ ვაპირებ: ბავშვებს ხარკოვში დავაბინავებ და ერთ კვირაში უკან დავბრუნდები...

კომისარი შეიჭმუხნა, განზე იყურებოდა, ყურებზე სიწითლე ედებოდა.

— მე თქვენ დავაპატიმრებთ და მაშინ ვნახავთ, ვინ ბრძანდებით მართლა და მართლა.

ბატონი ალტაცებით მოიჭრა მასთან:

— სწორედ რომ არ შეიძლება სიტყვაზე ნდობა, სწორედ ასეთ პასუხს ველოდი...

სემიონ ივანოვიჩი ყურადღებით უსმენდა. მთელ მათ საუბარს და უმჯობესად მიიჩნია გაცლოდა აქაურობას. ერთხანს სადგურში იხეტიალა. ირგვლივ ყველაფერი გაუკაცურებული, გაპარტახებული იყო, ფანჯრები — ჩამსხვრეული. ნევეზოროვს არავინ უთვალთვალებდა. ამიტომ მინდორში გავიდა და ბალახზე დაწვა. დაახლოებით ერთი საათი იწვა, შემდეგ გახობდა და ისევ დაწვა. მოისმა ლაპარაკი: შორიახლო ორმა ჯარისკაცმა ჩაიარა, მათ

შუა მიდიოდა ქერელის ტილოს პალტოიანი, ზურგზე მოხჩამოკიდებული კაცი.

მცირე ხნის შემდეგ სემიონ ივანოვიჩი ბირკავეებსა და ავშანებს შორის გახიზდა ზედ ცარცოვანი ბორცვების ძირას გამავალე ხევისკენ ფრთხილად ჩაგორდა მშრალი ხევის ფსკერზე და დასავლეთით გაქცა.

როცა მზე მალლა ავიდა, სემიონ ივანოვიჩი ხევიდან ამოძვრა. სადგური და კომისრის ვაგონი აღარ ჩანდა. წინ, შორიახლო გაწოლილიყო ლიანდაგი, ლიანდაგს იქით — მოწითალო, უდაბური ტრამალი, რომელზეც მტვრიანი გზა მიიკლავებოდა.

შელამებისას გზაზე აღმოსავლეთიდან ფორნები გამოჩნდა. სემიონ ივანოვიჩმა მიმოიხედა, — ვერსად დაიმალებოდა. მაშინ გიმნასტურა გაიხადა, ჯიბეები, ილღიები ჩაახია, მტვერში ამოგანგლა, ისევ ჩაიკვა, დაჭდა გზის პირას და უსაცოდავესი კაცის გამომეტყველება მიიღო. ფორნება ჩორთით ახლოვდებოდნენ. სემიონ ივანოვიჩი მათკენ წახანხალდა, ხელები გაიშვირა და ყვირილი მორთო: „მიშველეთ, მიშველეთ“. წინა ფორანი გაჩერდა. მასზე მხიარული, ჩამრგვალებული ბატონი და დაუძლურებული ქალბატონი ისხდნენ. უკანა ფორანზე ძიძები და ბავშვები იყვნენ, თანაც ზედ სკივრები დაეზვინათ.

ერთიანად აცახცახებულმა სემიონ ივანოვიჩმა მათ უამბო, რომ სცემეს და სულთ ხორცამდე ყველაფერი წაჰკლიჯეს. აჩვენა სახელმწიფო თეატრების მსახიობის მოწმობა. „ეი, დაჯექით უკანა ფორანზე, გასწი!“ — დაუყვირა მეფორნეს ჩამრგვალებულმა.

მზის ჩასვლისას ტრამალის მიღმა ალვის ხეების კენწეროები და ხუტორის ჩალის სახურავები ამოიწვერა. გზისკენ — ბოლშევიკების მიმართულებით — ტუჩმიშვერილი იდგა გერმანელების ორი ქვემეხი.

სემიონ ივანოვიჩი ახალ თანამგზავრებთან ერთად ხარკოვამდე მივიდა. ძალაგამოცლილმა ქალმა ვოკზალში ბუფეტთან მიიბრინა, აცრემლებულმა წამოიძახა: „თეთრი ფუნთუშები, ფუნთუშები! შეხედეთ, ბავშვებო, ფუნთუშები!“ და ქმარ-შვილს გადაეხვია. ამაზე სემიონ ივანოვიჩსაც კი მოერიაცრემლი.

სემიონ ივანოვიჩმა ფული საიღუმლო ადგილიდან ჯიბეში გადმოიწყო და ბედაურებშებშული კონტა ეტლით საუკეთესო სასტუმროსკენ გაუტია. იმავე დღეს ლურჯი შვეიცოტის ჩინებული კოსტიუმი შეიძინა, შემდეგ შამპანურს სვამდა. ხარკოვმა გააბრუა იგი. ქუჩებში მძიმედ, ტორტმანით დადიოდნენ ფოლადის მუზარადიანი გერმანელი ჯარისკაცების კოლონები. ბედაურებშებშული კონტა ეტლებით მიმოქროდნენ ძველ უკრაინულ გვარეულობათა შთამომავალნი, რომელთაც თავზე მეწამული ფაფახები ეხურათ. ლურჯი შვეიცოტის კოსტიუმებში გამოწყობილი სამხედრო ფორმაცია უამრავი საქმოსანი ყავახანებში იყრიდა თავს, არაფრისგან აკეთებდნენ ფულს. უკრაინის ერთი კიდიდან მეორემდე დააქროლებდნენ ასპირინით, აბუაალთინიასა და საცხები ზეთებით დატვირთულ ვაგონებს. შელამებულზე ვერცხლისფერი შუქით ნათდებოდა კაბარეებისა და ცინოების კარები. ქალაქის ბაღში მუსიკა გრიალებდა, წყლის პერით დაფარულ მდინარე ნეტეჩის ნაპირზე. სადაც გომბეშოები და ბაყაყები ირგოდნენ, ყვიროდნენ და ზრია-

ლებდნენ, ნისლოვანი გველებივით იკლავებოდა თორმეტსახოვანი ციგებ-
ცხელები.

სემიონ ივანოვიჩი ქალაქის ბაღში სეირნობდა, გრიალებდა როკეტარი,
შიშინებდნენ ფარნები შავი ცის ქვეშ არაბუნებრივად მჩინარ ფოთლებში:
სემიონ ივანოვიჩმა ორ ქალს დაადგა თვალი: ერთი ქვეშევსრული, მკვრივალა,
ბერეტა და აბრეშუმის ფარდისგან შეკერილ კაბაში გამოწყობილი, მეორე
— ხმელ-ხმელი. ფრთებით გაწყობილი ვეება შლაპა ეხურა. „არისტოკრა-
ტებია“, — გადაწყვიტა სემიონ ივანოვიჩმა, დედაქალაქურად ასწია ჩალის
კარტუზი და თქვა:

— სულ ერთი და იგივეა. ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ: კონტ სიმონ დე
ნეზორი. უარს ნუ მეტყვიან ერთად ვახშობაზე.

არისტოკრატებს არც გაევირევა გამოუხატავთ, არც ეჭვი და სიმონ დე
ნეზორთან ერთად მაშინვე შევიდნენ კაბინეტში. კაბინეტის ფიცრის კედლე-
ბი უაღრესად თამამი და უწმაწური წარწერებით იყო ავესებული. დე ნეზო-
რმა არაყი, საუზმე და შამპანური მოითხოვა. შეინახენი თავს ერთობ თა-
ვისუფლად გრძნობდნენ. იხსენებდნენ დედაქალაქში გატარებულ ცხოვრე-
ბას: „აჰ, პეტროგრადი!“ — იმეორებდნენ ქალები. დე ნეზორი ყვაროდა:
„წყვეთილ ვიყო, ქალბატონებო, თუ ერთ თვეში დამსჯელ ექსპედიციას-
თან ერთად არ დავბრუნდეთ პეტროგრადში“.

არაყი წყალივით ისმებოდა მშვენიერ მოგონებათა უბნობაში. ჭანუ-
ნებდნენ ბოკალები. თანამესუფრეებმა რამდენჯერმე ჰიმნი წამოიწყეს. ფი-
ცრის კედლები უკვე აქანავდნენ. თამბაქოს ბოლში, კაცმა არ იცის როგორ,
მაგიდასთან გამოჩნდა მეოთხე თანამოსაუბრე — მკლე, შელანდილი, ცხვი-
რჩამოშვებული ბატონი, ქერა თმა ორად ჰქონდა გაყოფილი. იგი მეტისმე-
ტი სიამოვნებით მიეძალა ხაზილალას და შამპანურს.

„ნუთუ იავე იბიკუსი დამომეცხადა, ფუი, დასწევლო ეშმაკმა!“ — გაი-
ფიჭრა ტვინარეულმა დე ნეზორმა.

— და მაინც, თქვენო ბრწყინვალეებო, კოტა აღრეა ჩვენი სიკვდილი,
ჯერ კიდევ წავიფუნდრუკებთ, — ენამოქცევით ეუბნებოდა მას უცნობი.
ქალები უცნობს პლატონ პლატონოვიჩს ეძახდნენ. ერთ-ერთმა, შლაპიანმა
ქალმა, სცადა პლატონ პლატონოვიჩს მუხლზე დაჯდომოდა — ეტყობოდა,
კარგად იცნობდა. „მომეშვით, მცხელა“, — ეუბნებოდა პლატონ პლატონო-
ვიჩი და იდაყვით იშორებდა მას.

— თქვენო ბრწყინვალეებო, თქვენ აქ დაფუძნებას აპირებთ?

— არ ვიცი... მოვიფიქრებ...

— ძალიან დაგაზარალათ რევოლუციამ?

— სახლი ერთიანად გამიძარცვეს... საჯინებოები დამიწვეს. ჩემს საუ-
ქეთესო ულაცს თვალები ამოთხარეს... მესმის, ჩემთვის ამოეთხარათ... ულა-
ყი რაღა შუაში იყო?...

— ცხენება თვალები დათხარო! ესეც თქვენი სოციალისტები! ესეც
თქვენი წყვეული ლიბერალები! — ამბობდა პლატონ პლატონოვიჩი. — მაშ,
ცხენების მოყვარული ბრძანდებით, გრაფო?

— უცნაური კითხვაა.

— მაშინ კალაპარაკოც აღარაფერია. მიწა უნდა იყიდოთ მალოროსია-
ში. ასეთი შემთხვევა ათასში ერთხელ თუ მიეცემა კაცს. შეგიძლიათ ცენზი-

ანი ნაკვეთი მუქთად, ჩაღის ფასად შეიძინოთ. რაღა შორს წავიდეთ, მე მოგყიდით მამულს — „სკრეგელოვას“, — საუცხოო ხედები, გრაფ რა- ზუმოვსკების უძველესი სახლი... ძვირფასო გრაფო, ბოლო მოეღება ამ წყეულ არეულ-დარეულ ვითარებას და გაისად მაზრის წინამძღოლად გაგი- ყვანთ.

— მე და წინამძღოლი? რატომ მაინცდამაინც მე ^{ქრისტეშვილი} ~~წინამძღოლი~~ გრაფი დე ნეზორი ამ ახალმა შესაძლებლობამ დაარეტიანა. წინ იშლე- ბოდა დიდებული პერსპექტივა. „თავადაზნაურობის წინამძღოლი, — ეგრე იყოს, მზად ვარ“, — ბუტბუტებდა და მიცურავდა კედლები, შლაპები, გრძელი, გაოფლილი ცხვირები, მაგიდიდან კვივოდა ბოთლები. უკვე დღე იდგა, როცა გრაფი დე ნეზორი ხელჯავით ჩასვეს ეტლში. შემდეგ ყველა- ფერი ნისლით დაიბურა.

გრაფ დე ნეზორს შეღამებულზე გაეღვიძა. კეფის ძვლები ტეხდა. მისი, საწოლის წინ სკამზე პლატონ პლატონოვიჩი იჯდა და აბოლებდა.

— ძალიან გვიანაა, — თქვა მან, — მატარებელმა არ გაგვასწროს.

კარ-მიდამო, სადაც პლატონ პლატონოვიჩმა ნეზოროვი მიიყვანა, მარ- თლაც მშვენივრად იყო გაშლილი ბორცვებს შორის. პატარა მდინარის მახ- ლობლად. სახლს სვეტები და აგურის სვეტებზე შემდგარი ორი ლომიც კი ჰქონდა. სემიონ ივანოვიჩი შიგადაშიგ თვალს ავლებდა მათ: „საკუთარი ლო- მები, ნუთუ შესაძლებელია?“ ქვედა სართულში ყველა ფანჯარა ჩაღეწილი იყო. პლატონ პლატონოვიჩმა ყურადღება მიაქცია ამ ზარალს და მუხლებ- ზე ხელი დაირტყა: „გუშინწინ სეტყვამ ჩაამსხვრია“. მან ერთობ თავაზია- ნად დაუკრა თავი სამზარეულოს გვერდით ბალახზე წამოწოლილ ორ გერ- მანელ ჯარისკაცს. ეტლების ფარდულთან ჩავლისას ჭიშკარი ჯახუნით და- ხურა (თუმცა ნეზოროვმა იმის დანახვა მოასწრო, რომ იქ ძველი თავ- ლის გარდა არაფერი იყო). პლატონ პლატონოვიჩი შრამელების დასათვალი- ერებლად არ შეყოვნებულა, გრაფი პირდაპირ ბალში გაიყვანა. ხშირ ბალა- ხში დიდებულად იდგა ალვის ხეები, ცაცხვები, აკაციები. პლატონ პლატო- ნოვიჩი დიდხანს გასცქეროდა გაცლილ მსხალს. „ჰმ, არამზადები“, — თქვა და სტუმარი ძველებური ბელგედერის სანახავად წაიყვანა. ეს იყო ჩამო- ცრცნილი ფანჩატური, რომლის იატაკზე ჯერ კიდევ შორიდან ჩანდა ის, რა- საც ადამიანი ჩაყუნცვის შემდეგ ტოვებს. „ჰმ“, — გაიმეორა პლატონ პლა- ტონოვიჩმა. შევიდნენ სახლში. ქვედა სართული გამოცარიელებული და მონაგვიანებული იყო, კარები — ჩამოგლეჯილი. ფანჯარაში ყვავი გაფრთხი- ალდა. პლატონ პლატონოვიჩმა ჯავრით ამოიჭიყჩიყა: „აქ დარბაზია, იქ — სა- ბილიარდო, იქ კი საზაფხულო სასადილო. დავალაგებთ, ჩავსვამთ მინებს და ცქერით ვერ გავძლებით. სამაგიეროდ ზემოთ სიმყუდროვეა“. პლატონ პლატონოვიჩმა ნეზოროვი ჭრილა ხვეულ კიბეზე აიყვანა. ზედა ოთახები მართლაც ავეჯით იყო გაწყობილი, ფარდები და სურათებიც კი ეკიდა. მაგ- რამ ეს ყველაფერი უცნაური სანახავი გახლდათ: თითქოსდა მთელი ავეჯი აქედან გაეტანათ, გაექუცათ, დაემტვრიათ, აერ-დაერიათ და ისევ დაედგათ უხეიროდ.

— ჩვენი გლეხები უგულვეთილესი ხალხია, — ამბობდა პლატონ პლა- ტონოვიჩი, — ვრაფო, გთხოვთ, სავარძელში დაბრძანდეთ. თქვენ წარმოი-

დგინეთ: სოფელში ნახევარი წელიწადი იჯდა ბოლშევიკი, უჩიჩინებდა მათ, კარ-მიდამო გაძარცვით. გლეხებიც მხოლოდ იმისთვის, რომ ბოლშევიკისგან თავი დაეღწიათ, მოვიდნენ და ტირილით მითხრეს: გვიბრძანეს, გაძარცვით. მე კი მათ თვითონვე ვუჩიე: გლეხებო, წაიღეთ, წაიღეთ, რაც გინდათ-მეთქი. ო, შემდეგ, რასაკვირველია, სველაფერი უკუაქვს მათ. სუყველა თავზეხელაღებული მონარქისტია.

სემიონ ივანოვიჩი ფანჯრიდან ლომებს გაჰყურებდა. თითქოს ამ დღეების მთელ გრძელსა და ფერფელში მხოლოდ მათი ქვის დინგები უცქეროდნენ მშვიდად და ზიზლით მარადისობას. ისინი საოცრად ნაცნობ რაღაცას ჰგავდნენ.. „მერედა ვინაა თავდები; შეიძლება მართლაც გრაფი დენეზორი ვარ“, — გაიფიქრა სემიონ ივანოვიჩმა და ტანში ქრუანტელმა დაუარა.

— რემონტი ძვირი დამიჯდება, სახეიროს ვერაფერს ვხედავ, — ცივად თქვა მან. — მაგრამ, კეთილი, ვყიდულობ თქვენს კარ-მიდამოს.

პლატონ პლატონოვიჩმა მაშინვე თვალები დააფახულა და ვილაც ხალათმოსხმული, ჩიბუხიანი, ულვაშა, მსუქანი-მსუქანი კაცის ცერად დაკიდებულ პორტრეტს მიაცქერდა. ეტყობოდა, საკმაოდ დელავდა. „აი, ესეც უკვე სულ თქვენია, გრაფო“. პლატონ პლატონოვიჩმა კიდევ ერთხელ დააფახულა თვალები და ცრემლი ჩამოუგორდა ვეება, დაგუდლებულ უბეზე.

სემიონ ივანოვიჩს ისე სწყალობდა ბედი, „სკრეგელოვკა“ არათუ მეტად ხელმისაწვდომ ფასად, — გრაფ დენეზორის სახელზეც კი იყიდა; პასპორტი და დოკუმენტები ხარკოვში სპეციალისტ გრაფიორთან შეიძინა.

სულ უფრო თვალისმომჭრელად იშლებოდა წინ პატივმოყვარული პერსპექტივები. კიევში ჩასული სემიონ ივანოვიჩი პეტმან სკოროპადსკის წარუდგინეს, რომელმაც მკაცრად გადაუჭრა სიტყვა ახალგაზრდა სამშობლოსათვის ესოდენ მძიმე ჟამს წმინდა მოვალეობათა შესახებ. ნევეზოროვმაც სასწრაფოდ დაიწყო მოვის — უკრაინული ენის შესწავლა. კლუბში რამდენიმე ღამე იღბლიანმა თამაშმა ფულის დანაკლისი შეუვსო. სოფლის სახლისთვის იყიდა მდიდრული მოწყობილობა, ხალიჩები, ვაზები, ეკიპაჟები... „სკრეგელოვკაში“ გახურებული რემონტი მიმდინარეობდა. მეტი რაღა უნდა ენატრა? მაზრის წინამძღოლის არჩევნები? სისულელე იყო: ნევეზოროვს სწამდა, რომ, თუ პეტმანის ივირგვინს ისურვებდა, ბედის წყალობით მასაც აღვილად მიაღწევდა. „კი, მაგრამ, სიზმარი ხომ არაა ეს ყოველივე?“ — ფიქრობდა ხანდახან. არა, კიშკართან მდგარი ლომების მოკლუნული დინგები ქვისა გახლდათ, სიზმარეული არ იყო, ახალი კიშკრიდანაც ფისი იღვენთებოდა, სახლის ფანჯრებში წითლად ღუოდა ჩამავალი მზე...

მაგრამ უცებ წარმატებათა და პატივმოყვარულ ოცნებათა ჟამს ბედმა კარტი არია და სემიონ ივანოვიჩი კვლავ აღმოჩნდა უჩვეულო თავგადასავალთა გზაზე.

პლატონ პლატონოვიჩმა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, დამალა ერთი მნიშვნელოვანი ამბავი: „სკრეგელოვკის“ მიწების 270 დესეტინიდან 250 გლეხებს ჰქონდათ სახნავად და მათ ეს მიწები თავიანთ საკუთრებად მიაჩ-

ნდათ. გრაფ დე ნეზორმა პეტმანის პირად კანცელარიას თხოვნა გაუგზავნა — ლონისძიება გაატარეთ, რომ კუთვნილი მიწები დამიბრუნონო. კანცელარიიდან ზოგადად, ბუნდოვნად უპასუხეს — ურჩევდნენ ზოლშევიკების სრულ განადგურებას და წესრიგისა და კანონიერების აღდგენას დალოდებოდა. გრაფი დე ნეზორი იძულებული გახდა თვითონ მოეზოკმედებინა რამე. გადაწყვიტა გლეხებისთვის ნელ-ნელა წაერთმინა მიწები, რომ მიზნით სოფელში დადიოდა და ესაუბრებოდა მათ. გლეხები ხალისით იხდიდნენ ქუდს გრაფის დანახვაზე. მაგრამ, სიტყვა რომ მიწაზე ჩამოვარდებოდა, უცნაურად გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს, ნევეზორს წყნარად, მაგრამ ორაზროვნად უპასუხებდნენ.

ერთ საღამოს, როცა უკვე ნახირმა ჩაიარა და მტვერი დაწდა, ოწინარების კრიალი მოთავდა, შინაური ფრინველი და ღორები დააბინავეს, წნორებისა და მსხლების, ჩალის სახურავების ზემოთ თხაწოვიამ ფრენა დაიწყო და სევდიანად მოჰყვა — მძინავს, მძინავსო, როცა ნავახშიმ დარბაისელი გლეხები მორებზე დასასხდომად და წეკოს მოსაწევად გამოვიდნენ, — ერთ ასეთ საღამოს სემიონ ივანოვიჩმა პოლიტიკური საუბარი გააბა:

— აი, თუნდაც გერმანელები, მათგან შეიძლება ზოგი რამ ისწავლოს კაცმა. გერმანელებს მთელი მსოფლიო ვერ დაამარცხებს. მერედა, რატომ? წესრიგი, კანონი აქვთ. რაც ჩემია, ჩემია, რაც შენია, შენია. მათთვის საკუთრება წმიდათა წმიდაა.

— სწორია, — მიუგეს გლეხებმა, — გერმანელს ეს ახასიათებს.

— გერმანელებმა ზუსტად ექვს ივნისს ჩვენი სოფელი ძირს დააწვინეს და ტ...ზე დასცხეს, კაცებს ოცდათხუთმეტი-ოცდათხუთმეტი, ქალებს ოცოცი წკებლა. იცოცხლე-თქვა მოიფხანეს, — მოისმა ხშირი ბალახიდან.

— მერედა, კარგი რა მოჰყვა ამას: ბატონის მთელი სახლი დაიტაცეს, ბატონს კი დასაჯდომიც არა აქვს, — დასძინა გრაფის გვერდით მჯდომმა მოხუცმა.

— ბატონს ქალაქში ვვარიანი გამოსარჩენი აქვს, — გაისმა მორის კიდიდან სემიონ ივანოვიჩისთვის უცნობი მხიარული, მკვირცხლი ხმა. — ისურვა და ფული ერთ ღამეში კარტში წააგო. მიწა რად უნდა? არა, ათი წელი ვიქნებით ამბოხებული, ცარიელი ხელებით დავიძრებით, მტერს თოფებს წავართმევთ და ჩვენას კი გავიტანთ, ეს ჭერჭერობით სულ პატარ-პატარა ამბოხებებია, მაგრამ აი, მთელი გლეხობა აჯანყდება და მაშინ ნახეთ მოსახდენი. — მოლაპარაკემ გაიცინა. გლეხები დუმდნენ. — ათი წელი ვიონებით. ხათაბალა სწორედ ეგ იქნება! შენ კი, გერმანელებო.

გრაფ დე ნეზორს ეს საუბარი არ ეტაშნიცა და ჭერჭერობით სოფელში სეირნობა შეწყვიტა. არ მოსწონდა ვილაც უცნობი პიროვნებანიც, რომელნიც ხშირად ჩნდებოდნენ ეზოში. ასეთ უცნობს ჯარისკაცის კარტუზი ყურზე ჰქონდა ჩამოფხატული, ხელები — ჯიბეში ჩაწყობილი, მოაბიჯებდა ბატონის სახლის გვერდით და უღვაშებში იცინოდა.

ერთხელ, გრაფი სისხამ დილით, ფანჯრებს მიღმა ატეხილმა ბათქაბუთქმა გააღვიძა. მაშინვე გაიამა გაავებული ყვირილი. სემიონ ივანოვიჩმა ფანჯარასთან მიიბრინა: ფიწლებით, ნაჯახებით, თოფებით აღჭურვილი გლეხები გერმანელ ჯარისკაცს გარს შემორტყმოდნენ. ჯარისკაცი ყოველ მხარეს

რენი — ამოელიტესო. მაგრამ ბაზარში, აქედით ფარდულებთან ფორნები მაინც მოდიოდნენ, რათა მათ პატრონებს კალაჩებით, ღორის ქონით, მზეზე გამოყვანილი თევზით ევაჭრათ. სემიონ ივანოვიჩი ღამეს ვოგნალში ათევდა, დღისით ქალაქში დაეხეტებოდა. ხან კბილებდაღრკენილ, მკვდარ ძაღლს დაინახავდა და დიდხანს უყურებდა, ვიდრე არ ამოეფურცებდა. ხან გამოსასაუბრებლად გაჩერდებოდა მავან დედაკაცთან, ბანხაში სხამ ძლივს უფარავდა ტანს. ქალაქს იქით, ტრამალში მთელი დღეები კვამლი იდგა, შეღამებულზე შორეული ხანძრის ანაშუქი ერთოდა. ირგვლივ საშინელი მოწყენილობა აუფევდა.

ერთხელ სემიონ ივანოვიჩმა ბაზარში მზეზე გამოყვანილი კაპარტონა და კალაჩი იყიდა და ფართო ქუჩას გაუყვა ქალაქის განაკიდეს, ზედ ტრამალის პირას მდებარე ერთი პატარა სახლისკენ, სადაც შინნახადი არაყი მოვნა შეიძლებოდა. უცებ გზა შიშნეული ყვირლით გადაიბინეს ბიჭებმა. კიშკრიდან თავშიშველი ქალი გამოიჭრა და დარაბების დაეჭვა დაიწყო. სემიონ ივანოვიჩისთვის ეს სამზადისი უცხო არ იყო, მაგრამ ამ უდაბნოში საიდან უნდა მოლოდებოდნენ საფრთხეს? იგი ნაცნობ სახლამდე მივიდა, სადაც შინნახადი არაყი იყიდებოდა, და თვით სახლის პატრონი დაინახა. სახლის პატრონს ხელები წელზე დაეწყო და მოცინარი უცქეროდა ტრამალს. იქითეენვე მიეშვირა წითური, გამტვერილი წვერი.

— ისევ, მობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო, — თქვა სახლის პატრონმა და თავი გააქნია. ტრამალის ფართო გზაზე მტვერი დგებოდა. — უსათუოდ ისაა, სხვა ვინ იქნება (სემიონ ივანოვიჩმა ჰკითხა: ვინაო?). როგორ თუ ვინაა? ატამანი ანგელი. ქობში შედი, მეგობარო, რამე არ მოხდეს.

სემიონ ივანოვიჩმა ფანჯრიდან დაინახა, მტვრის ღრუბლიდან როგორ გააფთრებით გამოიჭრნენ სამცხენა პატარა ფორნები — საზიდარები. საზიდარა ორმოცდაათზე მეტი იქნებოდა. წინაში (მაშინ თაფლა, საღარი დონური ულაყები ება), გვერდებმოფრიალე სპარსულ ხალიჩაზე როკოკოს სტილის მოოქროვილი სავარძელი იდგა, რომელშიც მუხლებზე ხელებდაბჯენილი იჯდა ჩასკვნილი, დაწვებფართო კაცი. კაცს სახე ყავისფერი ჰქონდა, გაპარსული, გაქვავებული. პლუშის ფრენჩი ეცვა და ნაცრისფერი კასაქტი ეხურა. ეს იყო თვით ატამანი ანგელი. ანგელის სავარძლის უკან შაშხანებმომარჯვებული, კარტუზიდან კოჩორგამოშლილი ორი ახალგაზრდა ატამანელი იდგა. ანგელის საზიდარამ ზანზალაკების წყრილით ჩაიჭროლა. მის უკან სხვა საზიდარებზე ფეხებგადმოკიდებულნი ისხდნენ მაზარიანი, ტყაბუქიანი, ტყვიამფრქვევებით, რევოლვერებით შეიარაღებული, ყუმბარებშემართული ატამანელები. ცხენების თქარათქურის, ყიყინისა და ეჭვნების ქლარუნისგან ყურთასმენა აღარ იყო.

— ასე დაჭენაობენ ტრამალში, ალიაქოთს ტეხენ, ატამანელი-ყაჩაღები, — ხმადაბლა თქვა არყის მხდელმა, — გლეხები სოფლობით მიდიან მათთან. მოსვენებას არ აძლევენ, მაგრამ განა ყველას ღებულობენ ყაჩაღებად. ახლა გენერალ დენიკინის მოხალისეებს ურტყამენ, ხოლო თუ ბოლშევიკებს გადაეყარნენ, არც მაგათ დააქლებენ ხელს.

კიშკარზე დააბრაბუნეს, არყის მხდელმა პირჯვარი გადაიწერა და კიშკრის გასაღებად წავიდა. უკან ორ ატამანელთან ერთად დაბრუნდა. ატამა-

ნელეები მტვრისგან გაშავებულიყვნენ, მხოლოდ თვალები და კბილები უელავდათ.

— ექვსი ვედრო არაცი, ჭურჭელი ჩვენია, — უთხრა ერთმა არცის მხდელს,

მეორემ ფული ისროლა მაგიდაზე.

— შენ კი რა კაცი ხარ? — ჰკითხა მან ნევეზოროვს.

— ბუღალტერი.

— როგორ თუ ბუღალტერი?

სემიონ ივანოვიჩმა საჩქაროდ აუხსნა — ბოლშევიკებს გამოვექეცი, დენიკინელებთან მისვლა კი არ მინდა — სინდისს ვერ ვუღალატებ, ამიტომაც უმიზნოდ ვცხოვრობ ამ ქალაქშიო.

— ოჰო, — თქვა პირველმა, — ატამანი დიდი ხანია წუხს, რომ მოანგარიშე-ხაზინადარი არა გვყავს. გამომყევი.

სემიონ ივანოვიჩი ჭუჩაში გაიყვანეს, სადაც არცის მხდელს არციანი ჭურჭელი გაჰქონდა, და ატამანს წინ დაუყენეს. ატამანი მძიმედ შემობრუნდა სავარძელში, სემიონ ივანოვიჩისკენ გადმოიხარა და ჩაცვენილი, უსიცოცხლო თვალები ჩააბეჭდა:

— რა შეგიძლია? ანგარიში? (სემიონ ივანოვიჩმა პასუხად მხოლოდ სუსტად დაიჩიუჯიყა და თავი დაუქნია). კეთილი, გაიჩინე საანგარიშო წიგნი. ხაზინა დიდია. ხელი რომ წაგიცდეს, იმწამსვე ხმლით წაგაცლი თავს, გაიგე, ეშმაკის კერძო?

ამის გაგებას რა უნდოდა: სემიონ ივანოვიჩი ყაჩაღების ხაზინის ბუღალტერი გახდა. იმავე დღეს იგი ატამანელებმა საზიდარაზე დასვეს ორი ბრგე კაზაკისა და ფულითა და თქროთი გატენილი შემოჭედილი სკივრის გვერდით და ისევ ტრამალში გაუტეეს. წინა საზიდარით ნოხზე დადგმულ სავარძელში მჯდომი ატამანი ანგელი მიიწევდა, მას უკან — ორმოცდაათი საზიდარა მიჰყვებოდა.

ატამანი ელიზავეტგრაძეზე სალაშქროდ მიდიოდა. საზიდარებზე იყო მთელი მისი ძალა — ქვეითებიც, კავალერიაც, ტყვიამფრქვევებიც, ქვემეხებიცა და ალალიც. ატამანი საოცარი სისწრაფით მოძრაობდა, მის საზიდარებს უკან კუბრით ეწერა კიდევ: „ჩემ ფეხებს დამეწევი“. სოფლის ან დაბის დაბყრობის შემდეგ ხშირად მფრინავ რაზმებს გზავნიდა ყოველ მხარეს და ისინი ხორციით, არციით, შვრიით, შაქრით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ. ზოგჯერ თვლებზე შემდგარი მთელი ჯარის ტრამალის მტრედისფერ პორიზონტს მიღმა გაქანდებოდა და ადგილზე მხოლოდ სემიონ ივანოვიჩი, ხაზინა და დაცვა რჩებოდა.

ხშირად ტრამალში ათევდნენ ლამეს, თუმცა შემოდგომა იდგა, ციოდა. საზიდარებს წრიულად აყენებდნენ ძველი კაზაკური შვეულებისამებრ, ხსნიდნენ ცხენებს, გზავნიდნენ მზირებს. ფორნებთან ანთებდნენ კოცონებს, ცეცხლზე ჰკიდებდნენ ქვაბებს ქათმის, ცხვრის ხორცის, ფაფის მოსახარშად, კასრებიდან წრეტავდნენ შინნახად არაცს.

სემიონ ივანოვიჩს უცნაურად და უჩვეულოდ მიაჩნდა შემდეგი ამბავი: ახოვანი, მზარბეჭიანი, ავდრისა და სპირტისგან ჩაშავებული ატამანელები, იგივე მაზარები რომ ეცვათ და იგივე კარტუზები ეხურათ, რომლებითაც

სულ ცოტა ხნის წინათ ფლევითს წივილში ნევის პროსპექტზე პირქუშად მიაბიჯებდნენ — ფორნტზე, სასაკლაოზე მიდიოდნენ, სწორედ იგივე ნაცნობი, წვეროსანი ადამიანები ახლა შემოდგომის ვარსკვლავების ქვეშ ფორნებთან ქეჩაზე ისხდნენ, კარტს, ცხრიანს თამაშობდნენ და ფულის სქელ დასტებს ისროდნენ. აი, აგერ ერთი დგება, კასრებში — ცეცხლოვან სპირტს წრუბავს და ისევ ეცემა კოცონთან. იქ სიმღერა გააბეს, ტრამალის სიმღერა, მოძახილიანი სიმღერა... მას ჯერ კიდევ იმ წლებში მღეროდნენ, როცა აი, ასევე დაეხეტებოდნენ ვაციწვევებში ტმუტარაკანის მთავართან ერთად. აქ კი კარტს თავი მიანებეს, წამოხტნენ, ქუდები ძირს დაცვივდა და თმაში ჩააფრინდნენ ერთმანეთს: „დასცხე“.

მაგრამ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ატამანი გამოჩნდა და ჩხუბი ჩაეხრა. ანგელმა ბევრი ლაპარაკი არ იცოდა, თვალის ფოსოებიდან ამღვრულად გამოიხედავდა და კაზაკს მაშინვე გაუვლიდა სიმთვრალე. ასეთი შესვენებების დროს ატამანი ბევრჯერ მისულა სემიონ ივანოვიჩთან. უბრძანებია — საბუღალტრო წიგნი მომეციო, და გაოცებულა სამმაგი ბუღალტერიის გამომგონებელი ბურჟუების ეშმაკობით.

— შენ ქალაქ-ქალაქ გიწოწიალია, ჩვენზე ალბათ სისულელეს წერენ, არა? — ნევზოროვს ეკითხებოდა ატამანი. (სემიონ ივანოვიჩი მაშინვე უდასტურებდა, შენზე წამიკითხავს და თანაც სწორედ სისულელეო.) — საქმეც ეგ არის. რას მიხვდებიან ისინი? უნდა მოსპო ქალაქები. აი, რა არის საჭირო. დამაცა, მოვსპობ კიდევ. ერთი წიგნი მინდა მიშოვო, არის ასეთი წიგნაკი: „ანარქიზმი“. წაგიკითხავს?

— წამიკითხავს, ანგელ ივანოვიჩ, მაგრამ როგორღაც დამავიწყდა.

— ბრიყვი ხარ, სემიონ... შენი ბუღალტერია რომ არა... ჰო, კარგი, ნუ კანკალებ, ხელს არ გახლებ... მაგრამ აი, ელიზავეტგრადს რომ ავიღებ, ეს წიგნი მიშოვე.

ერთხელ ასეთსავე ღამეს, შესვენებისას, ტრამალში, ფორნებს შორის აქოშინებულ ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა კაზაკი გამოჩნდა. მას მკერდზე ტყვიამფრქვევის ლენტები ჰქონდა გადაჭვარდინებული. „ატამანო!“ — იყვირა, ჩამოქვეითდა და ანგელს ყურში რაღაც უჩურჩულა.

— შეაბ-ი-ი-ით ცხენები! — ბრძანა ანგელმა მშვიდად, მაგრამ ისე, რომ ყველა ფორანთან გაეგონათ, და რამდენიმე წუთში ბანაკი აიშალა: ფორნებში ჩაყარეს ქვაბები, კასრები. უხმაუროდ შეაბეს ცხენები, ცხენებს ზანზალაეები ჩამოკიდეს, წრე გაიშალა და საზიდარები ოთხით მოსწყდნენ ადგილს.

სემიონ ივანოვიჩი საზიდარაში ფულის სკივრს ჩასჭიდებოდა. წინ, გვერდებზე, უკან — სხვა საზიდარები მოჭროდნენ. ვარსკვლავების შუქზე ტრამალი ჰქადარა, უნაპირო ჩანდა. ყურებში ქარი ზუზუნებდა. სემიონ ივანოვიჩი კბილს კბილზე აცემინებდა.

შორს სროლის ხმა გაისმა. საზიდარები გაიფანტნენ. შეუჩერებლად გაუხვიეს ჩრდილოეთისკენ. კა-კა-კა-კა-კა — თითქოს ყოველი მხრიდან ეკანებდნენ ტყვიამფრქვევები. ატამანელები ფორნებზე მდგომნი ისროდნენ. საზიდარებმა იავე სამხრეთისკენ მოუხვიეს, ორი საზიდარა ერთმანეთს გამოედო და გადაყირავდა. სემიონ ივანოვიჩმა დაინახა, რომ მოთეთრო ბუ-

რიდან ვეებერთელა მხედრები გამოჩნდნენ. კახაკი, რომელსაც სადავე ეჭირა, ფორნიდან გადავარდა. მეორემ ხელი სტაცა სადავეს და პარკვე დაეცა. ახლა სემიონ ივანოვიჩს ესმოდა, როგორ კიოდნენ ვეება მხედრები -- ისინი ხმლების ქნევით ყოველი მხრიდან მოიჭრნენ. უცებ ფორანი აჭრილდა, გადაიხარა, სემიონ ივანოვიჩმა სახე დაიფარა და გასწილტვნიშნა. მანბნარში გადაფრინდა, ძირს დაენარცხა და გონება დაკარგა.

სემიონ ივანოვიჩი სიცივემ გამოაღვიძა, თენდებოდა. ვარსკვლავები გაფერმკრთალდნენ. ნისლი თეთრი ტბებივით იწვა დაბლა. ნისლიდან აქა-იქ ცხენის ფეხი ამოჩრდილყო, ერთოდა გადაყირავებული ფორნის თვალი. სემიონ ივანოვიჩი დაჯდა, სხეული მოასინჯა, მთელი ვარ თუ არაო; მთელი იყო, თუმცა ტანი ერთიანად ტკიოდა. მახლობლად ხაზინიანი სკივრი ეგდო. სემიონ ივანოვიჩმა ანგარების გამო კი არა, ისე, შეუცნობლად ამოიღო სკივრიდან მეფის ათმანეთიანების შეკრულები, დათვალა შვიდი ცალი, ჭიბეებში ჩაიჩურთა, წელს ხელი შეაშველა და ჩანჩალით გაეცალა ბრძოლის ველს.

როცა მეწამული ბურიდან მზე ამოიწვერა და ნისლია ტბება გადმოაღვა, სემიონ ივანოვიჩმა გაკვირვებითა და სიხარულით დაინახა რკინიგზის ლიანდაგი.

შემდგომი გზა სამხრეთისკენ ათასგვარ დაბრკოლებათა და შემთხვევითობასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ სემიონ ივანოვიჩი იმდენად გაიწაფა, ისეთი ჩამოტყაული და საცოდავი შესახედაობა ჰქონდა, გასცდა სადგურებსა და ქალაქებს და მშვიდობიანად ჩააღწია ოდესას, იღეოდა 1919 წლის თებერვალი.

მეორე წიგნი

საოცრებაა დერიბასის ქუჩა დღის ოთხ საათზე, როცა ზღვიდან მარტის ნოტიო ქარი უბერავს! ამ დროს აქ მთელ რუხეთს შეხვდებით, რა თქმა უნდა, პატარა რუხეთს, ნახავთ ზომაზე დიდ პალტოში გახვეულ რევოლუციის მიერ ძლიერ შეფერობილ მემამულეს, რომელიც მაშინვე გთხოვს, ფული მასესხეო ანდა რესტორანში შევიდეთო. კარგა ხნის მკვდარ ნაცნობს — დიდი ომის დროს რომ პრაპორშჩიკი იყო, მაგრამ ხედავ, აულაც არ მომკვდარა და გენერლის სამხრეებიც კი გაუქრავს. შეხვდებით ცნობილ მწერალს, — იგი მედიდურად მიდის ბრბოში და გესლით და ზიზლით უღიმის იმპერიის ამ ერთ ბეწოდ დაბატარავებულ სიდიადეს. შეეჩენებით ძვირფას ქურქში გამოწყობილ, უსაქმურობის გამო აგერ უკვე მთელი საათი ოქროულობის მალაზიის ვიტრინის წინ მდგარ, პირწმინდად სახეგაპარსულ, თქვენთვის უაღრუაად ააჭირო საქმოსანს. კალთაზე წაავლებთ ხელს უოჩად და გულგაუტეხელ ჟურნალისტს, ანკარასავით რომ მიძვრება ბრბოში — იგი საჩქაროდ გადმოგილაგებთ უკანასკნელი სენსაციური ცნობების მთელ მარაგს, თქვენ კი გზას გააგრძელებთ ბუდიდან გულამოვარდნილი და პირველსავე შემხვედრ ნაცნობს მიახლით უტყუარ ცნობას: „ახლა უკვე ჩემო კეთილო, არა უგვიანეს თვე-ნახევრისა მოსკოვში ვიქნებით ზარების

გუგუნით“ — „აჰ, რას მელაპარაკებით?“ — „ფიქრი ნუ გაქვთ, ცნობები ფრიად სარწმუნოა“.

თქვენი ნაცნობიც სასტუმროში მიდის კოლთან, ისინი უკანასკნელი მანეთიანებით ყიდულობენ სარდინებს, პაშტეტებს, ღვინოს. ნათესავეებით გარშემორტყმულნი ჭამენ, სვამენ, მოსკოვის სადღეგრძელოებს უკმაყოფილებენ ერთმანეთს და ყველას გული უფართქალებს. და ამაღელვებელი ხმები დაქრის ქალაქში. და უკვე ვიღაც განსაკუთრებით მოუთმენელი, მოსახვევში სამრეცხაოში შერბის, მრეცხავეებს აჩქარებს: სასწრაფოდ გამირეცხეთ თერთრეულიო.

დერიბასზე მეფის ნამდვილი გენერლები სეირნობენ. რარიგ სასიამოვნოა უცქირო, მარტის მზე როგორ ანთია ოქროსფერ სამხრეებზე, ყოჩადიუნკრები როგორ მიიკრავენ ხელს წინაფრთასთან და სვეტებივით ჩაეზრდებიან მიწას. ამ სცენის მხილველი რომელიმე დაბნეული ოჯახის მამა, რომელსაც რევოლუციამ ტვინი შეუჯანჯლარა, კვლავ თუმცა წუთით, იჯერებს, რომ ურღვევია იერარქიის, ცხოვრებისა და სახელმწიფოს საფუძვლები.

დერიბასის ქალებს ნულა იკითხავთ: რანაირები გინდათ, აქ არ იყვნენ. შლაპები, ბეწვეული, მანტოები, კარატები, პეტერბურგელები გამხდრებია, ტანადნი, ვაინგლისელებულნი, მათ ქედმაღლობას ვერავითარი რევოლუციით ვერ მოაშლევინებ. ოდესელები — რუსი პარიზელები, ოდნავ რომ მორევიათ სიმსუქნე, ქალები კი არა, რომანსი გახლავთ. ახლა კაბარეების გაქნაჭული, თმაშეკრეკილი არტისტები ნახეთ! ზოგიერთი ოცი წლისაც არაა და უკვე ათჯერაა ნამყოფი ევაკუაციაში — ფეხითაც და ვაგონის სახურავზე შეყუჟულიც; სიმწრის ნაოჭები გააჩენიათ ტუჩების კუთხეებში, თვალბში კი — სიცარიელე.

აქვე შეხვდებით ლოყებლაქლაქა, ახოვან ინგლისელ მეზღვაურებსაც, — მოდიან ზელიხელგამოდებულნი, თითქოს თეატრის ფოეიეში ერთობ თავშესაქცევი პიესის ანტრაქტზე იყვნენ. ხალხში ხარხარით მოიწევენ ფრანგი მეზღვაურები, რომელთაც ლურჯი სათბურა აცვიათ და პომპონიანი ქუდი ახურავთ, — ო, ღმერთო ჩემო, როგორ უცქერიან დერიბასელ ქალებს... ცნობილი მწერალი გაჩერდა კიდეც, გაქვავდა გაშავდა: აჰა, ისინი, რომანელი, გამარჯვებულნი, — ხარხარებენ, ხელს იკვრევენებიან, იფურთხებიან... ჩვენ კი, ჩვენ?...

თუ ექვმა გძლიათ: ნუთუ მართალია ეს, ზაზილ-პიპილები ხომ არაა მთელი ეს გამოკოპწიავებული ხმაურიანი დერიბასის ქუჩა? მართლა იზმაილის მარში იჭრება რესტორნის ღია კარიდან? მტკიცედ გამაგრდა თუ არა აქ თეთრი რუსეთი ნაპირის უკანასკნელ მიწის ნაგლეჯზე? თუ სული გაგიორდათ და აგიწუწუნდათ, საჩქაროდ ვაუხვიეთ ეკატერინეს ქუჩაზე, მიდით სანაპირომდე, დადექით პერცოგ რიშელიესიკვარცხლბეკთან... რა დიდებული და დამშვიდებული შესახედაობა აქვს! რომაული ტოგით მოსილ ბრინჯაოს პერცოგს ალერსიანად და მედიდურად გაუშვერია ხელი ბურუსით დაფარული, ფართო ნავსადგურისკენ. შორს პერესიპის საეკვო ქვიშები ჩანს, მარჯვნივ — ჭებირის გრძელი ისარი. მის გადაღმა კი, ღია რეიდზე ნაცრისფერი უთოებივით დგანან ფრანგული დრედნოუტები. „გთხოვთ, მობრძანდეთ“, — ამბობს თითქოა პერცოგი რიშელიე, რომელიც თავის

დროზე, ასოცდახუთი წლის წინათ, ასევე გახდა იძულებული მომცრო ჩემოდნით დაეტოვებინა პარიზი, რადგან რევოლუციის მოედანზე ამართული გილიოტინა ელანდებოდა.

ოცდაათი ათასი წითელშარვლიანი და ფესიანი ზუავი და ხავერდოვანი ქვედა კაბებსა და ფოჩიან ჩაჩებში გამოწყობილი ბერძენი ვადმუტებს ოდესის ნავსადგურში. ქალაქიდან ასი ვერსის დაშორებით, ფრანგულ-ფრანგულშიველი, მშვიერი, დატილიანებული წითელი ნაწილების წინააღმდეგ დადგეს მძიმე ქვემეხები, მიზობლავენ ტანკები, დაფრინავენ აეროპლანები. არა, არა, საეჭვო არაფერია, შეშლილი მოსკოვის დღეები დათვლილია. თამამად დაბრუნდით დერიბასის ქუჩაზე, ხოლო თუ ზღვაური გაძლიერდა, ფანკონის კაფეში შეუხვიეთ.

სემიონ ივანოვიჩ ნევეზოროვა დერიბასზე ისეირნა და ფანკონის კაფეში პატარა მაგიდას მიუჯდა, არც ქუდი მოუხდია, არც პალტო გაუძვრიდა, რათა ფაციფუცში არ აეწაპნათ და მოსულთა თვალღერებას შეუდგა. საუბარს მიაყურადა.

ყავახანის მინის კარი თამბაქოს კვამლში ბრუნავდა და ხან შიგნით უშვებდა, ხან გარეთ ყრიდა საქმის ხალხს, მთელი ქალაქიდან რომ იყრიდა ამ დროს აქ თავს. საქმოსნებს სახეზე ეხატათ ერთი და იგივე გამომეტყველება; ეს გახლდათ ყოველგვარი საარსებო მოვლენის მიმართ (ფრანგული ჯავშნოსანი იქნებოდა თუ ვაგონი თხილა ქვანახშირის ზედნადები) საბოლოო უნდობლობისა და ამასთანავე (განსხვავების შემთხვევაში) ამგვარი მოვლენის ყიდვისა და სწრაფად გაყიდვისათვის დაუხანებელი მზადყოფნის ნარევი.

მაგიდების თავზე ქვაბქუდებისა და წავის ქუდებს შორის, იჭრებოდა თითებგაფარჩხული ხელები, აქეთ-იქით აწყდებოდნენ გაოფლილი სახეები, ისმოდა გამწარებული ყვირილი:

...„ასი ბიდონი ზეთი...“

„თავი ნუ გამილაყეთ ამ თქვენი ასპირინით“.

„გავყიდო დოლარებს, ვიყიდი დოლარებს“.

„მომისმინეთ, რას მიძვრებით ჯიბეში?“

„გაინტერესებთ სპარსული კრაველი თუ არ გაინტერესებთ?“

„გავყიდი ზანზალაებს“.

„მისმინეთ, ბოლშევიკებმა კრემლი ააფეთქეს“.

სემიონ ივანოვიჩმა მხოლოდ ზიზლით ჩაიციანა: ფულით უზრუნველყოფილმა რამდენიმე დღეში გამოიკვლია ოდესის სავაჭრო და სავალუტო ბირჟა და გაიგო, რომ ქალაქი მთლად გაფხევილი იყო, აქ არც საქონელი ქაჭანებდა და არც ფული, თუ არ ჩავთვლით მცირე რაოდენობის ფრანგულ და ბერძნულ ვალუტას, რომელსაც სულ ერთი და იგივე პირები ყიდდნენ, რთხ საათამდე დერიბასის ქუჩის კუთხეში, ხოლო რთხი საათიდან ფანკონის კაფეში. ქალაქშიც და ფანკონის კაფეშიც მხოლოდ ზედნადებით ვაჭრობდნენ; ეს უფრო მოსახერხებელი ჩანდა, ვიდრე ნივთებით ვაჭრობა: მთელი მალაზია ჯიბეში გქონდა და სავაჭრო ხარჯი მხოლოდ ფინჯანი ყავა და ტკბილღვეზელა გახლდათ.

სემიონ ივანოვიჩმა ჩამოსვლისთანავე რამდენიმე ათასი ფრანკი იყიდა „ყოველი მოულოდნელი შემთხვევისათვის“. დღეების გასვლის შემდეგ მო-

სვენებას აღარ აძლევდნენ — გაყიდე და გაყიდე ფრანკებით. სემიონ ივანოვიჩი მხოლოდ თვალს აპაქუნებდა. მაშინ ფანკონის კაფე აშფოთდა, ნევზოროვს შეძრწუნებით დაუწყეს ყურება: — აი ეაცი, რომელიც საქონელს მალავს და თვალს აპაქუნებსო. ფრანკის ფასმა ასი პროცენტით აიწია, მაგრამ სემიონ ივანოვიჩი ახლაც უარს ამბობდა განსხვავებულად ფრანკი ისევ გაეშვა ბაზარზე, სადაც ათ საქმოსანს უკვე წინგაგმობდა სამუშაოს უქონლობის გამო.

წესიერად ჩაცმულ, ყაჩაღების ოქროთი საფულეგატენილ, ბერძენი ქვეშევრდომის სემილაპიდა ნავზარაქის სახელზე გაცემული პატიოსნური პასპორტით აღჭურვილ სემიონ ივანოვიჩს ნაღდად სწამდა თავისი უჩვეულო ბედისა. მაგრამ ახლა უკვე ტიტულებს არ მიელტვოდა, ფულს უანგარიშოდ არ ხარჯავდა თავისი სიაშოვნებისთვის.

რუსეთი დაღუპული ადგილია, მას ყველა კუდის რიკამდე გაძარცვავს, დაიტაცებს: რეიდზე მართლაცდა ტყუილუბრალოდ როდი ბოლავენ და წვავენ ქვანახშირს მოკავშირეთა ხომალდები. უნდა იჩქარო და შენი ლუკმაც დაითრიოთ, — კარნახობდა ნევზოროვს ჯანსალი აზრი. ისიც შემთხვევას ელოდა, რომ მოკლე და მარჯვე ოპერაცია ჩაეტარებინა დიდ ვალუტად ღირებული რომელიმე საქონლით, რის შემდეგაც მეტად უკვე აღარაფერს დახარბებოდა და სამუდამოდ გაქცეულიყო ევროპაში. იქ ხომ გვარიანი ფულის მქონე ეაციისთვის ცხოვრება სრული სიაშოვნება იყო; ეს ნევზოროვმა ცინემატოგრაფიდან იცოდა.

ამგვარად ოცნებობდა გამოცდილებით გაბრძნილი ნევზოროვი. ეაფეში ყავას რომ ურევდა, იქ გამართულ საქმიან საუბარსაც უსმენდა. ერთხელ ერთმა მოხრინწიანო ხმამ მიიქცია მისი ყურადღება. მოხრინწიანო ხმის პატრონი ვილაცას სთავაზობდა, სპარსული კრაველი იყიდეთ. სემიონ ივანოვიჩი წამოიწია კიდევც და დააცქერდა, მაგრამ უცებ ერთი მაგიდის იქით კრაველის გამყიდველის ნაკვლად თვალი მოჰკრა სათვალთან, გამხდარ სახეს. ამ სახემ აიძულა უსიაშოვნოდ მოქუნტულიყო.

აგერ უკვე რამდენიმე დღეა სათვალთან ყველგან ხვდებოდა ნევზოროვს. ხან ქუჩაში (მოიხედავდა და უცნობი ზურგს უკან ედგა); ხან მაღაზიიდან გამოსვლისას გზას აძლევდა და ხალხში იკარგებოდა; ხან ყავახანაში თამბაქოს კვამლში ქვაბქულების იქიდან იყურებოდა.

სათვალთან უეჭველად სემიონ ივანოვიჩს უთვალთვალებდა. ნევზოროვმა გაიხსენა, რომ იგი სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა თვითონ ფრანგული ვალუტა იყიდა და ეაფეში უცბად ცნობილი ეაცი გახდა. მაგრამ ნევზოროვისგან რა უნდოდა? ამ ეშმას პატარა წამახული წვერი, ცისფერი მინებით დაფარული გაუგებრად მომზირალი თვალები ჰქონდა, კოპებიანი თავის ქალა პირწმინდად გადაეპარსა.

ნევზოროვის გვერდით კრაველის გამყიდველი გამოჩნდა. ეს იყო დაუდევარი ეაცი, ერთი იმათგანი, პალტოგადედილი წარამარა რომ გარბის ხოლმე ქარში, კუთხემდე მიირბენს, თავის თავს ხელებით დაელაპარაკება და ისევ შემოიბრუნებს ყავახანაში.

— კრაველი გაინტერესებთ?

— ანა ღირა? — დაუდევრად ჰკითხა ნევზოროვმა.

— ტყავი ასე მანეთი.

- საქონელი თუ ზედნადები?
- თქვენთვის რა განსხვავებაა?

— მაშინ მოწყდით აქედან, — უთხრა ნევზოროვმა, ~~შებრუნდა~~ და თავისი მხრის უკან ისევ პკიდა თვალი სათვალთან. უცნობმა ~~ქაქუცდი~~ ქაქუცდინა და ნევზოროვს ძალზე მოუახლოვდა: ეტყობოდა, სკამით ~~მხრისკენ~~ მხრისკენ.

— მითხარით, — მიმართა ნევზოროვს უჩვეულოდ მკაფიოდ; ის ყოველ სიტყვას სატანურად უსვამდა ხაზს. — მითხარით, ფეხსაცმლის საცხი არ გაინტერესებთ?

სემიონ ივანოვიჩმა თვალის გუგებში შეხედა უცნობს, უცნობის თვალის გუგები წერტილებს ჰგავდნენ და, გეგონებოდათ, საცხა ციფერს მინებოდან გადმოცვიფიანო. ნევზოროვმა ნერწყვი გადაულაპა, იგრძნო, რომ კითხვა ვერაგული და საშიში იყო. თუმცა მხოლოდ და მხოლოდ ფეხსაცმლის საცხს ეხებოდა. ამიტომ სიტყვიერად არ უბასუხა, მხოლოდ თავი გააქნია ორპროვინად — მისი პასუხი შეიძლებოდა როგორც გინდოდათ, ისე გაგეგოთ. კრაველის გამყიდველი ნერვიულობისგან თვალებს ახამხამებდა, დახეული საფულედან დებეშისა და რკინიგზის ბლანკებს იღებდა, მაგრამ სემიონ ივანოვიჩი უკვე აღარ უამენდა, საყულო აიწია და ქუჩაში გამოვიდა.

„რამდენჯერ მომხდარა ასე, ავტორლიალებია საზიზღარი, საზარელი ვინმე, რალაც დიდი ხნის დავიწყებული ძველმანის მსგავსი, ავტორლიალებია ასეთი იბიკუსი და ყველაფერი ყირამალა წასულა, — ფიქრობდა შებინდებულზე შინისკენ მიმავალი სემიონ ივანოვიჩი. — ვინ შეიძლება იყოს სათვალთან? ანგელის ბანდიდან ხომ არაა? იმხანად ბრძოლის ადგილას დაბრუნდნენ, გადათვალეს ხაზინა, დანაკარგი შეამჩნიეს და გამოედევნენ? კი, მაგრამ მაშინ რაღა შუაშია ფეხსაცმლის საცხი? უცნაურია. ოპ, უნდა გაიქცე, უნდა გაიქცე, ნევზოროვ...“

სემიონ ივანოვიჩმა გონებაში იანგარიშა, რა დარჩა ბანდიტების ოქროდან. დაახლოებით ოთხი ათასი მანეთი აღმოჩნდა. დიდი არაფერი იყო. იაე, ამ ფულათ, რა თქმა უნდა, შეეძლო თავი გაეტანა საზღვარგარეთ. ოღონდ ახლა ტვინში წყეული კრაველი ჩაეჭედა.

აბა როგორ არ უნდა ჩაჭედოდა. თითო ტყავი ასი მანეთი ღირდა. ესე იგი ორი ოქროს მანეთი. მაგრამ ყალბი მანეთიანები რომ ეყიდა, თუნდაც ყველაზე ნაღდი ნამუშევარი, უფრო იაფიც დაუჯდებოდა. კონსტანტინოპოლში კრაველი სამ ინგლისურ გირვანქად ფასობდა და თუ უკიდურეს შემთხვევაში ორი ათას ტყავს მაინც გაიტანდა...

ნევზოროვს სული შეუგუბდა. „მერედა როგორ გავიტანო ამ წყეული ქალაქიდან? რა თქმა უნდა, ყველაზე უხიფათოა ნაღმოსნით, დიპლომატიური ვალიზით გატანა, მაგრამ ვალიზისა და საზღვარგარეთის პასპორტის მისაღებად ნაცნობობაა საჭირო“.

მთელი საქმიანი ოპერაციის გეგმა თანდათანობით აღმოცენდა სემიონ ივანოვიჩის გონებაში. მან ისიც კი ვერ შენიშნა, ვილაც სახეზე ქუდჩამოფხატულმა როგორ გაუსწრო და იმ ერთსართულიანი სასტუმროს კარის ჩრდილში შევიდა, სადაც თვითონ ცხოვრობდა.

ზარი სადღაც აიკარიელეში რაწკუნებდა, მაგრამ შვეიცარი კარის გაღებას არ ჩქარობდა. კარი გარედან და შიგნიდან სქელი ფიცრებით იყო აჭე-

დიდი თავდამსხმელთაგან თავის დასაცავად (იმ დროს ოდესაში ჩრდილოეთის ქალაქებიდან სამხრეთში მოსული ოცი ათასი თავდამსხმელი მოქმედებდა). კარზე გაკრული იყო ქალაქის მმართველის ბრძანება ტარაკანების შესახებ. სემიონ ივანოვიჩი ბრძანებას ყოველთვის ყურადღებით ყურთულობდა და ვერც კი წარმოედგინა, რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ ბრძანებას შემდგომ მის ცხოვრებაში.

ბრძანება ასეთი იყო:

„სასტუმროებო, ავეჯით გაწყობილო ოთახებო. ბევრი საჩივარი შემოდის თქვენზე, ზოგიერთებმა არათუ ბაღინჯოები, ვირთხები და ტარაკანებიც კი გაიჩინეს... ზოგიერთებმა მოიფიქრეს ელექტრობა შუალამით გამოერთონ. როცა მოეხსენებათ, რომ მოსახლეობას არა აქვს სანათი მასალები, და მარტო ის იცით, რომ ყველაფერს ფასს უმატებთ. სირცხვილია მოკავშირეთა წინაშე. განადგურდეს ბაღინჯოები, ვირთხები, ტარაკანები და რუსული ტარაკანები და სხვა მათი მსგავსი არავისთვის საჭირო ბინადარნი. ელექტრობა ჩართული იყოს მთელი ღამე. პირადად შევამოწმებ. თავად იცით, გენერალ-მაიორი ტალდიკინი“

„ზვალ ტალდიკინთან წავალ, ეტყობა, მასთან შეთანხმება ძნელი არ იქნება“, — გაიფიქრა სასტუმროში შემავალმა სემიონ ივანოვიჩმა. ძილისგან გაფიქვინებულმა შევიცარმა გასაღების მოცემისას უცებ ყურადღებით შეათვალიერა, მაგრამ არაფერი უთქვამს და ქშენით შევიდა კიბის ქვეშ.

ტალდიკინის მუქარის მიუხედავად ოთახში მაინც არ იყო ელექტროშუქი. სემიონ ივანოვიჩმა ქილაში, ზეთში მონანავე პატრუქი აანთო. მაგიდაზე ტარაკანმა გადაირბინა. „ე, ჩორთმავალო“, — გაიფიქრა სემიონ ივანოვიჩმა და ტარაკანი წყიპურტით გადმოაგდო იატაკზე.

სემიონ ივანოვიჩი მაშინვე, თან სამუდამოდ დაივიწყებდა ტარაკანს და იმას, თუ როგორ უწოდა ჩორთმავალი, მაგრამ პეტერბურგში მოხუცი ბოშას მიერ ნაწინასწარმეტყველებმა უჩვეულო ბედმა ნება არ მისცა ეს მწერი მეხსიერებიდან ამოეგდო. ნევზოროვს იგივე შეემთხვა, რაც სამი საუკუნის წინათ დიდ ბენვენუტო ჩელინის. ჩელინი მაშინ აერიის წინ იჯდა და დაინახა ცეცხლში მოცეკვავე სალამანდრა, რომელსაც ცხელიკის იერი ჰქონდა. ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია ბავშვური ქარაფშუტობით, მაგრამ მამამ, მოხუცმა ჩელინიმ ბიჭს მაშინვე ყურთასმენის წამლებად გაულაწუნა, რომ სამუდამოდ ჩაებეჭდა მეხსიერებაში ცეცხლის სულის სახე.

ერთი სიტყვით, სემიონ ივანოვიჩმა ტარაკანი გადმოაგდო და კამოდისკენ გაემართა. უნდოდა ზედ ქუდი და ხელჯობი დაეწყო, და დაინახა, რომ კამოდის უჯრედები გამოწეული იყო, ჩემოდანი — გაღებულნი, ნივთები და თეთრეული — არეულ-დარეული.

გამჭურდესო, — გაიფიქრა ნევზოროვმა და საიდუმლო აღვილს მიაშურა, სადაც ოქროებიანი პარკი ედო. მაგრამ პარკი ხელუხლებელი აღმოჩნდა. ნივთებიდან არაფერი წაეღოთ. ყველაზე საკვირველი კი ის იყო, რომ იატაკზე გუშინ ნაყიდი ყვითელი და შავი ფერის საცხის ორი ქილა ეყარა. ქილებიდან საცხი გაზეთზე გადმოედევნათ.

სემიონ ივანოვიჩმა ჭაბუთი და საცხი პირსაბანის ვედროში ჩაყარა, ყველა უჯრა შესწია და რამდენიმე ხანს იდგა, წვერს იწიწნიდა, მხრები აიჩეჩა ერთი-ორჯერ... „უეჭველად გამჩხრიკეს... მაგრამ რა მოხდა?“ შემდეგ მაგი-

დას მიუჯდა პატრუქთან და პარკიდან ოქრო გადმოყარა. თეთრ სუფრაა ქუჩიდან ფარნის წყლისფერი შუქი ეცემოდა. ოქროს თვლისას სემიონ ივანოვიჩმა შეამჩნია, რომ მისი ზურგის უკნიდან სუფრაზე შლაპიანი თავის ჩრდილი მოიწევდა. ნევეზოროვი სწრაფად შემობრუნდა. გარედან ფანჯარაში სათვალისანი კაცი იჭყიტებოდა. სათვალისანი ჩაიციხა და უხმაუროდ შეეფარა თვალს.

მეორე დილას ნევეზოროვი ფანკონის პირდაპირ მდებარე ქარვასლის დიდ ეზოში მიაბიჯებდა. წუხანდელს შემდეგ აფორიაქებული იყო. ქარვასლაში წითელშარვლიანი ზუავეები დაეხეტებოდნენ და აფრიკულ კბილებს უარეკდნენ ოდესელ ქალებს. სახენამტირალები დედაბრები ასანთს ყიდდნენ. ჩაირბინა დედის თავშლებით შეფუთულმა, არშინის სიმაღლე გაზეთის გამყიდველმა. „გენერალმა დ'ანსელმა გადაწყვიტა თავისი მოვალეობა შეასრულოს“, — ყვიროდა განწირულის ხმით, — „სისხლისმღვრელი ბრძოლა სადგურ რაზდელნაიაზე, ბოლშევიკების კოლოსალური დანაკარგი“. ფართლეულის მალაზიასთან ინგლისური მაზარებით მოსილი ორი აშკარა თავდამსხმელი ზანტად კამათობდა ძარცვაზე. აკაციის დაბერილი კვირტების ქვეშ სპექულანტების ჯგრო ღელავდა. მოშორებით ცხენოსანი ოფიცერი კედრის წიბწიბოს გამყიდველს, თვალეზდაქყეტილ კავკასიელს უყვიროდა: „გასწი აქედან, აქ ვაჭრობა აკრძალულია“. თვალეზდაქყეტილი პასუხად იცინოდა. მაშინ ოფიცერმა კატის სიმარჯვით ცეცხლა მოცინარ სიფათში. სიფათი აქანავდა და ცრემლი გადმოედინა.

ერთი სიტყვით, ქარვასლის ეზოში ყველაფერი ჩვეულებისამებრ იყო. ლიტერატურულ ყავახანა „აღმოსავლეთის ტკბილეულობის“ ფანჯარაში ქურნალისტების გაცრეცილი სახეები ჩანდა. უცებ ვიღაცამ მაგრად დააკაკუნა მინაზე. სემიონ ივანოვიჩი შებრუნდა — მას ხელს უქნევდნენ. ნევეზოროვი ყავახანაში შევიდა და ქურნალისტების მაგიდასთან დაინახა რტიშჩევი: წითელი, საკინძვეგაღელილი და მხიარული.

— გრაფო, ცოცხალი ხარ! მოდი აქ, უბედურო ზანგო, ძვირფასო, — იბღავლა რტიშჩევმა და ნევეზოროვის ტუჩები ვეება, გაპარსულ სახეზე მიიჭდო, — დაჯე, გაიცანი... ესენი ყველანი, ძმობილო, ქურნალისტებია. „ოსვაგი“,¹ თეთრი არმიის ტვინი... და მაინც, როგორა ხარ ცოცხალი?! მე კი მოსკოვიდან სანიტარული მატარებლით წამოვედრი, ფერშლად ვმუშაობდი. სასწაულია! ტყვედ ჩავბარდი ორი კვირის წინათ... გამდიდრება გადავწყვიტე! უკვე ვიპოვე მავრიტანული ყაიდის შენობა. ხუთი გენერალ-მაიორი და ერთი სრული გენერალი საპატიო მამასახლისებად მოვიწვიეთ. ოდესა შეტოკდება, შეტოკდებიან ფრანგებო, ბერძნები, შეტორტმანდებიან დრედნოუტები, ისეთ თამაშს გავაჩაღებთ. ბატონებო, — რტიშჩევმა მარჯვნივ და მარცხნივ ხელი წაავლო ქურნალისტებს, — ერთი შეხედეთ გრაფს, კაცი კი არა, ოქროა. რომ იცოდეთ, რა გადავიტანეთ ერთად, თმა ყალყზე დაგიდგებათ. პირველად ოქტომბრის ქვემეზების გრიალში გავიცანი ერთმანეთი, — სახელი ზანზარებს, მე კი გრაფს ცხრიანში ვფცქვნი, წიწილასავით გამოვშიგნე, მაგის ღდინი არ იყოს... მაშ, ვაკეთებთ საქმეებს?

¹ „ოსვედომიტელნოე აგენტსტვო“ — საინფორმაციო სააგენტო.

— არა. — ცოტა არ იყო კვიად უთხრა ნევზოროვმა. — კლუბთან კავშირის გაბმა არ მინდა, მომეშვი.

— ესეც შენ ქვა და გუნდა. რაო, გამდიდრდი?

— შეიძლება, მე ახლა ერთი მნიშვნელოვანი ოპერაციით ვარ გატაცებული. ამას გარდა, არ მჯერა ოდესის სიმტკიცისა.

— არ გჯერა? ასე, ასე, ასე. — თქვა რტიშჩევმა და სტრუქტურის შესახებ შეფასებას მიაწვდიდა. მათ ცალყბად ჩაიციანეს, ერთმანეთს გადახედეს. მაგიდას რვა კაცი უსხდა. მეცხრეს, მაგიდის შორეულ კუთხეში, სახე ხელებში ჩაერგო, ქუდი წაეფარებინა და ეძინა.

— ასე, ასე, ასე. — გაიმეორა რტიშჩევმა. — ე, მაგრამ, ოთხი დრედნოუტი, ოცდაათი ათასი ფრანგი? ესეც არ გჯერათ, გრაფო?... ვისი გულისთვისაა? — მან ხელები გაიქნია და ეურნალისტებმა გვერდზე მიიწიეს. — ჩვენთვის, უბედური ყარტაყურტებისათვის: რომ ჩვენ, ყარტაყურტებმა და ვიგინდარებმა მშვიდად ვაყავთ ყავა, ფრანგები, მარკიზებისა და ფილოსოფოსების შთამომავლები. — უკეთილშობილესი ნაცია, — სანგრებში სხედან და თავიანთ უძვირფასეს სისხლს ღვრიან, რა უფლება გაქვს შე ძალის შვილო. — რტიშჩევმა გაწითლებული თავის ქალა დაბარა და ოქროს კბილები გააკრაქუნა. — დაეკვდე, არ დაიჯერო ოდესის სიმტკიცე. შენ... ბოლშევიკი ხარ!...

ეურნალისტები, „ოსვაგის“ რვავე კაცი, ნევზოროვს მიაშტერდნენ, მეცხრე, მძინარე, ქუდივეშ შეინძრა.

— არაფერი ბოლშევიკი მე არა ვარ, — მიუგო ნევზოროვმა. — თუ საქმე ამაზე მიდგა, ანარქისტი გახლავართ, იდეურის მხრივ... პიროვნების თავისუფლების მომხრე, თუ თქვენ ის მოგწონთ, რომ ფრანგები გიცავდეთ, ისხდეთ და ყავა სვათ, ისხედით და სვით, მე ეს საზღვარგარეთ მივდივარ, ჯანდაბაა, ჯანდაბაა...

ნევზოროვი გაბრაზდა, მოიღუშა, პაპიროსია კოლოფს დაუწყო მტვრევა, იგი მაგიდასთან ჩამომდგარმა განსაკუთრებულმა სიჩუმემ გააკვირვა. თავლები ასწია, მეცხრეს, ქუდივეშ მძინარეს, არ ეძინა, იჯდა და პატარა წვერს იწიწნიდა. ეს ის ცისფერსათვალისანი აღმოჩნდა.

ნევზოროვმა ამოიხვნეშა, თავი მხრებში წაიღო. სათვალისანმა ნაზად გაიკინა:

— ეს ყველაფერი ხუმრობაა, გ რ ა ფ ო. აქ ხუმარებს შორის ხართ, ვინ აიღებს ეჭვს, რომ თქვენ რაიმე სერიოზულს აკეთებთ?

რამდენიმე წუთის შემდეგ დერბასის კუთხეში სემიონ ივანოვიჩთან კრაველის ცუშინდელი გამყიდველი მივიდა და უთხრა, ნავსადგურში წავიდეთ, საქონელი ვნახოთო, ეტლით წავიდნენ. რკინით შეჭედულ ერთ-ერთ საწყობთან დარაჯი მოძებნეს, ასი მანეთი მისცეს და ნებართვა აიღეს საწყობის დათვალეობისათვის. მაუდის, ტილოს, ტყავის, კონსერვების ვეებერთელა ხვავებს შორის თუთიით შემოჭედილი, ტყავებით სავსე საბი ყუთი მონახეს.

— მოითმინეთ, მაინც ვის ეკუთვნის საქონელი? — ჰკითხა ნევზოროვმა ტყავების გამყიდველს. — ყველაფრიდან ჩანს, რომ კრაველი სახელმწიფოსია.

გამყიდველს წვერსა და უღვაშს შორის გამოესახა უამრავი კალ-კალაე გამოჩხერილი კბილი. მან ნევეზოროვი დარაჯს მოაცილა და უჩუჩუტლა:

— რას ნიშნავს, საქონელი სახელმწიფოსია? ზედ აწერია, რომ სახელმწიფოსია? ეს სპარსული კრაველია, ცოცხალ ცხვრებს გამოიბილა. რითია სახელმწიფოსი? მიეციტ დარაჯს კიდევ ორასი მანეთი, ჩინოვნიკსაც ათასი მანეთი და თვით მამა ღმერთი ვერ იტყვის, კრაველი სახელმწიფოსია.

— ასი მანეთი ტყავი!

— ო, რას ამბობთ! თვითონ ას ათ მანეთს ვიხდი, თავს გეფიცებით!

ბოლოს ას ორმოცდაათ მანეთზე მორიგდნენ. ნევეზოროვმა გამყიდველს ბე მისცა და ბრძანა საქონელი სასტუმროში მიეტანათ. ახლა საჭირო იყო, რაც შეიძლება ჩქარა მიეღო საზღვარგარეთის პასპორტი და გაქცეულიყო.

დღის დანარჩენი ნაწილი სემიონ ივანოვიჩმა ფანკონის კაფეში დაპყო, განსაკუთრებულად გაქნილ პირებთან საუბრისას უძაღლეს ხელისუფლებასთან მისასვლელ გზებს სინჯავდა. გამოირკვა, რომ წარსული წლებიდან განსხვავებით უნდა გემოქმედნა თამამად, პატიოსნად და გარკვეულად. პირდაპირ მხარის მმართველის კანცელარიაში მიაუღიყავი, მიგემართა კანცელარიის უფროსისთვის, გენერალ ფონ-დერ-ბრუდერისათვის, მის მაგიდაზე საშრობის ქვეშ უბრალოდ და უსიტყვოდ ამოგდო ოცდახუთი ინგლისური გირვანქა. შემდეგ ხელი ჩამოგერთმია და საუბარი გაგება. თუ საუბრის მიხედვით საშრობქვეშ ამოდებული თანხა ცოტა აღმოჩნდებოდა, ფონ-დერ-ბრუდერი გამომშვიდობებისას ხელს არ გამოგიწოდებდა და ხვალისთვის საჭირო წინებოდა კიდევ ოცდახუთი გირვანქა.

შინმობრუნებული სემიონ ივანოვიჩი თავისუფალ დროს ცისფერსათვალთან კაცსა და ფეხსაცმლის საცხთან მის იდუმალ კავშირს უფიქრდებოდა, მაგრამ იმგვარ ეამს თავში ისე ებურდებოდა ყველაფერი, ხელს იქნევდა: ეს სულ უაზრობა, იჭვნეულობა და წარმოსახვააო... იგი, როგორც უკვე გამოარკვია მკითხველმა, მეოცნებე და თავქარიანი იყო, და ვითარცა ყველა მეოცნებე და თავქარიანი, თავადებით ხვდებოდა საფრთხეს.

ამჟამადაც სასტუმროს ტიშქართან აღრიხდელზე უფრო საშინელი, უღმობელი და მოულოდნელი საფრთხე ელოდა.

იმავე ღამეს, ქალაქის განაპირას, ბნელ და უდაბურ კულიკოვოს ველზე მიმავალი ორი კაცი ზმადებლა მისაუბრდებოდა:

— შენ რა, ახლა პირდაპირ ესპანეთში მიდიხარ?

— ჩვენი ცენტრი მადრიდშია. იქ მანდატს ამოწმებენ.

— შენი არ მესმის, საშა... ეს ყველაფერი საშინელი სისულელე, რადიკალური რომანტიკაა.


— ო, შენ უბრალოდ გშურს, ორი სვირის შემდეგ, წარმოიდგინე: ხმელთაშუა ზღვა, არქიპელაგი, დიდებული ქვეყნები, სიამოვნება.

მოსაუბრეებმა ქარს ზურგი შეაქციეს და ასანთს გაპყრეს. სინათლემ გაანათა გაპარსული ქალური სახე და ჩიბუხი, აგრეთვე მეორე სახე — შავგვრემანი, ახალგაზრდული, მოლიმარი. მოსაუბრეებმა გაბოლეს. განაგრავს გზა, ჩიბუხიანმა თქვა:

— არა, არ მშურს. აქ კუტყი, შიმშილი, სისხლია. ბრძოლა, საშინელი მუშაობაა, ხვალ შეიძლება სახრჩობელაზეც ჩამოკიდონ ადამიანი და მი-

ინც — დახე შენ, — არ მშურს. არის ზოგი რამ, რაც სიამოვნებაზე უფრო ძვირფასია და უფრო მალა დგას.

- თავად მოგეხსენება, იქ სიამოვნებისთვის არ მივდივარ.
- ვიცი, და მაინც ცარიელი რომანტიკაა... თუმცა შემადგენელი კიდევ...
- ჩუმაღ...



მათ გზა გადაუჭრა და სიბნელეში ჩექმების ბრახაბრუხით ჩაიარა ვილა-ცამ. როცა ნაბიჯების ხმა მიწყდა, ჩიბუხიანმა თქვა:

— მაშ, სავსებით გაწყვიტე ურთიერთობა ჩვენთან? დასანანი.

— თქვენთან არც დამიწყია. თანაგიგრძნობდით. ოქტომბრის გადატრია-ლება კიდევ ჰო, შესმის: ჩხუბი ნიკიტის კარიბჭესთან — კა-კა-კა, შემდეგ კი — ულუფები, კოლექტივები, ტილები, ომი. უფერული ცხოვრება. არ მინდა, არ შესმის. კოლექტივში ვერ შემტენი, ჩვენთან არის პიროვნება, ბრძოლის სილამეზე, აფეთქება.

— რას იზამ, კარგი ბურჟუაზიული საჭმლის მონელებისთვის ანარქიზმი იგივეა, რაც ბაჰარა შჩიში. ეჰ, საშა, საშა!...

— ჩვენ ბევრნი ვართ, ძმობილო, უფრო მეტნი, ვიდრე ფიქრობენ.. დი-ახ, სიტყვამ მოიტანა და... თუმცა ჩვენ ახლაც მტრები ვართ, უკანასკნელი სამსახური გამიწიე. მითვალთვალებენ და, ვიდრე გავემგზავრებოდე, ფეხსაც-მლის საცხიან ოთხ თუნუქას გადმოგცემ...

მძიმე ნაბიჯები ევლავ და მოულოდნელად აბრახუნდა სულ ახლოს. ახლოვდებოდა რამდენიმე კაცი.

მან, ვისაც საშას ეძახდნენ, მეგობარს იდაყვში სტაცა ხელი. ორივე შე-ჩერდა. სიბნელეს ჭარისკაცის მაზარიანი სამი ახოვანი ადამიანი გამოეყო და უხეშად იყვირეს:

- ვინა ხართ?
- გვიჩვენეთ დოკუმენტები.

ჩიბუხიანმა დაიჩურჩულა: „მშვიდად, ეს ვარტაა¹. მაგრამ თანამგზავ-რი გვერდზე გახტა, ჯიბიდან რევოლვერი იძრო. ახოვნები ეცნენ მას, კონდა-ხებით დასცეს ძირს, დედის გინებით, ქშენით შეუკრეს ხელები, წიხლების ცემით აიძულეს, ამდგარიყო, და წაიყვანეს.

ამ გაწამაწიის დროს ჩიბუხიანი მიიმალა.

ზუსტად ამავე დროს თითქმის ასეთი სცენა გაიმართა ქალაქის მეორე ნაწილში.

თავის სასტუმროს მიახლოებულ ნევზოროვს უეცრად სტაცა ხელი ქიშ-კრიდან გამოვარდნილმა ოქროსფერსამხრეებიანმა ორმა ახალგაზრდამ.

სემიონ ივანოვიჩმა თვალები დაკყოტა, პირი დაალო, მაგრამ ახალგაზრ-დებმა მაშინვე დაუხშეს ჩვრით, გეზად წაათრიეს ღია ეტლისკენ და შიგ-გარდიგარდმო გააწვინეს. შემდეგ თავადაც დასხდნენ, ნევზოროვს გვერდებში ქუსლები მიაბჯინეს და რეზინის თვლებიანი ეტლი უკაცრიელ ქუჩებში გა-ქანდა.

ეს ყველაფერი რამდენიმე წამში მოხდა, მაგრამ ნევზოროვმა მაინც შეა-მჩნია. რომ ქიშკარქვეშ ჩრდილში იდგა მესამე კაცი, რომელსაც მხრის სი-მალლეზე აეწია რევოლვერი და სათვალე უბზინავდა.

¹ ვარტა — ჰეტმანის მილიცია.

სემიონ ივანოვიჩი აშშორებულ, წეკოს სუნით გაყლენთილ ოთახში ხელისკვრით შეაგდეს და კარი მოაჯახუნეს. იგი მუშამბაგადაკრულ დივანთან მივიდა და დაჯდა. მოპირდაპირე მხარეს კედელთან მაგიდას მაზარადაკმუქნილი კაცი უჯდა. მის ზემოთ, დამსკდარი კამარის ქვეშ ხუთსანთლიანი ნათურა ენთო, კაცი აუჩქარებლად იჩიქნიდა ცხვირს, დასცქეროდა მანძილში მდებარე ილიაში იწმენდდა. ჭორფლიანი, ლაწვებგანიერი სახე ჰქონდა. წაწვეტილებული აბრეხილი პატარა ცხვირი და პატარა გადაგრეხილი ულვაში.

— მითხარით, გეთაყვა, სად ვიმყოფები? ვერაფერი გამიგია, — უთხრა მას ნევეზოროვმა.

— კბილებში რომ გლეწავ, მაშინ გაიგებ.

— მაინც ხომ უნდა ვიცოდე, რისთვის დამაპატიმრეს.

მაზარადაკმუქნილი კაცი ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და წამოიწია. ნევეზოროვს საუბარი აღარ გაუგრძელებია. მღელვარებამ და საზიზღარმა ჰაერმა ძალა გამოაცალა. ფეხები ასწია, მიწვა და თვალები მილულა, მაგრამ მაშინვე კვნესით გაახილა. მაგიდასთან მჯდომი კაცი ულვაშის გრეხას განაგრძობდა.

უცებ კარი აბრაგუნდა და ჯარისკაცის მაზარიანმა სამმა კაცმა ოთახში შემოტენა სიბრაზისგან კბილებდაღრქენილი ჭაბუკი. ჭაბუკი რამდენიმე ხანს გაჭიმული იდგა, ხავერდის კოხტა ქურთუკი ეცვა, შავგერემან ლოყაზე სისხლიანი განაკაწრი გასდევდა. მტკიცედ დაჯდა მუშამბაგადაკრულ დივანზე.

— არამზადები, — თქვა და ფუშფუშა წამწამები დაახამხამა. ნევეზოროვი გეზად ათვალეერებდა. სადღაც ენახა, ცოცრად ნაცნობი სახე ჰქონდა... ქალიშვილისებური პირი... კაფე „ბომში“ ხომ არ ნახა ტვერის ქუჩაზე? პო, რა თქმა უნდა, აწ განსვენებულ ალა გრიგორიევნასა და, ქალს რომ ჰგავდა, იმ ბანჯგვლიან კაცთან ერთად...

— უკაცრავად თქვენ გრაფი შამბორენი არა ხართ, მზატვარი? უმაწვილმა ფოცხვერივით მოაბრუნა თავი.

— ა, ნევეზოროვ!

— უკაცრავად, — სასწრაფოდ მიუგო სემიონ ივანოვიჩმა. — ჩემი ნამდვილი გვარ-სახელია სემილაპიდ ნავზარაკი. ნევეზოროვი ფსევდონიმია. წარმოიდგინეთ, ქუჩაში მტაცეს ხელი და ვზივარ აქ, არაფერი მესმის.

— გაიგებ, — თქვა მაგიდასთან მჯდომმა. — ჩვენთან გაგაგებინებენ. ამაზე საუბარი შეწყდა. მოისმა დეზების რაწეუნი. შემოვიდა როტმისტრი, მშვენიერი ქერა კაცი, მას მშვენიერი გალიფე ეცვა. როტმისტრმა ნევი გაყოფილ თმაზე მიიღო და, როგორც ფრიად და ფრიად მაღალი წრის კაცმა, წამღერებით იკითხა:

— ვინ უწოდებს აქ თავის თავს სემილაპიდ ნავზარაკის?

სემიონ ივანოვიჩი წამოხტა (იგი მთელი თავისი გარეგნობით გამოხატავდა, რომ გულში კეთილი ზრახვები ედო) და კარისკენ გაემართა, სადაც აქეთ-იქიდან ვუშაგები ამოუდგნენ.

ბრგე პოლკოვნიკი — ეტყობოდა, ყოფილი ეანდარმი — დაფიქრებით აბოლებდა. მაგრამ ფრჩხილებზე ბროლის პატარა ქალის შუქი უკიაფებდა. ნევეზოროვი ხელია ავრით შეაგდეს კაბინეტში. იგი კართან გაჩერდა და თავი დაუკრა პოლკოვნიკს. პოლკოვნიკს მისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქ-

ცეცია, თვალემმოკუტული მსხვილ პაპიროსს აბოლებდა, მხოლოდ მაგიდის ქვეშ ნაზად გააწყარუნა დეზი. შემდეგ, თითქოს უხილავ თანამოსაუბრეს მიმართავსო, იკითხა:

— პირველად მიდიხართ ესპანეთში? არასდროს ყუფილხართ, ირაფო?

სემიონ ივანოვიჩს ყბა აუქანკალდა, ტანში შეაზრილა. მიმოიხედა — ნეტა ვის ესაუბრება პოლკოვნიკით. ტუჩები მოილოკა, ხმა არ გაიღო. პოლკოვნიკმა კი ამასობაში ქალარაშერთული ჩამოგრძელებული ულვაშებით გამშვენებული ლომის სახე მოაბრუნა, სემიონ ივანოვიჩის თავზემოთ სივრცეს აუშდვრეველი ცივი თვალები მიაბყრო და მკაფიოდ იკითხა:

— სახელი, მამის სახელი, გვარი?

— ნავზარაკი, სემილაპიდი, — ძლივს ამოღერდა ნევზოროვმა.

— გრაფო, რისტვის, აბა, რისტვის ამცირებთ ასე თქვენს ღირსებას? ჩვენ ხომ ვიცით, რომ სემილაპიდ ნავზარაკი არა ხართ, — უთხრა პოლკოვნიკმა და უცებ მისი გაშმაგებული, გადმოკარკლული თვალები ნევზოროვის თვალებს ჩაებუქდნენ; მათ ტვინი კეფამდე გაუხვრიტეს სემიონ ივანოვიჩს... სემიონ ივანოვიჩმა უკან დაიხია, პოლკოვნიკის თვალებმა კედელს მიაღურსმეს იგი და შემდეგ სუფთა ქალაღზე გადაინაცვლეს. პოლკოვნიკმა კალამი მელანში ამოაწო და ჩაწერა:

„ნავზარაკი, ასაკი? 37. დაბადების ადგილი? ხერსონი. საქმიანობა; ვაჭრობა. ჩინებულია“.

პოლკოვნიკმა ფრთხილად მიიტანა ტუჩებთან პაპიროსი,

— ეეროდ რა სახის საქონლით ვაჭრობთ?

— კრაველით.

— ჩინებულია. დაჯდომა ხომ არ, ცნებავთ? მანდ არა, აქეთ, მაგიდასთან. მაშ, ამბობთ, ფეხსაცმლის საცხით ვვაჭრობო, არა?

— რა ფეხსაცმლის საცხი, — აწყმუტუნდა ნევზოროვი, — არაფერი მე არ ვიცი ფეხსაცმლის საცხზე.

პოლკოვნიკმა მხოლოდ წამწამები აზიდა და ისევ განაგრძო ლამაზი გრძელი ასოების წერა. სემიონ ივანოვიჩმა თითქმის შეუცნობლად მოიფათურა ხელი ფილეტში, ორი ქალაღის ფული ამოიღო, თითოეული ხუთი ინგლისური გირვანქის ოდენობისა, წამოიწია და საშრობის კუთხის ქვეშ ამოღო. პოლკოვნიკი არ მობრუნებულა, ისე უთხრა თავაზიანად:

— მერსი. — კალამი დაღო და ახალ პაპიროსს მოუკიდა. — თქვენ ჯერ კიდევ პირადად არ გაუჩხრეკიხართ? ამ წყეულმა რევოლუციამ გვარიანად შეფერთხა ჩვენი აპარატი. განსაკუთრებულად საფრთხილო შემთხვევებში მე მხოლოდ საკუთარ თავს ვენდობი. ნება მომეცით, თქვენი ჯიბეების შიგთავსით დავინტერესდე.

პოლკოვნიკმა ნევზოროვის ფული გადათვალა, კონვერტში ჩადო და დალუქა: „სავსებით დამშვიდებული ბრძანდებოდეთ“. შემდეგ ფრთხილად გაშალა პასპორტი:

— ჰმ, უბრწყინვალესი ნამუშევარია. პერესიპელი ყალბი ფულის მკრელების ნახელავია. ძვირი დაგიჯდათ? აბა, ბატონო ჩემო, სულ ესაა თქვენი საბუთები?

— ბოლო ხანებში მრავალგზის გამძარცვეს, ერთობ დავზარალდი, თქვენო აღმატებულება.

— უცნაურია. გრაფო, უმანდატოდ როგორ მიდიხართ ასეთ სამასუბი-სმგებლო და საშინელ სამუშაოზე?



ქვემოთაღნიშნული

— რაზე ბრძანებთ?... რომელ სამუშაოზე?..

— მე გეკითხებით, — პოლკოვნიკს წარბები ოდნავ შეეშინებოდა სა-დაა მანდატი? მისი დამალვა მხოლოდ გააუარესებს თქვენს მდგომარეო-ბას.

ნევეზოროვმა მეტრდზე აკანკალებული ხელი მიიკრა და წაილულლუ-ლა:

— თქვენო აღმატებულება. ღმერთს გეფიცებით, ვილაც სხვა გგონი-ვართ.

— ეე, კუკუდამალობანას ნუ ვითამაშებთ. ჩვენ ორივენი მაღალი წრის ხალხი ვართ, გრაფო, ხომ ასეა? მოდით ინგლისურად, პატიოსნად, გულახ-დილად.

— მე ხომ გრაფი კი არა, ბუღალტერი ვარ... თქვენო აღმატებულება, მე ნევეზოროვი ვარ... — უთხრა სემიონ ივანოვიჩმა და სხაპასხუპით დაიწყო თავისი თავგადასავლის მოყოლა პეტერბურგის მხარეზე. ბოშასთან შე-ხვედრიდან, პოლკოვნიკი სულ უფრო ძლიერ იკმუხნებოდა. მისმა გაპრია-ლებულმა ფრჩხილებმა ჰიმნი აარაკუნეს მაგიდაზე. პოლკოვნიკს ყელში სისხლი აწვეებოდა, უეცრად შემზარავი ხმით თქვა:

— სადაა ოთხი თუნუქა ფეხსაცმლის საცხი?

ნევეზოროვი სავარძლის საზურგეს მიენარცხა და ბოცვერივით მიაცქე-რდა პოლკოვნიკის ყინულივით თვალებს. პირჯვრის გადაწერა დაიწყო: „ღმერთმანი, შემშლის ეს ფეხსაცმლის საცხი, მე არაფერი ვიცი...“

პოლკოვნიკს მისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე დარეკა. შემოვიდა როტმისტრი, დეზები გააჩხაკუნა.

— ეშმაკის ფეხი აღმოჩნდა, — უთხრა პოლკოვნიკმა.

— საოპერაციოში წაყვანას მიბრძანებთ, ბატონო პოლკოვნიკო?

მთელი ამ გაუგებრობიდან ეს ფრაზა ყველაზე საშინელი იყო, ნევეზო-როვი სავარძელში აკანკალდა. მას იდაყვებში ჩასკიდეს ხელები, გაატარეს ტუტყიანი, ყავისფერი დერეფნები, სადაც ორპირი ქარი ქროდა, კიბეებით მიწის ქვეშ ჩაიყვანეს და ბნელ სარდაფში შეაგდეს. ნევეზოროვი სობანებზე დაჯდა და სიბნელეში თვალები დააჭყიტა. ირგვლივ სიღამპლისა და სინეს-ტის გულიამრევი სუნნი დიოდა.

მარცხენა მხარეს თანდათან გამოიკვეთა რაღაც მკრთალი, ოვალური ლაქა. ნევეზოროვმა მარჯვენა მხარეს გეზად გაიხვდა და მეორე ლაქა გააჩ-ჩია, ჩანდა შავი თვალის ბუდეები და საშინლად დაკრეჭილი კბილები. „აი, ის, წყეული, სიკვდილია სიმბოლო. მოლაპარკე თავის ქალა იბიკუსი...“ ნევე-ზოროვმა თვალები დახუჭა. ტანზე ყინულივით ცივმა ოფლმა დაასხა, ზი-დება დაეწყო და გული გაუჩერდა.

ნევეზოროვი გრანობდა, როგორ ფრთხილად ეხებოდნენ, სახეს უსინჯა-ვდნენ. როცა ისევ დაიწყო ბგერების გარჩევა, იბიკუსები უკვე განზე ლა-პარაკობდნენ ოდნავ დახშული ხმით:

— დღესაც ვერაფერს მიაღწევს.

— შენ მოითმინე, გესმის.

— ეი მაგრამ, თუ შამბორენის საქმეზე კვლავ დამიწყო წაჩხვება, ვილაპარაკო?



სემიონ ივანოვიჩმა უღონოდ წამოიყვია და დაჯდომის უნარი დაკარგა. ახლა ნევზოროვი ხედავდა სარდაფის ჰერქვეშ აგურით ამოქოლილ ფანჯარაში შემოჭიატებულ სუსტ შუქს და იატაკზე მსხდომი, კედელს მიყრდნობილი ორი ადამიანის ბუნდოვან გამოსახულებას. იატაკზე მსხდომებმა გატანჯული სახე მოაბრუნეს. არა, არა, ესენი ადამიანები იყვნენ და არა იბიკუსები. სემიონ ივანოვიჩი მათთან მიხობდა, ჩააცქერდა, უჩურობდა:

— ფეხსაცმლის საცხის თაობაზე მეკითხებოდნენ...

— ანარქისტი ხარ? — ჰკითხა კედელთან მარცხენა მხარეს მჯდომმა.

— ღმერთმა დამიფაროს, არავითარი ანარქისტი, უბრალოდ, წვრილი სპეკულანტი ვარ.

— გაფუფქული წიწილა, — თქვა მარჯვნივ მჯდომმა, ლოყებჩაცვენილმა კაცმა.

— გამაგებინეთ, თუნდაც მიმანიშნეთ, რა საცხია ეს, რისთვის მტანჯავენ?

— გაწამებენ, — უთხრა მეორემ, წვეროსანმა.

— ოპ, მე დამნაშავე არა ვარ! ჩემი წამება არ შეიძლება. რისთვის უნდა მაწამონ? მე არაფერი ვიცი.

სემიონ ივანოვიჩს ილაჯი გაუწყდა, მოიკუნტა, მიწა მოფხოკნა. წვეროსანმა უკვე რბილად უთხრა:

— საფრანგეთის კონტრდაზვერვამ ცნობა მიიღო, თითქოს ოდესაზე უნდა გაიაროს ევროპაში მიმავალმა დიდმა ანარქისტმა, რომელსაც მანდატი აქვს — მოაწყოს ვერსალის თათბირის აფეთქება, ანუ ეშმაკმა იცის, იჭრისი აფეთქება მოეპრიანათ. ანარქისტს უზარმაზარი თანხა, ბრილიანტები ფეხსაცმლის საცხის თუნუქებში აქვს დამალული. საფრანგეთის კონტრდაზვერვამ თეთრ კონტრდაზვერვას მოსთხოვა, ეს არტისტი დააპატიმროს. პოდა, ესენიც გაცოფდნენ და მთელ ქალაქში დაეძებენ. გაიგეთ?

— გვარი? მისი გვარი? რა გვარია? — უკვე ნამდვილი ხმით ეი არ ჰკითხა, არამედ ასისინდა, აბროტინდა ნევზოროვი.

კედელთან მსხდომი ორივე კაცი გაქვავდა. შემდგომ კითხვებზე კრინტი არ დაუძრავთ. ნევზოროვი გამოხობდა და გვერდზე დაწვა. მისი გონება გააფთრებით მუშაობდა. სემიონ ივანოვიჩი იგონებდა, ერთმანეთს უპირისპირებდა ნაცნობ სახეებს, ხვდებოდა, ვინც იყო მისი ორეული, ვტყობოდა, მცველი იბიკუსი ამჯერადაც იხსნიდა.

ფანჯრის აგურებს შორის მჩინარი მღვრიე შუქი იწმინდებოდა. წვეროსანმა და უწვერომ ნაღვლიანად ჩარგეს თავი მუხლებში, დედამიწაზე დგებოდა დილა და აი, იმავე სარდაფში, ფიცრის ტიხარს იქით გასმა კაპრის ქრიალი, ხმები, დეზებია წკარუნო, გრძელ ხვრელებში ლამბია თვალისმომჭრელმა ყვითელმა სხივებმა შემოატანეს. ტიხარში დატანებული გვერდითა კარი გაიღო და შემოვიდნენ როტმისტრი და ორი კაცი. კაცებს ფრანგული კოსტური ქურთუკები ეკვიათ.

შემოსულნი წუთით სიბნელეს დააქვერდნენ. შემდეგ სამივე უწვეროს-
თან მივიდა. როტმისტრმა ხმლის ქარქაში ჰკრა უწვეროს. უწვერო არ გან-
ძრეულა. შემოსულებმა მდუმარედ სტაცეს ხელი უწვეროს და ტიხარს იქით
გაათრიეს. იგი ფეხებს ჩაჩხავდა, ოჩნობდა. წვეროსანმა დაიყვირა:

— ხმა არ გაიღო!

უწვეროს!

საკმარისი იყო სემიონ ივანოვიჩს თავი მიებრუნებინა. — ჩემს დასახა,
რა ხდებოდა ტიხარს მიღმა. ისიც ხვრელს მიეკრა და დაინახა:

სამზარეულოს მაგიდაზე ჩამომჯდარი პოლკოვნიკი ნაგანს იქნევდა.
მარცხენა, ხელთათმანიანი ხელი დაჭიმულ ბარძაყზე მიებჯინა, აგურებით
ამოჭოლილი ფანჯრის რაფაზე დადგმული ელვალამბის მკვეთრი შუქია. აგ-
რეთვე ჩამოგრძელებული ულვაშების მიერ გაჩენილი ჩრდილების გამო გე-
გონებოდათ. რომ ლომისებური სახე მზიარულად უღიმოდა.

უწვერო პოლკოვნიკთან მიიყვანეს, ფეხზე დააყენეს. ეს იყო პალტოდა-
ხეული, გამხდარი, ვეება ჭაბუკი. პოლკოვნიკმა ჩუმად უთხრა რაღაც.
მოხრილი თითი ბარძაყზე აუტოკდა, უწვერომ შიშველი ფეხები წინ გა-
დადგა. აბურძგნილ კეფაზე ეტყობოდა, რომ კითხვებზე არ უპასუხებდა.

ხელთათმანიანი ხელი პოლკოვნიკის ბარძაყიდან ჩამოსრიალდა. ჭაბუკს
წინიდან სწვდა თმაზე და მისი თავი მაგიდასთან მიითრია.

— იტყვი, იტყვი, — გაიმეორა პოლკოვნიკმა და უწვეროს ნაგანის ტა-
რი დაჰკრა წელზე. შემდეგ უკან იზნიკებოდა და ისე უფაფუნებდა თირკ-
მლებზე. ჭაბუკმა დაიღმუვლა და ჩაიკეცა. პოლკოვნიკმა ფეხი ჰკრა და გვე-
რდზე მიაგდო:

— შემდეგი!

ტიხარს იქით წვეროსანი გაიყვანეს. წვეროსანი სიარულისას ფეხს ჯა-
რისკაცის მაზარის კალთებს აბიჯებდა, თავი უკან გადაეწია, წითური წვე-
რი აფშეკოდა. ხვრელში მზიარალი სემიონ ივანოვიჩი შეძრწუნდა — რა
მოხდებოდა ახლა?

— აბა, ჩემო ბატონო კომუნისტო, — პოლკოვნიკმა წვეროსანი თითით
მიიხმო. — უფრო ახლოს მოდიო, უფრო ახლოს, როგორ ვილაპარაკოთ დღეს
ჩვენ — თერაპიულად თუ ქირურგიულად?

„ხა-ხა-ხა-ხა!“ — გადაიხარხარა როტმისტრმა პოლკოვნიკის სიტყვებზე.
წვეროსანმა იმ ადგილს გადახედა. სადაც მისი ამხანაგი იწვა იატაკზე. უწ-
ვეროს ცხვირ-პირიდან ბუშტ-ბუშტად სდიოდა სისხლი. ნეწოროვი ხედა-
ვდა, როგორ აუთრთოლდა წვეროსანს სახე და აჩქარებით დაიწყო ლაპა-
რაკი...

— გაჩუმდი! — უყვირა წვეროსანს პოლკოვნიკმა და ულვაშები აბზი-
კა, მაგრამ წვეროსანმა მხოლოდ თავი მისწია და თითქოს კაროდან წარ-
მოთქვამსო. დახშული ხმით, უშვერად შეიგინა. მას უნიდან მიადგა როტ-
მისტრი. წვეროსანი უცებ გაჩუმდა. ამოიხვნეშა და გვედზე დაეკა. წინწახ-
რილი როტმისტრი ხელს უფათურებდა წაქცეულს.

— შემდეგი! — იყვირა პოლკოვნიკმა.

სემიონ ივანოვიჩს არ ახსოვდა, როგორ აღმოჩნდა მისი გათეთრებული
თვლების წინ, გუგებში შეხედა.

— ყველაფერი გავახსენე. — წაიღულულა მან. — ნუ მღუპავთ უდა-

ივანოვიჩის წარსული ცხოვრების წვრილმანების გაცნობის შემდეგ, ეტყო-
ბა, მის შესაძლებლობებს აზვიადებდა და ასე ეუბნებოდა:

— მოეშვიტ მეშჩანურ ვრუ შეხედულებებს, იმუშავეთ ჩვენთან, არის
დრო, როცა პატიოსანი საზოგადო მოღვაწე ანუ მსახიობი, მხატვარი და
სხვები ფასდებიან, ახლა საჭიროა ნიჭიერი ჯაშუსი. შენ რუსეთზე არ ვლა-
პარაკობ, აქ მეჩვიდმეტე საუკუნეა. პოლიტიკური ძებნა უნდა დაიწყოთ, ვერა
უმნიშვნელო რამაა. ბანდიტის მოკვლევა? აი, აგერ, მოდის ორი სახელგანთ-
ქმული პიროვნება: ალიოშკა პანი და ფედკა არაპი. პუშკინის ქუჩაზე გუ-
შინწინ ვინ გაცალა ბინა და ქალბატონს თავი ვინ ჩაუმტვრია? მათ, ალი-
ოშკამ და ფედკამ... (ბანდიტებმა ჯებირზე წავლისას დარბაისლურად დაუ-
კრეს თავი ლივეროვსკის, ლივეროვსკიმ ქუდზე მიიღო თითი). ამათი ძებნა
და დაჭერა მხოლოდ აფუტებს ალღოს. პერესიპზე ბანდიტების შტაბია, აქვთ
სატელეფონო კავშირიც. ამ დღეებში იქ ატამანთან მპატიებდნენ დღეო-
ბაზე. ობიექტელობაა. სხვა საქმეა ლონდონში, პარიზში, ნიუ-იორკში მუ-
შაობა. იქ მაღალი ინტელექტის ბრძოლაა, უმაღლესი სკოლაა. ჩვენი ორ-
განიზაცია გენიალურადაა დამუშავებული, მთელ ევროპას უხილავი ქსელით
ვფარავთ. სახელმწიფო ვართ სახელმწიფოში. ჩვენ მოვალეობია და ღირ-
სების ჩვენეული კანონები გვაქვს. თუმცა მტრულად განწყობილ ქვეყნებ-
ში ვმუშაობთ, ჯაშუსი ჯაშუსს არასდროს გასცემს. ჩვენ ნაციონალიზმზე
მაღლა ვდგავართ. ყველა გამოჩენილ მოღვაწეზე, ფინანსურ და პოლიტი-
კურ მოღვაწეზე დოსიე გვაქვს. მათი ორმოცდაათი პროცენტი დეფექტური
ან პირდაპირ სისხლის სამართლის ტიპია. ეს საოცრად საინტერესოა. სახელ-
განთქმული პარიზელი ჯაშუსი ლარუ თავის ბროშურაში „ფოლადის პალა-
ტების გატეხვის შესახებ“ ამტკიცებს: „ადამიანი დამნაშავედ იბადება. სა-
კუთრების წმინდა უფლების ცნება პროდუქტია ხანგრძლივი აღზრდისა,
რომელიც დანაშაულისადმი თანდაყოლილ მიდრეკილებას ძირკვავს. ომმა
მოშალა მორალური აღზრდა, უამრავი ადამიანი ვერ ასწრებს ასეთ აღზრ-
დას ეზიაროს, ვერ გადის სათნოებათა სკოლას და ჩვენ ვამჩნევთ საში-
ნელ სურათს: პარიზის ცენტრებში დაეხეტებიან მოხდენილად ჩაცმულ
ველურ დამნაშავეთა ხროვები. მათ აკავენ პოლიციის ძალუმი ხელი. მაგ-
რამ ხროვები წლითიწლობით იზრდებიან. ჰოდა, წინასწარ ვკვრეტ ჟამს,
როცა ეს ხელი დასუსტდება და დაიწყება იერიში სამართლის ციტადელ-
ზე...“ არა, არა, იმუშავეთ ჩვენთან, სემიონ ივანოვიჩ, უნდა გრძნობდეთ
ეპოქას: უმნიშვნელოვანესი თანამედროვე კაცი ეს ჯაშუსია. თქვენ უნ-
და ეკურთხოთ. ამ საქმეს მე მოგიგვარებთ. ჩვენ, ასე ვთქვათ, ყველანი
ღვიძლი ძმები ვართ: ამას გარდა გაფრთხილებთ: პოლკოვნიკი საზარე-
ლი ეაცია... თუ ახლა ჩვენგან წასვლას შეეცდებით, თქვენს თავდებად ათ
მანეთსაც არ ჩამოვალ (ლივეროვსკიმ წვრილი კისერი წაიგრძელა და ზე-
თივით უშფოთველი წყლის ზემოთ განფენილ მოკისფრო ბურუსს ჩააც-
ქერდა. ტივტივების მწვანე და წითელ სინათლეებს შორის ნავეი გასრიალ-
და. იგი გარე რეიდიდან ნავსადგურში ბრუნდებოდა). განათლებით ფილო-
ლოგი ვარ. პეტერბურგის უნივერსიტეტში დამტოვეს. მაგრამ გრიგალის
მიერ ატაცებულნი... თქვენ აარგად ხედავთ იმის სახეს, ვინც ნიჩბებს უს-
ვამს?...

სემიონ ივანოვიჩმა ნავეი კიჩოზე ჩიბუხიანი, გაპარსული ეაცი გაარ-

ჩია. კაცს ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა. მეორე, ხუჭუჭთმიანი, ლონივრად უსვამდა ნიჩბებს. აი, თავი მოაბრუნა. „ისაა!“ — წამოიძახა ნეეზოროვმა. ნავი ტივტივას ფარანს გაცდა და სანაპიროს მოყვრილ სინათლეებით გაშუქებულ ბურში გაუჩინარდა.

ლივეროვსკი და სემიონ ივანოვიჩი, რაც ძალი დეკლარაციონდათ, ჯებირიდან ნაპირისკენ გაიქცნენ, მაგრამ ამ საღამოს ტენდერის ხელსაწყოების გამოკითხვა ამაო იყო.

„მერე, რა, — ფიქრობდა სემიონ ივანოვიჩი. — შეიძლება ლივეროვსკი მართალიცაა. მეც ერთობ ჩამოვარჩი ევროპას. რასაც არ უნდა სტაკოხელი ამ წყეულ რუსეთში, სიღამბლე შეგრჩება: ძველი სამყარო ლეში და ლანდია. მართლაცდა ფეხდაფეხ უნდა მიჰყვე ეპოქა. კონტრდაზვერვა, ჯაშუშობა — ჰმ! ჩანგალი მოსდო მავან აბრამ როტშილდს — ჰმ! ადამიანები ეი გაიძვერები არიან, სწორია ლივეროვსკი — ქვეყანა ბანდიტებითაა სავსე. სულელი უნდა იყო, რომ ჩვენს დროში მორიდებულად იქცეოდე, ოღონდ რა განსაცდელზე ყბედობს ლივეროვსკი? ისე კი სხვათა შორის მიმიფურთხებია. ვერ გამაკვირვებ“.

ასე მსჯელობდა ცულში სემიონ ივანოვიჩი კლუბ „მერიდიონალის“ რესტორანში, სადაც ერთ ბოთლ შამპანურს უჭდა და ლივეროვსკის ელოდა.

აქ ოდესის საზოგადოების ნაღები ქეიფობდა. მოქეიფენი ხმაურობდნენ, ჭიჭებს უჭახუნებდნენ ერთმანეთს, საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ ბრძოლებისა და ანგარიშსწორებების შესახებ, ფიცულობდნენ და კამათობდნენ, ღვინოს ღვრიდნენ დაკმუჭნილ სუფრებზე.

კვამლის ნაცრისფერ ფენებში ნახევრად შიშველ ლამაზმანთან ვალსს ცეკვავდა შავმუნდირიანი ფრანგი ოფიცერი; დეზების მკაფიო რაწყუნსა და აბრეშუმის ქვედა კაბის შარიშურში ბზრიალებდნენ ისინი; ხან ლამაზმანის ფერმკრთალი ნახევრად თავგზააბნეული პროფილი მოტრიალდებოდა, ხან ოფიცრის ბრილიანტინწასმული გაყოფილი თმა და კოხტა პატარა უღვაში. მათ ცეკვა დაამთავრეს, დასხდნენ. „ბრავო, ბის!“ — იბღვლეს ყველა მაგიდიდან. „გაუმარჯოს საფრანგეთს!“ — სჭეჭეს და აწერილდა გატეხილი ბოჭალები.

ორკესტრის წინ ესპანიოლიანი ჩასუქებული ქართველი თავადი გამოიჭრა, იძრო ხანჯალი, „ლეკური საფრანგეთის პატივსაცემად“, — დასძახა და ფეხასწვერებით დაუარა: ცეკვისას სახელოები ებერებოდა, ხანჯალი უელვარებდა. „ალავერდი!“ — დაირხა ქალების ხმა.

ბიწიერი ნაოჭებით დაღარულმა, წითელ-ყავისფერმა რუმინელმა დირიჟორმა მთელი რესტორანი აიძულა „ალავერდი“ ემღერა, თვითონაც ძროხასავით ბლაოდა ჩახრინწული ხმით, ოფლისგან სახეაბზინებული.

აქ სული იღხენდა, დარდი დამრეტილიყო. სემიონ ივანოვიჩმაც კი ფრჩხილით ორად გაიყო წვერი: მან ერთი ყავისფერი კაბით მოაილი, წაბლისფერთმიანი, ძალზე მიმზიდველი, გაწეწილი ქალი შეამჩნია, რომელიც შემცბარი იღიმებოდა იმის გამო, რომ ძლივა იდგა ფეხზე. ხან ერთ მაგიდას მიუჯდებოდა, ხან მეორეს. იქ მჯდომს ყურადღებით ჩახედავდა სახეში და

ეკითხებოდა: „რაზე ფიქრობთ?“ როცა პასუხს ვერ მიიღებდა, უღონოდ ჩაიქნევდა ხელს.

ქალი ნევზოროვთანაც მივიდა და ბავშვური, ელამი თვალებით დიდხანს უცქირა. სემიონ ივანოვიჩმა ბოკალი შამპანური შესთავაზა და თავაზიანად დაუწყო ლაპარაკი. ქალმა, თითქოს მისი სიტყვები წყლის ქვემო-დან ესმისო, ენის ბორძიკით პკითხა:

თვალეზი დიდ-
ხანს უცქირა და/თავა-
ზიანად დაუწყო ლაპარაკი
წყლის ქვემო-
დან ესმისო
ბიზლიქოვა

— მითხარით, რაზე ფიქრობთ?

გაჩხინკული ორი თითით ბოკალი აიღო, მაგრამ შამპანური გადმოეწუნწალა და ბოკალი ისევ დადგა:

— ყველანი რაღაც უცნაურნი ხართ. არაფერი მესმის. რაზე ფიქრობთ სუყველანი? გიყურებთ და არ მესმის. თქვენ კი განა არ გეშინიათ? (ქალმა ჩაიჭირჭილა.) თავი მიბრუის... რა უსინდისობები არიან — დამათვრეს, უკეთურნი, უცხონი არიან. იცით, მარტო ვარ აქ. მამა უგზო-უკვლოდ დაიკარგა, დედა პეტერბურგში დარჩა, ბინის დატოვება არ ისურვა. მე კი ჩვენს სტუდიას წამოვყევი (ამ დროს მაგიდას ლივეროვსკი მიუჯდა. ქალმა ოდნავ გააღო პირი და დიდხანს უცქირა სათვალის ცისფერ მინებში.) ევაკუაციით წამოვედით, ევაკუაციით. წამოვედით და დავკარგეთ კიდევ ერთმანეთი.

— ერთი მითხარით. — მიმართა ლივეროვსკიმ. — არ იცით შემთხვევით სადაა ამჟამად ასეთი მსახიობი — შამბორენი?

— აჰაა. — ახალგაზრდა ქალს ღიმილმა სახე გაუნაზა. — მაგრამ ის მსახიობი კი არა, მხატვარია. ო, საუცხოო კაცია.

— დავალებული მაქვს, რაღაც უნდა დამიჯდეს, სამხრეთში მოვძებნო და წერილი გადავცე... პოდა, როგორმე...

ახალგაზრდა ქალს სახეზე ღიმილი გაუქრა და ტუჩებთან ორი ნაოჭი გაუჩნდა, შემდეგ კვლავ ოდნავ გააღო პირი და ხან ლივეროვსკის ჩასცქეროდა სახეში, ხან ნევზოროვს. თითქოს ეკითხებოდა: „რაზე ფიქრობთ?“ ამოიოხრა, ხალებით დაწინწკლულ გაჩხინკულ ხელზე თავი ჩამოაყრდნო.

— ისევ იგივე მეორდება, — თქვა ქალმა. — ყველანი მკვლევლები ხართ. მოსაწყენია თქვენთან.

ლივეროვსკიმ მხიარულად გაიცინა:

— ესეც ახალი ამბავი. შერედა, ვის მოკვლას ვაპირებთ. აი, ახირებული!

— არა, მე ახირებული არა ვარ, შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ. — ქალი წამოდგა. — ყველა მხოლოდ მკვლევლობაზე ფიქრობს. ყველას მიცვალებულის თვალები აქვს... რარიგ მძიმეა, უსიამოვნო... საშინელი მოწყენილობაა... მშვიდობით...

ქალი მოკვლევავთა შორის ბარბაციით გაემართა აკიდარიან. ლივეროვსკიმ იდაყვა ქვეშით ჩაავლო ხელი და კვლავ წერილზე, შამბორენზე გაუბა ლაპარაკი, მაგრამ ქალმა ხელი გამოსტაცა და მწყრალად აჩუჩრულდა თავისთვის, თან იაფფასიან პალტოა იკრავდა.

ლივეროვსკიმ და ნევზოროვმა ქალი წინ გაუშვეს. დაიცადეს, ვიდრე იგი კუთხეში შეუხვევდა, და უკან მიპყვნენ. ქუჩაში კაციშვილი აუკაქანებდა. ნაღვლიან ღრუბლებში მთვარის სუატი შუქი ატანდა. ქალი ტროტუარზე მიაბიჯებდა და ხელს იქნევდა, დროდადრო ჩერდებოდა: შეიძლება

ბრაზობდა, თავის თავს ელაპარაკებოდა. შემდეგ შესახვევში შეუხვია. ლივეროვსკი და ნევზოროვი კუთხეს მოეფარნენ და თვალი მიადევნეს.

ქალი შუა შესახვევში გავიდა. ძველი სახლის პირდაპირ და დიდხანს უყურა მეორე სართულის ჩაბნელებულ ფანჯრებს. შემდეგ ტროტუარზე დაბრუნდა და ბოქვინტზე დაჯდა.

როცა სემიონ ივანოვიჩმა მარტო, ფრთხილად ^{უჩინებლად} ~~ქალს~~ ^{გვერდით}, ქალი ტიროდა. ნევზოროვმა მხრები აიჩეჩა და პატარა წვერი ჩამოიფოცხა.

— მოითმინეთ, შინ მიგაცილებთ, ქალბატონო.

— აქედან მომწყდით!

ნევზოროვი კუთხეში ლივეროვსკისთან დაბრუნდა. მათ კიდევ დიდხანს ესმოდათ, როგორ ტიროდა და ცხვირს იხოცდა ქალი უკაცურ შესახვევში.

— ქალი შამბორენის ფანჯრებში იყურებოდა; მათ კავშირი აქვთ ერთმანეთთან, — თქვა ლივეროვსკიმ. — რესტორანში მივხვდი ამას. მაგრამ ჩიტი გაფრინდა, ქალმა შამბორენის მისამართი არ იცის. ვიდრე შინ მივიდოდეს, უთვალთვალეთ. მე კი ჩემს აგენტებს ამ შესახვევის სამეთვალყუროდ დავაყენებ.

ლივეროვსკის ვარაუდი სწორი აღმოჩნდა. ახალგაზრდა ქალი მეორე დღეს ორჯერ იყო შესახვევში და ფანჯრებს უცქეროდა. ამ სახლის მეეზოვემ დაუდასტურა, რომ ხუთი დღის წინათ სწორედ ზედა ბინიდან თმახუჭუჭა, შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი წავიდა და თან ჩემოდანი გაიყოლა. ხოლო ვიღაც ლევინის გვარზე გაცემული პასპორტი, რომელიც ჩასაწერად მქონდა დატოვებული, არ წაუღია.

ახალგაზრდა ქალს გულმოდგინედ დაუწყეს თვალყურის დევნება (დაადგინეს, რომ ეს იყო ვაბარეს მსახიობი, ოცდაერთი წლის ნადია მედვედევა), მაგრამ, ეტყობოდა, შამბორენს იგი მათსავით ეძებდა ქალაქში. ქალი რამდენჯერმე ნახეს გაპარსულ, ჩიბუხიან კაცთან. უთვალთვალეს ამ კაცსაც; ჩიბუხიანი მოსკოველი ჟურნალისტი ტობოროკოვი აღმოჩნდა. ლივეროვსკი ვარაუდობდა, რომ შამბორენი სადმე „სალალობებში“ ნავსადგურის დამის ბუნაგებში იმალებოდა. ნაგებს და გემებს მეთვალყურეები მიუჩინეს. ლივეროვსკი და ნევზოროვი უკვე მესამე დღეა ჩხრეკდნენ ნავსადგურის საექვო კუნჭულებს. აგენტები დარაჯობდნენ ვოგზალს და ტრამვაის ხაზებს პატარა და დიდი შადრევნის ქუჩებზე. საშიში იყო შამბორენი ხმელეთით არ გადასულიყო რუმინეთში. მაგრამ უეცრად, ყოველგვარი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, დღის ოთხ საათზე დერიბასზე დაინახეს.

შამბორენი კუთხეში, ქარში იდგა. მოუთმენლად დაებერა ნესტოები და ნადია მედვედევას უსმენდა. ქალს მისი ხელი ორივე ხელით ეჭირა და რაღაცას ევედრებოდა.

აი, შამბორენმა მაგრად შეანჯღრია ნადიას ხელები. წასვლას აპირებდა. ქალი ფრჩხილებით ჩააფრინდა მხარში, ხავერდის ქურთუკში, და სწრაფად აკოცა ტუჩებში. გამვლელები მათ უცქეროდნენ და გაიცინეს. სწორედ ამ დროს შამბორენის თვალები ნევზოროვისას შეეჩეხა, შემდეგ ლივეროვსკის ცისფერი სათვალეც დაინახა და გაქრა, თითქოს კუთხეში არც მდგარაო. მხოლოდ სანაპიროს მიმართულებით აქა-იქ აფორიაქდა ხალხი.

მილიციელები და ჯაშუშები ღვარივით დაეშენენ ჰერკოვის ქვის კიბეზე ნავსადგურისკენ და „სალაღობებს“ მოედვნენ. ნადია შედგედება, რომელიც მაშინვე დააბატიმრეს დერიბასოვზე, ღამის პირველ საათზე დაკითხეს. იგი უტიფრად პასუხობდა ლივეროვსკის.

— არავის არა აქვს უფლება, მით უმეტეს თქვენ, გენერალ-სერჟანტობაში ჩარევიან. საშა შამბორენი მიყვარს და ყველას ვეტყვი ამას. რისთვისა ჩამოვიდა აქ, არ ვიცი, თანაც ეს თქვენი საქმე არაა. ჰკითხეთ მის მეგობარს.

- სახელდობრ ვის?
- აპ. აი იმას, ეურნალისტს.
- გაპარსული რომაა, ჩიბუხიანი?
- პო. რაღა, მეზიზღება.

— ხომ არ შეგიძლიათ აგვიხსნათ, შამბორენი, რომელთანაც, როგორც თავად ამტკიცებთ, ახლო ურთიერთობა გქონდათ, რატომ გემალებოდით ოდესაში? — ჰკითხა კიდევ ლივეროვსკიმ.

ქალი ისევ მიაცქერდა ლივეროვსკის, როგორც მაშინ რესტორანში, თავი დახარა და ცრემლი დასცვივდა მუხლებზე. მეტი ველარაფები ათქმევინეს.

იმავე ღამეს ლივეროვსკი ჯაშუშთა რაზმთან ერთად ეურნალისტ ტობორკოვის ბინას დაეცა ეულიკოვოს ველის გადაღმა. რევოლვერით შეიარაღებულმა სემიონ ნევზოროვმა გადაწყვიტა სასწაულებრივი სიმამაცე არ გამოეჩინა და თავდამსხმელთა ზურგში დარჩა.

როცა კარი შეამტვრიეს, ტობორკოვი ცდილობდა სამზარეულოს ფანჯრიდან წყალსადინარ მიღს ჩაპყლოდა. იგი ისე დაიჭირეს, სროლა არ დასჭირვებიათ. ტობორკოვს ხელყუმბარა, რევოლვერი და ფეხსაცმლის საცხიანი ოთხი თუნუქა უპოვეს.

ნაპოვნი იმდენად მოულოდნელი და საკვირველი აღმოჩნდა, ლივეროვსკიმ უდიდესი შეცდომა ჩაიდინა: გამაფრთხილებელი ზომები არ მიუღია, პირდაპირ ქუჩაში, ფარანქვეშ გახსნა ოთხივე თუნუქა და თვრამეტი მსხვილი ბრილიანტი იპოვა. მისი ხელქვეითი ჯაშუშები ისე მოხიბლა ძვირფასი ქვების ელვარებამ, ფარანქვეშ შეჯგუფდნენ. იქვე იდგა ტობორკოვიც.

აედლის შვერილში მყოფ სემიონ ივანოვიჩს გამოუცდელი გამოცურადლება არ მიუტყვევია იმისთვის, რომ მეზობელი ჭიშკრებიდან ფრთხილად და უხმაუროდ გამოვიდა სამი კასკეტიანი კაცი. ერთმა მათგანმა ქუჩა გადაიბინა... ეს იყო შამბორენი. უცებ კასკეტიანებმა რევოლვერებით უერთასმენის წამლები სროლა აუტეხეს ფარანის ქვეშ შეჯგუფებულ ჯაშუშებს. უკვე გამოცდილი სემიონ ივანოვიჩი მაშინვე დაწვა. ფარანქვეშ რამდენიმე კაცი წაიქცა: დანარჩენები თვალის დახამხამებაში გაქრნენ მოსახვევის კუთხეში. იქითკენ გაიქცნენ თავდამსხმელებიც. კუთხის იქით თითქოსდა მთელი არმია ისროდა, ისეთი ხმაური და საშინელება იდგა.

ფარანქვეშ იმავე დროს ზეზე წამოდგა ეურნალისტი ტობორკოვი და ქუჩაში გაიქცა სროლის საწინააღმდეგო მიმართულებით. სემიონ ივანოვიჩი იდაყვებზე წამოიწია, რევოლვერი საუცხოო სათამაშოდ მოეჩვენა, რაღაც დედის გინებისმაგვარი წაიჩურჩულა და გაქცეულს ესროლა. ხელი შეუ-

ტოკდა. დადგა დენთის მყრალი სუნი. ტოპორკოვი გვერდზე გადაქანდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა სირბილს, თითქოსდა კოჭლობით.

როცა სროლა მაწყდა, სემიონ ივანოვიჩი შინ წავიდა. შტიბლეტები გაიხადა და ნეტარებით მისცა ძილს თავი. ამის გაფიქრებამდე მხოლოდ: „ო, კარგია, თუ ლივეროვსკიც მიასიკვდილეს“.

სემიონ ივანოვიჩმა ასე გაიფიქრა მომდევნო დილასაც. როცა ყავას სვამდა. არა, ჯაშუშის საქმიანობა მის ბუნებას არ შეესაბამება: ყოველთვის აადლავ უნდა ირბინო, ვინმე დაიჭირო, ვინმეს ესროლო. განა ეს ცხოვრებით ტკობაა? არც მოსვენება, არც გულმხიარულება.

ეჰ, გულმხიარულება! სემიონ ივანოვიჩს უნებლიეთ გაახსენდა გაფრენილი დრო, როცა ნახევრად ბნელ ოთახში, მეხუთე სართულზე, მეშჩანსკიაზე ფანჯარასთან იჯდა, ყავას სვამდა და არისტოკრატიულ ადიულტერზე ოცნებობდა. წყნარად მიდიოდა ცხოვრება, მეზობელ ეზოში ხანდახან არღანი დაუკრავდა ბოლმე ისევ და ისევ დაუბრუნებელ ცხოვრებაზე: ფანჯარასთან გულს მოიოხებდი. უცებ „კნობკაც“, თავისი საყვარელიც კი გაახსენდა, რომელიც უკვე მეხსიერებიდან ამოშლოდა, და მეშჩანური მშვენივრებით მიიზიდა. ეჰ, ღმერთო ჩემო, დაიღუპა წყნარი ბედნიერება, დაიღუპა ზუსტით!

სემიონ ივანოვიჩი მოლბა, თვალები აუწყლიანდა. „წავალ. — გაიფიქრა მან. — უბრა მთას იქით გადავიყარგები, თამბაქოს ღუქანს გავხსნი. მშვიდად ვაბოლებ, თვალს გავადევნებ გვერდით ჩავლილ მშვიდ ადამიანებს“.

— შინაა! მართლაც ყავასა სვამს! — ზედ სემიონ ივანოვიჩის ყურთან იყვირა ლივეროვსკიმ, თითქოს გაისროლაო. ფანჯარა დახურა და საწოლზე ჩამოჯდა. თავი შეხვეული ჰქონდა, კარგ გუნებაზე იყო და ცხვირს ჰმუხნიდა. — თქვენებს წირვა გამოუვიდათ, ფაფუ. შეგიძლიათ მოგვილოცოთ, პოლკოვნიკი ახლა მესამე ტყავს აძრობს შამბორენს.

— დაიჭირეთ?

— ყურბელასავით სიცოცხლისუნარიანია. დაჭრეს, თავში ჩაარტყეს და დაარეტეიანეს, ძლივძლივობით დაიჭირეს. თანამზრახველთაგან სამწუხაროდ ერთი მოგვალით, მეორე გაიპარა. ჩვენთანთაგან კი, თქვენ იცით. ოთხი დახოცეს. ოთხიც ძლიერ გაეაწრულია. დიდებული საქმე ეი გახლდათ. სიტყვამ მოიტანა და დღევანდელი გაზეთები წაიკითხეთ? ზებუნებრივია... (ლივეროვსკიმ შესახვევი ქალაქის ფურცელი გაშალა, რომელზეც „ოდესის სიახლენი“ იყო დაბეჭდილი) „ოპერატიული ცნობა ბოლშევიკების ყველა იერიში...-ზე (სიტყვა ცენზურის ამოშლილია) მოგერიებულია მოხალისეთა არმიის მძიმე ბატარეის ცეცხლის წყალობით. არმიისა, რომელიც ბოლშევიკებს ფინდობით ებრძოლებდა. შეტევაზე გადმოსულ ბოლშევიკებს დანაკარგი აქვთ“. იცით, როგორ უნდა წაიკითხოთ ეს ცენზურის ამონაშალი? ახლავე გაიგებთ. „სარდლის შტაბის განმარტება. ფრონტის მოვლენებმა არ უნდა აადელვოს მოსახლეობა, ვინაიდან ოდესის გარნიზონი რაც უფრო მჭიდროვდება შევიწროებულ ბაზაზე, მით უფრო აქტიური, რეალური ზდება თავდაცვა, გემების ქვემეხებს ფრიად და ფრიად ხანგრძლივი დროით შეუძლიათ მოწინააღმდეგის შეკავება ქალაქის მისადგომებიდან კარგა დიდ მანძილზე...“ ახლა გაიგეთ ცენზურის ამონაშალი? ეს — გემე-

ბის ქვემეხთა გასროლის მანძილი — თვრამეტი ვერსია. ბოლშევიკები ქალაქიდან გასროლის მანძილზე არიან..

სემიონ ივანოვიჩს ყბა მოეჭვა და უცებ აუკანკალდა.

„დგება ბრძოლის გადამწყვეტი დღეები, — განაგრძობდა კითხვას ლივეროვსკი. — საფრანგეთის მთავარსარდლობამ გადაწყვიტა, — მარტო ყოველი ღონისძიებით დაიცვას ოდესა, არამედ რუსეთს მსჯილღებინოს დამფუძნებელი კრების მოწვევა. მოკავშირეთა ზონა დავიწროებულია. ძალები მძლავრ მუშტადაა თავმოყრილი: ესაა დაახლოებით ორმოცდაათი ათასი ფრანგი, რუსი, ბერძენი, რუმინელი, პოლონელი და ქალაქის მისადგომებისკენ მიმართულ დრედნოუტთა ლულები. ყველაფერი მზადაა. ისლა დაგვრჩენია, გადამწყვეტი დარტყმა ვაგემოთ წითლებს და ძლევამოსილ ზვავად მივადგეთ მოსკოვს“.

— ამრიგად, — ლივეროვსკიმ გაზეთი დივანქვეშ შეაგდო, — გადამწყვეტ დარტყმას ჩვენ ვიგემებთ ცხვირ-პირში. ამ ღამით ფრანგების ოთხი პოლკი პოზიციიდან წავიდა. შამბორენის მთელი ეს ამბავი პროვოკაციაა, მე თქვენ გარწმუნებთ. პოლკოვნიკი გაგიჟდა, როცა ბრილიანტების ამბავი გაიგო. მთელი დაზვერვა შამბორენის დასაჭერად ამოქმედეს, ბოლშევიკები კი ამასობაში მუშაობდნენ. თანაც სწორედ ყურნალისტი ტობორკოვი. ზუავებმა თავიანთ ნაწილებში საბჭოების მოწვევა მოითხოვეს, ბერძნები სანგრებიდან ყვირიან: რიუსებო, რიუსებო, მოდი შევრიგდეთო. მერედა იცით, რა ხდება მუშათა რაიონებში? კბილებს აღრჭიალებენ. ამ რეგვენმა პოლკოვნიკმა სასაფლაოზე ათი ადგილობრივი ბოლშევიკი დახვრიტა. მუშებმა, რა თქმა უნდა, გვამები მოძებნეს, ამოთხარეს. ზუავები გარეუბანში დახვრეტილების სანახავად გარბიან. ის კი იცით, რომ გუშინ კლემანსოს კაბინეტი დაემხო?...

— არ შეიძლება ჩვენ წინასწარ რომელიმე გემზე მოვეწყოთ? — ჰკითხა ნევეზოროვმა.

— მოვასწრებთ. მე თქვენ არ მიგატოვებთ, ფრიად და ფრიად გამომადგებით. სიტყვამ მოიტანა და ამ ღამით გაკურთხებთ.

ამ საუბრის შემდეგ სემიონ ივანოვიჩს, ცხადია, შიშის ზარი დაეუფლა. მაგრამ როცა ქუჩაში გამოვიდა იქ, თითქოს არაფერიც არ მომხდარაო, მორთულ-მოკაზმული ქალები სეირნობდნენ და, თუ რაიმესი ეშინოდათ, ეს გახლდათ ჭორფლი, რომელსაც აპრილის მზე ოდესელი ქალების მრგვალ სახეებზე აჩენდა.

გარე რეიდზე გულარხეინად ბოლავდა დრედნოუტების მიღები. ფრანკი სულ რვამანეთნახევარი ღირდა ფანკონის კაფეში, საიდანაც ურწმუნოს და პანიკოტრს ადვილად შეეძლო გარეთ გამოვარდნილიყო და ბურუსიანი ზღვის თავზე გემების ეს ბოლი დაენახა. სანაპიროზე ჩორთით მიხრივინებდნენ გაჩხინკული ქვემეხები. რიხიანად გახობდა ტანკი. მიდიოდა სამხედრო აღჭურვილობით მძიმედ დატვირთული ზუავების ბატალიონი. რომის ეს შვილობილები ვითომ გრიგორიევის ბანდას ტარანს არ დაჰკრავენ? დიდულვაშა, მკერდფართო, გამტვერილი ზუავები უყოყმანოდ არ გასწირავენ თავს თავისუფლების, კულტურისა და წმიდათაწმიდა პრინციპებისათვის?..

სემიონ ივანოვიჩმა ბევრი გამამხნევებელი რამ იხილა დღეს პასპორ-

ტისა და ვიზებისთვის აქეთ-იქით სირბილის დროს. ნახა ავრეთვე, როგორ გამოვიდა სასტუმრო „ლონდონის“ შესასვლელიდან შავმუნდიანი ახოვანი, პირქუში კაცი: მას ხილვადაკარგული თვალები რეიდიათვიან მკვებებინა, მოკლე ხეშეში წვერით მოსილი ჩამომტყნარი ყბიყუნულოვანი მტვრით დაფარვოდა. ეს იყო თავდაცვის მინისტრი ფრანკო-მარტი. გენერალი ავტომობილის ტარსიკონის ბალიშებზე დაეცა და კბილებში გამოსცრა ბრძანება: „საფრანგეთის შტაბი“. სემიონ ივანოვიჩი შიშმა შეიპყრო, თუმცა იმწუთას არც კი იცოდა, რომ გენერალი შვარცი გენერალ დ'ანსელმთან მიდიოდა. რათა უკანასკნელი სასოწარკვეთილი და უიმედო საუბარი გაემართა.

სემიონ ივანოვიჩს სევდიანმა მშფოთვარებამ მეორეჯერ მაშინ გაუკეჭნა გული, როცა სალამოს კლუბ „მერიდიონალს“ მიაღგა — კარი დაკეტილი დახვდა, რესტორნის დახლთან ბოთლში ჩარკობილი სანთლის შუქზე რესტორატორი და ლაქია რაღაც ბოხჩებს კრავდნენ.

შემდეგ სემიონ ივანოვიჩმა სასტუმროში, თავის ბინაში ზარს რომ რეკავდა, როგორც ყოველთვის, დააბირა, გენერალ ტალდიკონის ბრძანება წაეკითხა ტარაკანების შესახებ, მაგრამ ძრწოლით დაინახა, ბრძანების ზემოთ მიწებებული პატარა ფურცელი: „ყველას, ყველას, ყველას... უნდა დაეცეს სპეკულანტებისა და თეთრგვარდიელთა უკანასკნელი თავშესაფარი...“

სემიონ ივანოვიჩი ოთახში ჩაიკეტა, დაწვა, თითქოს დაიძინა კიდევ და უცბად საწოლზე ჩამოჯდა. გულამოვარდნილი გაყურადდა... გუმანი გაუმართლდა: ფანჯრებქვეშ ვიღაცებმა გაიარეს. შვეიცრის ოთახში ზარის ხმა ისმის, კარს არავინ აღებს, სიჩუმეა. უცებ მაგრად აკაკუნებენ კარზე, ტვინში.

სემიონ ივანოვიჩი უკვე შუა ოთახში იდგა და ბლაოდა:

— არ წამოვალ!

კარს მიღმა ლივეროვსკის დამცინავი ხმა გაისმა, ლივეროვსკიმ ნელა ასო-ასო წარმოთქვა ყოველი სიტყვა:

— გააღეთ რაღაც, გველოდებიან.

მოტორიანი ნავი გვერდს უხახუნებდა დამპალ ხიმინჯებს, წვიმიანმა ნისლმა მოელი ნავსადგური დაფარა, იდგა დამპალი ხისა და ზღვის მძაფრი სუნის, ზემოთ, ქალაქში ჭერ კიდევ ეძინათ. შორს, შადრევნების ქუჩების მხარეს, ბათქა-ბუთქი ისმოდა. ზანტმა ტალღამ მაღლა ასწია და იავე დაუშვა დაეანგულ რგოლზე მიბმული ნავი.

ნავის სველ მერხებზე ისხდნენ — სემიონ ივანოვიჩი, მის გვერდით — ცხვირწაწვეტებული, დაბალქოჩრიანი ახალგაზრდა, რომელსაც შაშხანა ეჭირა მუხლებშუა, ახალგაზრდის წინ — მუქი ლურჯი სამხედრო ლაბადით მოსილი აბობლექსიური შესახედაობის ვეება ფრანგი.

სამივე დუმდა. ფრანგმა ჩამოგრძელებული უღვაში წვიმის სინესტეს მიაშვირა, დროდადრო მწყრალად ქშინავდა, ახალგაზრდა ფრჩხილებს უკაკუნებდა შაშხანის კონდახს და თავვისებრ ცქაფ თვალებს ნისლიდან კანტიკუნტად გამომკრთალ საგნებს აპყრობდა. პალტოში გახვეულ სემიონ ივანოვიჩს აკანკალებდა — მას უეცრად კბილი ასტკივდა, თითქოს გავარვარებულ შანთს ურკობდნენ შიგ. მაგრამ ნავიდან გადმოსვლა და წასვლა

შეუძლებელი იყო: ახალგაზრდა მას განძრევისთანავე თვალებს აცვებდა სახეზე.

ფრანგმა უკვე უღვაშებში დაიწყო ღრენა ფრანგულად: „ო ბინძური რუსები! კიდევ რამდენი უნდა ვიცადო ამ დამპალ ნავში ნეხვები და ნეხვები!“



დაირბინა ნავსადგურის მაწანწალა ყავისფერმა ძაღლმა, შეჩერდა და ყურადღებით და დიდხანს დააცქერდა ხალხს. ახალგაზრდამ ხელი აუქნია: „პაიტ, შე არამზადავ, შენა!“ ძაღლი განზე გაბტა, აიბურძგნა, დაიღრინა, მაგრამ აი, როგორც იქნა, მოისმა გუბეებში ფეხების ტყაბუნის. ნისლში გამოჩნდა ხუთი კაცი: ნევეზოროვისთვის უკვე ნაცნობი, როტმისტრი, მეზღვაურის კარტუზიანი ვილაც სამოქალაქო პირი (ორივეს რევოლვერი ჰქონდა მომარჯვებული); მათ შუა მომავალი ბლუზადაგლეჯილი შამბორენი, რომელიც მარჯვენა ხელით მარცხენას იკავებდა, და შამბორენის გვერდით — სახენაყვავილარი, ახოვანი მეზღვაური. მეზღვაური პერანგის ამარა იყო, ხელეებზე ბორკილი ედო. უკან მოდიოდა ლივეროვსკი. მან აპოპლექაიურ ფრანგს პაკეტი გაუწოდა. ფრანგმა პაკეტი ვახსნა, წაიკითხა და ლაბადის შიგნით შეინახა.

— ეს თბი, კარჭი. — თქვა მან.

მოსულნი ნავზე გადავიდნენ, მეზღვაურის კარტუზიანი საკეს მიუჯდა და ძრავა ჩართო. აქაფქაფდა წყალი. ხიმინჯებდამპალი ნაპირი უკან დარჩა და ნელ-ნელა ნისლში ინთქმებოდა.

ლივეროვსკი სემიონ ივანოვიჩისკენ მიიწია.

— ეს ფრანგი ჯალათია. მოკავშირეებმა შამბორენი არ გვანდეს, თვითონ უნდათ მოსპონ. მეზღვაური კი ცნობილი ფილკას, გრიგორიეველი, საოცრად ღონიერი და სასტიკი. ორივე გარე რეიდზე, კარჭაპზე მიგვყავს, რომ საიდუმლოდ გავაქროთ.

ნევეზოროვმა კბილის ტყვილისგან დაიკვნესა. ნავზე დუმდნენ. ლივეროვსკიმ ვერცხლის პორტაიგარი გაუწოდა იქ მსხდომთ. ყველამ გააბოლა შამბორენის გარდა. დამსჯდარი ტუჩები მიცვალებულივით მოეკუმა. წაწვეტებულ სახეზე დროდადრო კრუნჩხვა უვლიდა და, ეტყობოდა, ეს ტანჯავდა. იგი ყურადღებით უცქეროდა ძრავას, რომელსაც მზნედ გაჰქონდა ტრანსტრახი. თითქოს ზღვაზე მზიარული სეირნობა იყო გამართული.

— ჩქარობს, ეჩქარება. მანქანაა და ჩქარობს. მაინც რამდენი ცხენის ძალა ექნება? — უეცრად თავაზიანი ხმით თქვა მეზღვაურმა ფილკამ.

მესაქემ თქორისგან გათეთრებული წარბები შეჰყარა: — თორმეტი.

ფილკა ძრავას მიაშტერდა, თითქოს თავის დღეში არ ენახა, შემდეგ ფრანგს გაბედა.

— კივა, — თქვა მან. — პერანგი დამისველდა, ცოტაც და გავცივდები. — ფილკამ დიდებული თეთრი კბილები გამოაჩინა, მაგრამ სიცილი ასევე შეეყინა ტუჩებზე.

ნისლში მუჭი საგანი აიღანდა. შამბორენი გაიწვართა და თვალი მიაშტერა. ეს იყო ფარანჩამტვრეული კონუსური პატარა ტივტივა. ნავმა ნელ-ნელა ჩაუარა ტივტივას. ნავის ხერხემლის მიერ გაკვეთილი დამრეცი ტალღა რბილი ტყლაშუნით გაიშალა თბ საბურველად და წვეთები შეაშხეფა ნავში მყოფთ. აქედან აღმოსავლეთისკენ გაუხვიეს და გაჰყვნენ ფრთონას,

რომელიც უკან, შორს, წვიმის ფარდის მიღმა ჩაკარგულ ჯებირს ემსხვრეოდა ძალუმიად და ყრულ.

ახლა ყველა იქით იყურებოდა, საითაც ნავის სპილენძმოქვარე და ხეგალაქული ცხვირი ისწრაფვოდა. ნავი ძალზე ირწეოდა. ნევზოროვმა გალიგვებული თითები ჩასჭიდა ნავის ქიშკ. ნისლს გამწვანებულ წიბების — ორი ჯვრის — გამოსახულება. შამბორენმა მაშინვე დახარა თავი. როტმისტრი ნავის ცხვირზე გადავიდა და მისაბმელი თოკის ბოლო გახსნა.

ნავი უფრო სწრაფად მიადგა კარჭაპს, ვიდრე ელოდნენ. ეს იყო პურის გადასახიდი საკაბოტაჟო გემი. კარჭაპი ჭრიალებდა და ბაგირებზე ირწეოდა. მის გაფისულ გვერდზე კიბე ეკიდა, როტმისტრმა ხელი სტაცა კიბეს და ადვილად აცოცდა გემბანზე.

— ზემოთ იმუშავებთ, მოსიე? — ფრანგულად ჰკითხა ჯალათს.

— ვალდებული არა ვარ მოქანავე კიბეებზე ვიხობო; ნეხვები, ნეხვები, — მიუგო ფრანგმა, მაგრამ მაინც მოიძრო დასველებული ლაბადა, რომლის შიგნით მოკლე კარაბინი აღმოაჩნდა, და მძიმედ აძვრა კარჭაპზე. იგი ზემოთ დადგა, ფეხები გაშალა და კარაბინის საკეტი გააჩხაკუნა. — პირველად მეზღვაური ამოვა, როგორც ბრძანება, ისე გამოაცხადა ხრინწიანი ხმით. ნევზოროვმა ახლავდა დაინახა მისი სახე: ვეება, გაჭარხლებული, შუბლი დაბალი ჰქონდა. თვალები — ამღვრეული, უძრავი, წარბები გაბანჯგვლული.

— მეზღვაურო, ზემოთ! — გადათარგმნა ფრანგის სიტყვები როტმისტრმა.

ფილკა გათეთრდა. ბორკილის ჯაჭვი გასწია, კიბისკენ წაიწია.

— ვერცხლის საათი ცოლს გაუგზავნეთ, არ დაგავიწყდეთ, გეთაყვა, — უთხრა ლივეროვსკის და ნელა დაიწყო კარჭაპზე ასვლა. ასვლისას თვალებში უცქეროდა ფრანგს.

— უფრო ცოცხლად, არამზადავ! — დაუყვირა როტმისტრმა. უკვე ზევით ასულმა ფილკამ უცებ საზარლად იბღავლა:

— მე არა, მე არა, ეს მე არა ვარ, შეცდომია! — და ჯალათს ჭიდილი დაუწყო. ნევზოროვმა თვალები დახუჭა. გაისმა სროლა, წუთის შემდეგ კი ფრანგის ჩახრინწული ხმა:

— გრაფო შამბორენო!

შამბორენი მოწყვეტით წამოვარდა და უმაღლ დაჯდა. მაშინ ახალგაზრდამ, რომელიც ერთიანად თრთოდა, არეულად ათამაშებდა შამხანის საკეტს და სულმოუთქმელად იგინებოდა. შამბორენს უბიძგა: „წადი, წადი!“.. ნავი დაირწა, ნევზოროვს შიშის ზარი დაეუფლა. დაავადებული, გავარვარებული კბილი ტვინის სიღრმეში ჩაესო.

— სირცხვილია, გრაფო, — ზემოდან წვრილი ბანით დაუცაცხანა როტმისტრმა. — მოვრჩეთ საქმეს. — მაშინ შამბორენი კიბეს ეცა. როგორც კი მისი ხუჭუჭთმიანი თავი გემბანს ააცდა, ფრანგმა ესროლა. შამბორენი კიბეზე შექანდა, მოსწყდა მას და ზღვაში ჩავარდა. სემიონ ივანოვიჩს სახეზე ცივი მხეფები მოხვდა.

იმავე დილით სემიონ ივანოვიჩი ქუჩაში, როგორც სიზმარში, ისე დაეხეტებოდა ფეხაკრეფით. გაქერქლილ ლობესთან შეჩერდა და დიდხანს უცქირა ახლახან გაკრულ ვეება, ფერად პლაკატს, რომელზეც ფრანგს, რუსსა

და ინგლისელს ერთმანეთისთვის მაგრად ჩაეგლოთ ხელი, მათ ზურგს უკან წმინდა გიორგი რევოლუციის წითელ ჰიდრას გმირავდა. ვიღაცას მისთვის ფანქრით გრძელი, გადაგრეხილი უღვაში მიეხატა.

სემიონ ივანოვიჩი დიდხანს იდგა ამ სურათის წინ. უხლოესად რომელი უნდა წახვიდოდა, დასაძინებლად რომელი უნდა დაწვეოდა? — ფანქარი გამოიღო და გადაგრეხილი უღვაში მიუხატა ფრანგს, შემდეგ ინგლისელს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — ზმამაღლა თქვა, ფანქარი დაწვეოდა და გულდაგულ ამოიჩქნა თვალი რუსს.

ამ დროს შორიდან გაზეთის გამყიდველების ბავშვური, სენსაციის მაუწყებელი ზმა მოიჭრა. ეტყობა, ბავშვები რაღაც საშინელებას გაპყვიროდნენ. კანტიკუნტი გამვლელნი გაზეთებს ართმევდნენ მათ. ქუჩების შესაყარზე ოციოდე აღელვებული მკითხველი შეიყარა.

სემიონ ივანოვიჩი ზანტად დასწვდა გვერდით ჩარბენილი ბიჭის მიერ შემოჩეჩებულ გაზეთს და წაიკითხა:

გ ა ნ ტ ხ ა ღ ე ბ ა

მოკავშირეებმა გვაცნობეს, რომ შესაძლებლობა არა აქვთ უახლოეს ხანში პროდუქტები მოიტანონ ოდესაში.

ამიტომ მჭამელთა რაოდენობის შემცირების მიზნით გადაწყდა შევუდგეთ ოდესის განტვირთვას.

3 აპრ. 1919 წ.

გენ. დანსელში.

— ევაკუაცია! ევაკუაცია!... — საშინელმა დრტვინვამ მოაღწია გზავარდინიდან სემიონ ივანოვიჩის ყურამდე.

მ ა ს ა მ ა წ ი ზ ნ ი

„ევაკუაცია“ — ძაინც რამ მოაგონა, ადამიანებს ააეთი საზიზღარი სიტყვა. ეთქვათ — წასვლა, გადასახლება ან ბინადრობის დროებითი, საყოველთაო შეცვლა და ოდესის ნავსადგურს გაგიყებით, თითქოს ლომები დასდევნებიანო, კაციშვილი არ მოაწყდებოდა საზიდრებით და ეტლებით, თვალებგადმობრუნებული. ბოლჩებმა და ჩემოდნებს ჩაბლაუჭებული.

„ევაკუაცია“ რუსულ ენაზე ნიშნავს „ვისაც შეუძლია, თავს უშველოს“. მაგრამ თუ თქვენ — მე მაგალითისთვის ვამბობ — ხალხით სავსე გზავარდინზე შეჩერდებით და მთელი ზმით იყვირებთ: ვისაც შეუძლია, თავს უშველოს! — უარეს შემთხვევაში მიგბეგვავენ.

მაგრამ აი, არათუ დაიჩურჩულეთ, მარტოოდენ ტუჩების მოძრაობით გამოხატეთ მაგიური, ი ბ ი კ უ ს უ რ ი ს ი ტ ყ ვ ა „ევაკუაცია“ და აჰ, აჰ, აჰ!... პატივცემული გამვლელი უკვე გათეთრდა, უცნაურად იყურება აქეთ-იქით, მეორე გაშეშდა. თითქოს პირისპირ შეეჩება მოჩვენებას, მესამემ მეოთხეს ჩაავლო ხელი:

— რა მოხდა? უნდა გავიქცეთ? ისევ?

— დამეხსენით... არაფერი ვიცი.

— საითღა უნდა წავიდეთ ახლა? ზღვისკენ?

და მთელ ქალაქს მაგნიტურ ტალღებად დაუვლის წყეული სიტყვა. ევაკუაცია — ამ სამ მარცვალში უფრო მეტი განცდაა ჩაქსოვილი, ვიდრე შექსპირის რომელიმე ტრაგედიაში...

...ქმარი გემით მიდის ერთ მხარეს, ეოლი მატარებელს უკვე მხარეს, შვილი კი — აი, ესა-ესაა მისთვის ხელი ჰქონდათ — უეცრად დაიკარგა და ალბათ სადღაც, ტირის დაცარიელებულ ნაპირზე...

...კაცი ჯერ კიდევ დილით დიქტატორი იყო, ბრძანა რკინიგზის ხიდის გაბარიტზე ჩამოეხრჩოთ — დასაშინებლად — სადგურის უფროსი, უფროსის თანაშემწე და ხელებმოსვირინგებული მესამე საეკვო პიროვნება, საღამოს კი იგივე კაცი პატარა ბოხჩით მიკუნჭულა გემის მილთან და უხარია, რომ თუნდაც სადღაც მიჰყავთ...

..იღბლიანმა საქმოსანმა ეს-ესაა ხელთ იგდო არმიის მომარაგება და მისი ეოლი უკვე მოემზადა ფრეილინასგან, ბარონესა ობერმიულერისგან სიასამურის ბეწვით გაწყობილი ზღვის მწავის მანტო ეყიდა, — ოპ, ყველაფერმა მოგჭამა ჭირი! — მომარაგებამაც და მანტომაც, საუცხოო თეთრულით სავსე ჩემოდნები არამზადა მეფორნემ გაიტაცა, გუშინდელმა ერთგულმა მეგობარმა, ერთმა გვარდიელმაც კი, რომელიც ასე ელაციცებოდა ხელებს უეცნიდა საქმოსნის ქალბატონს, მატარებელში ჩასხდომისას უცებ ამ ქალბატონს შლაპაზე ქარქაში დაქრა და ვაგონის ბაქნიდან ჩამოაგდო...

არა, ვერ ჩამოთვლი, ევაკუაციის ყველა უკნაურობას და უბედურებას, ადამიანი შარვლის ჯიბესავით პირუკულმა ბრუნდება, მიდის, მიქრის ანდა უბრალოდ ფეხით მირბის, თან სამასი მანეთი უჭყავის სხვა მიზნებისთვის განკუთვნილი ქსოვილისგან შეკერილი უბადრუკი ქურთუკი აცვია. ჩალის ფასადაც რომ არ ღირს, თავი უქლრიალებს, მომავალი მთლად ბინდიტაა მოცული. ამბობენ, რუსები მარდნი არ არიანო. ტყუილია ეს, მოძველებული ამბავია. საშუალო ინტელიგენტთაგან ზოგს თვით ბედმა არგუნა მიყრუებულ ადგილას იცხოვროს და მოკვდეს, მაგრამ აგერ ვაგონის სახურავზე ზის, ცხვირზე გაბზარული პენსნე დაუკოსებია, მოხრილ მხრებზე ტომარა მოუგდია. უეჭველად ჩრდილოეთ აფრიკაში მიდის და — რა უშავს მერე, ოღონდ წვერი უფარფარებს ქარში.

სემიონ ივანოვიჩი ამაზე უარეს ორმოტრიალშიც მოხვედრილა; არაფერი უჩვეულო ხუთ და ექვს აპრილს ოღესაში არ მომხდარა. ქალაქის ცენტრის მოსახლეობა ნავსადგურს მიაწყდა, ცენტრში კი გამოჩნდა გარეუბნების მოსახლეობა, რომელსაც აუღლაც არ აღარდებდა, რომ უცხოეთის ჯარები ტრანსპორტზე სხდებოდნენ, ხოლო რუსებისა ხმელეთით მიდიოდნენ რუმინეთში. ვაჭრებმა თანდაყოლილი ჩვეულებისამებრ ფულითა და ზედნადებებით ეს-ესაა დერიბასის კუთხეში მოიყარეს თავი, მაგრამ თოფის უმნიშვნელო სროლამ ანერვიულა ისინი და გაიფანტნენ. ფანკონის კაფე ოაიხურა. ქალაქის სათათბიროში უკვე დეპუტატთა საბჭო ისხდა, ხოლო სანაპიროზე, ჰერცოგ რიშელიეს გვერდით ჯერ კიდევ მიედინებოდნენ ოთბთვალეები, სამზარეულოები, ქვემეხები, გულგრილი ზუავეები. აქ, ბულვარზე დაეხეტებოდნენ ისინი, ვინაც წასვლა არ შეეძლო, და თვალეზგაყინულნი უცქეროდნენ გემებს, მათი მილებიდან ამომავალ შავ ბოლს.

ოპ, ეს ბოლი, ეანგმოდებული გემები! ნავსადგურში მხარდამხარ დგას

სული რუსულმა რევოლუციამ გამოჰკამა. ახლა ეს იყო ანგარეშიანი და ფრთხილი სპეკულანტი.

სემიონ ივანოვიჩი საზღვარგარეთ გარბოდა. მტკიცედ მჭიდროდ გადაწყვეტილი იქ წყნარი და გვარიანი ადგილი ეშოვა მზისკენ მიმართული იქნებოდა ახალი სამშობლო, არ აინტერესებდა: მიმდინარეობდა თუ არა თვითონ მიჩვენებს, სად დავრჩე, ხოლო გართობით სულ ერთია ვისთან გავერთობი, თურქის ქალთან, დუნაიისგანმეღ ჩომელიმე გოგოსთან თუ გერმანელთან და ფრანგთან. მთავარია. — აი, რა სწამდა მას. — ქვეყანაში უღმობელი წესრიგი იყოსო.

სემიონ ივანოვიჩს სურდა თავი ყოველნაირე კეთილგანზრახველ პიროვნებად წარმოეჩინა და ჯერ კიდევ აქ. ოდესის ნავაადგურში, უახლოესი უცხოეთიდან ასობით მილის დაშორებით საჭურისის მკაცრი გამომეტყველებაჲ კი მიიღო, ნეტწილად გაძგიბული იყო, ლაპარაკობდა ხმადაბლა, სამაგიეროდ ერთობ მკაფიოდ და თუმცა აუცილებლობის გამო რუსულად, მაინც ისე, რომ მისი რუსული რუსულა არ ჰგავდა. აი, მხოლოდ ქიმა გადაღმა აფურთხებდა, მაგრამ ამაში გამოიხატებოდა მოუთმენლობა — რაკ შეიძლება ჩქარა წასულიყვნენ; ოღონდაც ვის წყალში აფურთხებდა?

სემიონ ივანოვიჩის სულს მხოლოდ ერთი ნაპერწყალი უწვავდა, მოსვენებას უკარგავდა: ეს იყო რევოლუციონერებისადმი სიუღვილი. ქიმათან მის გვერდით მდგომმა ლივეროვსკიმ შესთავაზა გზაში ერთად მოეწყობა დაზვერვა და მგზავრთა პოლიტიკური სურათი გამოერკვიათ; ასეთი მონაცემები ერთობ გამოადგებოდათ შემდგომ. სემიონ ივანოვიჩი სიამოვნებით დათანხმდა. გადაწყვიტა პირადი გეგმები და საქმეები კონსტანტინოპოლამდე გადაედო. გემის დატვირთვა დამთავრდა, ძალაგამოცლილმა მტვირთავმა ოფიცრებმა ბორნიდან უკანასკნელი აკვირები და კოფრ-ფორები გადაიტანეს. კაპიტნის ბოგურაზე გამოჩნდა კერპი — ლურჯი მოსირმული ქურთუკით მოსილი, შავწვერა, ზორბა კაცო, ფრანგი კაპიტანი. „კავკაზმა“ ჩაბრინწული ხმით დაიგუგუნა, დათანხმებული სტომაქიდან ამოიღმუვლა და სამი ათასი ადამიანითა და ბარგის მთებითურთ ნელა გავიდა გარე რეიდზე.

გარე რეიდზე „კავკაზი“ გულსგამაწვრილებელი დღე-ღამეები იდგა და რვა აპრილს საღამო ხანს სამხრეთ-დასავლეთისკენ გაემართა. ბურუსიან ბინდში ჩაინთქა ნოვოროსიის დაბალი ნაპირები. ქიმათან მდგომმა რამდენიმე კაცმა ამოიხვნეშა: მშვიდობით, რუსეთო!

დაჰკრა სასაათო ზარმა და მალე ღია გემბანი ლტოლვილთა მძინარე სხეულებით დაიფარა. კაიუტებში, დერეფნებსა და ტრიუმფში მანქანებმა დამამშვიდებელ გუგუნში ძილა მისკეს თავი. ორი ჯვრისებური ანთა ნელ-ნელა გაცურდა თანავარსკვლავედებს შორის.

კიჩოზე, გემბანის ფარნის შუქზე ლივეროვსკიმ სემიონ ივანოვიჩს გეგმის გეგმა უჩვენა.

— თქვენ ცხვირის ნაწილს მახედავთ. — აიცილით ეუბნებოდა ლივეროვსკი. — მე კიჩოსაა. გემს ოთხი ტრიუმი და ორი გემბანი აქვს. შუა ტრიუმში შტაბია მოთავსებული, განაპირაში კი — საზოგადოებრივი ორგანიზაციების ათასგვარი სამოქალაქო არამზადობაა. ზედა გემბანზე, დერეფნებსა და კაიუტ-კომპანიებში საქმოსნები, ფინანსისტები, მსხვილი ბურ-

ეუაზიის წარმომადგენლებია. ცხვირის ცალკე კაიუტაში ზის ზავრინი (ოდესის გუბერნატორი), თან თორმეტი ჩემოდანი ფული და ვალუტური რკინის სკივრი აქვს. არის აგრეთვე მესამე, ზედა გემბანი; იქ ხუთი სათავსია — მოსაწევი ოთახი და სალონი. ეს გემბანი განსაკუთრებითაა საინტერესო, თქვენ თვითონ ნახავთ რატომ. შემდეგ, ჩვენ გაჩნდა გემში მუშაობა დაიწყო მონარქიულმა კონტრაზვერვამ. ყური და ცქერა დაიწყო. თქვენს მიერ შეკრებილი ყველა მონაცემი განსაკუთრებულ უწყისის ფურცელზე ჩაიწერეთ. კონსტანტინოპოლში მას საფრანგეთის შტაბს ვუჩვენებთ. დარწმუნებული იყავით, მოკავშირეებს ამდაგვარი ცნობების დაფასება შეუძლიათ.

ლივეროვსკიმ გეგმა შეინახა, ნეგზოროვს თვალი ჩაუკრა და კიჩოს ტრიუმში გაქრა. სემიონ ივანოვიჩი კი გემის ცხვირისკენ გაემართა, სადაც აპრილის დამეული ზღვაური უბერავდა, მიდიოდა და შძინარეებზე მიაღაჯებდა. იგი თავისი ჩემოდნის გვერდით მიწვა და ამ სიწყნარის ეამს ძილის მაგივრად ფიქრებს მიეცა.

სემიონ ივანოვიჩს ცხოვრება მოუწყობელი, საკმაოდ საზიზლარი ეჩვენა. ადამიანები, ადამიანები! რა კარგი იქნებოდა, ადამიანთა მაგივრად ამქვეყნად რაღაც პეპლები და რაღაც სასიამოვნო კინკლები, ბუზები ყოფილიყვნენ... შეგველო ასეთ უწყინარ მხარეში. აი, უზიზარ იქ პატარა სამოვარს და არც ერთი სიფათი არ გეტენება, რომ სიმშვიდე დაგირღვიოს. ეჰ, ადამიანები, ადამიანები!

სემიონ ივანოვიჩმა განვლილ წლებს გახედა და ერთი მეორეზე უფრო საზიზლარი სიფათები დაბზრიალდნენ, გარშემო, მისკენ დაიძრნენ, დაიკანისა და დეც, როცა ნისლში აღანდული ორი ანძა, საკაბოტაჟო კარჭაბის გაფისული გვერდი და ჯალათის გაბლენძილი სახე გაახსენდა.

„არა, ნამდვილად ისაა, წყეული იბიკუსია; უკან დამდევეს, არ მცილდება, სხვადასხვა სიფათით მეცხადება, — ფიქრობდა ნეგზოროვი და ცრურწმენით მოგვრილი ძრწოლისგან ზერხემალი უცივდებოდა. — ოდესმე ბოლოს მომიღებს. აკი რაც უფრო შესტოპავ, მით უარესია: აი, უკვე დასჯის მოწმეც ვარ, ჯაშუში ვარ, ცოტაც და თვითონ მომიწევს ვინმეს დანა დავუსვა...“

სემიონ ივანოვიჩმა ფეხები მოირთხა და ჩემოდანს მიეყრდნო. გვერდით, ზუსტად ასევე იჯდა მხრებში მოხრილი კაცი — სამხედრო ექიმი, თავზე ფორმის კარტუზი ეხურა.

— არ გეძინებათ? — მან ნეგზოროვისკენ ოდნავ ნაყვავილარი გაღეული სახე მოაბრუნა, რომელზეც ერთი ბლუჯა წვერი ჰქონდა. — ასანთი გაქვთ? მადლობელი ვარ. არც მე მეძინება. მივდივართ? ჰა? რა სისულელეა.

სემიონ ივანოვიჩს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. მუხლებზე ხელები მოიხვია და ზედ ნიკაპი დააყრდნო. ექიმი მასთან მიჩოჩდა, პაპიროსი გაღეჭა.

— ვზივარ და სიამოვნებით ვიხსენებ სამშობლოს ისტორიას. პეტრე მესამე ბოთლით მოკლეს, დაიხსოვეთ. ეკატერინე დიდსო, ამბობენ, ფეხსაღაგში შუბი შეარკვესო ქვემოდან, მოკლეს. პავლეს საბურნუთეთი გაუხეთქეს თავი. ნიკოლოზმა საჭიროდ მიიჩნია თავი მოეწამლა, ალექსანდრე განმათავისუფლებელი ნაკუწებად აქციეს. პოლკოვნიკი და ორივე მემკვიდრე დახ-

კრიტეს. ძალიან კარგი. ეპეი, სლავებო! ღმრთის შიში გქონდეთ, მეფის — პატივისცემა. მეორეს მხრივ, ჩვენი ინტელიგენცია — ჩირაქიანი, სინდისი, ტენი, მსხვერპლი. — ორმოცდაათ წელზე მეტის სახელმწიფოს საძირკვლებს უთხრის, მეფის მკვლელებს წმინდანებად წააქცევს. უსახანოვები, კალიაევები, — ექიმმა კბილები გააკრაქუნა. — მერვესავე სტრელონოვები და სხვა ღვთისმშობლები, ბებიები და ბაბუები. ლევ ტოლსტოის აღარ იკითხავთ? კეთილი ბერიკაცი! გრადი კავსაა მოკიდებული! წმინდა გლეხუჭუნა კი ვარ-მიდამოებს აპარტახებს, ჯიშთან საქონელს ძარღვებს უჭრის. ახლა დამფუძნებელი კრება და ვიქტორ ჩერნოვი — პრეზიდენტი! ეს ხომ აუწერელი აღფრთოვანების მომგვრელია! აჰა, თავისუფლება მოგვადგა. იცით, რაა გეტყვით: მე ერთი დოკუმენტი მიმაქვს. ჩავალ პარიზში — სადაც დედამიწის უბეა, გასაგებია? — და მთავარ ბულვარზე დავდგამ ვიტრინას. მას ასევე ეწერება: „რუსული ვიტრინა“. აქ იქნება მიხაილოვსკების, ჩერნიშევსკების პორტრეტები, წითელი დროშები, დამსხვრეული ბორჯილები, თავისუფლების გენიები და სხვა მისთანანი. ცენტრში კი ლურსმნით მივაჭედავ აი, ამას....

ექიმმა საფულედან მუშამბაგადაკრული თხელი უბის წიგნაკი ამოიღო და საყვარულით გაშალა:

— ეს წიგნაკი ეკუთვნოდა ფრიად ცნობილ ლიბერალს, ივმირს, სახელმწიფო სათათბიროსა და დამფუძნებელი კრების წევრს. ასეა, ბატონო ჩემო. რითაა სავსე? უკეთილშობილურესი აზრებით? უკვდავი ლოზუნგებით? საქვეყნოდ ცნობილი სიტყვების კონსპექტებით? არა, სამწუხაროდ არა. ნუსხებია — ვიგან რამდენი უსესხია. მაშ! ექიმების მისამართები და ტრიპერის სამკურნალო საშუალებების რეცეპტებია. სულ ესაა, ბატონო ჩემო. ესაა აქვს ლიბერალსა და თვითმპყრობელობასთან მეტროქოლს. ამას მივაჭედავთ. ჩვენ ჩვენს შინგამოჩეკილ განმათავისუფლებელ ლიბერალებს ლურსმნით მივაჭედავთ დიდ გზასავალზე.

უცებ ექიმი ქირჭილისგან გადაბქირდა:

— გუშინ მთელი დღე ვმხიარულობდი. ზემოთ, მესამე გემბანზე, ერთი კაცი დასეირნობს: ფართოფარფლებიანი შლაპა ახურავს. პირქუში სახე აქვს, ჩაფსკვნილია, ცოტა არ იყოს ეშმას ჰგავს. ქვემოდან კი მათ უცქერიან — პრილუკოვი, ბაბიჩი და შჩეგლოვი, უმაღლესი მონარქისტული საბჭოს სამი წევრი. უკეთურად იღინებიან, — აი, რას გეტყვით მე თქვენ, — უკეთურად. მერედა იცით ეს კაცი ვინაა? ო, უპირსისხლიანესი და უსაშინელესი რევოლუციონერი. ზუსტად ისეა, როგორც ნოეს კიდობანში — მსოფლიო წარღვნისგან თავს იხსნის ლომიც და ფურ-ირემიც. მეც ვიცი-ნო, — ძილი არ მეკარება, — ოჰ, რაღაც საშინელება არ მოხდეს ჩვენს ხომალდზე. უბედურება ისაა, რომ უკვე რუსეთში აღარა ვართ, სადაც ეს ამბები ჩაიფარცხება.

— რა ამბები ჩაიფარცხება? — ფრთხილად ჰკითხა სემიონ ივანოვიჩმა. ექიმმა მდუმარედ და უცნაურად შეხედა. ავლავ აიღო ასანთი, წეკოს პაპიროსს მოუკიდა.

— მე თუ ვინმე აღფრთოვანებას მგვრის. ესენი ბოლშევიკები არიან, — თქვა და გააბურჭყა. — შეუპოვარი ბიჭუნები. წმენდენ მარცხნივ და მარჯვნივ: ბატონ ინტელიგენტებსაც დედთან-ბუდიანად და წმინდა გლეხუჭა-

საც ძირიანფესვიანად, აი, მხოლოდ მუშებთან დაკავშირებით ურთველ რაღაცას. ისე, ნახევარ წელიწადში ჩვენ გზას გაგვიწმენდენ.



- კი მაგრამ, ვინ თქვენ? — ჰეიბა ამიონ ივანოვიჩი
- ჩვენ, მეოთხე ინტერნაციონალს. დიახ, დიახ. ბრძოლაში შეიძლება ვისწავლოთ.
- ო, ნამეტანი აითამამეა.
- გეუბნებით, მათგან ვსწავლობთ, ბიძია, — ექიმმა ნეკი აფშუტუნებულ პაპიროსს ჩასჩარა და ისეთი აიცილი აუტყდა, ნევზოროვმა გიჟურად შეხედა. დაჰკრა საათით ზარმა. პირქუში რევოლუციონერი, ფართოფარფლებიანი ქუდი რომ ეხურა, ამ დროს ზედა გემბანზე იდგა და მწარედ ფიქრობდა. რუს ხალხს თავისუფლება არ უყვარსო.

მზის ამოავლასთან ერთად გემიც იღვიძებდა. პირველად გემბანის ბინადრებმა დაიწყეს ტრიალი: იზმორებოდნენ, იფხანდნენ. ნამძინარეებზე თვლებს ატყუებდნენ ზღვის რძისფერ-ღია ლურჯ უდაბნოს. გამოვიდა ზანგი მზარეულს, რომელსაც თავზე ტუტყიანი ჩაჩი ეხურა, ქიმია გადაღმა ვედროდან ნარევი გადაღვარა. კასრია გვერდით დაჯდა და კარტოფილის თლა დაიწყო. ორი ბიჭი მზარეული კეხლს აჩაღებდა გემბანზე მოწყობილ დროებით ფიცრულ სამზარეულოში. ონკანებთან უკვე იდგა რამდენიმე ფეხშიშველი სამხედრო და მარლიანი წყლით ფრუტუნით იბანდნენ კისერს. მათ ძალიან ფართო გალიფე ეკვათ. აჭიმები დაგლეჯოდათ. ტრიუმებიდან ამოავლა დაიწყეს აბურძგნილმა გამოუძინებელმა სამოქალაქოებმა და მალე გემის ქიმზე გადაკიდებული ფეხსალაგის წინ გრძელი რიგი გაჩნდა: რიგში იდგნენ ქალები, შემცივნებულნი რომ იფუთნებოდნენ ბეწვეულში, საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც საყულო არ ეკეთათ, გაბრაზებული გენერლები, კავალერიის ხმელ-ხმელი ოფიცრები.

- უკვე ოცი წუთი ზის, — ამბობდნენ რიგში.
- ვიღაც ავადმყოფია.
- აუღაც არაა ავადმყოფი. მის გვერდით ვიწეკი ტახტზე, უბრალოდ ერთობ განუვითარებელი კაცია. ხეპრეა.
- მართლაც უმსგავსობაა. დაუკავუნეთ ერთი მაგას.
- ბატონო შტაბს-კაპიტანო. — დაუკავუნეა კარზე. — სხვებზეც უნდა იფიქროთ. თქვენს სახლში კი არა ხართ...

გემბანზე თანდათან მატულობდა ხალხი. ჩემოდნების გროვაზე გადაფარებული ბრეზენტის ქვემოდან სახეგატარხლებული მაუქანი კაცი გამოძვრა. ეს იყო უმაღლესი მონარქიული საბჭოს უკმაყოფილო წევრი, სარატოველი მემამულე შჩეგლოვი. მან ბრეზენტის ქვემოდანვე ძალისძალიად ხელი ჩაჭიდა და ისე გამოიყვანა, თავისი ცოლი, ოპერეტის ცნობილი მსახიობი, გამოათრია აგრეთვე სურსათ-სანოვაგიანი ეალათი და წითელღვინიანი შემოწნული ბოცა. კოლი და კმატი სამზარეულოს გვერდით დასხდნენ და ისაუბრეს.

სამზარეულოს კვებებში ამ დროს ცერცვა ხარშავდნენ ღორის ქონთან ერთად. ზანგი მზარეულები ნახევარფუთიან თუნუქებს ხსნიდნენ. რომლებშიც ავსტრალიური, დამარილებული ძროხის ხორცი იდო.

— კვლავ ცერცვი. ეს უკვე აღმაშფოთებელია, — ამბობდნენ სამზარეულოსთან.

— მე პირდაპირ უარს ვამბობ მის მონელებაზე, ეს რალაც დაკინვაა.

— მერედა, თქვენო აღმატებულება, იცით ეს რა დამატრელებული ხორცია? ავსტრალიური ადამიანისმაგვარი მაიმუნისაა. მე თქვენ ბუნებისმეტყველი ვარ და ვიცი.

— გუშინ მალებინა, ვაეც თქვენი მოკავშირეთა დამოკიდებულება, ბატონებო.

— პირველ კლასში კი, მოგეხსენებათ, ჩინებული ოთხი თავი სადილი აქვთ.

— სპეკულანტებისათვის. პირველ კლასში სულ უჩიები არიან. მოაწყვეს რევოლუცია, ჩვენ კი მაიმუნები უნდა ვსაჩსლოთ.

სემიონ ივანოვიჩი სამზარეულოს მახლობლად დაყიალებდა და ცხვირით ცერცვის სუნს იყნოსავდა. უცებ მის წინ თამამად გაჩერდა ხნიერი ქალი. მკერდზე უამრავ დატმუქნილ მაქმანს შორის საათის ძეწკვს აწვალეზდა.

— უნდა ვირწმუნოთ, რომ ყველაფერი საკეთილოდ ხდება, ჩვენი სამგანზომილებიანი ცნობიერება ყოფიერების არასრულყოფილებას და დაქუცმაცებულობას ჭვრეტს. დიან, ეს ასეა და არცაა ააე. — სწრაფად და გულში ჩამწვდომად ალაპარაკდა ქალი. მისი წინა კბილები ტოკავდა და რაკარუკი გაქქონდა. ტანზე სუნამოსა და ოფლის გულისამრევი სუნი ასდიოდა. ეს გაზღდათ ცნობილი დევო, თეოსოფოსი. — ჩვენი ფიზიკური სამყარო მხოლოდ მატერიალური ასაზვაა დიდი, საშინელი ბრძოლისა, რომელიც ამ წუთში იქ, ფიზიკურა ზედა სამყაროში მიმდინარეობს. მაგრამ იქ ბრძოლის ბედი წინასწარაა გადაწყვეტილი: ესაა გამარჯვება კეთილდღეობისა, სიკეთისა, ქაოსის მარადიული გარდაქმნა კოსმოსად. აი, ამიტომ დამარილებული ხორცი დაე იყოს ადამიანისმაგვარი მაიმუნისა, დაე, ბრძენმა ახალი ადებტები მიიყვანოს ჭეშმარიტ საკვებთან. ინდუაები საკვებს მხოლოდ ხილს და ბოსტნეულს ეძახიან, სხვას ყველაფერს — ლეშის ჭამას.

ნევზოროვმა სცადა თავი აერიდებინა საუბრისთვის, მაგრამ დევომ ჭიმთან მიიმწყვდია და ფაიფურის კბილები ზედ მის ცხვირთან აარაკუნა.

— ჩვენ გიგანტური ნაბიჯებით — საათში საუკუნით — ვუახლოვდებით განწმენდის ეამს. მე ამას ვხედავ განდევნილ იმათა თვალეზში. რევოლუცია მასობრივი ზიარების აქტია, დიან. რანი არიან ბოლშევიკები? დემონთა დასებმა შესაძლებლობა მიიღეს შეჭრილიყვნენ ფიზიკურ სამყაროში და ადამიანის სიბოროტის ემანაციებად შეეახათ ხორცი, დიდ წმინდანებს ეგვიპტის უდაბნოებში ზუსტად ასევე ეცხადებოდნენ ანგელოზები. რომლებიც მათი სიკეთის ემანაციის არსია. როცა რუსეთში ამას გაიგებენ, ადამიანები განიწმინდებიან და ბოლშევიკი-დემონები გაქრებიან. თვითონ გახლდით მოწმე ასეთი დემატერიალიზაციისა. მე დაკითხვა მომიწყო კომისარმა, მარტონი ვიყავით, ორი რევოლვერი ეჭირა. ვბასუხობდი სულელურ კითხვებზე, იმავე დროს გულისყური მოვიკრიბე და დავიწყე მედიტაცია. ჩემგან გამოვიდნენ ცისფერი ფლიუიდები, და ეს კომისარი ხან ისე აყრდნობდა იდაყვებს, ხან ასე, ამოქნარებდა. ბოლოს გამჭვირვალე გაზდა. იგი დედამიწის ანგელოზს შევავედრე და ზმუილით გაქრა. გემებს ჩვენ ზედიზედ მივყავართ სხივოსან ოლქებში, სადაც უკვე სულგანათლებულნი

და განწმენდილნი ვიქნებით. მხოლოდ ხორცს ნუ ჭამთ. ჩემო კარგო, არ მოსწიოთ და ყოველ დილით გამოიბანეთ ცხვირი წყაროს წყლით. ჩვენ შევდივართ სულეთში.

ამ დროს ქვაბებიდან ისეთი მძაფრი სუნი წამოვიდოდა, რომელიც სხარეული ბიჭებიც კი შებრუნდა. ისინი ვეება ჩამჩით ხაბავდნენ კერცვია შეჭამადა და ასხამდნენ კონსერვის თუნუქის ქილებში, ფინჯნებში, ქოთნის ნაბტვრე-ვეებში და ყველაფერი, რასაც კი დამშეული ემიგრანტები უდგამდნენ.

ამ ქოთქოთს მალლიდან, შუა გემბანიდან, დასცქეროდნენ პირველი კლასის სასადილოში უკვე დანაყრებული ფინანსისტები, შაქრის, ჩაისა და ქვანახშირის მეფეები, რომლებიც გემზე გაცილებით უფრო მეტნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ჩასხდომისას ჩანდნენ. მათ თავი ღირსეულად და მორიდებულად ეჭირათ.

უფრო მალლიდან, შესამე გემბანიდან ძირს იყურებოდა განმარტოებუ-ლი ტერორიტი. რომელსაც ფართოფარფლებიანი შლაპა ეზურა, და პუ-როს ქერქა ღეჭავდა.

ნაააუზმევს სემიონ ივანოვიჩი მისდამი რწმუნებული ცხვირის ნაწი-ლის უფრო სიატემატურ გამოკვლევას შეუდგა. შუა ტრიუმში რომ ჩა-ვიდა (თავისი ბარგის მოძებნის საბაბით), საბეჭდი მანქანების რაკარუკმა ყურთასმენა დაუხშო.

აქ, სხვადასხვა კუთხეში, ტახტებსა და ყუთებზე თავთავიანთი შტაბე-ბით გარშემორტყმული გაბრაზებული გენერლები ისხდნენ და ნემანქანე-ებს საარმიო ბრძანებებს, სავალდებულო დადგენილებებს, საჩივრებსა და ხრეკებს კარნახობდნენ. მოხდენილი ადიუტანტები მსუბუქად არბოდნენ გემ-ბანზე ამავალ პატარა კიბეზე და დაბეჭდილ ქაღალდებს თვალსაჩინო ადგი-ლებზე აკრავდნენ.

გენერლებს ჯარები. ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არ გაა-ჩნდათ. მაგრამ საარმიო შტატი და თანხები ჰქონდათ. ამიტომ ისე მოგმე-დებდნენ. თითქოს ჯარები ჰყავდათ, რაც მათ რკინისებურ ნებისყოფაზე, ბე-დის სამწუხარო დარტყმების მიმართ ნამდვილად მეომრულ გულგრილობასა და მოვალეობის შეგნებაზე მიუთითებდა.

ამ ტრიუმში ყველაფერი მშვიდობიანად იყო. ნევზოროვი ცხვირის ბნელ, ნესტიან, ვირთხებით სავსე ტრიუმში შეძვრა. აქ სამ საართულად აუ-ხუხულავებინათ ტახტები, რომლებზეც ნასაუზმევი საზოგადო მოღვაწენი, ლტოლვილი მემამულენი, უწრნალიანები, სხვადასხვა ორგანიზაციის მო-სამსახურენი და რადიკალური პარტიების წევრები — თითქმის ყველანა-ცოლ-შვილით — ისვენებდნენ და საუბრობდნენ.

— მე სრულიად დამშვიდებული ვარ, არ მესმის თქვენი პედიანობი-სა, — ამბობდა ერთი. მას ორმაგი პენსნე ეკეთა, ტახტიდან წვერიანი გრძე-ლი სახე ვადმოეშვირა. — უტვინო ქვეყნის საქმე წასულია. ვიდრე სამხრე-თში ვიდექით, ამით წითლების მოძრაობის გაღვანიზებას ვახდენდით. აბ-ლა ტვინი ამოცლილია, სხეულს სული არ გააჩნია, ნახევარი წელიც არ გავა და პოლშევიკები საკუთარ სიბინძურეში ჩაიხრჩვებიან.

— ნახევარი წელი, მადლობა თქვენდა, — გაიამა ტახტქვემოდას, სიბ-ნელიდან, — თქვენ. უპატივცემულეაო. საქმაო გულუხვობას იჩენთ ოუსე-

თის ისტორიის მიმართ. მაგ არამზადებს ნახევარი თვეც არ შეიძლება მეფობის უფლება მისცე.

— ერთი მინდა გავიგო, როგორ არ მისცემთ!

— მე კი მინდა ვიცოდე, როგორ აქციკცილებით, შარქანხანხანტები შემოგიფრებინან, ასევე გულარხეინად იქნებით? ეს, ძვირფასო, ისტორიკოსი ბოლშევიზმია. მაგათ ცხვირ-პირში უნდა ჩასცხო, რომ ძმარი აღინო, აი, როგორ უნდა ელაპარაკო. მთელი ქვეყნიერების გასაგონად უნდა იბღავლო: გვიშეეღეთ, გვძარცვავენ და გვხოცავენ!... გნებავთ კომპენსაცია? — კი ბატონო... იაკონელება — სახალინი დახმარებისათვის, ინგლისელებს — ეავკასია, პოლონელებს — ამოლენსკი, ფრანგებს — ყირიმი. ამ განაპირა მხარეებია გარეშეც ვიცხოვრებთ და უფრო ძლიერი გავხდებით.

— ო, ბოდიში და სიაუღელეს ამბობთ. უმაღლესი კულტურის, ადამიანურობის, დიდი რუსული ხელოვნების გულისთვის დახმარება უნდა ვითხოვოთ და ანტანტა ამ დახმარებას გვიბოძებს. დასავლეთში მეწვრილმანე ვაჭრები, ცინიკოსები, არამზადები როდი არიან.

— ეჰე!

— არავითარი ეჰე. ორიათასწლოვანი ქრისტიანული ცივილიზაცია ეჰეა? — საფრანგეთის რევოლუცია ეჰეა? პასკალი, რენანი — ეჰეა? აბა, რა უნდა გელაპარაკოთ. აზიაში კი არ მივდივართ ჩინგის ხანთან, არამედ უმაღლესი კულტურის კერებში.

— მაშასადამე, თქვენი აზრით „ეჰე“ არც ოდესია ევაკუაციაა?

— ოდესა მოკავშირეთა ტრაგიული შეცდომია. ჩვენი ვალია მათ სრული სიმართლე ვუთხრათ. ევროპას შერკებება...

— ხალხო!

ორმაგპენსნიეიანმა ბატონმა კოტა იყუჩა. გადააფუჩთხა, მიწა წვერი ტახტს იქით გადაცოცდა. მეორე ადგილას სიბნელეში ამას ამბობდნენ:

— კარგი მომსახურება რომაა, ისეთ გაწკრიალეებულ რესტორანში დაჯდომა და ტოლჩა ცივი ლუდის მოთხოვნა სიზმრადაც კი მექცა.

— მერედა, გახსოვთ „იარი“, მოსკოვისა? ეჰ, არაფრის დაფასება არ ვიცოდით, ჩემო კარგო! ტაძარია! ექვს ლაქიას ვერცხლის ლანგარზე დადებული თართი მოაქვს. სურაში არაყია, თვით სურაა ჭირხლი აქვს მოდებული. არამზადა. მყესების, ტარალანის ღვეზელა, ახალი ხიზილალა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!...

— მახსოვს, ახალი „იარი“ იხსნებოდა. ვღებულობ ბრისტოლის მუყაოს ოქროვარაყიან შემონაჭერზე დაბეჭდილ მოსაწვევს. წამოვიციე ფრაკი, მივქრი ბედაურებშებმული ეტლით, გვერდით სერგეი ბალავინსკი მიზის, — გახსოვთ მოსკოვიდან? მივედით, რა ხდება? დიდ დარბაზში თვით მიტროპოლიტი იხდის პარაკლისს, პირველ რიგშია ჯარების სარდალი — პლევე (ყველა ორდენი უკეთია), სამხედროები, ადვოკატურის ნაღები, ლევ პლევაკო, პატივცემული ვაჭრები — ყველა ფრაკითაა მოსილი... სად მოვხვდით?... ღია სცენაზე ფარდაა ჩამოშვებული, ჩანს ყვავილების ბორდიური, ხატები და სანთლები... რვა დიაკონი ღრიალებს, თითქოს განკითხვის დღე დადგაო! პარაკლისი დამთავრდა, გამოდის მასპინძელი სუდაკოვი, გახსოვთ, ბეცია, და პატარა სიტყვას წარმოთქვამს: „გთხოვთ, ძვირფასო სტუმრებო, მიირთვიეთ, იმხიარულეთ, ისე მოიქეცით, როგორც თქვენს სახლში. ეს ყვე-

ლაფერი, — მან თაღქვეშ ხელები გაშალა, — ჩემი არაა, ყველაფერი თქვე-
ნია, თქვენი ფულითაა აშენებული...“ და გამართა სადილი შემბარებით, მე-
რედა რა სადილი! ოთხასკაციანი.

— ნუთუ უფასოდ?

— მამ როგორ?

— მისმინეთ, ეს ხომ მშვენიერებაა, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..
არ ვაფასებდით, გაგვეპარა ცხოვრება, რა ქვეყანა დავკარგეთ....

— სწორედ, რომ ასეა, და მივდივართ ცერცვის ტრიუმით.

— არა მჯერა! არ შეიძლება რუსეთი დაიღუპოს, ხალხში ერთობ დიდი
ჯანსაღი ძალაა. ბოლშევიკები საზიზლარი ეპიზოდია, ხანმოკლე კომმარია.

კიდევ სადღაც, ტახებს შორის, ქალები ასე პუტუნებდნენ:

— აქ ისეთი მყრალი სუნი დგას, პირდაპირ არ ვიცი რისია.

— აჰ, ამბობენ, კონსტანტინოპოლში გეძიდან არც ჩაგვიშვებენო.

— რაო, გზას გაგვაგრძელებინებენ?

— კაცმა არ იცის. რომელიღაც კუნძულზე გადაგვყრიან, სადაც მარტო
ძაღვებიანო.

— ძაღვები რაღა შუაშია?

— ასე ამბობენ, კარგად არ ვიცი. წაშვებაა!

— მე და ჩემს ქმარს კი იმედი გვაქვს პარიზში გავალწიოთ. მომწყინდა
სიბინძურეში ცხოვრება.

— ნეტა რას იცვამენ ახლა პარიზში?

— მოკლეა და მოშიშვლებულს.

სემიონ ივანოვიჩი ტრიუმიდან ამოძვრა და მთელი ეს საუბარი ჩაი-
წვრა. გემი ისე მიკურავდა, თითქოს გაზაფხულის ანაორთქლებით მონის-
ლულ სარკვეზე მისრიალებდა. მგზავრთა უმრავლესობა გემბანზე თვლემდა,
ზანტად ატუზულიყო ქიმებთან. ზანგი მზარეული ისევ თლიდა კარტოფილს
კასრთან. გვერდით თეოსოფოსი დევო უჯდა, მაქმანებს იწიწკნიდა და ჰყვე-
ბოდა, სულიწმიდამ როგორ გადმოიარა რუსეთი აზიიდან. მზარეული მზია-
რულად ერეკდა კბილებს. გემბანზე დარბოდნენ და ევაკუაციობანას თამა-
შობდნენ სამოსტუქციანი გალუული ბავშვები. საიდანღაც გემბანზე და კაი-
უტების მხრიდან კვნესა ისმოდა: იქ შეუფერებელ დროსა და ადგილას არ-
მიის შტაბს-კაპიტნის ცოლი შშობიარობდა. სამზარეულოა მახლობლად
უმალლესი მონარქიატული საბჭოს წევრი შჩეგლოვი ხენეშოდა და გაოგნე-
ბული უსმენდა, თავის მეგობარს, თეთრფეროვან პატარა კაცს, ასტრახანელი
დრაგუნის ქუდი თავმომწონედ რომ მოეგდო თმაშეთხელებულ თავზე:

— მომიტევე, მაგრამ შენ კაი უკანალი ხარ, მემამულე კი გქვია. ვიც-
ნობ მე გლეხებს: მათრახი მოსცხე ცხვირ-პირში და პატივს მაშინ გცე-
მენ.

— ეს შენ გკემენ პატივა? — ჰკითხა შჩეგლოვმა.

— მეც. მემამულენი თვითონ არიან დამნაშავენი. მაგალითად, დღესას-
წაულზე ბატონი სოფელში გადის, სეირნობს გოგო-ბიჭებთან ერთად და
ბალალაიკას უკრავს. როგორ შეიძლება: ხეპრე, ძაღლთაპირი თავის პაპი-
როსს გაკიდებინებს. შეხვდებიან სოფელში მღვდელს და მემამულე თვითო-

ნვე იცინის ბიჭებთან ერთად: ეს კი არ შეიძლება, ქუდი უნდა მოიხადო, და მათ პირველმა უნდა უჩვენო რელიგიის პატივისცემის მაგალითი.

— დასაანანია, რომ აღრე არ გიჭერებდნენ.

— დავბრუნდები და დამიჭერებენ.

— დღეს შენ რაღაც გამამაცდი.

— წარმოიდგინე, მთელი დამე ვფიქრობდი. — თქვენს დრაგუნებს და ქუდი გაიასწორა. — იცი, ისე მოვიშალე... დღეს სხდომაზე ვილაპარაკებ... უმაღლესი მონარქისტული საბჭო ლიბერალური იდეებითაა დასნებოვნებული. ზუსტად ასე მივახლი მაგათ. მთელ გუბერნიებს ერთიანად ზუმბები უნდა დასცხო, — აი პროგრამა. ხოლო მოსკოვში რომ შევალთ, პირველ რიგში უნდა ჩამოვახრჩოთ ათააი ჭურის... შალიაპინი, ანდრეი ბელი, ალექსანდრე ბლოკი, სტანისლავსკი... ეს არამზადობა ბოლშევიკებზე უარესია, ესენია უბედურების სათავე...

სიცხისა და კუჭის ამოყორვისგან შჩეგლოვს ოდნავ დაედო პირი და უცქეროდა, ასტრახანელი დრაგუნი როგორ ირტყამდა ჩექმის ყელზე სტეკს. შემდეგ ისევ ჰკითხა ძილნარევი, მაგრამ განსაკუთრებული ხმით:

— პო, მაგრამ პრილუკოვს ელაპარაკე?

დრაგუნმა მაშინვე თავი შეაქანა, თვალები აუთამაშდა. სახეზე ფერი ეცვილა, თავი დახარა.

სემიონ ივანოვიჩი, რასაკვირველია, ამ საუბარს უსმენდა. შჩეგლოვის შეკითხვა ცოტა არ იყოს, ხაზგასმული, განსაკუთრებული ეჩვენა. „ასე და ამგვარად, პრილუკოვი მე უკვე გამახსენეს“, — გაივლო გულში ნევზოროვმა. „ასე და ამგვარად“, — გაიმეორა, თან თვალებს წკურავდა და ფანქარის წვერს წუწნიდა. ამ საუბარში მან სკეპტიკოსისა და მიზანთროპის აღლოთი საშიში მზაკვრობა იგრძნო.

სემიონ ივანოვიჩი შუა გემბანზე ავიდა, ჯიბური, დერეფნები და გასასვლელები საბარგე კალათებით იყო ჩახერგილი. კალათებზე ჩამომსხდარ, ასეთ მგზავრობას შეუჩვეველ საქმოსანებსა და ბობოლებს გული გაწვრილებოდათ. გემბანზე წრფელად, ფსიქოლოგიური მიკიბულ-მოკიბულობის გარეშე უშვერად აგინებდნენ ბოლშევიკებს. ვათქვირებული ქალები, ჩასუქებული ბებრუხანები, ასაკუდასული, შლაპებგამტვერიანებული ლამაზმანები მოოჩილად და ზიზლით ისხდნენ ორპირ ქარში. ზოგი მიმჭრალი ხმით ეიახდა ბავშვებს, რომლებიც აგერ-აგერ ქიმს იქით გადაცვივდებოდნენ ან გემის მანქანის ბერკეტებქვეშ მოხვდებოდნენ.

აქ მებრად აღარ სწამდათ აამართლიანობისა. დაბალ-დაბალი მსუქანი ბატონი, რომლის ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ კობტა ვიზიტურას სიგარის ფერფლი ეყარა, უიმედო ირონიით აქნევდა თავს.

— ზატომ არ ამბობდნენ პირდაპირ, ძარცვა გვინდაო? ათას ცხრაას რუთი წლიდან რევოლუციისთვის ფულს ვიძლეოდი. ჰა? გინახავთ ჩემისთანა სულელი? მოდიოდნენ ესერები და ვაძლევდი. მოდიოდნენ ესდგეები და ვაძლევდი. მოდიოდნენ კადეტები და გაზეთის გამოსაცემად პიპქონდათ, რა მიეთ-მოეთობას არ წერდნენ ამ გაზეთებში, — თავი მიბრუოდა. მაგრამ მათ რომ რევოლუცია მოაწყვეს, ჩემზე უვირილი ატეხეს, ექსპლუატატორი არისო, კარგია, თქვენმა მზემ! სამაგიეროდ როცა ოქტომბერში ჩხუბი დაიწყეს, მე უკვე კონტრრევოლუციონერი გამოვედი.

— ვინ იფიქრებდა, ვინ იფიქრებდა, — მწუხარედ თქვა მისმა თანამოსაუბრემ, მასავით დაბალ-დაბალმა და ვიზიტურიანმა კაცმა. — ჩვენ გვწამდა რევოლუციისა, იდეალისტები ვიყავით, გვწამდა კულტურისა, სამაისათასი ამართვეს სეიფიდან. პირდაპირ გაიარეს და წაიდეს. არა, რუსეთი ბოსელია.

— უფრო უარესი. ცოფიანი საქონელია.

— შარავნის ყაჩაღებია!

— უფრო უარესი.

სემიონ ივანოვიჩმა აქ ყანყალ-ყანყალით მოიარა ყველა კუნჭული, გამოარკვია, რომ მეორე გემბანი კეთილსაიმედო იყო, და მალე ავიდა, იმედოვნებდა, თვალი მაინც შეეგლო საშინელი ტერორისტისთვის, ფართოფარფლებიანი შლაპა რომ ეხურა.

შავ ზღვაზე ღამე ეშვებოდა. გემი გამდნარ ოქროზე მიცურავდა ოქროს ბურისკენ, მზის ჩასვლის მოკრიალებულ მხარეს.

სემიონ ივანოვიჩი მოაჯირთან იდგა. მის ქვემოთ გრძელ გემბანზე ემიგრანტების რაკურსში მჩინარი პატარა სხეულები ფუთფუთებდნენ. ისინი არავის ენატრებოდა, არც არავინ უხმობდა საღმე, მიდიოდნენ, რათა სამადლოდ ეცხოვრათ.

როგორც უკვე ითქვა, სემიონ ივანოვიჩს სანახევროდ თავი რუსად აღარ მიაჩნდა, დამცინავი ღიმილით დაღრეჯოდა ვამხმარი პირი: მას გაცილებით მეტ პატივისცემას აღუძრავდა ამ ადამიანების ნაცვლად, ვთქვათ, არვეთი სავსე გემბანი. „ეჰ, ადამიანები, ადამიანები, — გროშ-კაპიკია ამათი ფასი! ისე კი ფუსფუსებენ, იფხორებიან... ვის სჭირდებით ამ თქვენი მანეთიანებით? ჩამოტყაულებო, გაუპარსავებო, ფეხდაუბანელნო. ასეთი საუნჯისთვის ევროპელები ერთმანეთს სწორედ რომ დაკა-დაკას აუტეხენ ახლავე“. სემიონ ივანოვიჩი თავის თავზე დაფიქრდა, თითებიც კი მოკუჭა წაღებში, მაგრამ კრაველიანი ჩემოდანი გაახსენდა და გულში სიტბო ჩაეღვარა.

„ბოდიშს გიხდით, პატივცემულო უცხოელნო, — გუნებაში ამბობდა სემიონ ივანოვიჩი და ხელებს შარვლის ჩაყოლებაზე უშვებდა. — მე თქვენ ჯარებს არ გთხოვთ დაღუპული ქვეყნის დასაცავად, სადაც ჩემდა საუბედუროდ გავჩნდი. ფულს, სტუმართმოყვარეობას ასევე არ გთხოვთ. მოვდივარ, როგორც მოვაქრე კაცი, რომ ორივე მხარემ სარგებლობა ვნახოთ...“

ნევზოროვი ერთხანს მზის ჩასვლის მხარეს, მეწამულმოდებულ ოქროსფერ ცისკიდურს გასცქეროდა, საითაც უჩვეულო ბედს მიჰყავდა, და მაკდური პერსპექტივები ეზმანა. „ხომ შეიძლება სემიონ ნევზოროვის დანახვაზე მავანმა დიაცმა ტუჩები მოილოკოს. დადგება დრო. როცა იქნება, ქუჩას გადმოსჭრის ასეთი და ასეთი, მდიდრულად ჩაცმული, გავლენიანი ბატონი, მხოლოდ იმისთვის, რომ მას ხელი ჩამოართვას...“

სემიონ ივანოვიჩი ისევ გადაეკიდა მოაჯირს. ეს იყო ნათელჭვრეტის წუთი. ნევზოროვი რიგში მდგომ, კალათებსა და გამოშვებულ ფეხებს შორის მოხეტიალე ემიგრანტებს აცქერებოდა.

აგერ დიდებული ქალი ზის — შლაპა მოიხადა და თითებს დაღლილად ისვამს გაწეწილ საფეთქლებზე. აცვია მთლად გაცრეცილი კაბა და ისეთი უცნაური ფეხსაცმელი, გეგონებათ, ძროხას უღეჭიაო...

აგერ მაღალ-მაღალი ქალიშვილი მოაჯირს დაეყრდნო, მწუხარედ გას-
კქერის მზის ჩასვენებას. კუბოკრული ქვედა კაბა აცვია. ტურფა, — ქკუ-
აზე შეიშლები, ამან რომ ეს უბადრუკი ქვედა კაბა და იდაყვებამოვლელი-
ლი კოფთა გაიხადოს... „ფისუნავ, საუცხოო სიფათო, ამოდ გასცქერი მზის
ჩასვენებას: ოქროსფერი შუქი ოქრო როდია, სიცარიელეა ჩემი ხელი
წაავლო, გაშლი ტურტლიან თითებს და არაფერი ზედს — გქქნის...“

აგერ შავგვრემანი მკვირცხლი ქალი... ან ეს კისკისა ვნახოთ, ოფიცრის
ცოლი, აბზეკილი ცხვირი და თოჯინას წამწამები რომ აქვს... ან ის ამპარ-
ტავანი, ბრტყელი ტურფებისა და ნამძინარევი ქუთუთოების პატრონი... ან
ის — ფაიფურის არისტოკრატი; უცქერის, მთლად დაჩამიჩებულა კიდევ —
როგორ ურევს ზანგი ბიჭი ცერცვს და მაიმუნის ქონს... აჰა, სიმდიდრე, ოქ-
როს ქვიშრობები!..

სემიონ ივანოვიჩი გასწორდა — წელში ძვლებმა გაუღო ტკაცუნა:
„წვიმიან მწუხარზე, ფანჯარასთან, მეშინსკაიაზე, — მახსოვს, მახსოვს, —
ვოცნებობდი, გალიგვებულ, ოფლიან ხელებსაც კი ვიწმენდდი ცხვირსახო-
ცით, მერედა, როგორ ვოცნებობდი მაღალი წრის ბალებზე, არისტოკ-
რატულ ჩაის სმაზე... გონებაში ვეყრდნობოდი სკამებს, რომლებზეც
მსხდომი თავადის ქალები, გრაფინიები ფეხებს ნარნარად ამოძრავებდნენ...
წარმოდგენას ვერ ვბედავდი, მაგრამ შემხვდნენ... დაყრნობა კი უკვე არ
შემიძლია, შორსაა, ქვემოთ სად ვირბინო... აღარც ის სკამები არსებობს.
ისე, მოიცათ, მოიცათ, ბანოვანებო, — სემიონ ივანოვიჩს მღელვარებისგან
სული შეუგუბდა, — მოიცათ, ცოტა ხანიც და ყველაფერი იქნება: სკამე-
ბიცა და ღრმა დეკორატივებიც, ყვავილის ოდეკალონიც.“

ლამის სიკრილემ სემიონ ივანოვიჩს ძლივს გაუგრილა ანთებული თა-
ვი. უჩვეულო წამოწყების გეგმას კი დრო სჭირდებოდა, მანამდე კი საჭი-
რო იყო თვალთვალის განგრძობა.

გემბანზე ამ დროს შჩეგლოვი და ასტრახანელი დრავუნი ამოვიდნენ და
მოსაწევ სალონში შევიდნენ. მაშინვე გამოჩნდა კიდევ საში ხანში შესუ-
ლი კაცი, შემდეგ საფეხურებზე მძიმე ფეხსაცმლის ბაკაბუკით ამოირბინა
მეექვსემ, ტანადმა პიჯაკიანმა კაცმა, რომელსაც რბილი შლაპა ცალ ყურ-
ზე ჩამოეფხატა. ისინიც სალონში შევიდნენ და კარი ჯახუნით დაიხურა.

სემიონ ივანოვიჩი ფრთხილად მიუახლოვდა კარის ჭუჭრუტანას. მო-
საწევ სალონში ნამწვავებით მოფენილ მრგვალ მაგიდას უმაღლესი მონარ-
ქისტული საბჭოს ექვსი წევრი უსხდა, უშუქფარო ნათურა შჩეგლოვს მსუ-
ქან სახეს უნათებდა. შჩეგლოვი ტუჩებს ამოძრავებდა, მაგრამ სიტყვები არ
ისმოდა — სხდომაზე საერთოდ ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, მაგიდაზე იხ-
რებოდნენ, რომ უკეთ გაეგონათ ნათქვამი.

შჩეგლოვის მარჯვნივ შლაპაჩამოფხატული ახალგაზრდა იჯდა. თვალე-
ბია განსაკუთრებული სილურჯის გამო მისი ნაზი მოგრძო სახე ლამაზი და
საკვირველი ჩანდა. იგი თვალებდაუხამხამებლად მისჩერებოდა სინათლეს.

„სწორედ ეგაა პრილუკოვი, — რატომღაც გაიფიქრა სემიონ ივანოვი-
ჩმა. — მაგრამ რა საშინელია“.

შჩეგლოვმა ლაპარაკი დაამთავრა. თანამოსაუბრეებმა შუბლი მაგიდას
მიამაჩრეს. ლურჯთვალა ახალგაზრდამ გარკვევით თქვა:

— რას ფიქრობთ ამდენ ხანს? დავუძახოთ ამ ბრიყვ სემიონ ნევზოროვს, იგი სწორედ ახლა კართანაა ატუხული.

სემიონ ივანოვიჩი ჩუმად გაიმართა მუხლებში, კბილებს გაჯოჯოდა, მაგრამ წამით მაინც მიმოიხედა ირგვლივ თვალი: გემბანის მოაჯირსთვის ხელები ჩაეჭიდა და ზედ ზურგით მიყრდნობოდა შლაპიანი პირქუშის რევოლუციონერი, რომლის თვალებმა მომწვანოდ, მგლურად გაიფიქრა.

სემიონ ივანოვიჩმა ქვედა გემბანამდე ჩაიქროლა კბეები და ჩემოდნების უკან მიიმალა. „ყველაფერი იციან, ოჰ, დასწყევლოს ღმერთმა, ეტყობა, ზათაბალაში გავები და ეგაა“. — ფიქრობდა, აული რომ მოითქვა, კდობდა მიმხვდარიყო, საიდან შეიძლებოდა საფრთხე დამუქრებოდა და რატომ ეწინოდა ასე.

გემბანზე ფაკიფუცი წყდებოდა. ტრიუმებს ბრეზენტებს ახურავდნენ, დაეხეტებოდნენ დაღვრემილი ადამიანები და დასაძინებელ ადგილს ეძებდნენ. ანძის ძირას მარტოსული დიაკონი იჯდა და ხმადაბლა, გულგამგმირავი უიმედობით გალობდა სინანულის ტროპარს.

სემიონ ივანოვიჩმა გული მკოცა და ჩემოდნებს მოსკილდა. მას ცნობისმოყვარეობა აღუძრა ცხვირის კაიუტიდან მოდენილმა ხმებმა, იმ კაიუტაში ოდესის გუბერნატორი ხავერდის ცხოვრობდა.

— დაიკარგეთ აქედან-მეთქი, არავითარი ფული მე არა მაქვს. — ჩახრჩხული ხმით ყვიროდა ვილაც.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ მეორემ წყნარად თქვა:

— თქვენო აღმატებულება, შიმშილით სიკვდილი გველის, ცოლი და ორი შვილი მყავს, ერთი საათის წინ ეი მესამე დაიბადა.

— გამეკლებით თუ არა, მე თქვენ გეკითხებით!

— თუნდაც ერთი-ორი ეპიკი... რაღაც გასამართლებლად, თქვენო აღმატებულება, სამშობლოსთვის სისხლი დამიღვრია მრავალ ბრძოლაში.

— ეს თქვენი პირადი საქმეა... მე სამოქალაქო ხელისუფლება ვარ, ამ თითოეულს რაღაც ცოლები აღმოაჩნდება და სხვა... თქვენი ნაწილის ხაზინადარს მიმართეთ, თავი მომაბეზრეთ... ჯანდაბას!..

ამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ კაიუტის კარი ხელა გაიღო და იქიდან დაბალ-დაბალი კაცი გამოვიდა პლუშის დათვის ჰგავდა. კაცმა წაიბორძიკა და გაჩერდა. იგი უაზროდ იყურებოდა წინ. ვარსკვლავების შუქზე ჩანდა, რომ ჭალარა ქოჩორი ყალყზე დასდგომოდა. თივთიკის საბნისგან შეკერილი, მისი შტაბს-კაპიტნის სამხრეებიანი ქურთუკი ვეფხვის ტყავის ზოლებით იყო დაფარული. ამ მეომრული გარეგნობის მიუხედავად უმწეოდ გასაავსავა მოკლე ხელები.

— აჰა, ჯანდაბაში წადიო, მაგრამ საით? — მიმართა მან სემიონ ივანოვიჩს. — გემიდან გადავვარდე? მე ხომ მარტო არა ვარ, ოთხი სული მაწევა კისერზე. ოჰ — ამოიგმინა დათვია შიგნეულიდან და ტრაპისკენ წაილაპარაკა.

კაიუტის კარი ნახევრად ღია დარჩა. სემიონ ივანოვიჩმა შიგ კხვირი შეყო და დაინახა, რომ მაგიდასთან, რომელზეც სანთელი ენთო, იდგა გუ-

ბერნატორი — შავი, გრძელი სერთუკით მოსილი ვეება კაცი. იგი გაწით-
ლებულ სახეს მთელი ძალით ისრესდა ხელისგულებით.

— ხუთი წუთით არ დაგაძინებენ, — ხრინწიანი ხმით უთხრა ვილაყას. ის
ვილაყა სანთლის იქით, კედელთან იჯდა და ნევზოროვი ვერ ხედავდა.

— არამზადებმა, მათხოვარმა ვიგინდარებმა სახელმწიფო გულს სუ-
ნი იკრეს... მოკლედ და გასაგებად ვამბობ: ჩემთვის მონღოლური თანხე-
ბის ანგარიშს მხოლოდ და მხოლოდ კანონიერ მეფეს ჩავაბარებ.

— და უმაღლეს მონარქისტულ საბჭოს, — მშვიდად თქვა სანთლის
იქით მჯდომმა (გუბერნატორმა მაშინვე მიატოვა ლოყების სრესა.) — ვი-
მედოვნებ, თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, არა? (გუბერნატორმა
სერთუკის კალთები ჩაიფერთხა. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და გასაღებები
ააჩხარუნა.) ჩვენ სრულებით არ გვაინტერესებს თქვენ მიერ ევაკუაცია-
დე გაწეული ხარჯები (გუბერნატორმა ქუსლებზე ქანაობა დაიწყო). თქვენ-
ნდამი გულწრფელად ვართ კეთილგანწყობილნი, თქვენო აღმატებულებავ,
და მინდა გაუწყოთ, რომ უმაღლესმა მონარქისტულმა საბჭომ გადაწყვიტა
გაათართოს ბრძოლის მეთოდები და იმავე იარაღით იმოქმედოს, რითაც
ჩვენი მოწინააღმდეგენი მოქმედებენ...

— ტერორით? — ჩახრინწული ხმით იკითხა გუბერნატორმა და ლო-
ყები ბურგუნდიული ღვინის ფერი გაუხდა.

— დიახ, — მოკლედ მიუგო სანთლის იქით მჯდომმა, თითქოს მინას და-
ჰკრესო.

ამ საუბარმა ისე დააინტერესა სემიონ ივანოვიჩი, ცხვირი გაუფრთხი-
ლებლად და უფრო ღრმად შეჰყო კარის ღრიტეში, ვიდრე შეიძლებო-
და. გუბერნატორი მაშინვე შემოტრიალდა და წყევლა-კრულვით სტაყა ხე-
ლი საყელოში. ნევზოროვმა დაიწრობინა. გუბერნატორის თანამოსაუბრე
სწრაფად წამოდგა ზეზე, სანთლის შუქი სახეზე მოხვდა. ეს სწორედ ის
ლურჯთვალა, ლამაზი ახალგაზრდა იყო, რომელმაც შიში აქამა ნევზოროვს.

— ძალიან კარგი, — ჩვენ უნდა მოგელაპარაკოთ, — უთხრა ლურჯთ-
ვალამ. სემიონ ივანოვიჩს, ხელი გაუყარა და გემია ცხვირის იმ მხარეს წა-
იყვანა, სადაც ცვარისგან დასველებული ღუზის ჯაჭვები ეწყო და ბუშბრი-
ტის შავი ძელი გამუდმებით მიილტვოდა დასავლეთისკენ.

— ჩემი გვარია პრილუკოვი, — უთხრა ნევზოროვს ახალგაზრდამ. —
თუ არ ვცდები, მაქვს სიამოვნება, ველაპარაკო სემიონ ივანოვიჩ ნევზო-
როვს, პასპორტის მიხედვით სემონ ნავზარაკის. (ნევზოროვმა ნერწყვი გა-
დაყლაპა, ახალგაზრდას არ შეპასუხებია). მოხალისეთა კონტრდაზვერვას
მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიეთ. ამას გარდა ხელი მოაწერეთ გრაფ
შამბორენის სიკვდილით დასჯის ოქმს. თქვენ ყურადღება მოგაქციეს, რო-
გორც უნარიან და საიმედო კაცს.

— უკაცრავად, ბატონო პრილუკოვ, მე არსებითად, უფრო კომერცი-
ულ საქმეებს...

— დადგება დრო, უპატივცემულესო სემიონ ივანოვიჩ, როცა შესაძლე-
ბლობა გექნებათ პირად საქმეებს მიხედოთ. ახლა თქვენი სიცოცხლე
ღმერთს. მეფეს და სამშობლოს ეკუთვნის. ე, ძვირფასო, ნუ კამათობთ. აზ-
რი არა აქვს... ერთი სიტყვით — დაემორჩილებით ჩემს დირექტივებს და

დაიცავთ სამარისებურ ღუმელს... გაიგეთ: ღუ-მილს. — პრილუკოვმა ცი-
ვი, შემზარავი თვალეები მიუახლოვა სემიონ ივანოვიჩს. — თქვენ, ჩემო
კარგო, ათას ცხრას ჩვიდმეტ წლამდე სატრანსპორტო კანტონში მსა-
ხურობდით. მოკალით და გაძარცვეთ ანტიკვარი, ინგლისის ქვეშევრდომი...
გეუბნებით, კრინტი-მეთქი... ბევრჯერ შეიცვალეთ გვარი. იყავით ატამან
ანგელის ბანდიტური ბროვის ზაზინადარი... ეს ყველაფერი საკმარისია, რომ
პირველსავე ნავსადგურში ჩამოგაბრჩონ, სადაც ეს ინგლისის კომენდან-
ტია... ამას გარდა კონტრდაზვერვის რიგებში ირიცხებით და უშუალოდ მე
მემორჩილებით... თქვენთვის ეს კმარა?...

— კმარა! — მიუგო უბედურმა სემიონ ივანოვიჩმა. თავისი ცხვირი-
დან სულ ერთ გოჯზე უღმობელ თვალებს ზედავდა „ნუთუ იბიკუსია?“ —
გაიფიქრა და ფეხებმა უსუსტა, თავი აუქვლიადა. ესმოდა ნელი, მკაფიო
ხმა:

— დაინახეთ ზედა გემბანის მგზავრი? კარგად შეათვალერეთ? ესაა
ბურშტეინი, საშიში რევოლუციონერი. ნაპირზე მასთან ერთად ჩახვალთ.
უთვალთვალეებთ, როცა მას საფრთხის ინსტინქტი მოუდუნდება. მოაპობთ.
იარაღს ნაპირზე მიიღებთ. თარი კვირის ვადას გაძლევთ. თუ ამ საქმეზე ჩა-
ვარდით, რაც ეს შეიძლება, ყველაფერს მოვიმოქმედებთ თქვენს გადასარ-
ჩენად. თუ აზრად მოგივათ ზედმეტის როშვა, უსათუოდ ჩამოგაბრჩობენ.
ყველაფერი გასაგებია? აღარავითარი კითხვა...

პრილუკოვი შებრუნდა, მოიხარა და უხმაუროდ გაქრა ღუზის ჯალამბ-
რის მიღმა. სემიონ ივანოვიჩს თეოსოფოსი დევო უახლოვდებოდა, გზადგ-
ზა საბანს იფუთნიდა.

— კიდევ ერთ სულიერ ძმას არ სძინავს, — დაიწყო ნამძინარევი
ხმით. — მე თქვენ შორიდან ვიგრძენით... შეუძლებელია აუღელვებლად
უცქირო ვარსკვლავებიან ცას. ისინი ხომ ჩვენი მომავალი სამშობლოებია.
მილიონობით საუკუნე მოვითაბარებთ ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე. ძმავ,
მე თქვენ გენდობით, მინდა ავსწიო საიდუმლოს ფარდის კიდე. იყურეთ აქეთ,
უცქირეთ ჩრდილოეთის გვირგვინს...

თეოსოფოსი გასწორდა, საბანი ძირს ჩამოუცურდა, ხელი ასწია. სემი-
ონ ივანოვიჩმა საშინელი დაბნეულობისა და გაუბედაობის გამო ვარსკვლავ-
ებს დაუწყო ცქერა, დიდხანს უგდებდა ყურს დევოს საიდუმლო მონათ-
ხრობს მეტამფსიგოზასა და იმაზე, რომ თავდაპირველად აღამიანები, —
ესე იგი, მათ შორის თვითონ დევო და სემიონ ივანოვიჩი, — მცენარის სა-
ხით ცხოვრობდნენ მზეზე — თავი ქვევით ჰქონდათ, ფეხები — ზევით.
ნევზოროვს მართლაც უმღვრევდა გონებას ამ ღამის შთაბეჭდილებები.

ზედა გემბანზე უძრავად და პირქუშად იდგა თვალბმოელვარე, მხრე-
ბში მოხრილი რევოლუციონერი, ეშმაკმა იცის, რას აკვირდებოდა ზემო-
დან: ვარსკვლავებს, გემის ცხვირის მიერ გამოშლილი ზღვის ნაქადების ნა-
თებას, თუ ღამეულ საუბარს გემბანზე.

დილაადრიან ტრიუმებიდან ყველა ბინადარი გამოძვრა. მანქანები არ
მუშაობდა. გემი ღუზაზე იდგა. ბრეზენტები, გემბანები, ჩემოდნები, მოა-
ჯირები ყველაფერი ნისლს დაესველებინა. ანტი ნახევრად ნილში იყო
ჩაძირული.

მაგრამ აი, მარჯენივ, შორს და, თითქოსდა, მაღლა, ჩნდებოდა ნარინჯი-
სფერი სიბრტყეები, სწორკუთხედები, გეგონებოდათ, დიდი ეკრანებიაო. ამ
ეკრანებში უნიათო სინათლის კონები ინთებოდა. სიბრტყეები ერთმანეთზე
იხხორებოდნენ. ეს იყო პერას მრავალსართულიანი სახლები.



ამოდითოდა თბილი მზე. ნისლის ფარდა თხელდებოდა, მარჯენივ ჩნდე-
ბოდა სტამბოლის მსუბუქი მობაზულობანი, ისევე მოციისფრონი, როგორც
იყო ნისლი. — მინარეთები, აი, სოფიას პაერში გამოკიდული გუმბათი, მი-
სი წყვილუული მეჩეთი სულეიმანისა, ალფის ხეები, ძველი ბიზანტიის კვა-
დრატული კოშკები. სველ მოაჯირებთან ასე საუბრობდნენ:

- აჰ, რა სილამაზეა, ვანია, ერთი შეხედვით.
- ზუსტად ისეა, როგორც პაპიროსის კოლოფზე. ცნობაც კი შეიძლე-
ბა.
- ესეც შენი ცარჯრადი, გამარჯობათ, მოვედით.
- კარგი იქნებოდა ეს ნახევარმთვარე ჩამოგვეგდო და ჯვარი... ეჰ,
ხელიდან ვავუშვით...
- არა უშავს, მოვიცადოთ, ვერსად წავივია.
- ისე ამბობენ, თურქები მაინც საწინელი არამზადები არიანო.
- სულ პირიქითაა — უკეთილშობილესი არია.
- დავლევთ კიდევაც, ბატონებო, დღეა...

ემიგრანტები გადასხდომის მოლოდინში ასე იდგნენ ქიშკებთან საუზ-
მობამდე. ზანგი ბიჭები ავლავ ურევდნენ ცერცვა, მზარეული კარტოფილს
თლიდა, ხალხს განწყობილება უფუჭდებოდა. კონსტანტინოპოლის თვალწინ
იძულებით ჭამო ღორია სალაფავი, ატუზული იყო მყრალ გემბანზე, რა
არის ეს — დაცინვა?

დაიწყო დრტვინვა. კაპიტანს დელეგაცია მიუგზავნეს. კაპიტანმა ბუნ-
დოვნად უპასუხა დელეგაციას. არავის არაფერი ესმოდა. მგზავრები საწი-
ნელ აღწვოთებას გამოთქვამდნენ. „როგორ ბედავენ და ნახევარი დღე
აქ გვაჩერებენ? საკმაოდ გვტანჯავდნენ წყეულ გემზე. ეცმა რომ თქვას,
ვინა ვართ, ტყვეები? თუ ვიღაც ველურები?“

„კაცკახს“ რამდენჯერმე მოუახლოვდა სამხედრო კატარა. ელეგან-
ტური ოფიცერი, რომლის ქუდს მუხის ოჭროსფერი ფოთლები ჰქონდა, კა-
პიტანს რალაცას უყვიროდა რუბორით, კატარა ისევ მიდიოდა, მითრახთ-
რახებდა და სპილენძს მიიბრწყინებდა.

მოდითოდა ხალიჩებით მოფარდაგებული გაჯრიალებული პატარა ნავე-
ბი. შიგ მყოფი სუფთასაყელოიანი, აბრეშუმის წინდებითა და მბზინვარე
ფეხსაკმლით მოაილი ვიღაც მოხდენილი ევროპელები. ზღვის სწრაფი დი-
ნების გამო რომ აქეთ-იქით ირხეოდნენ. ემიგრანტებს უცქეროდნენ, პაპი-
როსს აბოლებდნენ, ერთმანეთს თავისუფლად ეხმიანებოდნენ, ხელჯობით
ანიშნებდნენ რუსი ემიგრანტების მშვიერ, ჭუჭყიან, გაბურძენილ სახეებზე.
ცქერით გულს იჭერებდნენ და უკან მიცურავდნენ.

ქალაქს ახლა აპრილია მზე დაჰნათოდა, ოჭროს რკის გრძელ ხიდზე
ეკიპაჟების და ქვეითების ნაკადები, მინებმოელვარე ტრამვაები მოძრაობდ-
ნენ. ხალხს საითაც სურდა, იქით მიდიოდა ფეხით თუ ტრანსპორტით, არა-
ვის არაფერზე არ სთხოვდა ნებართვაა, და ეტყობოდა, ამ ქალაქში არა-

ვის სცხელოდა რევოლუციისგან თავდაღწეული სამი ათასი რუსისთვის. ადრე კი — მოვიდოდა მოხალისეთა ფლოტის გემი და წყვეტდა თურქებზე ეგრევე დაეხვეოდნენ: რუს, რუს, იყიდე ფესი, იყიდე ფესი... თანაც ფესსაცმელი ძველი იყო, ფესები — ღამბალი. მიდიოდნენ ბერძნულ და კალთაზე გეჭიდებოდნენ, ჩექმების გასაწმენდად მიგათრევენ და მუცლებზე დაეხვეოდნენ თავს ყოფდნენ: აქეთ, რუს, რუს, კარგი მწვადი ზეგნებია... კი ცხვირს აბრუნებთ... მოიცათ, ბოლშევიკებს დავამხოთ და „რუსს“ გაგცხვებთ ფესსაცმლით მაგ ცხვირზე...

დღის სამ საათზე გემი მცირე ხნით პანიკამ მოიცვა. სამხედრო შეზღვაურების ერთი რაზმი შაშხანის საკეტების ჩხაკუნით შეხტა კიჩოს ამალღებულ ადგილზე და იარაღი მოიმარჯვა. მეორე რაზმმა ცხვირის ნაწილი დაიკავა.

ტრიუმფებში ხმას აუწიეს. გაფართოებული, დაბნეული ოფიცრები ტრიუმფებიდან ამოდიოდნენ და მზეზე თვალს ჭუტავდნენ. იქიდან მათ კონდახებით ყრიდნენ ვარეთ. გემს შალანდა მოუახლოვდა და ყველაფერი გამოიკვია: მოხალისეთა ნაწილები ტრანსპორტზე გადადიოდნენ და უკან ნოვოროსისკში, დენიკინის მოქმედ არმიის ბრუნდებოდნენ.

სამხედროების ერთი ნაწილი გემიდან გადაიყვანეს. გემბანზე დაწყნარდნენ და ემიგრანტები ისევ აისვენებენ ქიმებთან. მრავალმილიონიანი კალაქი ორ ნაბიჯზე ხმაურობდა... ბოლავდნენ მიღები, ძველ კედლებთან და წყლიდან ამოზიდულ ვადრატულ კოშკებთან იალქნიანი ნავები მიმოდიოდნენ. თბილი, შუქმფინარი ღლე იღვა.

ხუთ საათზე ზანგი ისევ შეუდგა კარტოფილის თლას, ხოლო ზანგი ბიჭები — ადამიანის მსგავსი მაიმუნების ბორცის თუნუქის ქილების გახანას. მაშინ გემის ბინადარნი ჯგუფ-ჯგუფად დადგნენ, ატყდა დრტვინვა. გამოჩნდნენ დემაგოგები და გადაწყდა კოლექტიურად ეთქვათ უარი საკმელზე. კაპიტანმა დემაგოგებს მიუგო, დღეისთვის ცერცვი უკვე მოხარშულია, ხვალ კი ვბრძანებ ბრინჯი მოგცენ, თუ მსგავსი მღელვარება ისევ განმეორდება, ბრძანებას გავცემ, გემი უკან შავ ზღვაში ექვა მიღზე გაიყვანონო.

საღამო ხანს ხმა გავრცელდა, კიჩოს ტრიუმში პარტახტიანი ტიფი გაჩნდა. მოკავშირეები ავადმყოფობის გავრცელების შიშით გემს პირდაპირ აფრიკაში, ცხელ ქვიშებში გააქანებნო. უკანასკნელი ყველა დღის დაძაბულობა საშინელმა სასოწარკვეთილებამ შეცვალა. ამ ღამეს თითქმის არავის ეძინა.

ქალაქი მთელი ღამე ბრილიანტაებრივ სინათლეებით ელვარებდა. გემამდე აღწევდა ტრამვაების ზარის სუსტი წყარუნი და რესტორნებიდან გამომავალი მუსიკის ხმაც. უკრავდნენ ტანგოს თუ ძველ ვალსებს...

დილით რახარუხით ამოსწიეს ღუზის ჯაჭვები. გემმა დაიბლავლა და კონსტანტინოპოლის პანორამის გასწვრივ ნელა გაემართა მარმარილოს ზღვისკენ.

ზღვაში ვასისვლელის მანლობლად ისევ დადგნენ ღუზაზე. ყურებჩამოყრილი მგზავრები უდაბურ ნაპირს, თიხნარ ხრამებს, ფერდობზე, ეკლია-

ნი ლობის იქით მდგომ ბათქაშდამსკდარ რაღაც საეკვო ნაგებობებს გას-
ცქეროდნენ. ახლა არავის არათფერი კარგის იმედი არ ჰქონდა.

სემიონ ივანოვიჩი ამ დღე-ღამეთა განმავლობაში, სხვები არ იყოს,
დაიბნა და სულიერად დაეცა. გემბანზე უაზროდ დასიარებდა, დაქიალებ-
და, სანამ არაქათი არ გამოეცლებოდა. ღეჭავდა ცერცვეს, ეწეოდა, ეწე-
ოდა პაპიროსს. გონა რომ მოდიოდა, ზემოთ მიიწვრებოდა და კამბეჭრევო-
ლუციონერს ახლოს ჩაუვლიდა ხოლმე, მას მოქუშულ თვალებშიც კი შე-
ხედა. მაგრამ არც მღელვარება უგრძვნია, არც შიში.

ახლა გამოლენჩებული ვასცქეროდა უხალისო დაბლობს. სადაც ნა-
გებობათა მახლობლად ანძაზე ზანტად ფრიალებდა საკარანტინო დროშა.
გადამდებო სენივით ყვითელი დროშა. აქ ერეკებოდნენ ყველას, დაავადე-
ბულს შავი კირით, ქოლერით, კეთრით თუ პარტახტიანი ტიფით. ახლა, ეტ-
უობოდა, ამ მავთულლობებში რუსებაც შერეკავდნენ — იჯექი და ვანიავ-
დიო, ესეც შენი ევროპა!

სემიონ ივანოვიჩი საზიზღარ გუნებაზე იყო: ამჯერად ისე მაგრად ჩა-
იჭირეს, თავა ვერ დაიჭვრენდა. უნდა გაიქცე, მაგრამ სად? გემიდან რომ
გაიქცე, ნაბიჯაა ე ვერ გადადგამ, ისე ჩაგავლებენ ხელს, ინგლისელ კომენ-
დანტან მიგიყვანენ და მაშინვე ჩამოგახრჩობენ წყეული პრილუკოვის და-
ბეზღებით. როცა ენა არ იცი და ადგილს არ იცნობ, ეს იგივეა, უკუნ ლა-
მეში იბორიალო.

სემიონ ივანოვიჩმა ყველაფერი გაიხსენა, რაც კი შიშველშობლა, ულ-
ვაშა, ფესიანი, ყანაოზის შარვლით მოშლილი თურქების შესახებ გაეგონა,
გაიხსენა, როგორ დადიან, მოლუნული ხმლებით როგორ ხოცავენ სომ-
ხებს, მართლმადიდებლებს კი სარზე აგებენ. არა, არ შეიძლება შენიანებს
მოსვილდე, გემს უფრო საიმედოდ უნდა მიეწებო...

სემიონ ივანოვიჩი ნალვლიანი ოხვრით უცქეროდა შლაპიან რევოლუ-
ციონერს და ფიქრობდა:

...აბა, როგორ მოკვლავ ამ ეშმაკ; დგას, ფეხები გაუჩაჩხავს, ეგ ტარ-
ტაროზი ევა ჩანაირად მოკვლავ: უმაღ თვითონ მინსაკლავებს, ვინც უნ-
და იყოს. თანაც ვის სჭირდება შიპი მოკვლა? თავნებობამ, ბოლშამ, ჭონანმა
ცერცვმა მონარქისტებს მართლაცდა გაუბერა ფაშვი და მოიფიჭრეს კიდევ,
ვინზე იყარონ ჯავრი..“

ვიდრე ნეგზოროვს გულსაკლავი ფიქრები ეხვია, გემს შალანდა მოად-
გა. ბრძანება გაეცათ, ყველა შალანდაზე გადასულიყო და მცირე ბარგი წა-
ეღოთ. ამასთან დაკავშირებით მგზავრთა შორის, განსაკუთრებით განაპირა —
ცხვირისა და კირის — ტრიუმებში, რთული ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდა:
ნაპირზე გადასვლა ყველამ მტკიცედ იუარა.

დაიწყო მოლაპარაკება კაპიტანთან, არეულ-დარეულობა — გემბანზე.
გამოტყვრენ დენაგოგები და იყვირეს, ერთაულოვნება გამოვიჩინოთო,
მოიტყვრდნენ შიმშილობის გამოცხადებას, იმუქრებოდნენ. პირველს, ვინც
შალანდაზე დაეშვება, ზღვაში მოვისვრიოთ.

გვაქუცის ყველა უბედურება, ტრიუმებში ძილი, ცერცვი და მაი-
ჭუნის ჭრჭვი, გაბერბლი მუცლები, რიგები ფეხსალაგთან, ჭუჭყი და უკო-
დურესი დამცირება გუშინდელ დღეს, როცა ტუჩებიდა მოილოკეს კონსტა-
ნტინოპოლის დანახვაზე; კიდევ უფრო იქით — რევოლუციის ორი წლის

მანძილზე მთელი ბედკრული, მომთაბარე ცხოვრება, დაღუპილი ვაგზლები, ტილებიანი სასტუმროები, თავდასხმები, გადატრიალებანი, ყაჩაღები, ვაგონების სახურავებით გაქცევა ყინვაში, წვიმაში, ტიფისაგან სულთმობრძავი ქალაქები, გაქცევა, სულ უფრო შორს სამხრეთით ყოველივე ამან ბოლოს და ბოლოს საზარელ ისტერიკად იფეთქებულ სულში. ისეთი წივილ-კივილი ატყდა, კაპიტანმა უმჯობესად მიიჩნია ბოგურადან კაიუტაში წასულიყო.

შემდეგ კი მეზღვაურებმა შეუმჩნევლად და სულ უბრალოდ გადაკიდეს ტრაპი „კავკაზიდან“ შალანდაზე. რამდენიმე კაცი, მათ შორის შჩეგლოვი, მისი ცოლი და დრაგუნი მშვიდად გადავიდნენ ზედ და პაპიროსს მოუკიდეს. ხალხი ტრაპს მისცვივდა, ატყდა ზედახორა. შალანდაში თავებზემთ გადაფრინდა ბოხჩები და ჩემოდნები. კაპიტანი ისევ გამოჩნდა ბოგურაზე და ფრანგულად იყვირა, ვბრძანებ გესროლონ, თუ ახლავე წესრიგი არ დამყარდება. მას ვერაფერს გაუგო, მაგრამ წესრიგი კი დამყარდა. შალანდა სამჯერ მივიდა ნაპირთან და შეადღეს უკვე ყველა მგზავრი ხმელეთზე იყო. „კავკაზმა“ ჯაჭვები აახრიგინა და დიდი ტვირთითურთ გაურკვეველი მიმართულებით გაემართა.

სემიონ ივანოვიჩი ორივე ფეხით იდგა მიწაზე, არარუსულ მიწაზე, მაგრამ ეს როდი ახარებდა. გრძნობდა, რომ მზადდებოდა მოკავშირეების ახალი ხრიკი.

მართლაც წყალთან მოზიშხიმე ემიგრანტებს შორის გამოჩნდნენ თურქი მოხელეები, რომელთაც ფეხი ეხურათ და გრძელ მტვრისფერ სერთუკებზე ჩალიჩისმაგვარი მწვანე სამხრეები ეკეთათ. მოღუნული ხმლები არ ჰქონდათ. თურქები რალაცას დუღუნებდნენ და რუსებს ეკლიანი მავთულის გადაღმა მოქუშულ ნაგებობებზე უთითებდნენ. ემიგრანტების ჯგუფებს აღშფოთებამ გადაუქროლა, მაგრამ სულიერი ძალები უკვე დაშრეტილი იყო. ბევრი მარტოოდენ იმას ჩურჩულებდა: „ეს ხომ დაცინვაა. ასე პაპუასებსაც კი არ ეპყრობიან. ღმერთო, რა დამცირებაა!“... ზოგი ქალი გაზაფხულის ბალახზე ჯდებოდა და ტიროდა.

თურმე თურქი მოხელეები ემიგრანტებს უბრძანებდნენ, აბანოში წასულიყვნენ და იძულებით დაეხანათ. მათ ტანსაცმელს კი განსაკუთრებულ ღუმელებში — სასაკლაოებში ანუ ანტისეპტორების ორთქლში გაატარებდნენ.

სემიონ ივანოვიჩი რიგში ჩადგა და, როგორც რუსეთში სასურსათო სავაჭროსთან, ისე, ნაბიჯ-ნაბიჯ წალოლიადა ჩამოტყაული შენობისკენ. რიგი გადიოდა ქიშკარში, ეზოში, დიდ დარბაზში, რომლის ასფალტის იატაკი მილიონობით განდევნილ ჰქონდა გადავლილი. დარბაზიდან რიგი მარჯვნივ, აბანოს კარში უხვევდა. კარის მახლობლად სარკმლებში ემიგრანტები ხელებს ჰყოფდნენ და ბაწრით შეკრულ ტანსაცმელს ყრიდნენ. მოხელეებს მათი სამოსი ბადურა ტომრებით მეორე კედელთან, დიდ ფანჯარასთან მიჰქონდათ. ფანჯრიდან ჩანდა ღუმელების ყელეები, რომლებშიც წვეროსანი თურქები ცეცხლის სახჩრეკებით ამ ტანსაცმლიან ტომრებს აგდებდნენ.

სემიონ ივანოვიჩი აბანოს წინა ოთახში შევიდა და სხვებივით გაშიშვლება დაიწყო. „აი, ევროპა, — ფიქრობდა ცოტა არ იყოს თავისი ფეხების

გამო დარცხვნილი. — რას იზამ, არ ვიცნობდით... ვაი, ვაი, ვაი!..“ მის გვერდით მდგომი ბატონი, შიშველი და ამიტომ გაურკვეველი წოდების კაცი, ხმააკანკალებული ამბობდა:

— ჯვარს მაინც დაგვიტოვებენ კისერზე?

— ეპ, ძვირფასო, რაკი წაბილწვა დაგვიწყეს, ამ საქმეს უნდა მიიყვანენ.. ესეც თქვენი ევრობა...

— მტკიცედ ვაცხადებ პროტესტს... არ მინდა აბანოში შესვლა!.. ისედაც სუფთა ვარ...

— ფუი, რა ორბირი ქარი დააყენეს ამ თურქებმა!

— ბატონებო, თურმე ყველას ერთიანად მღულარით ფუფქავენ...

— ესლა გვაკლდა!..

სემიონ ივანოვიჩმა ისე ამოიხვნეშა, გული თან ამოაყოლა, და აბანოს განყოფილების რიგში დადგა. მის წინ მიდიოდა ფეხებმოკლე, ჩაფსკენილი კაცი, რომელსაც ფართო ზურგი ბალნით ჰქონდა დაფარული და გვარიანად ყარდა. „ამის დაბანვას საპონი ბლომად დასჭირდება“. — გაიფიქრა სემიონ ივანოვიჩმა. კარი გაიღო. ეცათ თბილი სინესტე. ხმაურობდა წყალი. ბალნიანი ჩაფსკენილი კაცი და ნევზოროვი სველ ასფალტს გაჰყვნენ და გრძელ დარბაზში შევიდნენ, სადაც ასობით შხაპის ქვეშ შიშველი ემიგრანტები ხტოდნენ, ფრუტუნებდნენ, იბერტყებოდნენ.

— აი, თავისუფალი შხაპი, პირველი თქვენ ბართ, თუ მე? — სემიონ ივანოვიჩისკენ შებრუნდა და ჰკითხა ბალნიანმა. ეს ის საშიში რევოლუციონერი იყო. სემიონ ივანოვიჩს ქუსლები დაუსრიალდა კიდევ, რევოლუციონერი შხაპის ქვეშ დადგა და მუცელს იხეხავდა. კამეჩივით ბუბუნებდა და მოუხეშავად ტრიალებდა. ერთობ კმაყოფილი ჩანდა. ჩამომლილი თმოდან დაღებული პირი უჩანდა, წყალს აფურთხებდა. — „დიდებულია, — თქვარაც შეიძლება მხიარულად, — დიდი ზანია არ დამიბანია, დიდებული აბანოა!“

სემიონ ივანოვიჩი რევოლუციონერს უცქეროდა. „ხედავ, იბანს! რა ზორბაა, ჩაფსკენილი, ალბათ გვარიანი სმა იცის. აბა, როგორ უნდა მოკლა? როგორღაც უხერხულიც კია“.

ამ დროს ქალიშვილივით თეთრმა პრილუკოვმა ჩაიარა და ნევზოროვს ჩაცინებით, მტკიცედ შეხედა თვალებში.

თურქებმა კიდევ ერთი უსიამოვნება აგემეს ემიგრანტებს. ტანდაბანილებს პირდაპირ ლუმელიდან გამოტანილ ცხელ ტანსაცმელს აძლევდნენ. შიშველი ადამიანები იწყებდნენ ჩაცმას, მაგრამ ვერც შარვალში ყოფდნენ ფეხებს, ვერც სახელოებში — ხელებს. ტანსაცმელი შემდგარიყო. დაკუჭულიყო. ფეხსაცმელი — დაკვრანჩხულიყო. ტირილი მოგინდებოდა. ასე, დაბანილი, მიკრობებდაბერტყილი ემიგრანტები ეოჭლობით გაიბაწრნენ საბიჯელებისკენ, სადაც პატარა გემებში ჩასხეს და ნარინჯისფერი სარკესავით მჩინარი, ბინდწამოპართული მარმარილოს ზღვით უკანასკნელი ეტაპისკენ — ხალკის კუნძულისკენ წაიყვანეს.

სემიონ ივანოვიჩი და ლივეროვსკი ერთ კატარლაზე აღმოჩნდნენ. ლივეროვსკი გაუთავებლად ხუმრობდა, ნევზოროვს ოღლი ნავზარაკს ეძახდა, ფესს გაჩუქებო: — პირდებოდა. სემიონ ივანოვიჩი კი ოზრავდა და

თვალეbs აფახულებდა. ახლოვდებოდა უკვე მთლიანად დაბინდული მი-
ვარდნილი პატარა კუნძული ხალკა. მისი კლდოვანი მოხაზულობის მიღმა
ჩამავალი მზის სხივები კრთოდა. ხოლო კუნძულზე, ზედ წყლის ნაპირას უკვე
დაბის სინათლეები ენთო. ახლა შეიძლებოდა „კავკაზის“ ძლიერ გადახ-
რილი ანძა და მილი გაგერჩიათ. გემი ნავმისადგომთან შეეხებოდა.

„ნუთუ ამ კუნძულზე დაესამარდები?“ — გაიფიქრებდა ნაპირისკაცი, რომ-
მელიც, როგორც რუსი კაცი, აბანოს შემდეგ სულიერად მოღბა. ჰაერი
მსუბუქი იყო. წყალში უშფოთველად ისარკებოდა სინათლეები. და სემიონ
ივანოვიჩის საკუთარი თავისადმი სიბრალულისგან სულში ჰინკა შეუთამა-
შდა: დაიძვრენ თავს, ძმობილო, კიდევ გაშლი ფრთებს, მთავარია, ჩუმად,
წყნარად, წინააღმდეგობის გაუწევლად, ვინმეს შეუშფოთებლად — გვერ-
დულად გადავრე ბედნიერებისკენ.

კატარღა გრძელ ბოგირებთან მივიდა. მათზე ბარგის მთები ეწყო, ფა-
ციფუცობდნენ ფესიანი ადამიანები, ცოცხლად ლაპარაკობდნენ გახალისე-
ბული ემიგრანტები. ჩამოვიდნენ! ნაპირის მახლობლად სამწვადის ფანჯ-
რები ეამკაშებდა.

— ბატონებო! — მღელვარებით დაიძახა ვიღაც ახმახმა, რომელიც
ჩემოდნებზე მოაბიჯებდა. — იცით, რა არაყი აქვთ აქ, რა მწვადები! ბარგს
ხვალ მივხედოთ. ჰაიდა, სასაუზმოდ.

სემიონ ივანოვიჩი ნაპირზე ჩავიდა, ცხვირი გაფშოკა და უცებ დაძარ-
ღვულ ფეხებზე გაიძვია. მოულოდნელად, თითქოსდა სრულიად უადგი-
ლოდ გიჟური სიხარული დაეუფლა და მაგრად მომუშტა ხელები, როგორც
ადრე იცოდა.

მართაე იბიკნი

ხმაურმა და მღელვარებამ მოიცვა მარმარილოს ზღვა. კლდოვანი კუნ-
ძული ხალკა.

„კავკაზის“ შემდეგ დაიცილა მეორე გემი. რომელსაც ემიგრანტები
აალტიდან ჩამოეყვანა. უსაზღვრო სივრცეებს და სამოქალაქო ომის ნაირ-
ნაირ შთაბეჭდილებებს შეჩვეული ხუთი ათასი რუსი აღმოჩნდა პატარა მი-
წის ნაგლეჯზე, მოლაპლაპე, უქარიშხლო ზღვაში, ბერძნულ დაბაში. სამი
ათასწლეული მშვიდად რომ თვლებდა ზედ წყლის ნაპირას.

რუსეთის სამხედრო ნაწილები ზემოთ, ძველ მონასტერში მოთავსდნენ.
გრძელზე გრძელ დერეფნებში კარებზე ასეთი წარწერები მიაკრეს: „არმი-
ის შტაბი“, „მომარაგების განყოფილება“, „კავშირგაბმულობის სამსახუ-
რი“. „ცხენოსანი დივიზია“ და სხვა. ყოველი ასეთი კარი იქით კარიელ
და გამტვერილ ოთახებში ქვის იატაკზე ნატყვიარი, ოთხმოცდათექვსმეტგრა-
დუსიანი აპირტით დამწვარი ათობით ოფიცერი ეყარა.

ხავრინმა თავისი კანცელარიითა და თორმეტი ჩემოდანი ფულითურთ,
მკაცრმა გენერლებმა, ორივე ფლოტის აღმირალებმა, ღვთის ანაბარად მყო-
ფმა გუბერნატორებმა, მრეწველობის ორმა დუჟინმა მეფემ ბორცვზე დაი-
კავეს აგარაკები.

რიგითი ემიგრანტი ქვემოთ, ზღვისპირას ხის ქოხებსა და სამწვადეების

თავზე მოთავსებულ სასტუმროებში უზღვავე ბალლინჯოებს შორის დაბინავდა.

აქაური ბალლინჯოები რუსულ უსიციოცხლო და მძინარე ბალლინჯოებს როდი ჰგავდნენ. კუნძულ ხალკას ბალლინჯო გახლდათ უნდატოლიური ბალლინჯო, დიდი და მხნე ნადირი. იგი დღეს და ღამეს არ დასვენებდათ, ოღონდაც შესაფერისი საქმელი ყოფილიყო. როგორც კი ემიგრანტი საწოლზე დაწვებოდა, ჭერიდან სეტყვასავით დააცხრებოდნენ ბალლინჯოები. ისინი მოძვრებოდნენ ხვრელებიდან, ყველა კედლიდან. ემიგრანტი კბილს კბილზე აჭერდა, ითმენდა. არა. ღამლამობით შეიძლებოდა გენახათ, როგორ გამოებოდა ქუჩაში ან პატარა მდელიოზე ჭვედა საცვლის ამარა გაბურგძნილი ყაცი და იჭეჭებოდა ვეება ვარსკვლავების ჭვეშ, იმ ვარსკვლავების ჭვეშ, აქ არგონავტებიც რომ უნახავთ და ოდისევესიც.

დილით კი, რისთვისაც არ უნდა მოგეკიდა ხელი, არ შეიძლებოდა ბალლინჯო არ გენახა. ემიგრანტი სახიდან ოფლის მოსაწმენდად ცხვირსახოცს ამოიღებდა და შიგ გლუვი მზიარული ბალლინჯოები დახვდებოდა. სამიკიტნოში მაგიდაზე დააწყობდა ხელებს და ახლა სახელოებიდან გამოუძვრებოდა.

ვიწრო ცხელ ქუჩაში — შეხვედრებისა და სეირნობის ერთადერთ ადგილას — რუსები დილიდანვე დაყიალებდნენ. საქმე სულ არაფერი ჰქონდათ. ღია დუქნებში მწვადები შიშხინებდა. დიდ ბრტყელ ჭვებებში ორთქლი ასდითოდა საჩვენებლად ჭონით დაფარულ ფლავს. ფიცრული ყავახანების ფანჯრების მიღმა ცნობისმოყვარე ემიგრანტები თურქულად ფეხმორთხმით ჯდომასა და ნარგილეს მოწევას სწავლობდნენ. (ნარგილე ლენცოფაზე უარესად ურევედა მათ გონებას.) გზაჯვარედინებზე, სპილენძის ცხელი ყუთების წინ ფეხსაცმლის მწმენდავნი ჩასისხლიანებულ გადმოკარკლულ თვალებს აყვრილებდნენ. მოსეირნეთა ფეხებთან კირის მტვრის კორიანტელი იდგა. აი, მოსეირნენი ერთმანეთს შეხვდნენ, ესალმებიან:

— გრაფინია, როგორ გეძინათ?

— საშინლად, სემიონ ივანოვიჩ, ცოცხლად შეგვეჭამეს.

— უკაცრავად, ყურზე ბალლინჯო გაზით, გრაფინია.

და სემიონ ივანოვიჩ ნევზოროვი თავაზიანად აცლიდა მწერს, გზაზე აგდებდა. გრაფინიაც, რომელსაც დაკმუჭნილი კაბა და სახელდახელოდ ნაყიდი თურქული ფეხსაცმელი ეცვა, ნალვლიანად ეუბნებოდა მადლობას ამ უმნიშვნელო სამსახურისთვის და ეკითხებოდა — ახალი ხომ არაფერი არა?

— მთვრალეების წუხანდელი სკანდალის გარდა ახალი არაფერია, გრაფინია.

— კი მაგრამ, კონსტანტინოპოლში როდის გაგვიშვებენ?

— ამბობენ, სამი დღის შემდეგ საშვთა გაცემას დაიწყებენო, მაგრამ ძნელად გასცემენო. ფინჯან თურქულ ყავას ხომ არ იწებებთ, ან მაწონს, შევიდეთ ყავახანაში.

— მადლობელი ვარ. სხვა დროს.

სემიონ ივანოვიჩი მკვირცხლად ემშვიდობებოდა გრაფინიას და ხალხში პატარა მოედნისკენ მიიწევდა. აქ, გამტვერილი ბალახით დაფარულ

ლორდის გროვაზე — ათას ცხრაას თოთხმეტ წელს ბერძენთა რბევის ნაშთზე — არღანი უკრავდა.

კრელი, სარკეებიანი, ეფენებიანი, ლენტებიანი არღანი დასუნებდა, სტვენდა და მოფუსფუსე დაბისა. წყნარი ზღვის თავზე ყოველთვის ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „იღლეგრძელე, ვენიზელოს“, უჩინო-უჩინო მთელი ისლამის ჯიბრზე ამტკიცებდა ბერძენთა გავლენას მარტო მათზე და თრივე სრუტეზე.

სემიონ ივანოვიჩმა სიამოვნებით მოისმინა არღნის ბაქიბუჭი დიდი ვენიზელოსის შესახებ, კვლავ შეერია ხალხს და თავი დაუჭრა ეასტისა ქალს, ოფიცრის ქვრივს:

— როგორ გეძინათ, ლილია ივანოვნა?

— ოპ, ნულა იტყვიტ, თქვენი ჰირიშე, ჯერ არც დავეწოლილვართ.

— სულ ქეიფობთ?

— მერედა როგორ, დილის ოთხ საათზე მცზღვაურებს დავუკავშირდით, მათ ნაეთი კონიაკი დაგვცხეს, ჩვენი შემადგენლობის ორმოცდაათი პროცენტი მწყობრიდან გამოვიდა, ახლა მთაში მივდივართ სახედრებით — ხედის საცქერლად, შემდეგ საბანაოდ წავალთ, არა, მერწმუნეთ, საუცხოო ადგილია.

— უკაცრავად, ლილია ივანოვნა, მკერდზე ბალღინჯო გაზით.

— გმადლობთ.

სემიონ ივანოვიჩი მოსეირნეთა და მთვრალთა გამობენტერებულ ჯგროში დაძვრებოდა, არუღიანდ მოურიდებლად ყბედობდა, ქალებს პატარა სამსახურს უწევდა და ყველაფერ ამას გაწხრახ აკეთებდა.

ნევზოროვის პირდაპირ ელეთმელეთს ჰგვრიდა განმარტოებული ადგილები, სადაც მისთან უსაბუთოდ უნდა მისულიყო პრილუკოვი და ეთქვა: „აბა რას პამპულაობთ? დღეს ბურშტეინი უნდა მოისპოს, თორემ...“

სემიონ ივანოვიჩი პრილუკოვის ყინულივით ცივ თვალებს ემალებოდა და ამავე დროს სხვათა შორის მოსვენებას არ აძლევდა სხვა მიზნებიც — იღუმალი გეგმა, რომელიც მზის ჩასვლის შემს, გემზე, შავ ზღვაში გაუჩნდა.

რომელი კუთხიდანაც უნდა შეგეხედიათ ამ გეგმისთვის, იგი მშვენიერი ჩანდა, ბრწყინვალე რამ იყო, რაც მართალია მართალია; სემიონ ივანოვიჩი ბედთან პრძოლისას (ბედთან, რომელმაც პეტერბურგსკაია სტორონაზე ოდესღაც ბებერი ბოშა ქალის თვალებით შეხედა სახეში, ხელს უთათუნებდა, როგორც ლევს, აღზევებდა, რათა შემდეგ ისევ ლაფში ამოეკავარა, ყოველი მბრძოლიდან მოძვრებოდა მისკენ სხვადასხვა საზიზღარი სიფათებით — იბიკუსებით) სულთ არ დაცემულა, არა, მისი ტვინი განვლარდა, მოქნილი გახდა, დაზვერვაში სიფრთხილეს იჩენდა, გადაწყვეტილების მიღებებსა საქმის არსს სწვდებოდა. ნევზოროვი გახლდათ მკვირცხელი, ყოველგვარი შემთხვევისათვის შემზადებული, ხარბი, მეტად აღარაფერი უკვირდ და ადვილად შეეძლო ადამიანს ჩამომორებოდა, თავი ახალ კაცად მიაჩნდა ამ ცხოვრებაში, რომელსაც სწვს იყო-გულგატეხილი ბრყვებით, ტვინი რომ დახავსებული ჰქონდა და გამოტენილი ნებადართულა და ნებადართულზე შექმნილ ცრუ შეხედულებათა ბრელოდ.

— ყველაფერი ნებადართულია, ბატონებო, დააღეთ სარკმლები, — ამბობდა ნევზოროვი ყავახანაში, თან ჰქვა ბერძენულ ღვინოს მიირთმევ-

და; ოფიცერთა ღატაკ წოდებასაც ჭიკა ღვინით უმასპინძლდებოდა. ნევზო-
როვი აქ, კუნძულზე, თავის სიცოცხლეში პირველად ალაპარაკდა და არც-
თუ სულელურად. გაუჩნდა მახვილი აზრები, გესლიანი სიტყვები. მას
უსმენდნენ და ლაპარაკს გემო გაუგო.

— თუნდაც პოლიტიკაზე, კულის ქიციანს ნუ დაფიქვრებდა, —
უხსნიდა იმავე ოფიცრობას. — რევოლუცია, პროლეტარიატის მანქანე-
ბის ხელისუფლება ერთი და იგივე უხამსობაა. მე ჩემი ნიჭით შემოიძლია
კაპიტალი მოვიწაგრო, ის კი, კომისარი, მოსკოვში ზის, არ შეუძლია, სი-
ცოცხლე აკლია, ან ბავშვობიდან წიგნებს გადააყვია. ჰოდა, სწორედ ისინი
აკრავენ ღობეებზე აფრშებს, ხალხის გადაბირებას ცდილობენ, რათა მეტ-
ნი გახდნენ, — მე, ერთს, ათნი მეტგერონ. შუბლზე ნაგანს მადებენ, ჭიბი-
დან ვალუტას მაცლიან, ნეკიდან — ბეჭედს. და ისევ მე გამოვდივარ ექს-
პლუატატორი, მარტოხელა ინდივიდუალისტი. გული აგერევა, ისე მოსაწ-
ყენია ეს ამბავი.

— მართალია, სწორია, ბარაქალა, რაც მთავარია, ჭკვიანურია, — ხმა-
ურობდნენ ოფიცრები და პაპიროსს ამოლებდნენ.

— ეს უხამსობა რუსეთში ბოროტმა ბებერმა, ლევ ტოლსტოიმ შემო-
იღო. ამას მე ერთი ექიმი მიაშობდა: გრაფი, მემამულე, თირქმელა სოკოს,
ხონბებს ჭამს, მადერით სკდება, ნევრასთენიითაა შეპყრობილი, რა თქმა
უნდა, ჰოდა, კომბოსტოსკენ გაუწია გულმა, თავი ფიზიკური შრომის
მეგობრად, კაპიტალის მტრად გამოაცხადა: „მეო, ამბობს, ვაჩუმება არ
შემიძლიაო“. არა, დასწყევლოს ღმერთმა. ბროშურას დავწერ ბოლშევი-
კების საწინააღმდეგოდ. დაე, ევროპაში წაიკითხონ მწარე სიმართლე... ვი-
დრე ისინი იქ ვაის და ვუის იძახიან, ბოლშევიკები მთელ რუსეთის იმპე-
რიას გაძარცვავენ, შემდეგ წადი და უყარე კაკალი ძვირფასეულობა, ავე-
ჯი. ათასად ღირებული ქურჭები დაიტაცეს, დაგლიჯეს, დაწვეს. მე თვი-
თონ — ჩემსავე მამულში — ნიფხვის ამარა გამოვარდი ცეცხლიდან. მუ-
ზეუმები არ დაინდეს, რუბენსს, რემბრანდტს უმოწყალოდ ფხრეწენ —
წითელი არმიის ფეხსახვევებისთვის. ბრილიანტები ვედროებით მიაქვთ
არხანგელსკში ვეშაპსანადირო გემ „ინტერნაციონალით“; ეს გემი მეორე
წელია მზადა ჰყავთ, თუ გასაქცევად ექნათ საქმე. ხალხი კი, ბატონებო,
რუსეთში ერთი მეოთხედი დარჩა და ისინიც ტყეში გაიქცნენ. მატარებ-
ლები ორთქმავლების ნაცვლად ცხენებით დაჰყავთ. საახალწლოდ, დამერწ-
მუნეთ, ჩვენი სამშობლოს მაგივრად მიწის ცარიელი სივრცელა დარჩება.

ოფიცრებს სახე უთეთრდებოდათ, თვალები ემღვრებოდათ. სამიკიტნო
ასეთ წუთებში ძრწოლას მოგვგრძობდათ. სემიონ ივანოვიჩი კი ტკბებოდა. კუ-
ნძულზე პოპულარული კაცი ხდებოდა. კონსტიტუციური პარტიის წევრმა
მასლენიკოვმა ისიც კი შესთავაზა — ბროშურას პარტიის ხარჯით გამოგი-
ცემო. მაგრამ სემიონ ივანოვიჩი ბუნდოვნად ამბობდა უარს, თუმცა საზო-
გადოებრივი ყურადღება გულზე მალამოდ ედებოდა.

სემიონ ივანოვიჩი პრილუკოვს ყოველდღე ხედავდა შორიდან და მი-
სი დანახვისთანავე ხალხში უჩინარდებოდა. მაგრამ ესმოდა, რომ ადრე თუ
გვიან პირისპირ უნდა შეხვედროდა. ბურშტეინის მოყვლას დიდი არაფერი
უნდოდა, რა თქმა უნდა, ოღონდ აშინებდა შედეგები. არ მოკლავდა და შედე-
გები მაინც აძრწუნებდა.

საშინელი რევოლუციონერი კუნძულის ერთადერთ სასტუმროში და-
ბინავდა და სამიდან ზუთამდე სეირნობდა შირაგზაზე. ამბობდნენ, უალ-
რესად ნაწყენი იმის გამო, რომ რუსეთში ზურგი აქციეს, არგენტინაში მა-
სობრივი გადასახლების საქმეს ამზადებს და უკვე ფრთხილად უწევს აგო-
ტაციას სამხედროებსო.

სიმსიქისეკა


ასე გავიდა ერთი კვირა გადმოსხდომია დღიდან. კუნძულზე ქოთქოთი
არ წყდებოდა. ფრთები გაშალეს საერობო და საქალაქო კავშირების სა-
ზოგადოებრივმა კომიტეტებმა — ისინი დაკლულ ბოცვრებს, ბრინჯსა და
ფეხსაცმელს იძლეოდნენ, აგრეთვე იდეურად ებრძოდნენ ლოთობას. პო-
ლიტიკურმა პარტიებმა (მონარქისტების გარდა) ბლოკის ბობოქარ სხდო-
მაზე ურთიერთ საყვედურებისა და შეურაცხყოფის შემდეგ გამოუშვეს
მოწოდება, რომელიც ამ მტკიცე სიტყვებით იწყებოდა: „წყვეულმც იყა-
ვით, ბოლშევიკებო...“ კუნძულის მოსახლეობამ მოუხმობდნენ, ერთსულო-
ვნად ებრძოლათ ერთიანი განუყოფელი რუსეთისთვის. მოსახლეობამ მო-
წოდება ცნობად მიიღო და ავლავ განაგრძო გართობა, როგორც შეეძლო:
ბანაობდნენ, ყნოსავდნენ კოკაინს, ჭამდნენ მწვადებს, სვამდნენ „დუზიკს“,
ხმაურიანი კომპანიები სახედრებს დააქენებდნენ ტყიან მთებში, მწუხარე-
ბას კუდით ქვას ასროლინებდნენ.

ხოლო გაზაფხულისდა კვალად მოსარკულ ზღვაზე კუნძულის შორია-
ხლო მხიარული ევროპელებითა და კონსტანტინოპოლელი საქმოსნებით გა-
ჭედილი პატარა ბრტყელძირა გემები — შერკეტები — მიცურავდნენ. ეს
თავისუფალი ადამიანები არც გატყავებულ კატისმაგვარ ბოცვრებს ჭამდ-
ნენ, არც ფრანგ კომენდანტთან დადიოდნენ რეგისტრაციაში გასატარებ-
ლად, არც კირის მტვერში დაყილებდნენ საპარიკმახერო „იდეალსა“ და
კარაკარგოპულოს სამწვადეს შორის და არც ბაღლინჯოებს ხოცავდნენ ნავ-
თით. იქ, საითაც მსოფლიო ქალაქის მირაჟით ცისფერი მოხაზულობე-
ბისკენ შერკეტები მიცურავდნენ, თითებს შორის უმტკივნეულოდ ფრთხი-
ალებდნენ თურქული და ინგლისური გირვანქები. იქ ყველას თავისი სახ-
ლი ჰქონდა თავის საკუთარ სამშობლოში. იქ კაცები ამაყად თავაწეულნი
დადიოდნენ, ბეწვეულითა და ბრილიანტებით მორთულ-მოკაზმული ქალებ-
ი კი ავტომობილებიდან გადმოდდიოდნენ ფუფუნების ნივთებით გამოტენილ
სარკისებრ ვიტრინებთან. აჰ, დასწყევლოს ღმერთმა! აჰ, კბილთა ღრქენა!
წყვეულმც იყავით, ბოლშევიკებო!

ამ გახრეკილ კუნძულზე თავს ყველაზე ცუდად ქალები გრძნობდნენ.
წარსულში რა იყო? ცხოვრების ნანგრევები, დღეები, რომელთა გახსენე-
ბაც არ ღირდა. დღეს — დაფლეთილი თეთრეულის რეცხვა ხელსაბან ჯამში,
ვახშმად — ბოცვრია მაგვარი კატის ნარჩენები, სიწყნარის ეამს — ნაად-
რევი. სრულიად ზედმეტი ნაოქების კქერა სარკეში და შეურაცხყოფელი
ნაცნობობა ოფლით აყროლებულ პოლკოვნიკ სენოვალოვთან, გაქარხლებულ
და როხროხა ობროდთან. ხოლო მომავალი ჰგავდა საშინელ სიზმარს.
როცა ზედავ, რომ რაღაც ნაცრისფერ ბურუსში უცნობი სახლის ვიწრო
ლავგარდანზე, მრავალი სართულის სიმაღლეზე, ფეხისწვერებზე, ხელებგა-
შლილი მიდიხარ, უმჯობესი იყო მომავლისკენ არც გაგებედა.

სემიონ ივანოვიჩი უმთავრესად სწორედ ამ ქალებთან ტრიალებდა, მათ

ყავით და მაწვნით უმასპინძლდებოდა, ენამახვილობდა, ლაპარაკობდა ცხოვრებაზე, თმას იბერტყავდა.

— ცივილიზაციის მწვერვალი გახლავთ ლამაზი ქალის დიდებული საწოლი ოთახი, ტკობის ტაძარი. სხვა დანარჩენი არაფერსაც არ სთვლის ვადა ძალზე მცირეა, პროგრესმა კი მორალი არ უნახავს.  ქალბატონებო.

კუნძულს სასიხარულო ცნობა მოედო: ხვალ კონსტანტინოპოლში წასასვლელ საშვებია გაცემას დაიწყებენო.

სემიონ ივანოვიჩმა ლოგინში გაიგო ეს ამბავი. იგი მიკიტან კარაკარგობულოსთან ცხოვრობდა, მეორე სართულზე, ადგილობრივი ბერძენი მრუშების საჭეიფო პატარა ოთახში; ფანჯარაზე წითელი ჩითის ფარდა ეკიდა. ბადლინჯოებით გავსებულ ბუმბულისა ლეიბ-საბანს წითელი გამტვერილი მიჩიგდანი ეფარა. სკამის მაგივრობას, სახურავმოხატული გამძლე ბიდე სწევდა. შემოსასვლელი სამიკიტნოდან იყო. აემიონ ივანოვიჩს პრილუკოვის მოულოდნელად მოსვლისა ეშინოდა და ეს ოთახი ამიტომ ამოირჩია; აქ უშიშრად გრძნობდა თავს.

ნევზოროვი ბუმბულის საბნიდან გამოძვრა, ცოცხლად მოიფხანა წითურბაღნიანი დაძარღვული ფეხები, თავში ელვია უსწრაფეს გაუერთა ერთმანეთს საწინააღმდეგო აზრები. ხვალ, რა თქმა უნდა, კუნძულიდან გაპარვას შეეცდება, მაგრამ პრილუკოვმა ეს მასზე უკეთ იტყვის და დღესვე მოელაპარაკება პირისპირ. როგორ მოიქცეს, რა გზა დაადგეს? მთელი დღელამეობით ნაპირზე, ქვებს შორის დაიმალოს? თუ პრილუკოვს როგორმე ეშმაკობაში აჯობოს?...

აემიონ ივანოვიჩმა დაფიქრებით ჩაიკვა. დრღხანს ივარცხნიდა პატარა წვერსა და თმას. თან კედლის სარკეში იცქირებოდა. სარკის მომქრქალოვერცხლისფერი სიღრმიდან უმზერდა სახე... უცნაური სახე... დაღრეცილი, თვალმკვდარი. ეს რა ნაგავი სარკე დაუკიდია ბრიყვ ბერძენ კარაკარგობულოს. არაფრით არ ჰგავს აქეთა მხარეს მდგომი სემიონ ივანოვიჩი იქითა მხარეს მდგომს... უკებ ნევზოროვს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. სარკიდან გვერდზე გადასა, თითქოს იქიდან საოცრად ნაცნობი ვინმე უკქეროდა. კარტუზი დაიხურა. კიდეც ერთხელ გეზად გახედა სარკეს და გავიდა. გადაწყვეტილება მიღებული იყო.

— ალაპ ვერდი, ბახჩი, ბაჩკა. — უთხრა ქალისთვალეებიან მსუქან, თონთლო კარაკარგობულოს (ეგონა, თურქულად ვლაპარაკობო) და ტქვიტად გასწია პარიკმახერისკენ.

ამ დროს ქუჩაში ცოტა ხალხი იყო. ემიგრანტები საფრანგეთის კომენდატურისთან საშვებთან რიგებში რდგნენ. გზად აემიონ ივანოვიჩმა უფოჩო ფეარ ჩუბდა და ჯიბეში ჩაიღო. პარიკმახერს ნიშნებით აუბანის ბანჯგელის მოცოლენმა მინდაო. „იდეალმა“ ენა შოშოასავით გააწყლავუნა და უაქრეტი მანქანის თმავე და წვერ-ულვაშიც გადახვილა. შემდეგ პირწმინდად გაპარა.

ნევზოროვი ცნობისმოყვარეობით ათვალეერებდა თავის პატარა და წაწვეტებულ თავის ქალას. სირცხვილისაგან ცალყბად დაღრეჯილ ტკტველ-პირს, პელიის ნიკაპს „მელა.“ — გესლნარევი სიმპათიით გაივლო გულში სავეთარ თავზე.

სემიონ ივანოვიჩმა ფესი დაიხურა — ახლა მას თვით ეშმაკიც ვერ იცნობდა, და საპარიკმახეროდან გარეთ ღურთა თავი. არ შეუმჩნევია, რომ მეორე განყოფილებიდან, სადაც მანიკურს აკეთებდნენ, მის გარდაქმნას ყურადღებით აკვირდებოდა ლურჯი თვალები.

ნევზოროვს ორმა ნაცნობმა ჩაუარა და ვერც ერთმა ვერ იცნო. შინ მობრუნებული ვერც კარაკარგობულომ იცნო; მიკიტანი დიდხანს განაობდა და ბურტყუნებდა. სემიონ ივანოვიჩმა შესთავაზა, კრაველი იყიდვო კარაკარგობულო აღელდა, წავიდა და ორ გაქნილ ბერძენთან ერთად დაბრუნდა. ბერძნები ისე მჭიდროდ შემოეხვივნენ ნევზოროვს, ისე ყვიროდნენ და ვაჭრობდნენ, რომ კრაველები 750 თურქულ გირვანქად დათმო. ეს მაინც სიმდიდრე იყო.

საფრანგეთის კომენდატურაში ნევზოროვმა მოხელესთან გააღწია, საშრობქვეშ ასი ფრანკი ამოუდო და მაშინვე მიიღო კონსტანტინოპოლის საშვი. შერკეტი ზვალ ცხრა საათზე გადიოდა. ეს დილამდე არსებული ყამი წყვეტდა სემიონ ივანოვიჩის ბედს. იგი ბნელ ყავახანაში შეძვრა, ფინჯანი ყავა მოითხოვა, ფეხები მოირთხა და ზუსტად ჩათვლემილი თურქივით მილულა თვალები.

მაგრამ ნევზოროვის წარმოსახვა არ თვლემდა. იგი გონებაში ხედავდა კონსტანტინოპოლის ბრიყვებით სავსე ხმაურიან ქუჩებს, თავისი მოხერხებითა და ჭკუით ატყუებდა და ფცქვნიდა ფულადი გარიგებების დროს ერთობ ნერვულ ლევანტიელებს, ერთობ მიმნდობ ევროპელებს, ყიდდა მოხალისეთა ფლოტის გემებს, ნავთობიან მიწის ნაკვეთებს, ყიდდა რუს ლამაზმანებს პარამხანებში. დღე-ღამეში ხუთჯერ აბრუნებდა კაპიტალს. ქალაქში დახურული მანქანით დაქროდა, მკერდქვეშ მიეკრა ორი ლამაზი შავგვრემანი ქალი, ორი სიძვის დიაცი.

ოცნება — ბარბაროსობის გადმონაშთი — საქმიანი კაცის საშიში თვისებაა. იგი ახშობს სიფრთხილეს, ამახინჯებს პერსპექტივას, ცრუ ფორმას აძლევს საგნებს, ალღოს ართმევს ადამიანს. ამიტომაც სემიონ ივანოვიჩი ყურადღებით, ფხიზლად უნდა მჯდარიყო ბნელ კუთხეში და მომსვლელებისთვის ეთვალთვალა. მან კი ფრთები გაშალა და გადასაყრელს გადაეყარა. მხარზე გამხმარი თითი დააჭირეს და ყინულივით ცივი ხმით უთხრეს:

— აბა, ახლა კი მე გამომყევით, მოვილაპარაკოთ.

ნევზოროვის წინ იდგა ლამაზი პრილუკოვი. სემიონ ივანოვიჩმა სუსტად დაიკვნესა, დაბუყებული ფეხები გამოსწია.

— მონასტრისკენ ნახევარ ჯზას რომ გაივლით, მზატკეცილზე გადაუხვევთ, მარჯვნივ მეორე — ცისფერი აგარაკია. იქ დამელოდეთ, — უთხრა პრილუკოვმა.

ციისფერ აგარაკზე, პატარა სუფთა დარბაზში, კედელზე ნიკოლოზ მეორის კრეპშემოვლებული პორტრეტი ეკიდა. სემიონ ივანოვიჩი დაფრთხა. იგი მოკრძალებით დაჯდა გალიპულ პარკეტში მჩინარ ერთ-ერთ ვენურ სკამზე.

იატაკზე მტვრის ნატამალი, კედელზე — ბუზის ნასახი არ ჩანდა, დამამშვიდებლად დიოდა ნაზუქის სუნი. „ხელად შეატყობ, რომ იქ არისტოკრატები ცხოვრობენ, — გაიფიქრა, სემიონ ივანოვიჩმა, — და მაინც შეუძლებელია კაცის მოსაკლავად გამიშვან!“

ამ დროს გვერდითა კარებში ასტრახანელი დრაგუნის შემოვიდა, რომელსაც ნევზოროვი უკვე გემიდან იცნობდა. დრაგუნს ნაწყენი სახე ანთებოდა, აბზეცილ ცხვირს აქსუტუნებდა, უწამწამებო თვალები ამღვრებოდა. ეტყობოდა, ნაბახუსევზე საშინლად ტკიოდა თავი.

სემიონ ივანოვიჩი სკამიდან წამოდგა და ღირსეულად დაელოტა არ იყოს აჩქარებით უთხრა:

— დღევანდელი ბრძანდებოდეთ.

— გამარჯობა, არამზადავ, — მიუგო დრაგუნმა ხრინწგარეული ჩურჩულით და დაშრეტილი თვალები მიაშტერა.

სემიონ ივანოვიჩმა ასეთი მოქცევა, რა თქმა უნდა, არად ჩააგდო და მოახსენა, პრილუკოვის ბრძანებით მოვედიო. დრაგუნმა ისევ უთხრა:

— ცხვირ-პირს დაგილეწავ.

— რისთვის, ბატონო?

— დაგილეწავ ცხვირ-პირს და მაშინ გაიგებ.

— მე ყოველთვის მზად ვარ ყოველგვარად ვეწამო სამშობლოს სასარგებლოდ, მაგრამ არ დამიმსახურებია, ბოდიშს ვიხდი, თქვენი უკიდურესი მოქცევა.

— ჰაიტ, შე ძაღლიშვილო, შე ნეხვო, შენა, — ეუბნებოდა დრაგუნი, გარს უვლიდა და ხან ფეხებზე უცქეროდა, ხან თავზე.

სემიონ ივანოვიჩის მდგომარეობა თანდათან ისე სათაკილო ხდებოდა, იგი გასასვლელისკენ გაემართა, მაგრამ დრაგუნმა მაშინვე ჩაკეტა კარი, ეტყობოდა, სილის გასაწნავად ემზადებოდა.

— გაიპარსე, არა, ნამუსგარეცხილო, იმალები, ფესი დაიხურე...

— პირველად მეპყრობიან ასე, — სემიონ ივანოვიჩმა თავისი გრძნობის გამოსახატავად თვალები მოჭუტა და სკამი იფარა. დრაგუნი სიტყვის უთქმელად შემოტრიალდა. მაგრამ სემიონ ივანოვიჩმა ჩაჯდომა მოასწრო. შემოვიდა პრილუკოვი და, თითქოს ყინვაშიაო, მკაფიოდ თქვა:

— ტებლოვ, კეთილ ინებეთ და ცემა-ტყუპას მოეშვით. (დრაგუნმა უხალისოდ შეაქცია ზურგი ნევზოროვს და გალიფეს უკანა ჯიბიდან ფოჩიანი ვერცხლის პორტსიგარი ამოაჩოჩა). აბა, ბატონო ნევზოროვ, ჩვენ მხოლოდ დღევანდელი დღე გვრჩება. ხვალ თქვენთვის ცნობილი პიროვნება კონსტანტინოპოლში გადადის საცხოვრებლად, ვინაიდან სხვებისგან განსხვავებით თავის სიონელ ბრძენთა მეშვეობით ნებართვა და ვიზაც კი მიიღო.

— ბატონო პრილუკოვ, მერედა, როგორ, სად? ჩვენთვის ცნობილი პიროვნება ხომ მთელი დღე ნომერში ზის, სასეირნოდ ხალხმრავალ ადგილას გამოდის. მე სიხარულით მოვუღებდი ბოლოს...

— ერთი სიტყვით, ნევზოროვ, ვახსოვთ ჩვენი საუბარი? პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ხვალ ფრანგების კომენდანტთან წავალ და გავცემთ, რომ ჩამოვახრჩონ...

— კი მაგრამ, რისთვის, ბატონო პრილუკოვ...

— კეთილ ინებეთ და გაჩუმდით, აი, რევოლვერი, — პრილუკოვმა ჯიბიდან პატარა ბრაუნინგი ამოიღო და სემიონ ივანოვიჩის წინ მაგიდაზე დადო — თქვენთვის ცნობილ პიროვნებას ეკუთვნის, წუხელ მოპარეს. მე სრულიადაც არ მეჩება სად და როგორ მოსპობთ. ეს თქვენს მოხერხებაზე იყოს.

რამდენიმე წუთში სემიონ ივანოვიჩმა ბურშტეინი დაინახა. მღელვარე-ბისგან ერთიანად შეძრწუნდა — გადაპარსული თმის ფესვები ამოებზიკა. ბურშტეინს ფეხები გაეჩაჩხა და რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში. შემდეგ ღრმად აზროვნად მოიფხანა ნესტო ფანჯრით, თავაუღებლად, კამერით შებრუნდა და უკან, შინისკენ წაყიალდა.

სემიონ ივანოვიჩსაც ქარის ფრთები გამოესხა, ისე შექმნილად უცებ: ფეხაკრეფით, უხმაუროდ (ტყის კუშტი ხმაური მისი წაბიჯების ხმას ახშობდა) დაეწია ბურშტეინს და ჯიბეში უკვე გამშაგებით მოუჭირა ხელი რევოლვერს...

ბურშტეინი ოდნავ ჩაჯდა, ცოცხლად, უცნაურად შემობრუნდა და სემიონ ივანოვიჩს თვალი თვალში გაუყარა. ჩამოდგა მნიშვნელოვანი პაუზა...

— თქვენ რაო, გაიპარსეთ? — პირქუშად ჰკითხა ბურშტეინმა ნევზოზოს. — უცებ ვერ გიცანით, უცნაურია, უცნაური...

— მტვერი, იცით, სიცხე, ავდექი და, იცით, გავიპარსე, — წაიბურტყუნა სემიონ ივანოვიჩმა და იმავე წამს გაფუტდა, დაიღუპა — ცრემლის მომგვრელი გრუხუნით ჩამოიქცა ყველა მისი ბრწყინვალე პერსპექტივა... გული შეეკუმშა, უბრალოდ დაუკნინდა, დაძარღვული კუნთები მოემჩვარა, რევოლვერიანი მუშტი ჯიბეში გაეჩხირა... აჰ, ამ წამს არ უნდა ეცქირა ადამიანის თვალებში, რომელნიც უნდა მოკვდინებულიყვნენ, არ უნდა ებურტყუნა პარიკმახერზე!!!

— სეირნობთ? — ჰკითხა ბურშტეინმა.

— იცით, სასეირნოდ გამოვედი.

— უცნაურია, უცნაური. შე ახლახან დაგინახეთ, სასტუმროს წინ იჯექით, თვალებს იწმენდდით.

— შეუძლებელია... თვალებს არასდროს არ ვიწმენდ, შეგეშალათ...

მაშინ ბურშტეინმა უკმეხად, ბრძანებლური ხმით დაუყვირა:

— ჯიბიდან ხელი ამოიღეთ! — და როცა ნევზოროვმა ხელი ამოაჩოჩა, ბურშტეინი მომჩვარულ მტევანზე სწვდა, დაიხარა. — ასეცაა, ეს ჩენი ბრანინგია.

— ბატონო ბურშტეინ, მე თვითონ ყოფილი რევოლუციონერი ვარ... ამხანაგო, მოიცათ, ნუ დამადანაშაულებთ... მე თვითონ იქნებ დაცვა მინდა გთხოვოთ... ხათაბალაში გავები. ბატონო მინისტრო! გამიგეთ...

ნევზოროვი გალიგვებული თითებით ჰაერს ეპოტინებოდა ზედ ბურშტეინის პიჯაკის ღილებთან; იგი ტუჩებზე დუქმომდგარი მოჰყვა სავალალო გარემოების შესახებ, რომელთაც გემ „კავკაზზე“ აიძულეს ეცადა. მკვლელობა, „ჩემთვის სრულიად უსარგებლო, არახელსაყრელიც კი, თქვენდამი ჩემი პატივისცემის გამო, ბატონო სოციალისტო“.

ნევზოროვის ლაპარაკისას ბურშტეინი იღუშებოდა, მხრებს სწევდა, მიწას ეზრდებოდა. პრილუკოვის ყოველ ხსენებაზე მძვინვარედ ქშინავდა. ნევზოროვს დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი და უბის წიგნაკში ჩაიწერა, შემდეგ მისთვის უკვე აღარც მიუჭყევია ყურადღება. შინ წავიდა.

მთლად მოშლილმა სემიონ ივანოვიჩმა თვალი გააყოლა ბურშტეინის ჩაფსკვნილ ზურგს. ტყეში შეუხვია და პირდაღმა დაწვა მჩხვლვტავ ცხელ წიწვზე.

აზრი არა აქვს ნევეზოროვის სულიერი მდგომარეობის აღწერას. ეს მდგომარეობა საზიზღარი იყო. ნევეზოროვი გაუნძრევლად იწვა ტყეში დაბინდებამდე.

მზე მარმარილოს ზღვაში ჩაეშვა, აწრაფად ჩამოდგა ეგვიპტური ლამეცხელმა მიწამ შემხუთველი სუნი აუშვა. აინთო განსაკუთრებული მაილიდისა და სიკაშკაშის ვარსკვლავები. პიროზონტს კონსტანტინოპოლის სიხათლეთა ანაშუქი მოედო, ქვემოთ მკაფიოდ გაისმა ტალღების მშვიდი ხმაური.

სემიონ ივანოვიჩი დაჯდა, მუხლებზე ხელები მოივლო, მწარედ დაფიქრდა და ბოროტი რევოლუციის მიერ უცხო ზღვათა შუა უდაბურ ეუნძულზე უბატრონოდ მიგდებულ, მიტოვებლ ჩვილად იგრძნო თავი. მან მესამე შეცდომა დაუშვა დღეს. ეს იყო სისუსტის მესამე გამოვლენა. არა, მოთხრობის გმირად სემიონ ივანოვიჩი არაფრად არ ვარგოდა.

ვიდრე საკოდავად მოკუნტული იჯდა გამხმარ მიწაზე, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა აავევ ბევრჯერ საზიზღარ მდგომარეობაში მოხვედრალი ატიკელი მაწანწალის, ოდისევსის ნაკვალევი, ტყეში გამოჩნდა სამი კაცი. სიბნელე გაკვეთა ელექტროფარნის შუქმა და ათ ნაბიჯზე გაისმა ატრინანელი დრაგუნის ჩახლეჩილი ხმა:

— აგერაა!

სემიონ ივანოვიჩმა კურდღელივით დაიწრიბინა და მოძურწა, მაგრამ ამაოდ. დრაგუნი მივარდა და თხლიშა. სემიონ ივანოვიჩი ეკლებზე დაგორდა. ახლა სამი სამხედრო დაესია და მუშტები და წიხლები დასცხეს. ეგ არაფერი, დრაგუნმა თქვა: სულ ერთია, ვერ იჩივლებს, შარვალი ჩაზადეთო, და თავზე დააჯდა. მეორე ფეხებზე დაასკუბდა, მესამემ შარვალი ჩაზადა და ქამარი დასცხო დუნდულებზე, რომელთაც უცხო, გულგრილი ვარსკვლავების მიმართ ჰყვეს ლაღადისი.

ტკივილისა და შიშისგან სემიონ ივანოვიჩს გული შეუღონდა. უკანასკნელი, რასაც გრძნობდა, ის იყო, რომ ვიღაცის მარდმა ხელმა ქვემოდან, პიჯაკის ჭიბიდან საფულე ამოგლიჯა. საფულეში ხუთი ათასი ფრანკი და შვიდას ორმოცდაათი თურქული გირვანქა ჰქონდა.

როცა სემიონ ივანოვიჩი გამოფხიზლდა, ისევ ლამე იდგა. შეინძრა, დაიკვნესა. ასეთ სუსტ ქმნილებაა ისღა რჩებოდა, მდულარე ცრემლი დაეფრქვია, და იგივე ატირდა უგერგილოდ.

ასობით ვიტრინა ბრწყინავს პერაზე, საელჩოების თავზე ფრიალებს უფხოეთის დროშები, ხმაურობს. ფაციფუცობს, სავაჭროდანი სავაჭროში დაიხეტება. ტკბილეულობას ჭამს, ფორთოხლის ნაფცქვენებს, ძირს ყრის გზაყვარედინებზე ბალდახინების ქვეშ მალალ სავარძლებზე მოძვრება და ფრანსაკ მელს იწმენდა თორმეტენოვანი ბრბო.

პერას მონაკვიანებულ შუა ტროტუარზე ზიზღით მიაბიჯებს უზღესული ოფიცერი და იდაყვებს ჰკრავს ფესვიან კაცუნება. დასეირნობს ულვანო ფრანგი, რომელსაც ოჭროთი მოსირმული შინდისფერი ეგვი ახურავს, მწვანე კრაგებზე ატყაპ იტყაუენებს და ისეთი იერით, თითქოს ამბობს: შინად ვარ ბქვენდა სამაახურადო: საუცხოო პროფილა აბრუნება ნახევრად სემპვირვალე ჩადრის მიღმა გამკრთალი პაწია პირობახისკენ, ჩალის ქუდია ქვეშ მჩინარი გაპუდრული კუკნა ცხვირისკენ, ფერმკრთალი ბერძენი ქალის ნაცრისფერთმიანი პატარა თავისკენ.

პერაზე ჯგუფ-ჯგუფად დაეხეტებიან რუსი ოფიცრები; მათ სამხრეებზე თავის ქალა და ძვლები უჩანთ, მაგრამ დაკმუჭნილი კარტუზები ახურავთ, ჯიბიდან გაყვლეფილი მაუზერები ამოშვერიათ. უცნაურად და დატაკურად ჩაცმული რუსი ქალები ნალვლიანად აქცევენ ზურგს ვიტრინებს,

კუბრით და ვაგონის საცხით დასვრილი სამტვრე ლაზრის მონასლი რუსი ინტელიგენტები გატეხილ პენსნეს ისწორებენ ნაკვეთილებზე თავდაყირა მოტრიალე შრავალფუთიანი შამფურის წინ, რომელსაც გაჯაგრული, სახეაბზინებული აღმოსავლელი გრძელი დანით გემრიელ ნაჭრებს აჭრის. შემწვრისა და ტკბილეულის სუნში მისტიკური სევდით შეპყრობილი ყურნალისტი დაეხეტება და კონსტანტინოპოლში რუსული ანტიბოლშევიკური გაზეთის გამოცემის ნებართვაზე ოცნებობს.

პერაზე, გერმანული საქონლისა და ადგილობრივი ხარახურის ნარჩენებით მოვაჭრეთა ზონჩებსა და ურიკებზე ზრიალებენ, გამვლელებს ჭკუიდან შლიან ზარები, მალვიძარები, ზანზალაკები და ექვნები. გაუთავებლად ისმის ტრამვაების ზარის ხმა, ავტომობილების ხროტინ-პიპინი, ორცხენა ეტლების მეეტლეთა მათრახების ტყლაშუნი, რესტორანთა კარიდან მთვრალების კვალდაკვალ უბადრუკი ორკესტრების შერყვნილი ბგერები იჭრება. მთელი ეს ქოთქოთი ზღვის მალლა, პერაზეა.

პერას ძირას — ოქროს რქასა და გემების მისადგომებს შორის ქალაქის ამ საერთაშორისო ნაწილის ძირას — იწყება გალატა — ნავსადგურის ვიწრო, ჭუჭყიანი კვარტალები, პერას კალთა, სადაც მთელი მისი ჭუჭყი ჩაედინება, სადაც ჩარბის ყველა, ვისაც იქ, მალლა არ გაუმართლა.

გალატაში ხიდის მაზლობლად, საზარაფოებთან სემიონ ივანოვიჩი ფარნის ბოძა მიყრდნობოდა, თავზე ფესი ეხურა, ლოყებჩაცვენილ, ცუდად გაპარსულ სახეზე ცემა-ტყეპის ლილისფერ-ნარინჯისფერი ნაკვალევი ემჩნეოდა.

ტყეში გადაშხდარი უბედურების შემდეგ ორმა კვირამ განვლო. ხალკაზე მყოფმა რუსებმა არათუ კონსტანტინოპოლში ჩასვლის ნებართვა მიიღეს, ვინც ისურვებდა, შეეძლო უარი ეთქვა ულუფაზე, ანდა სულაც იქ გადასულიყო საცხოვრებლად. სემიონ ივანოვიჩი მეორე კვირა ცხოვრობდა გალატას ცენტრში. მაწამებლებმა საფულე ეს მოსტაცეს ტყეში, მაგრამ ვერ მიხვდნენ, ხელი ჩაეყოთ შარვალში, სადაც ყაჩაღების ოქროს ნარჩენი, პარკში ჩადებული თხუთმეტი ოქროს ათმანეთიანი ჰქონდა დამალული.

სწორედ ამ უბადრუკი ნარჩენით ცხოვრობდა ახლა სემიონ ივანოვიჩი სასტუმრო „აღმოსავლეთის ტკბილეულობაში“, მეძავეებით, ქურდებით, სუტენიორებით, მთვრალი მეზღვაურებითა და სრულიად გაურკვეველი შავტუხა პიროვნებებით სავსე ამშორებულ სამსართულიან შენობაში.

სემიონ ივანოვიჩმა თხუთმეტი ოქროს თუმნიანიდან თორმეტი პარკითურთ ყელზე შეიბა და ფხიზლად ინახავდა: ეს იყო ცხოვრების უკანასკნელი იმედი. ყველაფერს ჭამდა, რაც მოხვდებოდა, მთელი დღე საზარაფოებთან, ფარდულებსა და ზონჩებთან დაყრიალებდა, სადაც ზარები წვრიალებდა, ყვალაფერს აყურადებდა, იცქერდებოდა, ლევანტიურ ქარგონს, ენის წელაპუნსა და უცბად ახედვას სწავლობდა.

ნევზოროვი მალლა, პერაზე არ ადიოდა, არ უნდოდა არასასურველ ხალხს გადაყროდა. თანაც რისთვისა გაელიზიანებინა თავი სხვისი ფუფუნებისა და

სვესვიანობის ხილვით. ტყეში გადამხდარი ამბის შემდეგ სული დაუშინდა, ფრთხილი და ყურადღებიანი გახდა თვლებქვეშ მოყოლილი ძალღივი.

სემიონ ივანოვიჩი დაუკვირდა ხონჩებით მოვაჭრებს, ზარბაზნებს და ბირჟის შუამავლებს, მაგრამ მათი საქმიანობა ნაკლებ საინტერესო იქნა და უარი თქვა. რესტორანში სამსახური, დღიური მუშაობა, მუშაობა, ფეხსაცმლის წმენდა მოსაწყენ, დამტანცველ, მცირე შემოსავლიანი საქმედ ეჩვენებოდა. რჩებოდა საკომისიო მოღვაწეობა, რაც უფრო შეეფერებოდა ახლა მის გემოვნებასა და შესაძლებლობას.

სემიონ ივანოვიჩმა მცირედან დაიწყო: „აღმოსავლეთის ტყბილეულობაში“ თავის მეზობელ გზასამცდარ გოგოს, იშაკ მამეს, შესთავაზა. კავალერს მოგიყვანო. მთვრალი იშაკ მამესთვის წინა დღით ნავსადგურში ტანთ გაეხადათ და ქუჩაში რომ გასულიყო, ჩასაცმელი არაფერი ჰქონდა. ნევზოროვი ნავმისადგომზე გაიქცა და დამტვრეული ლევანტიურით მიმართა მოფუსფუსე ნავსადგურში შერკეტიდან ახლახან გადმოსულ უფლვამო რუსს იუნკერს.

— რუსო, არ გინდა, სულთანის პარამხანის გოგო? ვაჰ, (ენას აწკლავუნებს, თვლებს მალა სწევს) რა სიმპათიური, არომატულია, მთლად რახათლუნხუმია, ფუმფულა, თეთრი, ტყბილი — ვაჰ, ვაჰ... გამომყევი.

ახალგაზრდას სახე აელეწა, შემდეგ ჩაიციხა, ჩაიბურტყუნა: რას ჩმახავ, თურქო მამაძაღლოო, და სემიონ ივანოვიჩს „აღმოსავლურ ტყბილეულობაში“ გაჰყვა. ამ პირველი კომისიისთვის ნევზოროვს იუნკერმა ერთი ლირა მისცა, ხოლო მადლიერმა გოგომ დამით ლოგინში ჩაიწვინა.

სემიონ ივანოვიჩმა საკომისიო მოღვაწეობა სხვა მიმართულებითაც სცადა, მაგრამ დიდ კონკურენციას შეეჯახა, ერთი სკუტარიელი დაეჭაძნა კიდევ — წელებს გადმოგაყრევინებო. იძულებული გახდა წვრილ-წვრილი მაქანკლობით შემოფარგლულიყო.

იშაკ მამეს გარდა ნევზოროვმა გაიცნო მულატი დები — ხაე და ზამბა, უჩვეულოდ ზანტი და უზომოდ ვნებიანი ქალიშვილები. ისინი უქმელნი სამსამი დღე ეყარნენ ხოლმე ნომერში გაცრეცილ დივანებზე. სემიონ ივანოვიჩი ამ კლიენტების გულშემატკივარიც გახდა და მათთან ქალებზე დამშეული რუსები დაჰყავდა. შემოსავალიც დღეში ზოგჯერ ხუთ ლირამდე ეზრდებოდა.

სხვა ნევზოროვის ადგილზე თავს სამოთხეში იგრძნობდა. ჩაიკმევდა, სმა-ჭამით მოიკეთებდა. ლაქის ფეხსაცმელს შეიძენდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, იგი მოუსვენარი და მეოცნებე ააცი იყო. თავიდან არ შორდებოდა ბოშას წინასწარმეტყველება და მკერდზე დაკიდებულ პარკში მწირ შემოსავალს აგროვებდა, სჯეროდა, რომ ბედი თუნდაც ერთხელ კიდევ აღამალლებდა. მერედა, განა ამ უკანასკნელი ვიგინდარა იშაკ მამეთი, ხაეთი და ზამბათი დაიპყრობდა კონსტანტინოპოლს. ეჰ, ფული ჰქონოდა, იცოდა, როგორი ქალები ჩაერთო საქმეში. „მოსკოველი პრინცესების სასახლე, ანუ არისტოკრატი ქალთა სალონი“, აი, რა თამამი ჯეგმა ვაუჩნდა გემზე ოქროსფერი დაისის ეამს.

მაგრამ ბედი ჯერჯერობით უღმობელი იყო. სემიონ ივანოვიჩი ეამი-ეამ დაღლილობას გრძნობდა. ახლაც ფარნის ბოძთან მდგომი თვლებმოჭუტული ზიზღით უცქეროდა ბრბოს, რომელიც ხიდის გადავლით პერადან სტამბოლში მიდიოდა. სტამბოლიდან პერაში, საზარფოებთან და ხონჩებთან,

ტრამვაის გაჩერებებთან გროვდებოდა. მზე აჭერდა, უსწორმასწორო ქვაფენილზე ქარი ნაგავს მოაქროლებდა, სანაპიროზე კრაქუნნი გაჭქონდა, ნავმისადგომებს, ორჩხომელებსა და ნავეებს. ნევზოროვს ზიზღი დაეფულა.

„პარაზიტები, — ფიქრობდა სემიონ ივანოვიჩი, — უკიდურესად, აქ არც ერთი წესიერი კაცი არაა... სუყველას ნავთი უნდა გადგას და აგწვით ქალაქთან ერთად. ცივილიზაცია კია...“

დღეს არაფერი გამოდიოდა. აი, ორმა ინგლისელმა მეზღვაურმა ჩაიარა. სემიონ ივანოვიჩმა ევროპულად, გამოთქმით უთხრა:

— ხაუ დუ იუდუ, კარჭი ხანუმი, იჩკ ჩიკ, — ვუღე ვუ?

მეზღვაურები არც შემობრუნებულან. ფარნის ბოძთან პაპიროსის მოსაკიდებლად გაჩერდა ჩაფსკვნილი, ჭალარაშერეული, მკაცრი შესახედაობის რუსი. ლოყაზე დაჯიჯგნული თეთრი ნაჭრილობევი აჩნდა.

— ჰაიდა, რუსო, პარამხანის მხევალი არის, სიმპათიური, არომატული... — უთხრა ნევზოროვმა.

მკაცრი შესახედაობის რუსმა მოულოდნელად უშვერად შეიგინა და ჩაიარა. ასევე გაექცა ფრანგი კაპრალიც; იგი ნევზოროვს თავისებურად გამოელაპარაკა. მხარზეც კი გაუტყაპუნა ხელი, რატრატებდა, წითელი ღვინოთ დაბერილ თვალებს აყვრიანებდა, მაგრამ სემიონ ივანოვიჩი დაიბნა და კლიენტი ხელიდან გამოეცალა. გვერდით დასუნსულელებდნენ ბერძნები, სომხები, იტალიელები, ლევანტიელები, მტვრის გამოისობით თვალებს ჭუტავდნენ და იფურთხებოდნენ. თურქები არ ჩანდნენ, ვინაიდან იმ ხანებში კონსტანტინოპოლში საერთოდ ცოტანი იყვნენ.

სემიონ ივანოვიჩმა უკვე ადგილის შეცვლა დააპირა, რომ ვეება, გაპარული, აგზნებული და გაოფლილი კაცი ეძებრა. კაცს ქერელის ტილოს ჭუჭყიანი პალტო ეცვა. შედგა, ჩააცქერდა ნევზოროვს, ოქროს ებილებით საფეპირი დაადო და ცხენივით აკიხვინდა. ეს იყო რტიშჩევი...

— ვრაფო, შენა ხარ! — იყვირა რტიშჩევმა. — გაიპარსე, ძალღიშვილი ხარ რაღა, შენი ღდინი არ იყოს! რას აკეთებ აქ?

— ქალებით ვვაჭრობ, — დარბაისლურად მიუგო სემიონ ივანოვიჩმა.

— მოეშვი, გაკოტრდები. დიდებული გეგმა მაქვს. წავიდეთ, გაგაცნობ.

ქუჩა, სადაც რტიშჩევი და სემიონ ივანოვიჩი შევიდნენ, გალატას ცენტრში მდებარეობდა, ვიწრო იყო, უტროტუარო, ძველი ფილებით მოგებულნი. ეს გახლდათ ნევზოროვის ნაჩვევი ადგილი.

ჭვეყნის ხუთივე ნაწილში მეზღვაურს ვერ ნახავდით, რომ თავის დროზე ამხანაგებთან ხელიხელგაყრილს, ღრიალით და ბორძიკით არ ეხეტიალა აქ მაკუთუნებელი კარ-ფანჯრების სიახლოვეს, მთელი დღე-ღამეობით დადიოდა ამ ქუჩაზე ხმაურიანი და უდარდელი ხალხი, ფლოქვებით ბეჯნიდნენ მას სახედროები; ყვიროდნენ ტკბილეულობის გამყიდველნი, ქალის ხელები შიგნიდან აკაკუნებდნენ მინაზე, იბერტყებოდა ნოხები, ადამიანები მორბოდნენ აკანდალის საყურებლად, იდგა მწვადების, თამბაქოსა და ტკბილეულობის ბუღი.

სემიონ ივანოვიჩი აქ შინაური კაცი იყო. რტიშჩევს ღირაქმანიშნავ ადგილებს უჩვენებდა. აგერ — ნარგილებგამოჩრილი უსინათლო პატარა ფანჯრები. გუშინ აქ ამერიკელმა მეზღვაურებმა ჩილეური ხერხით მოკლეს ერთი

სუტენორი, ესე იგი, ერთმა მათგანმა, ზანგმა, თმაში სამართებელი ჩაიღო: გაექანა და თავური აქამა მას. აი, ვარდებმითიხნილი კარი — აქ მუცლის ცეკვას ასრულებდნენ. აი, კარტის სათამაშო ბუნაგი, რომელიც ამას წინათ დაკეტეს საოკუბაციო ხელისუფლებმა.

შემდეგ სემიონ ივანოვიჩმა რტიშჩევს ქუჩის ორივე მხარეს, რითქმის მიწის პირას განლაგებული ალათიანი დიდი ფანჯრები უზენაეს ფანჯრები საქვეყნოდ ცნობილი გასართობი სახლებისა იყო. ამ ვიტრინების მძლავრ ნახებსა და კრეტონგადაკრულ პატარა ტახტებზე მწვანე, ალისფერი, ჭყეტელა ყვითელი შარვლებით მოსილი, მუცელმოშიშვლებული, შეღებილი და შეპუდრული მსუქან-მსუქანი გოგონები იწვნენ, რიდეები და მონეტებიანი პატარა ქუდები ეხურათ, შაშხივით. ყველას დასანახად იწვნენ, მოჩოლოფთებულად და მოთენთილად ეყარნენ. აღმოსავლელები აქ რომ ჩაირბენდნენ, იკურთხებოდნენ და თვალებს კარკლავდნენ. ჭკუაზე შლიდათ ეს ტკბილეულობა.

აქვე იმართებოდა მთავარი ბრძოლები სხვადასხვა ფლოტის მეზღვაურთა შორის. ომამდე ჩვეულებისამებრ ყველას რუსი მეზღვაურები ერეოდნენ. ისინი მხარდამხარ, მეგობრულად დადიოდნენ, თუჯის მუშტებით ამსხვრევდნენ თურქულ, ფრანგულ, იტალიურ ღაწვის ძვლებს. ინგლისელებიც კი, რომელნიც მაგრად ჩხუბობდნენ ერთი-ერთზე, კბილებს აფურთხებდნენ და ღმუხილით ტოვებდნენ გასართობ სახლებს, რუსებს უთმობდნენ ფანჯრებს მიღმა მყოფ ლამაზმანებს.

გასართობი სახლების ყურის ძირში იდგა სასტუმრო „აღმოსავლეთის ტკბილეულობა“. სემიონ ივანოვიჩმა რტიშჩევი თავისთან შეიყვანა და იქ ასეთი საუბარი გაიმართა:

— ნევზოროვ, შენი ღდინი არ იყოს, ფული გაქვს?

— არა.

— მე პრინციპოზე (კუნძულია ხალკის გვერდით) რუსებმა გამფხიკეს. პატარა, სავსებით უწყინარი, უგოგოებო ბუნაგი გავხსენი. იცი, ვფიქრობ, კუნძული სავსეა არისტოკრატებით, საჭიროა, კეთილშობილური საქმეა-მეთქი; ასეთი სისულელე არასდროს დამმართნია. საქმე დაიძრა, მაგიდასთან „ცხრიანს“ თამაშობს პეტერბურგის ნაღები. რა ბეწვეული, რა ბრილიანტები. აქამდე ვერ გამოვიდა, ბოლშევიკებს როგორ გამოაპარეს. ამბობენ, ზოგი უკანალში ირჭობდა ას-ას კარატსო. მომაქვს თეთრი ღვინო, კრუშონი. სინაზე, სინატიფე. შენ წარმოიდგინე, მოთამაშეთა ოცდახუთი პროცენტი შულერი აღმოჩნდა. მე მთელი იდეალიზმი დავკარგე. რატომ არა გაქვს ფული, პირუტყვი?

— გაქურდული ვარ, ნაცემი, ხედავ, დალილავებული ვარ.

— დასანანია, — დაფიქრებით თქვა რტიშჩევმა. — გეგმა მაქვს ამ ქუჩაზე გავხსნა ღუქანი, გავხსნა „ცხრიანი“.

— აკრძალულია, მე უკვე ვფიქრობდი.

— რას ამბობ? კი, მაგრამ „ოცდაათი — ორმოცი“?

— აკრძალულია.

— რულეტი?.. მე, ძმაო, ისეთი კრუპიე გავიცანი, წრეს სურვილისამებრ, როცა გინდა, მაშინ მოაბრუნებს და, „ნული“ იქნება. ამბობს, რულეტი ოქროს მადანიაო.

— აკრძალულია.

რტიშჩევმა ხელი ხეთქა მაგიდას და წყევლა-კრულვა შეუთვალა საოკუპაციო ხელისუფლებას, ანტანტას, ევროპას, კაცობრიობას; აქოთებულ ხელსაბანთან მივიდა და მოტვლებილ თავზე სურიდან წყალი გადაიხრა.

— პო, კარგი. — ისევ ყვიროდა რტიშჩევი. — კარგი, ცხივრებას მიკრძალავენ, სუნთქვას მიკრძალავენ. კარგი! მაშინ მე საიდუმლოებებს ვხსნი. ქურდებისთვის. მთვრალი მეზღვაურებისთვის. უნაძინებლობისათვის. თანახმა ხარ სანახევროდ იმუშაო? კლიენტებს შენ მოიყვან. წავიდეთ, შენობა მოვძებნოთ.

რტიშჩევის ბობოქარმა საქმიანობამ ყველა დაბრკოლება დასძლია. რტიშჩევმა სასტუმრო „აღმოსავლეთის ტკბილეულობის“ პირდაპირ იჯარით აიღო ავადმყოფი ბერძნის, სინობლის მოუვლელი ყავახანა, სადაც ბუზებს დიდი ხანია მოეთითხნათ ფანჯრები, სპილენძის ჭურჭლეული და თვითონ ბერძენი, მთელი დღეობით რომ დახლში იდგა, მტვერს დაეფარა.

რტიშჩევმა სემიონ ივანოვიჩთან ერთად მაგარ დივანებს გადაფარებული, ჯდომით თითქმის გახვრეტილი ნოხები გაბერტყა. ავტურით გახეხა საყავეები, აერის სპილენძის ნაწილები, კუთხეებიდან სქელი აბლაბუდა გამოწმინდა და ლურსმნებით შეკრა მორყეული მაგიდები; ავადმყოფი ბერძენი სლოკინებდა, ვიწვიშებდა, ჰკვირობდა.

შემდეგ მღებავმა, გაქნილმა იტალიელმა ბიჭმა შესასვლელი კარი ხასხასა მწვანე ფერად შეღება. კარის ერთ ნახევარზე ნევზოროვი დახატა (მას ფესი ეხურა და ჩიბუხი ეჭირა), მეორეზე — რტიშჩევი. რტიშჩევი სათუთუნეზე დახატული სპარსეთის შაჰს დაამსგავსა. მას ჯილიანი ჩალმა დაახურა და ხელში კარტის დასტა დააჭერინა. რტიშჩევი სდფროთოვანებული დარჩა:

— სახელგანთქმული მხატვრები მხატავდნენ მე, რეპინი, სეროვი და კუსტოდინი. დიდ ფულს ღებულობდნენ, მთხუბნიდნენ ის უბედურები და თვით არსის გაგება არ შეეძლოთ. მაგათი დღინი არ იყოს: აი, ეს ვი პორტრეტი! მოხუცი ბერძნის აბრა არ ჩამოულიათ, მაგრამ ფანჯარას ასეთი ხელნაწერი პლაკატი მიაწებეს:

შე მოდი და სიამოვნების განგანცვიფრდები.

იმავე მანე და მულატი დები — ხაე და ზამბა ყავახანაში იმისთვის მიიწვიეს, რომ იქ მახდარიყვნენ. ამისთვის ღებულობდნენ ჭიქა „დუზიკს“ და პალვას. რაბათლუხუმა, შარბათს, რამდენსაც ჩაიტევდნენ, იმდენ მოშაქრულ ჯაყალს: რტიშჩევი დიდბუნებოვანი კაცი იყო, მე ექსპლუატატორი ვი არ ვარ. — უყვიროდა ნევზოროვის, — გოგო მაძლარი უნდა იყოს და ბედნიერი, ლოყა რომ ენით აულოკო, შაქრის გემო უნდა აგყვესო...

კარტის სათამაშო მაგიდა ყავახანის სიღრმეში ნოხის ფარდის იქით დადგეს.

— ეს წმიდათაწმიდა ადვილია, — თქვა რტიშჩევმა. — დამის ორი საათის შემდეგ, როცა დარბაისელი ხალხი დარჩება, მე ფარდის იქიდან გამოვალ და კარტის დასტას გავატყავუნებ.

ამას გარდა დაიჭირავეს ორი მუსიკოსი — ომში თვალეზღაშრეტილი ინვალიდი თურქები.

— ფული რომ მომცა, ფული რომ მომცა, — გაიმეორა რტიშჩევმა, — მთელ კონსტანტინოპოლს თავდაყირა დავაყენებდი. გრაფო, ყავახანის გასახსნელად საჭიროა გეგმა. გოგოებს ქვედა კაბების ფრიალს შეუძლიათ, მაგრამ ეს ცოტაა. შენ კუბლეტები უნდა იმღერო.

— არ შემიძლია, ჩემს სიცოცხლეში არ მიმღერია, თქვენს მღეროდნენ.

— მაშინ გიბრძანებ, მე შენ გაგაგდებ. თვითონ გავრჩენიყავი და რომელიმე შანსონეტს ვიმღერებ ფრანგულ ენაზე. უმეცარო, შენ შეგიძლია რუსულად იმღერო.

სემიონ ივანოვიჩმა მხრები აიჩეჩა: „ეეთილი, ვიმღერებ“. იგი მუშაობდა ფაციფუცობდა, მაგრამ დამფრთხალი სულის სიღრმეში წარმატებისა არ სჯეროდა. გრძნობდა, რომ მათ წამოწყებას რაღაც აკლდა, ოღონდ რა, ვერ გაეგო.

დადგა ყავახანის გახსნის საღამო. რტიშჩევს ვიზიტურა ეცვა და მინის ფრთიანი თეთრი ჩალმა ეხურა. იგი წამდაუწყებლად გარეთ გარბოდა, თავისი პორტრეტის გვერდით დგებოდა, გამგვირავად უცქეროდა გამვლელებს და თვალს უკრავდა. ეს ყაცი უზომოდ პატივმოყვარე იყო.

სემიონ ივანოვიჩი გასუფთავდა და გაიპარსა, გუტაპერჩის საყელოზე კრელი, ყელსახვევი გაიკეთა. ხაემ და ზამბამ სკლად წაისვეს პუდრი, გაიკეთეს უამრავი ავგაროზი და წვიმაში მოყოლილი სირაქლემას ფრთები. იმავე მამე მთვრალი მოვიდა, დაფხრეწილი კაბა ეცვა, მაგრამ თოჯინასავეთ თმადანვეული და ფერუმარილწასმული იყო. ყველაფერი წესრიგზე გახლდათ. ყავახანაში ნავთის ლამპა აანთეს. ყავით მოლონიერებულმა ინვალიდებმა დაუყრეს: ერთმა სიმები აახშიანა, მეორემ საყვირი. ეს იყო რაღაც შესაბრალონი და გულის გამაწვრილებელი, როგორც ნალველი დაშრეტულ თვალებში.

ბოლოს გამოჩნდნენ სტუმრებიც. კარში გვერდულად შემოვიდა ჩიტის სახიანი, ორი შავტუხა შუბლშეკმუხნილი სუტენიორი, თითო სირჩა, „დუზიკი“ მოითხოვეს. ისინი თვალს აქეთ-იქით აცეცებდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. შემდეგ გამოჩნდა მალალ-მალალი, საშინლად ფერმკრთალი ყაცი; მეზღვაურის შარვალი ეცვა, ზემოთ კი მარტო პერანგი. თავი გაეპარსა, მხოლოდ კინკრიხოზე უჩანდა აბურდული ქოჩორი. ყური გაგლეჯილი და გასისხლიანებული ჰქონდა. მუშტები მაგიდაზე დააწყო და გაშმაგებული რაღაცას ჩურჩულებდა თავისთვის. კბილებს აღრქიალებდა. შემოვიდა სიმალლითა და ხნოვანებით თხუთმეტოდე წლია მოხდენილი ყმაწვილი — ბირჯის ბედნიერი მოთამაშე, მომავალი ფინანსური გენია — ცხვირგაბუმტული, პირშესიებული ბიჭი. მას ქვაბქუდა ეხურა. ბრილიანტის ჭინძისთავი ეკეთა და პატარა ხელჯოხი ეჭირა ჩარლი ჩაპლინივით. ბიჭი გალატას ბინძურ ბუნაგებში ერთობოდა. იმავე მამე და მულატები მაშინვე მიუსხდნენ მის მაგიდას. შემდეგ მოვიდა დენიკინის ოფიცერი; ოფიცერი გაღეშილი იყო, მაგრამ ფეხზე მაგრად იდგა. ლიმონიანი ყავა და ბენედიქტინი მოითხოვა. იგი თვალეზარეული წინ იცქირებოდა და უცნაურად მოლიმარი ბურტყუნებდა:

— მაჰმადიანებო, იახიჩრებო, ბაღლინჯოს მქამელებო, ყველას დაგხოცავთ.

ყავახანა თანდათან ივსებოდა. სასმელებს მაინცდამაინც არ ითხოვდნენ. სტუმრები, ეტყობა, ელოდნენ, რით განაცვიფრდებდნენ აქ, ბრმა თურქე-

ბმა გული წაიღეს სევდიანი წიწკინ-ჭყვიტინით. განწყობილება ფუჭდებოდა. მაშინ რტიშჩევმა მაცდურად გააეღვა ოქროს კბილები და ფრანგულად გამოაცხადა:

— შანსონ ნაციონალ ა ლია რიუს, რუსულ ეროვნულ სიმღერას შეასრულებს პეტროგრადის რჩეული სემიონ ნევზოროვი...

სემიონ ივანოვიჩს მაშინვე გაუხევედა ხელ-ფეხები და მუხუცეულში ჩაეკარგა, თვალებში მომსვლელთა სახეები აებურდა, მაგრამ ქალიშვილებმა ტაშის და ჭყვიგლი ატეხეს. ნევზოროვი შუა დარბაზში გამოვიდა, თავი დასტუმრებს. ამ დროს ფესი შუბლზე ჩამოუცურდა და აღარც აუწეოთითებგაშეშებული ხელი განზე გასწია და თითქოს კასრიდან ლაპარაკოთქვა:



— რუსული ეროვნული სიმღერა.

ჩაახველა. სიტყვები, რომელთაც დილიდან ასწავლიდა რტიშჩევი, გონეში აერდაერია, აი, საზარელი ხმით დაიწყო:

წავედი მე დანტისტთან.
და სპეციალისტთან,
რათა კბილი ჩაესვა.
ტრამ პა, ტრამ პა, ტრამ პა...
ეს იყო დიდი ვაჟაკი
კბილი ჩამოსვა ჭანსალი,
ჰოდა, აიღო რუპია...
ტრამ პა, ტრამ პა...

სემიონ ივანოვიჩმა თვალი მოატანა, რტიშჩევმა როგორ წაიღო ხელი ჩალმისკენ, თითქოს თავზე უნდა იტაცოსო. კუბლეტი მაინც დაამთავრა და დაჯდა.

— დახვრიტეთ, — მშვიდად თქვა მთვრალმა ოფიცერმა.

სემიონ ივანოვიჩს თვითონაც ესმოდა, რომ კუბლეტი ჩაუვარდა. საჭირო იყო მდგომარეობის გამოსწორება. რტიშჩევმა ქუჩაში გაიხედა და შიშნეულად აცნობა, კაფეს პირდაპირ, იქეთა მხარეს „ფარაონი დგასო“. მერედ და როგორ იდგა ეს წყვეული თურქი პოლიციელი, განძრეულიყო მაინც. ნევზოროვი და რტიშჩევი იძულებული გახდნენ რისკი გაეწიათ.

მოულოდნელად რტიშჩევმა ბანქოს მაგიდას ჩამოფარებული ფარდა ასწია და უპატივეცემულესი პუბლიკის წინაშე წარსდგა ზუსტად ისე, როგორც ყავახანის კარზე ეხატა, აწეულ ხელში კარტის დასტა ეჭირა.

— ფეტ ო ეე, მესიედამ, ვიწყებთ! ფსონი ჩამოსულია!

ზეზე წამოდგნენ სუტენიორები, მთვრალი ოფიცერი, ფინანსური გენია გოგოებთან ერთად. ათამდე კაცი მიუსხდა მაგიდას. ფარდა ჩამოუშვეს. ბრმა თურქები სულის ღრღინას განაგრძობდნენ. სემიონ ივანოვიჩმა, რომელსაც გული კარგს არას უგრძნობდა. ჭუჭყიანი სირჩები ააღაგა. ისმოდა მოთამაშეთა მოკლე შეძახილები. კარტის ტკაცუნნი და რტიშჩევის იღუმალი ნათქვამი:

— თქვენა ჭერია. ფსონი ჩამოსულია, ბიჭებო! ფაფუ, წირვა გამოსულია! ბატონი ბრძანდებით.

ამ დროს ყავახანაში მშვიდად შემოვიდა თურქი პოლიციელი, ფარდა

გადასიწა და მაგიდიდან ერთბაშად განზე გამხტარ მოთამაშეებს ხორხისნი-
ერი ხმით რაღაც უთხრა. პირველად მის გვერდით ანკარაავით გაახლტა
გარეთ ფინანსური გენია, ყავახანა ერთ წუთში დაცარიელდა რტიშჩევს და-
ნაშაულზე წაასწრეს.

სერგეი
გოგოშვილი

პოლიციელთან მოლაპარაკება მოკლედ და მარტივად წარიმართა. პოლი-
ციელმა მძვინვარედ გადმოკარკლა თვალები, თითი ყელში გამოისვა და
გამოყო. რტიშჩევი და სემიონ ივანოვიჩი დაფრთხნენ. პოლიციელმა
ნა. ყვითელი კბილები გამოაჩინა. თვალები მოჭუტა და იმავე თითი
ვის ხელისგულზე ანიშნა მასპინძლებს. სემიონ ივანოვიჩი იძულებულ
და მკერდიდან საჩუყვარი პარკი მოეხსნა და მთელი დანაზოგი წყვეული
ქისტვია მიეცა.

შემდეგ სემიონ ივანოვიჩი და რტიშჩევი ლამპის ქვეშ მაგიდას მიუბრ-
უნენ. ზედ ჩამოეყრდნენ და პირქუშად დადუმდნენ. ავადმყოფი ბერძენი სუ-
სტად ასლოკინებდა დახლს იქით. საქმე ჩანასახშივე ჩაიფუშა.

რტიშჩევმა სემიონ ივანოვიჩს შესთავაზა, ოქროს რქის უბეში დაეხრჩოთ
თავი. სემიონ ივანოვიჩი ჩალმის მინია ფრთაზე მისჩერებოდა. ცოტა ზანს
იყუჩა: მართლაც რატომ არ დაეხრჩოთ თავი. მას გონებაში არავითარი აზ-
რი არ უბოგინებდა. იმედის-ჩანახიც კი წარბოცოდა, მთელი ეს დღეები რომ
ასაზრდოებდა.

და იი. განადგურებულმა, ბედის მიერ ფეხდადგმულმა სემიონ ივანო-
ვიჩმა ამ წუთს უცნაურ მდგომარეობაში იგრძნო თავი. მოეჩვენა, რომ ყვე-
ლაფერი: მაგიდაც, დაკმუჭნილი სუფრაც და ზედ გამოსახული თავიანი თა-
ვის ჩრდილიც ერთხელ უკვე ნახა. თანაც უეჭველად ნახა, მაგრამ სად, რო-
დის?

სწორედ ამ წუთში მაგიდაზე გარბოდა ტარაკანი. სემიონ ივანოვიჩს
თითქოს გონება გაუნათლა. გაახსენდა. ეს იყო ოდესაში! მაგიდაზე ააყვე გა-
რბოდა ტარაკანი, „ე, შე ჩორთმავალო“. — გაავლო გულში ჯერ კიდევ
მაშინ და მწერი წკიპურტით გადმოაგდო ძირს.

მაგრამ რატომ, რატომ ამ წუთს გაახსენდა ისეთი უგვანი წვრილმანი,
როგორცაა ოდესაში ნანახი ტარაკანი? სემიონ ივანოვიჩი შეიკმუხნა, ცდი-
ლობდა მის ცხოვრებაში ტარაკანების გამოჩენის არსს ჩაწვდომოდა. (მძი-
შე წუთებში იგი ყოველთვის მიმართავდა მისტიკას.) აგერ მეორე ტარაკანი
გამოძვრა ლამბაქის ქვემოდან და პირველს გაეკიდა.

— მეორე გაასწრებს, ათ პიაატრს ვღებ სახაძლეოა, პირქუშად თქვა
რტიშჩევმა.

სემიონ ივანოვიჩი წინაშე წამიერად და თვალისმოძვრელად გადაიშა-
ლა პერსპექტივა. იგი კშენით წამოდგა და რტიშჩევს ფრჩხილები ჩაასო
მხრებში:

ვიპოვე. ეს იქნება მშვენიერება. ზვალ მთელი გალატა მოგვაწყდე-
ბა.

გავიფიქრი?

— ტარაკანების რბოლა. — სემიონ ივანოვიჩმა კიქას სტაცა ხელი
და ორივე ტარაკანს დააფარა. — ეს საოკუპაციო ხელისუფლებმა ვერ გაითვა-
ლისწინეს. ეს კანონიერია. ეს აზარტულია.

რტიშჩევი გაოგნებული უცქეროდა ნევზოროვს, შემდეგ დაიქშინა, ჩაეხუტა და კოცნა დაუწყა ანთებულ თავის ქალაზე.

— გრაფო, გენიოსი ხარ. გრაფო, ჩვენ გადავრჩით. ასე ათასი თურქული გირვანქა მიეცი გასამცლელოდ. სახეში შევაფურცებთ ხომ მილიონიანი წამოწყებაა!..

სემიონ ივანოვიჩი და რტიშჩევი სამი დღე-ღამე იჭერდნენ ტარაკანებს სასტუმრო „აღმოსავლეთის ტკბილეულობაში“, სინჯავდნენ, ცდიდნენ, ახარისხებდნენ.

გადარჩეული, მსუქანი, კანკმალალი, დიდუღვაშა ტარაკანები თეთრი საღებავით დანიშნეს, ზურგზე ნომრები დააწერეს. მათ წვრთნიდნენ, ესე იგი, როცა ტარაკანს დაამშევდნენ, ხის პატარა მაშებით იღებდნენ და მაგიდაზე სვამდნენ. მაგიდის მეორე მხარეს ტკბილი ფუნთუშის ნამცეცებს ფანტავდნენ. მშვიერი ტარაკანი გარბოდა. თუ სწორხაზოვნად არ გარბოდა, ისევ ადრინდელ ადგილას სვამდნენ. შემდეგ ნაწრთობ ტარაკანებს ერთდროულად ათ-ათს უშვებდნენ ცარცის ხაზიდან.

ეს შეჯიბრებები ისე აზარტული აღმოჩნდა, მესამე ღამეს ნევზოროვმა მესამე ნომერი ტარაკანით — აბდულკათი რტიშჩევს ახალი ვიზიტურა და ქვაბქუდა მოუგო.

თუმცა ვიზიტურა მაშინვე გაყიდეს, რათა შეეძინათ სარბოლი ბილიკი, ესე იგი, განსაკუთრებული დაფა, ბილიარდის ქიმებიანი მაგიდის მაგვარი, რომელსაც ჰქონდა ნომრები, ზანზალაკები და ნამცეცების ღრმულები.

და აი, ბერძენი სინოპლის ყავახანის კარზემით, ნევზოროვისა და რტიშჩევის პორტრეტების მალლა, ტროტუარის გარდიგარდმო გაჩნდა აბრა:

გაწვრთნილი ტარაკანების რბოლა

რუსული ხალხური გართობა

სადამო ხანისთვის ეს ამბავი მთელ გალატას მოედო. სინოპლის კართან ვერ გააღწევდით. ყავახანაში შესვლა ათი პიასტრი ღირდა. ტარაკანების რბოლის სანახავად ფანჯრების მოჩოლოფთებულ ლამაზმანებიც კი მოვიდნენ. ინგლისელი მეზღვაურების კომპანიამ სარბოლ ბილიკთან დაიკავა ადგილი. რტიშჩევს ცალ ხელში მაშები ეჭირა, მეორეში ტარაკანებიანი ქილა. რბოლის დაწყებამდე მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა ამ სასარგებლო მწერების უჩვეულო გონიერებასა და იმაზე, რომ ყველიერი რუსულ ქოხში ძველი რუსული გასართობის — ტარაკანების რბოლის გარეშე არ ჩაივლიდა.

მთელმა ეაფემ ტაში დაუკრა. რტიშჩევმა მოზდენილად დაიქნია მაშები და პირველი მრბოლელნი გაუშვა. მეზღვაურები სანაძლეოდ ათ გირვანქას ჩამოვიდნენ. რტიშჩევი არ შემცდარა: გამზდარი ტარაკანი, რომლისთვისაც უსუსური შესახედაობის გამო სანაძლეოს არავინ დებდა, პირველი მივიდა სტარტთან — სამფეროვან რუსულ დროშასთან. ნევზოროვს ტოტალიზატორი ეჭირა და ამჯერად არაფერი გაუცია. ინგლისელები გაცხარდნენ და მეორე მრბოლელების სანაძლეოდ ოცი გირვანქა დადეს. ხუთ გირვანქას ჩამოვიდნენ სუტენიორები და საროსკიპოების პატრონები. ბერძენმა სინოპლიმ სლოკინი შეწყვიტა.

შუა თამაში ნაცხობი პოლიციელი გამოჩნდა, მაგრამ ტარაკანები რომ დაინახა, დაიბნა. რტიშჩევმა მოკლედ შესთავაზა ადგილი მაგიდასთან და ჭიჭა არაყო.

— კიდევ ერთი გარბენა. — წამოიძახა რტიშჩევმა, — მონაწილეობენ მამლები, ორი წლისანი, გასული კვირიდან უჭმელნი, ეშმასავედუკუნე... ფავორიტი — მესამე ნომერი, აბდულკა.



ამ საღამოდან სემიონ ივანოვიჩის ბედ-იღბალი წალმა შემოტრიალდა.

ტარაკანების რბოლის ამბავი გალატას ჯურღმულებიდან ბრწყინვალე პერასაც მოედო, ნამძინარევე სტამბოლსაც და სკუტარის აზიურ შესახვევებსაც. რტიშჩევი და ნეკზოროვი თითქმის მთელი დღე-ღამეები მუშაობდნენ. სასტუმრო „აღმოსავლეთის ტკბილეულობაში“ ყველა ტარაკანი დაიჭირეს, გამოუჩნდნენ მიმბაძველნიც. ამიტომ რტიშჩევმა კარზე გამოაქრა გაფრთხილება „მხოლოდ აქ იმართება ერთადერთი და აპატენტებული რბოლა გათანაბრებული წონის მქონე მწერებისა, ანუ პან დიკაპი“.

სემიონ ივანოვიჩს ბანკში ყოველდღე საკმაოდ დიდი თანხა შეჰქონდა. და აი დადგა დღე, როცა მისი აფორიაქებული წარმოსახვა პერას ხმაურიან ბორცვებს მისწვდა. ისევ დაიწყო ოცნება არისტოკრატიულ სალონზე, გრაფინიებსა და თავადის ქალებზე (ნარნარად რომ ამოძრავებდნენ ფეხებს სკამებზე მსხდომნი), საკუთარ თავზე (სიამბუნაკლული, ფერმკრთალი და მიბნედილი საათის ოქროს ძეწკვს ათამაშებდა ფრაკის აბრეშუმის ფილეტზე). ეს ზმანება ღამლამობით აღვიძებდა, თვალებს უხევებდა და გულს უბორგებდა.

სემიონ ივანოვიჩმა კარგა ხანია გადააგდო ფესი და ყავახანაში სმოკინგითა და ლიმონისფერი ხელთათმანებით მოსილი მოდიოდა, ყელსახვევი-ფოქსტროტი ეკეთა და ვხურა ფეტრის ქუდი, რომელსაც შიგნით ნაოჭის დასამაგრებელი ჰქონდა. დახლს დაყრდნობილი, გაბუდრული და მღუმარე, გამოციებული თვალებით უცქეროდა ხალხს, ტარაკანის მოედანთან ხმაურით და თავხედურად რომ იჭუჭყებოდა. ერთხელ დაძინების წინ, როცა ფორთოხლისფერი აბრეშუმის ტრიკოტაჟის ნიფხვით მოსილ თავის ფეხებს ათვალთვებდა, რტიშჩევს უთხრა:

— საქმე ისაა, რომ დედაჩემს უკანონო ურთიერთობა ჰქონდა გრაფ გენდრიკოვთან, ზუსტად ერთი წლით ადრე ჩემს დაბადებამდე. მამაჩემს ყოველთვის ვხუდდი, არ ვიცი რატომ. ბედის თამაშია.

სემიონ ივანოვიჩმა ამოიოხრა, დაწვა მისი გემოვნებისთვის შეუფერებელ ლოგინში და მეტი აღარაფერი უთქვამს. დილით პერაში წავიდა, სმოკინგი ეცვა და ხელჯოხი ეჭირა, აუარ-ჩაუარა დიდებულ მაღაზიებს, ორი ჰაევანური სიგარა იყიდა, ერთხანს ბალდახინქვეშ, ფეხსაცმლის მწმენდავის დიდ სავარძელში დაჰყო (მწმენდავმა მხოლოდ გადაწმინდა მისი ლაქის ფეხსაცმელი), ქუდთან თითის მიდებით მიესალმა ვილაცებს და სასაუზმოდ შევიდა ტოკატლიანის რესტორანში, ყველაზე დიდებულ რესტორანში.

— სალათა, ხამანწკა, ბოთლი შაბლი და ყველი, — ებილებში გამოუცრა მეტრდოტელს.

შემდეგ ამოიღო პატენტისანი ნივთი — ერთდოულად მუნდშტუკიც რომ იყო, სანთებელაც, კბილსაჩიჩქნიც, ფანქარიც, ხერხიცა და სხვა — და ფრჩხილების წმენდა დაიწყო. იგი თავის აზრებს უღიმოდა.

განა დიდი ხნის წინათ იყო ეს: მოსკოვში. კაფე ბომში, ქალიშვილებს გრაფის გვირგვინიან სადარბაზო ბარათს რომ უჩვენებდა? ან ხარკოვისა და კიევის თავგადასავალი და კონტ დე ნეზორის სახელი? რამდენი სისულელე ჩაიდინა. რამდენი ფული დახარჯა უქნად. ამ შეკდომებისა და დაცემის, ოცნებისა და ბოდვის გზით ბოშაა მიერ ნაწინასწარმეტყველებული უსწრაფესი ბედს იგი ნამდვილი, ერთადერთი ქვეშაობიტი ცხოვრებისკენ... ამის გამოც ტყავი გამოიკვალა, იღმა-დაღმა იარა, გამოიწვრთნა, გარემოებას შეეთვისა და ახლა, ფრჩხილების წმენდას რომ განაგრძობდა, თუმცა უკვე ხამანწკებიც მობრთვეს და ღვინოც, თავს ისე გულდაჯერებულად გრძნობდა, როგორც ნათელი ევროპელი. ძველი, მყარი კულტურია წარმომადგენელი.

ვთქვათ, მეშჩანსკაიას ქუჩიდან ვარ, ვთქვათ, მამაჩემი არცაა გენდრიკო-ტობრალოდ ნეეზოროვია, რომელსაც იმავე მეშჩანსკაიაზე ააწვრილმანო ვთქვათ, ვთქვათ, ტყეში უწყესოდ მომეკცნენ ბატონი ოფიცრები. სამაგიეროდ ვთქვათ უკანასკნელ მოდაზე? ვინ ჩაყლაპა ახლა აი, ეს ხამანწკა? ვინ ატრცდა გვაშების გორაზე? ვინ აქცია სასარგებლო ვალუტად უსარგებლო და უხამსი მწერი ტარაკანი? მე, მე ერთმა, ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ: სემიონ ნეეზოროვი, ნათელი პიროვნება, ცხოვრების მეფე“.

სემიონ ივანოვიჩმა ბოლოს და ბოლოს ყელის მსუბუქი თრთოლვით ჩაყლაპა ხამანწკა. ამ დროს ტოკატლიანია რესტორანში სატანური პატივმოყვარეობის ფრთონვას განიცდიდა. იგი დაჯილდოებული იყო ყოველი გარჯისა და დამცირებისათვის. დაპარღვული ფეხებიც მიაბიჯებდა საუკუნო პერსპექტივის კვალდაკვალ, წინ დადებდაც.

სემიონ ივანოვიჩი ნათლად ზედაედა ამ გზის თანმიმდევრულ ეტაპებს. პირველი ეტაპი: პერაში ხსნის მშვენიერ ინტიმურ რესტორანს, რომელსაც კალაე კაბინეტები აქვს. რესტორანში იმართება ტარაკანების რბოლა. განსაკუთრებულად ჩხელთათვის იქნება ანისტოკრატული სალონი — შესავლა მხოლოდ ფრაკებით. სალონში ჩინებული კაბარეა, სადაც არულდება ანოცრად პიკანტური ნომრები. მეორე: ირთავს მილიონერ ჯალს. ალბათ ქვრივს ზღვის პირას აქვს ვილა. ჰყავს ავტომობილი, იახტა. მესამე: ტრიბუნა უდგება წმიდათაწმიდა მოძრაობას. უპირველეს ყოვლისა ევროპიდან აძევება ვველა რუსსა. განურჩევლად, — გაეთრიე აქედან, თანხმრთა ჯილაგო! არულიად მოურჩებლად ძირკვავს რევოლუციონერებს. დაბალ კლასებში უწყობს ტერორს. აგამოაქვს სავალდებულო დადგენილება: ადგენს ცხოვრების ზნეობრივ პრინციპებს — ცოტას, ათ წებს, მაგრამ სახტიკ წებს. ვინც წარმოატყვამს სიტყვა „რევოლუციას“, ტელეგრაფის ბოძზე ჩამოეკიდებინა ბოლოს თავს აცხადებს იმპერატორად.

სემიონ ივანოვიჩს ოფლმაც კი გამრწონა თავის ჯანსაღზე — ნუთუ ესეც შესაძლებელია?... კი მაგრამ, რატომ მარ უნდა გატყდნ იმპერატორი ბოლოს და ბოლოს? ამბობენ ნაპოლეონი კმ წაწმინდებით მუშაობდა. — სემიონ ივანოვიჩს თავი უჭრიალებდა, თვალწმინდობით ოქროს-ტურბანის ცხლები უხტოდა. და თითქოს მის გულგვამში გარსმა გამაყრუე-ბოლინმა: იმპერატორი იბოკუს პირველი!

სემიონ ივანოვიჩი პერაზე გამოვიდა; მას პირის კუთხეში ჰავანური სიგარა ჰქონდა გაჩრილი და ისევ ისე თვითკმაყოფილებით უცინოდა თავის აზრებს. ქუჩის ბოლოს რუსეთის ყოფილი საელჩოს ეზოში შეუხვია. იმ საელჩოს შენობაში იმჟამად იმყოფებოდა ვილაც ნაფიცი ვეჭილდის მთავრობისთვის სიგელი არ ჰქონდა ჩაბარებული.

საელჩოს წინ ეზოში მესამე თვეს საფეხურებზე ისხდნენ, გადამხმარ ყვავილნარებში მტვრიან ბალახზე იწვნენ რუსები, უმეტესად ქალები, ისინი, ვინც უკანასკნელი ბეჭედი, უკანასკნელი ქვედაკაბა შექამა. აქ დახმარებას ან ეიზას ელოდნენ, მაგრამ დახმარებას არ იძლეოდნენ, ვიზებთან დაკავშირებით რთული მიმოწერა მიმდინარეობდა. სიგელიაუბარებელ ნაფეჭილს თანხები არ ჰქონდა, რომ მთელი ეს დუნდგო — ორას ორმოცდაათი სული გამოეკვება, და საელჩოს ეზოში ამ სულებს ფერ-ხორცი აკლავდებოდა, ტანსაცმელი აცვდებოდა, ღნებოდნენ, ზოგი ასევე რჩებოდა ღამისათვის სათევად მარმარილოს სადარბაზოსთან, გამხმარ ყვავილნარებში.

სემიონ ივანოვიჩმა ეზოში გაიარ-გამოიარა, ოდნავ კოჭლობდა კიდევ და ხელჯოხს ეყრდნობოდა. რა თქმა უნდა, დიდი გემოვნება და წარმოსახვა იყო საჭირო, რომ ამ სასოწარკვეთილ ქალებს შორის თავისი მომავალი „არისტოკრატიული სალონის“ მარგალიტები ეპოვა. მან ძლივს იცნო გემზე შეხვედრილი რამდენიმე ადამიანი, ისე იყვნენ ქალები შეცვლილნი. აი, ის ქალიშვილი, რომელსაც მაშინ „ფისუნა, საუცხოო სიფათი“ უწოდა, გამხდარ მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი ზის, სახე ბავშვური აქვს, მომხიბვლელი, მაგრამ ზედ რაღაც მტვრის ჩრდილებიც კი ემჩნევა. მისი პაწია ფეხი ხომ — რომ დაბანო და წესიერი ფეხსაცმელი ჩააცვა, — ბიჭუტვრია....

სემიონ ივანოვიჩმა ნესტოები შეათრთოლა. „ეს იქნება პირველი, ვუწოდოთ მას თავადის ასული ტარაკანოვა“. ნევეზოროვი ქალიშვილის გვერდით საფეხურზე ჩამოჯდა და მოიარებით, მამობრივი გულთბილობით დაუწყო ლაპარაკი.

განა დიდი დრო იგვიდა მას შემდეგ, რაც სემიონ ივანოვიჩ ნევეზოროვი თავისი ოთახის ფანჯარასთან საყავეს უჯდა მეშჩანსკაიასზე: ძინ — ტყვიამ მინა გახვრიტა და საავდრო ქარმა დაუსტვინა: „მე შენ სიცარიელეს მოგაქმუებ, მოგაქმუებ და ბინიდან გამოგაქმუებ“. იმ ქარით დევნილი სემიონ ივანოვიჩი ხმელი ფოთოლივით დაბზრიალდა და აი, ზღვაზე გადაფრინდა, ევროპაშია, მდიდარია და სახელგანთქმული. წინ ეშლება დიდებული პერაპექტივა. პეტერბურგის მხარეს ბებერი ბოშა ქალის წინასწარმეტყველება აღსრულდა. მოთხრობა თითქოსდა დასრულებულია...

რა თქმა უნდა, მოთხრობისთვის უკეთესი იქნებოდა, სემიონ ივანოვიჩი დამბალი ხამანწყით მომეკლა, ან ავტომობილის ქვეშ შემეგდო, მაგრამ ის ხომ უკვდავია. ავტორი ისეც ცდილობდა და ასეც, — არა, სემიონ ივანოვიჩს ვერც ისე წარხოც მოთხრობის ფურცლებიდან. იგი თვითონაა იბიკუნსი. იგი ძარღვიანი, ჯანიანი, კერკეტი, კბილებით და ფრჩხილებით თავს და

აღწევს უბედურებას და დაჯექი, წერე შემდეგ მისი ახალახალი თავგადასავალი.

ტოკატლიანის რესტორანში ნეგოროვი თვითონაც, ბოშას დაუხმარებლად, მოპყვა რა ბედი ეწეოდა შემდგომ, გამოაცხადა — ცხოვრების მეფე ვარო. ააეცა, მაგრამ ვნახოთ. მე სრულებით არ მეეკვება სემპონი ივანოვიჩის სიტყვები. ისიც კი ვიცი, რომ გახსნა არისტოკრატიული სალონი, სადაც სკამებიც იყო და ფეხებიც, საოცრად პიკანტური ნომრებიც. ბნელ ღამეებში ტროტუარის გარდიგარდმო აბრაზე ენთო მაცთუნებელი წარწერა: „სალონი-რესტორანი ატრაქციონითურთ — იბიკუსი“. სემიონ ივანოვიჩმა ბევრი ფული იწოვა და ქალი შეირთო...

ჩემი, მწერლის სავარძლის უკან მდგომი პატიოსნება აოკებს დაშურებულ ხელს: „ამხანაგო, იპე შენ ტყუილებს იწყებ, შეჩერდი, ვიცოცხლოთ და ვნახოთ, რა იქნება. დასვი წერტილი...“

□

ველი კოსტოვილი

ჩემი სევდა ნათელია...



თარგმნა მიხაილ ქვლივიძემ

(დრამატული პოემა ოთხ სურათად, ინტერმედითა და ეპილოგით)

მოქმედებენ:

ალექსანდრ სერგევიჩ გრიგოლოვი
ნინო ჭავჭავაძე
ალექსანდრა ჭავჭავაძე
ალექსანდრ სერგევიჩ ვუშკინი
ნიკოლოზ პირველი
გენკენდორფი

ნიღბები:

ნინოები და გრიგოლოვები — სათავადაზნაურო
კრების დარბაზის სარკეებში არაკლიდი.
ფაფუსოვები, მონღალინები, სოფიოები, საზარელი
დედაბრები და საზარელი ბაბრები, სკალოზუბები.
მიქმედავის დრო — 1828 წელი
მიქმედავის ადგილი — ტფილისი

სურათი პირველი

ვალსის საცეკვაოდ მიპატივება

...უხილავმა ხელმა თითქო ძველისძველი წიგნი გადა-
შალა და ორ ფერად ლითოგრაფიას სიფრიფინა ქა-
ლადი გადააცალა.

ერთ ლითოგრაფიაზე ნინო ჭავჭავაძე — ამორ-
ძალის კაბაში გამონწყობილი, იგი სასტუმრო ოთახში
დგას ფორტეპიანოს გვერდით.

მეორე ლითოგრაფიაზე — ალექსანდრა ჭავჭავაძე
თავის კაბინეტში სქელტანიან წიგნს დაჰყურებს.

ორივე ფიგურა ნახატივია: უძრავია: ნინო რალაცას
უსმენს, ჭავჭავაძე წიგნს კითხულობს.

მოქმედების დაწყებისთანავე ისინი ამოდრეკებიან,
გაუსაუბრებიან ერთმანეთს და შეუძლიათ დასტო-

ვინ კიდევ თავიანთი ადგილსამყოფელი, მოქმედების დანების ნიშანივით, დია ფანჯრებში ტფილისის ხმაური შემოიჭრება: ქუჩის მოვაჭრეთა შეძახილები... სასულე ორკესტრის ჰანგები, რომელიც სადღაც შორს სამხედრო მარშს უკრავს...

ჭავჭავაძე (ნიგნს დახურავს, მეორეს აიღებს და წინასწარ მინიშნებულ გვერდზე გადაშლის. წინოს გახედავს) — დილა უთენია ცხენს დააჭენებ. ისიამოვნე?

ნიწო — ვერა. შენი დარდი მქონდა. ვიცოდი, მოუსვენრად იყავი.

ჭავჭავაძე — მე ახლაც მოუსვენრად ვარ.

ნიწო — აკი მოვედი.

ჭავჭავაძე — მადლობა ღმერთს!

ნიწო (ფიქრში წასული) — იცი, იქ... ალაზანს რომ მივყვებოდი, მთები თითქოს ცეკვავენ.

ჭავჭავაძე — ქართულს?

ნიწო (გაეღიმება) — არა, ვალსს! (ფორტეპიანოს მიუჯდება, „გრიბოედოვის ვალსის“ მელოდიას წამოიწყებს. შეჩერდება და კაბინეტში გამეფებულ სიჩუმეს მიაყურადებს) შენ სადღა დამეკარგე, დილით რომ არ ჩანდი?

ჭავჭავაძე — ზოგს მთებისკენ მიუწევს გული, ზოგს წიგნებისკენ...

ნიწო (დუმილის შემდეგ) — შენი ერთი ლექსი ვიპოვე, სიყვარულზე.

ჭავჭავაძე — მე ლექსებს არ ვმალავ.

ნიწო — „...როს შენ ვერ გხედავ, როს არ მესმის შენი ხმა ტკბილი, დღე იგი ჩემთა დღეთ რიცხვთაგან არს აღმოფხვრილი“. ეს დედაჩემს უძღვენი?

ჭავჭავაძე (ყოყმანით) — როგორ გითხრა? თვით გრძნობა იშვიათად იქცევა ლექსად. ლექსს უფრო გრძნობის გახსენება წარმოშობს.

ნიწო (ქვეშ-ქვეშ გახედავს) — პატარა რომ ვიყავი, მე მინდოდა ჩემი ქმარი შენისთანა კაცი ყოფილიყო... უბედურებაა, როცა ადამიანს იდეალი გაგაჩნია. მით უმეტეს, თუ ეს იდეალი — მამაშენია! (დუმილის შემდეგ) რა შეუთავსებელია ყოველივე, არა?

ჭავჭავაძე (მიუახლოვდება, ლოყაზე ხელს მოუთათუნებს და თვალებში ჩახედავს) — უყურე შენ, რამხელა გაზრდილხარ?

ნიწო (გაეღიმება) — ჩემს სახეში გინდა ამოიკითხო — რა ამბავია ჩემ თავს?

ჭავჭავაძე (თავს გაიქნევს) — სამეფო კარის ეტიკეტის თანახმად, ქვეშევრდომი, შეღესთან საუბარს რომ მოათავებს, დარბაზიდან უკუსვლით გადის ხოლმე. რატომ, თუ იცი?

ნიწო — არ ვიცი.

ჭავჭავაძე — იმიტომ, რომ სახე — ტყუილის უდიდესი ოსტატია! კო, ასეა! ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია სასიამოვნოდ გავიღიმოთ, თუ ეს პირადად ჩვენ გეჭირდება, ანდა იმას, ვისაც ჩვენ ვუღიმიოთ. როცა სხვას ვუღიმიოთ — ამას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს... საკუთარ სახეს ყოველდღე სარკეში ვხედავთ და ტყუილის ფქმას მივაჩვიეთ; ზურგს კი — ვერ შევასწავლეთ ტყუილი. იგი ხან ამაყად გამოიყურება, ხან კუდამოძუებულია... მოკლედ, თვალს ვერ მიაღვენებ!

ნიწო (აშკარა ირონიით) — რასაკვირველია, ის ხომ უკანაა! (ჩაფიქრდება) სიყვარულშიც ასეა?

ჭავჭავაძე (პასუხს დააყოვნებს) — სიყვარულის ამბავს, შეილო, ყველა დამოუკიდებლად იგებს. შენ უკვე რამე იცი სიყვარულის თაობაზე?

ნიწო (გშმაკურად გაიღიმებს) — ვიცი. შენი ლექსი, მავალითად: „როს შენ ვერ გხედავ, როს არ მესმის შენი ხმა ტკბილი, დღე იგი ჩემთა დღეთ რიცხვთაგან არს აღმოფხვრილი!“

(ფორტეპიანოს მიუჯდება და დასაკვრელად მოემზადება. გაისმის „გრიბოედოვის ვალსის“ მელოდია. ჭავჭავაძე ერთხანს წინოს უცქერის, მერე თავს გაიქ-

ნევს და ფრთხილად, ფეხის წვერებზე, თავის კაბინეტისკენ გაემართება, კაბინეტს სიბნელე მოიცავს. ნინო გატაცებით უკრავს.)

...და ისევ, თითქოს ძველისძველ წიგნში, ფერად ლითოგრაფიას სიფრიფანა ქაღალდი გადავსცალეთ: გაღებული კარის ჩარჩოში, სურათივით, გრიბოედოვი გამოჩნდება; შავი ფრაკი აცვია, მკერდზე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ორდენი უმრწამსავეს.
...გრიბოედოვი ნინოს უსმენს.

ნინო (უკანმოუხედავად, ჩუმად, თითქოს თავისთვის ლაპარაკობდეს) — შეგიძლიათ შემოხვიდეთ. მე ვიცი: თქვენ უკვე ჩამოხვედით და კარში დგახართ!

ბრიგოელოვი — უფრო მეტიც. საგარეო საქმეთა უწყების ოქმში უკვე ჩაინერა: „ათას რვაას ოცდარვა წელს, ივლისის თვეში, თეირანის სამეფო კარზე რუსეთის სრულუფლებიან მინისტრად დანიშნული, სამოქალაქო მრჩეველი ბატონი გრიბოედოვი, თეირანში გამგზავრების წინ, პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა...“ (პაუზის შემდეგ) სრულუფლებიანი მინისტრი ელოდება, როდის მიაცევენ ყურადღებას! იქნებ სახე დაგვანახოთ თქვენი?

ნინო — ადამიანის სახე — ზურგია!

ბრიგოელოვი — ეგ რა, ფიზიოგნომისტიკის ქართული ვარიანტია?

ნინო — მამაჩემის ვარიანტია. სახეს ჩვენ უკვე შევასწავლეთ ტყუილის თქმა, ზურგს კი ჯერჯერობით — ვერა!

ბრიგოელოვი — ოჰო! მაშასადამე, ზურგს ყველაფერი ნინა აქვს?!

ნინო (დარიგებით, თითქოს ქვუას ასწავლიდეს) — ზურგს ყველაფერი უკანა აქვს. ჩემს ზურგზე რას იტყობით?

ბრიგოელოვი — ერთობ მონყენილია!

ნინო — რის გამო?

ბრიგოელოვი — იმ უხეირო ვალსის გამო, თქვენ რომ უკრავთ.

ნინო — ამ ვალსს არაფერი უჭირს.

ბრიგოელოვი (მიუახლოვდება) — ვალსი ვალსია. თუ კაცი ხასიათზეა, ფეხის გასმაც შეიძლება.

ნინო — გესიზმრებოდით?

ბრიგოელოვი — გამუდმებით.

ნინო (დაკვრას განაგრძნობს, იან გრიბოედოვს ახედავს) — როგორ?

ბრიგოელოვი — სიზმარი იგივე აღსარებაა: პირველ შემხვედურს ვერ უამბობ.

ნინო — მე პირველი შემხვედური არ ვარ!

ბრიგოელოვი — ცდები, ჩემო ანგელოზო! ტფილისში ჩამოვედი თუ არა, ტანისამოსის გამოცვლაც ვერ მოვასწარი, პირდაპირ თქვენთან გამოვცხადდი. და პირველი, ვინც შემხვდა, შენ აღმოჩნდი!

ნინო — საინტერესოა! მაშ დავიჯერო, ეგ ახალთახალი „ანას“ ორდენი მგზავრობის დროს სულ გულზე გეკიდათ? მეეტლევებს ხომ არ აშინებდით?

ბრიგოელოვი (ოდნავ დარცხვენილი, დახედავს თავის ორდენს) — ეს მხოლოდ მეორე ხარისხის ნიშანია... სხვათა შორის, გრაფმა ეგმონტმა, გოეთეს ტრალედიის გმირმა, სიკვდილით დასჯის წინ ყველა ორდენი გაიკეთა მკერდზე და ისე მივიდა თავის საცოლესთან გამოსამშვიდობებლად.

ნინო — ეგ რატომ?

ბრიგოელოვი — თავს იწონებდა! ჩვენ ხომ ყველანი ფარშევანგებივით ვართ: აღსასრულის ფამსაც კუდის გაშლა გვიყვარს!

ნინო (ჩაფიქრდება) — თქვენმა ყოფილმა დაუდევარმა მონაფემ ორი შეკითხვა მინდა მოგცეთ, მასწავლებელო. შეიძლება?

ბრიგოელოვი — მაშ, აღარ აპირებ ჩემთან ფრანგული გრამატიკისა და მუსიკის სწავლას? (ნინო თავს იქნევს) კარგი, მკითხე.

ნინო — პირველი შეკითხვა: საცოლე სად არი?

ბრიგოელოვი — ამას, ჩემო მეგობარო, მერე გეტყვი.

ნინო — შეკითხვა მეორე: განა აღმასებიანი „ანას“ ორდენიცა და „რუსეთის სრულუფლე-

ბიანი მინისტრიც“ — ხელმწიფის მიერ ნაწყალობევი... სასიკვდილო ჯილდოებია?

გრიბოედოვი — ჩვენს დროში ყველაფერი მოსალოდნელია. (შეშფოთებული ჩინო სწრაფად წამოდგება. გრიბოედოვი ისევ სკამზე დასვამს და გვერდით მიუჯდება) მაინც რა მოგეწონა ჩემს ვალსებში?

ნინო — თქვენ რომ აქ არ იყავით, ეს ვალსები თქვენი წერილების მაგნიტრობას მინედა. ვცდილობდი, მათ შინაარსს ჩვენდომოდი. (რამდენიმე აკორდს აიღებს. გრიბოედოვი აყვება. ერთად უკრავენ.)

გრიბოედოვი — ჩასწვდი?

ნინო (თავს უქნევს) — ამ ვალსებში თქვენი შეუჩერებელი ბრუნვა-ტრიალია გადმოცემული! პეტერბურგი... მოსკოვი... ტფილისი... თეირანი... ტფილისი... მოსკოვი... პეტერბურგი... სულ ასე ტრიალებთ!..

გრიბოედოვი (ჩაეცინება) — ერთი დიდებული მოტრიალება ალბათ ის იყო, როცა თურქმენჩაის ზავი დაუდეთ და პეტრეპავლეს ციხე-სიმაგრეში ზარბაზნები გრიბოედოვმა ბატონმა გრიბოედოვმა მეფეს თავისი სანუკვარი „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის პროექტი“ წარუდგინა... შერე კიფვი... კირიში... გროზნი... ეს უკვე სხვა, თავბრუდამხვევი შემოტრიალება იყო და მე თვითონაც ვერ შევამჩნიე, როგორ გადავახტი მოსკოვს და პეტერბურგში აღმოჩნდი, დეკემბრის ამბებთან დაკავშირებულ საგამომძიებლო კომისიის წინაშე! (ნინოს, ხმადაბლა, ისე რომ მისკენ არ იხედება) ჩვენ შეგვიძლია შენს პირველ შეკითხვას დავუბრუნდეთ. მარტო ადამიანი ვალსს ვერ იცეკვებს. სასაცილო იქნება. (ცერემონიულად თავს დაუკრავს) ნება მომეცით, ქალბატონო, ვალსის ერთ ტურზე მიგიპატიჟოთ!

ნინო (დაკვრას განაგრძობს) — მარტო ერთ ტურზე?

გრიბოედოვი (პაუზის შემდეგ) — ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე- (ნინო ადგება და არაბუნებრივად წელში გამართული მამის კაბინეტისკენ მიდის. განათდება ჭავჭავაძის კაბინეტი).

...და ისევ, თითქოს კიდევ ერთ ლითოგრაფიას სიფრიფანა ქალაქი გადავაცალეთ: ნინო და ჭავჭავაძე კაბინეტში არიან.

...მოქმედების დაწყების ნიშანივით ღია ფანჯრებში ტფილისის ხმაური შემოიჭრება.

ჭავჭავაძე (ნიგნის გასაჭრელ სპილოსძვლის დანას ატრიალებს ხელში) — მე შეგვეკითხო, თუ შენ თვითონ იტყვი?

ნინო — მე თვითონ. ვალსის საცეკვაოდ მიმიპატიჟებს.

ჭავჭავაძე — ალაზნის ველზე, მთებთან ერთად? თუ სათავადაზნაურო კრების დარბაზში?

ნინო — არა. უბრალოდ, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ჭავჭავაძე — სულ ტრიალ-ტრიალით?

ნინო — ტრიალი შეიძლება საბედისწეროც აღმოჩნდეს. შენ იცი, გრიბოედოვისაგან ყველაფერი მოსალოდნელია.

ჭავჭავაძე — თეირანში გინდა გაჰყვი?

ნინო — მიყვარს ის კაცი, მამა.

ჭავჭავაძე — ხომ არ გერევენება?

ნინო — უთოდ მერევენება. მაგრამ თუ მერევენება თანაც უთუოდ, მაშასადამე, მართლა მყვარებია. თუნდაც იმ ხნის განმავლობაში, სანამ „მერევენება“.

ჭავჭავაძე (დუმბილის შემდეგ) — მართალი ხარ, არ გედავები.

ნინო — შენ იმდენად ჭკვიანი ხარ, რომ არ შემედავები.

ჭავჭავაძე — ამას დიდი სიბრძნე არ ჭირდება. საკმარისია ისიც, რომ მამა ვარ. (აღელვებული ყალიონს მოუკიდებს).

ნინო — მისი კომედია თუ ნაგიკითხავს?

ჭავჭავაძე — რასაკვირველია.

ნინო — ის ჩაცვია!

ჭავჭავაძე (მხრებს აიჩეჩავს) — შენ ვერე ფიქრობ?

ნინო (დაბეჯითებით) — ნამდვილად ჩაცვია!
 ჭავჭავაძე (ნაღვლიანად ჩაიციხება) — ის მოლჩალინია, შვილო, და ეს კარგია. ჩვენს დროში, რასაკვირველია!

ნინო (აენტება) — შენ გინდა დაამცირო ის კაცი?
 ჭავჭავაძე (თავს გაიქნევს) — მოლჩალინი იგივე ჩაცვია. მხოლოდ ჩაცვი, რომელმაც აღლო აულო გარემოებას და თავის მდგომარეობას შეუჩინებდა. თანამედროვე რუსეთში ეს ხასიათი უკვე ჩამოყალიბდა. მანქანას ვერ მოგწევს, ან უნდა ემსახურო, ანდა ხახაში ჩაუფარდე!

ნინო — შენც მსახურობ!
 ჭავჭავაძე — რასაკვირველია! გრიბოედოვისა არ იყოს, მეც ემსახურობ და მასავით გაჩუმებული ვარ. დეკემბრის შემდეგ ხელმწიფებ საქვეყნოდ დაიძახა: „ჩუმადო“, „მოლჩატი!“ და ჩვენც ყველანი „მოლჩალინები“ გავხდით!

ნინო — მაგრამ გრიბოედოვი არ გაჩუმებულა! მისი „ვაი ჭკუისაგან“...
 ჭავჭავაძე — ვიცი. მაგრამ ეს სხვაა. ეს ლიტერატურის სამსახურია, როცა ადამიანი ხელმწიფეს კი არა, თავის დროს ემსახურება. გრიბოედოვი ჩინებულად მოემსახურა თავის დროს! (გამომცდელად მიაჩერდება ნინოს, გაელიმება) მე, შვილო, სანინააღმდეგო რა მაქვს, მაგრამ... ამბობენ, ქალებთან მეტიმეტად უხეშიაო. არ გეშინია?

ნინო — როგორ თუ უხეში?
 ჭავჭავაძე — თურმე პეტერბურგში, თურქმენჩაის ზავის აღსანიშნავად გამართულ წვეულებაზე, ერთი პეტერბურგელი დედაბერი მის კომედიას ლანძღავდა...

ნინო — მერე?
 ჭავჭავაძე — ისიც დასტაკებია იმ ბებრუხანას და ისეთი საშინელი სახე ჰქონია, რომ ქალს გული გაუსკდა და უთქვამს: „შე დალოცვილო, ხომ არ გინდა შემჭამოო?“ ალექსანდრ სერგევიჩმა კი, — არც აცია, არც აცხელა, — პირდაპირ მიახალა: „რას ბრძანებთ, ქალბატონო, ეგ როგორ იქნება? გაგონილი გექნებათ, ერთხანს თეირანში ვცხოვრობდი და მაჰმადის რჯულზე ვარ გადასულიო!“
 (თავს ვერ შეიკავეს და გაეცინება. მერე სერიოზულად) იქ კი, საგამომძიებლო კომისიაში რომ დაიბარეს, ხმა არ ამოუღია.

ნინო (შეშფოთებით) — სულ გაჩუმებული იყო?
 ჭავჭავაძე — სიტყვებით სდუმდა, შვილო. სიტყვებითაც შეიძლება გაჩუმება... ნაღი ახლა ჩვენ უშენოდ გავარკვევთ ამ საქმეს.
 (ნინო გადის)

...მთელი ამ ეპიზოდის განმავლობაში გრიბოედოვი ხშირად უკრავს ფორტეპიანოზე. იგი ადგება და ჭაჭაჭაჭაძეს მიუბრუნდება.

გრიბოედოვი (აშკარად ღელავს, არ იცის როგორ დაიწყოს) — ჩემო ბატონო...
 ჭავჭავაძე — დამშვიდდით, ნუ წვალობთ. მე ყველაფერი ვიცი. (ყალიონს მოუკიდებს და გრიბოედოვს მიუახლოვდება) თქვენ ჩემი ქალიშვილი გიყვართ და ცოლობა შესთავაზეთ.

გრიბოედოვი — ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე!
 ჭავჭავაძე — დიახ, დიახ... სწორედ ეგრე გადმომცა ნინომ. მე, ბატონო, თვითმპყრობელი მამა არ გახლავართ და რაკი მასაც უყვარხართ... (ხელებს გაშლის, „რა გაენწყობაო“)

გრიბოედოვი (აბოლებულ ყალიონზე მიანიშნებს) — თუ ნებას მომცემთ, მეც გაეაბოლებ.
 ჭავჭავაძე — უკაცრავად, ვერ მოვიხაზრე...
 (ყალიონს დატენის და გაუნძღის)

...ორივე ღელავს. მათი ყალიონებიდან ამოსული კვამლი ჰაერში იხლართება და ერთხანს უსიტყვო დიალოგს გავს.

გრიბოედოვი (ხრინნიანი ხმით) — თქვენი ნინო მე ნამდვილად მიყვარს...

ჭავჭავაძე (მასაც ხმა გაეზარება) — მჯერა, ეგ რომ არ ყოფილიყო, ახლა არ გესაუბრებოდით.

...და კვლავ უსიტყვოდ საუბრობენ ცნობილები.

გრიბოედოვი — ისეთი უცნაური გრძნობა მაქვს, თითქოს... (ყალიონა მოქაჩავს და შეყოვნდება) თითქოს თვით საქართველოზე ჯერის წერას უკვირებდე ეს გრძნობა მხოლოდ ახლა გამიჩნდა.

ჭავჭავაძე — ალექსანდრ სერგაევიჩი! ყოველი ქართველი — საქართველოა. მოგვხსენებათ, ზღვის ერთ წვეთში — მთელი ზღვის სიმწარე, სიმლაშე და სინმინდია მოქცეული. თქვენც ხომ რუსეთი ხართ!

გრიბოედოვი (მწარედ ჩაიციინებს) — სიმწარე, სიმლაშე და სინმინდე... (ჭავჭავაძე სწრაფად ადგება და ოთახში გაივლის)

ჭავჭავაძე — სიმლაშე სისხლის — ჩვენი ფიზიკური დამონების გამო; სიმწარე ფიქრის — ამ დამონებით გამოწვეული მუდმივი ნუხილის გამო; სინმინდე კი — ჩვენი იმედია. პეტერბურგში სუსხიანი დეკემბერი იცის, მაგრამ მისი სიმხურვალი-საგან ქართველებსაც აუდუღდათ სისხლი!

გრიბოედოვი (დამშვიდდება, რაკი საუბარი მისთვის ნაცნობ და სასურველ კალაპოტში გადავიდა) — ალექსანდრ გარსევანოვიჩ, სისხლის დუღილი ცნობამიხდილობას იწვევს. ნულარ დაგვარგავთ გონებას, თორემ რევოლუციის იმედით დაწყებული საქმე ისევ სენატის მოედანზე ტრალიკული ჯგომით დამთავრდება! ჭკუას უნდა მივცეთ მეტი ვასაქანი!

ჭავჭავაძე (ჩაეციინება) — „ვამი ჭკუისაგან“ რომ მოგვივიდეს?

გრიბოედოვი — ჩვენ მოგვივიდეს, მე და თქვენ! შთამომავლებს კი, პესტელისა და რილევის სიმამაცესთან ერთად, ჩაადაევის გონიერებაც უნდა გადავცეთ.

ჭავჭავაძე — გრიბოედოვის ჭკუაც არ აწყენდათ.

გრიბოედოვი — ამის განსჯა მე არ შემიძლია. მით უმეტეს, ახლა. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი: ადამიანში მონური ქვეშევრდომობა უნდა აღმოიფხვრას! ეს თვისება ძველთაგანვე მოგვდევს ჩვენ. რუსებს და ისიც, სხვათა შორის, ჭკუისმიერია. სპარსელები მაგალითად, ნაყმიან ნოხებს რომ ქსოვენ, შეგნებულად შეცდომას უშვებენ მათ მოხატულობაში, რომ თავიანთ ალახს შეურაცხყოფა არ მიაყენონ. მათი გაგებით, სრულყოფილი — მხოლოდ ღვთის ქმნილება შეიძლება იყოს.

ჭავჭავაძე (ფარული ირონიით) — ზოგიერთ ადამიანზე ამას ვერ იტყვო, თუმცა „ღვთის ქმნილებაა“! მაგრამ ადამიანს სულიერი ძალაც მოსდევს ძველთაგანვე. ამას ნინათ ელინელი ზღვაოსნების ერთ ლოცვას ნავანყდი. (ნიგნს აიღებს, გადაშლის) „ო, ზევსო! ნაპირს შემახუდრე, რომ მოვიცილდე და ზღვაში შევცურო; უქარობას, რომ ნიჩბები არ გამიშრეს; შეჩერს, რომ ადგილიდან დავიძრავ; წყალნაღებულს, რომ ხელი გაუწოდო; ქარიშხალს, რომ მის შეტევას გავუშაგრდე.“ ხომ კარგია?

გრიბოედოვი (ღიმილით) — კარგია. ასეთი რამ მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს შეუძლია დაწეროს ანდა შეამჩნიოს.

ჭავჭავაძე — რას იზამ? მადლობა ღმერთს, მტრები, მეგობრები და პოეტები არ გვაკლია.

სურათი მეორე

ღამით, შუშაბანდში...

...ფანჯარა შუშაბანდს გადაჰყურებს. ფანჯრის რაფაზე სანთელი ანთია და გრიბოედოვის სათვალე დევს. სანთლის ალი არ იძვრის და მთლიანად ეს სურათი — ძველ ლითოგრაფიას მოგვაგონებს.

ნიგო (გრიბოედოვს მოცილდება) — იმ ქალებზე, თუ მიაშობ, ჩემამდე რომ გიყვარდა?

გრიბოედოვი — არა.

ნინო — კარგს იზამ, თუმცა, მე მაინც მინდა ვიცოდე ყველაფერი. მაგრამ არ გაბედო! გესმის?

გრიბოედოვი — არც ვაპირებ.

ნინო — მე ჩაგაცოდები, შენ კი ნურაფერს მეტყვი. კარგი? შენ მხოლოდ მაკოცე, ბევრჯერ მაკოცე! მე სულ შენს კოცნას ველოდები! სული მიმდის, ისე მინდა რომ მაკოცო. თან მზადა ვარ მოგკლა, როცა მოდიხარ და უტიფრად შეკოცნი! ვინ გასწავლა ეგეთი კოცნა? არა, არა! არ გაბედო, არ მიპასუხო!

(გრიბოედოვი თავისკენ მიიზიდავს. ისინი ფანჯარასთან დგანან. ხელის ფათურით ნინო სათვალეს მოძებნის და გრიბოედოვს ცხვირზე ჩამოაცვამს) მიყურე ახლა! რაო?

გრიბოედოვი (დუმილის შემდეგ) — შენ ჩემთვის ჩეულებრივი ქალი არა ხარ. შენ ღვთის შექმნილი პანგი ხარ, რომლის მოსმენის უფლება ყველას არ მისცა გამჩენმა... ძვირფასი ძღვენი ხარ, რომელიც მე არ დამიმსახურებია! ეს მეტად მნიშვნელოვანია: არა მარტო დაინახო ადამიანი, არამედ მოისმინო კიდევ. მე შენ გისმენ! შენ ჩემში ხშიანობ, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ჯერ კიდევ არ შემწევს ძალა შენი ღღერა ჩემს მუსიკად, ჩემს ლექსად გადავაქციო...

ნინო (ჩურჩულთ) — რა სიჩუმეა, გესმის? ეს ჩვენი სიჩუმეა — ჩემი და შენი. იგი მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის.

გრიბოედოვი — როცა ორი ადამიანის სულში ერთდროულად სიჩუმე შემოდის, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მართლა ახლობლები ყოფილან.

ნინო (დუმილის შემდეგ) — უცნაური სურვილი მაქვს: შენს წარსულში მინდა შემოვიდე და იქ დავრჩე. სულ ცოტა ხნით! მე იმ წარსულზე გეუბნები, ყველაზე მნიშვნელოვანი რომ არის შენთვის... კომედიას რომ წერდი და „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის პროექტს“ ადგენდი, — იმ დროს არ ვგულისხმობ: იქ შეგიძლია არ შემიშვა. იქ შენ მარტო იყავი, ქალაქის სუფთა ფურცლები გედონინ. ეს კი შენთვის იგივეა, რაც ქალთან მარტო დარჩენა! იქ რომ შემიშვა, მე ნამდვილად ვიეჭვიანებ, შენ გაბრაზდები. რა საჭიროა ეს? თუ რამეს დანერ, მერეც ნავიკითხავ... შენ იმ წარსულში შემიშვი, სადაც უშენოდ არ შემესვლება და რომ შევიდე კიდევ, ვერაფერს გავიგებ.

გრიბოედოვი — რად გინდა ჩემი წარსული? ჩემი მომავალი ხომ შენია. მართალია, მოკლეა, მაგრამ...

ნინო (შეშფოთებით) — რატომ, მოკლე?

გრიბოედოვი — იმიტომ, რომ მე და შენ დროში ავცდით ერთმანეთს. ნუ გეშინია, ახლა არსად გაგიშვებ!

ნინო (ჩაფიქრდება, მერე ღიმილით) — შენ ხომ ვალსის საცეკვაოდ მიმიპატიჟე?

გრიბოედოვი — ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ნინო (ისევ იღიმება) — ჰოდა, მე წინადადება მაქვს, ვიდრე იმ დღემდე მივალთ, მიმართულება შევცვალოთ.

გრიბოედოვი (ჩაეცინება) — საპირისპირო მხარეს დაეტრიალდით? შენ გინდა ისევ ახალგაზრდობაში დამაბრუნო?

...თითქო ვილაც უხილავმა კლავიშებს ხელი შეახო. ან იქნებ „გრიბოედოვის ვალსის“ მელოდია თავისთავად აჟღერდა ამ ორ არსებაში? ნინო გრიბოედოვს მხარზე ხელს დაადებს და ისინი ცეკვით შუშაბანდში გასრიალდებიან.

ნინო — სულელო! ვანა ახალგაზრდობა: - ნლებს არითმეტიკაა? ვერ ვიტან ახალგაზრდა პორუჩიკებს! მათი ეპოლეტები ახლად შებუმბლული წინილების ფრთებს გვანან! ცეკვის დროს ისე სასაცილოდ ხტიან, გეგონება წინილები ცაში აფრენას ცდილობენო! მაგრამ, ნურას უკაცრავად, ვერ აფრინდებიან! ისინი ბებრებად დაიბადნენ და ბებრები დარჩებიან!

გრიბოედოვი (ღიმილით ცდილობს დააშოშმინოს გაცხარებული ნინო) — რას ერჩი იმ სანყლებს? მე მგონი, კარგად ცეკვავენ.

ნილო (უფრო გაცხარდება) — სამაგიეროდ თავი აქვთ ცარიელი! სულ გაცვეთილი სიტყვებით ლაპარაკობენ! თანაც რაიმე ახალს კი არ ამბობენ, არამედ მარტო იმას, რაც ყველასათვის ცნობილ, მოძველებულ ნიგნებში ამოიკითხეს!

ბრიგოდალი — მაშ რა ყოფილა, შენი აზრით, ახალგაზრდობა?

ნილო — ახალგაზრდობა — შენ ხარ! იმიტომ, რომ ყველაფერს შენი საკუთარი თვალით უყურებ და შენებურად აფასებ. და განა ახალგაზრდობა და სხვადასხვა ერთიად იგივე არ არის? ტყუილად ჰგონიათ, რომ ახალგაზრდობა დასაწყისია. დიდხანს უნდა იცოცხლო, რომ ახალგაზრდა გახდე!

ბრიგოდალი — საკვირველია! ერთი ციციქა გოგო ხარ და მთელი აღმოსავლეთის სიბრძნე შეგითვისებია! (თავს გადაუწევს და თვალეში ჩახედავს) ან იქნებ უბრალოდ ეშმაკი გოგო ხარ?

ნილო — ეშმაკი გოგო ვარ.

ბრიგოდალი — მაინც, ჩემი წარსულის რომელ დღემდე გინდა მივიდეთ ასე, ტრიალ-ტრიალით?

ნილო — როცა ხელმწიფეს შეხვდი, ტფილისში გამგზავრების წინ... ხვალ ან ზევ შენი ცოლი გავხდები, მე ხომ მაქვს უფლება ვიცოდე, რატომ მივიდა გრაფი ეგმონტი თავის საცოლესთან საზეიმოდ გამონწყობილი?

ბრიგოდალი — კი, გაქვს. (მუშაბანდის ბოლოში გაჩერდებიან და მოაჯირს დაეყრდნობიან. ბრიგოდალი ირიბად გახედავს ნილოს, გაიღიმებს და თითქოს საიდუმლოებას ანდობდეს, ჩურჩულით დაიწყებს).

— თავდაპირველად ყველანი მეფის გამოსვლას ველოდებოდით. დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. სუყველა კარებს მისჩერებოდა და უცებ.. უცებ მამაკაცებს საულვაშოდან უღვაშები ჩამოუცვივდათ და სხვადასხვა ფერის პეპლებით ამ უღვაშებმა დარბაზში ფრენა დაიწყეს! ეს იყო მართლა სასწაული! ქალები სიცილ-კისკისით გამოუკიდნენ უღვაშებს, ცდილობდნენ დაეჭირათ, მაგრამ ისინი ხელიდან უსხლტებოდნენ და ჭაღების ირგვლივ მხიარულ ფერხულს უვლიდნენ!..

ნილო — შენ გინდა მთელი ცხოვრება ზღაპრების მოსმენაში გამატარებინო?

ბრიგოდალი — რას ბრძანებ, ჩემო ანგელოზო! პეტერბურგი — სასწაულების დედაქალაქია! იქ ისეთი ამბები ხდება!.. ერთი სიტყვით, კაცები მწუხარებამ მოიცვა. ისინი ერთად შეიკრიბნენ და გაცხოველებით მსჯელობდნენ იმის შესახებ, რაც მოხდა...

ნილო (თამაშს აყვება) — კიდეც კარგი, უულვაშო მყავხარ!

ბრიგოდალი — რა გაეწყობა? ხელმწიფის განკარგულებით, ამ სამკაულის ტარების უფლება მარტო სამხედროებს აქვთ... მიხედნენ თუ არა უღვაშები, რომ მათ რალაცას უპირებენ, ჭერქვეშ თავი მოიყარეს და თათბირი გამართეს. ამ თათბირს კავალერგარდის კაპიტნის გაფუებული, ორფად დახვეული ნყვილი უღვაშში თავმჯდომარეობდა. პუსართა პორუჩიკის კობტად ანკეპილი უღვაშში კი დასაზვერავად გაგზავნეს. უღვაშები თავიანთ პატრონებს ზემოდან დასტრიალებდნენ, აღიზიანებდნენ და ისე გამომწვევად ეჭირათ თავი, რომ აშკარა იყო — რალაც გადამწყვეტი მოქმედებისათვის ემზადებოდნენ... „რა ვქნათ, ბატონებო? — გაისმა მამაკაცების შეშფოთებული ძახილი, — საცაა აქ ხელმწიფე უნდა მობრძანდეს!“ პუსარის კომნია უღვაშში წამოეჭაერში გაირინდა, შემდეგ კი ელვის სისწრაფით ზევით აიჭრა და თავისიანებს შეუერთდა. ჭერქვეშ შეკრებილი უღვაშები აირივნენ, ანრილდნენ და სწორედ ამ დროს დარბაზში ხელმწიფე შემოვიდა... იგი ალერსიანად იღიმებოდა. და უცებ, იმავე წუთს, ყოველი მხრიდან, შეტევაზე გადასული ლაშქარივით, ყველა უღვაშში მისი უდიდებულესობის სახეს მიანყდა! ისინი მოპქროდნენ და გზადაგზა სანთლებს აქრობდნენ. კავალერგარდის ფუნჩულა უღვაშმა პირველმა სცადა ხელმწიფისაულვაშეს დაპატრონებოდა, და როცა ვიღაცის ჭაღარა, თუთუნისაგან გაყვითლებულმა უღვაშმა იგივე მოინდომა, მათ შორის სამყვედრო-სასიციოცხლო ბრძოლა გაიმართა! დანარჩენი უღვაშები — ვინ როგორ და სად მოახერხა! — იმწამსვე მიეტყუაენ მონარქის სახეს და იგი სხვადასხვა ფერისა და ზომის ბენვით დაფარულ, ბებერი დათვის დრუნჩს დაემსგავსა! ხელმწიფე შეეცადა მოე-

ცილებინა მარჯვენა ლოყაზე და შუბლზე მიკრული უღვაშები, მაგრამ ვერ შესძლო: სხვისი ბენვი უკვე მის საკუთარ, მონარქის თმად გადაქცეულიყო და ამას არაფერი ეშველებოდა! გამნარებულმა მეფემ ორივე ხელი სახეზე აიფარა და ძუნძულით გაეარდა დარბაზიდან! სასახლეში საშინელი აურზაური ატყდა. კაცები და ქალები ერთმანეთში აირივნენ. ზოგი იგინებოდა, ზოგი შეელას ითხოვდა, მოკლედ, ვერ გაიგებდი რა ხდებოდა! სადღაც, ხალხში, სასახლის დაღაქის გაფითრებული სახე გამოჩნდა: სპილენძის ტაშტი და დეკორატიული ინგლისური სამართებლით ხელში, იგი მონარქის საძილე ოთახისაკენ გაიქცა. კარგახნის მერე, როცა ხელმწიფე გაპარსეს და ხალხიც დაშოშმინდა, მისმა უდიდებულესობამ მონყალება გაიღო და შეათე კლასის მრჩეველს, ბატონ გრიბოედოვს აუდენცია მისცა... ხელმწიფე იჯდა უზარმაზარ, რუსეთივით უსასრულო სანერ მაგიდასთან...

...სამხედრო დაფდაფის ბრახუნისა და პავლე I-ს დროიდან შემორჩენილი ფლეიტის საეგზეკუციო წრიპინის ხმაზე შუშაბანდში ვეებერთელა სანერი მაგიდა შემოცურდება. იგი შუშაბანდს გადალობავს და ისე შემოიჭრება დეკორაციაში, გეგონება, მოქმედებამ სხვა განზომილებაში გადაინაცვლაო.

...რუსეთის ხელმწიფე ნიკოლოზ რომანოვი ანუ ნიკოლოზ I-ლი სანერ მაგიდას უზის და ქალაღდებს ათვალღერებს.

...ნინო კელაე მოაჯირთან დგას და ჩვენკენ იყურება.

..გრიბოედოვი ხელმწიფეს მიუბრუნდება.

ნიკოლოზი (ქალაღდებში ჩარგულ თავს ასწევს, ახლად გაპარსულ ლოყებზე ორივე ხელს მოისვამს და გრიბოედოვს მიაჩერდება. ერთხანს სდუმს.)

— ნმინდა ანას“ აღმასებთან ორდენისათვის მადლობას აღარ მეუბნები?

გრიბოედოვი — მადლობას მოგახსენებთ, ხელმწიფეო.

ნიკოლოზი — ეგეთი საზავო ხელშეკრულება გამოგლიჯე სპარსელებს! ყოჩაღ! (გრიბოედოვის მზერას თვალს გააყოლებს) ხელებში რატომ მიყურებ? (ისეე გაპარსულ ლოყაზე ჩამოისვამს ხელს, ჩაიცინებს) სათვალეს ატარებ, მაგრამ შენს თვალს არაფერი გამოეპარება! პო, ის არის, შენი შედგენილი „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის პროექტია!“ ნესელდროდემ გადმომცა. („პროექტს“ აიღებს და ისეე მაგიდაზე დადებს) ნაკითხვა რად მინდა, ცოცხალი ავტორი აქა მყავხარ. მაშ, სამმართველო?

გრიბოედოვი — კომიტეტი.

ნიკოლოზი — თუ კომიტეტია, თავმჯდომარე სჭირდება.

გრიბოედოვი (ზრდილობიანად გაუსწორებს) — დირექტორი.

ნიკოლოზი — დირექტორი, მაშასადამე — ხელისუფალი?

გრიბოედოვი — რასაკვირველია.

ნიკოლოზი — თუ ხელისუფალია, მაშინ დირექტორი კი არა. დექტატორია (მაგიდაზე თითებს აათამაშებს) ესე იგი, ჯარიც, ციხე-სიმაგრეების მშენებლობაც, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობაც — ყოველივე ეს „კომპანიის“ საქმიანობაში შევა?

გრიბოედოვი — რასაკვირველია.

ნიკოლოზი — მაშინ ომის გამოცხადების უფლებაც „კომპანიას“ ექნება და იმის განსაზღვრისაც თუ ვის უნდა დაუშინოს ზარბაზნები? ეს ხომ საქართველოს გამოყოფაა?! (პაუზის შემდეგ) დირექტორი?

გრიბოედოვი — მე.

ნიკოლოზი — უფროსობა ვსურს?

გრიბოედოვი (თავს გაიქნევს) — მარტოდენ სამშობლოს სამსახური და საქართველოს მკვიდრთა კეთილდღეობა.

ნიკოლოზი — ჩვენი იმპერიის ხალხთა კეთილდღეობაზე ჩვენ თვითონ ვიზრუნებთ. ჭკვიანი ხარ, მაგრამ უკულმართად ფიქრობ. ჭეშმარიტად „ვაი ჭკუისაგან“ მოგდის! („პროექტს“ განზე განევს და ქალაქების სხვა დასტავს აიღებს) შენ ჩემზე ნაწყენი იქნები, შენი პიესა რომ არ დავაბეჭდინე და თეატრსაც ავუკრძალე მისი დადგმა?!

ბრიგოდაშვილი — დიახ, მეფეო.

ნიკოლოზი — მეფეს ემდური? ეგ არ შეიძლება. გულახდილობის ნიშნად მადლობა მითქვამს. ცენზურის თაობაზე ჩვენი ახალი დადგენილება თუ ნაიკითხე?

(გრიბოედოვი უმნეოდ გაშლის ხელებს)

ჰოდა, იმიტომაც შეცდი. ვერ შეამჩნიე, როგორ გახდი მოჯანყე და შფოთისთავი! (ახლად გაპარსულ ლოყებზე ისევ ხელს ჩამოისვამს, გაყინული თვალუბით სივრცეს მიაჩერდება და ზეპირად „კითხულობს“) „...აკრძალულ იქნას სცენაზე სამხედრო პირთა, ყველა რანგის მოხელეთა და შემამულეთა უსახურად ჩვენება; აგრეთვე სასულიერო პირთა გამოყვანა და თავად-აზნაურთა და ვაჭართა ფენის წარმომადგენელთა იმგვარი აზრებისა და მოქმედების ჩვენება, რომლებიც მათ წოდებასა და თანამდებობას შეურაცხყოფენ...“

ბრიგოდაშვილი (აღელვებული სათვალეს გაისწორებს) — თქვენო უდიდებულესობაე! აკრძალვა წოდებებსა და თანამდებობებს ეხება და არა კერძო პირებს! მუნდირები ხომ ადამიანებს აცვიათ, ცოცხალ ადამიანებს!

ნიკოლოზი — უმუნდირო ადამიანი ჩემთვის საიდუმლოებაა. მე კი საიდუმლო საქმეები და ფარული საზოგადოებები ყელში მაქვს ამოსული! მას შემდეგ, რაც ის ჩემი „ჭკუის კოლოფები“ სენატის მოედანზე გამობრძანდნენ და ჩემს წინააღმდეგ ხმა აღიმალღეს, ისლა დამჩრჩენია, რომ მუნდირი მეორე კანივით გადაეკრა ადამიანს და როცა დამჭირდება, ტყავივით გავაძრო ხოლმე! ამიერიდან მუნდირი და ადამიანი რუსეთში ერთია, გრიბოედოვო!..

(ქალაქებიდან ერთი ფურცელს აიღებს) აი, მაგალითად, შენს კომედიაში ასეთი სიტყვებია... (კითხულობს):

„სიამოვნებით ვიმსახურებდი,
მაგრამ მსახური ვერ გავხდებოდი:
გული მერევა, როცა ვიფიქრებ,
რომ ვინმეს უნდა მოვემსახურო!..“

ეს რომ მუნდირიან კაცს ეთქვა, სანინააღმდეგო არაფერი მექნებოდა. მაგრამ ამას პიესაში თავისუფლად მოაზროვნე ლაზღანდარა ამბობს და გამოდის, რომ მას „გული ერევა“, როცა გაიფიქრებს, რომ უფროსს უნდა მოემსახუროს! მისი უფროსი კი მე ვარ! ესე იგი, მას არ სურს ჩემი მსახური გახდეს! სამშობლოს კეთილდღეობისაკენ მიმართულ ჩემ საქმეს ემსახუროს!.. ეს, მაპატიე, კადნიერებაა! (კიდევ ერთ ფურცელს აიღებს, ჩახედავს) მე მესმის, შენ ეს დაუფიქრებლობით მოგივიდა! შეგეშალა! თავად ხომ „თავისუფალ მოაზროვნეებში“ არ ირიცხები, რადგან დაზღვეული ხარ შენი საგანგებო პასპორტით. მაგრამ, ეტყობა, ვერ მოიცალე, რომ გადაგენერა და ჩაგესწორებინა პიესა. სახელმწიფო საქმეებით ხარ დატვირთული, ჩემი არ იყოს! (ისევ ფურცელში ჩაიხედავს) ან ეს სკალოზები ავიღოთ: „პოლკოვნიკობას ეღირსა უკვე და გენერლობას უმიზნებს ახლა!“ თუ პოლკოვნიკია, მაშააადამე დაიმსახურა, ხოლო თუ „გენერლობას უმიზნებს“, ესე იგი უფროსებს მოსწონთ. შენ კი ტუტუცად გამოგყავს! შეუსაბამობაა, ძვირფასო, სინამდვილის დამახინჯებაა! ახლა ხომ ხედავ ჩემზე განაწყენებულს, როგორ გავიმართლე თავი შენს წინაშე? შენ კი მანყენინე.

ბრიგოდაშვილი — თქვენ, მეფეო?

ნიკოლოზი — ვიცი, არ გინდოდა, უნებლიეთ მოგივიდა, მაგრამ მაინც მანყენინე. (კიდევ რამდენიმე ფურცელს აიღებს) აი! (კითხულობს):

„მაქსიმ პეტროვიჩს, არა თუ ვერცხლის,
ოქროს ჭურჭლიდან უყვარდა ჭაშა;“

ასი შახური თავს ევლებოდა.
რეცხენიანი ძვირფასი ეტლით
თვით სასახლეში დაბრძანდებოდა.
სამეფო კარი მაშინ სხვა იყო
და ის დროც ჩვენსას არ გაუდა..." (ენა დაებმეფა)



გრიგოედოვი (შეახსენებს) — „...ეკატერინე რუსეთს მართავდა!“
ნიკოლოზი — ჰო, მაგას გეუბნები! „ის დრო ჩვენსას არ გაუდა...“ უნდა იხსენიო! დაპირისპირებაა! ჩემი სამეფო კარი — ყველა წინანდელთა გაგრძელებაა! თან ვინ ამბობს ამას? ფამუსოვი! რუსეთის შემამულეთა ბურჯი! იმასაც ცილი დასწამე!... ახლა ხომ ხედავ, რომ კომედიას გადამუშავება ჭირდება?! ჩაასწორე და მერე ვნახოთ... (გამომცდელად მიაჩერდება) შენ რა გგონია, მარტო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ გამოთქმებს ეკრძალებ? აგერ, პუშკინმა, შენმა სეხნიამ, „ეკატერინე“ შეექვსე თავი წარუდგინა ბენკენდორფს. თან, ვითომ შემთხვევით, ლექსიც გამოაყოლა — „მეგობრებს“, სტანსები... (მაგიდის უჯრას გამოწვეს და ფურცლების დასტას ამოიღებს) აი, მოუსმინე, (კითხულობს):

„მლიქვნელი არ ვარ, როცა ხელმწიფეს
ვაქებ, ვადიდებ ალალი გულით...“

ხედავ, რას წერს? (განაგრძობს):

„ის პატიოსნად განაგებს ჩვენს ბედს,
ის ჩვენი ქვეყნის დედაბოძია.
ახალი ომით, იმედით, საქმით
მთელი რუსეთი ააღორძინა...“

(გამომცდელად შეხედავს გრიგოედოვს) კარგი ლექსია?

გრიგოედოვი — კარგია, მეფეო. პუშკინს ცუდი ლექსი არა აქვს.

ნიკოლოზი (ჩაეცინება) — მე კი ზედ ნაევანერე: „ხელნაწერის სახით გავრცელდეს, დასაბეჭდად კი არ ვარგა!“ რას მიყურებ ეგრე გაკვირებული? სათვალე რომ არ გეკეთოს, ალბათ თვალები გადმოგცვივდებოდა და მკითხავდი: „რატომო?“ მაგრამ შენ იცი, მეფეებს შეკითხვებს არ აძლევენ... ინებე, ჩემო კარგო, გეტყვი. მე რომ ეს ლექსი დამებეჭდა, შენი სეხნია ადგებოდა და მთელ ქვეყანას მოსდებდა: „მართლა ასე კი არ ეფიქრობ! მეფეს თვალის ასახვევად ძვალი გადავუგდე და იმანაც ხელათ დაბეჭდაო! ამით, შენი მეგობარი ათასწაირ მიტქმა-მოთქმას თავიდან აიცილებდა. მაგრამ როცა ეს ლექსი ხელნაწერის სახით, ფარულად გავრცელდება, თან საზოგადოებაში ხმა დაირხევა, რომ მეფეს პირფერობა არ უყვარს და ამიტომ აკრძალა ლექსის დაბეჭდვა, მაშინ ყველა-სათვის ცხადი გახდება, რომ ის შენი თანამოკალმე ჩემს ფეხთით ხოხავს და მელაქუცება! და მაშინ არა მარტო მე, მისი ძველი მეგობრებიც იჭვის თვალთ შეხედავენ და ზურგს შეაქცევენ! მეგობრები, ჩემო კარგო, „მესამე განყოფილებასავით“ თვალს არ დახუჭავენ, ისინი ასეთ ცოდვას არ აპატიებენ!.. დიახ, ასეა ეს! ხელმწიფესთან ბანქოს თამაში არავის გაუვა! (ლოყებზე ხელს ჩამოისვამს, წვერი ხომ არ ამომსვლიაო, და ისევ გრიგოედოვს მიაჩერდება) კარგია, რომ ულვაშების თაობაზე ჩემს განკარგულებას ასრულებ: დაე, სამხედროებმა შეიქციონ თავი, სამოქალაქო მრჩევლებს ულვაშები არ უხდება!

გრიგოედოვი — თქვენი უდიდებულესობის მოწყალება ჩემს მიმართ ჭეშმარიტად განუზომელია: ჩემი რანგის მოხელეებს „სამოქალაქო მრჩევლის“ წოდება მხოლოდ ესიზმრებათ.

ნიკოლოზი — მე ტყუილუბრალოდ არავის ვანინაურებ. ერთგული სამსახურით გამიმართლებ ამ ნდობას. (ადგება) თვირანში გაემგზავრები! თურქმენჩაის ზავი ჯერ-ჯერობით მარტო ქალაქდება კარგი. ტყვეები და გაქცეულები უნდა გამოიყვანო იქიდან.

გრიგოედოვი — ტყვეებს გამოვიყვან, მეფეო. გაქცეულებს კი...

ნიკოლოზი (შეანწყვეტინებს) — ბევრნი არიან?

ბრიგოვადოვი — ბევრნი. მარტო სამსონ-ხანთან სამი ათასი კაცია.

ნიკოლოზი — აუცილებლად უნდა ჩამოიყვანო, ისე არ დაბრუნდე.

ბრიგოვადოვი (შეშფოთებულია) — ისინი უკვე შაჰს ემსახურებიან, მეფეო! ეს ფათალი-ხანის გვარდიაა, მისი პირადი დაცვა. „ბეხადირანებად“ იწოდებიან.

ნიკოლოზი (ბოროტად გაიღიმებს) — რაღა შაჰს იცავენ? თაყიანდობის ხელმძღვანელი დაიცვან, ხიფათს არ გადაუყაროს.

სიზღიწიფე

ბრიგოვადოვი — მათი გულიხთვის შაჰი სისხლს დაღვრის, ომსაც არ მოერიდება! გარდა ამისა, თვითონ ისინიც...

ნიკოლოზი — რაო, თვითონ ისინი?

ბრიგოვადოვი (მცირე ყოყმანის შემდეგ) — იქ უბრალო რუსი გლეხი სამსონი „სამსონ-ხანია“! სასახლეში ტრიალებს, შარბათს და ყაყას მიირთმევს, მხეველები ახვევია...

ნიკოლოზი — აქ კი მისი საკადრისი მათრახი არ ასცდება, არა? ეს გინდა თქვა?

ბრიგოვადოვი — დიახ, მეფეო. თაყისი ნებით არ ნამოუა!

ნიკოლოზი — მისი ნება-სურვილი მე არ მაინტერესებს! ბადრავს გაგაყოლებ, ორმოცდაათ ცხენოსანს.

(გრიბოედოვს გაეღიმება)

რა, ცოტაა? ვიცი. მაგრამ არმიასა და ლეგიონს ვერ მოგცემ. სპარსელებთან ზავი მაქვს დადებული. თურქმენჩაის ზავი! თეირანში ჯარს ხომ ვერ შევიყვანთ? დიპლომატი ხარ და გესმის! სამაგიეროდ, შაჰს უწინდელი ჩინით კი არა, ახალი თანამდებობით გამოეცხადები: როგორც რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრ-რეზიდენტი!.. „სისხლს დაღვრისო“?! შენც ჭკუით იმოქმედე. ოღონდ ისე, რომ „ვაი ჭკუისაგან“ არ დაგემართოს! ფათალი-ხანი გაიძვერაა, მე ვიცი. ამიტომ მაგრად დაუდექი, ერთი ნაბიჯით არ დაიხიო უკან! გესმის? მე გიბრძანებ! (გრიბოედოვთან მივა, მკერდზე ორდენის ლენტს გაუსწორებს და ორივე ხელით მსუბუქად გასასვლელისკენ უბიძგებს)

...გრიბოედოვი უკუსვლით შუშაბანდში გადის. ნინოს გვერდით მოაჯირს დაეყრდნობა და ჩვენკენ მობრუნდება.

...ნიკოლოზის კაბინეტში ამჟამად ახალი მოქმედი პირი, ბენკენდორფი შედის. შესვლისთანავე იგი შეჩერდება და შუშაბანდში გასულ გრიბოედოვს ეჭვიან მზერას გააყოლებს.

ნიკოლოზი (ბენკენდორფს) — შენ ისე გააყოლე თვალი სრულუფლებიან მინისტრს, თითქოს კატა იყო და ქონის ნაჭერს უყურებდე!

ბენკენდორფი (ჩუმად, გაკვირვებული) — მინისტრს?

(საწერ მაგიდაზე მეფესთან ხელისმოსაწერად მოტანილ ქაღალდებს დააწყობს)

ნიკოლოზი — დიახ, თეირანში დანიშნულ მინისტრს. რას იტყვი?

ბენკენდორფი (ფიქრის შემდეგ) — ფიცხია.

ნიკოლოზი — ფიცხი? მე პირიქით — ცივი და ანგარიშიანი მეჩვენა. შენ გგონია, საქმეებს აურევს?

ბენკენდორფი (ხელებს, გაშლის, რაც ნიშნავს: სხვანაირად როგორ იქნებაო! და ღიმილით დაუმატებს) -- პოუტია! (ღუმიღის შემდეგ) მერყევი... გულში რა უღვეს, არ ვიცი.

ნიკოლოზი — ვიცი! (მაგიდაზე გაშლილ „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის პროექტს“ ხელს დაჰკრავს) ვიცი! შენ შეიძლება ზოგი რამ იცოდე, მე კი ყველაფერი ვიცი! (თვალს გაუსწორებს ბენკენდორფს) შენი ნება რომ ყოფილიყო, ახლავე იმ შენს ციმბირში გადაჰპარგაუდი, არა?

ბენკენდორფი — ციმბირი თქვენია, მეფეო.

ნიკოლოზი — დიახ, ჩემია! და ჩემი ციმბირი მარტო იქ კი არ არის, სადაც შგონიათ, იგი

ყველგანაა! (ხელით მოხაზავს სივრცეს) ჩემმა ძმამ ალექსანდრემ კავკასიასაც „ციმბირი“ უწოდა, მხოლოდ „ცხელი ციმბირი!“ ცხელი ამაშია მთელი განსხვავება!.. რამდენი ჩემი „დეკემბრის მეგობარია“ ახლა იქ — პატივადილი და გადასახლებული? (ისევ „პროექტს“ ხელს დაჰკრავს) ეს კაცი კი იმ კუთხეს კეთილდღეობისკენ მოუწოდებს! თან კარგად მოუწოდებს, ამის/ნიჭიც მისცა ღმერთმა!

ბანკაინდორფი — მისი ჩანაწერები... თქვენ ამის შესახებ იცით... აი ისინი, დაძინებულია ქალაქებში რომ აღმოვაჩინეთ... მარტო ისიც კმარა, რომ ალექსანდრე გრიბოედოვი...

ნიკოლოზი (უხეშად შეანწყვტინებს) — ჩუმად! მე გიბრძანე ეს ჩანაწერები საქმიდან ამოგეღო. არ შეაჩუღე ჩემი ბრძანება?

ბანკაინდორფი — რასაკვირველია... ჩანაწერები უკვე ამოღებულია... ახლა ისინი... ისინი სხვაგან ინახება.

ნიკოლოზი — დანვი! გრიბოედოვი სენატის მოედანზე არ მდგარა, ის უფრო შორს იხედება. მისი მაგალითით სხვებსაც გამოვაჩინო.

ბანკაინდორფი — სხვები უკვე გამოვაჩინეთ, მეფეო. თუმცა, ვინ „სხვები“? სულ იგივენი არიან. (ქალაქებში ჩაიხედავს, ერთ ფურცელს ამოიღებს) აი, მაგალითად... კავკასიაში გადასახლებული პოლკოვნიკი ბურცოვი. ალბათ გაინტერესებთ მისი აზრი გრიბოედოვის „პროექტის“ შესახებ?

ნიკოლოზი — მამ, ეს „პროექტი“ შენც არ აცდდა?

ბანკაინდორფი (ორჭოფულად) — თვითონ „პროექტი“ ჩვენს უწყებას არ განუკუთვნება, მეფეო. „მესამე განყოფილებას“ ჩვენი ტფილისელი აგენტის გენერალ სტრეკალოვის შეტყობინება ეხება. სტრეკალოვს ერთი ამონაწერი მოჰყავს ბურცოვის წერილიდან. (კითხულობს) „თქვენი პროექტი, — წერს ბურცოვი გრიბოედოვს, — ხუნა-თესვისა და სხვა სახის წარმოებათა სრულყოფისათვის და არსებულ თავისუფალ საზოგადოებებს ენათესავება..“ (ნიკოლოზს შეხედავს) ეს სიტყვები პირდაპირ პესტელის „კეთილდღეობის კავშირის“ წესდებიდან არის ამოღებული!.. ქვეშაირიტად მართალი ბრძანდებით, მეფეო: სამოქალაქო მრჩეველი გრიბოედოვი სენატის მოედანზე არ მდგარა, იგი უფრო შორს იხედება... თუმცა, თქვენს უდიდებულესობას, როგორც ვატყობ, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი აქვს.

ნიკოლოზი (ჩაეცინება) — ო, რა ვერაგი ხარ, ალექსანდრე ქრისტოფოროვიჩ! გრიბოედოვს ჩვენ ახლახან ორდენი და სამოქალაქო მრჩეველის წოდება უწყალობეთ. ახლა რა ვქნათ? უარყოფილი „პროექტისათვის“ და აკრძალული პიესისთვის ავიღოთ და... ჩვენივე ხელით? იგივე ხელით, რითაც ორდენი დაგვიდეთ?

ბანკაინდორფი — თქვენ მართალი ხართ, მეფეო. სხვისი ხელით ჯობია. უფრო მშვიდად ჩაივლის. წაფიდეს თეირანში! (გაიღიმებს ისე, რომ ვარდისფერ ლოყებზე ღრმულები დააჩნდება. საწერი მაგიდა, ნიკოლოზი და ბენკენდორფი სიბნელეში გაუჩინარდებიან).

...გრიბოედოვი და ნინო ისევ მოაჯირთან დგანან.

ბრიგოადოვი (დაუფარავი სარკაზმით) — და ბენკენდორფმა გაიღიმა ისე, რომ ვარდისფერ ლოყებზე ღრმულები დააჩნდა!

ნინო (შეშფოთებული, გაკვირვებით) — რა იცი? შენ ხომ მათ საუბარს არ ესწრებოდი?

ბრიგოადოვი — ჩემთვის ისიც საკმარისია, რასაც დავესწარი. ჯერ კიდევ თეირანში ყოფნის დროს რაღაცას ვხედეოდი და არ შევმცდარე. სპარსელები კი ამათზე ბევრად უფრო ეშმაკები არიან. (უცებ მოიწყენს) მშვიდობით, მეგობარო. ჩემი წასვლის დროა.

(ერთხანს კიდევ დგანან, დაცილება არ უნდათ)

ნინო (მოაჯირს გადაეყუდება) — ქალაქი ცარიელია!

ბრიგოადოვი — ლამეა, ყველას ძინავს.

ნინო (თავს გაიქნევს) — მე დღისითაც ვერავის ვხედავდი. მარტო შენ...

ბრიგოადოვი — დღისით ჩემთან ხალხი დადიოდა, რაღაც ქალაქებს ხელს ვაწერდი... არ ვიცი... მართალი ხარ, ჩემო კარგო. ქალაქი ცარიელია. მარტო შენ ხარ.

ნილო (მალა აიხედავს) — ვარსკვლავები თითქოს შრიალებენ ცაში... ამალამ ისევ ჯაგა-სიზმრები?

ბრიგოელოვი — აბა რა სიზმარი იქნება უშენოდ?!

ნილო — ამასწინათ მაშაჩემს „ონეგინის“ მეხუთე თავი გამოვართვი, სადაც ტატიანას სიზმარია...

ბრიგოელოვი — „...და ხედავს იგი საკვირველ სიზმარს“.

ნილო (მიეკრობა მას, შეშინებული ბავშვის ხმით);



„...აგერ ქონდრისკაცს ჩაუხტა მარდად ნახევრად წერო, ნახევრად კატა. ქარის წისქვილი აცეკვდა იქვე, ტრიალებს, ბუქნავს და ხელებს იქნევს, და ყველა ერთად — მუქარით, წყენით, მისჩერებია ჩვენს ტატიანას და გაიძახის: „ჩემია! ჩემი!“

ბრიგოელოვი (გაეღიმება) — ეტყობა, ცელქი ტატიანა პუშკინს უთვალთვალებდა, როცა ის „სიზმარს“ წერდა და იმანაც, ქალის შესაშინებლად, სიზმარში ეს საშინელი ურჩხულები გამოიყვანა. თუმცა, ძებნა არ დასჭირდებოდა: მხატვარ იერონიმ ბოსხის ნახატები იქვე მაგიდაზე ედო... (ლექსს გააგრძელებს):

„...აქ ბანჯგელიანი, ნისკარტა კაცი თვალს აბრიალებს, როგორც მიმინო, ბებერ კუდიანს წვერი აქვს ვაცის და თავს უმშვენებს მამლის ბიბილო!“

ნილო — საკვირველია თან გეშინია, თან კიდეც... (გაურკვეველად ხელებს გაშლის)

ბრიგოელოვი (დუმილის შემდეგ) — პუშკინი მთავარს მიხვდა; ჩვენი წუთისოფელი ფატალურია. ცხოვრება მოკლეა და ჩვენ ეს ვიცით. ორმოცი წლის ადამიანი ხიერ კაცად მიგვაჩნია, რომელიც უკვე აღსასრულს უახლოვდება. ამიტომაც მთელი რუსეთი სიზმარშია გადასული, სიზმრებს ხედავს... რუსული სიზმრები რომ ერთად შეგვეკრიბა, ღამე საერთოდ მოისპობოდა, აღარ იარსებებდა, რადგან ადამიანი ჩვეულებრივად სიზმარში დღეს ხედავს, თანაც გუშინდელს კი არა, ხვალინდელს, სადაც გუშინ გაცრუებულ იმედი გაუმართლებს და აუსრულდება... ჩვენი ხელმწიფე ხარისხებს და ვარსკვლავებს ურიგებს იმათ, ვინც თავის დროზე არ დააჯილდოვეს... უბედური შეყვარებულები თავს ბედნიერად გრძნობენ ანკარა მდინარის პირას, „ღამის კალთას“ კი არა, „დღის კალთას“ შეფარებულები... პატიმრებსაც ბნელი დილეგიდან გაქცევა დღისით-მზისით ესიზმრებათ, რადგან მთავალი — დღეა და არა ღამე!.. ღამით ადამიანები იძინებენ და სასწაულის იმედიც სიზმარში მომავალ დღეს ხედავენ. უბრალოდ, პუშკინმა კარგად შეიმეცნა ეს ჩვენი რუსული ტყვეობა, რომელსაც „სიზმრები“ ჰქვია! იგი მსუბუქია, ჰაეროვანი, ღამის წყვილია და დღის ნათელს ნარმოშობს, და მაინც ტყვეობაა! საშინელი ტყვეობა, რომელიც გულუბრყვილო ადამიანებს შეცდომით თავისუფლება ჰგონიათ!.. რუსეთი სიზმრებს ხედავს! ტატიანამაც რომ ნახოს, რა გასაკვირია?!

ნილო — ურჩხულები რაღა საჭიროა?

ბრიგოელოვი — მართალი ხარ, ჩემო ანგელოზო. სიზმარი შეიძლება ნათელიც ყოფილიყო, მაგრამ, ეტყობა, მეხუთე თავს რომ წერდა, პუშკინი იმდენად შეეჩვია და დაუშვებოდა ტატიანას, რომ აღარ ისურვა მისი მოტყუება. მან იფიქრა: დაე, ცოტა ხნით მაინც დაუახლოვდეს ონეგინს, მოჩვენებითი იმედით გაიხაროს! გაუშვოს, ონეგინმაც უთხრას მას, როგორც ქმარმა და მბრძანებელმა, ის ერთადერთი სანატრელი სიტყვები: „ჩემია! ჩემი!“ მაგრამ გამოჩნდება ლენსკი... პეტინგენელი!.. გერმანიაში ნასწავლი კაცი!.. ბოსხისეული ურჩხულები ონეგინს ვერ შეაფერხებენ, ის მგოცნებია. მაგრამ ლენსკი...

ნილო — მოიცა, მოიცა... პოეტის ხომ ლენსკია?

ბრიგოელოვი (თავს გაიქნევს) — „ბუნდოვნად და უცეცხლოდ წერდა...“ ოჰ, ეს მეტი-

გენელები: ბლუდოვი, დაშკოვი, უვაროვი... სიჭაბუკეში აზრთა მფლობელნი არიან, ხანში შევლენ და... აგერ ის, გრაფი ბლუდოვი, განათლებული მჭევრმეტყველი დაკითხვაზე გავყავდი და ოქმს წერდა დეკემბრის ამბებთან დაკავშირებულ საგამომძიებლო კომისიის მდივანი ბრძანდებოდა! პეტინგენელი!.. ასეთები არიან სწორედ, მეოცნებეს გზას რომ გადაულობავენ და მათი შეტაკება გარდაუვალია და მაშინ ტატიანას სიზმარიც წინასწარმეტყველებს! ხდება. ოღონდ ისე კი არა, მარტინ ზადეკას ნიგნის მიხედვით, სწავლა სიზმრების ახსნაა მოცემული; არა, პუშკინის მიხედვით, პუშკინისეული გაგებით, რომელმაც კარგად იცოდა რა არის რუსეთი და რაოდენ ფატალურია ჩვენი საუკუნე!.. რუსეთი სიზმრებს ხედავს! იგი სიზმრებშია გადასული, რადგან ჩვენს დროში იმედი იშვიათად უმართლებს ვინმეს, ხოლო ოცნებებს ახდომა არ უწერია.

(პაუზა)

ნიწო — მე შენ მიყვარხარ.

გრიბოედოვი — მთანმინდაზე მინდა ავიდე დილით. მამადავითის ეკლესია მინდა ენახო.

ნიწო — კარგი.

...გრიბოედოვი ფანჯრის რაფიდან სანთელს აიღებს და მალლა ასწევს. სანთლის ალი დახატულს გავს — იგი არ იძვრის. სცენას სიბნელე მოიცავს. თანდათან გაუჩინარდებიან გრიბოედოვიც, ნინოც, გრიბოედოვის ხელიც, რომელსაც სანთელი უჭირავს...
...მხოლოდ ობლად მოკიაფე ალი მოჩანს სიბნელეში.

სურათი მესამე

გრიბოედოვის სიზმარი

...სანთლის ქანანინა ალი შეირხევა, თითქოს ქარმა დაუბერაო, გაჩაღდება, ჩანჩქერივით ამოიფრქვევა და ჭერში ჩამოკიდებულ ჭალებს ერთბაშად ცეცბლს წაუკიდებს.

...ჭალები სხვადასხვა ზომისაა: ვეება სადარბაზო ჭალის გარშემო სასტუმრო და საძილე ოთახის, სამუშაო კაბინეტისა და ბუდუარის ჭალებია განლაგებული. მათი კაშკაშა სინათლე, ზევიდან რომ იღვრება, თანდათან კლებულობს, ჭალები უჩინარდებიან, ქრებიან და ბოლოს ქვევით, სცენაზე, დათოვლილი მთის მწვერვალებით შემოსაზღვრული ყვითელი უდაბნო განათდება.

...უდაბნოში გრიბოედოვი ძიბიჯებს. მთა თვით საკინთეჩახსნილი პერანგი აცვია და ალს მუცელზე მარში მრავალჯერ გადიდებული „ანას“ მარჯვნივ შეიკვამ.

...არაფერი არ ხდება.

გრიგოედოვი (ამოიხრიალებს) — აბრეშუმის შრილა სუფრები...

პუშკინი — კარგით ერთი! „აბრეშუმის შრილა სუფრები“ — ეს ჩემი ლექსიდანაა, სტენკა რაზინზე რომ დაენერე! არა, არა! ჩიტი გადაიქცა სუფრად! გასაშვებულ თეთრ სუფრად! მობრძანდით, ალექსანდრ სერგეევიჩ, ჩიტს მოუფლეთ!

გრიგოედოვი — მაღლობას მოგახსენებთ, ალექსანდრ სერგეევიჩ! (ჯდება... საიდანღაც ლაქია გაჩნდება. ფრაკში გამოწყობილი, თეთრი ხელთათმანებით, იგი ტყუპისცალივით გავს რუსეთის ხელმწიფეს ნიკოლოზ რომანოვს ანუ ნიკოლოზ I-ს)

პუშკინი (ღიმილით მიაჩერდება გრიგოედოვს) —

„...და იმ ბნელ ღამით გაგრძელდება თქვენი ღრმა ძილი. ხოლო როდესაც გაბრწყინდება ნათელი დილის, დაე, მოვიდეს და შეშმატოს ცხოვრებას ეშხი — გაცივებული ჩვენი ღმერთი სასმისით ხელში!..“

(ლაქია, რომელიც ტყუპისცალივით ჰგავს მეფეს, ეჭვიანად და უნდობლად მისჩერებია პოეტებს. პუშკინი — ლაქიას) — შამპანური!

(ლაქია წელში გადატყდება და პუშკინისკენ დაიხრება)

ლაქია (ჩურჩულით) — ძველებური ღვინო გვაქვს, საგანგებო ჩამოსხმაა...

პუშკინი (დაიღრჩვება) — ღვინოს მე ონეგინთან ვსვამ! გრიგოედოვს შამპანური უყვარს!

გრიგოედოვი — დიახ, დიახ... მხოლოდ შამპანური!

პუშკინი (ლაქიას, საყვედურით) — აი, ხედავ? ალექსანდრ სერგეევიჩი ისე იშვიათად მესიზმრება, შენ კი ღვინოს გვთავაზობ!

გრიგოედოვი (გული მოუვა) — არაფერიც, უკაცრავად! ეს თქვენ დამესიზმრეთ, ალექსანდრ სერგეევიჩ!

პუშკინი (ხელს ჩაიქნევს) — რა მნიშვნელობა აქვს, ალექსანდრ სერგეევიჩ! მე დაგესიზმრეთ, თუ თქვენ დამესიზმრეთ, — ბოლოს ხომ შევხვდით ერთმანეთს? ეს ოხერი ბედისწერა ხან აღმა დაგვატარებს, ხან დაღმა, თან სულ სხვადასხვა მიმართულებით... მერედა, რა ძნელია რუსეთის ოღროჩოღრო გზებზე სიარული!

(ლაქია — ნიკოლოზ I-ს ტყუპისცალი — ჭიქებში შამპანურს ჩამოასხამს. პუშკინი გრიგოედოვის ორდენს მიაჩერდება)

— ეგ ყელსაბმელი მძიმე მეჩვენება. ქვევით ხომ არ გენევათ, რომ თავდახრით მიესალმოდნენ ვინმეს?

გრიგოედოვი — მენევა დიახ.

პუშკინი (თავის ჭიქას ხელში ატრიალებს) — რაო? უჭირთ ალექსანდრ სერგეევიჩებს რუსეთში? უნდა მიეჩვიოთ. ჩვენში ნებაყოფლობით მხოლოდ ბერები ატარებენ რკინის საბმელებს. არასასურველ პოეტებს კი ძალით უკიდებენ. „წმინდა ანას“ ეძახიან, მაგრამ მაინც საბმელია!.. ამბობენ, თეირანში ხალვაა დიდებული. (გაიღიმებს)

გრიგოედოვი — მშვენიერი ხალვაა. (ცოტა ხნის შემდეგ) ვითომ აუცილებლად მომელავენ?

პუშკინი (ცივად) — მოგკლავენ. თქვენი კომედია რომ უბრალო ანეგდოტად ჩაეთვალათ, კერძო შემთხვევად, რომელიც გასართობად დაწერეთ, არაფერი მოხდებოდა. მაგრამ მათ ეწყინათ და თავიანთი თავი გასცეს. ახლა ცხადი გახდა — ვის უშიზნებთ! (გულიანად გადაიხარხარებს) ჩაადაევი სულ პარლამენტზე ოცნებობს. წარმომიდგენია, რა პარლამენტი ექნებოდათ ამ ჭკუნის კოლოფებს!

გრიგოედოვი (რალაც იმედი მაინც აქვს) — ორდენებს რატომღა აძლევენ? მინისტრებად რატომ ნიშნავენ?

(პუშკინი მისკენ გადაიხრება. ლაქიაც უმაღვე იქ გაჩნდება)


ლაქია (ჩუმად, გრიგოედოვს) — ეს მისი უდიდებულესობის საქმე გახლავთ...

(პუშკინი თვალს დაუბრიალებს, ლაქია შეშინდება)

ისე ვთქვი, ბატონო... სიტყვამ მოიტანა...

პუშკინი (ჩაიციანებს) — სიტყვა რასაც მოიტანს, ჩვენ, ვიცით, პოეტებმა! შენ სპარსული ხალვა მოგვიტანე! თხილიც გამოაყოლე, მოხალული! (ლაქია გაუჩინარდება. პუშკინი სუფრაზე განწყობილ კერძებს ხელსახოცს ახდის)

— უყურე შენ! ხალვაც აქა ყოფილა და თხილიც!



...გრიბოედოვი თავზარდაცემულმა ხალვის მოზრდილ ნაჭერს — შიგ სპარსული ხანჯალია ჩარჭობილი.

...პუშკინი მოხალულ თხილა პირში იყრის და მადიანად ახრამუნებს.

...გრიბოედოვი შეუმჩნევლად ხელსახოცს გადააფარებს ხალვას და გაოფლილ შუბლს შეიმშრალებს.

ბრიგოდაშვილი — ხომ არ გაგვეღვიძა, ალექსანდრ სერგეევიჩ?

პუშკინი — არა, ვიყავი, ასე, ალექსანდრ სერგეევიჩ. ძლივს დავესიზმრეთ ერთმანეთს. ვინ იცის, კიდევ როდის შევხვდებით ამ მინიერ გზაჯვარედინებზე?! ხან ბანქოს ვთამაშობთ, ხან სამსახურში დავიარებით...

(ლაქია დაბრუნდება და ჭიქებს შეავსებს. პუშკინი ჭიქას ხელს მოკიდებს)

მეფე თქვენდამი გულუხვობას იჩენს. მას უნდა, რომ თქვენ ბევრი რამ გქონდეთ და ეს ქონება ბედნიერებით დააგვირგვინოთ. და როცა თქვენ დარწმუნდებით, რომ ყოველივე ეს შეიძლება დაკარგოთ და გული გეტკინებათ ამის გამო, მაშინ თვითონ მეფე გახდება ბედნიერი! ჩვენი სიკვდილი მას ნაკლებად აინტერესებს. იმას ჩვენი გულისტკენა უნდა, ხოლო თუ ეს გულისტკენა სასიკვდილო იქნება, ამას არაფერი აჯობებს! რატომ არ სვამთ, ალექსანდრ სერგეევიჩ?

ბრიგოდაშვილი — ვსვამ, ვსვამ, ალექსანდრ სერგეევიჩ! (სულმოუთქმელად დაცლის ჭიქას)

...ჩაფიქრებული პუშკინი ანგარიშმიუცემლად თხილს ახრამუნებს.

(გრიბოედოვი სახელოზე ხელს მოკიდებს) — თქვენს თვალებს რაღაც დამართავ: გუგები თითქოს შიგნით შეგიბრუნდათ და ოლიმპიური ღმერთის ქანდაკებას დაემსგავსეთ.

პუშკინი (ფიქრებიდან გამოერკვევა, ღვინოს მოსვამს) — საკუთარ თავში ვიხედები ალბათ. ესეც საჭიროა ზოგჯერ.

ბრიგოდაშვილი — არ გეშინიათ? თქვენი ნიჭი რომ თქვენზე დიდი აღმოჩნდეს? ჯერ ხომ არაფერ იცის — ვინ ვის ემსახურება: პუშკინის ნიჭი პუშკინსა, თუ პუშკინი — თავის ნიჭს!

პუშკინი (პასუხს დაუგვიანებს) — ტყუილად კი არ ამბობენ თქვენზე, ყიამყრალიაო!

ბრიგოდაშვილი — არა, მართლა! ერთიც ენახოთ და, პუშკინს კარგი ცხოვრება მოენატრა, კარისკაცობა მოინდომა?! ნამით დაივიწყა თავისი ნიჭი და მეფის მსახური გახდა! მაგრამ ღვთაებრივ ნიჭს ხომ სკივრში ვერ დამალავ?! პოდა, აერევა რუსეთის პოეტს ცხოვრება! აღარ ეცოდინება ვის ემსახუროს: თავის ნიჭსა თუ თავის თავს, რომელსაც კარგად მოწყობილი ცხოვრება უნდა (ფეხზე წამოიჭრება, მაგიდაზე ხელსახოცს დაანარცხებს და ყვირის) რა კარგია, რომ არსებობს მოუწყობელი ცხოვრების შესაძლებლობა! მოუწყობელი ცხოვრების სურვილი! მოუწყობელი ცხოვრების უფლება! მოუწყობელი ცხოვრების ბედნიერება!

პუშკინი (ისიც წამოვარდება თვალანთებული) — ხომ არ გაგვეღვიძა, ალექსანდრ სერგეევიჩ?

ბრიგოდაშვილი — არა, ალექსანდრ სერგეევიჩ. შე მხოლოდ თვალზე მოგახსენეთ: გუგები შეგიბრუნდათ-მეთქი...

(ორივენი დასხდებიან. ლაქია ჭიქებს შეავსებს)

პუშკინი — ჩემს თვალებს მართლა რაღაც ემართება. ნუხელ, თეატრში, კატინკა ტელეშოვა „პა-დე-დეს“ ცეკვავდა და უცებ გაქრა! გაქრა კი არა, რაღაცნაირად გაფერმკრთალდა, სიმკვეთრე დაკარგა, თითქოს წყალმა ჩამორეცხაო. აი ისე, ბრულოვის პალიტრაზე ფერები რომ აირევა... თუმცა არა! ეს ისე მოხდა, თითქო სინათლის სვეტმა კატინკას სხეული გაჰკვეთა, და ვარდისფერი, გამჭვირვალე კაბა უკვე კატინკას კი არ ეცვა, ამ სინათლის სვეტზე იყო ჩამოცმული! ორკესტრი გრიანდებდა, ყველანი მოცეკვავე კატინკას ხედავდნენ, ჩემ თვალნი კი მხოლოდ სინათლის სვეტი დაჰქროდა მოკლე ტუნიაში გამონყობილი!.. იცით მეგობარო. მე საგანგებოდ თვალი დავხუჭე, რომ ეს ზმანება გამქრალიყო, მაგრამ ამანაც არ მიშველა... ამ დროს სცენაზე კორდებალეტი შემოიჭრა და მთლად აირია ყველაფერი! მოცეკვავეებს არც თავები უქონდათ, არც ხელფები! სინათლის ნაკადი, სხვადასხვა მხრიდან რომ მოედინებოდა, ნიაღვარივით შეიჭრა მათ მსუბუქ შაეროვან ტანსაცმელში და განდევნა იქიდან ლამაზი, მოქნილი სხეულები. უსხეულო კაბებმა ერთბაშად ფრთები დაიქნიეს და სცენაზე გაინავარდეს!

ბრიგოდაშვილი — დიდლო — დიდებული ბალეტმეისტერია. ეს მისი ოინებია!

პუშკინი — არაფერიც! მე მაყურებლებს დავაკვირდი ლორწეტი. ისინი სცენაზე ჩვეულებრივ საბალეტო სპექტაკლს ხედავდნენ, სადაც მათი სათაყვანო კატინკა, კატაში, კატრინი ცეკვავდა. იგი ყველას ღიმილით ასაჩუქრებდა და ყველა მას შეჰხაროდა. მე კი მხოლოდ მოცეკვავე შუქს ვხედავდი! შუქით სავსე ტუნიაები თავიანთი მოჩვენებითი უხორცო თეძოებითა და მკლავებით — ირხეოდნენ, იკლაკნებოდნენ, ხტოდნენ და თვალს მჭრიდნენ ელვარებით, მაგრამ მათში არც სიცოცხლე იყო, არც ვნება და არც ის ველური ალტყინება, რომელიც ყველაფერს დაგავინყებს ამ ქვეყანაზე!

ბრიგოდაშვილი — თქვენ იმათ ნამდვილი, ბუნებრივი თვალებით უცქერდით. მე გირჩევთ, ხელოვნური თვალები გაიჩინოთ.

პუშკინი (გაკვირვებული) — როგორ?

(ბრიგოდაშვილი ხელით ანიშნებს, აქვთ მოინითო. პუშკინი მისკენ დაიხრება)

ბრიგოდაშვილი (ჩუმად) — სათვალეს არ ვგულისხმობ... ვაჭრის ცოლებმა იციან: ხელოვნურ აღმასებს გააკეთებინებენ ოსტატს, ზუსტად ისეთივეს და იმავე რაოდენობით, რამდენიც სკივრებში აქვთ შენახული. შინ ნამდვილი უწყვიათ, გარეთ გავლენ და ხელოვნურს გაიკეთებენ. თქვენც, ხალხში ხელოვნური თვალები ატარეთ! განსაკუთრებით, სამსახურში როცა ხართ. ნამდვილისაგან მაინც არ განსხვავდება, თან უპირატესობაც აქვს: თვალში რომ ხინვი ჩაგივარდეთ, არ შენუხდებით! ამიტომ მოიქეცით ისე, როგორც სხვები აკეთებენ. თქვენი ბუნებრივი თვალები კი მხოლოდ მაშინ იხმარეთ, როცა საყვარელ ქალს შეხედებით ანდა სუფთა ქალადის ფურცელთან დარჩებით მარტო! (ცოტა ხნის შემდეგ) თუმცა ბალეტშიც შეგიძლიათ გაიკეთოთ: მეტს ისიამოვნებთ!

პუშკინი (ჩაეცინება) — საქმიანი აზრია! თორემ ისე დაგიბინძურებენ თვალებს, რომ ვერ ამოისუფთავენ!.. საქართველოს მთებში ალბათ სუფთაა ზეცა?

ბრიგოდაშვილი (ამოიოხრავს) — ცისფერია.

პუშკინი (ჩაფიქრებული) — რუსეთშიც ცისფერია... „მესამე განყოფილების“ მუნდირივით. არნივის თავიანი ღილები რომ მიაკერო, შეგიძლია დაუჩოქო და ილოცო. ოღონდ ჩურჩულით. თან შენი ლოცვა დასმენას უნდა გავდეს, სხვანაირს არ შეისმენს, თავიდან მოგიცილებას.. ცისფერი!.. თქვენ უკვე მოგიცილათ, თერანში გაგიშვათ. ჩემი აღსასრულის დღისთვის კი ჯერ კიდევ ემზადება. (პაუზის შემდეგ) და გავხდებით მე და თქვენ „უწინდელი“ ხალხი! შთამომავლები გამოკითხვას დაგვიწყებენ, რანაირები იყავითო...

ბრიგოდაშვილი — რაღა გამოკითხვა იქნება, თუ უკვე ჩავიარეთ, აღარ ვარსებობთ? ვილას ჰკითხავენ, ალექსანდრ სერგეევიჩ?

პუშკინი — მე და თქვენ, ალექსანდრ სერგეევიჩ. სხვას ვის უნდა ჰკითხოთ?

ბრიგოდაშვილი — ჩვენ ხომ უკვე ჩავიარეთ? ვინ დაინტერესდება ჩვენი ბედით? მარტო ისტორიკოსები თუ...

- კუშკინი (შეანწყვეტინებს) — ისტორიკოსებს მართო მეფეები და რევოლუციები აინტერესებთ. ჩვენ, პოეტები, უბრალო ხალხის ყურადღებით ვსარგებლობთ.
- ბრიგოეძოვი — მაშ, გამოდის, რომ ჩვენი დღევანდელი ცხოვრება შთამომავლებს უნდა შევალიოთ? ეს ხომ ზარალია? ჩვენ, ცოცხლებს, რაღა გვრჩება?
- კუშკინი — ზარალია! სუფთა ზარალი!
- ბრიგოეძოვი — თან შთამომავლების წინაშე თავს ხომ ვერ შევილაშტობთ? თითო-ეულ ჩვენს საქციელს იმით ხომ ვერ შევაფასებთ, თუ რას იტყვიან ჩვენზე ისინი, ვინც ჯერ არ მოსულა ამქვეყნად?
- კუშკინი — ღმერთმა დაგვიფაროს! თავის შელამაზება რად გვინდა? წარვსდგეთ მათ წინაშე ისეთები, როგორიც ვართ. ეს იქნება ჩვენი უკანასკნელი სამსჯავრო. იქ გადაწყდება ყველაფერი: ალესდგებით მკვდრეთით? შევეთვისებით მომავალს? (დუმბილის შემდეგ) სხვა რა დაგვრჩენია? თქვენი კომედია აკრძალულია. ჩემი „ონეგინის“ თავები ცუდად სალდება... ერთადერთი ბულგარინის „ვიჟიგინია“, რომ მთელ წიგნისმკითხველ რუსეთს მოედო. მაგრამ სად არის „წიგნისმკითხველი რუსეთი“? ასეთი ქვეყანა არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ არსებობს, ხოლო ის, ვინც წიგნს კითხულობს, ჯერჯერობით რუსეთი არ არის!
- ბრიგოეძოვი — ხომ არ გაგვეღვიძა, ალექსანდრ სერგეევიჩ?
- კუშკინი (გულიანად გაიღიმებს) — ჯერ ბოშების სიმღერა უნდა მოგასმენინოთ, თორემ დაებრდებით და მერე რად გვინდა?!
- ბრიგოეძოვი (მშვიდად) — არ დაებრდებით. დაბერებას არ დაგვაცლიან.
(ლაქია გრიბოედოვისკენ დაიხრება)
- ლაქია (შეთქმულივით) — აქ ერთი ქართველი ქალია...
- ბრიგოეძოვი (მაგიდაზე მუშტს დაჰკრავს) — ნინოსავით მაინც ვერაფერს მღერის!
- ლაქია (გაეჭიმება გრიბოედოვს) — სავსებით სწორი ბრძანდებით, თქვენო მაღალალმატებულეზავ, მთელი ჩვენი ნდობით აღჭურვილო ბატონო სრულუფლებიანო მინისტრო!.. ნინოს უძახიან იმ ქალს...

...ნინო კი ამ დროს მორბის აქეთ, მოეშურება თავის საქმროსაკენ, მაგრამ ვერ მოსულა, რადგან მოქმედება სიზმარში ხდება.

...გრიბოედოვის აღერსიანი მზერა თითქოს მიიზიდავს ქალს და იგი მაგიდასთან აღმოჩნდება.

...რამდენიმე გიტარა ერთდროულად აჟღერდება. იმავე წუთს გიტარებს ქართული საკრავების ხმაც შეურთდება.

ნინო (მღერის) —

უნდა იცოცხლო დიდხანს,
რომ ახალგაზრდა გახდე!
უნდა თქვა შენი სიტყვა,
რომ ახალგაზრდა გახდე!
მტერი დაამხო უნდა,
რომ ახალგაზრდა გახდე!
მომშე ახარო უნდა,
რომ ახალგაზრდა გახდე!

თვითეული დღე შენთვის,
რაც უნდა იყოს შორი,
მუდამ პირველი დღეა
დარჩენილ დღეთა შორის;
და ნუ იჩქარებ, შენს გზას
ნელი ნაბიჯით მიჰყე,
რომ გახანგრძლივდეს ოდნავ
შენთვის უცნობი ის დღე!

და თუ გაგიჩნდა თმაში
თოვლის პირველი წართი,
ეს ნიშანია იმის,
რომ ახალგაზრდა გახდი;
ეს ნიშანია იმის,
რომ ხარ რიყრაფის ტოლი, —
ახალგაზრდაა სულმთლად
ახლადმოსული თოვლი!

უნდა გიყვარდეს ვინმე,
რომ ახალგაზრდა გახდე!
უნდა შეგძულდეს ვინმე,
რომ ახალგაზრდა გახდე!
უნდა თქვა შენი სიტყვა,
რომ ახალგაზრდა გახდე!
უნდა იცოცხლო დიდხანს,
რომ ახალგაზრდა გახდე!..

გრიბოედოვი (ნინოს მივარდება და გულში ჩაიკრავს) — **ნინო!**

...განათება იცვლება.

..უდაბნო გაქრა. ჩვენს წინ ახლა გრძელი, ცარიელი დარბაზია. იგი სცენის სიღრმეში დაგუბებულ წყვედი-ადში იკარგება და ამიტომ დუქრუდებულს შთაბეჭდილებას ტოვებს. დარბაზში კვლავ მხოლოდ კორიფე მხრით — ვინრო და მალალი სარკმლებია დატანებული. ისინი, სარკვეების მსგავსად, მოოქროვილ ჩარჩო-ებშია ჩასმული.

...ეს ტფილისის სათავადაზნაურო კრების „სარკვეები-ანი დარბაზია“, სადაც საზეიმო მიღებებსა და მეჯ-ლისებს მართავენ.

...შემოდის მაჟორდომი, რომელიც ტყუპისცალივით ნიკოლოზ I-ს ჰგავს. ხელში კვერთხი უკავია.

მაჟორდომი (კვერთხს იატაკზე დაჰკრავს და ცირკის შტალმენისტერივით ცარიელ დარბაზს გასძახებს) — **მისი აღმატებულება, სამოქალაქო მრჩეველი, ბატონი გრიბოე-დოვი თავიანთი მეუღლით!**

..სარკვეებს შუა — კედლის ქაღებში შუქი ინთება.

...ნინო თეთრ კაბაშია, გრიბოედოვს ფრაკი აცვია და გულზე „ანას“ ორდენი უკიდია.

...უხილავი ორკესტრი „გრიბოედოვის კალსის“ მე-ლოდიას ნამოინწყებს. გრიბოედოვი ნინოს წელზე ხელს მოჰხვევს, ნინო მხარზე თავს დაადებს და... იმავე წუთს მთელი დარბაზი სარკვეებში არეკლილი მოცეკვავე ნინოებითა და გრიბოედოვებით გაივსება! მათაც ისევე აცვიათ, როგორც ჩვენს გმირებს, ისი-ნიც ვალსს ცეკვავენ და იღიმებიან.

...გრგვინავს ორკესტრი. თავბრუდამხვევი ტრიალით უამრავი ნინო და გრიბოედოვი, ერთნაირად გაღიმე-ბული და ბედნიერი, დარბაზის სიღრმეში მიჰქრის და სიბნელეში უჩინარდება.

...და უცებ ყველაფერი თავდება. ორკესტრი დაკვრას შეწყვეტს. მოცეკვავეები ერთ ადგილზე გაშეშლებიან. სცენის წიაღში ჩაგუბებული სიბნელე გაიცრიცება და ნინოების და გრიბოედოვების წინაშე, მწყობრად დარაზმული ფამუსოვების კედელი აღიმართება:

...ფამუსოვების უკან, ფერად-ფერად ფრაკებში გა-მონწყობილი, ფერუმარილით შეთხუპნილი მონღალი-ნიბი დგანან.

...მხებმოშიშვლებული, ფართოდ დეკოლტირებულ კაბიანი სოფიონები მკლავში ჩაფრენიან თავიანთ კა-ვალრებს.

...გაქვავებული სახით, მანეკენებივით ჩამწკრივებუ-ლან საზარალი დედაბრები და საზარალი ბებრე-ბი, ...სულ უკანა რიგში კი, შემალღებულ ადგილზე სპალაზუბები ატუზულან. მათ გაქვავებულ სახეზე გააფთრებული და ალერსიანი ღიმილი შეყინულა. თვითეულ მათგანს მუხლში მოხრილი მარჯვენა ყეხი ოდნავ წინ გადაუდგამს, თითქოს ისინი პო-ლონეზის ცეკვას აპირებენ ანდა მარშით გავლისთ-ვის ემზადებიან. სრულ სიჩუმეში ერთი ხმა ისმის მხოლოდ — ორდენებისა და მედლების მოუთმენელი ფლარუნი.

მამორღოში (ხმადაბლა, მაგრამ განკარგულებასავით) — პოლონეზი!

...სუყველას სახეზე ერთდროულად ამპარტაენი ღიმილი გაკრთება. ისინი, — თითქოს ერთად შეიკვნინონ, — ხელს ჩაჰკიდებენ ერთმანეთს უხილავი ორკესტრი პოლონეზს დასცხებს. სარკვეებში კვლავ ერთი წამით გაიღვებებს თეთრე კაბებს ანარეკლი და უმაღლვე გაქრება, გეგონება, ნენრუების ცხუნდს კლალმა ჩამოუარაო. გრიბოედოვი თავისი პერსონაჟების პირისპირ აღმოჩნდება მარტოდმარტო, რადგან სარკვეებში მისი გამოსახულება აღარ ჩანს. იქ ახლა მარტო ისინი არიან: სინამდვილისა და მწერლის ფანტაზიის ნაშეერნი მათი ორეულები მრავლდებიან, მათი მწკრივები იზრდებიან და ხელიხელჩაკიდებულნი ისინი გრიბოედოვისაკენ მიიწევენ.

...გრიბოედოვის გარშემო წრე თანდათან ვიწროვდება.

...განათება იცვლება.

...გამაყრუებელი მუსიკის შემდეგ უეცარი სიჩუმე ტკივილის გაყურებას გავს.

...დილაა. ბრიგოადოვი სკამზე ზის და ნინოს ელოდება. ეტყობა, ახლა გაიღვიძა, სათვალევ არ უკეთია. მისი სიბეცის გამო — ოთახი ცარიელი გამოიყურება.

შემოდის ნინო.

ნინო — დილით მთანშინდაზე ასვლას აპირებდი. დილაა და ცხენები მოვიყვანე.

ბრიგოადოვი — მე უშენოდ უსახლკაროს ვგავარ. ჩემი სახლი ყოფილხარ თურმე!

ნინო — რას იზამ ახლა?

ბრიგოადოვი — ჩავიკვები შენში და შენი თვალების ფანჯრებიდან გავიხედავ გარეთ.
(სათვალეს გაიკეთებს)

...ოთახში განლაგებული ნივთები გამოჩნდება.

ნინო (მის წინ ჩაცუცქდება და იდაყვით მუხლებზე დაეყრდნობა) — ქუჩაში რომ ლამაზმა ქალმა გაიაროს? რად გინდა გარეთ გახედვა! მოცილდი ფანჯრებს, თორემ წამნამებს ფარდებით ჩამოვუშვებ!

ბრიგოადოვი — აბა როგორ გავიგო გარეთ რა ხდება?

ნინო — მე თვითონ გამბობ. (ადგება, ფანჯარაში გაიხედავს) ქუჩაში არაფერია. ცარიელია ქალაქი. შენ მთანშინდაზე გინდოდა ასვლა. ნავიდეო.

ინტერმედია

ცარიელი ქალაქი

...ფლოქვების თქარუნი.

...და ლითოგრაფიების მთელი წყება, სადაც ძველი ტფილისია გამოსახული, ნელა ამოძრავდება. გეგონება, ისინი თან გრიბოედოვი ქალაქს ათვალეერებენ.

...ოთახისა და ოთახის სახლი. ღია ფანჯრები ქარისგან დაბერილი.

ბრიგოადოვის ხმა — მართლაც, ქალაქი კი ცოცხლობს, სუნთქავს... ფანჯრის ფარდებით სუნთქავს!

ნინოს ხმა — საკვირველია, რომ ფანჯრებში არავინ იხედება!

ბრიგოდაძოვის ხმა — რატომ არის საკვირველი?

ნინოს ხმა — ტფილისია და იმიტომ! ქუჩაში ნეფე-დედოფალი მობრძანდები, სამოქალაქო მრჩეველი გრიბოედოვი და თავადის ასული ჭავჭავაძე, ცნობისმოყვარენი კი არ ჩანან!

ბრიგოდაძოვის ხმა — ალბათ ჩვენს მოლოდინში დაიღალნენ. *რთახლებში იქნებიან ახლა, ისვენებენ.*

..ლითოგრაფია: ქუჩაში, სადარბაზო შესასვლელიდან, შგაბმული ცხენი აბია.

ბრიგოდაძოვის ხმა — ალბათ ადიუტანტმა სახლში შეირბინა, რომ თავის უფროსს პაკეტი გამოართვას.

ნინოს ხმა — იქნებ პაემანზეა უინმე მოსული?

ბრიგოდაძოვის ხმა — ან იქნებ ჯერ არ წახულა?

..ლითოგრაფია: შუა ქუჩაში, ქვაფენილზე, ახლად დაკრეფილი მწვანილით სავსე კალათა დევს.

ბრიგოდაძოვის ხმა — აი, ხედავ! ქალაქი მართლა სუნთქავს! ფარდებით სუნთქავს, სადარბაზოსთან მიბმული ცხენით, ახლად დაკრეფილი ხახვით, ბოლოკით, ოხრახუშით...

ნინოს ხმა — მწვანილის გამყიდველი ბიჭი კი ალბათ ეზოშია.

ბრიგოდაძოვის ხმა — ეტყობა, მუშტარმა დაუძახა. ამ ნუთში მოვა.

..ლითოგრაფია: დუქნის წინ, მაყალზე მწვადი ინვება. დახატული კვამლი ცისკენ მიიწევს. მაყლის გვერდით არავინაა.

ნინოს ხმა — დაენვება მაგ უბედურს!

ბრიგოდაძოვის ხმა — შედუქნეზე ამბობ? ის ნახშირის მოსატანად წავიდოდა. სადმე აქვე იქნება, ამ ნუთში მოვა.

ნინოს ხმა (თითქმის გულმოსული) — ყველა სადღაც წავიდა და ყველა „ამ ნუთში“ მოვა! საკვირველია, ღმერთმანი!

ბრიგოდაძოვის ხმა — არ მოგწონს?

ნინოს ხმა (მოგვიანებით) — რას ამბობ! გადასარევი ქალაქია! მე და შენა ვართ მარტო! (პაუზა. ისევ ცლოქვების თქარუნი ისმის მხოლოდ)

ბრიგოდაძოვის ხმა — თუ შეამჩნიე: ჩემთვის არასოდეს არ მოგიმართავს სახელით...

ნინოს ხმა — შევამჩნიე.

ბრიგოდაძოვის ხმა — ნუთუ ჩემი სახელიც უნდა შეგახსნავლო, უცხო ენასავით?

ნინო (დუმბილის შემდეგ) — ამჟამად — კი. (დამარცვლით წარმოთქვამს) ა-ლექ-სანდრ სერ-გე-უ-ვირ...

ბრიგოდაძოვის ხმა (ოდნავ დამცინავად) — „შენობით“ რომ მომმართავ? ეგ როგორღა გამოგდის?

ნინოს ხმა — თავისთავად. ალბათ დიდი ხანია „შენობით“ გელაპარაკები, ოღონდ ხმამალლა ვერ მითქვამს, გულში ვამბობ.

ბრიგოდაძოვის ხმა — უბრალოდ „ალექსანდრე“ რომ დამიძახო? (პაუზა)

ბრიგოდაძოვის ხმა (მოჩვენებითი სიმკაცრით) მაშ გამოდის, ისევ დამჭირდება შენთან მეცადინეობა?

ნინო (მორჩილად) — დაგჭირდება... სპარსეთში რას დაგიძახებენ?

ბრიგოდაძოვის ხმა (კომიკური სერიოზულობით) — იქ ვაზირ-მუხთარი ვიქნები!

..ლითოგრაფიებზე ძველი ტფილისის ხედები პეიზაჟით შეიცვლება: ეს უკვე ქალაქის გარეუბანია. კლდეები...

ღრუბლები...

მდინარის დაფერებული ნაპირი...
მზით გახურებული ნარინჯისფერი ჭაერი...
...ფლოქვების თქარუნი თანდათან წყდება.
რძისფერი ბურუსი მოიცავს სცენას, თითქოს, ბუნე-
ბის სანახებს სიფრიფანა ქალაქი გადააფარესო.

ერეკლე
გინჯი

სურათი მეოთხე

მთანმინდაზე

...და ისევ — თითქოს ძველ ლითონგრაფიას სიფრიფა-
ნა ქალაქი გადააფარესო: მთანმინდა გამოჩნდება
მამადავითის ეკლესიით.

...ნინო და გრიბოედოვი ქვებზე სხედან.
...მოულოდნელად — მოქმედების დაწყების ნიშანი-
ვით — არემარეს ქართული ხალხური სიმღერა მო-
ეფინება, რომელსაც მამაკაცების გუნდი ასრულებს.

გრიბოედოვი (ფიქრებიდან გამოერკვევა) — აქ მინდა, როცა აღარ ვიქნები, აქ მინდა.
სამუდამოდ.

ნინო (ბალახის ღერს წინკნის) — კარგი. მე ამაზე ვიზრუნებ. კიდევ რა გინდა?

გრიბოედოვი — ჩვენი ქორნილი დღეს იქნება თუ ხვალ?

ნინო — რა განსხვავებაა? შენ, ეტყობა, გინდა ახლავ ევთხრათ ერთმანეთს ის, რასაც
საკურთხეველთან ვერ ვეტყვი.

გრიბოედოვი — რატომ? არაფერიც. (უცებ შეიშმუშნება, სათვალეს მოიხსნის, გაასუფთა-
ვებს და ისევ გაიკეთებს) საკურთხეველი — ნმინდა ადგილია!

ნინო — მთანმინდა?

გრიბოედოვი (ჯიუტი ბავშვივით) — აქ მინდა. სამუდამოდ.

ნინო (ისევ ბალახს წინკნის) — ამასობაში კი, სიონის კარი უკვე გაიღო და მე და შენ ტა-
ძარში შევედით... თვით საქართველოს ეგზარქოსმა უნდა დაგვწეროს ჯვარი!

გრიბოედოვი — მაშ, დღეს ყოფილა?

ნინო — რა განსხვავებაა? კარიბჭე უკვე გაიღო და მექორნილენი ტაძარში შევიდნენ!
ნინოს თეთრი ფატა ახურავს, გრიბოედოვს ფრაკი აცვია და გულზე მოელ-
ვარე „ანა“ უკიდია... დასწყველოს ღმერთმა! რაღა მაინც და მაინც ქალის სა-
ხელი უნდა ერქვას ორდენს?!

გრიბოედოვი — გინდა, მოვიხსნი? (ხელს წაიღებს ორდენისაკენ)

ნინო (აჩქარებით) — არა, არა! ნუ იზამ მაგას, გვხვენები! მე უბრალოდ ვჭირვეულობ...
ეგზარქოსმა კი უკვე ხელები აღაპყრო, რომ დაგვლოცოს ჯვარდანიერილები.

...სიმღერა ახალი ძალით იფეთქებს. უკვე შეაფიოდ
ისმის სიტყვები.

გრიბოედოვი (სიმღერას მიაყურადებს) — რას მღერიან?

ნინო — „გუთნისდედა ვარ...“

გრიბოედოვი — „გუთნის დედა ვარ...“ მინა მაგარია, მაგრამ ადამიანის სიყვარული მის-
დაში უფრო მაგარია. ამიტომაც ვარ მე — მინისმხველი და გუთნისდედა.
მარტო ქართულ მამაკაცს შეუძლია იყოს ისეთი მოსიყვარულე და ერთგული,
რომ თავის თავს „დედა“ უწოდოს! თან არ დაგაუინყდეს: მინის ხენა ღამით
უხდება, დღისით მტრები ახვევია!

ნინო (ადგება, მიუახლოვდება, დაყვავებით) — ამის შესახებ სიმღერაში არაფერია. იქ მარ-
ტო გუთნისდედაზეა.

გრიბოედოვი (დაბეჯითებით) — ეგაც იქნება! შენ უბრალოდ ვერ გაიგონე. (პაუზის შემ-
დეგ) აქ მინდა. მთანმინდაზე.

ნინო (ფეხებს აბაკუნებს) — ტინგიცა ხარ! ახლად გამოჩევილი პორუჩიკი... და თავი სისულულეებით გაქვს გამოტენილი!

ბრიგოელოვი (გაიღიმებს და ხელებს გაშლის) — ველირსე! როგორც იქნა: მთლად ახალგაზრდა გავხდი!

ნინო (ისევ გულმოსულია) — თუ ეგეთ რამეზე ფიქრობ, რაღას მიდიხარ?
ბრიგოელოვი — რუსეთის დროშა — მეფის პირადი დროშა არ არის... ამგვარად მის ხადარაჯოზე მე ვდგავარ.

ნინო — ეგ შენი სამსახურებრივი მოვალეობაა!
ბრიგოელოვი — ჩემი ღირსების საქმე თუ არი, მაშინ რა ვქნა? აგერ აქ, კავკასიაში, პატივადილი პუშჩინი და ბურცოვი თავს არ ზოგავენ: არც სპარსულ ტყვიას ერიდებიან და არც ოსმალურ ხანჯალს... ესეც „სამსახურებრივი მოვალეობაა?“ მათ ხომ პირადად თავისთვის არაფერი უნდათ და ეს დაგვიმტკიცებს კიდევ, როცა სენატის მოედანზე გამოვიდნენ! ეგრე თუ ვიფიქრეთ, მაშინ ნაპოლეონსაც უნდა დაემორჩილებოდით! მაგრამ ქართველი თავადი ბაგრატიონი მკერდით გადაეღობა ფრანგულ ხიშტებს და სისხლი დაღვარა ბოროდინოს ველზე! „სამსახურებრივი მოვალეობა“!.. მე ბოროდინო არ მქონია, მე თეირანი შექნება! (დუმილის შემდეგ) ერთი განსაკუთრებული ღირსება არსებობს ამქვეყნად — მეცხრამეტე საუკუნის რუსი ადამიანის ღირსება!

ნინო — გაქცეულები?
ბრიგოელოვი (ვერ მიხვდება) — რა?

ნინო — გაქცეულებს რომ მწყობრში გაატარებენ და გაროზგავენ, ეგაც შენი „ღირსებას“ საქმეა?

ბრიგოელოვი (მოულოდნელი სიმკაცრით) — მე მათ არაფერს დავუშალავ! სკივრში შენახული ერთი მუჭა მინა — სამშობლო მაინც ვერ გახდება, ყოველ ადამიანს თავისი კუთვნილი ადგილი აქვს და თავისი კუთვნილი ცხოვრება. გამოსავალი კი ყოველთვის მოიძებნება!

ნინო — შენი ჩაცმის სიტყვები როგორღა გავიგოთ? „ნავალ, ქვეყანას შემოვივლი, იქნება სადმე შეგინებულმა გრძნობამ ნახოს თავშესაფარიო...“ ისიც გაქცეულია?

ბრიგოელოვი (გაიღიმებს და ნინოს მოეხვევა) — ეგ არაფერია! კარეტას მიართმევენ, პაერზე გაიხეირნებს და დამშვიდდება! მერე სამსახურსაც მოეკიდება. ოღონდ მსახური მაინც ვერ გახდება, ამას არ იკადრებს!.. სიონში ამ დროს რა ხდება?

ნინო — შენ უკვე ჩემი ქმრი ხარ. ქმარი!
(გრიბოედოვი მოულოდნელად ხელში აიტაცებს ნინოს. შეშინებული ნინო შეჰყვირებს)

რახ შერები, ალექსანდრ? თავი გამანებე!

ბრიგოელოვი — რა თქვი? გაიმეორე!
ნინო — თავი გამანებე-შეთქი! დამსვი!

ბრიგოელოვი — ჩემი სახელი რაღად გამოტოვე?
(ნინო სათვალეს მოხსნის, თვალებში ჩახედავს. გრიბოედოვს გაეღიმება) ახლომხედველი მინდა ვიყო! არ მინდა შორს ვიხედებოდე! იქ ათასი რამ შეიძლება აღმოჩნდეს!

ნინო — იქ შენი წერილები იქნება, ჩემთან მოწერილი.

ბრიგოელოვი (დაბნეული) — თუ მოგწერ, მაშასადამე, უშენოდ ვიქნები?

ნინო — კო, უჩემოდ. (პაუზა) შენი წერილები მინდა მქონდეს. ნეტა რანაირი იქნება?
(გრიბოედოვი ფრთხილად ჩამოსვამს ნინოს. ცოტა ხნით ჩაფიქრდება)

ბრიგოელოვი (ვითომ წერილს კითხულობს) — „...კიდევ ერთი ღამე გავათენე უშენოდ. ახლა ეს სიტყვა „უშენოდ“ — ჩემი ნელთალრიცხვაა. ჩემი კალენდარი „უშენოდ“. რაღაც გაუაკეთე... ან არ გაუაკეთე... „უშენოდ“. ერთი თვე, ერთი წელიწადი, მთელი ცხოვრება — „უშენოდ“... „უშენოდ“ — ეს საზომია ყველაფრის, რაც ახლა ჩემში ხდება. „შენთან“ როცა ვარ, მაშინ სხვაა. მაშინ დრო შენი თვალების, შენი ტუჩების, შენი მკლავების, შენი სიტყვების განზომილებაში გადადის. შენი ყოველი სიტყვაც მაშინ მარტო სიტყვა არ არის. იგი შენი ხმის ფლერაა, რომელსაც თავისუფლად შეუძლავ სიჩუმედ გადააქცევს და შე შეში-

ლია მოვუსმინო ამ სიჩუმეს, ისევე, როგორც შენს ხმას ვუსმენი." (ნინოს მიიღე ჩემი წერილი?)

ნინო (თითქმის ჩურჩულით) — მივიღე. გმადლობთ.
(პაუზა)

ბრიგოდაძე — საქორწილო სუფრაზე რა ხდება ამ დროს?

ნინო — ნინოს ფატა ახურავს, გრიბოედოვი ფრაკშია. მას ხელში წინააღმდეგობით სახესე ყანნი უჭირავს და... (გრიბოედოვს) რალაცის თქმა გინდა?

ბრიგოდაძე (სათვალეს გამოართმევს და გაიკეთებს) — გაუშვი იმან თქვას, ფრაკიანმა!
ნინო — შენ არაფერს იტყვი?

ბრიგოდაძე (დაფიქრების შემდეგ) — კარგი... როცა ადამიანი თავის სულიერ აღფრთოვანებას კეთილ საქმეს მოახმარს და ამ საქმეს შეენიერება, მასზე ამბობენ, უფრო დროს დაიბადო. არაა სწორი სულიერი აღფრთოვანება უშედეგოდ არ რჩება! იგი ზეგავლენას ახდენს სხვებზე და წინსვლისაკენ უბიძგებს ადამიანის გულსა და გონებას... ჩვენ დროულად დავიბადეთ, ბატონებო! სწორედ მაშინ, როცა ეს საჭირო იყო. ჩვენი ეს საუკუნეც, ეს დღეც და ეს საათიც!

ნინო — შენ ისტორიკოსივით ლაპარაკობ. თითქოს აღარ იყო ამქვეყნად.

ბრიგოდაძე (ჩაიცინებს) — ისტორიკოსი, ჩემო ანგელოზო, სხვანაირად იტყვის: „რუსეთში დროულად დაბადებულ ალექსანდრ სერგევიჩებს მეტიმეტად უჭირდათო“. და ეს იმიტომ, რომ ბენკენდორფებიც დროულად იბადებიან!
(ნინოს მოეხვევა)

ნინო (ჩუმად) — ვფიცავ ყველაფერს, თუ მოხდა ისე, როგორც შენ ფიქრობ, არც ერთი მამაკაცი არ დაეკონება ჩემს ბაგეს, არც ერთი მათგანი თვალეებში არ ჩამხედავს!

ბრიგოდაძე — რომ ჩაგხედოს? სახეს მოგიბრუნებს და ჩაგხედავს! მამაკაცი ღონიერია.

ნინო — რა გულუბრყვილო ხარ! ქალი უფრო ღონიერია. ჩემს თვალეებში არც ერთი მამაკაცი არ აირეკლება! ისინი ხომ ქალის თვალეებში მარტო თავის გამოსახულებას ეძებენ? ჩემს თვალეებში კი უკვე შენ ხარ. სამუდამოდ! სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე!

ბრიგოდაძე (ცოტა ეჭვიანობს) — თვალეებს, სხვათა შორის, ქუთუთოებიც შეგიძლია ჩამოაფარო. აგერ ჩამხელა ნამწამები გაქვს! მაგრამ, ხელეები? ქალის ხელეები ხომ მუდამ რალაცას ეპოტივებიან? შენი ხელეები!

ნინო — ჩემი ხელეები შენ გეპოტივებიან, როგორც მწვერვალს. ის მწვერვალი თუ გაქრა, ხელეებიც დამატყდება და უფსკრულში ჩაეიჩხებები! რის მაქნისია მკვდარი ხელეები?

ბრიგოდაძე — რალაცას მაინც ხომ წაანერენ ჩემს საფლავს?

ნინო (ლამის დაიყვირებს) — შეწყვიტე! შეწყვიტე ახლავე! (ხელს კი არ გამოსტაცებს, უფრო მიეკრობა)

ბრიგოდაძე (არ ცხრება) — მაინც?

...დიდი ხანია შეწყდა მამაკაცების სიმღერა.

სიჩუმეს მხოლოდ მთის ძირში გაფენილი ქალაქის ხმაური არღვევს. სადღაც შორს დოლ-გარმონზე მხიარულ საცეკვაო მუსიკას უკრავენ.

...ნინო მოსცილდება გრიბოედოვს და მუხლმოყრილი თავს დახრის მის წინაშე. ეს ერთდროულად ხუმრობაცაა და მდაბალი სალამიც.

ნინო — ო, ვაზირ-მუხთარო! (და კიდევ ერთხელ, ღიმილით) ო, ვაზირ-მუხთარო! (და შორეული მუსიკის ხმას აყოლილი, ცეკვით შემოუვლის ფიქრებში ნასულ გრიბოედოვს. თან წამღერებით ამბობს):

და ქვის პერანგით შეიმოსება
სიტყვა, რომელსაც მე ვიტყვი შენზე,
ვაზირ-მუხთარო!

და ქვა გათბება და გაბრწყინდება
სიტყვით, რომელსაც მე ვიტყვი შენზე,
ვაზირ-მუხთარო!
მაგრამ რა აზრი ექნება, ნეტავ,
სიტყვას, რომელსაც მე ვიტყვი შენზე,
ვაზირ-მუხთარო?



აზრი, რომელიც სამარადჟამოდ
იმ ქვას გაათბობს და გააბრწყინებს,
ვაზირ-მუხთარო?..

და ქვის პერანგით შეიმოსება
სიტყვა, რომელსაც მე ვიტყვი შენზე
ვაზირ-მუხთარო:
„შენი ფიქრი და შენი საქმე
უკვდავია ხსოვნაში რუსის.
ვაგლახ! ეს ჩემი სიყვარული
რად აღმოჩნდა შენზე დღეგრძელი“,
ვაზირ-მუხთარო?!

(და ნინო კვლავ დაიხრება გრიბოედოვის წინაშე)

ეპილოგი

...განათება იცვლება.
...ისევ მთაწმინდა. ამჟამად მუხლმოყრილ ნინოსა და
მამადავითის ეკლესიის შუა — ჯვარცმის ქანდაკე-
ბით დატვირთული შავი მარმარილოს ლოდია.
...გუგუნებს ეკლესიის ზარი. ჩვენს თვალწინ საფლავ-
ის ლოდი თანდათან წარწერით იფარება. ზარის
თითო ჩამორეკვაზე — თითო სიტყვა ჩნდება:
«Ум и дела твои. бессмертны... в памяти
русской... но для чего... пережила тебя...
любовь моя...».

...ეს სიტყვები ქართულად ეღერს: „შენი ფიქრი
და... შენი საქმე... უკვდავია... ხსოვნაში რუსის...
ვაგლახ! ეს ჩემი სიყვარული რად აღმოჩნდა შე-
ნზე დღეგრძელი...“

ნინო (თავს აიღებს. ჩურჩულით, თითქო ქვაზე ამოკვეთილ წარწერას ამთავ-
რებს) — ა, ვაზირ-მუხთარო!

დაასრული





(წიგნიდან „ჩამოცვენილი ფოთლები“)

თარგმნა ედიშერ გიორგაძემ

• •

ს აკუთარ თავში რწმენის გარეშე ძლიერი ვერ იქნები, მაგრამ ასეთ რწმენას თავხედობა ასაზრდოებს.

აი, ამ წინააღმდეგობას მოწესრიგება გახლავთ პიროვნების ერთ-ერთი ძნელთუძნელესი ამოცანა.

• •

რად მეთანადრება გული, რომ „ჩემზე უოტას წერენ“ ეს ხომ ჭეშმარიტად მდაბიური გრძნობაა. განა ბევრს წერენ პერიკოვსა თუ ფილოსოფოვზე? რა დამამცირებელია შეგრძნება იმისა, რომ ამგვარი ხეპრე ხარ. ეგრე ვაგიძევებია შენი სულიდან ეს ლაქიური თვისება. ლაქია და გენოსი. ყოველი დროსათვის ნიშნადი, შესაძლოა მთელი კაცობრიობის მახასიათებელი.

• •

რაცა გოგოლს კითხულობ, სინამდვილისა აღიარა გჯერა.

მისგან მოღვრილი ხელოვნების შუქი ყოველისფერს ეთინება, შეგრძნებით, სმენით, ერთიანად მწერალს ხარ მინდობილი.

(სალამო ხანს, ჩაის სმის ეამს).

• •

ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის ყველაზე კარგი მხარე ის არის, რომ ამით საზრდოობდა ბარე ორი სული.

აზრები?

აზრები რაღა ბედენაა.

აზრი ათასნაირი მოუვა ადამიანს თავში, ამგვარიც, იმგვარიც.

(ვაგონში).

• •

წიგნი ძვირი უნდა იყოს. წიგნი არაყი რაღია, ანდა ქუჩის ქალი.

წიგნი გვესაუბრება. გვითხრობს, გვარიგებს.

წიგნი ძვირად უნდა ფასობდეს.

ის არავის ეტანება, არავის დასდევს კუდში, არც საკუთარ თავს სთავაზობს ვისმე. დევს და „არც კი ელის მყიდველს“. დევს უბრალოდ.

უნდა შეგეძლოს წიგნის მიღება. უნდა მოძებნო წიგნი და რაყი მოიძიებ, ის მოვლასა და შენახვასაც საჭიროებს.

არ უნდა გაანათხოვრო წიგნი. იგი უბიწო უნდა იყოს. „განათხოვრებული“ წიგნი მეძვე ქალს მაგონებს, ის კარგავს თვისი სიწმინდის ნაწილს.

• •

ფილოსოფოსს ეკავა გახვრეტილი ქოლგა, ოღონდ ამ ქოლგას მშვენიერი ტარი ეკეთა, შავ ნაკვდევებიანი. ტარი მომსტო იყო და მყარად

ექირა კოლგა როდი ყანყალებდა აქეთ-იქით, თანაც ძალზე მსუბუქი გახლდა.

დევადენტებმა მართლაც რომ იცოდნენ უჩვეულოდ ნატიფი, უბრალო და შნოიანი საგნების შერჩევა

29 სექტემბერი

• •

რა არის „მწერალი“

მიტოვებული ცოლი, უპატრონოდ მიგდებული ბავშვები.

და მხოლოდ და მხოლოდ პატივმოყვარეობა მართლდენ. ფრიად საინტერესო არსება. (ძილისპირს)

• •

„არ შემძლია უშეროდ ცხოვრება, — უშენოდ მიმძიმს“. „შენ გარეშე ყველგან მწყინდება“.

აი, რას ნიშნავს სიყვარული, ეს გარეგნული გამოსახულებაა ამ გრძნობისა, ოღონდაც ყველაზე ზუსტი.

სიყვარული სულაც არ არის ცეცხლი (როგორც ხშირად იციან თქმა), სიყვარული ჰაერია. უამისოდ უჭირას ფილტვებს, სიყვარული კი გიმსუბუქებს სუნთქვას.

ესაა და ეს.

• •

მე და ტანია ჩემს ერთ მეგობარს ვესტუმრეთ.

— როგორ გაახალგაზრდავებულხართ, აღრინდელზე გაცილებით უკეთ გამოიყურებით.

მე 57 წლისა ვარ.

— ახლა თქვენ ფოკუსში იმყოფებით, — განაგრძობდა იგი, — ეს იმის ნიშანია, რომ დიდხანს იცოცხლებთ. — თითები ისე აამოძრავა, თითქოს უნდა გაატყაყუნოსო, მაგრამ არ გაუტყაყუნებია (ეს სიუბეშე იქნებოდა).

— ვერ გამიგია, რას ნიშნავს სახისა თუ სიცოცხლის ფოკუსი — ვკითხუ. რაღაც საინტერესოს რომ ამბობდა, ვგრძნობდი, მაგრამ ვერ ჩაებუდომოდი მის აზრს.

ჩემ მეგობარს რემბრანდტი უყვარდა და თავის დროზე მაზინით იყო გატაცებული. ბევრჯერ ჰყავდა მოსმენილი და იცოდა მისი ცხოვრების ყოველი ზანის თავისებურებანი.

— რამდენი ავტობიოგრაფი არსებობს რემბრანდტისა... რამდენი სურათი მინაბავს

მაზინის. — ლაპარაკობდა იგი თავისთვის და სურათებს აოქალიყოფნდა.

— აბა, ეს ჯერ არ არის მაზინი, ეს კი უკვე აღიარის მაზინი...

ეს ის მაზინი როდია, ვისაც სულგანაბულსა ვუსმენდით მოსკოვში, ვისაც მთელი ევროპა კულში სდევდა, —

— უკვე მისი სურათი იბოვა. — აი (წელიც დაასახელა) ნამდვილი მაზინი. მხოლოდ ერთ სურათზეა ნამდვილი მაზინი გამოსახული. თუმცაღა მისი უამრავი სურათი არსებობს. ასევე ნამდვილი რემბრანდტის მხოლოდ ერთი პორტრეტი მეგულება. პისმარკისაც აგრეთვე. ეს არის ზეიმის ხანაში მყოფი ძალაუფლების მპყრობელის სურათი. ზოლო მოხუცი, ბეწვგახუნებული კატის მსგავსი ანზელი ბისმარკი, უკვე თავის თავს აღარა ჰგავს.

ვუსმენდი და გაოცებას ვიყავ. იგი საუბრობდა. ვუხვდებოდი, რისი თქმაც უნდოდა.

ყოველი პიროვნების ბიოგრაფიას, სახეს, ფიზიკას, სხეულს აქვს თავისი ფოკუსი და ვიდრე ადამიანი მიაღწევდეს ამ ფოკუსს, იგი განიცარცობა და იზრდება. შემდეგ ღვება დაკნინებისა და კვდომის ხანა. ფოკუსი ხან ახალგაზრდობის წლებს თანხვდება და მაშინ ამ ადამიანს დადი დღე აღარ უწერია. ხან ორმოცა წლის ასაკისას უწევს (ასეთ კაცს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ჰხვდომია წილად). ზოგჯერ ეს ხდება უფრო გვიანაც. და მაშინ იგი ღრმად მოხუცებულობამდე მიატანს.

მართლაც ასეა.

ყოველ ადამიანზე შეიძლება ითქვას, რომ დროთა მანძილზე მის ნაირგვარ სახეცვლილებათა შორის მხოლოდ ერთია ნამდვილი. ის გამოსახულება, სადაც იგი შეერთო თავის ნამდვილ მე-ს.

საოცარია. არც არსად წამიკითხავს, არც მსმენია მსგავსი რამ ეს რომ საგანთა მაგაური წვდომაა.

ვუმზერდი ჩემი მეგობრის კალარაშერთულ თავს. და იგი მესახებოდა სწორედ ასეთ ფოკუსს გადაცდენილ, ბრძენ კაცად.

განა ამიტომ არ მიყვარს იგი?!

• •

ყველაზე ბევრი აზრი კონკაში მოსდის ადამიანს. კონკა ჯანჯღარებს. მე ვირყევი, ტვინიც ლაყლაყებს და იჭიდან იფერთხება აზრები. (კონკაში)





დ ელვიგი დაიბადა მოსკოვში, 1798 წელს. მამა სამხედრო პირი (გენერალ-მაიორი) ჰყავდა, დედა კრასილნიკოვას ქალი იყო.

პირველდაწყებითი განათლება მიიღო კერძო პანსიონში, 1871 წელს კი ჩაირიცხა ცარსკოე სელოს ლიცეუმში. მისი ნიჭი ძნელად ვითარდებოდა. მეხსიერება ცუდი ჰქონდა, ზანტად აზროვნებდა. თოთხმეტი წლისამ ჯერ კიდევ არ იცოდა არც ერთი უცხო ენა და არც მეცნიერების რომელსმე დარგისადმი იჩენდა მიდრეკილებას. ცხოველი წარმოსახვის უნარი კი არ აკლდა. ერთხელ ტოლ-ამხანაგებს განუცხადა, 1807 წლის ლაშქრობის უშუალო მომსწრე ვარო, თანაც ისეთი სიმართლითა და სიცხადით მოუთხრო მაშინდელი ამბები, იმგვარი ძლიერი ზემოქმედება იქონია ახალგაზრდა მსმენელებზე, რომ მას შემდგომ კარგა ხანს აკეთხავდნენ ცნობისმოყვარეთა ახალი და ახალი ჯგროვები. ეს ამბავი შეიტყო ჩვენმა დირექტორმა ა. ფ. მალინოვსკიმ, რომელმაც მოისურვა დელვიგის პირით მოესმინა ყოველივე.

მომავალმა პოეტმა ისეთი წარმატებით განაგრძო ლაშქრობის ამბავი, აღარავის ეჭვიც არ შეჰპარვია მონათხრობის უტყუარობაში, ვიდრე თავად არ გამოტყდა, ჩემი მონაგონია ეს ყველაფერი. ამაზე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ბუთი წლისამ, რაღაც საოცარი ზმანება მოუყვა შინაურებს. მთხზველობის უნარით დაჯილდოებულ ბავშვებში ეს მიდრეკილება როდით არგუნაეს ალაღმართლობასა და პირდაპირობას. დელვიგი არასოდეს მალვინდა საკუთარ დანაშაულს, რომლისთვისაც დასჯა და საყვედურები ელოდა. პოეზიისადმი სიყვარულმა მის არსებაში გაიდვიო ძალზე ადრე. ზეპირად იცოდა ეუკოვსკის მიერ გამოცემული რუსული ლექსების მთელი კრებული. კლავსტოკი, გოეთე და შილერი წაიკითხა ამხანაგთან, კულხელბეკერთან ერთად; რომელსაც მართლაც რომ შთაგონებული განმარტებითი ცოცხალი ლექსიკონი ეთქმოდა. პორაციუსი შეისწავლა სკოლაში, პროფესორ კოშინსკის ხელმძღვანელობით. ის არასოდეს გარეულა თამაშებში, რომლებიც ითხოვდნენ ძალას და მოქნილობას. ამას ერჩივნა ცარსკოე სელოს ხეივანებში გასეირნება და მისივე ხასიათის სწორფერი საუბრები. პოეზიაში პირველი ნაბიჯები პორაციუსის მიბაძვით გადადგა. ოდები დიონისესა, ლილეტასა და დორიდასადმი და-

წერა თხუთმეტი წლისამ—ამისას უკლებლადაა შეტანილი მის თხზულებათა კრებულში. ამ ლექსებში შეიმჩნევა ჰარმონიის საოცარი გრძნობა და კლასიკური წკობილობა, რასაც ის არასოდეს დაღატობდა შემდგომ. როგორ მოხდა, რომ არავინ მიაქცია ყურადღება აგრე მშვენიერი ნიჭის ადრეულ გამოვლენათ, არავინ შეამჩნია ეს შთაგონებული ყმაწვილი? მისი ერთი ამხანაგის მსუბუქსა და ზედაპირულად მოპირკეთებულ ლექსებს ხოტბას ასხაპდნენ და საოცრებას უწოდებდნენ. დელვიგი კი არც თავის ხანმოკლე სარბიელზე გამოჩენისას იქნა აღიარებული და დღესაც, უდროოდ სამარეში მწოლი, ჯეროვნად არ არის შეფასებული. რა გაეწყო, ასეთი ყოფილა მისი ხვედრი.

ერაზელ პეტერბურგიდან მოსკოვს უნდა გავმგზავრებულიყავ. გზაში ვიაზემსკი უნდა დამწეოდა. დელვიგმა მოისურვა გავეცილებინე ცარსკოე სელომდე. 1886 წლის 10 აგვისტოს, აღრიანად გავედით ქალაქიდან. დელვიგი ცვიან იღვიძებდა. დილით ვერა ძალა ვერ წამოაყენებდა ლოგინიდან. ამჯერად მ საათზე უკვე ფეხზე იყო, ოღონდ ადრე ადგომის გამო თავი სტეხდა და უბრუოდა. დუქანში შევიარეთ, პური გავტეხეთ და გზა განვაგრძეთ ტკივილი დაუამდა, გამხიარულდა და ლაპარაკის გუნებაზე დადგა. დუქანში საუზმობისას მოთხრობა მოაგონდა, რომლის დაწერასაც ებირებოდა. ის საერთოდ დიდხნობით ფიქრობდა თავის ყოველ თუნდაც პატარა ნაწარმოებზე. საუბრებისას სჩვეოდა პოეტური ჩანაფიქრის განვითარება. ასე რომ, მის შესანიშნავ ქმნილებებს ახლობლები ეცნობოდათ დიდი ხნით ადრე, ვიდრე ისინი დაიწერებოდა. როცა წაგვიკითხავდა „უჩვეულო სიახლით გახშიანდებოდა ხოლმე ლექსთა ედუარდი პევზამეტრები. რუსული იდილია, რომელიც მისი სიკვდილის შემდგომ დაიბეჭდა, პირველად ლიცეუმის დარბაზში მომითხრო მათემატიკის მოსაწყენი გაკვეთილის მერმე.

გვაოცებს დელვიგის იდილიები. რარიგ ძლიერი წარმოსახვის უნარი უნდა მოსავდეს ადამიანს, რომ XIX საუკუნიდან იხილოს ოქროს ხანა; რარიგ გამახვილებული ალლო უნდა ჰქონოდა, რომ ასე ღრმად ჩახედომოდა ნატიფ ბერძნულ პოეზიას, რომელსაც მხოლოდ ლათინური მიბაძვისა და გერმანული თარგმანების მეშვეობით იცნობდა.

თარგმნა ედიუარ გიორგაძემ



ვასილი შუკოვსკის 200 წლისთავისათვის

პოეზია და ცხოვრება განუყოფელია

პოეზია და ცხოვრება განუყოფელია. ჯერ კიდევ გერცენმა თქვა: პეტრეს გამოწვევას რუსეთი ასი წლის შემდეგ გამოეხმაურა პუშკინის დიადი მოვლინებით. პუშკინის გენიით მოგვრილი აღტაცება დღესაც არ განუღებულა. ეს განსაცვიფრებელი გამოცხადება ისტორიულად მზადდებოდა, საერთო ძალისხმევით და საერთო ძალების მოკრებით.

ტრადიციული თვალსაზრისის თანახმად პუშკინმა თავი მოუყარა მისი წინამორბედი და თანადროული პოეზიის სხვადასხვა საწყისებს: წიქვანთ, დეკაბრისტული რომანტიზმის მოქალაქეობრიობას და ჟუკოვსკის ელეგიურ ფსიქოლოგიზმს. ბატიუშკოვის პლასტიური და სიცოცხლისმოყვარე შემოქმედება კი წინ უძღოდა ჭაბუკ პუშკინს და საბოლოოდ პუშკინმავე მოაქცია ყოველივე პარმონიაში და გაამთლიანა.

ჩემი აზრით, რეალური სურათი უფრო დრამატულად გამოიყურება. იგივე ბატიუშკოვი მართლაც იყო პუშკინის წინამორბედი, მხოლოდ არა მარტო ჭაბუკი პუშკინისა. იგი ნიადაგს უმზადებდა ყმანვილი პუშკინის არა მხოლოდ „მსუბუქ“ პოეზიას, არამედ პუშკინისეულ ბაირონიზმსაც (სწორედ ბატიუშკოვმა შეაფასა ერთ-ერთმა პირველთაგანმა ჩვენში ბაირონი) და მონიჭული პოეტის „რუსალკასაც“ (ბატიუშკოვს პქონდა თავისი „რუსალკას“ ჩანაფიქრი). დიახს რარიგი ხვედრია — წინასწარვე მოიცავდნ მთელ პუშკინს და მაინც მის სიყმანვილის ხანაში ჩარჩეოსიპ მანდელშტამი ბევრს ფიქრობდა ბატიუშკოვის ბედზე და ერთხელ მას (წიგნში „საუბარი დანტეზე“) ჯერ არ მოვლენილა პუშკინის უბის წიგნაკი უნოდა. ბატიუშკოვი, კარამზინიც, ჟუკოვსკიც, მურავლიოვიც, კაპნისტი, სალარიოვი და სხვები ათობით უბის წიგნაკებს ავსებენ და ხანდახან რამდენიმე სიტყვას სტოვებენ პუშკინისთვის.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია პუშკინის წარმოდგენა რუსული ლექსის ტრადიციების

გაუთვალისწინებლად. პუშკინი რუსული ეროვნული პოეზიის შემქმნელია. მისი პოეზია იმიტომაცაა გენიალური, რომ ძლიერი, ეროვნული, კოლექტიური ძალისხმევის ნაყოფია. ჟუკოვსკის შექმნილ ყოფილიყო ავტორი რუსული პოეზიის ერთი განსაცვიფრებელი ფორმულისა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ როგორც პუშკინისას — Гений чистой красоты — ამ ფორმულით ორჯერ ისარგებლა ჟუკოვსკიმ პუშკინამდე — ლექსებში „Палла Рук“ და „Я музыку юную, бывало“.

„...ჟუკოვსკი რომ არ ყოფილიყო, პუშკინიც არ იქნებოდა“, — თქვა ბელინსკიმ... პირველად სწორედ ჟუკოვსკიმ წარმოთქვა ელეგის ენაზე ადამიანის სამდურავი წუთისაოფლისადმი — და განა მარტო ეს არის!

განა ჟუკოვსკი არ იყო თავიდან ლიდერი (გვაპატიონ ამგვარი ტერმინოლოგია). მან გამოიყვანა პუშკინი ჭეშმარიტად მარაოონულ პოეტურ დისტანციაზე — პუშკინმა შექმნა „რუსლანი და ლიუდმილა“.

ჭაბუკ პოეტს პოემის ჩანაფიქრი ჟუკოვსკიმ მიაწოდა. მანვე მისცა თემა, სალექსო ნყოფა და საბოლოოდ ასე მიმართა: „გამარჯვებულ მონაფეს გამარჯვებული მასწავლებლისაგან“. მაგრამ ის ახლა მარტო პუშკინს კი არა, პუშკინის შემდეგდროინდელ პოეზიასაც ამზადებდა. დიდი ხანია შენიშნულია მისი „იაზიკოვისებური“ ლექსები.

Лодку вижу... где ж вожатый?
Едем!.. будь, что суждено...
Паруса ее крылаты,
И весло оживлено.

ჟუკოვსკის აქვს ლექსები, რომლებიც ძნელია ნეკრასოვის ლექსებად არ მიიჩნიო. ტყუილად კი არ აღნიშნავდა ბელინსკი. „უცნაური საქმეა! — ჩვენმა ჩუმი ჭმუნვისა და ტანჯვის პოეტმა თავის სულში მოიძია ძალუმი და მტკიცე სიტყვა უზარმაზარი ინგლისელი პოეტის ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამების გად-

მოსაცემად. ბაირონის „შილიონის ტყვე“ თარგმნილი აქვს რუსულად იმგვარი ლექსით, თითქოს ნაჯახის ხმა გესმოდეს, როცა უდანაშაულო კაცს თავს კვეთენ...

აქ პირველად გამომჟღავნდა რუსული ენის სიმძლავრე და ძალისხმევა და ლერმონტოვის მოსვლამდე აღარც გამომჟღავნებულა.

Но что потом сбылось со мной
Не помню... свет казался тьмой
Тьма светом; воздух исчезал;
В оцепенении стоял

— Без памяти, без бытия
Меж камней хладным камнем я...
То было тьма без темноты;
То было бездна пустоты
Без протяженья и границ;

ლერმონტოვის „მწირობაც“ კი არ არის რუსული ენის სიმძლავრე ასე გამოხატული. თუკი ჟუკოვსკის მარტო „ჩუმი წმუნებისა და ტანჯვის“ პოეტად კი არ მივიჩნევთ, არამედ იმ შემოქმედდადაც, პუშკინს რომ შეუმზადა ნიადაგი, ყველაფერი არცთუ ისე უცნაურად მოგვეჩვენება.

და მაინც ამგვარი პუშკინისეული და პუშკინის შემდგომდროინდელი ჩანაფიქრები და თემები, სახეები და სტრიქონები, რომ შენიშნო ჟუკოვსკისთან და გაოცდეთ, ხაზგასმია საჭირო. ეს ადგილები ერწყმის ჟუკოვსკის პოეზიის საერთო ნყოფას, მის საერთო ტონს, პათოსს, ყოველივე იმას, რითაც პოემა ახალ რუსულ ლიტერატურაში დაიმკვიდრა ადგილი. რუსული ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, ჟუკოვსკისგანაა დავალებული. ჟუკოვსკის გარეშე საზოგადოების სულიერი ცხოვრების ეს უმნიშვნელოვანესი მხარე არც კი იარსებებდა.

ლიტერატურათმცოდნეობა დღესაც აგრძელებს ჟუკოვსკისათვის შესატყვისი კვალიფიკაციის ძიებას: სენტიმენტალიზმი, წინარე რომანტიზმი, რომანტიზმი. ყოველ ამასთან თავისი აკადემიური აზრი გააჩნია. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად ბელინსკის ჟუკოვსკიზე ნათქვამი სიტყვებიც უნდა გავიხსენოთ! რომანტიზმი მარტო ხელოვნებას როდი ეკუთვნის, არც მარტო პოეზიას: მისი მასაზრდოებელი წყარო ისევე, როგორც პოეზიისა და ხელოვნებისა, ცხოვრებაა, თავის უარსებითეს გაგებაში რომანტიზმი არის ადამიანის სულის შინაგანი სამყარო, მისი გულის იდუმალი ცხოვრება. „რუსულ ლიტერატურაში ჟუკოვ-

სკიმ შეიტანა სულიერი სანყისი. კრიტიკოსის სიტყვით კი „სულის პირველი გამოღვიძება, როცა სულმა თავი შეიღწო“. ჟუკოვსკიმ რუსული ლიტერატურა იდეალიზმს აზიარა (აქ ლაპარაკი არ არის ფილოსოფიაზე), უბრალოდ ჟუკოვსკიმ მაღალი იდეალები დაამკვიდრა.

სწორედ ჟუკოვსკის სახელთან დაკავშირებით ამბობდა ბელინსკი: „ვისაც არ უფიქრია სიკვდილზე, ვისაც არ ჰყვარებია მხოლოდ იმიტომ, რომ ჰყვარებოდა, ვისი სიყვარულიც ქალისადმი მხოლოდ სევდა და ლოცვა არ ყოფილა... დიახ, ბევრი დაჰკლებია მას: ის არასოდეს ადამიანი არ იქნება“... დავამატოთ: „ვინც ასეთ ადამიანად დარჩება“.

გოგოლმა ჟუკოვსკის ჩვენი საუკეთესო ორიგინალობა უწოდა. განა უცნაურად არ ჟღერს ეს გამოხატულება იმ კაცის მიმართ, რომელიც მუდმივად თარგმნიდა? მთარგმნელი, — წერდა გოგოლი, — ჰკარგავს საკუთარ პიროვნებას, ჟუკოვსკიმ კი, პირიქით, მკაფიოდ წარმოაჩინა პიროვნული ინდივიდუალობა. მისი ლექსების სათაურებს რომ გადახედოთ, შენიშნავთ: ერთი შილერიდან არის აღებული, სხვა ულანდისაგან, მესამე ვალტერ სკოტი. საგან, ბაირონისგან. ამასთან ყველა პოეტის პიროვნება შენარჩუნებულია, მაგრამ როდესაც უეცრად გადაიკითხავ რამდენიმე ლექსს და საკუთარ თავს ჰკითხავ, ვისი ლექსები წავიკითხეო, შენ თვალთა წინაშე არც შილერი წარმოსდგება, არც ულანდო, არც ვალტერ სკოტი. ეს რაღაც სხვა არის, მათგან განსხვავებული! რაგვარად მოხდა, რაგვარად დაასვა თავისი პიროვნული ბეჭედი სხვა პოეტების პიროვნებას!

გამოცანაა! ეს შემთხვევა ძალიან წააგავს ფორმულას, რომელიც დოსტოევსკიმ პუშკინს მიუძღვნა: მან წაიყოლა უზარმაზარი საიდუმლო.

პოეზია და ცხოვრება განუყოფელია. ეს პრინციპი ახალ რუსულ პოეზიაში ჟუკოვსკიმ წამოაყენა და მანვე განახორციელა თანმიმდევრულად. ეს პრინციპი სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თვითონ ეს პრინციპი: პოეზია და ცხოვრება ერთია, ვასილი ჟუკოვსკიმ დააფუძნა ჩვენს ლიტერატურაში.

თარგმან ავირან კანტაქიძე



(მხატვარ გ. გ. გაგარინის გარდაცვალების 90 წლისთავის გამო)

გასულმა საუკუნემ, რომელშიც გრიგოლ ვაგარინს მოუხდა ცხოვრება, ერთდროულად პუშკინისა და ლერმონტოვის დუელებიც დაიტია და „მკვდარი სულების“ ორეულებიც, თითქმის ფეხებში რომ ებლანდებოდნენ ერთ დროს ყაზანის გზით მიმავალ მხატვარს.

პარიზის ღვთისმშობლისა და წმინდა პეტრეს ტაძართა ჩრდილების გემო, რომელიც მშობლიურ რუსეთამდე მოიყოლა ახალგაზრდა ვაგარინმა, ანა კარენინასა და ძმები კარამაზოვების აჩრდილებმა შეცვალეს, ხოლო ყველაფერი ეს—კავკასიის ბრძოლებმა და აღმოსავლურმა ეგზოტიკამ, შამილის დის ფატიმათის მდინარის ტალღებში ჩახვეულმა სხეულმა და თბილისის ქუჩებში მოსეირნე ჰაჯი-მურატის მოკვეთილმა თავმა...

და კიდევ რამდენი, რამდენი რამ, რომელთა თანამონაწილე და მხილველი თავად იყო — მხატვარი, დიპლომატი და გენერალი გრიგოლ გრივოლის ძე ვაგარინი.

პარიზში დაბადებულმა და იტალიაში აღზრდილმა თავადმა თითქმის ფეხით მოვლო პეტერბურგი, მოსკოვი, ყაზანი, კავკასია, კონსტანტინოპოლი და ბოლოს იქვე აღესრულა, სადაც მოველინა ქვეყანას. მოკლედ, ცხოვრების რთული წრე შეკრა, რომლის ერთი ყველაზე ნათელი და უმდიდრესი მონაკვეთი კავკასიაში და, უშუალოდ, თბილისში გატარებული დღეები იყო.

როგორ ან ააიდან გაუჩნდა მხატვარს საქართველოში ჩამოსვლის სურვილი? იქნებ ყველაფერი ლერმონტოვის კავკასიური დღეებიდან დაიწყო, რომლის შუაგულშიაც ტრიალებდა იგი კარგა ხნის მანძილზე და მწერალთან ერთად ქმნიდა ცალკეულ პორტრეტებს, კომპოზიციებსა თუ ბატალურ სცენებს... აქედან კი თბილისამდე დიდი მანძილი აღარ იყო დარჩენილი...

ვაგარინის დროის საქართველო აღთქმულ ქვეყანას, „ტერრა ინკოგნიტას“ ჰგავდა, სადაც არა მარტო ღვთისმშობელს დაეფერთხა თავისი სიუხვის კალთა და ქრისტეს კვართსაც და-

ედო ბინა, ამასთანავე ადამიანებითა და ბუნების სიუხვითაც ბრწყინავდა. ეს განსაკუთრებით თბილისზე ითქმის, სადაც, მსგავსად ბაბილონის გოდოლისა, ათასი ჯურის საუბარს მოისმენდა ქუჩაში გავლილი ადამიანი. კიდულაივნიანი სახლები, ქრელა-ჭრულა ხალხი, ეინრო შუკები, ბანოვანები და ულამაზესი ქალწულები, ორთაჭალის ბალები, — აი, აღმოსავლური ეგზოტიკის ერთ-ერთი უმშვენიერესი ადგილი, საითკენაც ერთნაირად მიუწევდათ გული არა მარტო მხატვრებს, მგოსნებსა და მწერლებს, თვით ვაჭრებსა და მოგზაურებსაც კი.

მხატვარი გრიგოლ ვაგარინი ის პიროვნება როდი იყო, ზოგიერთებივით მარტო სეირის საყურებლად ჩამოსულიყო საქართველოში. მისი შემოქმედებითი სული ყველგან სიახლეებს ეძებდა და ეს სიახლე ქართულ სინამდვილეშიაც ეგულებოდა, რომლის წიაღში ჯერ კიდევ არ დაედგა ფეხი. მაგრამ ასეთი „აღმოჩენებისათვის“ მარტო სურვილი როდი კმაროდა: ცოდნა და გამოცდილება იყო საჭირო და ეს ყველაფერი თან მოჰქონდა პარიზისა და რომის დღეებიდან; პუშკინთან და ლერმონტოვთან მეგობრობის დაუვინყარი დღეებიდან, ბრიულოვის ოსტატ-შეგირდობიდან.

ახალგაზრდა მხატვარს პატივი ჰქონდა მიეღო ალ. პუშკინის წინადადება მის ნაწარმოებთა დასურათების თაობაზე, რაც მან დიდი სიყვარულით შეასრულა კიდევ. მაგრამ იგი მარტოდენ ნაკითხულით როდი კმაყოფილდებოდა და, ყაზანის შორეული გზით ნასული, საფოსტო სადგურებსა და სოფლებში, ცდილობდა აღმოეჩინა ათასგვარი ჯურის ადამიანები და პროვინციელი აზნაურები, რომლებიც იმ წლებში უკვდავყვეს გოგოლის „მკვდარმა სულებმა“.

გზის შთაბეჭდილებებს დიდი ერთგულებით მოეკიდა მხატვარი; შეეცადა არაფერი გამორჩენოდა მის თვალსა და ფანქარს და ამან საშუალება მისცა მოემზადებინა მთელი წიგნი. ასე წარმოიშვა „ტარანტასი“, რომლის წარმატებებზე შემდეგში სიამაყით წერდა ამ წიგ-

ნის ავტორი გრაფი ვ. ა. სოლოგუბი. არისტოკრატმა და დიპლომატმა, დილექტანტ-„ბრიულოველმა“ გრ. გაგარინმა, როგორც ა. სავინოვი წერს, დიდი სიმართლით დაასურათა „ტარანტასი“, რომლის მხატვრობა შეცდომით მიეწერა „მკვდარი სულების“ მაშინდელ ცნობილ დამსურათებელს ა. აგინს...

სიტყვამ მოიტანა და შეუძლებელია ორიოდ სიტყვით არ მოვიხსენიოთ გრაფი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე სოლოგუბი (1814-1882), ცნობილი რუსი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, კარის ისტორიოგრაფი, ლიტვა-პოლონეთის დიდებულის შვილიშვილი და ფრანგულად აღზრდილი პიროვნება; პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, ყუკოვსკისა და ოდოევსკის მეგობარი; შესანიშნავი მოგონებების ავტორი პუშკინსა და გოგოლზე; მრავალი მოთხრობის, პოემა „ნიჰილისტიკა“ და კომედია „ჩინოვნიკის“ ავტორი.

ბედმა ვლადიმირ სოლოგუბის შემოქმედებითი ცხოვრებაც, მსგავსად გაგარინისა, სამუდამოდ დააკავშირა საქართველოსთან.

1871 წელს, როცა რუსეთის იმპერატორი ენვია კავკასიას, ვლ. სოლოგუბიც ჩამოვიდა საქართველოში და დაწერა ცნობილი ლექსი „ალავერდს“:

Съ времен давным давно отжитых
Преданьем Иверской земли
От наших предков знаменитых
Одно мы слово сберегли

და ა. შ., რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „კავკაზ“-ის 1871 წლის 120-ე ნომერში და რომელსაც დიდი წვალეებით მიაკვლია იონა მეუნარგიამ და ცნობები ამის შესახებ დაბეჭდა დავით ერისთავის წაწერების შესავალ წერილში.

ახლა ძნელია იმის თქმა, ვინ შექმნა ამ ლექსის მუსიკა, მაგრამ ერთი კი ცხადია, თავისი მუსიკალური ელერადობა დღემდე არ დაუკარგავს ამ სიმღერას, რომელიც ასე ამშვენებს უკვდავი კინოკომედიის „ქეთო და კოტეს“ ერთ-ერთ საზეიმო ნაწილს.

იმ დროს, როდესაც სოლოგუბი თბილისში იმყოფებოდა და რუსთა ხელმწიფის „კავკასიაში ჩამობრძანების გამო“ „ალავერდის“ სტრიქონებს წერდა, მხატვარი გრიგოლ გაგარინი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის უკანასკნელ წელს ითვლიდა...

ეფრონისა და ბროკჰაუზის მეშვიდე ტომში მხატვარ გრ. გაგარინზე ვკითხულობთ: მისი უდიდებულესობის იმპერატორის კარის ობერ-გოფმეისტერი, მხატვარი-მოყვარული. ცამეტ წლამდე მშობლებთან ერთად იმყოფებოდა

პარიზსა და რომში, შემდეგ კი სწავლობდა ტოლომესა და სიენაში, იყო რუსეთის ელჩი პარიზში, რომსა და კონსტანტინოპოლში. ორი წლის მანძილზე ეკავა მდივნის ადგილი მიუნხენის საელჩოში. 1839 წელს დაბრუნდა რუსეთში და მალე ნაუეფქუტსკის ციხეში, იბრძოდა მთიელთა წინააღმდეგე, 1841 წელს კმყოფებოდა სამხედრო სამსახურში, ხოლო 1842 წელს მონანიღობდა თავად ჩერნიშევის ექსპედიციაში დაღესტანში. მიიღო როტმისტრისა და პოლკოვნიკის ჩინები... ხოლო 1858 წელს გენერალ-მაიორის წოდება... 1859 წლიდან 1872 წლამდე სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. 1864 წლიდან ისევ სამოქალაქო სამსახურშია საიდუმლო მრჩევლის ჩინით.

ახალგაზრდობიდანვე იზიდავდა გრაფიკა და ფერწერა, განსაკუთრებით ბიზანტიური სტილის ხატწერა და ორნამენტისტიკა. ამ სტილით მოხატა თბილისის სიონის ეკლესია; ხოლო ვიცე-პრეზიდენტად ყოფნის დროს დაარსა ძველქრისტიანული მუზეუმი...

ძალზე მოკლე, მაგრამ საინტერესო ცნობებია მოცემული ამ სტრიქონებში, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ მისი ცხოვრებისეული სინამდვილე გაცილებით მეტ მოვლენებსა და თავგადასავლებს შეიცავს. თითქოს დაუფერებელიც კია, ერთ ადამიანს ამდენი რამ მოესწრო სიცოცხლეში; თითქოს ამისათვის რამდენიმე სიცოცხლე იყო საჭირო, მით უფრო იმ კაცისათვის, რომელიც მონაცვლეობით ხან დიპლომატიურ, ხან საბრძოლო და ხანაც შემოქმედებით სარბიელზე იმყოფებოდა; არც ფუნჯი ყოფილა მისთვის უცხო და არც თოფი. 1841 წელს ნიკოლოზ I სწორედ ამისათვის მიანიჭა მას ორდენი: «В награде личным храбрости и хладнокровного мужества».

ნამდვილად გაორებულ პიროვნებასთან გვაქვს საქმე. რომლის ადამიანობა და რთული ცხოვრებისეული გზა ბევრი რამით მოგვაგონებს გრიგოლ ორბელიანის პიროვნებას — ინფანტერიის გენერალსა და გენერალ-ადიუტანტს, მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარესა და, რაც მთავარია, პოეტს...

ორთავეს ერთ ქარტეხილებით აღსავეს საუკუნეში მოუხდათ ცხოვრება, დაღესტანშიაც იბრძოდეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გაგარინმა სულ რამდენიმე წელი მოათია იქ, ორბელიანმა კი თითქმის ოცი წელიწადი.

მშვენივრად წერს ელგუჯა მალრაძე გრ. ორბელიანიადმი მიძღვნილ გამოკვლევაში: „როგორც გაორებული პიროვნება, როგორც ძველი საქართველოს თავგამოდებული ტრფილი, მღელვარე უკომპრომისო მეტრფე და და-

უმცხრალი ჭირისუფალი, იგი სრულიად გამოკვეთილია რომანტიკულ სამყაროში..."

განა «хладнокровное мужество»-ობა არ იგრძნობა ძმის ზაქარიასადმი დაღესტანში მინერალ გრიგოლის სიტყვებში: — ახ, რატომ მეც მანდ არა ვარ, რომ ერთი მაგათი სისხლი დავლიო და შეუბრალებლად ვტანჯავდე ცოცხალთა...

მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობამ ბევრი განსაცდელი არგუნა მეომარსა და მხატვარს და ყოველივე მხატვრულად გამოსახა ბატალურ სცენებში: „ბრძოლა ახატლისთან“, „გენერალ კლუკ ფონ კლუგენაუს შეხვედრა ჰამილთან“, აგრეთვე ცალკეულ პორტრეტებში. ამ ნახატებმა დიდად შეუწყვეს ხელი რუსული ბატალური ფერწერის განვითარებას. აღნიშნული „ბრძოლა“ აულ ჩარქეიში 1841 წლის მაისში მომხდარ საბრძოლო ეპიზოდს ასახავს, რომელშიაც თვით გაგარინიც მონაწილეობდა... ა. სავინოვის თქმით, მხატვრის იქაური ნამუშევრები სრულიად განზრახვადებიან მრავალრიცხოვან მხატვარ-ბატალისტთა ტილოებისაგან (რომლებიც ნიკოლოზ I ნახალისებით სარგებლობდნენ), რამეთუ ისინი შექმნილი არ არიან შოვინისტური სულით. მათში წინა პლანზე ჯერ მთიელები, ხოლო შემდეგ რუსი ჯარისკაცები არიან გამოსახულნი, რომლებიც საბრძოლო ოპერაციებს ატარებდნენ დაღესტანში. გაგარინის ნახატებში მთიელთა დიდი პატივისცემა იგრძნობა...

ერთხელ ლადო გუდიაშვილმა ქაშვეთის ეკლესიის მოხატვის თაობაზე მითხრა:

„— მე და დავით კაკაბაძემ საკმაო ხანი დავყავით პარიზში, ბევრი რამ ვისწავლეთ, ვნახეთ და ეს უკვე საკმარისი იყო ჩვენთვის. ამის შემდეგ უსათუოდ უნდა დავბრუნებულყავით საქართველოში და წინ წაგვეწია ჩვენი ფრესკის ტრადიციები ან ახალი მხატვრობა, რომელიც ის-ის იყო იდგამდა ფეხს..."

თბილისში ყოველდღიურად უამრავი სტუმარი ჩამოდის. ისინი პირველ ყოვლისა ქრისტიანულ სამლოცველოთა ნახვას მოითხოვენ, აინტერესებთ ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრება, ფრესკები, ნყურიათ ლოცვა. მაგრამ ფრესკები თბილისში ჯერ ძალიან ცოტაა და რაც არის, თითქმის უცხოელ მხატვართა ნახელავია. რაღა შორს წავიდეთ, ჩვენი სიონის ეკლესია ავიღოთ, რომელიც გასული საუკუნის შუა წლებში ბიზანტიური სტილითა და ცვილოვანა ფერების გამოყენებით მოხატა გრიგოლ გაგარინმა.

მადლიობის მეტი რა გვეთქმის მხატვრის მიმართ, ვინაც ამდენი შრომა შეაღია ჩვენი ძვე-

ლი და დიდებული ტაძრის გამშენიერებას. გუმბათის ყელი და თვით კედლები, შენობის შიდა სივრცე ათასგვარი კომპოზიციებითაა მორთული. წმიდანთა სახეები ისეთია, ზუსტად ქრისტიანულ მხატვრობას რომ შეეფერება, მაგრამ სტილი მაინც ტრანსტიფერენტული ხაზითა სრულყოფილებასა და ფერთა პარმონიაში ისეთი ოსტატობა იგრძნობა, რომლის მიღწევა მხოლოდ დასრულებულ მხატვარს თუ შეეძლო. გაგარინი კი, მიუხედავად პრიულოვის გაკვეთილებისა, მაინც თვითნასწავლ მხატვრად აღიარებული რუსული ხელოვნების ისტორიაში. შეუძლებელია თვითნასწავლ მხატვარს, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, ასე მშვენიერად მოეხატა სიონის ტაძრის კედლები. არადა, კაცმა რომ თქვას, რით ამცირებს მას „თვითნასწავლობა“? განა მარტო აკადემიის კედლები ქმნიან მხატვარს? განა მსოფლიო გრაფიკის მეფე ფრანგი გუსტავ დორე თვითნასწავლი მხატვარი არ იყო?...

საუბარი გამიგრძელდა, მაგრამ მე მაინც ვუბრუნე თავდაპირველს: ქართული ფრესკების საკითხს. იმის უცილობელმა შეგნებამ, რომ თბილისის ტაძრებში ქართველ ოსტატთა მხატვრობა არ არსებობდა, მაიძულა მეფიქრა ერთ-ერთი ეკლესიის მოხატვაზე და აი, 1947 წლის 23 აგვისტოს დავინყე კიდევ ქაშვეთის ეკლესიის მოხატვა, რომელზედაც შვიდი თვე და ოცი დღე მომიხდა მუშაობა. ვწუხვარ, ვითარებისა გამო, მუშაობის გაგრძელება რომ ვეღარ შევძელი, თუმცა ესკიზები მთელი ეკლესიისათვის დამრჩა გამზადებული. არა უშავს რა, ახალგაზრდა მხატვრები მოსწავრებენ ტაძარს ჩემი ესკიზების მიხედვით და მე ამითაც კმაყოფილი დავრჩები..."

მესაუბრებოდა ბ-ნი ლადო და ვგრძნობდი მის უდიდეს პატივისცემას ქართული ხელოვნებისა თუ გაგარინისეული ფრესკების მიმართ. ამაში ერთხელ კიდევ მაშინ დავრწმუნდი, როდესაც 1976 წელს შემთხვევითმა პირებმა მოხატეს დიდუბის ეკლესია, უფრო სწორად, ლურჯად შეღებეს მთლიანად. მხოლოდ ტრომპებზე მიახატეს მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს ფიგურები; ერთგან ღვთისმშობელი ყრმითურთ, ხოლო გუმბათის ყელის დაბლა, აქა-იქ, რამდენიმე პატარა ანგელოზი. ეს იყო და ეს მთელი ეკლესიის მხატვრობა, ამ ამბავს ყური მოჰკრა ბ-ნმა ლადომ და მოსვენება დაკარგა, ჯავრობდა, სიტყვები არ ყოფნიდა ვულისტიკვილის გამოსახატავად... კიდევ კარგი, რომ „ფრესკები“ მალე მოშალეს და მას შემდეგ დიდუბის ეკლესიის კედლები ისე მოიხატა, როგორც ჯერ არს...

დღემდე მახსოვს გუდიაშვილის დიდებულ საუბარი. მოგვიანებით, როდესაც საშუალება მომეცა, გადამეკითხა სამ სერიად გამოცემული გაგარინის კრებულები ბიზანტიური, ქართული და ძველრუსულ ორნამენტებსა და ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესახებ, ჩემთვის უკვე ნათელი გახდა გაგარინის დამოკიდებულება და დიდი სიყვარული ბიზანტიური მხატვრობის მიმართ და ამავე სტილით თბილისის სიონის მოხატვის საერთო სურათი.

სხვათაშორის, ხსენებულ კრებულთა პირველ სერიაში ავტორს განხილული აქვს არა მარტო უცხოური ეკლესიები, ფრესკები, სარკოფაგები, მარმარილოს რელიეფები, ინკრუსტაციები, სასანთლები, ხელნაწერთა მორთულობანი და სხვა, არამედ რამდენიმე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლიც: ახტალა, გრემი, დაბა და სხვა.

ხოლო ავტორის წერილი: „რუსული ხელოვნების წყარო“, იმის პირდაპირი ცდაა, აღიაროს ბიზანტიური ხელოვნება რუსული ხელოვნების სათავედ...

ამავე კრებულის შესავალი ნაწილიდან ვგებულობთ, რომ 1893 წლის 18 იანვარს შატეროში, საფრანგეთში, გარდაცვლილა თავადი გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინი, რომელსაც სიკვდილამდე სამი კვირით ადრე მიუღია სასიხარულო ცნობა — ან უკვე გარდაცვლილი იმპერატორის ალექსანდრე III ნებით, რუსული ხელოვნების სასარგებლოდ, გამოცემული იქნებოდა მისი ნაშრომების კრებულები, რაც რამდენიმე წლის შემდეგ შეუსრულებიათ კიდეც...

გაგარინი მარტო სიონის ეკლესიის ფრესკების მოხატვით არ დაკმაყოფილდა და კანკელიც გაუკეთებია მისთვის. ჭუნს ცნობებს ამის შესახებ გვაძლევს 1893 წლის 22 ივნისის გაზეთი „ივერია“, რომლის მესამე გვერდზე გამოქვეყნებულია წერილი: „დავით გარეჯის უდაბნოს გუჯრები“. წერილის სქოლიოში ლაპარაკია უდაბნოს იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაზე, რომლის „კლდისაგან ნაქანდაკები კანკელი ყოველ მნახველს ანცვიფრებს დღესაც. ტფილისის სიონის აწინდელი კანკელი თ. გაგარინმა სრულიად ამსგავსა და წარმოადგენს ნამდვილს ასლსა ანუ პირს იოანე ღვთის-მეტყველის კანკელისას“.

ქართული ცხოვრების მაშინდელი სინამდვილის ასახვას უკვე მხატვართა მძლავრი ნაკადი ესაჭიროებოდა, მით უფრო, რომ ფოტოხელოვნება იმ დროს თითქმის სრულებით არ არსებობდა ჩვენში. დიდგვაროვანნი მხოლოდ ცალკეული პორტრეტებით აღწევდნენ

თავიანთი თავის უკვდავყოფას, რომელთა შექმნა ჯერ კიდევ ერთეულ მხატვრებზე იყო დამოკიდებული. მაგრამ დრო თავის მოთხოვნებს აყენებდა ისტორიის წინაშე: მარტო დიდებულთა სახეების შექმნა ვერ ამონურავდა ცხოვრებისეულ სიღრმეებს, ომები, ეთნოგრაფიული ყოფა, ქალაქის ცხოვრება, ბუნება ერთნაირად საჭიროებდნენ მხატვრის ფუნჯსა და ფანქარს. ფეოდალური იერარქიის ნამსხვრევებზე ახალი „ხე ცნობადისა“ იყრიდა ტოტებს. „დროის სისწრაფის უღმობელობა“ გუშინდელს დღევანდელობის სიახლეებს უპირისპირებდა. იცვლებოდა ქალაქის იერსახე, ადამიანთა ჩაცმულობა, მათი სულიერი სამყარო. მხატვარი ნიკიტა იონათამიშვილი და მისი ვაჟები იაკობი და ალაფონი და კიდევ რამდენიმე სხვანი ველარ აუდიოდნენ იმ მოვლენათა ფერწერულად ასახვას, რასაც მაშინდელი თბილისი, მთელი საქართველო თუ კავკასიური ომები მოითხოვდნენ.

ამ მხრივ გრიგოლ გაგარინის საქართველოში ჩამოსვლა, როგორც ფერმწერის, გრაფიკოსის, ლითოგრაფის, ხუროთმოძღვრისა და ხელოვნების მკვლევარისა, უთუოდ დროული და აუცილებელი იყო. მისი უდიდესი მემკვიდრეობის ერთი ნაწილი ჩვენი ხალხის ცხოვრების სინამდვილეს მიეძღვნა. ბრიულოვის მონაფემ შეძლო მოემარჯვებინა მახვილი ყალამი და ნატიფი, ჰაეროვანი ხაზებით, გამჭვირვალე ფერებით აესახა ქართული ბუნება და მის მშვენიერ ფონზე უკვდავეყო ნაცნობთა თუ უცნობთა, მოკვდავთა და უკვდავთა სახეები, თავისი დროის თბილისური კოლორიტი.

ავიღოთ თუნდაც მისი ორი პორტრეტი: „ქართველი ქალი“ და „ჩოლოყაევას პორტრეტი“. ორთავე ფიგურა მჯდომარე, ნახევარპროფილშია წარმოდგენილი; ერთი მარჯვენა პროფილიდან გვიმზერს, მეორე — მარცხენა-დან. მათი თეთრი, გამჭვირვალე კაბები გრძელი ნაწნავებითა და ჩიხტაკოპებითაა დამშვენებული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ერთსა და იმავე პიროვნებას ვუცქერდეთ; მხოლოდ სახელწოდებები აქვთ სხვადასხვა. ამას ვვაფიქრებინებს პირისახის ერთნაირი ოვალი და თვალთა ქრილები.

„ჩოლოყაევას პორტრეტი“ ტონებით, ნახევარტონებითა და ფაქიზი გრაფიკული ხაზებითაა შექმნილი. „ქართველი ქალის“ პორტრეტი უფრო ბრტყელია: მოცულობის შთაბეჭდილებას აქ ისეთი წერილი ხაზები ქმნიან, თითქოს ისინი აბრეშუმის ხაზებიდან იყვნენ ამოქნილნი. ამის გამო ნახატში არც წინა პლანა იგრძნობა და არც უკანა.

გრ. გაგარინი მაშინ ჩამოვიდა საქართველოში, როდესაც ჩაცმულობისა თუ ცხოვრების საერთო კოლორიტი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის ძალმოსილებას. ამან მაძიებელ მხატვარს, როგორც ფუნჯით მეისტორიეს, საშუალება მისცა გაეცოცხლებინა საკუთარი თვალით ნახული და დიდი ოსტატობით აღებეჭდა თავის ნამუშევრებში.

თავად განსაჯეთ მეორე უკიდურესობა, კერძოდ, მოგვიანებით მიხაი ზიჩის საქართველოში ჩამოსვლა, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობა უნდა დაეწყო. გრიგოლ ორბელიანი გულისტკივილით წერდა, ზიჩს პოემის გმირთათვის ძველი ქართული ჩაცმულობანი ესაჭიროებოდა, მაგრამ მთელს თბილისში ვეღარ შეიძლო მათი შოვნაო. მხოლოდ ერთ ოჯახში შემორჩენილიყო ასეთი ტანისამოსი, რითაც, როგორც ცნობილია, ნინასწარ შემოსა საგულდაგულოდ შერჩეული ქართული ტიპები, შექმნა ერთგვარი, პოემის ილუსტრაციებისათვის სავარაუდო კადრები, რომლებიც ჯერ ფოტოებზე აღებეჭდა და მერე ყოველივე ეს პოემის დასურათებისას გამოიყენა.

მისდა და ჩვენდა საბედნიეროდ. გრ. გაგარინს ასეთი სირთულეები როდი შეხვდა ნახატებზე მუშაობის დროს. ცხადია, მას არც ძველი ქართული სამოსები უძებნია სკივრებსა და ზანდუკებში, რამეთუ ისინი ჯერ კიდევ არ გასულიყვნენ ხმარებიდან და ჯერ კიდევ ქმნიდნენ მხატვრისთვის უცხო და მიმზიდველ კოლორიტს.

მისი დროის ხეესურეთში ოჭა ჯურხაი და ძალღიკა ხიმშიაურები, მართალია, აჩრდილებადლა თუ დაიარებოდნენ თანამედროვეთა ხსოვნაში, მაგრამ ცხოვრობდნენ აბჯარ-ქაფებში, თოფ-იარაღსა და ხეესურულ კოსტუმებში გამოწყობილი მამაკაცები, რომელთა ხატებაც დიდი ოსტატობით გადმოსცა მან თავის „ხეესურში“..

„ცეკვა ბანზე“, — ეს ძველი თბილისის სურათების ნამდვილი გაცოცხლებაა...

ცხადია, ჩვენ აღარაფერს ვამბობთ თბილისის მოხეტიალე მენახშირეებზე, სპარსელ ფაქირებზე, ბოშა ქალებზე, ჩიბუხის მწველ თურქ მამაკაცზე; ნაცნობ ოფიცერთა, ჯარისკაცთა, კაზაკთა, მთიელთა და ბრიულოვის პორტრეტებსა და კომპოზიციებზე; ცალკეულსა და ჯგუფურ პორტრეტებზე, სათარაზე, სახალხო დღასასწაულებსა და კავკასიის პეიზაჟებზე, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მის შემოქმედებაში.

გაგარინი დიდხანს ცხოვრობდა თბილისში. ხშირად სტუმრობდა ალ. ქავჭავაძის ოჯახში, სადაც დახატა ალექსანდრეს ვაჟიშვილის პორტრეტი. მანვე შექმნა მადონა ორბელიანის პორტრეტიც, ვისი სახელიც მინეროლია მ. ლერმონტოვის კავკასიისადმი მიძღვნილი ლექსის «Слеза на север»-ის ხელნაწერის უკანა მხარეს.

გაგარინი ამითაც არ დაკმაყოფილდა: თბილისის მაშინდელი თეატრი, რომელიც 1874 წელს ხანძარმა შთანთქა, მისი პროექტით იყო აგებული. გაგარინმა ორგანიზაცია გაუკეთა მუყაო-ქვის ფაბრიკას, რომლის ნანარმიც თეატრის შესამკობად იყო აუცილებელი, და თავად იყო ფაბრიკის სამხატვრო ნაწილის დირექტორი. მანვე დააპროექტა სამხატვრო სკოლაც. მისი „მოგონებები ბრიულოვზე“, „ზურნა“, „მოკლე ქრონოლოგიური ცხრილი ბიზანტიური ხელოვნების ისტორიაში დასახმარებლად“; ალბომები: „ნახატები და მონახაზები ნატურიდან“, „ფერწერული კავკასია“, „კავკასიური კოსტუმები“, „კავკასიის ხედები“, „კორონაციონალური ალბომი“ და სხვა საერთო ხელოვნების ოქროს ფონდშია შესული.

მხატვარმა გრ. გაგარინმა ოთხმოცდასამი წელი იცოცხლა. მწერალი ტურგენევი ზნწლის ასაკში რომ გარდაიცვალა, მაშინდელ გაზეთებს ასე აღუნიშნავთ მისი სიკვდილი: «Скончался в глубокой старости». ამ სიტყვების გახსენებაზე, რომლებიც პირადად ჰქონდა ნაკითხული იმ. ვართაგავას, ძალაუნებურად ეღიმებოდა ხოლმე კიდევ, რამეთუ ეს ასაკი „ღრმა მოხუცებულობისა“ კი არა, მისთვის საშუალო ასაკი იყო. ოთხმოცდასამი წელი კი ხომ ნამდვილად ღრმა მოხუცებულობის ასაკია. თუმცა იმ ადამიანისათვის, ვინაც ამდენი მემკვიდრეობა დაუტოვა მსოფლიო ხელოვნებას, ნამდვილად ცოტა იყო რვა ათეული წლის სიცოცხლე.

1910 წელს, მხატვრის დაბადების 100 წლისთავის გამო, პეტერბურგში მოუწყვიათ მისი ნამუშევრების გამოფენა.

წელს კი შესრულდა 90 წელი გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინის გარდაცვალებიდან. დაე, ეს პატარა წერილი და ჩვენს აღმანახში გამოქვეყნებული ფოტორეპროდუქციები იყოს მისი ხსოვნის მისაგებელი და სამადლობლო იმ დიდი ამაგისათვის, რაც მან კავკასიისა და, უშუალოდ, ქართველი ხალხის ცხოვრებასა და ხელოვნებას მიუძღვნა!